



საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

წლიური ანგარიში



თბილისი
2024

UDC (უკ) 061.12. (479.22)

წ - 706

ყოველი წლის ბოლოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ამზადებს წლიურ ანგარიშს, რომლის მიზანია „მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისათვის გაცნობა და აგრარკოს მეცნიერთა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდება, თავი II , მუხლი 1, პუნქტი - ე)

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2024 წლის მოღვაწეობის ანგარიშში მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, პრეზიდიუმთან არსებული: აგრარული ინოვაციების კომისიის, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს; აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, მისი წევრების და აკადემიის სტიპენდიატების სამეცნიერო, სამეცნიერო - ორგანიზაციული, საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი საქმიანობა, აკადემიის საერთაშორისო თანამშრომლობა და საანგარიშო წელს ჩატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები, ასევე აკადემიის აჭარის ა/რ სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის სამეცნიერო საქმიანობა.

აკადემიის 2024 წლის ანგარიში მოამზადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა დეპარტამენტმა (დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი) აკადემიის პრეზიდიუმის, პრეზიდიუმთან არსებული: აგრარული ინოვაციების კომისიის, ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების, მისი წევრების, ადმინისტრაციული დეპარტამენტისა და აკადემიის დარგობრივი მიმართულებების კოორდინატორების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

რედაქტორი: აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

რედაქტორის მოადგილე: აკადემიკოსი გურამ ალექსიძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
გამომცემლობა „აგრო“

ტირაჟი - 70.

ISBN 978-9941-8-7562-5

შ ი ნ ა ა რ ს ი

	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია-67 (1957–2024 წ.წ. მოკლე ისტორია)	5
	ამონაწერი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებიდან	8
	აკადემიის სტრუქტურა	9
	შესავალი	10
	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებები	12
თავი 1.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და აკადემიის სტიპენდიატების შემადგენლობა 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	19
თავი 2.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი	36
2.1.	აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობა	36
2.2.	აკადემიის პრეზიდიუმის მიერ ჩატარებული სხდომები	38
თავი 3.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები	49
3.1.	აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება	49
3.1.1	აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშები	51
3.2.	მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება	69
3.2.1.	მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	71
3.3.	აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება	80
3.3.1.	აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2024 წლის სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის ანგარიში	82
3.4.	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება	93
3.4.1.	გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2024 წლის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ანგარიში	96
3.5.	სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება	104
3.5.1.	სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში	107
3.6.	ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება	118
3.6.1.	ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2024 წლის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ანგარიში	120
თავი 4.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის 2024 წლის მუშაობის ანგარიში	131
თავი 5.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს მიერ 2024 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში	144
თავი 6.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების დარგობრივი კოორდინატორების მიერ 2024 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში	151
თავი 7.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და	198

	აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2024 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში	
თავი 8.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები	200
თავი 9.	მნიშვნელოვანი ღონისძიებები, სამეცნიერო კონფერენციები, მრგვალი მაგიდეები, საზეიმო შეხვედრები	206
თავი 10.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2024 წელს გამოცხადებულ აგრარულ სფეროში გამოჩენილ აგრარის მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მისანიჭებლად ნაშრომების გამოსავლენი კონკურსის შედეგები	236
თავი 11.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის 2024 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ანგარიში	237
	სიახლეები, ვიზიტები, საქმიანი შეხვედრები	337
	აკადემიის იუბილარები	355
	ღვაწლმოსილი მეცნიერის ხსოვნა	369

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია - 67 (1957–2024 წ. წ. მოკლე ისტორია)

2024 წლის 12 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაარსებიდან 67 წელი შეუსრულდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება, სრული ავტონომიური უფლებებით და სახელმწიფოს დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ჩამოყალიბდა 1957 წლის 12 დეკემბერს.

აკადემიის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი, რომლის თავმჯდომარეა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. დღეისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობაშია აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) - 30, აკადემიის სტიპენდიატი – 4.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების მონაწილეობით საქართველოში შექმნილია სასოფლო – სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის ახალი ჯიშები, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ათეულობით ახალი, კონკურენტუნარიანი პროდუქცია; ჩაის მოვლა – მოყვანის, კრეფის და გადამამუშავების სამანქანო ტექნოლოგიები, შექმნილია 50-მდე ახალი მანქანა და ტექნიკური საშუალება, მეაბრეშუმეობის შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ტექნიკური საშუალებები (მანქანები, მოწყობილობები, დანადგარები).

2013 წლიდან აკადემიის მიერ მომზადებულია და დაბეჭდილია 197 რეკომენდაცია (პრაქტიკული რჩევები ფერემერებსა და დარგის სპეციალისტებისათვის) სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით: ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანის საკითხებზე, მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში, მეაბრეშუმეობაში, აგროინჟინერიაში, სატყეო საქმეში, სურსათის უვნებლობასა და სასურსათო ტექნოლოგიებში და სხვა.

აკადემია წლების განმავლობაში წარმატებით ურთიერთთანამშრომლობს საყოველთაოდ აღიარებულ ისეთ კვლევით ორგანიზაციებთან როგორებიცაა: CGIAR სასოფლო – სამეურნეო კვლევის საერთაშორისო კონსორციუმი (აშშ); ICARDA - მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (მოროკო); CIMMYT ხორბლისა და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი (მექსიკა); ICRISAT - ნახევრად არიდული ტროპიკული კულტურების საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ინდოეთი); BIOVERSITY INTERNATIONAL - საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების ცენტრი (იტალია); ACIRO – მსოფლიო მებოსტნეობის ცენტრი (ტაივანი); CACAARI - ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია (უზბეკეთი); IFPRI - სურსათის პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (აშშ); CIP - კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი (პერუ); ჩინეთისა და სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები; ბელორუსის და ლატვიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიები; ვავილოვის მემცენარეობის ს/კ ინსტიტუტი (რუსეთი).

აკადემია ბოლო რვა წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციას “CACAARI”, რომელშიც ამ რეგიონის 8 ქვეყანაა გაერთიანებული; აკადემია ასევე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით კონსორციუმთან „CGIAR“, რომლის შემადგენლობაშიც შედის მსოფლიოს 16 საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. მათგან ექვსთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ერთობლივ კვლევებზე. 1998 წლიდან აკადემია არის სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალური ფორუმის „GFAR“ აქტიური წევრი.

ნაყოფიერია აკადემიის ურთიერთთანამშრომლობა: უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან; უკრაინის ცხოველთა ბიოლოგიის სამეცნიერო -კვლევით ინსტიტუტთან (უკრაინა); ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან (უკრაინა);

ვინიცის, პოდოლსკის, ოდესის და ბელაიაცერკოვის სახელმწიფო ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტებთან (უკრაინა); ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მეცნიერებათა აკადემიასთან; ლატვიის მეცნიერებათა აკადემიასთან, მოლდოვას ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო - პრაქტიკულ ინსტიტუტთან ზოონჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში; საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საქართველოს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან; ჟურნალ "ახალ აგრარულ საქართველოსთან"; ტელევიზია "საფერავი ტვ"-თან.

აკადემიაში ფუნქციონირებს ექვსი სამეცნიერო განყოფილება და ორი დეპარტამენტი, აგრეთვე ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრი, გამომცემლობა "აგრო", გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი, მცენარეთა გენეტიკური რესურსების ბანკი, საინფორმაციო ცენტრი, აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი, დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრი.

სამეცნიერო განყოფილებები:

1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი);
2. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი);
3. აგრონომიის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე);
4. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი);
5. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე);
6. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი).

დეპარტამენტები:

1. აკადემიური (დეპარტამენტის უფროსი დოქტორი მარინე ბარვენაშვილი);
2. ადმინისტრაციული (დეპარტამენტის უფროსი აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას თავისი არსებობის მანძილზე სულ გამოქვეყნებული აქვს 9000-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 284 მონოგრაფია და 192 სახელმძღვანელო, 414 გამოგონება და პატენტი; აკადემიის მეცნიერების მიერ გამოყვანილია მემცენარეობასა და მეცხოველეობაში 35 ახალი ჯიში, მიღებული აქვთ 150 სერტიფიკატი რაციონალიზატორულ წინადადებაზე.

2013 წლიდან აკადემიაში ჩატარდა 10 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. აღნიშნულ კონფერენციებზე ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, შვედეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთის, უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვას, რუსეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანის, ჩინეთის, სამხრეთ კორეის და ლატვიის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის გამოჩენილი მეცნიერები.

მათგან აღსანიშნავია, ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირთან (UEAA) ერთად 2017, 2019, 2022 და 2023 წლებში ჩატარებული ოთხი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა ვაზის და ხორბლის არსებულ მდგომარეობას ევროპის ქვეყნებში და განვითარების პერსპექტივებს, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და

ტექნოლოგიების პრობლემებს ევროპაში და პერსპექტივებს, სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნებას, კონსერვაციასა და გამოყენების პერსპექტივებს.

აღნიშნულის გარდა, უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამუშავებული იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, მათ შორის:

1. საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება - მოდერნიზაცია - 2030 წლამდე პერიოდისათვის, სახელმწიფო პროგრამის შემუშავების კონცეპტუალური და ორგანიზაციულ - მეთოდოლოგიური საკითხები;
2. მიწისა და სხვა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ინტეგრირებული მართვის პრობლემები (სახელმწიფო-მეცნიერების პარტნიორობა ქვეყნის მიწისა და სხვა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების განმსაზღვრელი ფაქტორი).
3. საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა, ახალი გამოწვევები, სტრატეგიული მიმართულებები (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომები).

2014 წლიდან აკადემია არის ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათის და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის (UEEA) წევრი. 2020 წლიდან 2022 წლის ოქტომბრამდე UEEA-ს პრეზიდენტი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. დღეს ეს კავშირი აერთიანებს ევროპის 30 ქვეყანას. კავშირის მუშაობას მართავს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არიან: საქართველოს, საფრანგეთის, იტალიის, შვედეთის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიეტუვას და უკრაინის აკადემიების წარმომადგენლები. დამკვირვებლების სახით: ესპანეთი და პორტუგალია.


ამონაწერი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებიდან

I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (შემდგომში აკადემია) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება სრული ავტონომიური უფლებებით და სახელმწიფო დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განმსაზღვრელი, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში. იგი შედგება მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) და აკადემიის სტიპენდიატებისაგან, აგრეთვე საპატიო აკადემიკოსებისა და უცხოელი წევრებისაგან.
2. აკადემია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს კანონით “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ”, “საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” და აკადემიის წესდებით.
3. აკადემიის დანიშნულება და ამოცანები, მისი უფლებები, მართვა, სტრუქტურა და წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიის წესდებით, რომელსაც იღებს და ამტკიცებს აკადემია.
4. აკადემია დამოუკიდებლად წყვეტს სამეცნიერო-ორგანიზაციულ, საკადრო, ეკონომიკურ და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს.
5. აკადემია იხილავს და აფასებს აგრარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების (მათი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშებსა და დასრულებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, რისთვისაც უფლებამოსილია ამ ორგანიზაციებისაგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოითხოვოს დამატებითი საჭირო ინფორმაცია და შეფასებები აცნობოს ამავე ორგანიზაციებს, ხოლო სათანადო რეკომენდაციები - დაინტერესებულ სამთავრობო უწყებებს.
6. აკადემიის სრული სახელწოდება ქართულ ენაზე – საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აბრევიატურა ქართულ ენაზე - სსმმა.
7. აკადემიის სრული სახელწოდება ინგლისურ ენაზე – Georgian Academy of Agricultural Sciences. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აბრევიატურა ინგლისურ ენაზე - GAAS.
8. აკადემიის ადგილმდებარეობაა საქართველო, ქალაქი თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51;
9. აკადემიის არსებობის ვადა შეუზღუდავია.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურა



შესავალი

საქართველოს კანონის “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ” (საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე) მე-16¹ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ ...”საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულება სრული ავტონომიური უფლებით და სახელმწიფო დაფინანსებით, ქვეყანაში აგრარულ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულების განმსაზღვრელი, სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების კოორდინატორი, მთავრობის მეცნიერული მრჩეველი აგრარულ საკითხებში”.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების II თავის 1- ლი მუხლის მიხედვით საქართველოს კანონში მითითებული ვალდებულებების შესასრულებლად აკადემიის მიზნებია:

- ა) საქართველოში აგრარული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა;
- ბ) აგრარულ დარგში ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების კოორდინაცია;
- გ) აგრარულ ტერმინოლოგიის სრულყოფაზე ზრუნვა, ლექსიკონების, ცნობარებისა და საენციკლოპედიო მასალების დამუშავება;

დ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, სამინისტროებთან, უწყებებთან და უნივერსიტეტებთან მჭიდრო კონტაქტში ქვეყანაში აგრარული მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებათა შემუშავება და რეკომენდაციების წარდგენა;

ე) მეცნიერული მიღწევების საზოგადოებისთვის გაცნობა და აგრარის მეცნიერთა მიერ მოპოვებული მიღწევების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა;

ვ) ქვეყანაში წარმოებული მეცნიერული კვლევების შეფასება.

აკადემიის წესდების II თავის მე-2 მუხლის მიხედვით თავისი მიზნების განსახორციელებლად აკადემია:

ა) ეწევა სამეცნიერო-კვლევით და საკონსულტაციო ხასიათის საქმიანობას. შესაბამისი ამოცანების გადასაწყვეტად, საჭიროების შემთხვევაში, აყალიბებს და ხელმძღვანელობს დროებით შემოქმედებით ჯგუფებს, სამეცნიერო-კვლევით კოლექტივებს;

ბ) ატარებს სამეცნიერო საქმიანობის და ნაშრომების შეფასებას. აწყობს სამეცნიერო დისკუსიებს, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებს;

გ) გამოსცემს ბეჭდვით და ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს, ახორციელებს სამეცნიერო ლიტერატურის საერთაშორისო გაცვლას;

დ) ეწევა სამეცნიერო მიღწევათა და მეცნიერული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას; ატარებს საჯარო ლექციებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და უწყებებში;

ე) უფლებამოსილია გახდეს საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრი; ამყარებს კავშირებს მსოფლიოს სამეცნიერო აკადემიებთან, სამეცნიერო ცენტრებთან და კვლევით ორგანიზაციებთან, წამყვან მეცნიერებთან;

ვ) პრეზიდიუმის გადაწყვეტილებებით და პრეზიდიუმის სესიების ბრძანებით აკადემიის მიერ დაწესებული “ოქროს მედლით” აჯილდოვებს საქართველოს მოქალაქეებს, აგრარული დარგის გამოჩენილ მეცნიერებს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს აგრარული მეცნიერების განვითარებაში და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში;

ზ) ანიჭებს აგრარულ სფეროში თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომისათვის (ნაშრომთა ციკლისათვის) გამოჩენილ აგრარის მეცნიერთა სახელობით აკადემიურ პრემიებს და გასცემს ჯილდოებს;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს აკადემიის ამოცანებთან დაკავშირებულ, მათ შორის დამხმარე, ეკონომიკურ საქმიანობას.

ი) აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით დააფუძნოს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.

საანგარიშო წელს ზემოთ აღნიშნული კანონის უზენაესობის დაცვა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდების მუხლების შესრულება დაევალებათ იმ თვალსაჩინო აგრარეოს-მეცნიერებს, რომლებიც დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ - აკადემიის 30 ნამდვილ წევრს და აკადემიის 4 სტიპენდიატს, სულ 34 მეცნიერს და აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს - აკადემიურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს და ექვს დარგობრივ მეცნიერებათა განყოფილებებს, როგორებიცაა: აგრონომიულ; მეცხოველეობის და ვეტერინარიის; აგროინჟინერიის, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებები.

აკადემიის მეცნიერების წლიური ინფორმაციების, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტისა და დარგობრივ მეცნიერებათა განყოფილებების გამოცდილებებისა და მეცნიერული ღირებულებების გათვალისწინებით შესრულდა წინამდებარე ნაშრომი, რომელიც შესავალისა და 11 თავისაგან შედგება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებები

2024 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა აკადემიის 2 საერთო კრება.

პირველი კრება ჩატარდა 1 მარტს

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ აკადემიკოსები: ჯაფარიძე გივი, ალექსიძე გურამი, ასათიანი რევაზი, ბალათურია ნუგზარი, გიორგაძე ანატოლი, გუგუშვილი ჯემალი, დიდებულიძე ალექსანდრე, დოლიძე ლაშა, კაციტაძე ჯემალი, კვალიაშვილი ვაჟა, კვეციტაძე ედიშერი, მარგველაშვილი გოგოლა, მახარობლიძე რევაზი, პაპუნძიძე გურამი, რევიშვილი თემური, ტყემალაძე გურამი, უჯმაჯურიძე ლევანი, ფუტყარაძე ზაური, ყურაშვილი თენგიზი, ჩანქსელიანი ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცქიტიშვილი ზურაბი, ჭითანავა ნოდარი, ჯაბნიძე რეზო; აკადემიის სტიპენდიატები: ბენაშვილი მამუკა, დულაშვილი დარეჯანი, კაციტაძე ეკატერინა, ტიგინაშვილი ზვიადი, ქავთარაძე გიორგი, ქუთელია გიორგი; მოწვეული სტუმრები: აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ბარვენაშვილი მარინე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, აკადემიის პრეზიდენტის წევრი ტექნიკის დოქტორი, კაჭარავა ომარი; აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე საერთო საკითხებში (საერთაშორისო ურთიერთობები, პროგრამები და საგრანტო პროექტების მიმართულებები), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბაციკაძე თამაზი; იურიდიული სამსახურის უფროსი ქარქაშაძე თენგიზი; აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარი სპეციალისტი, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი; აკადემიური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტები: ჩაიკა ლარისა, თარხნიშვილი დალი, მოსაშვილი მარიამი, აკადემიის კადრების ინსპექტორი მიგრიაული ეკატერინე.



აკადემიის საერთო კრებას თავმჯდომარეობდა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, კრების მდივანი იყო პრეზიდენტი მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე. კრების თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მისალმების შემდეგ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.** 2. 2030 წლამდე პერიოდისათვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება - მოდერნიზაციის პროგრამის შედეგის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.** 3. აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.** 4. აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.** 5. აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახაროზიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.** 6. აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.** 7. აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.** 8. აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.** 9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე.** 10. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი.** 11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრების არჩევის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.** 12. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრის არჩევის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.** 13. ინფორმაცია იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში შექმნილ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში „ქართული ხორბლის მოყვანისა და გამოყენების ტრადიციების“ შეტანის მიზნით მიმდინარე პროექტის შესახებ. **მომხსენებელი: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე.** 14. მიმდინარე საკითხები.

დამტკიცდა აკადემიის საერთო კრების მუშაობაში მონაწილეთა სია, დღის წესრიგი და მუშაობის რეგლამენტი.

კრებაზე მოსმენილი იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის მოხსენება „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ“.

აკადემიის საერთო კრებაზე კრების მონაწილეთა მეტი ინფორმირებულობის მიზნით დოკუმენტურად წარმოდგენილი იქნა აკადემიის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის ამსახველი საინფორმაციო მასალები (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო - სამეცნიერო, რეფერირებადი ჟურნალი „მომამბე“; ყოველკვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი „აკადემიის მაცნე“; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების მიერ 2023 წელს გამოცემული რეკომენდაციები (3 რეკომენდაცია; ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის შრომათა კრებულები (2 შრომათა კრებული); აკადემიის წევრების მიერ გამოცემული მონოგრაფიები, წიგნები და სახელმძღვანელოები (სულ 22); ადგილობრივ და საზღვარგარეთის სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან; მოლდოვას ზოოტექნიკის და ვეტერინარული მედიცინის ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო - პრაქტიკულ ინსტიტუტთან; ლატვიის მეცნიერებათა აკადემიასთან; უკრაინის კამიანეც - პოდოლსკის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტთან.

აკადემიის საერთო კრების გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2023 წლებში გაწეული საქმიანობა შეფასდა დადებითად და წარმატებულად.

განხილული იქნა აკადემიის საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი.

დასასრულს კრების თავმჯდომარემ მაღლობა გადაუხადა აკადემიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას აკადემიის საერთო კრების მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

მეორე კრება ჩატარდა 18 ივლისს



კრებას ესწრებოდა აკადემიის 24 ნამდვილი წევრი, (აკადემიკოსი): ჯაფარიძე გივი, ალექსიძე გურამი, ასათიანი რევაზი, ბალათურია ნუგზარი, გიორგაძე ანატოლი, გუგუშვილი ჯემალი, დიდებულძე ალექსანდრე, დოლიძე ლაშა, კაციტაძე ჯემალი, კვალიაშვილი ვაჟა, კოპალიანი როლანდი, კოლუაშვილი პაატა, მარგველაშვილი გოგოლა, მახარობლიძე რევაზი, პაპუნძე გურამი, რევიშვილი თემური, ტყემალაძე გურამი, უჯმაჯურიძე

ლევანი, ყურაშვილი თენგიზი, ჩანქსელიანი ზაური, ჩხარტიშვილი ნოდარი, ცქიტიშვილი ზურაბი, ჭითანავა ნოდარი, ჯაბნძე რეზო; აკადემიის სტიპენდიატი: ტიგინაშვილი ზვიადი, აკადემიის აპარატი, აკადემიის დარგობრივი მიმართულებების კოორდინატორები და მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის გახლდათ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი მინდია ოკუჯავა.

კრება გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო კრების დღის წესრიგი: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო

ტექნოლოგიის (1 ადგილი) და ეკონომიკურ (1 ადგილი) მეცნიერებათა განყოფილებებში სტიპენდიატების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატების შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკის მეცნიერებათა განყოფილებების სტიპენდიატების ვაკანტურ ადგილებზე სტიპენდიატების ასარჩევად კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით აკადემიის პრეზიდენტის №52 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა; 2. კონკურსანტთა მოხსენებები. 3. არჩევნები. 4. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხთა (თემების) შესრულების მიმდინარეობის შესახებ. - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის ფორმირების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე; აკადემიის ვიცე -პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე; აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე -პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) გურამ ალექსიძის საიუბილეო ღონისძიების შესახებ. **მომხსენებლები:** საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე; აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე; დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 7. მიმდინარე საკითხები

პირველი საკითხის ირგვლივ ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის (1 ადგილი) და ეკონომიკურ (1 ადგილი) მეცნიერებათა განყოფილებებში სტიპენდიატების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატების შესახებ, მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის



უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკის მეცნიერებათა განყოფილებების სტიპენდიატების ვაკანტურ ადგილებზე სტიპენდიატების ასარჩევად კონკურსის მაღალორგანიზებულად ჩატარების მიზნით აკადემიის პრეზიდენტის №52 ბრძანებით შექმნილი საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. მან კრების მონაწილეებს გააცნო შემოსულ კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემები. აღინიშნა, რომ სულ შემოსული იყო 3 განცხადება, 2 სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში (საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი მაია მეტრეველი; ქიმიის დოქტორი დარეჯან დულაშვილი), ერთი ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში (ეკონომიკის დოქტორი ნატო ჯაბნიძე), თუმცა (საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორ მაია მეტრეველის კანდიდატურა მოხსნილი იქნა კონკურსიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ა.წ. 1 ივლისის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით (ოქმი №7) და აკადემიის პრეზიდენტის ა.წ. 1 ივლისის №53 ბრძანებით ერთჯერადად გაერთიანებული სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის, ეკონომიკურ და აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებების 2024 წლის 12 ივლისის საერთო კრებაზე გამოუცხადებლობის გამო.

შემდეგ დღის წესრიგის თანახმად მოსმენილი იქნა კონკურსანტთა მოხსენებები. აკადემიკოსთა მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზედაც კონკურსანტებმა კვალიფიციური პასუხები გასცეს. აკადემიის წესდებისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის



მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიის პრეზი- დიუმის სხვა წევრების, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს - მდივნების, აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), აკადემიის საპატიო და უცხოელი წევრების და აკადემიის სტიპენდიატების არჩევნე- ბის ჩატარების დებულების შესაბამისად

ჩატარდა არჩევნები, რის შედეგად გამოვლინდა შემდეგი, აკადემიის სტიპენდიატებად არჩეულნი იქნენ: აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში: ქიმიის დოქტორი დარეჯან დულაშვილი, ხოლო ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში, ეკონომიკის დოქტორი ნატო ჯაბნიძე. ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით კრებას გააცნო ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ჯემალ კაციტაძემ.

აკადემიის ახლად არჩეულ სტიპენდიატებს აკადემიის სტიპენდიატობა მიულოცა აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა გ. ჯაფარიძემ, რომელსაც დამსწრე საზოგადოებაც შეუერთდა. აკადემიის საერთო კრების მე-4 საკითხად განხილული იყო ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხთა (თემების) შესრულების მიმდინარეობის შესახებ - **სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის ფორმირების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ასპექტები**, რომლის გარშემოც ფართო მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა ნოდარ ჭითანავამ. ბატონმა ნოდარმა მსმენელთა ყურადღება გაამახვილა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: საბაზრო პრინციპებზე ეროვნული ეკონომიკის გადასვლის პროცესი; განვლილ პერიოდში ქვეყნის განვითარების თავისებურებები და ტენდენციები; მიზეზ-ფაქტორები, რომლებმაც შეაფერხეს ქვეყნის განვითარება; ეკონომიკური გარდაქმნების ზნეობრივი ასპექტები; საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და სხვ. მოხსენებელმა თითოეული საკითხის ირგვლივ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტებანი, რის გამოც აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.

საქართველოს სოფლის მეურ- ნეობის მეცნიერებათა აკადემიის წესდებაში ნაწილობრივი ცვლილე- ბების შეტანის შესახებ დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემი- კოსმა გივი ჯაფარიძემ. აღინიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელწო- დების შეცვლასთან დაკავშირებით საჭირო იყო აკადემიის წესდებაშიც ცვლილებების შეტანა, ასევე საჭირო იყო ნაწილობრივ სტილისტური შეცდომების შესწორებაც. წამოყენებულ საკითხებს აკადემიის აკადემიკოსთა მხრიდან სრული მხარდაჭერა გამოეცხადა.



დღის წესრიგის ბოლო საკითხთან დაკავშირებით - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის 85 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლის და აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის 55 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება

- სიტყვით გამოვიდა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, რომელმაც აუდიტორიას გააცნო აკადემიკოს გ. ალექსიძის ბიოგრაფიული მონაცემები.

დოქტორ მარინე ბარვენაშვილის მოხსენების შემდეგ აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ სიტყვა გადასცა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილს.

ბატონმა სოლომონმა მადლობა გადაუხადა აკადემიის პრეზიდენტს მოწვევისათვის, რის შემდეგ მიულოცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩევა, უსურვა წარმატება და წინსვლა ახალ პოზიციაზე.

ბატონმა სოლომონმა პავლიაშვილმა აკადემიკოს გ. ალექსიძეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ბატონ ოთარ შამუგიას და პირადად თავისი სახელით მიულოცა საიუბილეო თარიღი. ხაზი გაუსვა აკადემიკოს გ. ალექსიძის დამსახურებას ქვეყნისა და ერის წინაშე. ყურადღება გაამახვილა მის სამეცნიერო საქმიანობაზე, მის ცნობადობაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. „ბატონ გურამს გამოქვეყნებული აქვს 240-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათგან 70-მდე საერთაშორისო გამოცემებში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 20-მდე სადოქტორო დისერტაცია, რომელთა შორის არიან უცხოელი სპეციალისტებიც. აკად. გ. ალექსიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე დღესაც დაუღალავი, გამორჩეული შემართებით ზრდის ახალ თაობას. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე კითხულობს ლექციებს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოხატავს უდიდეს მადლიერებას ბატონი გ. ალექსიძის მიმართ, რომელმაც მამის, ცნობილი მეცნიერის, ვაზის დაცვის ერთ - ერთი ფუძემდებლის, პროფესორ ნიკო ალექსიძის საქმის გამგრძელებელმა უდიდესი წვლილი შეიტანა სასოფლო - სამეურნეო კულტურების მავნებელ - დაავადებათა წინააღმდეგ ინტეგრირებული ბრძოლის საქმეში“ - აღნიშნა აკადემიკოსი ს. პავლიაშვილმა და ბატონ გურამს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.



ბატონმა სოლომონმა საიუბილეო თარიღი ასევე მიულოცა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილეს, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძეს. უსურვა წარმატებები და წინსვლა და ახალ-ახალი მიღწევები მის სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადო საქმიანობაში.

აკადემიის მთავარმა აკადემიკოსმდივანმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულისძემ აუდიტორიას გააცნო აკად. გ. ალექსიძისადმი გამოგზავნილი მისალოცი წერილები, რომლებსაც ხელს აწერდნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე, ბატონი ნოდარ პაპუკაშვილი; საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი გელა სამხარაული; ლატვიის სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ბაიბა რივზა; ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების (UEAA) ექსპრეზიდენტი, პროფესორი მიშელ ტიბიერი; ინდოეთის აგრარულ მეცნიერებების განვითარების ფონდიდან, დოქტორი რაჯ პაროდა; ცენტრალური აზიისა და კავკასიის სოფლის მეურნეობის კვლევითი ორგანიზაციის ასოციაციის (CACARI) ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი ალიშერ ტაშმატოვი და აღმასრულებელი მდივანი ბოტირ დოსოვი (ასოციაციიდან ასევე მიღებულია აკად. გ. ალექსიძის დამსახურების აღიარების სერტიფიკატი).

იუბილარებს ღირსშესანიშნავი თარიღები მიულოცეს ასევე განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსმა მინდია ოკუჯავამ, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ლ. უჯმაჯურიძემ, აკადემიის აგრონომიულ

მეცნიერებათა აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა გ.მარგველაშვილმა, აკადემიკოსებმა რ. კოპალიანმა და ნ. ჭითანავამ.

საერთო კრების დასასრულს იუბილარებს მისალოცი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ, რომელმაც ისაუბრა არამარტო მათ სამეცნიერო მიღწევებზე, არამედ ხაზი გაუსვა მათ დამსახურებასა და ღვაწლს აკადემიის წინაშე, მათ დაუღალავ შრომას იმისათვის რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობა კიდევ უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს. მისალოცი სიტყვის დასასრულს ბატონმა გ. ჯაფარიძემ იუბილარებს გადასცა საიუბილეო ადრესები, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება შეაჯამა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისა და კრების მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის.

თავი 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების (ნამდვილი წევრების) და აკადემიის სტიპენდიატების შემადგენლობა 2024 წლის 31 დეკემბრისათვის

1. აკადემიის ნამდვილი წევრები

1.1. აკადემიკოსი ჯაფარიძე გივი გალაქტიონის-ძე



დაბადების თარიღი – 06.01.1944;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი; სამართალმცოდნე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 18.02.2002;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 249, მათ შორის 2 სახელმძღვანელო, 1 მონოგრაფია, 3 პროექტი, 27 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროსა და ვერცხლის მედლები (1974 წ.); “შრომითი წარჩინებისათვის” მედალი (1976 წ.); “საპატიო ნიშნის” ორდენი (1982 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა, სატყეო კანონმდებლობა.

1.2. აკადემიკოსი ალექსიძე გურამ ნიკოლოზის-ძე



დაბადების თარიღი – 30.07.1939;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი

მცებარეთა დაცვის განხრით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის ექსპრეზიდენტი; ცენტრალური აზიის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების კონსორციუმის (CACARI) -ს თავმჯდომარე;

სამეცნიერო ხარისხი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის

აკადემიკოსი (14.07.1992);

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (26.12.2018);

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 251, მათ შორის 14 წიგნი, 7 მონოგრაფია, 10 ბროშურა;

გამოგონებებისა და რაციონილზატორული წინადადებების რაოდენობა - 4.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „შრომის წარჩინებული“ მედალი (1982 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.); ორი “ვერცხლის დიდი მედალი” (2005, 2008 წწ.)

დაჯილდოებულია საერთაშორისო ორგანიზაციების “CGIAR” და “ICARDA” მიერ; ნ. ვავილოვის სახელობის საიუბილეო მედალი (2013 წ.); აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015).

მოღვაწეობის მიმართულება – მცენარეთა დაცვა.

1.3. აკადემიკოსი ასათიანი რევაზ ნოდარის-ძე



დაბადების თარიღი –29.10.1951;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ ეკონომისტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დაკავებული თანამდებობა – შპს “საქართველოს მელიორაცია”, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე; სსმმ აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 16.07.2004;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 85, მათ შორის 7 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. - „ღირსების“ ორდენი (1999 წ.); მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა.

1.4. აკადემიკოსი ბალათურია ნუგზარ შოთას-ძე



დაბადების თარიღი –22.08.1945;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – საკონსერვო მრეწველობის ინჟინერ - ტექნოლოგი, საქართველოს სუპეროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 423, მათ შორის 34 მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო, 1 სტრატეგია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა

- 36 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – საქართველოს მინისტრთა საბჭოს პირველი პრემია (1982 წ.); სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედალი (1985 წ.); “ღირსების” ორი ორდენი (1999, 2013წწ.); აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015 წ.); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედალი (2022 წ.);

მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავების და შენახვის ტექნოლოგია.

1.5. აკადემიკოსი გაგომიძე გიორგი ალექსანდრეს-ძე



დაბადების თარიღი - 18.10.1957;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი;
დაკავებული თანამდებობა – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 01.05. 2019.
მეცნიერული შრომების რაოდენობა – 149, მათ შორის 2 სახელმძღვანელო; 6 მეთოდური მითითება, 2 მონოგრაფია;
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – ღირსების მედალი (1999 წელი), პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი სატყეო ჯილდო – “საპატიო მედალი” და პოლონეთის მეტყევის დაშნა –“კორდელასი”;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსმმ აკადემიის საპატიო სიგელები (2016, 2017, 2018 წლები); საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრემია –საუკეთესო სახელმძღვანელოსათვის (2017 წელი). სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2010 წელი).

მოღვაწეობის მიმართულება – სატყეო მეურნეობა – ტყეთმცოდნეობა, მეტყევეობა

1.6. აკადემიკოსი გიორგაძე ანატოლი ანზორის-ძე



დაბადების თარიღი – 14.07.1969;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ხორცისა და ხორცის პროდუქტების ტექნოლოგი - ზოოინჟინერი, საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ - სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი;
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 10.11. 2021, სტუ-ის მოწვეული პროფესორი, კამიანეც-პოდოლსკის (უკრაინა) აგრარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი;
დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, ადმინისტრაციული

დეპარტამენტის უფროსი;

სამეცნიერო შრომების რაოდენობა – 100, მათ შორის 5 წიგნი, 1 მონოგრაფია, 11 ბროშურა-რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა.შ. – სსმმ აკადემიის პრემია საუკეთესო ნაშრომისათვის (2017 წელი), ექსპერტის წოდება (2017 წელი, ბრ.#01/16), სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი (2018 წელი);

მოღვაწეობის მიმართულება: მეცხოველეობა (მეფრინველეობა), სამონადირეო მეურნეობები და ფაუნა, ორგანული სოფლის მეურნეობა.

1.7. აკადემიკოსი გუგუშვილი ჯემალ სერგოს-ძე



დაბადების თარიღი – 14.04.1945;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული ზოოტექნიკოსი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა - აკადემიური დეპარტამენტის კონსულტანტი (აგრარული პროფილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან, აგრარული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფერმერებთან აკადემიის ურთიერთკავშირის საკითხებში)
სამეცნიერო ხარისხი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04.2013;
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 227, მათ შორის 2 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, 26 რეკომენდაცია, 1 ბროშურა;
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 გამოგონება, 1 პატენტი, 1 ჯიშის გამოყვანის ავტორი;
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „ღირსების“ ორდენი (2000 წ.);
მოღვაწეობის მიმართულება – მეცხოველეობა (მებოცვრეობა).

1.8. აკადემიკოსი დიდებულოძე ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე



დაბადების თარიღი – 30.09.1944;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარე;
სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 268, მათ შორის 18 მონოგრაფია, 11 სახელმძღვანელო;
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 44 პატენტი;
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. - “ღირსების” ორდენი (1999წ.); საუ-ის “უმაღლესი ჯილდო“ (2013 წ.).
მოღვაწეობის მიმართულება – სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია.

1.9. აკადემიკოსი დოლიძე ლაშა თამაზის-ძე



დაბადების თარიღი - 17. 09. 1965.

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; სსმმ აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 10.11. 2021.

სამეცნიერო შრომების რაოდენობა - 93, მათ შორის 4 მონოგრაფია, 6 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა. შ. - სსმმ

აკადემიის საპატიო სიგელი - 2016.

მოღვაწეობის მიმართულება - სატყეო მეურნეობა, ტყეთმცოდნეობა, მეტყვეობა.

1.10. აკადემიკოსი კაციტაძე ჯემალ ბენიას-ძე



დაბადების თარიღი - 26.05.1937;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - ინჟინერ - მექანიკოსი, საქართველოს სუპტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 286, მათ შორის 8 მონოგრაფია, 5 სახელმძღვანელო, 1 ლექსიკონი (რუსულ - ქართული), 1 რეკომენდაცია;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 14 გამოგონება, 4 პატენტი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. - “ღირსების” ორდენი (1999წ.); ორჯერ პრემირებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სანიმუშოდ შესრულებისათვის. სომხეთის ეროვნული უნივერსიტეტის ოქროს მედალი ადგილობრივი სამეცნიერო კადრების მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის. აგრარულ დარგში წლის საუკეთესო მეცნიერი (2015).

მოღვაწეობის მიმართულება - სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

1.11. აკადემიკოსი კვალიაშვილი ვაჟა რომანის-ძე



დაბადების თარიღი –29.08.1936;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04.13.

მეცნიერული შრომების რაოდენობა -125; მათ შორის 1წიგნი და 10 რეკომენდაცია, 3 პატენტი.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 3 პატენტი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – ნ. ვავილობის სახ. საიუბილეო მედალი, “შრომის წითელი დროშის”

ორდენი, ორდენი “შრომითი მამაცობისათვის”;

მოღვაწეობის მიმართულება – ვაზისა და ხეხილის სელექცია.

1.12. აკადემიკოსი კვესიტაძე ედიშერ გიორგის-ძე



დაბადების თარიღი - 08.07.1962;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - ინჟინერ - ქიმიკოს ტექნოლოგი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის ნატიფ ქიმიურ ნაერთთა ტექნოლოგიის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი;

სამეცნიერო ხარისხი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 10.11.2021;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 61, მ.შ. 2 წიგნი; 1 მონოგრაფია.

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 2 პატენტი;

მოღვაწეობის მიმართულება - აგრარული და კვების პროდუქტების ნარჩენების კონვერსია და სხვა ნაერთებით მდიდარ არატოქსიურ პროდუქტებად მათი გამოყენება. სადედე შტამებისა და ფერმენტული პრეპარატების შესწავლა და წარმოება.

1.13. აკადემიკოსი კოპალიანი როლანდ შარდენის-ძე



დაბადების თარიღი - 15.03. 1957 წელი;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

მინიჭებული კვალიფიკაცია - სწავლული აგრონომი;

დაკავებული თანამდებობა - ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი, სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის პროფე-სორი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (27.12.2017);

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 161, მათ შორის 3 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 2 რეკომენდაცია;

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. - სომხეთის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საპატიო

პროფესორი (2010 წ.); „ღირსების ორდენი“(2012), აზერბაიჯანის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (2013). ქ. ქუთაისის საპატიო მოქალაქე (2022 წელი).

მოღვაწეობის მიმართულება - ჩაი და სუბტროპიკული კულტურები.

1.14. აკადემიკოსი მარგველაშვილი გოგოლა ნიკოლოზის-ასული



დაბადების თარიღი - 22.09.1939;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - სწავლული აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 134 შრომა, მათ შორის 2 მონოგრაფია, 3 წიგნი, 9 სახელმძღვანელო;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 პატენტი, 3 რაციონალიზატორული წინადადება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. - „შრომითი მამაცობისათვის“ მედალი (1970 წ.); -“ღირსების” ორდენი (2002 წ.); სსმმ აკადემიის დიპლომით აგრარულ სფეროში საუკეთესო ნაშრომისათვის (2023 წ.);

მოღვაწეობის მიმართულება - აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობა

1.17. აკადემიკოსი რევიშვილი თემურ ოთარის-ძე



დაბადების თარიღი – 02.01.1952 წელი;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტი;

მინიჭებული კვალიფიკაცია - ინჟინერ - ტექნოლოგი;

დაკავებული თანამდებობა - ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (27.12.2017);

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 204, მათ შორის 4 სახელმძღვანელო, 2 მონოგრაფია; 6 პრაქტიკული სახელმძღვანელო;

გამოგონებებისა და პატენტების რაოდენობა – 51;

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. - საქართველოს მთავრობის პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1985); „ღირსების ორდენი“(2013);

მოღვაწეობის მიმართულება - ჩაი და სუბტროპიკული კულტურები.

1.18. აკადემიკოსი ტყემალაძე გურამ შოთას-ძე



დაბადების თარიღი -25. 04. 1941;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - ქიმიკოსი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;

სამეცნიერო ხარისხი - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი, 05.08.2014;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 171, მათ შორის 12 სახელმძღვანელო, 4 მონოგრაფია, 1 ენციკლოპედიური ლექსიკონი;

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. - “ღირსების” ორდენი, (2002 წ); აგრარულ დარგში წლის საუკეთესო

მეცნიერი (2015 წ); ოქროს მედალი სტუ-სწინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისთვის (2023);

მოღვაწეობის მიმართულება - ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია .

1.19. აკადემიკოსი უჯმაჯურიძე ლევან მიხეილის-ძე



დაბადების თარიღი - 25.07.1958;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - მეხილეობა - მევენახეობა - მებოსტნეობა;

კვალიფიკაცია - სწავლული აგრონომი, სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი; სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე; საქართველოს აგრარული, ტექნიკური და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების პროფესორი; გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) მცენარეთა გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორი; საერთაშორისო ექსპერტი;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 92, მათ შორის 12 სახელმძღვანელო, 1 ენციკლოპედიური ლექსიკონი;

გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 გამოგონება, 2 პატენტი;

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. - სსმმ აკადემიის საპატიო სიგელი;

საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ღვინის ორდენი; საქართველოს დამსახურებული მეღვინე;

მოღვაწეობის მიმართულება - მევენახეობა, მეღვინეობა, მებაღეობა, აგრობიომრავალფეროვნება.

1.20. აკადემიკოსი ფუტყარაძე ზაურ ნოდარის-ძე



დაბადების თარიღი - 20.03.1962;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით - სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;

მინიჭებული კვალიფიკაცია - ინჟინერ - მექანიკოსი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკონსულტაციო ცენტრის დირექტორი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (27.12.2017);

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 86, 5 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო, 1 ლექსიკონი.

სახელმწიფო ჯილდოები, დამსახურებები, წოდებები და სხვ. - სსმმ

აკადემიის საპატიო

სიგელი (2017) ;

მოღვაწეობის მიმართულება - სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

1.21. აკადემიკოსი ქარქაშაძე ნაპოლეონ ირაკლის-ძე



დაბადების თარიღი – 15.05.1935;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, ეკონომისტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის კონსულტანტი (აგრარული პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან და აგრარულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობები);

სამეცნიერო ხარისხი- ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.07.1992;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 316, მათ შორის 10 მონოგრაფია, 5

სახელმძღვანელო, 2 ბროშურა;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – “საპატიო ნიშნის” ორდენი (1955 წ.); საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი (1985წ.); საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985 წ.); “ღირსების” ორდენი (1995 წ.); თეირანის სახ. უნივერსიტეტის დიდი მედალი (1999 წ.) ქ. თეირანი; კალიფორნიის უნივერსიტეტის დიდი მედალი (2001 წ.), ქ. სან-ფრანცისკო; არისტოტელეს მედალი (2002 წ.), საბერძნეთი; "წმინდა ილია მართლის" მედალი (2015); **მოღვაწეობის მიმართულება** – აგრარული ეკონომიკა, მსოფლიო სოფლის მეურნეობა.

1.22. აკადემიკოსი ქეშელაშვილი ომარ გრიგოლის-ძე



დაბადების თარიღი – 14.08.1941;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, ეკონომისტი - ორგანიზატორი, საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი; ფერმერთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი;

სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 1072, მათ შორის 53 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო; 136 ბროშურა;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. - საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის პირველი პრემიის ლაურეატი (1983 წ.); საკავშირო სამეცნიერო - ეკონომიკური საზოგადოების კონკურსის III ხარისხის პრემიის ლაურეატი (1983 წ.); საზოგადოება “ცოდნის” მედალი - აქტიური მუშაობისათვის (1987 წ.); “ღირსების” ორდენი (1999 წ.); სსმმ აკადემიის 2013 წლის აგრარულ სფეროში საუკეთესო მეცნიერის წოდება - ეკონომიკის დარგში; **მოღვაწეობის მიმართულება** - აგრარული ეკონომიკა.

1.23. აკადემიკოსი ყურაშვილი თენგიზ კონსტანტინეს-ძე



დაბადების თარიღი – 22.03.1948;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ვეტერინარი ექიმი, საქართველოს ზოოტექნიკურ – სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი; სამხცე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი - ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 26.04.2013;
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 312, მათ შორის 12 წიგნი, 6 რეკომენდაცია, 36 ბროშურა;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 გამოგონება;
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედალი და ფულადი პრემია (1982 წ.); “ღირსების” ორდენი (2000 წ.); სსმმ აკადემიის მიხეილ რჩელიშვილის სახელობის პრემია (2024წ.)
მოღვაწეობის მიმართულება – ვეტერინარია.

1.24. აკადემიკოსი ჩაგელიშვილი რევაზ გიორგის-ძე



დაბადების თარიღი – 28.08.1937;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სატყეო მეურნეობის ინჟინერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 162, მათ შორის 3 მონოგრაფია, 11 სახელმძღვანელო; 1 რეკომენდაცია.
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – თ. დავითაიას სახელობის პრემია; საქართველოს დამსახურებული მეტყევე (1999 წ.).
მოღვაწეობის მიმართულება - მეტყევეობა.

1.25. აკადემიკოსი ჩანქსელიანი ზაურ ჟორდანის-ძე



დაბადების თარიღი –15.12.1948;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის უფროსი.
სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 14.03.2003;
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 150, მათ შორის 1 სახელმძღვანელო, 4 რეკომენდაცია.
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების

რაოდენობა - 3 გამოგონება;

მოღვაწეობის მიმართულება – რადიოლოგია-ეკოლოგია.

1.26. აკადემიკოსი ჩხარტიშვილი ნოდარ სიმონის-ძე



დაბადების თარიღი –17.09.1930;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სწავლული აგრონომი, მევენახე-მეხილე-მებოსტნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა - ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 236, მათ შორის 4 წიგნი, 1 სახელმძღვანელო, 10 რეკომენდაცია.
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 15 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – ყაზახეთის სსრ ყარაგანდის ოლქის ალკკ კომიტეტის საპატიო სიგელი; საქართველოს ალკკ კომიტეტი საპატიო სიგელი; “შრომითი მამაცობისათვის” მედალი (1976 წ.); “საპატიო ნიშნის” ორდენი (1980 წ.); უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1980წ). საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო “წმინდა გიორგის” ოქროს ორდენი (2014წ.), შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის “მადლობის სიგელი” (2015წ.), საქართველოს დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდება (2016).

მოღვაწეობის მიმართულება – მევენახეობა

1.27. აკადემიკოსი ცანავა ვალერიან პეტრეს-ძე



დაბადების თარიღი – 25.02.1935;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – აგროქიმიკოს-ნიადაგმცოდნე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე;

სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმ აკადემიის აკადემიკოსი 07.09.1995;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 214, მათ შორის 3 მონოგრაფია, 1 სახელმძღვანელო 2 ლექსიკონი;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 6 გამოგონება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა. შ. – „შრომის წითელი დროშის“ ორდენი, „ღირსების“ ორდენი (1999 წ.), ოზურგეთის საპატიო მოქალაქე

მოღვაწეობის მიმართულება – ჩაი და ციტრუსები.

1.28. აკადემიკოსი ცქიტიშვილი ზურაბ მიხეილის-ძე



დაბადების თარიღი – 31.01.1941;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სასურსათო პროდუქტების ტექნოლოგი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;

დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი;

სამეცნიერო წოდება - სსმ აკადემიის აკადემიკოსი 27.02.1997;

მეცნიერული შრომების რაოდენობა - 82, მათ შორის 2 წიგნი;

გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 1 პატენტი, 17 რაციონალიზატორული წინადადება;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „ღირსების“ ორდენი (2001 წ.).

მოღვაწეობის მიმართულება - მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების ტექნოლოგია.

1.29. აკადემიკოსი ჭითანავა ნოდარ ამბროსის-ძე



დაბადების თარიღი –10.03.1936;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – ინჟინერ - მშენებელი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი;
სამეცნიერო ხარისხი - ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - სსმ აკადემიის აკადემიკოსი 27.02.1997;
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 141, მათ შორის 15 მონოგრაფია;
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 17 რაციონალიზატორული წინადადება;
სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა.შ. – „შრომის წითელი დროშის“ ორი ორდენი (1973 წ. და 1975 წ.); აგრარულ სფეროში

წლის საუკეთესო მეცნიერი (2015)-ეკონომიკის დარგში.

მოღვაწეობის მიმართულება – აგრარული ეკონომიკა.

1.30. აკადემიკოსი ჯაბნიძე რეზო ხასანის-ძე



დაბადების თარიღი –18.01.1954;
სპეციალობა დიპლომის მიხედვით – სუბტროპიკული მეურნეობის სწავლული აგრონომი, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი;
დაკავებული თანამდებობა - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერეტუს პროფესორი;
სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი;
სამეცნიერო წოდება - პროფესორი, სსმ აკადემიის აკადემიკოსი, 03.12.2015;
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 257, მათ შორის 6 სახელმძღვანელო, 3 წიგნი, 6 მონოგრაფია, 36 რეკომენდაცია.

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურებები, წოდებები და ა. შ. – „ღირსების“ ორდენი (1999 წ.); აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უზენაესი (2000 წ.) და უმაღლესი საბჭოს (2019 წ.) საპატიო სიგელები; იაკობ გოგებაშვილისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის მედლები; სომხეთისა და აზერბაიჯანის აგრარული უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი; ქ. ბათუმისა (2022 წ.) და ხელვაჩაურის რაიონის (1998 წ.) საპატიო მოქალაქე. სსმ აკადემიის პრემია საუკეთესო საგანმანათლებლო ნაშრომისთვის (2019 წ.) და სსმ აკადემიის საპატიო სიგელი (2017 წ.). ბსუ-ს საუკეთესო პროფესორის წოდება.

მოღვაწეობის მიმართულება - აგრონომია (ჩაი და ციტრუსები).

2. აკადემიის სტიპენდიატები

2.1 ბენაშვილი მამუკა ოთარის-ძე

დაბადების თარიღი: 28.02.1979;



სპეციალობა დიპლომის მიხედვით: სოფლის მეურნეობის მექანიზაცია;
დაკავებული თანამდებობა: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი - საინჟინრო პროგრამების ხელმძღვანელი; საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; სსმმ აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი;
სამეცნიერო ხარისხი: ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი;
მეცნიერული შრომების რაოდენობა: 22, მათ შორის 3 სახელმძღვანელო;
გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების რაოდენობა - 3;
მოღვაწეობის მიმართულება: აგროინჟინერია - სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

2.2. დუღაშვილი დარეჯან თამაზის-ასეული

დაბადების თარიღი - 2.08. 1977;



სპეციალობა დიპლომის მიხედვით - გარემოს ქიმია და კონტროლი, ქიმიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
დაკავებული თანამდებობა - თსუ-ს რ. აგლაძის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი; სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სსმმ აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი;
სამეცნიერო ხარისხი - ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი;
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 35;
მოღვაწეობის მიმართულება - სურსათის უვნებლობა.

2.3. ტიგინაშვილი ზვიად თემურის-ძე

დაბადების თარიღი - 4.10.1977;



სპეციალობა დიპლომის მიხედვით - სატყეო მეურნეობა, სპეციალობით;
დაკავებული თანამდებობა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტოს", მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორი; სსმმ აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი;
სამეცნიერო ხარისხი - სოფლის მეურნეობის დოქტორი
სპეციალობა 06.03.03 - "ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა";
მეცნიერული შრომების რაოდენობა - 63, მათ შორის 4 მონოგრაფია, 2 ლექსიკონი;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურები, წოდებები და ა. შ. - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელი - "სატყეო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის"; სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის „მადლობა“ -სააგენტოს საქმიანობაში

მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის და სამსახურებრივ მოვალეობათა კეთილსინდისიერად შესრულებისათვის”. (ბრძანება 5/ა1505, 30/12/2016წ.)

მოღვაწეობის მიმართულება – ტყემცოდნეობა და მეტყვეობა; დაცული ტერიტორიები.

2.4. ჯაბნიძე ნატო ვლადიმერის-ასული

დაბადების თარიღი - 30.07.1978;

სპეციალობა დიპლომის მიხედვით – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ეკონომისტ-მენეჯერი;

დაკავებული თანამდებობა – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი; სსმმ აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი;

სამეცნიერო ხარისხი – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი;

მეცნიერული შრომების რაოდენობა – 76, მათ შორის 1 მონოგრაფია და 4 რეკომენდაცია;

სახელმწიფო ჯილდო(ები), დამსახურების წოდებები და ა. შ. – საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დარგში (14.05.2003 #II-პს #0194); პრეზიდენტის მადლობა, ფულადი პრემია და დიპლომი სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაში საპრიზო ადგილის დაკავებისთვის. სსმმ აკადემიისა და



ბსუ-ს საპატიო სიგელები.

მოღვაწეობის მიმართულება – ეკონომიკა.

თავი 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი

2.1. აკადემიის პრეზიდიუმის შემადგენლობა

- 1 ჯაფარიძე გივი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 2 ალექსიძე გურამი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი, სსმმ აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;
- 3 ასათიანი რევაზი - აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 4 ახალბედაშვილი ივერი - საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, ეკონომიკის დოქტორი;
- 5 ბარვენაშვილი მარინე - აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი;
- 6 გიორგაძე ანატოლი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 7 გუგუშვილი ჯემალი - კონსულტანტი აგრარული პროფილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან, აგრარული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიმართულებით, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 8 დიდებულიძე ალექსანდრე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს - მდივანი, აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების საბჭოს თავმჯდომარე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 9 დოლიძე ლაშა - აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 10 კაჭარავა ომარი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, ეკონომიკის დოქტორი;
- 11 მარგველაშვილი გოგოლა - აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 12 მახარობლიძე რევაზი - აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;

- 13 უჯმაჯურიძე ლევანი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 14 ფუტყარაძე ზაური - აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 15 ქარქაშაძე ნაპოლეონი - კონსულტანტი აგრარული პროფილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან, აგრარული მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის მიმართულებით სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 16 ყურაშვილი თენგიზი - აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 17 ჩხარტიშვილი ნოდარი - ი. გოგებაშვილის თელავის სახემწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 18 ცანავა ვალერიანი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 19 ცქიტიშვილი ზურაბი - აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი;
- 20 ჭითანავა ნოდარი - აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, სსმმ აკადემიის აკადემიკოსი.

2.2. აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 2024 წელს განხილული საკითხების მოკლე მიმოხილვა

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 1 (26 იანვარი)

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ანგარიში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ.

დაადგინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გ. ჯაფარიძის ანგარიში - „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის ამოცანების შესახებ“ შეფასდეს დადებითად და იგი განსახილველად წარედგინოს აკადემიის საერთო კრებას და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოსაზრებანი საქართველოს კანონში - „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ მე-16¹ მუხლში „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტატუსი, ფუნქციები, ამოცანები და წევრის ანაზღაურება“ - შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

დაადგინეს: 1. მოწონებული და მხარდაჭერილი იქნას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოსაზრებანი საქართველოს კანონში - „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ მე-16¹ მუხლში „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტატუსი, ფუნქციები, ამოცანები და წევრის ანაზღაურება“ - შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით და იგი ინფორმაციისათვის წარედგინოს საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტს; საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს; საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

დაადგინეს: 1. მოწონებული და მხარდაჭერილი იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე;

2. აკადემიის მოსაზრებები საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე წარედგინოს საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ინფორმაცია საქართველოს ახალი კანონის პროექტის „სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების შესახებ“.

დაადგინეს: მიღებული იქნას ინფორმაციად აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის მოხსენება საქართველოს ახალი კანონის პროექტის „სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების შესახებ“ და იგი განსახილველად წარედგინოს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აგრარულ მეცნიერ ქალთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას „მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით აკადემიის საპატიო სიგელით დასაჯილდოებელ პირთა სია.

მოისმინეს: აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ინფორმაცია აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 2 (16 თებერვალი)

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა შეფასდეს დადებითად; იგი განსახილველად წარედგინოს აკადემიის საერთო კრებას და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიკოს - მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს კანონის პროექტთან „სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების შესახებ“ აკადემიის მოსაზრებებთან დაკავშირებით.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს კანონის პროექტთან „სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების შესახებ“ და იგი განსახილველად გადაეგზავნოს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ინფორმაცია აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ (მოხსენება ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა შეფასდეს დადებითად; იგი განსახილველად წარედგინოს აკადემიის საერთო კრებას და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო - საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის, აკადემიკოს ზაურ ფუტყარაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა შეფასდეს დადებითად; იგი განსახილველად წარედგინოს აკადემიის საერთო კრებას და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“ შედეგების შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია საერთაშორისო - სამეცნიერო კონფერენციის „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“ შედეგების შესახებ და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 3 (29 მარტი)

მოისმინეს: აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ (მოხსენება ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და დადებითად შეფასდეს აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიკოს - მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების კოორდინატორების მიერ 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნას და დადებითად შეფასდეს აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების კოორდინატორების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა. ინფორმაცია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს ინოვაციური განვითარების პრიორიტეტების შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს ინოვაციური განვითარების პრიორიტეტების შესახებ და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" რედკოლეგიის წევრის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნას და დადებითად შეფასდეს აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ "მოამბის" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა. ინფორმაცია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" რედაქტორის მოადგილის, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია აკადემიის საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნას და დადებითად შეფასდეს საინფორმაციო-სარეკლამო ბიულეტენის "აკადემიის მაცნეს" მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობა. ინფორმაცია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია აკადემიის მიერ 2023 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნას და დადებითად შეფასდეს აკადემიის მიერ 2023 წელს რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო საშუალებების საგამომცემლო საქმიანობა. ინფორმაცია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის სტიპენდიატის, ეკონომიკის დოქტორის ნატო ჯაბნიძის ინფორმაცია 2019-2024 წლებში გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (ინფორმაცია ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად აკადემიის სტიპენდიატის, ეკონომიკის დოქტორის ნატო ჯაბნიძის მიერ 2019-2024 წლებში გაწეული სამეცნიერო საქმიანობა. ინფორმაცია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გ. ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოჩენილი აგრარიკოს მეცნიერების სახელობითი პრემიების დაწესებისა და დებულების შესახებ.

დაადგინეს: დაევალოს აკადემიის აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილეს, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძეს, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსს, დოქტორ მარინე ბარვენაშვილს გამოჩენილი აგრარიკოს მეცნიერების სახელობითი პრემიების მინიჭების დებულების პროექტის დახვეწა და მისი წარმოდგენა შემდეგ პრეზიდიუმის სხდომაზე დასამტკიცებლად.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გ. ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლის დაწესებისა და დებულების შესახებ.

დაადგინეს: 1) მოწონებული იქნეს წინადადება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლის დაწესების თაობაზე; 2) დამტკიცდეს აკადემიის მიერ დაწესებული ოქროს მედლის დებულება წარმოდგენილი სახით.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 4 (26 აპრილი).

მოისმინეს: აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ზურაბ ცეციტიშვილის ინფორმაცია აკადემიის

სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და დადებითად შეფასდეს აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

მოისმინეს: აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარი სპეციალისტის, დოქტორ თინათინ ეპიტაშვილის ინფორმაცია აკადემიის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

დაადგინეს: 1. მიღებულ იქნას ცნობად ინფორმაცია აკადემიის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 2. მომზადდეს აკადემიის საგამოფენო სივრცეში ადგილი სადაც განთავსდება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია აკადემიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს აკადემიის ადმინისტრაციული დეპარტამენტის დებულება წარმოდგენილი სახით და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორის თამაზ ბიჭიაშვილის მოხსენება ფიტოტესტერის შესახებ.

დაადგინეს: 1. ფიტოტესტერის სერიულ წარმოებაში ჩასაშვებად მიზანშეწონილად ჩაითვალოს მისი შეთავაზება სამეცნიერო ორგანიზაციებისათვის, როგორც მცენარესთან „დიალოგი“-ს საშუალება, ხოლო სასწავლო დაწესებულებებისათვის, როგორც სტუდენტებში ამ „დიალოგი“-ს უნარებისა და ჩვევების განვითარების ინსტრუმენტი;

2. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოაცხადა აგროტექნოლოგიები და ამ მიმართულებით ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროდუქტების შექმნა, სათანადო უწყებებს ეთხოვოს შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობის ნებართვა აღნიშნული ხელსაწყოს წარმოებისათვის.

მოისმინეს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2019 წლის 27 დეკემბრის N01-210 კორესპონდენციის შესაბამისად ა(ა)იპ აგროსერვისის ცენტრზე გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, პროგრამის „აგროსერვისის განვითარება რეგიონებში“ 2024 წლის პირველი კვარტლის ანგარიში.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ინფორმაციად და დადებითად შეფასდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2019 წლის 27 დეკემბრის N01-210 კორესპონდენციის შესაბამისად ა(ა)იპ აგროსერვისის ცენტრზე გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, პროგრამის „აგროსერვისის განვითარება რეგიონებში“ 2024 წლის პირველი კვარტლის ანგარიში.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასების შესახებ.

დაადგინეს: დამტკიცდეს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასების დებულება და დანართი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარი სპეციალისტის, დოქტორ თინათინ ეპიტაშვილის ინფორმაცია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ქ. რომში (იტალია) ორგანიზებული „საქართველოში სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინდიკატორების (ASTI) საპილოტე პროექტის“ განხორციელების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარი სპეციალისტის, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი ინფორმაცია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ქ. რომში (იტალია) ორგანიზებული

„საქართველოში სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინდიკატორების (ASTI) საპილოტე პროექტის“ განხორციელების სამუშაო ჯგუფის შეხვედრის შესახებ.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 5 (31 მაისი).

მოისმინეს: ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსის, აკადემიკოს როლანდ კოპალიანის ინფორმაცია ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მიერ 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად და დადებითად შეფასდეს ინფორმაცია ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მიერ 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. ინფორმაცია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, აკადემიკოს ედიშერ კვეციტაძის ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის 2023 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად და დადებითად შეფასდეს ინფორმაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის 2023 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. ინფორმაცია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასების დებულების შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული და მიღებული იქნას საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასების დებულება. დებულება აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიხედვით გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მისანიჭებელი კონკურსების გამოცხადების შესახებ.

დაადგინეს: გამოცხადდეს კონკურსი გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მოსაპოვებლად სამეცნიერო განყოფილებების მიხედვით წარმოდგენილი სახით. ინფორმაცია კონკურსის შესახებ და საკონკურსო ნაშრომების წარმოდგენის წესის შესახებ გამოქვეყნდეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

პრეზიდენტის სხდომა (გამოკითხვის წესით ჩატარებული), ოქმი # 6 (5 ივნისი)

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ თავისი წესდების X თავის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებასა და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში აკადემიის სტიპენდიატების ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ.

დაადგინეს: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებასა და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში გამოცხადდეს კონკურსი სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად. 2. განცხადება კონკურსის შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე [www. gaas.dsl.ge](http://www.gaas.dsl.ge)

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 7 (1 ივლისი).

მოისმინეს: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის, აკადემიკოს ლევან უჯმაჯურიძის ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ (მოხსენება ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად და დადებითად შეფასდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა. ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აკადემიის სტიპენდიატების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

დაადგინეს: 1. შეიქმნას საექსპერტო-საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით: საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე - აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა; კომისიის წევრები: აკადემიკოსი - გოგოლა მარგველაშვილი, აკადემიკოსი - თენგიზ ყურაშვილი, აკადემიკოსი - ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიკოსი - ლაშა დოლიძე.

2. სამეცნიერო განყოფილებების (სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის, ეკონომიკურ და აგროინჟინერიის) გაერთიანებული სხდომა გაიმართოს 12 ივლისს.

3. საქართველოს კანონში მეცნიერებათა აკადემიის შესახებ მუხლი 16¹. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტატუსი, ფუნქციები, ამოცანები და წევრის ანაზღაურება ცვლილებების შეტანამდე აკადემიის სხვა სამეცნიერო განყოფილებებში დროებით შეჩერდეს სტიპენდიატთა ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მოწვევის შესახებ.

დაადგინეს: აკადემიის საერთო კრება გაიმართოს 18 ივლისს, დღის 12 საათზე.

მოისმინეს: აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის. მემორანდუმი განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების კოორდინატორების სამუშაო ჯგუფების განახლების შესახებ.

დაადგინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების კოორდინატორების განახლებული სამუშაო ჯგუფები დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის შემადგენლობის განახლების შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და დამტკიცდეს აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის განახლებული შემადგენლობა წარმოდგენილი სახით.

პრეზიდენტის სხდომა, ოქმი # 8 (26 სექტემბერი).

მოისმინეს: აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ინფორმაცია შოთა მესხიას სახელობის

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულის - „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“ შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულის - „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“ შესახებ.

მოისმინეს: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მინიჭების შესახებ კონკურსის გამოცხადების შესახებ.

დაადგინეს: განცხადება გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მინიჭების შესახებ კონკურსის გამოცხადების შესახებ აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიის პრეზიდიუმის სხვა წევრების, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების, აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), აკადემიის საპატიო და უცხოელი წევრების და აკადემიის სტიპენდიატების არჩევნების დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული და მხარდაჭერილი იქნეს ნაწილობრივი ცვლილებების შეტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიის პრეზიდიუმის სხვა წევრების, აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების აკადემიკოს-მდივნების, აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების), აკადემიის საპატიო და უცხოელი წევრების და აკადემიის სტიპენდიატების არჩევნების დებულებაში. დებულება ატვირთული იქნეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი „განათლებისა და მეცნიერების განვითარების კონცეფციის“ კანონპროექტის სამუშაო ვერსიის შესახებ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი „განათლებისა და მეცნიერების განვითარების კონცეფციის“ კანონპროექტის სამუშაო ვერსიის შესახებ.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის დოქტორ მ. ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 2023 წლის 2 მაისს (ოქმი №4) დამტკიცებულ „გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების დებულებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული და მხარდაჭერილი იქნეს ნაწილობრივი ცვლილებების შეტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 2023 წლის 2 მაისს (ოქმი №4) დამტკიცებულ „გამოჩენის აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების დებულებაში. დებულება ატვირთული იქნეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის დოქტორ მ. ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 2022 წლის 29 აპრილს (ოქმი №2) დამტკიცებულ „ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს დებულებაში“ ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

დაადგინეს: მოწონებული და მხარდაჭერილი იქნეს ნაწილობრივი ცვლილებების შეტანა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ 2022 წლის 29 აპრილს (ოქმი №2) დამტკიცებულ „ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს დებულებაში“. დებულება ატვირთული იქნეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია, რომელმაც წინადადება შემოიტანა, რომ აკადემიაში აგრარული ინოვაციების კომისიის შექმნასთან დაკავშირებით პარალელიზმისა და დუბლირების თავიდან აცილების მიზნით გაუქმდეს აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭო.

დაადგინეს: ა.წ. 1 ოქტომბრიდან გაუქმდეს აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭო და შესაბამისი ცვლილებები შეტანილი იქნეს აკადემიის წესდებაში, აკადემიის საშტატო ერთეულების ნუსხაში.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 9 (29 ნოემბერი).

მოისმინეს: აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის, აკადემიკოს ზაურ ფუტყარაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ მე-3 კვარტალში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ.

დაადგინეს: 1. მოწონებული იქნეს და დადებითად შეფასდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ მე-3 კვარტალში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები. 2. ინფორმაცია აიტვირთოს აკადემიის ვებ-გვერდზე.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს რეგიონებში ჩატარებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულის - „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“ შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და დადებითად შეფასდეს აკადემიის ჩართულობა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოს რეგიონებში ჩატარებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულის - „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“ ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ, თავისი წესდების II თავის მე-9 მუხლის თ) პუნქტის და გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების დებულების შესაბამისად, გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების საერთო კრებების გადაწყვეტილებები სახელობითი პრემიების მინიჭების შესახებ (მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრების ოქმი№1 ; ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრების ოქმი№1; აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრების ოქმი№ 1; აგრიკულტურის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრების ოქმი№1. 2. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს პრესაში და აკადემიის ვებ-გვერდზე. 3. თითოეული სახელობითი პრემიის რაოდენობა განისაზღვროს 2000 ლარით. 4. აკადემიის ბუღალტერმა (ქ-ნ ნინო სოზიაშვილმა) უზრუნველყოს გამარჯვებულებზე სახელობითი პრემიის ფულადი სახით გაცემა.

მოისმინეს: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსის, დოქტორ მარინე ბარვენაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივნების დებულებისა და სწავლული მდივნების კანდიდატურების შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნას და დამტკიცდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივნების დებულება და სწავლული მდივნების კანდიდატურები წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით საჯარო-კერძო პარტნიორობის ქსელის ჩამოსაყალიბებლად ჩატარებული სამუშაოების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ა.წ. 13 ნოემბერს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან შემოვიდა წერილი, რომელიც ითხოვდა სამინისტროსათვის აკადემიის მიერ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით საჯარო-კერძო პარტნიორობის ქსელის ჩამოსაყალიბებლად ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

დაადგინეს: მოწონებული იქნას ინფორმაცია აკადემიის მიერ მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით საჯარო-კერძო პარტნიორობის ქსელის ჩამოსაყალიბებლად ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

პრეზიდიუმის სხდომა, ოქმი # 10 (26 დეკემბერი).

მოისმინეს: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2024 წლის გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივნის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 2024 წლის გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვას: აკადემიკოსებმა: თ. ყურაშვილიმა, ზ. ცქიტიშვილიმა, ნ. ჭითანავამ, რომლებმაც მოიწონეს ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2025 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2025 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის შესახებ.

დაადგინეს: 1. მიღებული იქნას ცნობად ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის შესახებ.

2. აკადემიის წამყვანი სპეციალისტის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ციალა თეგეტაშვილის საკონტაქტო ინფორმაცია განთავსდეს აკადემიის ვებ-გვერდზე.

3. დაევალოს აკადემიის წამყვან სპეციალისტს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ციალა თეგეტაშვილს განახორციელოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ განსაზღვრული მოვალეობები.

მოისმინეს: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობისა და 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად და დადებითად შეფასდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობა.

მოისმინეს: აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის სწავლული მდივნის, დოქტორ თინათინ ეპიტაშვილის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად და დადებითად შეფასდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნების და მცენარეთა გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობა.

მოსმინეს: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2024 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ (მოხსენება ოქმს თან ერთვის).

დაადგინეს: მიღებული იქნას ცნობად აკადემიის პრეზიდენტის მოადგილის, საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2024 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ.

მოსმინეს: პარლამენტის აგრარულ საკითხთა აპარატის უფროსის, ეკონომიკის დოქტორის ივერი ახალბედაშვილის ინფორმაცია ი. ახალბედაშვილის, რ. ასათიანის მონოგრაფიის „საქართველოს აგრარული სექტორი: გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები“ გამოცემასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მიცემის შესახებ.

დაადგინეს: მოწონებული იქნეს და რეკომენდაცია მიეცეს გამოსაცემად ი. ახალბედაშვილის, რ. ასათიანის მონოგრაფიას „საქართველოს აგრარული სექტორი: გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები“.

თავი 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები

3.1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი – აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 10 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).

აკადემიკოსები: გურამ ალექსიძე, ნუგზარ ბადათურია, ვაჟა კვალიაშვილი, როლანდ კოპალიანი, გოგოლა მარგველაშვილი, ლევან უჯმაჯურიძე, ზაურ ჩანქსელიანი, ნოდარ ჩხარტიშვილი, ვალერიან ცანავა, რეზო ჯაბნიძე.

სტიპენდიატი: ქიმიის დოქტორი გიგა ქვარცხავა (2024 წლის 3 ივნისს დაუმთავრდა სტიპენდიატობის ვადა).

განყოფილებაში 2024 წელს ჩატარდა 11 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 25 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი. 2. აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 22 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს ვალერიან ცანავას ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 29 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს როლანდ კოპალიანის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 22 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 27 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ფერმერებისთვის ხეხილის ინტროდუცირებული ჯიშების ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების კვლევის, შეფასებისა და რეკომენდაციების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი. **თანამომხსენებელი:** სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მრავალწლოვან კულტურების კვლევისა და სარგავი მასალების წარმოების დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი ზვიად ბობოქაშვილი. 2. ინფორმაცია ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის მიერ 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი, აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი. 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილებაში გამოჩენილ აგრარკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მისანიჭებელი კონკურსის გამოცხადების შესახებ. **მომხსენებელი:** აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

მექვსე სხდომა ჩატარდა 17 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ლევან უჯმაჯურიძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს ნოდარ ჩხარტიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 16 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს ნიადაგებში ნიადაგის ნაყოფიერების ძირითადი საკვები ელემენტების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი. 2. აჭარაში მეციტრუსეობის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე

მერვე სხდომა ჩატარდა 21 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. სერტიფიცირებული სარგავი მასალის წარმოების თანამედროვე მიდგომების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე. 2. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის პრობლემების და პერსპექტივების შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 14 ნოემბერს (გამოკითხვის წესით) და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს მიხეილ საბაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „მცენარის სელექციური ჯიში - სასურსათო და სამედიცინო უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი“ (ავტორები: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზურაბ ბუკია, ქიმიის მაგისტრი ციცილო ათამაშვილი) რეცენზენტად აკადემიკოს როლანდ კოპალიანის არჩევის თაობაზე.

მეთექვსმეტი სხდომა ჩატარდა 22 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიკოს მიხეილ საბაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „მცენარის სელექციური ჯიში - სასურსათო და სამედიცინო უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი“ **მომხსენებლები:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ზურაბ ბუკია, ქიმიის მაგისტრი ციცილო ათამაშვილი. 2. ინფორმაცია ნაშრომის „მცენარის სელექციური ჯიში - სასურსათო და სამედიცინო უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი. 3. ფარული კენჭისყრა

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 5 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

გარდა ზემოაღნიშნულისა აკადემიის აგრარულ მეცნიერებათა განყოფილების მიერ განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- 7 თებერვალს ჩატარებული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის დაბადებიდან 125 წლისთავს. მრგვალ მაგიდაზე ფართე მოხსენებით „აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე - ცხოვრება და მოღვაწეობა“ აუდიტორიის წინაშე წარსდგა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი. აღინიშნა, ქსენია ბახტაძის დამსახურება საქართველოში და არა მარტო საქართველოში ჩაის კულტურის დანერგვა-დარაიონებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებულ ყურადღება გამახვილდა მის წიგნიზე „ჩაის მცენარის ბიოლოგია, სელექცია და მეთესლეობა“. აკადემიკოს ქ. ბახტაძის სამეცნიერო საქმიანობისა და ქვეყნის წინაშე მისი დასახურების შესახებ ასევე ისაუბრეს: აკადემიის ვიცე-რეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ, აკადემიკოსმა რ. კოპალიანმა, პროფესორმა შ. ლამპარაძემ.

- 17 ივნისს გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სემინარი. სემინარზე მოხსენებით „**მსოფლიოს საოცარი უდაბნოები**“ წარსდგა **აგრონომიულ მეცნიერებათა აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.** ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ აგრონომიული განყოფილების ინიციატივით აკადემიაში უკვე მრავალი წელიწადია აღინიშნება გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე, მოსმენილია მეტად საინტერესო მოხსენებები, განხილულია პრობლემატური საკითხები. რაც შეეხება მოხსენებას, მის ფარგლებში განიმარტა, თუ რას წარმოადგენს უდაბნო ლანდშაფტის თვალსაზრისით, რა რაოდენობის და რამდენი ტიპის უდაბნოს ვხვდებით დედამიწაზე, მათი მნიშვნელობა. აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა ნიადაგების გაუდაბნობასთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ მდგომარეობაზეც შეაჩერა მსმენელთა ყურადღება. ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას. ესაა გაუდაბნობის საშიშროების წინაშე მყოფი ქარისა და წყლის მიერ ეროზირებული ნიადაგები.

- 16 სექტემბერს გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ქართველ აგრარკოს მეცნიერთა სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ მამია გოგოლიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავს. აკადემიკოს მ. გოგოლიშვილის ცხოვრებისა

და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ფართო მოხსენებით წარსდგა, აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი. აღნიშნა, რომ აკადემიკოსი მ. გოგოლიშვილი გახლდათ მეცნიერი, რომელმაც თავისი მუხლჩაუხრელი შრომითა და გარჯით დიდად შეუწყო ხელი საქართველოში სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებას. იგი ორმოცი წლის განმავლობაში შეუცვლელად ედგა სათავეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს, სადაც წარმატებით აგრძელებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. ქვეყნის მთავრობამ და ხელისუფლებამ დაუფასა აკადემიკოსი მ. გოგოლიშვილს ესოდენ დიდი დამსახურება და ღვაწლი, რისთვისაც იგი არაერთგზის იქნა დაჯილდოებული სხვადასხვა სახის სახელმწიფო ჯილდოებით. აკადემიკოსი მ. გოგოლიშვილი გაიხსენა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემაც, რომელმაც აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ ბატონი მამია გახლდათ დიდი მეცნიერი, იგი იყო საუკეთესო პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, რის გამოც მან თავისი კოლეგების, სტუდენტების თუ უბრალოდ ნაცნობებისაგან უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

- 5 დეკემბერს ჩატარებული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდვნა ნიადაგების დაცვის მსოფლიო დღეს. მრგვალი მაგიდა ჩატარდა დევიზით: **„ნიადაგზე ზრუნვა: გაზომვა, მონიტორინგი და მართვა“**. მრგვალ მაგიდაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები: 1. **„ნიადაგი - ჩვენი ძვირფასი კაპიტალი, სიცოცხლე და კეთილდღეობა“ - მომხსენებელი: აკად. გ. მარგველაშვილი;** 2. **„ნიადაგური მონაცემების შეფასება საველე და ლაბორატორიულ პირობებში“**, მომხსენებელი: **დოქტორი გ. ღამბაშიძე**. თავისი მოხსენების ფარგლებში აკად. გ. მარგველაშვილმა ყურადღება გაამახვილა რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ნიადაგის როლი ჩვენს პლანეტაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების ფორმირებისა და შენარჩუნების, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საქმეში; ნიადაგის საინფორმაციო ფუნქცია, რომელიც მქლავნდება ნიადაგის უნარში „დამახსოვროს და შეინახოს ნიადაგურ ახლადწარმონაქმნებში წარსულ ისტორიულ და გეოლოგიურ ეპოქებში მათი ფორმირების პირობები და სხვ. იგი ასევე შეეხო მიწათმოქმედებაში მიწების გამოყენების განმსაზღვრელ ფაქტორებს, მსოფლიოს ნიადაგების დეგრადაციის ხარისხსა და ფართობებს; ისაუბრა ჩვენი ქვეყნის ნიადაგების მდგომარეობაზეც, ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება -ამაღლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ნიადაგების ნაყოფიერების შემცირების მიზეზებზე და სხვ. რაც მთავარია, მან მსმენელებს წარმოუდგინა ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ქვეყნის ნიადაგების არსებულ მდგომარეობას.

დოქტორმა გ. ღამბაშიძემ მოხსენებაში „ნიადაგური მონაცემების შეფასება საველე და ლაბორატორიულ პირობებში“, ისაუბრა ნიადაგური მონაცემების მნიშვნელობაზე, რომელთა ცოდნაც აუცილებელია: ნიადაგის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად; ნიადაგების კლასიფიცირებისთვის; ნიადაგის ნაყოფიერების დონის შესაფასებლად; ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების ღონისძიებების სწორად შერჩევისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის; ს/ს კულტურების სივრცობრივი გაადგილებისთვის; ნიადაგის დეგრადაციის ხარისხის დადგენისა და დეგრადირებული ფართობების იდენტიფიცირებისთვის; ს/ს პროდუქციის უვნებლობის უზრუნველსაყოფად და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესაფასებლად და სხვ. დოქტ. გ. ღამბაშიძემ დამსწრე საზოგადოებას ასევე გააცნო ნიადაგის საველე და ლაბორატორიული კვლევისთვის შერჩეული მეთოდები, კვლევის შედეგებზე ნიადაგის ნიმუშის აღების გავლენა.

3.1.1. აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშები

აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით)

„აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება“ (2023-2027). ხელმძღვანელი. (საკითხი მუშავდება აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).

ისწავლება აჭარაში ლურჯ მოცვზე გავრცელებული ძირითადი მავნებლები და დაავადებები. მათი ბიოეკოლოგიის თავისებურებები და მუშავდება ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებები, სადაც გამოიციხული იქნება მაღალტოქსიკური ქიმიური პესტიციდების გამოყენება.

მიმდინარე წელს გამოვლენილია ლურჯ მოცვზე გავრცელებული მავნებლები და მათი ბუნებრივი მტრები. დადგენილია მეტი უარყოფითი მნიშვნელობის მავნებლები და დაავადებები. გამოცდილია მათ წინააღმდეგ მცენარეული პესტიციდების ნაზავი: ნიმი+დარიჩინი. მიღებულია მაღალი ბიოლოგიური და ეკოლოგიური ეფექტი. გამოიცადა აგრეთვე ბაქტერიული პრეპარატები ღიად მცხოვრები მავნებლების წინააღმდეგ. დაავადებების წინააღმდეგ კი ახალი ფუნგიციდები დადგენილი იქნა მათგან საუკეთესო მოქმედების, რომლებიც ჩაირთვება ბრძოლის ინტეგრირებულ სისტემებში.

1. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში (საგანი, რომელსაც ასწავლით უმაღლეს სასწავლებელში, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე, სამაგისტრო პროგრამების პირველ და მეორე კურსზე ისწავლებოდა საგნები:

მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა (ქართული ჯგუფი);

Grapevine pests and diseases and integrated pest management (ინგლისური ჯგუფი);

ვაზის მავნებელ-დაავადებები და ინტეგრირებული დაცვის მეთოდები; (ქართული ჯგუფები).

ბიოტექნოლოგია მცენარეთა დაცვაში (ქართული ჯგუფი).

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები (მიუთითეთ სტატიის სახელწოდება, ჟურნალის, კრებულის დასახელება, წელი, ნომერი).

3.1. ხეხილის ძირითადი მავნებლების და მათი ბუნებრივი მტრების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა მათემატიკური მოდელირების გზით. -საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, #1(51), გვ. 57-73. 2024. ISSN 1512-2743

3.2. მცენარეთა დაცვა, არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები. - ჟურნალი „აგრარული საქართველო“, #12, 2024, გვ. 4-7.

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო.

ხეხილის აგროცენოზებში გავრცელებული ძირითადი სასარგებლო მწერები (მტაცებლები, პარაზიტოიდები). (ბროშურა, რეკომენდაცია). 2024. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“, 51 გ. ISBN 978-9941-8-7321-8

ბროშურაში აღწერილია მტაცებელი და პარაზიტოიდული მწერების რამოდენიმე სახეობა. მტაცებლებს შორის: Chrisopidae – 2 სახეობა, Coccinellidae – 8 სახეობა, Syrphidae – 2 სახეობა, მტაცებელი ბაღლინჯო – 1 სახეობა, Formicidae – 1 სახეობა, Mantidae – 1 სახეობა, პარაზიტოიდები: Tachinidae – 2 სახეობა, Ichneumonidae – 2 სახეობა, Chalcidoidea – 2 სახეობა.

პარაზიტოიდები დაყოფილია მათი მასპინძელი მწერების მიხედვითაც. ფოთლიხვევიებზე – 38 სახეობა, მზომელებზე – 11 სახეობა, მენაღმეებზე – 10 სახეობა. ვაშლის ნაყოფჭამიაზე-10 სახეობა.

ბროშურაში ასევე მოცემულია მათი ბიოლოგიური თავისებურებები და სასარგებლო როლი მავნებლების რეგულირებაში. განხილულია აგრეთვე, ბაღის პირობებში მათი შენარჩუნების გზები.

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“, 05-06 თებერვალი, 2024 წელი, თბილისი, საქართველო. მისალმება და მონაწილეობა მოხსენებების განხილვაში.

5.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, 22-24 მაისი, 2024, თბილისი, საქართველო; მისალმება და მონაწილეობა მოხსენებების განხილვაში.

6. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა.

დამუშავდა რეკომენდაციები მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებისათვის, რომელიც განხილული იქნება მომავალ წელს.

7. მიუთითეთ სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

- ლატვიის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (აკადემიკოსი);
- ცენტრალური აზიისა და კავკასიის სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის - კაკარის პრეზიდენტი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თანამედროვე ტექნოლოგიების და ეკოლოგიური კომისიის წევრი;
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კვალი“-ს სამეცნიერო კოლეგიის წევრი;
- საქართველოს ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სექციის ხელმძღვანელი.
- საქართველოს ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია

1. სახელმწიფო პროგრამით (ბიუჯეტით) დაფინანსებული პროექტები

1.1. ღვინის მრეწველობის ინოვაციური განვითარების ძირითადი მიმართულებების გამოკვლევა, მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ნედლეულის კომპლექსური და უნარჩენო გადამამუშავების მიზნით (2024-2028)

შესრულების ეტაპი (დასრულებული).

1. მეთანოლის შემცველობის ცვლილებების შედარებითი გამოკვლევა ღვინის სპირტების ყურძნის დურდოსა და მუხის ტკეზზე დავარგებისას
2. საკონიაკე ღვინის დისტილატებისა და ქართული ტექნოლოგიებით მიღებული ღვინის დისტილატების შედარებითი გამოკვლევა
3. წითელი ყურძნის კომპლექსური გადამამუშავების ტექნოლოგია
4. ალდეჰიდების შემცველობის დინამიკა ევროპული, იმერული და კახური ტიპის ღვინოების ქვევრში და ღვინის დისტილატების მუხის ტკეზზე დავარგებისას
5. ყურძნის ნაკლებად გავრცელებული ჯიშების გამოკვლევა მაღალალკოჰოლიანი სასმელების მისაღებად

შემსრულებლები (მათი როლებით)

1. ნუგზარ ბაღათურია-სამეცნიერო ხელმძღვანელი; პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე და მის სამეცნიერო შედეგებზე.
2. მარიამ ლოლაძე - ძირითადი შემსრულებელი
3. ელენე კალატოზიშვილი - შემსრულებელი
4. ინესა კველიძე - შემსრულებელი
5. ნინო ხვედელიძე- შემსრულებელი
6. ნონა ბენდიანიძე -შემსრულებელი.

ანოტაციები ეტაპების მიხედვით:

1. გამოკვლეულია ღვინოსა და ღვინის დისტილატში მეთანოლის შემცველობის დინამიკა თეთრი ყურძნის ევროპული (ტკბილის დადუღება), იმერული (ტკბილის დადუღება 5 % ჭაჭაზე) და კახური მეთოდებით (სრული დურდოს დადუღება) გადამამუშავებისას. დადგენილია, რომ საუკეთესო ხარისხის ღვინო მიიღება ყურძნის იმერული მეთოდით გადამამუშავებისას. ღვინის მაღალხარისხოვანი დავარგებული დისტილატის მისაღებად ყურძენი უნდა გადამამუშავდეს კახური მეთოდით. ღვინისა და ღვინის დისტილატის ხარისხი არ არის დამოკიდებული მათში მეთანოლის შემცველობაზე.

2. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში ჩატარებული მრავალწლიანი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ფრანგულ საკონიაკე სპირტებთან (ყურძნის ტკბილის დადუღება, მიღებული ღვინის დავარგება ყურძნის მყარი ნაწილების მონაწილეობის გარეშე და გამოხდა) შედარებით გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის ყურძნისეული წარმოშობის ღვინის დისტილატები მიიღება ყურძნის გადამუშავების კახური (ტკბილის დადუღება ყურძნის დურდოზე და მიღებული ღვინის დავარგება სრულ ჭაჭაზე და გამოხდა) და იმერული (ტკბილის დადუღება და მიღებული ღვინის დავარგება 5% ჭაჭაზე და გამოხდა) ტექნოლოგიების გამოყენებით.

3. გამოკვლეულია წითელი ყურძნის კომპლექსური გადამუშავების ახალი ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მიზნობრივი პროდუქტის - ღვინის მიღებას მხოლოდ თვითნადენი ფრაქციის გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის ხარისხისს. სველი დურდო გამოიყენება მაღალხარისხოვანი ჭაჭის არყისა და ანტიოქსიდანტური უალკოჰოლო სასმელის მისაღებად. სველი დურდო ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას პურის ნატურალური დანამატის სახით.

4. დადგენილია, რომ ყურძნის დურდოს დავარგების მასში არსებული ღვინის ხარისხი უმჯობესდება, და ეს კანონზომიერება ერთნაირად სამართლიანია იმერული (ყურძნის ალკოჰოლური დუღილი 5% ჭაჭაზე) და კახური ტიპის ღვინოებისათვის (სრული დურდოს დადუღება). ღვინის შენახვა ასევე აუმჯობესებს ევროპული ტიპის ღვინის ხარისხს, რომელიც მიიღება ტკბილის ალკოჰოლური დუღილით. ამათგან საუკეთესო ხარისხის ღვინო მიიღება იმერული ტიპის ღვინის დავარგებისას.

იმერული და კახური ტიპის ღვინის დისტილატების მუხის ტკეჩზე დავარგებისას მიიღება უფრო მაღალი ხარისხის ღვინის დისტილატები საკონიაკე ღვინის დისტილატთან შედარებით, რომელიც მიიღება ევროპული ტიპის ღვინის გამოხდით.

არ დადგინდა კორელაციური კავშირის არსებობა ღვინისა და ღვინის დისტილატების ხარისხსა და მათში ალდეჰიდების შემცველობას შორის.

5. პირველად იქნა გამოკვლეული საქართველოში ნაკლებად გავრცელებული ყურძნის ღვინის დისტილატები. დადგენილ იქნა შემდეგი დასახელების ღვინოებისა და მათგან გამოხდილი დისტილატების ქიმიური შედგენილობა და თვისებები: კახური მწვანე, მუსკატური რქაწითელი, კამური თეთრი, ბაზალეთური, დონდლლაბი, ჭვიტილური, ციცქა, ცხვედიანის თეთრი, საკმიელა, ჩინური, კუნძა. აღნიშნული დასახელების ყურძნის ღვინოებიდან მიღებულ იქნა და შესწავლილი თავნახადი, შუანახად და ბოლონახადი ფრაქციები. გრძე-ლდება სამუშაოები მიზნობრივი პროდუქტების მისაღებად.

1.2. ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების მიზნით (2024-2028)

შესრულების ეტაპი (დასრულებული).

1. რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან სხვადასხვა დისტილატების გამოხდის პროცესების გამოკვლევა;
2. წითელი ყურძნის სველი დურდოს ღვინის გამოხდის პროცესის გამოკვლევა;
3. საქართველოში გავრცელებული ჰიბრიდული ჯიშის ყურძნების გამოკვლევა, მათი სამრეწველო გამოყენების მიზნით;
4. ახალი ტიპის ალკოჰოლიანი სასმელის (გრეიპ-გრან) წარმოების ტექნოლოგიის გამოკვლევა;
5. თეთრი ვისკის წარმოების ახალი ტერქნოლოგია.

შემსრულებლები (მათი როლებით)

1. ნუგზარ ბაღათურია - სამეცნიერო ხელმძღვანელი
2. მარიამ ლოლაძე - ძირითადი შემსრულებელი
3. ელენე კალატოზიშვილი - შემსრულებელი;
4. გენადი ბაღათურია - შემსრულებელი.

ანოტაციები ეტაპების მიხედვით:

1. საქართველოს კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“ ნათქვამია, რომ ჭაჭის დისტილატი შეიძლება მიღებული იქნას როგორც გამოწნეხილი, ასევე გამოუწნეხავი დურდოს გამოხდით. ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ დურდოს გამოხდით მიღებული დისტილატი დიდი რაოდენობით შეიცავს მეთილის სპირტსა და რახის ზეთებს. გაცილებით ნაკლები რაოდენობით შეიცავს მეთილის სპირტსა და უმაღლეს სპირტებს დურდოზე დადუღებული ღვინის გამოხდის შედეგად მიღებული დისტილატი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კანონში „ვაზისა და

ღვინის შესახებ“ უნდა შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ჭაჭის არყის უვნებლობასა და ხარისხს.

2. გამოკვლეულია ვაქირულას ჯიშის ყურძნის გადამუშავებისას მიღებული თვითნადენი ფრაქციის მოხსნის შემდეგ დარჩენილი სველი დურდოდან გამოწეხილი ღვინის დისტილატების მიღების პროცესი. ნაჩვენებია მინარევების შემცველობა თავნახად, შუანახად და ბოლონახად ფრაქციებში, რაც საშუალებას იძლევა შევარჩიოთ ნედლი სპირტის გამოხდის ოპტიმალური ტექნოლოგიური რეჟიმები.

3. გამოკვლეულია საქართველოში გავრცელებული ჰიბრიდული ჯიშის ყურძნების - ვაქირულა, იზაბელა(ოდესა) ღვინის დისტილატების ქიმიური შედგენილობა და თვისებები. დადგენილია, რომ აღნიშნული ყურძნები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ღვინის დისტილატების მისაღებად. დამუშავებულია ჰიბრიდული ჯიშის ყურძნების კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიები, რომლებიც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას 2 სასაქონლო პროდუქტი - ღვინის დისტილატი ღვინის ბრენდის(ჭაჭის) მისაღებად და ფენოლური ნაერთებით გამდიდრებული ანტიოქსიდანტური სასმელი (გრეიპანტი), რაც მნიშვნელოვნად ზრდის აღნიშნული ყურძნების სამრეწველო გამოყენების რენტაბელობას.

4. პირველად იქნა დამუშავებული ალკოჰოლიანი სასმელის წარმოების ტექნოლოგია ყურძნისა და მარცვლოვანი კულტურების (სიმინდი, ხორბალი) გამოყენებით. საანგარიშო პერიოდში შესწავლილია ხორბლის სპირტისა და რქაწითელის ღვინის დისტილატების კუპაჟირებით მიღებული სასმელები. დადგენილია მიღებული ახალი ტიპის სასმელების ქიმიური შედგენილობა და თვისებები.

ახალი ტიპის სასმელების სამრეწველო მასშტაბით დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხს, გააფართოებს საექსპორტო პროდუქციის ასორტი-მენტს.

5. დამუშავებულია თეთრი ვისკის წარმოების ახალი (ქართული) ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა მივიღოთ გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის სასმელი უცხოურ ანალოგთან შედარებით.

1.3. ეთერზეთოვანი მცენარეების სანედლეულო ბაზის გამოკვლევა და მათი გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების დამუშავება, დარგის აღორძინების მიზნით საქართველოში (2024-2028).

შესრულების ეტაპი (დასრულებული).

1. ეთერზეთოვანი მცენარეების სანედლეულო ბაზის გამოკვლევა და მათი გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიების დამუშავება.

შემსრულებლები (მათი როლებით)

1. ნუგზარ ბაღათურია - სამეცნიერო ხელმძღვანელი; პასუხისმგებელია პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე და მის სამეცნიერო შედეგებზე.
2. ლუიზა ქაჯაია - ძირითადი შემსრულებელი
3. გიორგი გრიგორაშვილი - შემსრულებელი
4. ნელი გილაური - შემსრულებელი
5. მარიამ ლოლაძე - შემსრულებელი
6. ნელი ილურიძე - შემსრულებელი;
7. ნინო შარაშენიძე - შემსრულებელი;
8. თამუნა გვრიტიშვილი - შემსრულებელი.

ანოტაცია ეტაპის მიხედვით:

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საქართველოში უჯანგარას გვარის მცენარეები: უჯანგარა ტარხუნისებრი და უჯანგარა ერთწლიანი.

გამოკვლეულია ზემოთ ჩამოთვლილ ნედლეულში ეთეროვანი ზეთის შემცველობა მცენარის განვითარების სხვადასხვა ფაზაში, ეთეროვანი ზეთების და ჰიდროლატის ორგანოლექტიკური, ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები სტანდარტული მეთოდებით; ქიმიური შედგენილობა დადგენილია აირ-თხევადი ქრომატოგრაფიის მეთოდის გამოყენებით.

უჯანგარა ტარხუნისებრის ნედლეული მაქსიმალური რაოდენობის ზეთს (0,634%) შეიცავს მცენარის დაკოვრების ფაზაში.

ტარხუნის ეთეროვანი ზეთის ქიმიური შედგენილობის კვლევის შედეგად დადგენილია, რომ ის შეიცავს 27 კომპონენტს.

ტარხუნის ნედლეულის ნახევრადსაწარმოო პირობებში (დოლმატოვის მეთოდი) გადამუშავების პროცესში გარდა ეთეროვანი ზეთისა მიღებულ იქნა თანმდევი პროდუქტი ჰიდროლატი, რომელიც ხასიათდება ნედლეულისათვის დამახასიათებელი სუსტი ნაზი სურნელებით.

უჯანგარა ერთწლოვანი (შემდგომ ტექსტში უჯანგარა). უჯანგარას ნედლეული ეთეროვანი ზეთის მაქსიმალურ რაოდენობას (0,45%) შეიცავს მცენარის მასიური ყვავილობის სტადიაში. უჯანგარას ზეთის ქიმიური შდგენილობის კვლევამ გვიჩვენა, რომ ის შეიცავს: წყალბადშემცველი ნივთიერებების (არა ნაკლებ 12 კომპონენტს) ჟანგბადშემცველ ტერპენულ ნაერთების 11 კომპონენტს.

უჯანგარას ნედლეულის გადამუშავების თანმდევი პროდუქტი - ჰიდროლატი ხასიათდება ნედლეულისათვის დამახასიათებელი არასასია-მოვნო სუნით, ამიტომ შემდგომი კვლევისათვის ინტერესს არ წარმოადგენს.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

2.1. ნ.ბალათურია, მ.ლოლაძე, გ.ბალათურია - ქართული ტექნოლოგიით მიღებული ღვინის დისტილატების შედარებითი გამოკვლევა, ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2004, №3(746), გვ. 67-74.

ანოტაცია. გასულ წლებში საქართველო აწარმოებდა 22 მლნ ბოთლ ყურძნისეული წარმოშობის სასმელს - ქართულ კონიაკს. საქართველოს კანონმა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ აკრძალა დასახელება „ქართული კონიაკის“ გამოყენების შესაძლებლობა, ხოლო ბრენდის დასახელებით ეს სასმელი არ მიიღო ტრადიციულმა მომხმარებელმა, რის გამო მკვეთრად შემცირდა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი.

კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს სხვა სამეცნიერო ორგანიზაციებში ჩატარებული მრავალწლიანი გამოკვლევებით დადგინდა, რომ კონიაკთან შედარებით გაცილებით უფრო მაღალი ხარისხის ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელი მიიღება ყურძნის გადამუშავების ქართული (იმერული, კახური) ტექნოლოგიების გამოყენებით. შესაბამისი ცვლილებები შეტანილ იქნა საქართველოს კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“, რომლის მიხედვით ქართული ნაციონალური სასმელი ჭაჭა შეიძლება ვაწარმოოთ არა მარტო ყურძნის გადამუშავების ნარჩენების, არამედ დადუღებული დურდოს გამოხდითაც. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ნაციონალური სასმელის - ჭაჭის წარმოების მეცნიერული საფუძვლები.

2.2. ნ.ბალათურია, მ.ლოლაძე, გ.ბალათურია - ორგანული მჟავების შემცველობის დინამიკა ევროპული, იმერული და კახური ტიპის ღვინოების ქვევრში და ღვინის დისტილატების მუხის კასრში დავარგებისას, ჟ. „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2004, №3(746), გვ. 74-83.

ანოტაცია. ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ არ არსებობს კორელაციური კავშირი ღვინისა და ღვინის დისტილატების ხარისხსა და მათში ორგანული მჟავების შემცველობას შორის.

საუკეთესო ხარისხის ღვინოები მიიღება ყურძნის იმერული ხერხით გადამუშავებისას, ევროპულ და კახური ტიპის ღვინოებთან შედარებით.

იმერული და კახური ტიპის ღვინის გამოხდით მიღებული დისტილატები წარმოადგენენ არა კონიაკს, არამედ ქართული ნაციონალური სასმელების დისტილატებს, რომლებიც არ განეკუთვნება არც ჭაჭის არაყს და არც კონიაკის ტიპის სასმელებს. როგორც იმერული ასევე კახური ღვინის დისტილატების მუხის კასრში დავარგებისას მიიღება უფრო მაღალი ხარისხის დისტილატები საკონიაკე ღვინის დისტილატებთან შედარებით. ამ დისტილატებისგან მიღებული ყურძნისეული წარმოშობის სასმელებს, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მეღვინეობის პრაქტიკაში, უნდა მიეცეს დასახელება მათი ადგილწარმოშობის მიხედვით (მაგალითად, ენისელი, გრემი, ვარციხე და ა.შ.).

3. გამოქვეყნებული მონოგრაფია:

ნ.ბალათურია, მ.ლოლაძე - ქართული ბრენდი ჭაჭა. მეცნიერება და ტექნოლოგიები, Lap LAMBERT Academic Publishn, London, ISBN: 978-3-659-80912-5, p.217.

ანოტაცია: მონოგრაფიაში წარმოდგენილია ყურძნის ქართული ალკოჰოლიანი სასმელის (ჭაჭა) წარმოების მეცნიერული საფუძვლები.

ნაჩვენებია, რომ თეთრი ჯიშის ყურძნების ქართული ხერხით გადამუშავებისას მიიღება უფრო მაღალი ხარისხის ღვინის დისტილატები, საკონიაკე ღვინის დისტილატებთან შედარებით.

შემოთავაზებულია თეთრი და წითელი ჯიშის ყურძნების კომპლექსური და უნარჩენო გადამუშავების რაციონალური ტექნოლოგიები, რომლებიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ

როგორც ღვინის, ასევე ღვინის დისტილატების ხარისხს, უზრუნველყოფენ წარმოების მაღალ რენტაბელობას.

ასევე გამოკვლეულია ჰიბრიდული ჯიშის ყურძნების კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს მაღალხარისხოვანი ღვინის დისტილატებისა და ანტიოქსიდანტური უალკოჰოლო სასმელების მიღებას.

აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი

ხეხილის სელექცია

თემა 1. სხვადასხვა სიმწიფის პერიოდის, მაღალხარისხოვანი და უხვმოსავლიანი, ამალღებული გამძლეობის და სასაქონლო ღირებულების, კონკურენტუნარიანი სასუფრე, საკონსერვო და უნივერსალური მიმართულების ატმის ჯიშების გამოყვანა.

სამუშაო სრულდება 1950 წლიდან გორის მუნიციპალიტეტში: ქ. გორში (სახლის ეზოში) და სოფელ წედისში: საკუთარ ბაღში და 2018წ-დან (დამატებით)- დ.წიქარიძის ფერმ./მეურნეობაში.

მუშაობაში გამოყენებულია: ატმის (და ნექტარინის) ქართული (აბორიგენული, ჰიბრიდული) და ინტროდუცირებული სასუფრე და სამრეწველო ჯიშები. კვლევა ტარდება ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაციის მეთოდით.

წინა წლებში მიღებული ატმის 80 ჰ/თესლნერგი, რომლებიც გორშია აღმოცენებული და წედისში დასარგავადაა გამიზნული, თებერვლის ბოლოს გაისხლა; კვირტები დაიბერა 12/3-დან: განვითარება ნორმალურია.

ატმის მოძიებული ფორმა - გორული საპობი მასობრივად აყვავდა 29 მარტს და 7 აპრილს დაასრულა ყვავილობა.

20 აპრილს - წედისში დასრულდა ატმის ყვავილობა. ნარგაობა გამოიკვება ორგანული და მინერალური სასუქებით.

თემა 2. ვაშლის ჯიშის „ივერიის“ ნაყოფის მორფოლოგიური ნიშან - თვისებების გაუმჯობესება და ვაშლის ახალი ჯიშების გამოყვანა ჰიბრიდიზაციის და კლონური სელექციის მეთოდების გამოყენებით

საანგარიშო პერიოდში ყურადღება გამახვილდა ვაშლის მსხმოიარე (წედისში) ჰ/თესლნერგების და ახალი ნათესარების (გორში) აღმოცენება - ზრდა - განვითარებასა და მოვლაზე.

წედისში ჰ/ვაშლის რამდენიმე მცენარე ხასიათდება მეტად უხვი მსხმოიარობით და საშუალო სიდიდის გემრიელი ნაყოფებით.

საინტერესოა ვაშლის ჯიშების: ივერია X აიდარედის ნაჯვარი ჰიბრიდის ნაყოფი, რომელიც ორივე მშობელის დადებით ნიშან-თვისებებს მოიცავს. შესწავლა-გამოცდა გრძელდება.

წედისში ვერ მოხერხდა სარწყავი წყლის დროულად მიწოდება და საკმაოდ დაიჩაგრა ხეხილის და ვაზის ჰიბრიდული და სამრეწველო ჯიშების ნარგავები.

ვაზის სელექცია

1. თბილისის საგარეუბნო და საკურორტო ზონისათვის პერსპექტიული სასუფრე და საღვინე ყურძნის ახალი ჯიშების გამოყვანა ვაზის სელექცია

ძირითადი სამუშაო მეთოდი: 1. ჯიშთშორისი ჰიბრიდიზაცია

სამუშაო ობიექტები: ადგილობრივი (აბორიგენული, ჰიბრიდული) და ინტროდუცირებული სასუფრე და საღვინე ყურძნის ჯიშები.

ვაზის სელექციაში ვმუშაობთ 1950 წლიდან: ქ. გორში და სოფ. წედისში (დღემდე) და 1960 წლიდან - მმმ-ის სკრის და გორის ს/სადგურების ბაზებზე.

ა). ჰიბრიდიზაციაში მონაწილე ვაზის ჯიშების: - ანანასურის, სუფრის გორულას, გორული წითელის, სეივ-ვილარის¹²⁻³⁷⁵, მოლდოვას და თავკვერის - ბოტანიკური ნიშან-თვისებების შვილეულ თაობაში მემკვიდრულობის ხასიათის გასარკვევად, საწყისი ჯიშების და ჰიბრიდული თესლნერგების (გორული წითელი X მოლდოვა, თავკვერი X მოლდოვა, გორული წითელი X სეივ-ვილარი^{12.375}, ანანასური X სუფრის გორულა) შერჩეულ ფორმებზე გაგრძელდა ბოტანიკური ნიშან-თვისებების აღწერა ვაზის დესკრიპტორების (UPOV; IPGRI) მიხედვით. კვლევა გრძელდება ნაყოფის სხვადასხვა ბოტანიკური ნიშნების მიხედვით. დამზადდა სადელი ღვინოები.

ჩვენი სელექციის ატმის, ვაშლის და ყურძნის სასუფრე-სამრეწველო მიმართულების ჰიბრიდული ფორმები საჭიროებენ საწარმოო გამოცდას.

საანგარიშო პერიოდში მეხილე კოორდინატორებს გამოქვეყნებული გვაქვს 4 შრომა:

1. საქართველოს ვაშლის (*Malus domestica* Borkh.) ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების სორტიმენტი - განვითარების ისტორიული ეტაპები და მიმდინარე გამოწვევები - ბობოქაშვილი ზვიადი, მაღლაკელიძე ელენე, კვალიაშვილი ვაჟა, კაკაშვილი ვანო, ციგრიაშვილი ლაშა, ვახტანგაშვილი მარია - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“ 22-24 მაისი, 2024, თბილისი, საქართველო

Assortment of local and introduced varieties of apples (*Malus domestica* Borkh.) in Georgia historical stages of development and current challenges - Bobokashvili Zviadi 1, Maghlakelidze Elene, Kvaliashvili Vazha, Kakashvili Vano, Tsigriashvili Lasha, Vakhtangashvili Marika INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE – “PLANT GENETIC RESOURCES: OPPORTUNITIES AND CHALLENGES” 22-24 May, 2024, Tbilisi, Georgia.

2. ვაშლის (*Malus domestica* Borch) ინტროდუცირებული ჯიშის „ჩელენჯერი“ დახასიათება. - ბობოქაშვილი ზვიადი, მაღლაკელიძე ელენე, კვალიაშვილი ვაჟა, კაკაშვილი ვანო, ციგრიაშვილი ლაშა, ვახტანგაშვილი მარია. ქართველი მეცნიერები. ტომი 6, N2. 2024.

3. Global Climate Challenges - Elements of Mitigation Measures for Sustainable Production of Georgian Fruits - Bobokashvili Zviadi , Maghlakelidze Elene, Kvaliashvili Vazha - Journal of science. Lyon №55 2024

4. BIOLOGICAL AND AGRICULTURAL CHARACTERIZATION OF INTRODUCED VARIETY „WEIKI” (*Actinidia arguta* Planch) IN GEORGIA Bobokashvili Zviadi, Maghlakelidze Elene, Kvaliasvili Vazha LEPL Scientific-Research Center of Agriculture, Tbilisi, Georgia Academy of Agriculture, Tbilisi, Georgia. MOLDOVA STATE UNIVERSITY INSTITUTE OF GENETICS, PHYSIOLOGY AND PLANT PROTECTION SCIENTIFIC ASSOCIATION OF GENETICISTS AND BREEDERS OF THE REPUBLIC OF MOLDOVA International Scientific Conference “Genetics, Physiology and Plant Breeding” (VIII-th Edition) Materials Proceedings CHISINAU October 7-8, 2024

აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი

1. სამეცნიერო თემის დასახელება:

1.1. „სელექციური მეთოდების გამოყენებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებული მართვით ციტრუსოვანთა ახალი ფორმების მიღება.“ (აწსუ აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი);

1.2. „იტალიიდან ინტროდუცირებული თხილის ჯიში „ტონდა ჯიფონის“ ბიომორფოლოგიური და აგროტექნიკური თავისებურებების შესწავლა აჭარის რეგიონში“. (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

1.3. „ფიზალისის (*physalis peruviana*) მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების შესწავლა შიდა ქართლის პირობებში“. (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

1.4. „მანდარინის ინტროდუცირებული ზოგიერთი საადრეო ჯიშის აგრობიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა აჭარის რეგიონის პირობებში“. (სადოქტორო თემის ხელმძღვანელი);

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიჰყავს ლექციების კურსი შემდეგ საგნებში:

- 2.1. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობა
- 2.2. აგროეკოლოგიის აქტუალური პრობლემები
- 2.3. მეჩაიეობა;
- 2.4. ტექნიკური კულტურები;
- 2.5. სუბტროპიკულ მცენარეთა ეკოლოგია.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. კოპალიანი რ. კაპანაძე შ. ყიფიანი ნ. - ნიადაგის მოვლის ზოგიერთი ხერხის გავლენა თხილის მოსავლიანობასა და რიგთაშორისებში სარეველების განვითარებაზე კონკრეტულ მიკროკლიმატურ

გარემოში - I საერთაშორისო კონფერენცია „გეოპოლიტიკა, ბუნებისმეტყველება, ჯამრთელობა და სპორტი“. შრომათა კრებული, საქართველო, თბილისი. 2024 წ.

3.2. კოპალიანი რ., ყიფიანი ნ. ქობალია ვ. - ციტრუსოვანთა სელექციაში მამა დამამტვერიანებლების ტრიფოლიატა ადრემსხმოიარესა და ციტრუს იჯანგენზისის მტვრის მარცვლების ცხოველმყოფელობის განსაზღვრის შედეგები - მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია,, ახალი ინიციატივები”. შრომათა კრებული. საქართველო, ქუთაისი. 2024 წ. გვ. 85-90

3.3. კოპალიანი რ. ხეთერელი ა. - შიდა ქართლის (ვარიანი) ნიადაგური პირობების შესწავლა ფიზალისის გაშენების მიზნით - მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია,, ახალი ინიციატივები”. შრომათა კრებული. საქართველო, ქუთაისი. 2024 წ. გვ. 95-101

3.4. კოპალიანი რ. ყიფიანი ნ. - სელექციის კლასიკური მეთოდების გამოყენების პოტენციური შესაძლებლობანი ციტრუსოვანთა კულტიგენებში - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები - თეზისების კრებული. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი 22-24 მაისი, 2024 წ. თბილისი, საქართველო. გვ:62-64

3.5. როლანდ კოპალიანი, შორენა კაპანაძე – Роль подвоя в развитии и продуктивности деревьев хурмы восточной в условиях имерети – периодический научный журнал „Новация,, ISSN N NN 1512-3715. №32 2024 г. стр. 55-61.

3.6. კოპალიანი რ. ხეთერელი ა. - ფიზალისის (*physalis peruviana*) გავრცელების პერსპექტივები საქართველოში - პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრო NEWS ISSN 2346-8467. N10 2024 წ. გვ: 16-20.

3.7. Roland Kopaliani, Nino Kipiani - „Results of Phenological Observation of Hybrid Relatives Obtained by Crossing with Spontaneous Mutants of Lemon Meyer Trifoliolate” - პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი აგრო NEWS ISSN 2346-8467. N10 2024 წ. გვ: 20-23.

4. სადისერტაციო დისერტაციების და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა.

4.1. ირმა ღორჯომელაძე - მანდარინის ინტროდუცირებული ზოგიერთი საადრეო ჯიშის აგრობიოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა აჭარის რეგიონის პირობებში - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.2. ნინო დეკანოიძე - ნუშის (*Prunus amygdalus*) ინტროდუცირებული ჯიშების გავრცელების პერსპექტივების გამოკვლევა აგროეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოში - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.3. დავით კილაძე - თანამედროვე აგროტურისტული კომპლექსის გამწვანება-განაშენიანების აგროტექნოლოგიური საფუძვლების შემუშავება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მაგალითზე - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.4. ნატალია ჯინჭარაძე - მიტოვებული ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია და შემდგომი აგროტექნოლოგია იმერეთის რეგიონის მაგალითზე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.5. კაპანაძე შორენა - კეთილშობილი დაფნის - (*Laurus nobilis L.*) აგროტექნოლოგია და გენეტიკურად დეტერმინირებული ნიშან-თვისებების კორელაცია მის პროდუქტიულობასთან - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

4.6. ოჩხიკიძე იზა - იაპონური კამელიას ზრდა-განვითარების თავისებურებანი და მწვანე კალმებით გამრავლების საკითხები იმერეთის პირობებში - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი.

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია,, ახალი ინიციატივები” - ციტრუსოვანთა სელექციაში მამა დამამტვერიანებლების ტრიფოლიატა ადრემსხმოიარესა და ციტრუს იჯანგენზისის მტვრის მარცვლების ცხოველმყოფელობის განსაზღვრის შედეგები. 2024 წ, საქართველო.

5.2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“- სელექციის კლასიკური მეთოდების გამოყენების პოტენციური შესაძლებლობანი ციტრუსოვანთა კულტიგენებში. 2024 წ, საქართველო.

6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

6.1. ახალი ტექნოლოგიური პარამეტრებით გადამუშავებული ქართული შავი ჩაის არომატულ ნივთიერებათა კომპლექსის კვლევა.- მკვლევარი.

6.2. USAID/REAP - პროექტი “გრძელვადიანი ტრენინგები პრაქტიკოსი აგრონომებისთვის” -ტრენერი

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.

7.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

7.2. შვიდი სახელმძღვანელოს რეცენზენტი;

7.3. რვა საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი;

7.4. საზოგადოება „ქუთაისელი“-ის წევრი

7.5. ქუთაისის საპატიო მოქალაქე

8. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

8.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი.

8.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

8.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი;

9. საკითხები, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია დარგობრივი განყოფილებებისა და აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე

9.1. საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობა, რისკები და გამოწვევები.

9.2. გლობალური კლიმატური დათბობა და მისი უარყოფითი გავლენა სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე საქართველოში.

აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

ვარ აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. ჩემი ხელმძღვანელობით 2024 წელს განყოფილებაში ჩატარდა 11 სხდომა. პირველ სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 25 იანვარს განყოფილების წევრებს მივაწოდე ინფორმაცია: 1. განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ და 2. პირადად, ჩემს მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

საანგარიშო წლის 17 ივნისს ვუხელმძღვანელე სემინარის ჩატარებას. სემინარი მივუძღვენით „გვალვასთან და გაუდაბნობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღნიშვნას, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დააწესა 1994 წელს. სწორედ ამ დღეს მიიღო გაერომ კონვენცია, რომლის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციამ და მასში შემავალმა ქვეყნებმა უნდა დაიცვან გარემო ამ ნეგატიური მოვლენისაგან და დააფინანსონ საჭირო პრევენციული პროგრამები. ორგანიზაციის მონაცემებით, დედამიწის ხმელეთის ტერიტორიის მეოთხედი უდაბნოდ გადაქცევის საფრთხის ქვეშ დგას.

სემინარზე გამოვედი მოხსენებით: „მსოფლიოს საოცარი უდაბნოები“. ყურადღება გავამახვილე იმაზე, რომ აგრონომიული განყოფილების ინიციატივით აკადემიაში უკვე მრავალი წელია აღინიშნება გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე. ვისაუბრე იმაზე, თუ რას წარმოადგენს უდაბნო ლანდშაფტის თვალსაზრისით, რა რაოდენობით და რამდენი ტიპის უდაბნო არსებობს დედამიწაზე და მათი მნიშვნელობა. ნიადაგების გაუდაბნობასთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ მდგომარეობაზეც შევაჩერე მსმენელთა ყურადღება. ვისაუბრე იმ პრობლემებზე, რომელიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას. ესაა გაუდაბნობის საშიშროების წინაშე მყოფი ქარისა და წყლის მიერ ეროზირებული ნიადაგები.

7 თებერვალს ვუხელმძღვანელე აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების მიერ მრავალი მაგიდის ჩატარებას, რომელიც მივუძღვენით გამოჩენილი ქართველი სელექციონერის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის და ერთ-ერთი დამფუძნებლის, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების

დამსახურებული მოღვაწის, სოციალისტური შრომის გმირის **ქსენია ერმილეს ასული ბახტაძის დაბადებიდან 125 წლისთავს**. მრგვალი მაგიდის სხდომაზე გამოვედი მოხსენებით „აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე - ცხოვრება და მოღვაწეობა“. აღინიშნა აკადემიკოსი ქალბატონი ქსენია ბახტაძის მიერ ჩაის მცენარის სელექციური ჯიშების გამოსაყვანად ბოტანიკის, ანატომიის, ციტოლოგიისა და გენეტიკის დარგში ჩატარებული ვრცელი მოკვლევების შესახებ. მან შეიმუშავა ჩაის სელექციური ჯიშების გამოყვანის მეთოდიკა. მის მიერ გამოყვანილ ჩაის ჯიშთა და ჰიბრიდთა საერთო რაოდენობა 20 - მდე აღწევს.

საანგარიშო წელს 16 სექტემბერს გამართულ მრგვალი მაგიდის სხდომაზე, რომელიც მიემდგვნა ქართველ აგრარისკოს მეცნიერთა სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, **პროფესორ მამია გოგოლიშვილის დაბადებიდან 110 წლისთავს**, გამოვედი მოხსენებით ამ ღვაწლმოსილი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მ. გოგოლიშვილი გახლდათ მეცნიერი, რომელმაც თავისი მუხლჩაუხრელი შრომითა და გარჯით დიდად შეუწყო ხელი საქართველოში სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებას, რისთვისაც იგი დაჯილდოებული იყო სხვადასხვა სახის სახელმწიფო ჯილდოებით - ორგანიზება გაუკეთეთ ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც ჩავატარეთ 2024 წლის 5 დეკემბერს. კონფერენციაზე გამოვედი მოხსენებით - „**ნიადაგი - ჩვენი ძვირფასი კაპიტალი. სიცოცხლე და კეთილდღეობა**“.

რეცენზია გავაკეთე:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის:

- მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის;
- ბიოაგროწარმოების სამსახურის და
- ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის 2023 წლის ანგარიშებზე;

ვთანამშრომლობ:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტთან. ხშირად ვარ სადისერტაციო ნაშრომების შემფასებელი - რეცენზენტი.

საანგარიშო წელს ვიყავი **მზევინარ შალამბერიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი**.

ვარ:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და აქტიურად ვმონაწილეობ მის საქმიანობაში.
- ს/მ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის „მოამბე“ და სამეცნიერო საინფორმაციო ჟურნალის - „აგრარული საქართველო“ რედკოლეგიის წევრი და ვნაწილეობ მათ მუშაობაში.
- ს/მ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეროვნული კოორდინატორი და ექსპერტი აგროქიმიის - ნიადაგმცოდნეობის დარგში.

კონკრეტული წინადადებები, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას და აღმავლობას:

1. ჩვენმა ქვეყანამ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აღიაროს. დაუმუშავებელი, მიტოვებული, გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფი ნიადაგების ნაწილი ზოგი დამლაშებულია, ზოგი ეროზირებული, დაჭაობებული, ძლიერ მჟავე, ზოგი სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების შედეგად Eწყოებიდან გამოსული; ასეთი ნიადაგების გაკეთილშობილება სპეციფიკური არაორდინალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს და იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, ამიტომ, ფინანსური დანახარჯები პირველ ეტაპზე მიწაზე მფლობელობის მიუხედავად სახელმწიფომ თავისთავზე უნდა აიღოს სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში.

2. მიწის ფონდის მოწესრიგების მიზნობრივი პროგრამის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი იქნება მომზადდეს და წარმატებით განხორციელდეს **სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა „მარცვალი“**, რომელიც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საძირკველია.

3. **აუცილებელია:** - აღდგენილ იქნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადრე არსებული „აგროქიმიისა და ნიადაგის ნაყოფიერების დაცვის სამსახური“ თავისი სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიებით, რომლებიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პერიოდულად - ყოველ 5

წელიწადში ერთხელ ჩაატარებენ ნიადაგურ - აგროქიმიურ გამოკვლევებს; განსაზღვრავენ ნიადაგის ნაყოფიერების დონეს და ყოველი კონკრეტული სავარგულისთვის შეადგენენ რეკომენდაციებს მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებისთვის.

4. ზემოთ აღნიშნული ამ ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემის წარმატებით გადაჭრა მეცნიერების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია აღდგენილ იქნეს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული მ.საბაშვილის სახელობის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მეცნიერთა ახალგაზრდა თაობების აღზრდის საქმეში.

ასეთი - ერთმანეთთან ურთიერთ მჭიდროდ დაკავშირებული 2 სტრუქტურა არსებობს მსოფლიოში სოფლის მეურნეობის როგორც მაღალგანვითარებულ, ისე, განვითარებად ქვეყნებში. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში დღემდე შენარჩუნებულია ორივე ეს სტრუქტურა. ერთადერთი ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში სადაც გაუქმდა იგი საქართველოა.

5. ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება არ არის მარტივი საქმე. იგი მაღალკვალიფიციურ აგროპერსონალს საჭიროებს. აუცილებელია ქვეყანას ყავდეს ნიადაგმცოდნეები და აგროქიმიკოსები, რომლებიც ამ საშვილიშვილო საქმეს მოემსახურებიან. აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე მზადდებოდნენ სპეციალისტები ნიადაგმცოდნეობა-აგროქიმიის მიმართულებით.

საქართველოში ყოველ მუნიციპალიტეტს უნდა ჰყავდეს 3 - 4 ნიადაგმცოდნე-აგროქიმიკოსი, რომლებიც უხელმძღვანელებენ სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიის მიერ გადაცემული რეკომენდაციების პრაქტიკულ განხორციელებას მუნიციპალიტეტის ყოველ კონკრეტულ სავარგულზე.

6. უდიდესი საქმე გაკეთდა 2014 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნით. ცენტრში ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია „ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახური“, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ლაბორატორიაც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. მაგრამ, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე იგი ვერ შეასრულებს დარგობრივი ინსტიტუტის ფუნქციებს.

აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე

1. სამეცნიერო კვლევითი თემა

1.1. ქართული ვაზის გენოფონდის დაცვა. ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების შესწავლა, გამოყენების პოტენციალი - **ხელმძღვანელი**

1.2. მზის მაღალი რადიაციის ნეგატიური მოქმედება ვაზის ფოტოსინთეზურ აპარატზე და კაოლინი, როგორც დამცავი საშუალება- **ხელმძღვანელი**

1.3. ახალი ფორმის გოგირდოვანი თიხის კომპოზიტის შესწავლა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე (ბიოაგროწარმოების კვლევის სამსახურთან ერთად) - **ხელმძღვანელი**

1.4. ქართული კულტურული ვაზის ჯიშების საბაზისო სამეცნიერო მასალების წარმოება ეკრანული (სკრინჰაუსი) სათბურის პირობებში-**ხელმძღვანელი**

1.5. საქართველოში გავრცელებული ევროპული გარეული ღორის კავკასიური პოპულაციის (*Sus scrofa attila L.*) გენეტიკური მრავალფეროვნების კვლევა - **თანახელმძღვანელი**

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ქართული ღვინის გილდია-მევენახეობა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) პროფესორი

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. ლ.უჯმაჯურიძე და სხვ.- ეთნობოტანიკური მონაცემები ღორის კულტურის შესახებ საქართველოში"; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2024, 2, 177-192

- 3.2. ლ. უჯმაჯურიძე და სხვ. "თხილის ბაქტერიული და ვირუსული დაავადებების სიმპტომები და ბრძოლის ღონისძიებები". ბროშურა, თბილისი, 2024 Traditions of using Georgian wheat in Georgia;
- 3.3. L.ujmajuridze ..Proceedings of the XV International Scientific Agriculture Symposium "Agrosymposium 2024", Jahorina, October 10-13, 2024
- 3.4.L.ujmajuridze...Georgian wheat endemic species and local varieties; Georgian wheat – continues tradition of use and rituals; February 5-6, 2024
- 3.5. L.ujmajuridze....The Plastid genomics of wild grapevines (*Vitis vinifera* subsp. *sylvestris*) of Georgia the cradle of viticulture; The International Viticulture and Enology Society (IVES); Vol. 58 No. 4 (2024): OENO One; DOI: <https://doi.org/10.20870/oeno-one.2024.58.4.8087>
- 3.6. L.ujmajuridze... Management and utilization of plant genetic resources for sustainable agriculture; International Scientific Conference - "Plant genetic resources: opportunities and challenges", May 22-24, 2024.
- 3.7.L.ujmajuridze... Study of Rare Grapevine Varieties of the Georgian Grapevine Gene Pool; International Scientific Conference - "Plant genetic resources: opportunities and challenges", May 22-24, 2024.
- 3.8. L.ujmajuridze....Georgian grape varieties and its resistance Grapevine Powdery Mildew (*Erisiphe necator* Schwein) under controlled conditions; International Scientific Conference - "Plant genetic resources: opportunities and challenges", May 22-24, 2024
- 3.9.L.ujmajuridze... A quality Infrastructure and Science, International Journal of Association for Science; Georgian Scientists Vol. 6 No. 1 (2024)

4. სადოქტორო დისერტაციების, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა

4.1. კაბერნე სოვინიონისა და მგალობლიშვილის ჯიშის ვაზების შემგუებლობა საქართველოს სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატურ პირობებთან და მათი ფარდობითი გვალვამძლეობა-სადოქტორო; - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;

4.2. „ყურძნის ჭიის კონტროლი კახეთის რეგიონში, მამრების დეზორიენტაციის მეთოდი სქესამრევი ფერომონებით“ - სამაგისტრო; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. მსოფლიოს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის FAO მცენარეთა გენეტიკური რესურსების საერთაშორისო ხელშეკრულების მმართველი კომიტეტის და რეგიონალურ შეხვედრებში მონაწილეობა (2024 აპრილი, ნოემბერი) იტალია, რომი.

თემა: საქართველოში მცენარეთა გენეტიკური რესურსების მდგომარეობა და არსებული გამოწვევები.

6.საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა. (ხელმძღვანელობა ან მონაწილეობა)

6.1. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას FAO-ს შორის, გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, სახელწოდებით „კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებული ტრადიციული ჯიშების შენარჩუნება ფერმერულ მეურნეობებში და in-situ/on farm and ex-situ კონსერვაციის ფორმებს შორის კავშირის გაძლიერება“ (პროექტის ხელმძღვანელი)

6.2.მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები. -საკონფერენციო გრანტი - (MG-ISE-23-2161პროექტის ხელმძღვანელი)

6.3. თხილის ბაქტერიული (*Xanthomonas arboricola*, *Pseudomonas avellanae*) და ვირუსული (APMV, PNRSV) ინფექციების კვლევა სეროლოგიური(ELISA), მოლეკულური (PCR, LAMP) მეთოდებით, კონტროლის მექანიზმების შემუშავება და ფერმერთა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა(STEM-22-834 პროექტის ხელმძღვანელი)

7. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა.

- მონაწილეობა აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში;

- სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო მკვლევითი ცენტრის წლიური ანგარიშის წარდგენა; - პრეზიდენტის მუშაობაში გამოტანილი საკითხების ირგვლივ დისკუსიებში მონაწილეობა.

8. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.

8.1. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო მკვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე;

8.2. საერთაშორისო კონფერენცია „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები» სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე;

8.3. ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, სარედაქციო კოლეგიის წევრი.

9. გამოგონება, პატენტი

გადაცემულია გამოგონებაზე ორი წინადადება საქპატენტში

10. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები

10.1. ვარ საქართველოს მცენარეთა გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორი FAO-ში;

10.2. გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) საგრანტო პროექტის „აგრარული ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სასოფლო დასახლებებში“-ექსპერტი.

10.3. ჩემი ხელმძღვანელობით სისტემატიურად იმართება სადემონსტრაციო დღეები, ლექცია - სემინარები, პრაქტიკული სწავლებები ფერმერებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის სხვადასხვა აგრარული მიმართულებებით.

10.4. ვმონაწილეობ ფერმერთა ექსტენციის ღონისძიებებში მთელი ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალიტეტებისა და სოფლების დონეზე.

11. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებებისა და პრეზიდიუმის სხდომებზე და სხვ.

11.1. ვაზის გენეტიკურ რესურსების მოძიება-იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები;

11.2. ქართული ადგილობრივი ვაზის ჯიშების საბაზისო მასალების წარმოების საკითხები;

11.3. ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო “გურიის ჩხავერი” მიკროზონასთან დაკავშირებული საკითხები.

აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი

1. სამეცნიერო-კვლევით თემა: „საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლა (ინვენტარიზაცია) (ხელმძღვანელი)

თემის მიზანი:

* საქართველოს ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლა, შეფასება და შესაბამისი გეომონაცემთა ბაზის შექმნა ევროკავშირის გაერთიანებული კვლევითი ცენტრის და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ნიადაგის საერთაშორისო თანამშრომლობის სამდივნოს (GSP) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

* ნიადაგის შესახებ საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის განვითარების (NCDI) პროექტის და ნიადაგის მსოფლიო საინფორმაციო სისტემის GLOIS მოთხოვნების შესაბამისად.

* ნიადაგის ციფრული კარტოგრაფირება.

2024 წელს შესრულებული სამუშაოები:

* ნიადაგების საერთო მდგომარეობის შესწავლის ფარგლებში გამოკვლეულია ნიადაგი 25 ათასი ჰა ს/ს დანიშნულების ფართობზე.

ტერიტორიაზე საიდანაც აღებული და ლაბორატორიულ პირობებში შესწავლილია ნიადაგის ნიმუში.

* შედგენილია 1 : 200 000 მასშტაბის ნიადაგის თემატური რუკები გამოკვლეული 25 ათასი ჰა ფართობისათვის.

* გამოკვლეული ფართობებისთვის შედგენილია ნიადაგის ძირითადი მახასიათებლების ამსახველი 5 ციფრული რუკა და შემუშავდა 200-ზე მეტი რეკომენდაცია საშემოდგომო მარცვლოვნების და ვაზის კულტურის ქვეშ ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების შესახებ;

* შესწავლილია ნიადაგის ნაყოფიერების მდგომარეობა და დეგრადაციის ხარისხი შერჩეულ ფართობებზე ბოლნისის, დედოფლისწყაროს, მარტვილის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, ოზურგეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში;

* საველე და ლაბორატორიული კვლევის მონაცემების საფუძველზე განახლდა ნიადაგს ელექტრონული მონაცემთა ბაზა.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

Gventsadze, Giorgi, Giorgi Ghambashidze, Zaur Chankseliani, Ioseb Sarjveladze, and Winfried EH Blum. "Impacts of Crop-Specific Agricultural Practices on the Accumulation of Heavy Metals in Soil in Kvemo Kartli Region (Georgia): A Preliminary Assessment." Sustainability 16, no. 10 (2024): 4244.

3. აკადემიის საქმიანობაში მონაწილეობა

1. აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულის „მომბე“-ს სარედაქციო- სამეცნიერო საბჭოს წევრი.
3. კოორდინატორი ფერმერთა საკონსულტაციო საკითხებში „ აგროეკოლოგიაში“.

4. სამეცნიერო საბჭოზე განსახილველი საკითხი

- 4.1. საქართველოს ნიადაგებში ორგანული ნახშირბადის განაწილება რეგიონების მიხედვით.

აკადემიკოსი ნოდარ ჩხარტიშვილი

2024 წლის საანგარიშო პერიოდში მუშაობას ვაგრძელებდი მევენახეობა-მელვინეობის როგორც სამეცნიერო, ასევე საწარმოო მიმართულებით კონსულტანტის თანამდებობაზე. ვარ საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტის წევრი, კოორდინატორი - მევენახეობა - მელვინეობის მიმართულებით.

თანამშრომლობას ვაგრძელებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მოქმედ სამეცნიერო საბჭოსთან.

განხორციელებული სამუშაოების პარალელურად, აქტიურად ვმუშაობ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორცაა ქვეყანაში ვენახების გაშენების, სარგავი მასალით უზრუნველყოფის პრობლემები და სხვ.

ყურადღებას ვაქცევ საგარეჯოს მიკროზონაში, „შპს“ „ჩაილურის“ მეწარმის, ზურაბ მჭედლიშვილის საქმიანობას, რომელიც ყოველწლიურად 2,0 (ორ მილიონ) სხვადასხვა კატეგორიის ვაზის ნერგს აწარმოებს.

2007 წლიდან სახელმწიფო საფუძველზე კონსულტანტის სტატუსით ვთანამშრომლობ მევენახეობის სფეროში „შპს“ ხარებასთან“. დღეის მონაცემებით, კომპანიის ვენახის ფართობმა 1500 ჰა-ს გადააჭარბა, წარმოებული პროდუქცია 6-7 ათას ტონას აღემატება; ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ის ფაქტი, რომ კომპანია, მელვინეობის მიმართულებით იყენებს თანამედროვე გადამამუშავებელ სხვადასხვა ტექნოლოგიური ხაზს.

საანგარიშო 2024 წელი გამორჩეულია ახალგაზრდა კადრებისა და დაინტერესებულ პირთა, მათ შორის სტუდენტების ჩართულობით. გასული წლის მსგავსად (ყვარელი - შპს „ხარება“, „გურჯაანი“, ...) ყვარელში ვენახების გასხვლით დავიწყეთ. დაიგეგმა პროცესი და ჩამოყალიბდა ვაზის მსხვლეღთა ბრიგადები. ძალზე აქტიური იყო ახალგაზრდა კადრების და მათ შორის სტუდენტების დაინტერესება, რომლებიც ჩართულები იყვნენ გასხვლის პროცესში.

ამჟამად აქტიურად ვთანამშრომლობ თელავის მუნიციპალიტეტში, მევენახეობა-მელვინეობის თელავის საცდელი სადგურის ყოფილ ტერიტორიაზე - ბაზაზე; ამავე ტერიტორიაზე ამოქმედდა თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი ღვინის ქარხანა.

მისასალმებელია ისიც, რომ ღვინის კომპანია „ხარება“, აქტიურად თანამშრომლობს მეცნიერებასთან; ერთობლივად ჩატარებული სამუშაოების შედეგად, კახეთსა და იმერეთში გაშენდა ვაზის საკოლექციო ნაკვეთები, სადაც წარმოდგენილია 300-300 ძირი ვაზის ჯიშები. იგი მზად არის მეცნიერული კვლევებისათვის და ტურიზმისათვისაც.

სამეცნიერო-კვლევით სფეროში კონსულტაციებს ვუწევდი ადგილწარმოშობის დასახელების პერსპექტიული მიკროზონების კომპლექსურ გამოკვლევას. ყურადღება იყო გამახვილებული რაჭა-ლეჩხუმის მიკროზონებზე. წარმატებული მუშაობის შედეგად რეგისტრირებული იქნა ოთხი დასახელების მიკროზონა; მ. შ. საყურადღებო იყო ტვიშის ტერიტორიის გაფართოება; რეგისტრირებულია უსახელოურის და ორბელური - ოჯალემის მიკროზონები.

აკადემიკოსი ვალერიან ცანავა

1. თემის დასახელება: “სუბტროპიკული კულტურების წარმოების ინტენსიფიკაცია, განოყიერების სისტემის სრულყოფა” - თემის ხელმძღვანელი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობის ზრდა უშუალოდ დაკავშირებულია მცენარეების საკვები ელემენტებით უზრუნველყოფასთან, რასაც არეგულირებს განოყიერების სისტემა. არასწორი, არადროული ან ჭარბი რაოდენობა სასუქებისა, ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას, არღვევს საკვები ელემენტების ბუნებრივ ბალანს, ცალკეული ელემენტების გლობალურ ციკლს. ყოველივე ამან იმდენად მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ აუცილებელი ხდება ნიადაგდამცავი, რესურსდამზოგავი სისტემების დამუშავება. ჩვენს პირობებში აქტუალური ამოცანაა ნიადაგების (პირველ რიგში ჩაით დაკავებული) დაცვა შემდგომი დამჟავებისაგან.

საანგარიშო წელს კომპლექსური, რთული სასუქები იცდებოდა კივისა და მოცვის ბაღებში. ცდაში გამოყენებული იყო თხევადი კომპლექსური სასუქები, ერთჯერადი დოზა კივის შემთხვევაში N 50 კგ/ჰა შეადგენდა, ხოლო მოცვის შემთხვევაში 70 კგ/ჰა. გამოყენებული იყო „ევროქიმის“ მიერ წარმოებული თხევადი რთული სასუქები, თორმეტჯერადი შესხურება სეზონის განმავლობაში იცვლებოდა დეკადების მიხედვით სასუქებში შეფარდება ელემენტების, ძირითადად შეფარდება (N:P:K) აქტინიდა (კივი) შემთხვევაში იყო 20:20:20, ხოლო მოცვის შემთხვევაში ძირითადი შეფარდება იყო 18:18:18 გაზაფხულის გამოკვებებში თხევად რთულ სასუქს ემატებოდა მიკროელემენტები.

თხევადი რთულ სასუქებთან მუშაობისას საჭიროა გათვალისწინებული იქნეს ის რომ ეს სასუქები მჟავე ნიადაგებზე (წითელმიწები) კარგად შეითვისება თუ ის მიიღება ორთოფოსფორმჟავისგან. ნიადაგში ფოსფორის დაბალი საწყისი კონცენტრაციით სასუქი სადაც შეფარდება N:P:K არის 1:1:1 სასუქი მოქმედებს სუსტად. ის უფრო ეფექტურია თუ შეფარდება N:P არის 1:4,5 ან 1:3.

2024 წლის მონაცემებით მოცვის მოსავალი საკონტროლო ვარიანტზე არსებული განოყიერების სისტემა შეადგენდა ჰექტარზე გადაანგარიშებით 14965 კგ/ჰა, 2. თხევადი კომპლექსური სასუქები N:P:K 20:20:20 ძირითადი, გამოკვებისას 13:40:13, 6:14:35 (ორ-ორი გამოკვება) მოსავალი შეადგენს 19684 კგ/ჰა, 3. კომპლექსური სასუქები 18:18:18 ძირითადი და 6:14:35, 17902.2 კგ/ჰა.

აქტინიდა (კივი) საკონტროლო ვარიანტი - ერთ მცენარეზე გაანგარიშებით: 17,1 კგ მე-2 ვარიანტი ძირითადი 18:18:18, ორ-ორი გამოკვება 13:40:13 და 6:14:35 - 22,8 კგ/ხეზე; 3. ძირითადი ორ-ორი გამოკვება 13:40:13- 20.2 კგ.

3. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

3.1. საერთაშორისო კომპანია EuroChem - ის მიერ დაფინანსებული პროექტი - “სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ (კივი (აქტინიდა), ლურჯი მოცვი) ახალი მარკის სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა და მიღებულ შედეგებზე სწავლება-სემინარების ჩატარება“ (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი);

4. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა - აკადემიკოსი ვალერიან ცანავა არის ჟურნალ „კვალის“ რედკოლეგიის წევრი.

აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე

1. თემა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე ჯიშების (11 ჯიში) მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა.

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკაში.

ვაზის ძირითადი დადებითი ნიშან-თვისებები, რითაც მან ადამიანთა ფართო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, შემდეგში გამოიხატება: კვების მხვირვ, ნაკლებ მომთხოვნი მცენარე, დაუბრკოლებრივ ვითარდება ისეთ ნიადაგებზეც კი, სადაც სოფლის მეურნეობის მთელ რიგ კულტურათა წარმოება შეუძლებელია ან მცირე ეფექტის მომცემია (საკმაოდ ან მეტად დაფერდებული ციკაბო ადგილები, ხირხატი და ქვიანი ნიადაგები, სილნარი და სხვა)

გარდა იმისა, რომ ვაზი ფართობის ერთეულზე იძლევა დიდ მოსავალს, ადრე შედის მსხმოიარობაში - დარგვიდან 3-4 წლის შემდეგ, კარგად იტანს გვალვას და ძვირფას საკვებ და სამკურნალო პროდუქტს იძლევა.

ახლო წარსულში, აჭარის შიდა მთიანი რაიონების ეკონომიკაში მევენახეობამ მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო დღეს ამ დარგის აღმავლობა შეფერხებულია, თუმცა ამჟამად საგრძნობლად შეიმჩნევა მისი შემდგომი წინსვლა და სამომავლო პერსპექტივები.

აჭარაში (ძირითადად ქედა, შუახევი, ხულო) ვაზი გაშენებულია დაბლარი ვენახის სახით, ხოლო ხელვაჩაურსა და ქობულეთში კი მაღლარის სახით, თუმცა ამ ბოლო წლებში ფართოდ იკვეთება ვაზის დაბლარი სახით პლანტაციების გაშენების პერსპექტივები, რასაც საფუძვლად დაედება ა(ა)ი „აგროსერვისცენტრის“ გავარა - ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო - სანერგე მეურნეობაში გაშენებული ვაზის ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების მორფო-ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების შედარებითი შესწავლის შედეგები.

დღის წესრიგში დგას ზემოთ აღნიშნულ მეურნეობებში გაშენებული ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების მორფო-ბიოლოგიური, სამეურნეო და ტექნოლოგიური თვისებების შესწავლა, ადგილობრივი ნიადაგურ - კლიმატური პირობებისადმი უკეთ შეგუებული, სტაბილურად მსხმოიარე, ნაყოფის კარგი ხარისხის მქონე და მავნებელ დაავადებათა მიმართ შედარებით გამძლე პერსპექტიული ფორმებისა და ჯიშების გამორჩევა.

სწორედ, აღნიშნული პრობლემების შესწავლისა და შეძლებისამებრ გადაჭრის მიზნით, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრსა“ და მეცნიერთა ჯგუფს (რ. ჯაბნიძე, შ. ლამპარაძე, ნ. ბერიძე) შორის, 2023 წლის 3 იანვარს გაფორმდა N87 შრომითი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მემცენარეობის დარგში სამეცნიერო-პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებასა და ანგარიშების წარდგენას.

ჩვენი კვლევის ამოცანას შეადგენდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო - სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან - თვისებების შესწავლა, საუკეთესო ფორმების გამორჩევა და რეკომენდაციების მომზადება ფერმერულ მეურნეობებში შემდგომში დანერგვის მიზნით.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უძღვება სალექციო კურს შემდეგ დისციპლინებში: ა) სუბტროპიკული კულტურები; ბ) მეჩაიეობა;

გ) 2021 წლიდან უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ემირიტუს-პროფესორის წოდება.

3. სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა:

- ხელმძღვანელობს დოქტორანტ მირზა ყურშუბადის სადოქტორო ნაშრომს: „ხურმა ჰაჩიას პერსპექტიული, მსხვილნაყოფა ფორმის „ჩაისუბანი“ ზრდა-განვითარებისა და აგროეკოლოგიური ფაქტორების გავლენა პროდუქტიულობაზე“.

-აწეს-ს აგრონომიულ სპეციალობაზე თანავხელმძღვანელობ დოქტორანტების: დავით ზოიძისა და გიგა დათუნაიშვილის ნაშრომებს.

4. გამოქვეყნებული სახელმძღვანელო:

ა) „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების აგროტექნოლოგია“.

ანოტაცია: „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების აგროტექნოლოგია“, (რომელიც შედგება 286 გვერდისგან) სუბტროპიკული მემცენარეობის ნაწილია, რომლის შესწავლის ობიექტია საქართველოში გავრცელებული სუბტროპიკული და ტროპიკული წარმოშობის ისეთი ტექნიკური მცენარეები, რომელთა ცალკეული ნაწილები ან მათგან მიღებული პროდუქცია, როგორც ნედლეული, გამოიყენება სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში.

წარმოდგენილ ნაშრომში ფართოდაა გამოუქვებული თანამედროვე მეცნიერების უახლესი მიღწევები და წარმოების მოწინავე გამოცდილების შედეგები, სადაც დეტალურად განხილულია სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების და სუბტროპიკულ სამკურნალო მცენარეთა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება, აგრობიოლოგიური და აგროეკოლოგიური თავისებურებანი, ნიადაგის მოვლისა და ყინვებისაგან დაცვის ღონისძიებები, სუბტროპიკულ ტექნიკური კულტურების სახეობების, ჯიშების, ფორმებისა და კლონების დახასიათება, სადედე ბაღების ინტენსიური ტექნოლოგია, სანერგე მეურნეობის ორგანიზაცია, სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების თანამედროვე მდგომარეობა, განვითარების პერსპექტივები და პროგნოზირება.

ნაშრომში სუბტროპიკული მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობის ფონზე ფართოდაა გამოყენებული ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის და სხვა სამამულო თუ უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ამ პროფილით არსებულ უნივერსიტეტებში, დამუშავებული მეცნიერული დებულებები და რეკომენდაციები, ასევე, ავტორების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების მასალები და მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები. გაანალიზებულია ამ დარგში მომუშავე სპეციალისტთა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებანი, მოცემულია უახლოეს პერიოდში სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების განვითარების პერსპექტივები.

5. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა:

- სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ბოსტნეული და ბაღიერი კულტურების კვლევის სამსახურის წლიური ანგარიშის რეცენზენტი.

6. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2019 წლის 27 დეკემბრის N01-210 კორესპონდენციის შესაბამისად ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრზე გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, პროგრამის „აგროსერვისის განვითარება რეგიონებში“-კონსულტანტი.

7. მონაწილეობა სხვადასხვა კომისიების, საბჭოების და საზოგადოებრივ საქმიანობაში:

- არჩეულია ბათუმისა და ხელვაჩაურის საპატო მოქალაქედ;
- არჩეულია საქართველოს ანტიკორუფციული პალატის პრეზიდიუმის წევრად და აგრარული კომისიის თავმჯდომარედ;
- არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ;
- არჩეულია აჭარის უმაღლესი საბჭოს აგრარულ საკითხთა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრად;
- არჩეულია ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრად;
- არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარის მოადგილედ;
- რეცენზია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ბოსტნეული და ბაღიერი კულტურების კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე;
- მოსმენილი იქნა ეროვნული კოორდინატორების მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც დადებითად შეფასდა;
- რეცენზენტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი პროექტის „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“ ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო შრომების ანგარიშის.

8. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:

აკად. რ. ჯაბნიძე არის სსმმ აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ექსპერტი ჩაისა და ციტრუსების დარგში, სუბტროპიკული კულტურების მიმართულეებით აკადემიის ეროვნული კოორდინატორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მოამბე“, სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „აგრარული საქართველო“ და ქუთაისის

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „აგროიუსი“ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკური ინოვაციები“ სამეცნიერო საბჭოს წევრად.

3.2. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს - მდივანი – აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 4 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).

აკადემიკოსები: თენგიზ ყურაშვილი, ანატოლი გიორგაძე, ჯემალ გუგუშვილი, გურამ ტყემალაძე.

განყოფილებაში 2024 წელს ჩატარდა 11 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 17 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი. 2. აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 14 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს გურამ ტყემალაძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 12 მარტს და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს ანატოლი გიორგაძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 11 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. ვეტერინარიის მიმართულების კოორდინატორთა ჯგუფის 2023 წლის ანგარიში. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი. 2. ინფორმაცია საქართველოში მეფრინველეობის არსებული მდგომარეობის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 20 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. კავკასიური როჭოს (Caucasian Black Crouse- tetao mlkosiewiczzi) საქართველოს ფაუნის ენდემური სახეობის შესახებ (ბიოლოგიური თავისებურებები, გავრცელების არეალი, მოშენების ფორმები, ინკუბაცია, მოზარდის გამოზრდა). **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე. 2. მეფუტკრეობის მიმართულების კოორდინატორთა ჯგუფის 2023 წლის ანგარიში. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი მაია ფეიქრიშვილი. 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილებაში გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მისანიჭებელი კონკურსის გამოცხადების შესახებ. **მომხსენებელი:** მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

მექვსე სხდომა ჩატარდა 20 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოში ცხოველთა დაავადებების გავრცელების შესახებ (გავრცელება, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა) **მომხსენებელი:** სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დოქტორი დემნა ხელაია; თანამომხსენებელი: სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე: ვეტერინარი ექიმი იოსებ მენთეშაშვილი.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 25 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოში გავრცელებული ცხვრის აბორიგენული ჯიშების მდგომარეობის და მათი გაუმჯობესების გზების შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი გივი ბეღელური

მერვე სხდომა ჩატარდა 23 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია შინაური ცხოველების შესახებ (მათი ჯიშები და დაავადებების პრევენცია) **მომხსენებელი:** წვრილ ცხოველთა ასოციაციის პრეზიდენტი მარიკა ჩხიკვიშვილი 2. საქართველოში მეზოცვრეობის არსებული მდგომარეობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი

მეცხრე სხდომა ჩატარდა 11 ნოემბერს (გამოკითხვის წესით) და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს მიხეილ რჩელიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „ცხოველთა ინფექციური დაავადებები - საქართველოში არარეგისტრირებული“ (ავტორები: აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, ვეტერინარიის დოქტორი ლევან ციციშვილი; ვეტერინარი ექიმი კონსტანტინე ყურაშვილი) რეცენზენტად ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის მაია კერესელიძის არჩევა.

მეათე სხდომა ჩატარდა 21 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიკოს მიხეილ რჩელიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „ცხოველთა ინფექციური დაავადებები - საქართველოში არარეგისტრირებული“ **მომხსენებლები:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, ვეტერინარიის დოქტორი ლევან ციციშვილი; ვეტერინარი ექიმი კონსტანტინე ყურაშვილი 2. ინფორმაცია ნაშრომის „ცხოველთა ინფექციური დაავადებები - საქართველოში არარეგისტრირებული“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებლები:** ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი მაია კერესელიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი 3. ფარული კენჭისყრა.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 16 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი.

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

30 აპრილს - ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია თემაზე: „ვეტერინარიის აქტუალური საკითხები თეორიასა და პრაქტიკაში“. კონფერენციაზე მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა ყურადღება გაამახვილა ვეტერინარიის მნიშვნელო-ბაზე თანამედროვე საზოგადოების ყოფაში, ისაუბრა ადამიანებისთვის უსაფრთხო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე და სხვ. კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: სეს-ის უფროსის მოადგილე ვ. ბასილაძე, ვეტერინარული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ი. მენტემაშვილი, დოქტორანტები: გ. ბუცხრიკიძე, გ. გლუნჩაძე და სხვები. მოხსენებები ეხებოდა ვეტერინარიაში არსებულ პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს, ასევე დაავადებებსა და მათი აღმოფხვრის საშუალებებს.

20 მაისს - ფუტკრების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა. მრგვალ მაგიდაზე საქართველოში მეფუტკრეობის დარგის განვითარების ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა. აღინიშნა, რომ ქართველი კაცი ფუტკრის მოშენებას და ფუტკრის პროდუქტების წარმოებას უხსოვარი დროიდან მისდევს. მისასალმებელია, რომ დღესაც გრძელდება ეს ტრადიცია და საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება მეფუტკრე-ფერმერები, რომლებიც წარმატებით ავითარებენ დარგს. მრგვალ მაგიდაზე ფართო მოხსენებით თემაზე: „საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა თაფლისა და ფუტკრის პროდუქტების წარმოება“ მსმენელთა წინაშე წარსდგა სოფლის მეურნეობის დოქტორი მაია ფეიქრიშვილი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ბიოსაფუტკრეების შექმნის მნიშვნელობაზე, როგორც უკანასკნელ პერიოდში მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე მოსახლეობის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში **თაფლისა და ფუტკრის პროდუქტების** წარმოების აუცილებლობაზე. ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ საქართველოში მრავლადაა ისეთი

ადგილები, სადაც დიდი ძალისხმევით გარეშე შეიძლება ბიოსაფუტკრეების შექმნა. გარდა ამისა მოხსენებული იყვნენ ქართველი მეფუტკრეები, რომლები უკვე გადავიდნენ ფუტკრის ეკოპროდუქტების წარმოებაზე.

3.2.1. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე

აგრძელებდა მუშაობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილედ, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორად, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსად.

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებითი)

1.1. „ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემებს საქართველოში“.

თემის მიზანია: მოპოვებული იქნას ინფორმაცია თემის ირგვლივ. გამოიკვეთოს განვითარების ისტორიული ასპექტები. არსებული კონცეფციები. შესწავლილი იქნას ცალკეული ქვეყნების (განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნების) გამოცდილება (თავისებურებები და ტენდენციები). გამოკვლეული იქნას პრობლემის კვლევასთან დაკავშირებული მეცნიერების როლი (მათი რეკომენდაციები, გავრცელების არეალი). გაანალიზდეს, თუ როგორია ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების გაძლიერების თანამედროვე მეთოდები (გამოცდილება).

გაანალიზდეს ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, ბუნებრივი-საწარმოო პირობები, ისტორიული გამოცდილება (თავისებურებები), საკანონმდებლო ბაზა და სხვა.

მომზადდეს რეკომენდაციები საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

თემაზე მუშაობა გრძელდება.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი, ბაკალავრიატი სასწავლო კურსის სახელწოდება “ნადირობის საფუძვლები და სანადირო მეურნეობა”. სასწავლო კურსის კოდი: HUNIN10GA1-LP. კითხულობდა ლექციებს აღნიშნულ საგანში ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტებთან.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. Anatoli Giorgadze, Marine Barvenashvili - Dual Education in Georgia - I Міжнародній науково-практичній інтернет-конференції «Інноваційний потенціал сучасної освіти та науки» 25 квітня 2024 року, м. Кам'янець-Подільський. "ПОДІЛЬСЬКИЙ ДЕРЖАВНИЙ УНІВЕРСИТЕТ"

3.2. Anatoli Giorgadze, Marine Barvenashvili - The preservation of the gene fund of chicken breeds in Georgia. Abstracts of reports of International Scientific and Practical Conference “Actual Problems of Modern Biology, Animal Husbandry and Veterinary Medicine”, dedicated to the 100th anniversary of birth of Doctor of biological sciences, Academician of UAAS, Director of the Institute of Animal Biology NAAS in 1972–1993 Petro Lahodiuk (08.06.1924 — 17.02.1994) October 3rd–4th, 2024, Lviv, Ukraine. Scientific journal “The Animal Biology”2024.

3.3. Marine Barvenashvili, Anatoli Giorgadze - INFLUENCE OF CLIMATE CHANGE ON THE PRODUCTIVITY AND QUALITY OF HONEY OF GEORGIAN HONEY BEE MEGRELIAN POPULATION. International Scientific and Practical Conference «Climate Change and Its Impact on Animal Husbandry and Veterinary Medicine: Scientific Approaches and Innovative Solutions» October 10-11, 2024. Ministry of Education and Science of Ukraine, Higher educational institution „Podillia Statu University, Kamianets-Podilskyi, Ukraine.

4. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

4.1. I Міжнародній науково-практичній інтернет-конференції «Інноваційний потенціал сучасної освіти та науки» 25 квітня 2024 року, м. Кам'янець-Подільський. "ПОДІЛЬСЬКИЙ ДЕРЖАВНИЙ УНІВЕРСИТЕТ" საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

4.2. International Scientific and Practical Conference “Actual Problems of Modern Biology, Animal Husbandry and Veterinary Medicine”, dedicated to the 100th anniversary of birth of Doctor of biological sciences, Academician of UAAS, Director of the Institute of Animal Biology NAAS in 1972–1993 Petro Lahodiuk (08.06.1924 — 17.02.1994) October 3rd–4th, 2024, Lviv, Ukraina.

4.3. International Scientific and Practical Conference «Climate Change and Its Impact on Animal Husbandry and Veterinary Medicine: Scientific Approaches and Innovative Solutions» October 10-11, 2024. Ministry of Education and Science of Ukraine, Higher educational institution „Podillia Statu University, Kamianets-Podilskyi, Ukraina.

5. მონაწილეობა აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში.

მომხსენებელი:

5.1. აკადემიის საინფორმაციო - სარეკლამო ბიულეტენის „აკადემიის მაცნეს“ მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

5.2. აკადემიის მუდმივმოქმედი გამოფენის ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებების შესახებ.

5.3. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

5.4. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2025 წლის ბიუჯეტის პარამეტრების შესახებ.

5.5. ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცრის შესახებ.

5.6. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2024 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ.

2024 წელს აკადემიის ეგიდით გამართული მრგვალი მაგიდების, სემინარების და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების თანაორგანიზატორი და მონაწილე.

6. სამეცნიერო საზოგადოებების, რედაქციების წევრობა

6.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრი;

6.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” სარედაქციო სამეცნიერო საბჭოსა და საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგიის წევრი;

6.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაზეთ “მაცნეს” მთავარი რედაქტორის მოადგილე;

6.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, აგრობიომრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე;

6.5. ვინიცის (უკრაინა) ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის “აგრარული მეცნიერება და კვების ტექნოლოგიები” რედაქციის წევრი;

6.6. კიევის (უკრაინა) ბუნებრივი რესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალ “ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის” რედაქციის წევრი;

6.7. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი „აგრარული საქართველოს“ სამეცნიერო საბჭოს წევრი;

6.8. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ «Animal Husbandry of the Steppe of Ukraine» რედაქციის წევრი, უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მარცვლოვანი კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქ. დნიპრო.

7. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები

7.1. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კომისიის მუშაობაში მონაწილეობა (კომისიის წევრი).

აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი

ინფორმაცია 2024 წლის სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.

1. გამოქვეყნებული სტატიები:

1.1. „გამსვლელი სამეცნიერო ექსპედიცია კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში“ ჟურნალი „აგრარული საქართველო“ 2024 N 1 - გვ 25

1.2. გამსვლელი სამეცნიერო ექსპედიცია „ბიოტექსში“ ჟურნალი „აგრარული საქართველო“ 2024 N 2 - გვ. 11

1.3. სემინარი კომპანია შპს -, ქართო იფელი“ ჟურნალი „აგრარული საქართველო“, 2024, N3 - გვ.7

1.4. „საქართველოში გავრცელებული გარეული კურდღლის ბიოლოგია“, ჟურნალი „აგრარული საქართველო“, 2024, N5 - გვ.28

სამეცნიერო საბჭოს სხდომები:

28 თებერვალს ჩავატარეთ სამეცნიერო საბჭოს პირველი სხდომა, სადაც მოსმენილი იქნა სოფ.მეურ.მეცნ.დოქტორის გიული გოგოლის ინფორმაცია: მეცხოველეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“- ს შესახებ.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში კვლევები ხორციელდება ადგილობრივი ჯიშების ფერმერულ მეურნეობებთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე გრძელდება კვლევები და ინერგება ზოოტექნიკური აღრიცხვის ელემენტები, მათ ბაზაზე სანაშენე მეურნეობებზე ჩამოყალიბების პერსპექტივით; ჩვენი რეკომენდაციით საჭიროა, მოწესრიგდეს მეცხოველეობაში ჯიშობრივი აღრიცხვიანობა და სანაშენე მუშაობა, შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბებით.

2024 წ. 19 მარტს ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს შემდეგი სხდომა, თემა გახლდათ „ვეტერინარიის თანამედროვე მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“. მომხ. აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი და პროფესორი გიული გოგოლი.

2024 წლის 23 მაისს ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს მესამე სხდომა , სადაც განხილული იქნა სოფლის მეურნეობის დოქტორის, მეფუტკრეთა გილდიის გამგეობის თავმჯდომარის გიორგი კვაპაშვილის მოხსენება საქართველოში მეფუტკრეთა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მეფუტკრეობის ისტორია საქართველოში მჭიდროდა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. თითქმის 15 წელი მიმდინარეობს დარგის უკუსვლა, მოისპო საზოგადოებრივი სექტორი, განადგურდა ინფრასტრუქტურა. მეფუტკრეობა საქართველოში აღმოჩნდა სავალალო მდგომარეობაში. გაუქმდა მეფუტკრეობის კვლევითი ინსტიტუტი და კანონი მეფუტკრეობის შესახებ.

მეფუტკრეობა დღეისათვის განიცდის საკადრო შიმშილს ჩვენი რეკომენდაციით და სახელმწიფოს თანადგომით საჭიროა მოხდეს დარგში არსებული უარყოფითი პროცესების შეჩერება, ფუტკრის მიერ მოპოვებული პროდუქტების მიღება-შენარჩუნება შეიცვალოს ახალი თანამედროვე მეთოდებით, რაც ხელს შეუწყობს ქართული ფუტკრის შემდგომ განვითარება-განმტკიცებას.

შემდეგი სხდომა ჩატარდა 2024 წლის 18 ივნისს, თემა გახლდათ ბიორაციონალური ტექნოლოგიების კვლევითი ცენტრის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. კომპანიაში, რომელიც ფუნქციონირებს 33 წლის განმავლობაში საქართველოში პირველად დამზადდა ანტიჰელმინთური საშუალებების ტაბლეტური ფორმები, დღეისათვის „ბიოტექსი“ ამზადებს 150-მე დასახელების სხვადასხვა პროდუქტს.

სამეცნიერო საბჭოს მორიგი სხდომა ჩატარდა 25 ივლისს. მოსმენილი იქნა აკად. სოლომონ პავლიაშვილის და პროფესორ ზურაბ გარაყანიძის ავტორობით მონოგრაფია „შუა დერეფნის ენერგეტიკული განზომილება“. მონოგრაფია შესრულებულია უსაფრთხოების კვლევის საფუძველზე, განიხილავს რეგიონული და ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტულ ღონისძიებებს.

მოსმენილი იქნა აგრეთვე აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის მოხსენება თემაზე საქართველოში არსებული ნიადაგების ნაყოფიერების მდგომარეობის შესახებ“.

აკად. ზაურ ჩანქსელიანმა ვრცლად ისაუბრა საქართველოში არსებული ნიადაგების მდგომარეობაზე. აღინიშნა, რომ ნიადაგის ნაყოფიერების კვლევის სამსახურის მიერ შესწავლილია 1300 მეტი წერტილიდან აღებული ნიადაგების ნიმუშები, შექმნილია მიღებული მონაცემების ამსახველი ერთიანი ელექტრონული ბაზა.

რეგიონული შეხვედრები:

ჩავატარეთ რეგიონული შეხვედრა კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკაში. ფაბრიკა სამომხმარებლო ბაზაზე 2005 წლიდან არის წარმოდგენილი, ფაბრიკა 12 ჰექტარზეა განლაგებული, თბილისიდან 17 კმ -ით არის დაშორებული. ფუნქციონირებს 18 საფრინველე. ფაბრიკა ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს ფრინველის კვებას, წყლით მომარაგებას, კლიმატის კონტროლს და

კვერცხის აკრეფას. პროდუქციის რეალიზაციას ახდენს მთელი ქვეყნის მასშტაბით. წლის განმავლობაში აწარმოებს 60 მლნ კვერცხს. დაჯილდოებულია ევროპის ხარისხის გენერალურ ასამბლეაზე, როგორც დიეტური ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი.

2024 წლის 30 იანვარს მოეწყო გამსვლელი სამეცნიერო ექსპედიცია-სემინარი ბიორაციონალური ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, რომელიც დაარსდა 1991 წელს. მის სახელს უკავშირდება 180- მდე დასახელების ქართული პროდუქტები, რომელთა შექმნასა და დანერგვაში მონაწილეობას ღებულობენ 125 მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. ბიოტექსი წარმოადგენს აგრარულ სფეროში ვეტერინარული მედიკამენტების, ვიტამინურ, მინერალურ საკვებ დანამატებს, სადეზინფექციო, სადერატიზაციო და მცენარეთა დაცვის სხვადასხვა საშუალებების მწარმოებელ კომპანიას.

დავითავალიერეთ კომპანიის საწარმოო კორპუსები, ლაბორატორიები, კვლევითი ცენტრი, რომელსაც მჭიდრო კონტაქტი აქვს, როგორც მეზობელ ასევე საქართველოში ამ დარგით დაინტერესებულ ფერმერებთან.

2024 წლის 15 მარტს მოეწყო გასვლითი სამეცნიერო ექსპედიცია კომპანია „შპს ქართო-იფქლში“-ში.

შპს ქართო-იფქლის ისტორიის, საქმიანობის და სამომავლო გეგმების შესახებ ჩვენი აკადემიის სტუმრებს გვესაუბრა კომპანიის დამფუძნებელი ბატონი შაქრო ბაკურაძე და პროფესორი მაღნაზ დოლიძე, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იფქლის ისტორია 1993 წლიდან დაიწყო. დღეს-დღეობით იფქლი 75 სახეობის პურ-ფუნთუშეულს აწარმოებს, კომპანია განლაგებულია ევროპული უახლოესი დანადგარებით, პურის ცხობის პროცესი სრულად ავტომატიზებულია, კომპანიაში დასაქმებულია 1200 თანამშრომელი, თბილისის მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად ყოველ დღე ცხვება 400 ტ. პური, პროდუქციის რეალიზაციას ახდენს 240 პურის გადამზიდი მანქანებით. კომპანია მრავალჯერ დაჯილდოებულია პურ-ფუნთუშეულის წარმოების განსაკუთრებული მიღწევებისათვის.

2024 წლის 9 ოქტომბერს მოეწყო გასვლითი სამეცნიერო სემინარი ვეტერინარულ კლინიკა „ნიუვეტში“. კლინიკის საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ აკადემიიდან წარმომადგენლებს ესაუბრა კლინიკის დირექტორი ვეტერინარიის დოქტორი ნუნუ ომარაშვილი.

კლინიკის დირექტორმა აღნიშნა, რომ საქართველოში არსებულ ვეტერინარულ კლინიკებს შორის „ნიუვეტს“ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. კლინიკა ფუნქციონირებს 2017 წლის 3 მარტიდან. კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე სხვადასხვა დიაგნოსტიკური აპარატურით, აქვს თავისი ლაბორატორია და ვეტერინარული სამკურნალო პრეპარატები. კეთდება ბიოქიმიური ანალიზები. კლინიკაში დაავადებულ ცხოველებს უტარდებათ, როგორც ქირურგიული ასევე თერაპიული კვლევები და მკურნალობა ისეთი გავრცელებული დაავადებების მიმართ, როგორიცაა ენტეროიტი, ჭირი, ცოფი, დამბლა, ლეიშმანიოზი, ტრამფული დაავადებები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დაავადებული ცხოველების მკურნალობისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების გარდა მომხმარებლებს აძლევენ რეკომენდაციებს ცხოველის მოვლის, კვების, მკურნალობისა და სხვადასხვა პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. კლინიკაში დასაქმებულია 11 მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი. კლინიკის მომსახურე პერსონალი ყოველდღიურად ცდილობს მათი საქმიანობა თანამედროვეობის ზუსტი გამომახილი იყოს. დაგეგმილია მომავლისთვის თანამედროვე სტანდარტების მანქანა-დანადგარებით აღჭურვა.

მიმდინარე წლის 30 აპრილს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის განყოფილებასთან ერთად აკადემიაში აღვნიშნეთ ვეტერინარიის საერთაშორისო დღე. საზეიმო შეხვედრას ესწრებოდნენ სტუმრები სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან, სურსათის უვნებლობის სამსახურის ხელმძღვანელები და თანამშრომლები, აკად. თენგიზ ყურაშვილმა გააკეთა მოხსენება ვეტერინარიის საქმის ისტორიასა და მის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

რეცენზიები-დასკვნები

ჩვენს მიერ გაკეთდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევით ცენტრში 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო კვლევის შედეგების ექსპერტიზა, მეძროხეობა, საკვებწარმოებასა და მეთევზეობაში.

კერძოდ პროექტზე:

1. ძროხის ადგილობრივი ჯიშების შესწავლა და გენეტიკური ბანკის შექმნა;
2. ბუნებრივი სათიბების და საძოვრების გაუმჯობესების ღონისძიებების შესწავლა;

მაგისტრატურა

1. სურსათის წარმოების ბიოქიმია.
2. მცენარეთა ბიოქიმია.
3. აგრარულ კულტურათა ბიოქიმია.

დოქტორანტურა

აგრარულ კულტურათა ბიოქიმია

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

1.1. ტყემალაძე გურამ, მახაშვილი ქეთევან, მამარდაშვილი ნაირა, კილაძე მათა - გლობალური დათბობა, კლიმატის ცვლილებები და აგროინდუსტრია,-პროფესორ ვიქტორ ერისთავის 85წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენცია „გარემოს დაცვა დამდგრადი განვითარება“. შრომები, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2024, გვ. 282-290 DOI:<https://doi.org/10.36073/978-9941-512-47-6>.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 88-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

- ნინი მახარაძე, ნიკა კვარაცხელია, რუსუდან სომხიშვილი, ბაკალავრიატი II კურსი -სასურსათო პროდუქტების წარმოებაში სტევიას (*Stevia rebaudiana*) გამოყენება. ხელმძღვანელები: პროფესორი გურამ ტყემალაძე, პროფესორი ქეთევან მახაშვილი;

- ნინი ყავლაშვილი, ნათია ხვედელიძე, შოთა იველაშვილი, ბაკალავრიატი, II კურსი - პალმის ზეთი და მისი მოხმარება დღევანდელობაში ხელმძღვანელები: პროფესორი გურამ ტყემალაძე, პროფესორი ქეთევან მახაშვილი.

4. 2024 წელს მეცნიერულ ხელმძღვანელობას უწევდა 2 მაგისტრანტს.

5. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.

5.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

5.2. საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი.

5.3. სტუ-ს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო

5.4. პროგრამის - „აგრარული ტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი.

5.5. სსმმ აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებულის „მომბე“ სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოსა სარედაქციო კოლეგიის წევრი

5.6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

5.7. ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრი,

5.8. მწერალთა კავშირის წევრი.

6. დასაბეჭდად მომზადებულია სტატიები

6.1. სამომხმარებლო ბაზარზე ფუნქციური დანიშნულების სასმელების ცნობადობის მარკეტინგული კვლევა - ტყემალაძე გურამ, დემეტრაშვილი მარინე, მახაშვილი ქეთევან;

6.2. ადამიანის ორგანიზმის ანტიოქსიდანტური სტატუსის კორექტირება მცენარეული პროდუქტების გამოყენებით - ტყემალაძე გურამ, დემეტრაშვილი მარინე, მახაშვილი ქეთევან;

6.3. მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების კვებითი ღირებულების დამოკიდებულება ნიადაგის სტრუქტურასა და მის შედგენილობაზე - ტყემალაძე გურამ, დემეტრაშვილი მარინე, მახაშვილი ქეთევან.

აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

1. სამეცნიერო თემა: „ცხოველთა ინფექციური დაავადებები საქართველოში და მათი პრევენცია“ - თემის ხელმძღვანელი;

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

2.1. ვეტერინარიის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო - წევრი;

2.2. სამცხე-ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სავეტერინარო მედიცინის სპეციალობის IV

კურსზე სასწავლო კურსი: „ცხოველთა ინფექციური დაავადებები“ და V კურსზე - „ზოონოზური დაავადებები“.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. ენდომეტრიით დაავადებული ფურებიდან გამოყოფილი E.coli-ის ანტიბიოტიკების მიმართ მგრძობელობა - გ. ბუცხრიკიძე, თ. ყურაშვილი; ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ვეტერინარიის აქტუალური საკითხები თეორიასა და პრაქტიკაში“. შრომათა კრებული. საქართველო, თბილისი, სსმმა, 2024 წელი. გვ.10-13;

3.2. Mycolacterium Bovis-სი საქართველოში (პრობლემის მიმოხილვა); გ. გლურჯიძე, თ. ყურაშვილი, ვ. მაკარაძე, ვ. ბარათაშვილი, ლ. ციციშვილი; ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ვეტერინარიის აქტუალური საკითხები თეორიასა და პრაქტიკაში“. შრომათა კრებული. საქართველო, თბილისი, სსმმა, 2024 წელი. გვ. 14-19.

3.3. ცხოველთა სადგომების ვეტერინარიული შეფასება. თ. ყურაშვილი, გ. გოგოლი, ლ. ციციშვილი; ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ვეტერინარიის აქტუალური საკითხები თეორიასა და პრაქტიკაში“. შრომათა კრებული. საქართველო, თბილისი, სსმმა, 2024 წელი. გვ. 50-54.

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, ბროშურა:

4.1. თ.ყურაშვილი, ლ.ციციშვილი, კ.ყურაშვილი - მღრღნელების (Roolents) როლი ეპიზოოტიური და ეპიდემიური პროცესების განვითარებაში, თბილისი, 2024, 1-34 გვ;

4.2. ფეხსახსრიანების (Arthropoda) როლი ეპიზოოტიური და ეპიდემიური პროცესების განვითარებაში (ტკიპები, ბუზები, კოლოები, ტილები, რწყილები). თბილისი 2024, 1-27 გვ.

4.3. გ.ბუცხრიკიძე, თ.ყურაშვილი - ფურების და დეკეულების სამეანო-გინეკოლოგიური დისპანსერიზაცია. თბილისი, 2024, 1-16 გვ.

4.4. გ.ბუცხრიკიძე, თ.ყურაშვილი - ფურების მშობიარობის შემდგომი ენდომეტრიტი (საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ანთება). თბილისი, 2024, 1-23 გვ.

5. სადოქტორო დისერტაციების, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა

ხელმძღვანელი ვარ 3 დოქტორანტის (გ. ბუცხრიკიძე, ს. მენტეშაშვილი, მ. სოხაძე);

6. საზღვარგარეთ და საქართველოში კონფერენციებში, ვორკშოპებში და ტრენინგებში მონაწილეობა

6.1. ვიზიტი ჩეხეთში ქ. ბრნო. ვეტერინარიული პრეპარატების კომპანია „ბიოვიტა“ (Biovita a.s. Crech). მოხსენება - ჩეხური წარმოების პრეპარატების გამოყენების შედეგები საქართველოში.

6.2. ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ვეტერინარიის აქტუალური საკითხები თეორიასა და პრაქტიკაში. საქართველო, თბილისი, სსმმა, 30 აპრილი 2024 წელი.

მოხსენება:

1. ენდომეტრიით დაავადებული ფურებიდან გამოყოფილი E.coli-ის ანტიბიოტიკები მიმართ მგრძობელობა;

2. Mycolacterium Bovis -სი საქართველოში (პრობლემის მიმოხილვა);

3. ცხოველთა სადგომების ვეტერინარიული შეფასება.

6.3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება ერთიანი ინტელექტუალური სივრცისათვის“. სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე, 2024, 17 ივნისი.

6.4. ვორკშოპი - ახალციხე, სჯსუ, 2024, 25 დეკემბერი. მოხსენება - ზოონოზური ტუბერკულოზი საქართველოში (სიღრმისეული ანალიზი);

7. სამეცნიერო საგრანტო პროექტები:

7.1. რუსთაველის მეცნიერებათა ეროვნული ფონდი - (FR-22-6780) ზოონოზური ტუბერკულოზი საქართველოს ტუბერკულოზის მაღალი რისკის რეგიონებში - პროექტის მონაწილე;

8. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა

8.1. მოხსენება - მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილების 2023 წლის ანგარიში;

8.2. ინფორმაცია შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული ახალგაზრდა მეცნიერთა კვირეულის - „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“ მონაწილეობის შესახებ;

9. სამეცნიერო საზოგადოების და სხვა ორგანიზაციების წევრობა:

9.1. საქართველოს ვეტერინარ ექიმთა გაერთიანებული ასოციაცია - წევრი;

9.2. საქართველოს მემამულეთა კავშირი - ვიცე პრეზიდენტი;

- 9.3. ჟურნალ „მოამბის“ რედკოლეგია - წევრი;
- 9.4. ჟურნალ „აგრარული საქართველოს“ რედკოლეგია - წევრი;
- 9.5. „შალომ კლუბის“ (ისრაელის საელჩო, მაშავი) - წევრი;
- 9.6. სსმ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი - წევრი;
- 9.7. საქართველოს ენციკლოპედია - მრჩეველი;
- 9.10. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა (ვეტერინარია) - წევრი;
- 9.11. მრავალი სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, წიგნის, ბროშურის, რეკომენდაციის რეცენზენტი და რედაქტორი.
- 9.12. სსმმ აკადემიის კოორდინატორი ვეტერინარიაში;
- 9.13. ასოციაცია „ელკანა“ - კონსულტანტი.

10. ჯილდოები:

აკადემიკოს მიხეილ რჩეულიშვილის სახელობის პრემია - ნაშრომისთვის „ცხოველთა ინფექციური დაავადებები“ (საქართველოში არარეგისტრირებული); თბილისი, სსმმა, 2024 წლის 29 ნოემბერი.

11. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

- 11.1. სურსათის ეროვნული სააგენტო - სამეცნიერო კონსულტანტი ვეტერინარიაში;
- 11.2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაციის დაცვის საბჭოს წევრი - დისერტანტი ნონა ჩოხელი, თემა - „ბროილერის კეთილდღეობის გაზომვადი პარამეტრების შესწავლა განსხვავებული მოვლა-შენახვის პირობებში (საქართველო - თელეთი, შვედეთი - სოდერტალია) ნივრის შემცველი ფიტოდანამატის Vitloklorter - ის გამოყენებისას“. ქ. ზუგდიდი, 2024, 16-17 სექტემბერი.
- 11.3. მონაწილეობა სამეცნიერო ფესტივალში „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“. ქ. ზუგდიდი, 2024, 16-17 სექტემბერი.

12. წინადადებები:

- 12.1. განყოფილების წევრები: კვლავ მეტ ყურადღებას დაუთმობენ ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას, სათანადო რეკომენდაციების მომზადებას და პრაქტიკაში დანერგვას.
- 12.2. გააფართოებენ ურთიერთობებს რეგიონალურ და მუნიციპალურ ვეტერინარიულ სამსახურებთან, ფერმერებთან და დაინტერესებულ პირებთან. გაუწევენ მათ თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას.

სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი

ვაგრძელებ მუშაობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსად.

1. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

ვარ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი. ბაკალავრიატის II კურსზე მიმყავს სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის კურსი საგანში ცხოველთა გენეტიკის საფუძვლები.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

- 2.1. Anatoli Giorgadze, Marine Barvenashvili - Dual Education in Georgia - I Міжнародній науково-практичній інтернет-конференції «Інноваційний потенціал сучасної освіти та науки» 25 квітня 2024 року, м. Кам'янець-Подільський. "ПОДІЛЬСЬКИЙ ДЕРЖАВНИЙ УНІВЕРСИТЕТ"
- 2.2. Anatoli Giorgadze, Marine Barvenashvili - The preservation of the gene fund of chicken breeds in Georgia. Abstracts of reports of International Scientific and Practical Conference "Actual Problems of Modern Biology, Animal Husbandry and Veterinary Medicine", dedicated to the 100th anniversary of birth of Doctor of biological sciences, Academician of UAAS, Director of the Institute of Animal Biology NAAS in 1972–1993 Petro Lahodiuk (08.06.1924 — 17.02.1994) October 3rd–4th, 2024, Lviv, Ukraine. Scientific journal "The Animal Biology" 2024.
- 2.3. Marine Barvenashvili, Anatoli Giorgadze - INFLUENCE OF CLIMATE CHANGE ON THE PRODUCTIVITY AND QUALITY OF HONEY OF GEORGIAN HONEY BEE MEGRELIAN POPULATION.

International Scientific and Practical Conference «Climate Change and Its Impact on Animal Husbandry and Veterinary Medicine: Scientific Approaches and Innovative Solutions» October 10-11, 2024. Ministry of Education and Science of Ukraine, Higher educational institution „Podillia Statu University, Kamianets-Podilskyi, Ukraina.

2.4. ბარვენშვილი მ., გუგუშვილი ჯ. - ბოცვრის ზოონოზური დაავადებები - ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ვეტერინარიის აქტუალური საკითხები თეორიასა და პრაქტიკაში“. შრომათა კრებული. საქართველო, თბილისი, სსმმა, 30 აპრილი, 2024 წელი.

3. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა

3.1. I Міжнародній науково-практичній інтернет-конференції «Інноваційний потенціал сучасної освіти та науки» 25 квітня 2024 року, м. Кам'янець-Подільський. "ПОДІЛЬСЬКИЙ ДЕРЖАВНИЙ УНІВЕРСИТЕТ

3.2. International Scientific and Practical Conference “Actual Problems of Modern Biology, Animal Husbandry and Veterinary Medicine”, dedicated to the 100th anniversary of birth of Doctor of biological sciences, Academician of UAAS, Director of the Institute of Animal Biology NAAS in 1972–1993 Petro Lahodiuk (08.06.1924 — 17.02.1994) October 3rd–4th, 2024, Lviv, Ukraina.

3.3. International Scientific and Practical Conference «Climate Change and Its Impact on Animal Husbandry and Veterinary Medicine: Scientific Approaches and Innovative Solutions» October 10-11, 2024. Ministry of Education and Science of Ukraine, Higher educational institution „Podillia Statu University, Kamianets-Podilskyi, Ukraina.

3.4. ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ვეტერინარიის აქტუალური საკითხები თეორიასა და პრაქტიკაში“. საქართველო, თბილისი, სსმმა, 30 აპრილი, 2024 წელი

4. მონაწილეობა აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში.

მომხსენებელი:

4.1. ინფორმაცია მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აგრარკოს მეცნიერ ქალთა დაჯილდოების შესახებ.

4.2. ინფორმაცია აკადემიის მიერ 2023 წელს გამოცემული რეკომენდაციების, აგროწესების, ინსტრუქციების, ბუკლეტების, ბროშურების და სხვა ბეჭდვითი და ელექტრონული სამეცნიერო-საინფორმაციო გამოცემების მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

4.3. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ, თავისი წესდების II თავის მე-9 მუხლის თ) პუნქტის და გამოჩენილ აგრარკოს მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების დებულების შესაბამისად, გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ.

4.4. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ, თავისი წესდების II თავის მე-9 მუხლის თ) პუნქტის და გამოჩენილ აგრარკოს მეცნიერთა სახელობითი პრემიების მინიჭების დებულების შესაბამისად, გამოცხადებული კონკურსის შედეგების შესახებ.

ვარ 2024 წელს აკადემიაში გამართული მრგვალი მაგიდების, სემინარების და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების თანაორგანიზატორი და მონაწილე.

5. სამეცნიერო საზოგადოებების, რედაქციების წევრობა

5.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრი;

5.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაზეთ “მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი.

6. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები

რედაქტირება გავუწიე შემდეგ რეკომენდაციებს:

6.1. გოჯი ბერის, ჩაიოტისა (მექსიკური კიტრი) და უნაბის კულტურების აგროტექნოლოგია

6.2. ფურების მშობიარობის შემდგომი ენდომეტრიტი

6.3. მანდარინის კულტურა და მისი მოვლა-მოყვანის მარჟინალური მოგება

6.4. ფურებისა და დეკულების სამეანო - გინეკოლოგიური დისპანსერიზაცია

6.5. მღრღნელების (Rodents) როლი ეპიზოოტიური და ეპიდემიური პროცესების განვითარებაში

6.6. ფეხსახსრიანების (Arthropoda) როლი ეპიზოოტიური და ეპიდემიური პროცესების განვითარებაში.

3.3. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს - მდივანი – აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 4 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და 1 სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: რევაზ მახარობლიძე, ალექსანდრე დიდებულოძე, ჯემალ კაციტაძე, ზაურ ფუტყარაძე.

სტიპენდიატები: ტექნიკის დოქტორები: მამუკა ბენაშვილი, გიორგი ქუთელია (2024 წლის 3 ივნისს დაუმთავრდა სტიპენდიატობის ვადა).

განყოფილებაში 2024 წელს ჩატარდა 10 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 18 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე. 2. აკადემიკოს რევაზ მახარობლიძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 15 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულოძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 29 მარტს და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს ზაურ ფუტყარაძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 26 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის მიერ 2023 წელს შესრულებული სამეცნიერო სამუშაოების შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინრო კვლევის სამსახურის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ნუგზარ ებანოძე

მეხუთე სხდომა ჩატარდა 31 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის სტიპენდიანტის გიორგი ქუთელიას მიერ 2019-2024 წლებში ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სტიპენდიატი, ტექნიკის დოქტორი გიორგი ქუთელია. **თანამომხსენებელი:** აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე. 2. აკადემიის სტიპენდიანტის მამუკა ბენაშვილის მიერ 2021-2024 წლებში ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სტიპენდიატი, ტექნიკის დოქტორი მამუკა ბენაშვილი. **თანამომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე. 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებაში გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მისანიჭებელი კონკურსის გამოცხადების შესახებ. **მომხსენებელი:** აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 26 ივნისს და განხილული იქნა საკითხები: 1. ბუნებრივი ანომალიების რისკებისაგან გარემოს დაცვის შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთამეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის დოქტორი ედუარდ კუხალაშვილი 2. ვაინშტეფანის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის სტრუქტურის, კვლევის მიმართულებების და საქართველოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ. **მომხსენებელი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატი, ტექნიკის დოქტორი მამუკა ბენაშვილი

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 26 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ნიადაგის ანტიეროზიული ტექნოლოგიების და ტექნიკური საშუალებების შესახებ. **მომხსენებელი:** ტექნიკის

დოქტორი თამაზ ნადირაშვილი. 2. თვითმავალი შასის ტანდემთვლიანი სავალი სისტემის დამუშავების შესახებ. **მომხსენებელი:** ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ზაზა მახარობლიძე

მერვე სხდომა ჩატარდა 12 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის, ტექნიკის დოქტორის მამუკა ბენაშვილის მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 15 ნოემბერს (გამოკითხვის წესით) და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა“ (ავტორები: ედუარდ კუხალაშვილი, გივი გავარდაშვილი, შორენა კუპრეიშვილი) რეცენზენტად აკადემიკოს ჯემალ კაციტაძის არჩევა.

მეთათ სხდომა ჩატარდა 15 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე.

აღსანიშნავია, რომ აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების ჩართულობით ჩატარდა ორი გაერთიანებულ კრება:

1) 12 ივლისს - აგროინჟინერიის, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრება, რომელზეც განხილული იყო შემდეგი საკითხები: 1. ინფორმაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ და კონკურსანტების: ქალბატონი ნატო ჯაბნიძის, ქალბატონი მაია მეტრეველის და ქალბატონი დარეჯან დულაშვილის შრომითი და სამეცნიერო მიმართულებების შესახებ. **მომხსენებელი:** საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის, ეკონომიკის დოქტორ ნატო ჯაბნიძის ინფორმაცია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორ მაია მეტრეველის ინფორმაცია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის, ქიმიის დოქტორ დარეჯან დულაშვილის ინფორმაცია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისათვის აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის, ეკონომიკურ და აგროინჟინერიის ერთჯერადად გაერთიანებული მეცნიერებათა განყოფილებების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ - გაერთიანებული სამეცნიერო განყოფილებების კრებაზე ფარული კენჭისყრის ჩატარება.

2) 27 ნოემბერს - აგროინჟინერიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრება, რომელზეც განხილული იყო შემდეგი საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა“ **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გივი

გავარდაშვილი. 2. ინფორმაცია ნაშრომის „ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე. 3. ინფორმაცია აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „აჭარის მუქიწიწვოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი რეზო ვასაძე. 4. ინფორმაცია ნაშრომის „აჭარის მუქიწიწვოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 5. ინფორმაცია აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“. **მომხსენებელი:** ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე. 6. ინფორმაცია ნაშრომის „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, შაქრო ყანჩაველი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 7. ინფორმაცია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ ანდრო ნიჭარაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „სხვადასხვა საფუარის გავლენის დადგენა ღვინის არომატულ კომპონენტებზე“. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ხოსიტაშვილი

8. ინფორმაცია ნაშრომის „სხვადასხვა საფუარის გავლენის დადგენა ღვინის არომატულ კომპონენტებზე“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ნინო ჩხარტიშვილი. 9. ფარული კენჭისყრა.

აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით 12 ნოემბერს გაიმართა მრგვალი მაგიდა მიძღვნილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გიორგი შხვაცაბაიას დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით. მრგვალი მაგიდა გახსნა აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა რევაზ მახარობლიძემ. მან დიდი სითბოთი და პატივისცემით გაიხსენა ბატონი გიორგი. ყურადღება გაამახვილა მის სამეცნიერო მოღვაწეობაზე, პიროვნულ თვისებებზე. მრგვალი მაგიდაზე აკადემიკოს გ. შხვაცაბაიას ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ფართე მოხსენებით მსმენელთა წინაშე წარსდგა მისი ყოფილი ასპირანტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ თედორაძე. ბატონმა ო. თედორაძემ აღნიშნა, რომ აკადემიკოს გ. შხვაცაბაიას მიერ შემუშავებული იქნა ახალი მექანიკური გამზომი ხელსაწყოების კომპლექსი, რომლებიც სიმარტივის და სიზუსტის გამო ახლაც წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა აგრეგატების წევითი მახასიათებლების შესწავლის დროს. მრგვალი მაგიდის დასასრულს აუდიტორიის წინაშე სამადლობელი სიტყვით წარსდგა აკადემიკოს გ. შხვაცაბაიას ვაჟიშვილი, ბატონი ზურაბ შხვაცაბაია. მან მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილე თითოეულ წევრს დიდი მადლობა გადაუხადა მამის გახსენებისათვის და მისი ღვაწლის დაფასებისთვის.

3.3.1. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების წევრების 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე

1. თემის დასახელება

1.1. სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის განკუთვნილი ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მექატრონული სისტემების დამუშავება (საკუთარი ინიციატივით).

1.2. საქართველოს მთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის სივრცით-ტერიტორიული განვითარება. შპს „არტსტუდიო პროექტი“, შემსრულებელი.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო სადოქტორო საბჭოს წევრი, ერთი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. მანგლისის განაშენების გეგმა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი, 2024. – 122 გვერდი (თანაავტორი, ეკუთვნის გვ. 89-102: სოფლის მეურნეობა).

3.2. გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, თბილისი, 2024 (ორ ტომად და დანართით, ჯამში 195 გვერდი (თანაავტორი).

4. გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო

4.1. აგრობიოლოგიური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაცია. საქართველოს პერსპექტივები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2024. – 302 გვ.

მონაგრაფია ეხება აგრობიოლოგიური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის საკითხებს. განხილულია თანამედროვე ბიოტექნოლოგიების, მ.შ., აგრობიოტექნოლოგიების განვითარების ეტაპები და ამ მიმართულებით საქართველოში შესრულებული კვლევები, ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები, მსოფლიოსა და საქართველოს აგრარული ბაზრების განვითარების დინამიკა. მონოგრაფია განკუთვნილია გამოყენებითი ბიომეცნიერებებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

4.2. კუთხით რხევითი ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მექატრონული სისტემების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. რეკომენდაცია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, გამომცემლობა „აგრო“, თბილისი, 2024. – 45 გვ. (თანაავტორი გელა ჯავახიშვილი).

აღწერილია საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დამუშავებული რეზონანსული კუთხით რხევითი ელექტრომაგნიტური ვიბროამგზნებები, მათი ელემენტების გაანგარიშება, ვიბროძრავების მართვა და ის მანქანა-მექანიზმები, რომლებშიც ისინი გამოიყენება. ამ ვიბროძრავების კონსტრუქციები დაცულია 31 პატენტით ან საავტორო მოწმობით, მ.შ. 18 პატენტი გაცემულია საზღვარგარეთის 12 ქვეყანაში, ნიმუშები დამზადდა ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“, მათი ექსპონირება მოხდა ლაიპციგის, ბუდაპეშტის, ბუქარესტის, ხოშიმინისა და მოსკოვის საერთაშორისო ბაზრობებზე. საქართველოში 1994 წლიდან კუთხით რხევით ელექტრომაგნიტურ ვიბროძრავებზე და ამ ძრავებით აღჭურვილ სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე გაცემულია საქართველოს 7 პატენტი, დამზადდა რამდენიმე მანქანის საცდელი ნიმუში.

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“ (5-6 თებერვალი)

5.2. ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (ესპპ) სამუშაო შეხვედრები. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. განხორციელებული სამუშაოების და შექმნილი დოკუმენტების განხილვა (02 და 19 აპრილი, 20 სექტემბერი).

5.3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (22-24 მაისი).

5.4. ფირმა ლომთაგორაში ხორბლის სასელექციო-სადემონსტრაციო ღია კარის დღე. მარნეული (16 ივნისი).

5.5. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის მიერ დამუშავებული „განათლებისა და მეცნიერების კონცეფციის“ პროექტის ონლაინ განხილვა (20 სექტემბერი);

5.6. სამეცნიერო ფესტივალი „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (26 სექტემბერი)

5.7. საინფორმაციო შეხვედრა სასოფლო - სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის (AKIS) შესახებ (16 ოქტომბერი, თბილისი, სასტუმრო ჰოლიდეი ინი).

6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

6.1. გორის მუნიციპალიტეტის ატენის ხეობის და მიმდებარე ტერიტორიების სივრცის დაგეგმარება. შემკვეთი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სივრცითი

და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო, ხელშეკრულება # 153, 2023 წლის 13 ნოემბერი - შემსრულებლები: შპს „არტსტუდიო პროექტი“ (საქართველო) - წამყვანი ექსპერტი სოფლის მეურნეობის საკითხებში.

6.2. ფასანაურის, ბარისახოს და რომკას განვითარების გეგმები. აზიის განვითარების ბანკის პროექტი: - Asian Development Bank Project „SUDA_Preparation of Pasanauri, Barisakho and Roshka Development Plans“ (SUDA/LCIP/QCBS-01) – შემსრულებლები: Groupe Huit (საფრანგეთი) და შპს „არტსტუდიო პროექტი“ (საქართველო) - სოფლის მეურნეობის და სოფლად განვითარების სპეციალისტი.

7. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა.

როგორც პრეზიდენტის წევრმა, განსახილველად გაიტანა შემდეგი საკითხები:

7.1. ინფორმაცია (26 იანვარი) და მოსაზრებანი (16 თებერვალი) საქართველოს ახალი კანონის პროექტის „სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების შესახებ“ დაკავშირებით (19 თებერვალს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ნ. წილოსანის სახელზე გაიგზავნა წერილი # 1-52 ხუთი შენიშვნით, შემდეგ დაესწრო კომიტეტის სხდომას და გამოვიდა სიტყვით.

7.2. აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მიერ 2023 წელს (16 თებერვალი) და 2024 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის (26 დეკემბერი), აგრეთვე შესაბამისი პერსპექტიული სამუშაო გეგმების და კომისიის საბჭოს შემადგენლობის განახლების (01 ივლისი) შესახებ.

7.3. საქართველოს ინოვაციური განვითარების პრიორიტეტების შესახებ (29 მარტი).

7.4. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო საქმიანობის წლიური ანგარიშებისა და დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასების დებულების შესახებ (31 მაისი).

7.5. აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების კოორდინატორების სამუშაო ჯგუფების განახლების შესახებ (01 ივლისი).

7.6. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილი „განათლებისა და მეცნიერების განვითარების კონცეფციის“ შესახებ (26 სექტემბერი).

8. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.

8.1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის და ეკოლოგიის კომისიის წევრი

8.2. აკრედიტაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Accreditation Organization /IAO, Houston, Texas, US) აუდიტორი/ინსპექტორი <http://www.iao.org>

8.3. ჟურნალ „Annals of Agrarian Sciences“ რედკოლეგიის წევრი

9. გამოგონება, პატენტი

კუთხით რხევითი რვაპოლუსიანი ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მანქანა. საქართველოს პატენტი გამოგონებაზე # 16203, განაცხადის შეტანის თარიღი 2023 წლის 03 აპრილი, რეგისტრაციის თარიღი 2024 წლის 01 თებერვალი. გამოქვეყნებულია „სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში“, # 20 (623), 2023, გვ. 7 (თანაავტორი გ.ჯავახიშვილი).

10. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურების წოდებები და ა.შ.

80 წლის იუბილესთან (30 სექტემბერი) დაკავშირებით დაჯილდოვებულია ორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით.

11. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

11.1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის საგრანტო კომიტეტის“ უცვლელი წევრი 2014 წელს დაარსებიდან.

11.2. როგორც კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის მუშაობას; საანგარიშო წელს ჩატარდა დარგის განვითარებისადმი მიძღვნილი 11 სხდომა, რომლებზეც განხილული იქნა 12 მოხსენება (იხილეთ კომისიის წლიური ანგარიში ამავე ტომში).

აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებითი)

1.1. სამეცნიერო-კვლევითი თემა: „ახალი მასალებისა და ინოვაციური რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დამუშავება მანქანების საიმედოობის გაზრდისათვის“, გეგმიური.

სამეცნიერო ხელმძღვანელი

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი – საგნები: მასალათმცოდნეობა, საწარმოო პროცესები, აღნიშნულ საგნებში ვკითხულობ ლექციებსა და ლაბორატორიულ-პრაქტიკულ მეცადინეობებს.

3. გამოქვეყნებული სტატიები:

ჩემს მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია 4 სამეცნიერო სტატია საერთაშორისო გამოცემებსა და ჟურნალებში

3.1. Jemal Katsitadze, Zaur Phutkaradze, Giorgi Kutelia - „**Theoretical basis for calculating reliability indicators of agricultural machines**“, ბულგარეთში, ქ. ვარნაში ჩატარებული XII International Scientific Congress on AGRICULTURAL MACHINERY 2024, შრომათა კრებული

3.2. Giorgi Kutelia, Jemal Katsitadze, Zaur Phutkaradze, Ioseb Abuladze - „**Research and restoration of rural areas of active and passive working bodies using Georgian raw material (gumboil)**“, ბულგარეთში, ქ. ვარნაში ჩატარებული XII International Scientific Congress on AGRICULTURAL MACHINERY 2024, შრომათა კრებულში.

3.3. Jemal Katsitadze, Zaur Phutkaradze, Giorgi Kutelia - “ **Calculation reliability indicators of agricultural machines**“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი **Mechanization in agriculture & Conserving of the resources Vol. 68 , Sofia , (ს 024), Issue.**

3.4. Giorgi Kutelia, Jemal Katsitadze, Zaur Phutkaradze, Ioseb Abuladze - “ **Restoration of rural areas of active and passive working bodies using Georgian raw material** “, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი **Mechanization in agriculture & Conserving of the resources Vol. 68 , Sofia , (ს 024), Issue.**

სამეცნიერო სტატიებში დამუშავებულია სასოფლო სამეურნეო მანქანების გაანგარიშების თეორიული საფუძვლები, რომლებიც იმით განსხვავდებიან რადიოელექტრონიკასა და მანქანათმშენებლობაში გამოყენებული ტრადიციული კლასიკური მეთოდებისაგან, რომ ითვალისწინებენ მათ თავისებურ ნიადაგობრივ-კლიმატურ და დინამიკურ პირობებში მუშაობას. შედგენილია შესაბამისი სტრუქტურულ-ლოგიკური სქემები, სხვადასხვა მდგომარეობაში გადასვლის დიფერენციალური განტოლებები მარკოვის პროცესების გათვალისწინებით, ასევე ორიგინალური მეთოდიკა საექსპლუატაციო საიმედოობის ერთეული და კომპლექსური მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის ალბათურ-სტატისტიკური მოდელების მისაღებად

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

4.1. მონაწილეობა მივიღე XI საერთაშორისო სამეცნიერო - ტექნიკურ კონგრესის მუშაობაში, რომელიც ჩატარდა ქ. ვარნაში (ბულგარეთი) 2024 წლის 23...26 ივნისს დისტანციურ რეჟიმში.

გამოვედი მოხსენებით - „**Theoretical basis for calculating reliability indicators of agricultural machines**“. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების 1698-ზე მეტი მეცნიერი.

ვიყავი აღნიშნული კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და ასევე პირადად ვხელმძღვანელობდი მანქანების სერვისის სექციას.

5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

5.1. შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით წარდგენილი მქონდა და გავიმარჯვე მე ფუნდამენტური საგრანტო პროექტში თემაზე „თანამედროვე სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდის რესურსდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების თეორიულ-ექსპერიმენტული გამოკვლევა და ოპტიმიზაცია“, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვარ, ხოლო

შემსრულებლები არიან აკადემიკოსი ზაურ ფუტკარაძე (სამეცნიერო კოორდინატორი), ტექნიკის აკადემიური დოქტორები: გიორგი ქუთელია და ივანე კაპნაძე.

ასევე ანალოგიურ კონკურსზე წარდგენილი მაქვს საგრანტო პროექტი „რესურსდამზოგი ანტიეროზიული აგრეგატის დამუშავება“ როგორც სამეცნიერო კოორდინატორი.

6. მოხსენებით გამოვედი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილების სხდომაზე 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო – კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის შესახებ.

7. **სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.**

7.1. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის "Mechanization in Agriculture" - სარედაქციო კოლეგიის წევრი;

7.2. ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ - სარედაქციო კოლეგიის წევრი;

7.3. ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“- სარედაქციო კოლეგიის წევრი;

7.4. ჟურნალის “აგრარული საქართველო“ - სარედაქციო კოლეგიის წევრი;

ორი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, რომლებიც ტარდება 2024 წელს ბოროვეცსა და ვარნაში.

8. გამოგონება, პატენტი

საანგარიშო პერიოდში მიღებული მაქვს ერთი საქართველოს პატენტი გამოგონებაზე „საანგარიშო პერიოდში მივიღე ერთი პატენტი გამოგონებაზე. P_2022 7299B „ნიადაგზე მულჩირების პლასტიკური მასალის დასაფენი მანქანა“, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი “საქპატენტი“, 14550/2, , ასევე წარდგენილი მაქვს სამი წინადადება პატენტზე.

9. სახელმწიფო ჯილდო, დამსახურების წოდებები და ა.შ.

- ვარ ღირსების ორდენის კავალერი და 2023 წლის საუკეთესო მონოგრაფიის ავტორი აგრარულ სფეროში აკადემიკოს ზაურ ფუტკარაძესთან ერთად

- ვარ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგროსაინჟინრო სადისერტაციო საბჭოს წევრი .

10. წინადადებები

- მიმაჩნია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან საჭიროა ჩამოყალიბდეს ერქსპერტთა საბჭო გამოჩენილი მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით აქტუალურ პრობლემების გადაწყვეტისათვის, კატეგორიულად აიკრძალოს უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე ქართული მიწის გაყიდვა საქართველოს ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, რომელიც უკვე შევიდა ძალაში 2018 წლის 16 დეკემბრიდან, გარდა მთავრობის სპეციალური დისტრექტივისა, როდესაც საქმე ეხება მსხვილ უცხოელ ინვესტორებს. საქართველოს მთავრობამ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოსცენ საკანონმდებლო დოკუმენტები მიწის კოდექსის, აგროსაინჟინრო სპეციალობისათვის კოდის მინიჭებისა და ექსტენსიის სამსახურის შესახებ.

- აგროსაინჟინრო განყოფილებაზე წარმოვადგინე 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო და პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ და ინფორმაცია საგრანტო პროექტის „თანამედროვე სასოფლო სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედოობის გაზრდის რესურსდამზოგი ინოვაციური ტექნოლოგიების თეორიულ-ექსპერიმენტული გამოკვლევა და ოპტიმიზაცია“, შესრულების შესახებ 2023 წლისათვის.

აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე

1. ხელმძღვანელობდა და მონაწილეობდა შემდეგი თემების შესრულებაში:

1.1. სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარამეტრების ოპტიმიზაცია ცვალებადი მასის გათვალისწინებით;

1.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამანქანო ტექნოლოგიების, მანქანათა სისტემების და მათი ეფექტური გამოყენების მეცნიერული საფუძვლების დამუშავება.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

2.1. ნიადაგის დამუშავების დარგში კვლევითი სიახლეები - საერთაშორისო კონფერენცია, 2023 წლის დეკემბერი;

2.2. მაღალკლირენსიანი თვითმავალი შასის სავალი ნაწილი - საერთაშორისო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონცეფცია და გამოყენების პერსპექტივები“, 2023 წელი.

2.3. ერთწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანის პერსპექტივები - სამეცნიერო კონფერენცია: სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონცეფცია და გამოყენების პერსპექტივები“, 2023 წ.

4. გამოქვეყნებული წიგნები:

მონოგრაფია „მცირე მექანიზაციის (ხელის) მანქანების დინამიკა და ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების საფუძვლები“ - გამომცემლობა „ლამბერტი“, გერმანია, ინგლისურ ენაზე (თანაავტორი ზ. ფუტკარაძე), 2020 წელი.

ნაშრომში მოცემულია მცირე მექანიზაციის ხელის მანქანებში დინამიკური პროცესების თეორიის საფუძვლები. განსახილველი მანქანები კლასიფიცირებულია დინამიკური ნიშნის მიხედვით. განისაზღვრება მოძრაობის პარამეტრები და დინამიკური დატვირთვები ამძრავის დაყვანილი ინერციის მომენტის, მუშა ორგანოზე მოქმედი დატვირთვების, ძრავის მექანიკური მახასიათებლის და ექსპლუატაციის ტიპური რეჟიმების გათვალისწინებით.

წიგნი გათვალისწინებულია სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა და მექანიზაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

5. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. ლონდონში გამართული კონფერენცია ნიადაგის დამუშავების საკითხებზე, 2022 წლის დეკემბერში.

5.2. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და გამოყენების პერსპექტივები“ 04-06 ოქტომბერი, 2023 წელი, თბილისი, საქართველო (მოხსენების დასახელება მოცემულია ანგარიში მე-3 პუნქტში)

6. მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში, როგორც მისი წევრი.

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა:

7.1. არის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „მექანიკის პრობლემების“ რედკოლეგიის წევრი.

8. ჯილდოები:

8.1. აკადემიის პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვებულია ფულადი პრემიით გერმანიაში, გამომცემლობა „ლამბერტის“, მიერ ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიისათვის „მცირე მექანიზაციის ხელის მანქანების დინამიკა და ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების საფუძვლები“.

9. მომზადებული აქვს გამოსაცემად სახელმძღვანელო (ლექციების კურსი) „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ავტომატიზაციის საფუძვლები“.

10. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდენტის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების თემატიკა, რომელთა გამართვაც გასურთ აკადემიაში.

ქვეყნის მასშტაბით საინოვაციო პოლიტიკის გატარებისათვის ყველაზე დიდ გართულებას იწვევს მექანიზაციის მიმართულებით მომუშავე სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების გაუქმება.

ევროკავშირსა და პოსტსაბჭოთა ზოგიერთ ქვეყნებში არსებობს სოფლის მეურნეობის ინოვაციური განვითარების მდიდარი გამოცდილება, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში შედის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრები, რომელთა რეკომენდაციებით ხვდება სოფლის მეურნეობის მართვა.

ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, აგროსამრეწველო კომპლექსის სფეროში ინოვაციისადმი სისტემური ზემოქმედებისათვის, კერძოდ, სამეცნიერო - ტექნიკური ფუნქციების შესასრულებლად აუცილებლად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სოფლის

მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს აგროსაინჟინრო სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი (რამდენიმე საინჟინრო სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული ორგანიზაციების გაერთიანება), რომელიც შეასრულებს სამეცნიერო კვლევების, მანქანების დაპროექტების, დამზადების, გამოცდის და სამუშაოების ნორმირების ფუნქციებს. ცენტრის რეკომენდაციით მოხდება სოფლის მეურნეობის ტექნიკური საშუალებების გადაიარაღება მაღალი ტექნოლოგიების თანდათანობით ათვისებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველი ტექნოლოგიით ოპერაციულ) კომპლექსურ მექანიზაციის დონეზეც რომ გადავიარადდეთ, საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია არ იქნება კონკურენტუნარიანი საკუთარ ბაზარზეც კი და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი დაფინანსება ეფექტს არ მოგვცემს.

ცენტრის საპროექტო ქვედანაყოფის ფუნქცია იქნება საქართველოსათვის სპეციფიკური კულტურების (ჩაი, ციტრუსები და ა. შ.) და სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციისათვის მანქანათა კომპლექსების დაპროექტება, რომელთა დამზადება მოხდება ცენტრის ექსპერიმენტულ-მექანიკურ ქარხანაში. სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფი დაამუშავებს აღნიშნული მანქანების ოპტიმალური პარამეტრების გაანგარიშების მეთოდებს, პერიოდულად მოამზადებს მემცენარეობის და მეცხოველეობის პროდუქტების მოვლა-მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიას და მანქანათა სისტემას გამოსაცემად სამამულო და მსოფლიო მეცნიერების მიღწევების დონეზე. მოახდენს სამეცნიერო ტექნიკურ პროგნოზირებას. ცენტრის საგამოცდო ქვედანაყოფი ჩაატარებს ადგილზე შექმნილი და საზღვარგარეთიდან შემოსატანი მანქანების წინასწარ გამოცდას და რეგიონების მიხედვით მაღალი ტექნოლოგიების ათვისებისათვის საჭირო სამუშაოებს, ასევე მექანიზებული სამუშაოების ნორმირებას მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების სახეობებს, კულტურების და რეგიონების მიხედვით.

ცენტრის ექსპერიმენტულ-მექანიკურ ქარხანაში შესაძლებელია კოოპერაციის საწყისებზე ვაწარმოოთ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და განვახორციელოთ ტექნიკის რემონტი.

სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შექმნა მიზანშეწონილია მოვახდინოთ ყოფილი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის შენობის ბაზაზე, სადაც ჯერ კიდევ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ექსპერიმენტულ-მექანიკური ქარხნის შენობა საწარმოო საქმიანობისათვის.

ქვემოთ მოცემულია მექანიზაციის სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის სფერო:

- კონკურენტუნარიანი ტექნიკის, მექანიზაციის და მასალების ნიმუშების, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების და სხვა სახის მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნა;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩატარება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრინციპულად ახალი გზების გამოვლენა-გამოყენებადი კვლევების ჩატარება სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებით. ახალი თაობის მექანიზაციის ენერგეტიკულ და ტექნიკური საშუალებების დამუშავება;
- ცენტრის პროფილის მიხედვით მეცნიერების მსოფლიო მიღწევების შესწავლა განზოგადოება და მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის ხელშეწყობა;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის ენერგეტიკული და ტექნიკური საშუალებების ოპტიმალური ნომენკლატურისა და რაოდენობის მეცნიერული დასაბუთება კულტურების მოვლა-მოყვანის მაღალი ტექნოლოგიების ათვისების გათვალისწინებით;
- საზღვარგარეთიდან შემოსატანი ტექნიკის ნიმუშების წინასწარი გამოცდა ქვეყნის რეგიონების მიხედვით და რეკომენდაციების მიცემა;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებისათვის სამუშაოების ნორმირება მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატების სახეობების, კულტურების და რეგიონების მიხედვით.
- მექანიზაციის სპეციფიკური დარგებისათვის (მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, სამთო მიწათმოქმედება) ახალი თაობის ენერგო-ტექნიკური საშუალებების დამუშავება და სერიული წარმოება.
- კოოპერაციის პრინციპებზე ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება და უცხოეთიდან შემოსატანილი მანქანების ტექნიკური მოვლისა და რემონტის ჩატარება.

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ასევე სახელმწიფო მართვის სხვა ორგანოების დავალებით მნიშვნელოვანი სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და სამეურნეო პროგრამები, საინოვაციო პროექტების, ასევე ნორმატიული სამართლებრივი სამეცნიერო ექსპერიმენტის ჩატარება ცენტრის პროფილის მიხედვით.

- მაღალი კვალიფიკაციის კადრების, მაგისტრების და დოქტორების მომზადებაში მონაწილეობა;

- სამეცნიერო კადრების და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება, მათ შორის საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში.

აკადემიკოსი ზაურ ფუტყარაძე

1. სამეცნიერო კვლევითი თემა:

1.1. „ მექანიზაციის განვითარების პრიორიტეტები აჭარაში“;

კვლევის პერიოდში გაგრძელდა მუშაობა თემაზე: „ მექანიზაციის განვითარების პრიორიტეტები აჭარაში“.

კვლევის მეცნიერული სიახლე:

- აჭარაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის და ტექნიკური საშუალებების ენერგეტიკული შეფასება.

- აჭარაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფის ენერგეტიკული კოეფიციენტის ანალიზის საფუძველზე მეცნიერული რეკომენდაციების დამუშავება ტექნიკის რაციონალური გამოყენებისათვის.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა:

აჭარის მაღალმთიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ძირითადად გამოიყენება როგორც მობილური, ასევე მცირე მექანიზაციის საშუალებები. საანგარიშო პერიოდში და მანამდე ადგილობრივი ბიზნესისა და სამინისტროს მიერ განხორციელებული მიზნობრივი პროგრამებით, რომელიც გულისხმობს თანადაფინანსებას, ხდება მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის ტექნიკითა და ტექნიკური საშუალებებით. გამოიკვეთა საჭიროება ჩატარდეს მეცნიერული კვლევა არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის და ტექნიკური საშუალებების შესწავლა - შეფასება ენერგეტიკული თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად მოხდა პრობლემის მეცნიერული გააზრება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მუნიციპალიტეტების უზრუნველყოფისა და მათი შეფასება ენერგეტიკული თვალსაზრისით.

1.2. აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის ჩართულობით 2020 წლიდან რეგიონში ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი პროექტი „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამა „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა“.

სამეცნიერო კვლევებში ჩართული არიან საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები და ადგილობრივი სოფლის მეურნეობის წამყვანი მეცნიერები. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და ხორციელდება შემდეგი სამეცნიერო თემები:

ა) აკადემიკოსი გ. ალექსიძე, ასოცირებული პროფესორი, გ. ჩხუბაძე;

„აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ - დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“

ბ) აკადემიკოსი რ. ჯაბნიძე, პროფესორი შ. ლამპარაძე, ასოც. პროფესორი ნ. ბერიძე

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე ჯიშების (11 ჯიში) მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა.“

გ) აკადემიკოსი ლ. დოლიძე , პროფესორი მერაბ მამულაძის და აკადემიური დოქტორი არჩილ ძირკვაძე

„ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“.

დ) **გ. თხილაიშვილი**, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი;

ნ. ჯაბნიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი, ასისტენტ პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

„აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“

ქვეთავი: „აჭარაში მოყვანილი ეკომეგობრული კარტოფილის კულტურის მოთხოვნა საერთაშორისო ბაზარზე“

ე) **აკადემიკოსი გ. პაპუნძიძე, აკადემიური დოქტორი მ. არმენაძე**
„აჭარის რეგიონში გავრცელებული ტყემლის მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ფორმების შერჩევა, მათი ბიოქიმიური და ტექნოლოგიური ნიშანთვისებების შესწავლა სტაბილური სანედლეულო ბაზის შექმნისა და მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღების მიზნით.“

ვ) **აკადემიკოსი რ. მახაროზიძე, აკად. დოქტორი ს. ბერიძე**
„მაღალმთიან რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარება, სათიბი მდელოების მორწყვითი სისტემების უზრუნველყოფით, ტერიტორიულად წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშება და შესაბამისი სარწყავი სისტემების ტექნიკური საშუალებების დამუშავება.“

ზ) **აკადემიკოსი ჯ. კაციტაძე, აკადემიური დოქტორი რ. მარგალიტაძე**
„ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული ჰიდრომელიორაციული სამთაბარო აგრეგატის დამუშავება, თეორიული კვლევა და რეკომენდაციები“

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

2.1 ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორი;

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და ნაშრომები:

3.1. J. Katsitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia, International Scientific Journal “Mechanization in Agriculture”, VARNA, BULGARIA, 2024 THEORETICAL BASIS FOR CALCULATING RELIABILITY INDICATORS OF AGRICULTURAL MACHINES

4. **გამოქვეყნებული მონოგრაფია, სახელმძღვანელო**
მომზადებულია დასაბეჭდად სახელმძღვანელო: “მანქანათა ექსპლუატაციისა და რემონტის საფუძვლები“

5. **დაცული სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები:**
აკად. ზაურ ფუტკარაძე არის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი.

6. **კონგრესში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობა:**
6.1 საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი: XII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS “AGRIMACHINERY” სამეცნიერო თემა: „ **Research and restoration of rural areas of active and passive working bodies using Georgian raw material (gumboil)**“
VARNA, BULGARIA, 2024; გადაეცა დიპლომი; 25.06 – 30.06 2024,

6.2 ბელორუსის ეროვნული აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის ვიდეო კონფერენცია, მიძღვნილი აგრარულ პრობლემებთან დაკავშირებით, 24 ნოემბერი, 2024 წ.

7. სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

7.1 აკად. ზაურ ფუტკარაძე აგრძელებს მუშაობას საგრანტო პროექტში- შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ფუნდამენტური კვლევები.

„თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიული საფუძვლებისა და მისი გაზრდის ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“

პროექტის კოორდინატორი. პროექტის ძირითადი მიმართულება: ზუსტი მეცნიერებები და ინჟინერია;

7.2 აკად. ზაურ ფუტკარაძეს წარდგენილი აქვს საგრანტო პროექტი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდში , ფუნდამენტური კვლევები.

„აგრობიზნესის მართვის, მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ინოვაციური პროგრამული სისტემების შექმნა და დანერგვა საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“

8. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა.

აკად. ზაურ ფუტკარაძემ 2024 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროსაინჟინრო განყოფილების, პრეზიდიუმის სხდომაზე და აჭარის ა.რ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარადგინა მოხსენება:

8.1. აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის, სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობის და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შესახებ.

8.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტის გიორგი ქუთელიას მიერ 2019-2024 წლებში ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;

8.3. 2024 წლის მე-2 კვარტლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ;

9. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.

9.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;

9.2. აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი;

9.3. სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალ „აგრარული საქართველო“ -ს სამეცნიერო საბჭოს წევრი;

9.4. Член научного совета Международная ассоциация академий наук, Национальная академия наук Беларусь, г. Минск, пр. Независимости 66, Беларусь;

9.5. არჩეულია აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს აგრარული და თვითმართველობის კომიტეტის საბჭოს წევრად.

10. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები

10.1. აკად. ზაურ ფუტკარაძის მიერ მომზადდა რეცენზია აკადემიის სტიპენდიანტის გიორგი ქუთელიას მიერ 2019-2024 წლებში ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

10.2. აკად. ზაურ ფუტკარაძე არჩეულია სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულების კოორდინატორად და დარგობრივი ჯგუფის ხელმძღვანელად

11. გამოგონება, პატენტი

დარეგისტრირებულია საქპატენტში გამოგონებები:

11.1 „ავტომატიზებული მაკოპირებელი მოწყობილობა გუთნების სახნისების მდნობის ქვეშ ავტომატური დადუღებისათვის“;

გამომგონებლები: ზაურ ფუტკარაძე, ჯემალ კაციტაძე, გიორგი ქუთელია;

11.2. „თხილის ამკრეფ - გამრჩევი მოწყობილობა“

გამომგონებლები: ზაურ ფუტკარაძე, ჯემალ კაციტაძე, გიორგი ქუთელია;

11.3 „გუთანი ფერდობზე ეროზიის საწინააღმდეგო დამუშავებისათვის“

გამომგონებლები: ზაურ ფუტკარაძე, ივანე კაპანაძე, ჯემალ კაციტაძე, რომან მარგალიტაძე, გიორგი ქუთელია;

12. აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე წარმოადგენს ანგარიშს აჭარის სამეცნიერო საკოორდინაციო ცენტრის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

აკადემიის სტიპენდიატი მამუკა ბენაშვილი

1. **თემის დასახელება** - სოფლის მეურნეობის დარგში უმაღლესი განათლების შეფასება.

თემის მიზანია შეფასდეს სოფლის მეურნეობის მიმართულებით უმაღლესი განათლების მდგომარეობა და განისაზღვროს მისი გაუმჯობესების გზები.

2. მონაწილეობა საგანამათლებლო საქმიანობაში:

2.1. 2024 წლის განმავლობაში საქართველოს აგრარულ და თავისუფალ უნივერსიტეტში ჩატარებული იქნა სალექციო კურსები საგნებში: საკურსო პროექტი 1, საკურსო პროექტი 2, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. აღნიშნული საგნებისათვის განახლდა სილაბუსი და სასწავლო რესურსები.

2.2. 2024 წელს ჩატარებული იქნა ლექციები ქალაქ დმანისში არსებულ შვეიცარიულ აგრარულ სკოლაში სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საკითხებზე. კურსი მოიცავდა როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სწავლებას.

2.3. მიმდინარე წლის განმავლობაში შემუშავებული იქნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სწავლების პროგრამა ფერმერებისათვის და სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე პრაქტიკოსებისათვის. პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია და მიმდინარეობს მსმენელების გადამზადება. 2024 წლის განმავლობაში 100-ზე მეტმა სოფლის მეურნეობის დაგმი დასაქმებულმა პრაქტიკოსმა გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსი.

2.4. 2024 წელს მომზადებული იქნა ტრაქტორისტი-მემანქანის პროფესიული პროგრამა, რომელზეც 2025 წლის მარტიდან დაგეგმილია მსმენელების მიღება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამა საქართველოს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კოლეჯებში მთელი რიგი მიზეზების გამო ვერ ხორციელდება. პროგრამის დამუშავების დროს გამოყენებული იქნა ამ დარგში ერთ-ერთი მოწინავე შვეიცარიული კოლეჯის პლანტაჰოფის გამოცდილება <https://www.graubuenden.ch/en/attractions/plantahof-hofladen>. პლანტაჰოფი წარმოადგენს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის პარტნიორ კოლეჯს.

3. სადოქტორო დისერტაციების, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა

3.1. 2024 წლიდან სამეცნიერო ხელმძღვანელობას ვუწევს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დოქტორანტ - გიორგი კაკაბაძეს, რომელიც მუშაობს თემაზე: ოპტიკური სისტემების სურათის ხარისხზე თერმო-მექანიკური ზეგავლენების მინიმიზაცია. სამეცნიერო კვლევას გიორგი კაკაბაძე ასრულებს გერმანიაში, აგრარული უნივერსიტეტის პარტნიორ გერმანულ სამეცნიერო კვლევით ცენტრში - იულიხში <https://www.fz-juelich.de/en>, რომლის შემადგენლობაშიც შედის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტი Institute of Technology and Engineering (ITE) - <https://www.fz-juelich.de/en/institutes/ite>. გიორგი კაკაბაძის ხელმძღვანელობას უწევს ამავე ინსტიტუტის პროფესორი ღალეზ ნატორი.

4. გამოქვეყნებული პუბლიკაციები (მეთოდური მითითებები, რეკომენდაციები და სხვ.)

4.1. მეთოდური მითითებები ლაბორატორიული სამუშაოებისათვის, კურსისათვის მასალათა გამძლეობა;

4.2. მომზადებული იქნა რეკომენდაციები პარალელური მართვის სისტემების ეფექტურად გამოყენების შესახებ და მოსავლის ამღები კომბაინების მიერ დანაკარგების მინიმიზაციის საკითხზე.

5. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები

5.1. 2024 წელს მონაწილეობა მივიღე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში. როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტმა მონაწილეობა მივიღე 18-ზე მეტ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში. აქედან 10-მდე პროგრამაზე გახლდით საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე. ჩემს მიერ კომისიის ექსპერტებთან ერთად განხორციელდა პროგრამების შესაბამისობის დადგენა უმაღლესი განათლების სტანდარტებთან მიმართებაში და მომზადებული იქნა დასკვნები. დასკვნებში ასახულია პროგრამების სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციები და რჩევები

5.2. 2024 წელს ჩემი ხელმძღვანელობით საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მექანიკის ინჟინერიის სტუდენტებმა მოამზადეს სტუდენტური პროექტები. 2025 წლის ივნისში დაგეგმილია გერმანიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პროფესორების ვიზიტი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში, სადაც წარმოდგენილი იქნება ჩემი ხელმძღვანელობით შესრულებული პროექტები. გამარჯვებული პროექტის ავტორი გაემგზავრება უილიხის კვლევით ცენტრში სადაც გაივლის 1 თვიან მომზადების კურსს.

5.3. კომპანია “აგროსოფეროს”-თან თანამშრომლობის ფარგლებში ჩემს მიერ განხორციელებული იქნა კომპანია აგროსოფეროს თანამშრომლების გადამზადება სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში. 50-ზე მეტმა თანამშრომელმა გაიარა აღნიშნული კურსი. ამავე ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში გადამზადება გაიარეს კომპანიის ბენეფიციარებმა საქართველოს მასშტაბით.

5.4. 2024 წელს პროფესიული უნარების სააგენტოსა და USAID-ს დაფინანსებით გავიარე კვალიფიკაციის ამაღლების კურსი უმაღლესი და პროფესიული განათლების სწავლების

მეთოდებზე გერმანიის ქალაქ ტრისდორფში ვაინშტეფანის უნივერსიტეტში <https://www.hswt.de/en/>

5.5. კომპანია აგროსერვისთან თანამშრომლობის ფარგლებში მომზადებული იქნა პროფესიული გადამზადების კურსი „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაცია“. პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია. ამავე კომპანიასთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული იქნა პროფესიული გადამზადების ტრენინგები დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლში.

5.6. 2024 წელიდან პროფესორ რევაზ რუსიემვილთან ერთად ვმუშაობთ სახელმძღვანელოზე - მეცხოველეობის მექანიზაცია.

3.4. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს - მდივანი – აკადემიკოსი ლაშა დოლიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 6 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და 1 სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: ლაშა დოლიძე, გიორგი გაგომიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, გივი ჯაფარიძე, გურამ ალექსიძე, ანატოლი გორგაძე.

სტიპენდიატები: სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე (2024 წლის 3 ივნისს დაუმთავრდა სტიპენდიატობის ვადა); სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი.

განყოფილებაში 2024 წელს ჩატარდა 13 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 23 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლ. დოლიძე; 2. ინფორმაცია აკადემიკოს ლაშა დოლიძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ლ. დოლიძე.

მეორე სხდომა ჩატარდა 19 თებერვალს და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს რევაზ ჩაგელიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი, რევაზ ჩაგელიშვილი.

მესამე სხდომა ჩატარდა 21 მარტს და განხილული იქნა საკითხი: 1. აკადემიკოს გიორგი გაგომიძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გ. გაგომიძე;

მეოთხე სხდომა ჩატარდა 23 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულების ეროვნული კოორდინატორების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის და 2024 წლის სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლ. დოლიძე;

მეხუთე სხდომა ჩატარდა 23 აპრილს და განხილული იქნა საკითხი: 1. “კლიმატის ცვლილების გავლენის მოდელირება ტყის ეკოსისტემების ზრდა - განვითარებაზე”. **მომხსენებელი:** ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი, გიორგი ქავთარაძე, **თანამომხსენებელი:** ვ. ჩიბურდანიძე;

მექვსე სხდომა ჩატარდა 21 მაისს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის გიორგი ქავთარაძის მიერ 2019 - 2024 წლებში ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის

შესახებ. **მომხსენებელი:** ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 27 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: 1. „თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანი მცენარეების მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ“. **მომხსენებელი:** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აკადემიის სტიპენდიანტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზ. ტიგინაშვილი.

მერვე სხდომა ჩატარდა 18 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. „აღმოსავლეთ საქართველოს წიფლნარი ტყის ეკოსისტემების ძირითადი ფორმაციების დაცვით - ეკოლოგიური ფუნქციების შესწავლის შესახებ“. **მომხსენებელი:** აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.

მეცხრე სხდომა ჩატარდა 10 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია 2024 წელს ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მიერ გაწეული სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის შესახებ. **მომხსენებელი:** ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი, გიორგი ქავთარაძე.

მეათე სხდომა ჩატარდა 4 ნოემბერს (გამოკითხვის წესით) და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2024 წელს გამოცხადებულ აგრარულ სფეროში **გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მისანიჭებლად** ნაშრომების გამოსავლენი კონკურსში შემოსული ნაშრომის „აჭარის მუქწიწვოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“ (ავტორები: რეზო ვასაძე - ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, სსიპ აჭრის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ზეინაბ ვასაძე - პედაგოგი) შესაფასებლად ექსპერტის გამოყოფის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 2. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2024 წელს გამოცხადებულ აგრარულ სფეროში **გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მისანიჭებლად** ნაშრომების გამოსავლენი კონკურსში შემოსული ნაშრომის „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“ (ავტორები: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების მეცნიერთანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების უფროსი, ბიოლოგიის დოქტორი ა. სუპატაშვილი) შესაფასებლად ექსპერტის გამოყოფის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 19 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია აკადემიის სტიპენდიატის ზვიად ტიგინაშვილის მიერ 2024 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სტიპენდიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზ. ტიგინაშვილი.

მეთორმეტე სხდომა ჩატარდა 27 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროინჟინერიის, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებებთან ერთად და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულისძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა“, **მომხსენებლები:** ტექნიკის დოქტორები: ედუარდ კუხალაშვილი, შორენა კუპრეიშვილი. 2. ინფორმაცია ნაშრომის „ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე. 3. ინფორმაცია აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „აჭარის მუქწიწვოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“, **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი რეზო ვასაძე. 4. ინფორმაცია ნაშრომის „აჭარის მუქწიწვოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები

და სატყეო საქაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 5. ინფორმაცია აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“, **მომხსენებელი:** ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე. 6. ინფორმაცია ნაშრომის „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებლები:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი შაქრო ყანჩაველი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 7. ინფორმაცია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ ანდრო ნიჭარაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „სხვადასხვა საფუარის გავლენის დადგენა ღვინის არომატულ კომპონენტებზე“, **მომხსენებელი:** ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ხოსიტაშვილი. 8. ინფორმაცია ნაშრომის „სხვადასხვა საფუარის გავლენის დადგენა ღვინის არომატულ კომპონენტებზე“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ნინო ჩხარტიშვილი.

მეცამეტე სხდომა ჩატარდა 12 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. **მომხსენება:** „სხვადასხვა საშიში მავნებლებით დასახლებული ხეები და მათი მონიტორინგის შესახებ“. **მომხსენებელი:** აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი არჩილ სუპატაშვილი; 2. „ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ“. **მომხსენებელი:** აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:

3 მარტს - ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, ასოცირებულმა პროფესორმა, აკადემიის სტიპენდიატმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა ზ. ტიგინაშვილმა წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „ერუშეთის ეროვნული პარკის ტყის ბიომასისა და მასში დეჰონირებული ნახშირბადის დადგენა“.

21 მარტს - ტყის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა, რომელზეც ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა, სსიპ აჭრის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსმა, დოქტორმა რეზო ვასაძემ, წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „აჭრის ტყეებში გავრცელებული ინვაზიური მავნებელ - დაავადებები და მათი უარყოფითი ზემოქმედების შედეგები“.

22 მაისს - ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა. აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების პროფესორმა, ბიოლოგიის დოქტორმა მედეა ბურჯანაძემ წარმოადგინა მონოგრაფია: „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“ (თანაავტორი - ა. სუპატაშვილი); მედეა ბურჯანაძემ დაწვრილებით მიმოიხილა საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდები, შემუშავებული რეკომენდაციები.

5 ივნისს - გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების უფროსმა, ბიოლოგიის დოქტორმა არჩილ სუპატაშვილმა, წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „საქართველოში გავრცელებული ახალი ინვაზიური მავნებლები“.

28 ივლისს - ბუნების კონსერვაციის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა. ს/კ ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა ნანა გოგინაშვილმა წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „ტყის არამერქნული რესურსების აღრიცხვა - შეფასების მეთოდები“; მომხსენებელმა დაწვრილებით მიმოიხილა „ტყის არამერქნული რესურსების აღრიცხვა - შეფასების მეთოდების თავისებურებანი“.

18 სექტემბერს - ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის

მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ მიმოიხილა საქართველოში გავრცელებული ტყის ხანძრების ისტორია, გავრცელების დინამიკა და ხანძრების გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინოვაციური მეთოდები და ხანძარგავლილი ტყის ეკოსისტემების აღდგენის მეცნიერული საფუძვლები, რეკომენდაციები.

10 ოქტომბერს - მეტყევის დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა. აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების პროფესორმა, მეცნიერ-თანაშრომელმა, ბიოლოგიის დოქტორმა მედეა ბურჯანაძემ წარმოადგინა მოხსენება „წაბლის ქერქის კიბოს წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდის დანერგვა საქართველოში“. მან დაწვრილებით მიმოიხილა წაბლის ქერქის კიბოს წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდი, შემუშავებული რეკომენდაციები.

3.4.1. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი გიორგი გაგომიძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებითი):

- 1.1. „ქ. თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანები და მათი გავრცელების თავისებურებები კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“. (თემის შემსრულებელი);
- 1.2. „სამეგრელოსა და აჭარის რეგიონების ბუხის (*Buxus colchica*) კორომებში ბუნებრივი განახლებისა და სუქსესიური (სახეობათა ცვლის) პროცესების შესწავლა“ – (თემის კონსულტანტი);
- 1.3. „სახეობათა ცვლის პროცესის დინამიკა მდინარე იორის ჭალის ტყეებში, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე“ – ხელმძღვანელი; კვლევები გაგრძელდება 2025 წ.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

- 2.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი: პროფესორი სრულ სამტატო ერთეულზე, დატვირთვა-240 სთ;
- 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის - „ტყეთმცოდნეობა-მეტყევეობა“ -ხელმძღვანელი

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

- 2.1. გიორგი გაგომიძე გივი ჯაფარიძე, ზვიად ტიგინაშვილი, ელენე სორდია, ლაშა დოლიძე, ნოდარ ბერიძე - თუშეთის დაცული ლანდშაფტის არყის ტყეებში დაქვემდებარებული სართულის ნახშირბადის მარაგების შეფასება და მისი გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებებზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ”მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები”, 22 – 24 მაისი, თბილისი, გვ. 158 – 159.

4. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

- 3.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ”მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები”, 22 – 24 მაისი, თბილისი.

5. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა.

- 5.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი;
- 5.2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს წევრი;
- 5.3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის სადისერტაციო საბჭოს წევრი;
- 5.4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის წევრი;
- 5.5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულის „მეცნიერება“ სარედაქციო კოლეგიის წევრი;
- 5.6. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „სიცოცხლის ხე/დრევეო ჟიცია“ (საქართველო-პოლონეთი) თანადამფუძნებელი და გამგეობის ხელმძღვანელი);

- 5.7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე;
- 5.8. საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;
- 6. საკითხები, რომელთა განხილვა სასურველია სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა, რომელთა გამართვაც ასევე სასურველი იქნება აკადემიაში.**
- 6.1. ქ. თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანების გავრცელების თავისებურებანი კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე. (საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფორმატში)

აკადემიკოსი ლაშა დოლიძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებითი)

1.1. თემა: „ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“. (2023-2027 წ. წ.). პროექტის მიმართულება - სატყეო საქმე (თემის ხელმძღვანელი);

ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო - საკოორდინაციო ცენტრის დაკვეთით.

პროექტის ფარგლებში კვლევები განხორციელდა მაღალმთიანი აჭარის (შუახევის, ხულოს სატყეო უბნები) ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში;

1.2. თემა: „ტყის ეკოსისტემების დაცვით - ეკოლოგიური ფუნქციები წიფლის ბუნებრივი გავრცელების სარტყელში“. (თემის ხელმძღვანელი);

კვლევები განხორციელდა მდინარე ცხენისწყალის აუზში, წიფლის ბუნებრივი გავრცელების სარტყელში (წიფლნარი, წიფლნარ - რცხილნარი ტყის ეკოსისტემები)

1.3. თემა: „სამეგრელოსა და აჭარის რეგიონების ზვის კორომებში ბუნებრივი განახლებისა და სუქსესიური (სახეობათა ცვლის) პროცესების შესწავლა“. (თემის შემსრულებელი).

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.

2.1. ლაშა დოლიძე, არჩილ ძირკვაძე, მერაბ მამულაძე - მაღალმთიანი აჭარის (შუახევის, ხულოს სატყეო უბნები) სოჭის (*Abies nordmanniana* S.), ტყის ეკოსისტემების ბუნებრივი გავრცელების სარტყელში სოჭნარი ტყის ეკოსისტემების ძირითად ფორმაციები და მათში ბუნებრივად გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარეების ბოტანიკური, სამკურნალო და სხვ. სასარგებლო თვისებების ზოგადი დახასიათება. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 1; 2024 წ; (51); გვ. 117 -124.

2.2. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე - ტყის კულტურების სიხშირის, ხნოვანების და შემადგენლობის გავლენა ზედაპირული ჩამონადენის რაოდენობის ცვალებადობაზე; დახასიათება. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 1; 2024 წ; (51); გვ. 110 – 113.

2.3. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე - ტყის ეკოსისტემებში სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების პროცესებთან ბრძოლა ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების მინერალიზებული ზოლების და თხრილების საშუალებით. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 1; 2024 წ; (51); გვ. 114 – 116.

2.4. გივი ჯაფარიძე, გიორგი გაგომიძე, ზვიად ტიგინაშვილი, ელენე სორდია, ლაშა დოლიძე, ნოდარ ბერიძე - თუშეთის დაცული ლანდშაფტის არყის ტყეებში დაქვემდებარებული სართულის ნახშირბადის მარაგების შეფასება და მისი გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებებზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ”მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, 22 – 24 მაისი, თბილისი, გვ. 158 – 159.

2.5. გივი ჯაფარიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, ლაშა დოლიძე - საქართველოში მერქნული საწვავით უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 2; 2024 წ.; (52); გვ. 49 – 52.

2. 6. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, რევაზ ჩაგელიშვილი - საქართველოში მერქნულ საწვავზე მომხმარებელთა ძირითადი კატეგორიები და მერქნული საწვავის დამზადების ტექნოლოგია . ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 1; 2024 წ.; (52); გვ. 52 – 56.

2.7. გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე, გ. ქავთარაძე - საქართველოს სატყეო სექტორის განვითარება - მოდერნიზაციის ძირითადი მიმართულებები. ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 2; 2024 წ.; (52); გვ. 56 – 60.

3. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

3.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, 22 – 24 მაისი, თბილისი, (მონაწილე);

4. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა

4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი;

4.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;

4.3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კოორდინატორი სატყეო საქმის მიმართულებით;

4.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო დარგის ექსპერტი;

4.5. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების შემსწავლელი კომისიის წევრი;

4.6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო შრომათა კრებული "მოამბე" - ს სარედაქციო - სამეცნიერო საბჭოს წევრი.

5. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები.

5.1. რეცენზია - 2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ;

5.2. რეცენზია - 2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის მიერ;

5.3. რეცენზია - 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ, წარდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, შესრულებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ;

5.4. რეცენზენტი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოში სატყეო მეურნეობის განვითარების თანამედროვე მიდგომები“. თბილისი, 05.05. 2023.

5.5. რედაქტირება - მონოგრაფიაზე: „ჭარის მუქწიწვოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“. ავტორი: რეზო ვასაძე, ზეინაზ ვასაძე. ბათუმი, 2024 წ. 222 გვ. ISBN 978-9941-8-6254-0;

5.6. რედაქტირება - რეკომენდაციებზე: „ნამძნარ - სოჭნარი კორომების ზოგიერთი მავნე მწერების ბიოლოგიური თავისებურებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები“. ავტორები: რეზო ვასაძე, გალინა მეფარიშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2024 წ. 68 გვ. ISBN 978-9941-8-7308-9;

6. პრაქტიკული მონაწილეობა თემატურ სხდომებში და მრგვალი მაგიდების მუშაობაში, მოხსენება - პრეზენტაციები

- 6.1. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. (მეცნ. განყოფილების სხდომა, 23.01.2024 წ. და პრეზიდენტის სხდომა - მოხსენება - პრეზენტაცია 26.01.2024 წ.);
- 6.2. პროექტი: „უცხო, პოტენციურად ინვაზიური მერქნიანი მცენარეების შესწავლა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე“. პროექტი განხორციელდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მიერ, შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (პრეზენტაცია - განხილვის მონაწილე 30.01.2024 წ.);
- 6.3. საქართველოს ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის შედეგები და წინასწარი პოლიტიკური დასკვნები (2019 – 2023 წ. წ.); პრეზენტაცია - განხილვის მონაწილე (29.01.2024 წ.);
- 6.4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. აკადემიკოს ქსენია ბახტაძის დაბადებიდან 125 წ. იუბილეს აღსანიშნავი მრგვალი მაგიდა - მონაწილე (07.02.2024 წ.);
- 6.5. ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. (სსმმ აკადემიის თანამშრომელთა საერთო კრება სხდომა, 01.03.2024 წ.);
- 6.6. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია (წევრი, მეორე სხდომა 22 თებერვალი 2024 წ.) თემა: „ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და რისკების შემცირების ინოვაციური ღონისძიებები“;
- 6.7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ველური ბუნების მსოფლიო დღეს; თბილისი, 04. მარტი. 2024. - მონაწილე;
- 6.8. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია (წევრი, მესამე სხდომა 7 მარტი 2024 წ.) თემა: „სეისმური საშიშროებების ალბათური შეფასება საქართველოში, ისტორიის მიმოხილვა და მთავარი გამოწვევები“;
- 6.9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ტყის საერთაშორისო დღეს; თბილისი, 21 მარტი. 2024 წ. - მონაწილე;
- 6.10. ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (ესპპ) 2024 წლის მეორე შეხვედრა. მონაწილე; თბილისი, 2 აპრილი, 2024 წ. - მონაწილე;
- 6.11. ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (ესპპ) 2024 წლის მესამე შეხვედრა. მონაწილე; თბილისი, 19 აპრილი, 2024 წ. - მონაწილე;
- 6.12. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. პარტნიორთა სამუშაო შეხვედრა. 22 აპრილი 2024 წ. - მონაწილე;
- 6.13. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულეების კოორდინატორებთან. თბილისი, 16 მაისი. 2024. - მონაწილე;
- 6.14. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ფუტკრის საერთაშორისო დღეს. თბილისი, 20 მაისი. 2024. - მონაწილე;
- 6.15. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს; თბილისი, 22 მაისი. 2024. - მონაწილე;
- 6.16. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს; თბილისი, 5 ივნისი. 2024. - მონაწილე;

6.17. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ბუნების კონსერვაციის მსოფლიო დღეს; თბილისი, 28 ივნისი. 2024. - მონაწილე;

6.18. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო და ტექნოლოგიის და ეკონომიკის მეცნიერებათა განყოფილებების ვაკანტურ ადგილებზე სტიპენდიატების ასარჩევად კონკურსის საექსპერტო - საკონკურსო კომისიის წევრი (ბრძ. N 52, 01.07. 2024 წ.);

6.19. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სატყეო საქმის და გარემოს დაცვის დარგობრივი ჯგუფების მიმართულელების კოორდინატორების სხდომა (2024 წლის 16 ივლისი; საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი);

6.20. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისია (წევრი, მეოთხე სხდომა 24 ივლისი 2024 წ.) თემა: „კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით წყლის რესურსების მართვა მაზურის ტბების (პოლონეთი) გარშემო“;

6.21. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღეს; თბილისი, 18 სექტემბერი 2024 წ. - მონაწილე;

6.22. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა მეტყევის დღეს; თბილისი, 10 ოქტომბერი. 2024 წ. - მონაწილე;

6.23. სასოფლო - სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის (AKIS) შესახებ საინფორმაციო შეხვედრა. 2024 წლის 16 ოქტომბერი, თბილისი. მონაწილე;

6.24. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა მეცნიერთა მსოფლიო დღეს; თბილისი, 10 ნოემბერი. 2024. - მონაწილე;

6.25. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცხადებული კონკურსში 2024 წლის საუკეთესო ფუნდამენტური, საგანმანათლებლო და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომის გამოსავლენად საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრების მიერ არჩეული ხმის დამთვლელი კომისიის სხდომა (27.10.2024 წ.). - მონაწილე;

7. აკადემიკოს ლაშა დოლიძის წინადადებები, რომელთა განხილვა მიზანშეწონილია სამეცნიერო განყოფილებებისა და პრეზიდიუმის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა რომელთა გამართვაც აგრეთვე მიზანშეწონილია აკადემიაში.

7.1 „საქართველოს სატყეო სექტორის მდგრადი განვითარების და მართვის მექანიზმის შემდგომი ოპტიმიზაცია“.

საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფორმატში.

აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი

1. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა

1.1. თემის დასახელება: „საქართველოს ტყის ძირითადი სახეობების დაცვითი ფუნქციების მნიშვნელობა“. (ხელმძღვანელი; გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის განყოფილების აკადემიკოს - მდივნის, აკადემიკოს ლ. დოლიძის მონაწილეობით);

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები.

2.1. საქართველოში მერქნული საწვავით უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ. (თანაავტორები: გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე.) ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 2; 2024 წ.; (52); გვ. 49 – 52.

2.2. საქართველოში მერქნულ საწვავზე მომხმარებელთა ძირითადი კატეგორიები და მერქნული საწვავის დამზადების ტექნოლოგია. (თანაავტორები: გივი ჯაფარიძე, ლაშა დოლიძე), ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 1; 2024 წ.; (52); გვ. 52 – 56.

3. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო - პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა.

3.1. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, 22 – 24 მაისი, თბილისი, (მონაწილე - ონლაინ რეჟიმში);

4. პრაქტიკული მონაწილეობა თემატურ სხდომებში და მრგვალი მაგიდების მუშაობაში, მოხსენება - პრეზენტაციები

4.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ტყის საერთაშორისო დღეს; თბილისი, 21 მარტი. 2024 წ. – (მონაწილე ონლაინ რეჟიმში);

4.2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართული მრგვალი მაგიდა, რომელიც მიეძღვნა ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღეს; თბილისი, 18 სექტემბერი. 2024. – (მონაწილე ონლაინ რეჟიმში);

5. საკითხები, რომელთა განხილვა სასურველია სამეცნიერო განყოფილებების და პრეზიდენტის სხდომებზე, ასევე იმ ღონისძიებების (მრგვალი მაგიდა, სემინარი, კონფერენცია, სიმპოზიუმი და სხვა) თემატიკა, რომელთა გამართვაც ასევე სასურველი იქნება აკადემიაში.

5.1 „საქართველოს სატყეო დარგში, სატყეო მეურნეობების სრულყოფილად აღდგენის შესახებ“.

საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფორმატში.

5.2. „საქართველოს ტყის ძირითადი სახეობების დაცვითი ფუნქციების სტაბილურობის შენარჩუნების და ამაღლების მნიშვნელობის შესახებ“.

საკითხი შესაძლებელია განხილული იქნას მრგვალი მაგიდის ფორმატში.

აკადემიის სტიპენდიატი ზვიად ტიგინაშვილი

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით).

1.1 „თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანი მცენარეების მდგომარეობა და გაუმჯობესების ღონისძიებები“

თემატიკაში ჩართული პერსონალი

პროფესორი (ა) ზვიადი ტიგინაშვილი - ხელმძღვანელი,

სსმმა აკადემიკოსი ლაშა დოლიძე - მეტყევე ექსპერტი,

სსმმა აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე - კონსულტანტი,

„სატყეო საქმის“ დოქტორანტი გიორგი ჯინჭარაძე - მეტყევე.

1.2 „ერუშეთის ეროვნული პარკის ტყის ბიომასისა და მასში დეკონირებული ნახშირბადის მარაგების დადგენა“

თემატიკაში ჩართული პერსონალი

პროფესორი (ა) ზვიადი ტიგინაშვილი - ხელმძღვანელი,
სსმმა აკადემიკოსი ლაშა დოლიძე - მეტყევე ექსპერტი,
სსმმა აკადემიკოსი გიორგი გაგოშიძე - კონსულტანტი,
„სატყეო საქმის“ მაგისტრანტი დავით ბარბაქაძე - ტაქსატორი

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

2.1. 2017 წლის ოქტომბრიდან - დღემდე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, ჯერ მოწვეული და შემდეგ აფელირებული პედაგოგი ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე;

2024 წელს წაკითხული ლექციები შემდეგ დისციპლინებში:

ბაკალავრიატი:

სატყეო ტაქსაცია, ტყეთმომწყობა, დენდრომეტრია, დაცული ტერიტორიები და ეკოტურიზმი, საველე პრაქტიკა.

მაგისტრატურა:

ტყის ფონდის აღრიცხვა შეფასება ტაქსაციის თანამედროვე მეთოდებით, საველე პრაქტიკა სატყეო საქმეში.

დოქტორანტურა:

სატყეო რესურსების ეფექტური გამოყენება სატყეო ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით


3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

3.1. გივი ჯაფარიძე, გიორგი გაგოშიძე, ზვიად ტიგინაშვილი, ელენე სორდია, ლაშა დოლიძე, ნ. ბერიძე „თუშეთის დაცული ლანდშაფტის არყის ტყეებში დაქვემდებარებული სართულის ნახშირბადის მარაგების შეფასება და მისი გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებებზე“ - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები 22-24 მაისი, 2024, თბილისი, თეზისების კრებული ISSN 978- 9941-33-775-8;

3.2. გიზო გოგიჩაიშვილი, გივი ჯაფარიძე, ზვიად ტიგინაშვილი, გიორგი ვაჩნაძე - „საქართველოს ტყეებში არსებული ნახშირბადის მარაგი და ნახშირბადის დიოქსიდის ემისია ტყის ნიადაგების ზედაპირიდან“ - სსმმა მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული) № 1 (51). ISSN 1512-2743;

3.3 Giorgi Kavtaradze, Giorgi Vachnadze, Koba Chiburdanidze, Zviad Tiginashvili, Elizaveta Avoiani, Niko Karsimashvili, Diana Beria- “Growth and Carbon Sequestration Potential of Tbilisi City Forest Under Cli-mate Change Conditions (South Caucasus)” - Vol. 21 No. 1: The Journal of Nature Studies - Annals of Agrarian Science <https://journals.org.ge/index.php/aans/article/view/393>

ციტირების ინდექსი



4. თქვენი ხელმძღვანელობით დაცული სადოქტორო დისერტაციები, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომები.

4.1. ვარ ერთი დოქტორანტის - გიორგი ჯინჭარაძის სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი. დაცვა შედგება 2025 წლის ზაფხულის თვეებში.

4.2. ვარ 10 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, აქედან ხუთის დაცვა მოხდა 2020-2022 წ. წ., 2-ის 2023 წელს, 2 სამაგისტრო ნაშრომის დაცვა მოხდება მიმდინარე 2025 წლის საგაზაფხულო სემესტრის ბოლოს.

ყველა ნაშრომი მუშავდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

➤ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა მარიამჯვრის ნაკრძალსა და ცივ-გომბორის ალკვეთილში გაიარეს სასწავლო სავსე პრაქტიკები.

5. ტრენინგებში მონაწილეობა.

5.1. GPS ნავიგატორის გამოყენება, ინფორმაციის გადატანა კომპიუტერში და პირველადი დამუშავება - დონორი-შვედეთის მთავრობა (SIDA). გორი 24-25 სექტემბერი

5.2. დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის და წლიური გეგმის ანგარიშგება - დონორი-შვედეთის მთავრობა (SIDA). თბილისი 7-9 ოქტომბერი

6. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

6.1. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CBHE პროექტი „საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება (DUGEOR)“ 2023 - 2026

პროექტის მიზნებია:

- საქართველოში უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციების გაუმჯობესება დამსაქმებელთა საჭიროებების შესაბამისად;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების გაზრდა და სწავლისადმი მათი მოტივაცია;
- სტუდენტების მიერ სწავლის დაფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდა;
- სხვადასხვა ინდუსტრიულ სექტორსა და ბიზნესებში წარმოდგენილი კომპანიების საჭიროებებისა და სპეციფიკური მოთხოვნების დადგენა

პროექტის პარტნიორები უცხოეთიდან:

სერბეთი - ბიზნესის აკადემია - წამყვანი უნივერსიტეტი;

ავსტრია - FH Joanneum-ის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი;

გერმანია - DHBW, ბადენ-ვიურტემბერგის კოოპერატივის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

7. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედაქციის წევრობა.

7.1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;

7.2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრი.

სატყეო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელიც სატყეო საქმის უმაღლესი განათლების I (ბაკალავრიატი) და II (მაგისტრატურა) საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს.

8. სატყეო სფეროში არსებული პრობლემური საკითხები, რომელთა განხილვა სასურველია მოხდეს განყოფილების სხდომებზე და საჭიროების შემთხვევაში გავიდეს პრეზიდიუმზე:

8.1. პრობლემა - ტყის დაცვის სამსახურების შექმნა რეგიონებში.

ტყის დაცვის განყოფილება, მხოლოდ სატყეო სააგენტოშია და შეუძლებელია რამოდენიმე თანამშრომლის მიერ, ქვეყნის თითქმის ნახევარზე უზრუნველჰყონ ტყის დაცვის ღონისძიებების გატარება, კერძოდ: მავნებელ-დაავადებების გამოვლენა და არსებობის შემთხვევაში ტყის დაცვის ღონისძიებების გატარება. ხშირ შემთხვევაში, მამინ ხდება გამოვლენა, როდესაც უკვე ბრძოლის ღონისძიებების გატარება უშედეგოა, რასაც სავალალო შედეგებამდე მიყავს ტყეების სანიტარული მდგომარეობა.

სასურველია რეგიონებში შეიქმნას ტყის დაცვის განყოფილებები, თავისი მიკრო ლაბორატორიებით და მოხდეს მეტყევე სპეციალისტების, თუ ტყის მცველების მუდმივი სწავლება (ტრენინგები).

8.2. პრობლემა - გარემოსდაცვითი განათლება, მოსახლეობასთან მუშაობა.

საჭიროა მეტი კომუნიკაცია მოსახლეობასთან და მეტი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება.

8.3. პრობლემა - ტყეთმოწყობა

ტყეთმოწყობა არ ჩატარებულა ბოლო 20-30 წლის მანძილზე (გარდა რამოდენიმე რაიონისა). შესაბამისად:

- არ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია ტყის ფართობებსა და მარაგებზე;
- არ არსებობს მართვის გეგმები.

როგორც ცნობილია, ტყეთმოწყობის ჩატარება საკმაოდ დიდ ფინანსურ და ადამიანურ (სპეციალისტები) რესურსებთან არის დაკავშირებული, რაც ამ ეტაპზე სატყეო დარგისთვის დიდი გამოწვევაა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პირველ ეტაპზე ჩატარდეს ტყის ფონდის დემარკაცია - საზღვრების დადგენა, რეგისტრაცია, რაც უდიდეს დახმარებას გაუწევს, როგორც ეროვნულ სატყეო სააგენტოს, აგრეთვე სხვა სახელწიფო უწყებებს და ფიზიკურ პირებს უამრავი პრობლემის მოგვარებაში.

აღნიშნული სადემარკაციო სამუშაოების ჩატარება, არ მოითხოვს კვალიფიციური მეტყევე სპეციალისტების ჩართულობას.

8.4. პრობლემა - ტყეთმოწყობა ტარდება შპს-ების მიერ.

უკანასკნელ წლებში ტყეთმოწყობა ტარდება ტენდერებში გამოვლენილი შპს-ების მიერ, რა დროსაც ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს არაკომპეტენტური პირების ჩართულობას. საჭიროა შეიქმნას „ტყეთმოწყობის საწარმოს“ მგავსი სამსახური, რომელიც რეგულარულად გადაამზადებს სპეციალისტებს, დანერგავს თანამედროვე მეთოდებს და მიდგომებს; ჩაატარებს, ტყეთმოწყობას და განახორციელებს სხვა პროექტებს, რომლებიც ტყის აღრიცხვასთან არის დაკავშირებული.

8.5. პრობლემა - სატყეო რეფორმა, რომლის მიხედვით ტყის მცველს ტყე არ აბარია.

სატყეო დარგში მიმდინარე რეფორმების მიხედვით, მეტყევე სპეციალისტები და ტყის მცველები ვალდებული არიან გააკონტოლონ ტყეკაფები და იქ მიმდინარე პროცესები. მართალია გაიზარდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ინსპექტირების სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა, მაგრამ მათ არ გააჩნიათ არანაირი ვალდებულება/პასუხისმგებლობა კონტრეტულ ტყის უბნებზე (არ ხდება მათზე ჩაბარება).

აუცილებელია ტყის რესურსების დაცვაზე პასუხისმგებელ პირს, ჩაბარდეს ტყის ის უბნები, რომელზედაც პასუხისმგებლობას აიღებენ და უნებართვო/უკანონო ქმედებებზე პასუხს აგებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზარდება მერქნის უკანონო მოპოვებისა და სხვა არაკანონიერი ქმედებების რისკი.

9. აკადემიის 2025 წლის პერსპექტიულ სამუშაო გეგმაში შესატანი თემები:

9.1. ქართული მუხის (*Quercus petraea aubsp. Iberica*) ბუნებრივი განახლება ცივ-გომბორის რეგიონში.

9.2. ცივ-გომბორის რეგიონში „ქართული მუხის (*Quercus petraea aubsp. Iberica*) წმინდა კორომების აღნაგობის თავისებურებათა შესწავლა.

3.5. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს - მდივანი – აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებულია აკადემიის 5 წევრი (აკადემიკოსი) და 1 სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: ზურაბ ცქიტიშვილი, გურამ პაპუნძე, თემურ რევიშვილი, ნოდარ ჩხარტიშვილი, ედიშერ კვესიტაძე.

სტიპენდიატები: ქიმიის დოქტორი დარეჯან დულაშვილი (მეორე ვადით იქნა არჩეული 2024 წლის 18 ივლისს), ტექნიკის დოქტორი ეკატერინა კაციტაძე (2024 წლის 3 ივნისს დაუმთავრდა სტიპენდიატობის ვადა).

განყოფილებაში 2024 წელს ჩატარდა 7 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 22 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და 2024 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი. 2. აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 3. აკადემიკოს ედიშერ კვესიტაძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 13 თებერვალს სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. საქართველოში ცხვრის კატარალური ცხელების Bluetongue Virus (BTV) შემოჭრის „რისკის შეფასების ანგარიშის“ მოსმენა. 1.1. ბლუთანგის (ლურჯი ენა, ცხვრის კატარალური ცხელება) დაავადების საქართველოში შემოჭრა-გავრცელების“ „რისკის შეფასების ინიცირების“ შესრულებული პროექტის წარდგენა. **მომხსენებლები:** სურსათის ეროვნული სააგენტოს - ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი; სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, ვეტერინარიის დოქტორი ლენა ნინიძე. 1.2. საქართველოში ცხვრის კატარალური ცხელების (Bluetongue Virus (BTV)) შემოჭრის „რისკის შეფასების“ სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა. **მომხსენებლები:** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი ლევან მუმლაძე; ვეტერინარული მედიცინის მაგისტრი გიორგი მაღლაკელიძე. 1.3. ბლუთანგის (ლურჯი ენა, ცხვრის კატარალური ცხელება) დაავადების საქართველოში შემოჭრა-გავრცელების საფრთხით განპირობებული ცენტრის მიერ შემუშავებული „რისკის მინიმიზირების რეკომენდაციები“. **მომხსენებელი:** რისკის შეფასების სამსახურის უფროსი, დოქტორი მაია მეტრეველი რისკის შეფასების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ლეილა ტაბატაძე. 1.4. ბლუთანგის (ლურჯი ენა, ცხვრის კატარალური ცხელება) დაავადების საქართველოში შემოჭრა-გავრცელების საფრთხით განპირობებული სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული „რისკის მინიმიზირების ზონები“. **მომხსენებლები:** სურსათის ეროვნული სააგენტოს - ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოდერძიშვილი; სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, ვეტერინარიის დოქტორი ლენა ნინიძე. 2. დისკუსია. 3. შეჯამება.

მესამე სხდომა ჩატარდა 27 თებერვალს სხდომაზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. „საქართველოში ლაქებიანი ჭიჭინობელას (Lycorma delicatula) შემოჭრის და დამკვიდრების ფიტოსანიტარული რისკის შეფასების“ ანგარიშის მოსმენა. 1.1 „საქართველოში ლაქებიანი ჭიჭინობელას (Lycorma delicatula) შემოჭრის და დამკვიდრების ფიტოსანიტარული რისკის შეფასების ინიცირების“ შესრულებული პროექტის წარდგენა. **მომხსენებელი:** სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარიამ ჩუბინიშვილი 1.2. „საქართველოში ლაქებიანი ჭიჭინობელას (Lycorma delicatula) შემოჭრის და დამკვიდრების ფიტოსანიტარული რისკის შეფასების“ სამეცნიერო ნაშრომის წარდგენა. **მომხსენებელი:** ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ყანჩაველის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ბიოლოგიური კონტროლის უ/თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მანანა კახიძე. 1.3. „საქართველოში ლაქებიანი ჭიჭინობელას (Lycorma delicatula) შემოჭრის და დამკვიდრების ფიტოსანიტარული საფრთხით განპირობებული ცენტრის მიერ შემუშავებული „რისკის მინიმიზირების რეკომენდაციები“. **მომხსენებლები:** სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის უფროსი დოქტორი მაია მეტრეველი, რისკის შეფასების სამსახურის მეცნიერ-კონსულტანტი ფიტოსანიტარიის მიმართულებით, სოფლის მეურნეობის მეცნ.დოქტორი ირინე რიჟამაძე 1.4. „საქართველოში ლაქებიანი ჭიჭინობელას (Lycorma delicatula) შემოჭრის და დამკვიდრების ფიტოსანიტარული საფრთხით განპირობებული სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული „რისკის მინიმიზირების ზონები“. **მომხსენებელი:** სურსათის ეროვნული

სააგენტოს ფიტოსანიტარული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარიამ ჩუბინიშვილი. 2. დისკუსია. 3. შეჯამება.

მეოთხე სხდომა ჩატარდა 25 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიის სტიპენდიანტის დარეჯან დუღაშვილის მიერ 2019-2024 წლებში ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **თანამომხსენებელი:** აკადემიკოსი თემურ რევიშვილი. 2. აკადემიის სტიპენდიანტის ეკატერინა კაციტაძის მიერ 2019-2024 წლებში ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **თანამომხსენებელი:** აკადემიკოსი ედიშერ კვესიტაძე.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 23 მაისს და განხილული იქნა საკითხები 1. აკადემიკოს თემურ რევიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს გურამ პაპუნძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 3. ზოგიერთი მცენარეული ნედლეულის ბუნებრივი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კვლევა დასავლეთ საქართველოს რეგიონულ ქრომატოგრაფიულ ცენტრში. **მომხსენებელი:** ალექო კალანდია - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის პროფესორი. 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მისანიჭებელი კონკურსის გამოცხადების შესახებ. **მომხსენებელი:** სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.

მექვსე სხდომა ჩატარდა 15 ნოემბერს (გამოკითხვის წესით) და განხილული იქნა საკითხი: 1. ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის ანდრო ნიჟარაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად შემოსულ ნაშრომზე: „სხვადასხვა საფუარის გავლენის დადგენა ღვინის არომატულ კომპონენტებზე“ (**ავტორები:** მარიამ ხოსიტაშვილი, მარიკა მიქელაძე, მირანდა გორგილაძე, მედეა ორმოცაძე) რეცენზენტად სოფლის მეურნეობის დოქტორის ნინო ჩხარტიშვილის არჩევა.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 17 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. ინფორმაცია სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი.

გარდა ზემოაღნიშნული სხდომებისა:

12 ივლისს ჩატარდა სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის, ეკონომიკურ და აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული კრება, რომელზეც განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ინფორმაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ და კონკურსანტების: ქალბატონი ნატო ჯაბნიძის, ქალბატონი მაია მეტრეველის და ქალბატონი დარეჯან დუღაშვილის შრომითი და სამეცნიერო მიმართულებების შესახებ. **მომხსენებელი:** საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის, ეკონომიკის დოქტორ ნატო ჯაბნიძის ინფორმაცია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორ მაია მეტრეველის ინფორმაცია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის, ქიმიის დოქტორ დარეჯან დულაშვილის ინფორმაცია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისათვის აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის, ეკონომიკურ და აგროინჟინერიის ერთჯერადად გაერთიანებული მეცნიერებათა განყოფილებების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ - გაერთიანებული სამეცნიერო განყოფილებების კრებაზე ფარული კენჭისყრის ჩატარება.

27 ნოემბერს ჩატარდა აგროინჟინერიის, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის და სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრება, რომელზეც განხილული იქნა შემდეგი საკითხები: 1. ინფორმაცია აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა“ **მომხსენებელი:** აკადემიკოსი გივი გავარდაშვილი. 2. ინფორმაცია ნაშრომის „ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ჯემალ კაციტაძე. 3. ინფორმაცია აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „აჭარის მუქიწიწოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი რეზო ვასაძე. 4. ინფორმაცია ნაშრომის „აჭარის მუქიწიწოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებლები:** აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 5. ინფორმაცია აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“. **მომხსენებელი:** ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე. 6. ინფორმაცია ნაშრომის „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებლები:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, შაქრო ყანჩაველი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი. 7. ინფორმაცია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ ანდრო ნიჟარაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „სხვადასხვა საფუარის გავლენის დადგენა ღვინის არომატულ კომპონენტებზე“. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ხოსიტაშვილი. 8. ინფორმაცია ნაშრომის „სხვადასხვა საფუარის გავლენის დადგენა ღვინის არომატულ კომპონენტებზე“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** სოფლის მეურნეობის დოქტორი ნინო ჩხარტიშვილი. 9. ფარული კენჭისყრა.

აღსანიშნავია, რომ სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების წევრები აქტიურად იყვნენ ჩაბმულები აკადემიაში ჩატარებულ ღონისძიებებში.

3.5.1. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი ედიშერ კვესიტაძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით)

თემა 1.1. : „უგლუტენო პურის გაუმჯობესებული საგემოვნო და რეოლოგიური თვისებები“

თემა 1.2. „ახალი სპეციფიკური პროტეოლიზური ფერმენტების მიღება და მათი გამოყენება რძის პროდუქტების საგემოვნო თვისებების გაუმჯობესების მიზნით“.

თემა 1.3. „მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით ახალი სასურსათო პროდუქციის შექმნა მათთვის ფუნქციური დანიშნულების გაუმჯობესების მიზნით“

თემა 1.4. „სხვადასხვა რძის შემადგენელი ფერმენტების მოქმედების მექანიზმები“.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგს ფაკულტეტი - „სასურსათო პროდუქტების ბიოქიმიური ანალიზი“.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები

1. T. khobelia, E. Kvesitadze, K. Ghambashidze, K. Museliani, L. Imnaishvili. The Effect of Microscopic Fungi on Cancer Growth Bulletin of the Georgian National Academy of Sciences 2024.

2. ტ. ფარჯანაძე, თ. ხობელია, ქ. მუსელიანი, მ. დოლიძე, თ. საჩანელი, ე. კვესიტაძე. ხორბლის ცომში გლუტენის ფერმენტული დაშლა და მიღებული უგლუტენო პურის სენსორული ანალიზი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ 18 #2, გვ. 109-114, 2024.

3. გ. კვესიტაძე, ს. პავლიაშვილი, ე. კვესიტაძე. გარემოს დაბინძურების, აღდგენითი ტექნოლოგიებისა და ცირკულარული ეკონომიკის ურთიერთკავშირი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 18, N.4; 2024; გვ. 110-11

4. დაცული სადოქტორო დისერტაციების, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა

4.1. ხორბლის ცომში გლუტენის ფერმენტული დაშლა და მიღებული უგლუტენო პურის სენსორული ანალიზი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2024წ.

5. საკითხები, რომელთა განხილვა გასურთ სამეცნიერო განყოფილებებისა და პრეზიდენტის სხდომებზე

5.1. ტოკსიკური და სხვადასხვა პათოგენური ნივთიერებების ანალიზური და დიაგნოსტიკური მეთოდების შემუშავება.

5.2. სადედე კოლექციების შექმნა და წარმოება.

აკადემიკოსი გურამ პაპუნძიძე

აკადემიკოსი გურამ პაპუნძიძე 2024 წლის საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ახორციელებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ამავე აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის რეგიონალური სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს, აგრარული დარგობრივი კომისიის (რომლის ხელმძღვანელია აკადემიკოსი გურამ პაპუნძიძე) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამოქმედო პროგრამის ფარგლებში, ასევე აჭარის არ კანონით ა(ა)იპ „აგროსერვისის ცენტრზე“ გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში, პროგრამის „აგროსერვისის განვითარება რეგიონში“ ქვეპროგრამის ა(ა)იპ აგროსერვისის ცენტრის „სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილების წარმოების“ ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

პროექტი „აჭარაში არსებული ენდემური და ინტროდუცირებული მცენარეული ნედლეულის (სუბტროპიკული და კონტინენტალური ხეხილოვანი კულტურები, ვაზი, ტყის ნაყოფის მომცემი და სამკურნალო მცენარეების) წარმოება-გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის ეფექტური ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვის ორგანიზაცია“.

მეცნიერების დარგი – სასურსათო ტექნოლოგია

სამეცნიერო მიმართულება – აგრარული მეცნიერება, ინჟინერია და ტექნოლოგიები, სასმელი და საკვები პროდუქტები.

პროექტის დაწყების და დამთავრების წლები 2018-2025წწ.

“ციტრუსოვანთა (მანდარინის) არასტანდარტული ნაყოფის და საწარმოო ნარჩენების კომპლექსური გადამამუშავების ტექნოლოგია კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის”.

ანოტაცია

მცენარეები მსოფლიოში ცნობილია თავისი უნიკალური ფიზიოლოგიური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებებით. სწორედ ამიტომ, რომ მისი მოვლა მოყვანით და წარმოებული

ნაყოფის მოხმარებით დაინტერესებულია დედამიწის სხვადასხვა რეგიონებში და 80-ზე მეტი ქვეყნის მოსახლეობა უდიდესი ყურადღებით ეპყრობა აღნიშნულ კულტურას.

ციტრუსოვანთა მცენარეების ნაყოფი, ფოთლები, ყვავილი და მერქანი უძვირფასესი ნედლეულია სხვადასხვა ასორტიმენტის საკვები და სამომხმარებლო პროდუქტების წარმოებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე მეციტრუსეობა უნდა განიხილებოდეს აგრონომიული და ტექნოლოგიური მიმართულების ერთიან სპექტრში, რომელიც მოიცავს ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ, აგროტექნოლოგიურ, აგროქიმიურ, საწარმო-ტექნოლოგიურ, ტექნიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მიმართულებებს, როგორც სამეცნიერო-კვლევითი, ასევე პრაქტიკაში დანერგვის სამუშაოების განხორციელების თვალსაზრისით.

დღემდე ამ მიმართულებით ჩატარებული ბიოქიმიური გამოკვლევებით მსოფლიო მასშტაბით დადგენილია ციტრუსოვანთა ნაყოფის უნიკალური კვებითი და სასარგებლო თვისებები, როგორც ნედლეულად გამოყენების ასევე სამერწველო გადამუშავების შედეგად მიღებული მრავალი ასორტიმენტის საგემოვნო და საკვები პროდუქტების საწარმოებლად.

აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემუშავებულია მანდარინის წვენი, ხილფაფების, ბავშვთა კვების, ციტრუსის ნატურალური წვენი შაქრით და უშაქროდ, მანდარინის წვენი უშაქროდ, მანდარინის წვენი რბილობით (ნექტარი), მანდარინის კონცენტრირებული წვენი, კომპოტი, ვაშლისა და ფორთოხლის კუპაჟირებული ხილფაფები, ჟელე, კონფიტიური, ჯემი, ლიმონი თაფლით, მანდარინის მურაბა, ლიმონის მურაბა, მანდარინის ცუკატი, ხორხომელა ციტრუსოვანთა ყვავილის წყლიანი ექსტრაქტი, როგორც პოლუფაბტიკატი სხვადასხვა საკვები პროდუქტების დასამზადებლად.

აღნიშნული მიმართულებით ჩვენთან და მსოფლიო მასშტაბით განხორციელებული სამუშაოების აღარ უნდა არსებობდეს პრობლემები ციტრუსოვანთა წარმოება-გადამუშავების, შენახვა-რეალიზაციასთან დაკავშირებით, მაგრამ არსებული რეალობიდან გამომდინარე კვლავ რჩება მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემები, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს წარმოებული ნედლეულის რაოდენობას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეციტრუსეობის დარგის რეაბილიტაციის შესახებ არაერთხელ გამოითქვა რეკომენდაციები და წინადადებები ამ დარგის სპეციალისტებისა და მეცნიერების, ასევე სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დასავლეთ საქართველოს მეციტრუსეობის ზონაში არ არსებობს ალტერნატიული ნედლეული, რომელიც თავისი წარმოების მოცულობითა და ღირებულებით ერთეულ ფართობზე უკეთესი შედეგი მოგვცეს.

მეციტრუსეობაში არსებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ციტრუსოვანთა ნედლეულის ნატურალურ წვენად გადამუშავების შედეგად მიღებული ე.წ. ნარჩენების, მეორადი ნედლეულის, რომლის რაოდენობა 60%-ს აწარმოებს და რომლის კვებითი ღირებულება საკმაოდ მაღალია, მისი გამოყენების პერსპექტივაა.

მანდარინის ნედლეულის არასტანდარტული ნაყოფის ნატურალურ წვენად გადამუშავების შედეგად დარჩენილი მეორადი ნედლეული საუკეთესო გემური თვისებების მქონე ნახევარფაბრიკატებს წარმოების საფუძველია. აღნიშნული ნახევარფაბრიკატები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული, როგორც საცალო ბაზარზე რეალიზაციისთვის, ასევე რძის, საკონდიტრო და ნაყინის წარმოების პროცესში როგორც ხილის შემავსებელი.

საანგარიშო პერიოდში ჩვენი მიზანი იყო მანდარინის არასტანდარტული ნაყოფიდან უნარჩენო და ნაკლებადნარჩენიანი ტექნოლოგიის გამოყენების საფუძველზე ნახევარფაბრიკატი პასტის წარმოება და მისი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლების შესწავლა.

მანდარინის პასტის დამზადება წარმოებას ხილ-კენკროვანი ნედლეულის პიურეს წარმოების ტექნოლოგიური ინსტრუქციის შესაბამისად. მანდარინის პასტის წარმოება მოიცავს შემდეგ ტექნოლოგიურ პროცესებს: ნედლეულის მომზადება, მანდარინის არასტანდარტული ნაყოფის რეცხვა სუფთა გამდინარე წყლით, ინსპექცია, დაზიანებული ნაყოფის და ფოთლების მოცილება. ორთქლით დამუშავება-ბლანშირება, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ნაყოფის სტრუქტურაზე და არ უნდა არემატებოდეს 10 წუთს 100°C -ის პირობებში.

ბლანშირების შემდეგ ნაყოფი ექვემდებარება გახეხვას ზომით 0,2 მმ გახეხილი მასა გადააქვთ შემკრებში, სადაც ემატება რეცეპტით გათვალისწინებული ლიმონმჟავა, რომელიც, ამავე დროს, ხელს უწყობს ლეზნების აფსკის და კანის ჰიდროლიზის მაცერაციას.

ჰომოგენიზებული დაქუცმაცებული მასა შემკრებიდან ტუმბოს საშუალებით ტარდება კოლოიდურ წისქვილზე 0,05 მმ. ჰომოგენიზებული პიურე ტუმბოთი გადააქვთ ვაკუუმაპარატში გასაცხელებლად. გაცხელება ხდება 100° C -ის პირობებში. ამასთან, მიმდინარეობს ნაწილობრივი დეაერაცია.

ჩამოსხმა, მოხუფვა, პასტერიზაცია ხდება 3 ლიტრიან ქილებში. ჩამოსხმის დროსც პასტის ტემპერატურა არ უნდა იყოს 80°C-ზე ნაკლები, რის შემდეგ ხდება სტერილიზაცია 10 ლიტრიან ქილებში. ჩამოსხმული პასტის ტემპერატურა არ უნდა იყოს 950K-ზე ნაკლები, რომელიც ჩამოსხმის შემდეგ არ ექვემდებარება სტერილიზაციას.

“მანდარინის ნაყოფის მოკრეფის წინა დამუშავება ზოგიერთი ინსექტოფუნგიციდების გამოყენებით ბუნებრივი შენახვისუნარიანობის გაზრდის მიზნით”

ანოტაცია

ჩვენს მიერ წინა წლებში განხორციელებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ ციტრუსებით დაკავებული სავარგულების ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლი ბიოპრეპარატების გამოყენებას. ამ თვალსაზრისით შერჩეული იქნა ეკოლოგიურად სუფთა ახალი პრეპარატები: „გაუფსინი“ „ბაქტოფერტი“, „ტრიხოდერმინი“, „ბიტოქსიბაცილონი“, რომელთა გამოყენება მანდარინის პლანტაციებში, როგორც ფესვური ასევე ფესვგარეშე გამოკვებით მნიშვნელოვნად ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას და აუმჯობესებს მცენარეთა კვების რეჟიმს და ხელს უწყობს მცენარეთა მდგრადობას გარემო ფაქტორებისადმი. იზრდება მოსავლის რაოდენობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები ძირითადად შენახვისუნარიანობა. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა, რომ შეგვესწავლა ახალი ინსექტოფუნგიციდების გავლენა მანდარინის ნაყოფის შენახვისუნარიანობაზე. ამ მიზნით ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ ახალი ინსექტოფუნგიციდების მცენარეზე შესხურებით სავეგეტაციო პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდება ნაყოფის ბუნებრივი შენახვისუნარიანობა. ამ თვალსაზრისით მიღებული იქნა დამაჯერებელი შედეგები „გაუფსინის“ მომატებული კონცენტრაციით გამოყენებაზე მსხმოიარე მანდარინის მცენარეზე მოკრეფის წინა პერიოდში (10-15 დღით ადრე მოკრეფამდე). ასეთ პირობებში მირებული ნაყოფის შენახვისა და ტრანსპორტირების პროცესში (20-30 დღის განმავლობაში) როგორც ბუნებრივი, ასევე საერთო დანაკარგები ფაქტიურად განულებულია. პათოგენური მიკროორგანიზმების გაუვნებელყოფის ხარჯზე. რაც შეეხება ბუნებრივ დანაკარგებს (წონაში კლება) ნორმის ფარგლებშია და დამოკიდებულია შენახვა - ტრანსპორტირების დროს ტემპერატურის და ტენიანობის რეგულირებაზე.

„გაქრობის პირას მისული აჭარაში არსებული ვაზის ენდემური ჯიშების მოძიება საკოლექციო ნაკვეთში განთავსება შემდგომი მათი ჯიშური იდენტიფიცირებისა და გენოფონდის შენარჩუნების მიზნით“

ანოტაცია

საანგარიშო პერიოდში ქობულეთში ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ტერიტორიაზე ადრე გაშენებული ვაზის საკოლექციო ნაკვეთი შეივსო ჩვენს მიერ მოძიებული და შემდგომში მწვანე ნერგებად წარმოებული ენდემური ვაზის 15 ჯიშის ნერგებით (ჯიშების დასახელება პირობითია და საჭიროებს შემდგომ კვლევებს) იმავე პერიოდში სრულყოფილად იქნა შესწავლილი საკოლექციო ნაკვეთი ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლები მიმდინარეობდა გაშენებული საკოლექციო ნარგავების აგროტექნიკური სამუშაოები (სასუქების შეტანა, ნიადაგის დამუშავება, ნერგების გასხვლა-ფორმირება). შეძენილი იქნა რკინა-ბეტონის ბოძები და უჟანგავი მავთული, რომელთა საშუალებით მოეწყო შპალები.

სადღეისოდ საკოლექციო ნაკვეთში თავმოყრილია 20-ზე მეტი ვაზის ენდემური ჯიშის კოლექცია. მათი ჯიშური და აგრობიოლოგიური ნიშან-თვისებების სესწავლის მიზნით მიმდინარეობს დაკვირვებები. იმავე დროს საანგარიშო პერიოდში აჭარის რეგიონის ფერმერებს გადაეცა ჩვენს მიერ გამოყვანილი ცნობილი ენდემური ვაზის მწვანე ნერგები.

საანგარიშო პერიოდში გარდა აჭარის მთიანი რეგიონისა განხორციელდა სავლე საექსპლუატაციო სამუშაოები აჭარის მიმდებარე თურქეთის ტერიტორიაზე, შავშეთის სოფლებში

და მის მიმდებარე ტერიტორიებიდან აღებული იქნა აჭარაში გავრცელებული ვაზის ენდემური ჯიშის მსგავსი ვაზის გენეტიკური მასალები. კერძოდ, ადგილობრივი დასახელებები: 1 - ყარაიზუმ, 2 – სომხურა, 3 – ტყიდან მოტანილი სარვინე, 4 - ორჯუქი, 5 - ფეთერეკი, 6 - ჩაუმი, 7 - ბოზიხიუმ, 8 – ალიჩუბერები, 9 - შავი ყურმენი, 10 - ისტამბული, 11 – ზეგი.

სოფელ გვერდხევიდან ავიღეთ შემდეგი ჯიშების გენეტიკური მასალა: 1-შავი საღვინე, 2-თეთრი საღვინე, 3-ისფერი საღვინე, 4 – შავი სასუფრე.

გენოფონდის შეგროვების მიზნით კარდაკარ და სოფელ-სოფელ მოგზაურობამ საშუალება მოგვცა კონტაქტი დაგვეყარებინა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლებიც თავის თავს მესხებს უწოდებენ და მათი სალაპარაკო ენა ქართულია.

ჩვენი ექსპედიციის მიერ შეგროვდა 30-ზე მეტი ადგილობრივი დასახელების ვაზის გენეტიკური მასალა, რომელიც ჩამოტანილია ინსტიტუტში. მოხდება მწვანე ნერგების გამოყვანა და მისი იდენტიფიკაცია. 2025 წლისთვის შეგროვილი ვაზის გენეტიკური მასალისგან გვექნება ნამყენი ვაზის მწვანე ნერგები, რომელთა კოლექციაში განთავსების და შესაბამისი კვლევების საფუძველზე დადგინდება მათი ზუსტი ჯიშობრივი მახასიათებლები. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, დამატებითი ექსპედიციების განხორციელება აღნიშნულ რეგიონებში. ასევე აუცილებელია დავამყაროთ საქმიანი კონტაქტები თურქეთის სამეცნიერო ორგანიზაციებთან.

ამასთან, ცნობისთვის გიგზავნით აჭარის არ აგროსერვისცენტრთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს 2024 წლის ანგარიშს. ასევე სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2024 წლის ანგარიშს.

აკადემიკოსი თემურ რევიშვილი

1. თემის / პრობლემის დასახელება (ხელმძღვანელი):

- ჩაის, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული ხეხილოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის და შენახვა-გადამუშავების ეკოლოგიურად უსაფრთხო, ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიების კვლევა, შემუშავება და სრულყოფა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით;

- ჩაის, სუბტროპიკული და ადგილობრივი მცენარეული ნედლეულიდან კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების და ბიოლოგიური აქტივობის მქონე კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების და დანადგარების კვლევა, დამუშავება და სრულყოფა.

2. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში

- შემუშავდა მოკლევადიანი პროფესიული პროგრამა „ჩაის წარმოება“, რომლის მიზანია შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრების გადამზადება.

3. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები:

3.1. Effects of fixation methods on quality parameters of green tea. Georgian Scientists

Vol. 6 Issue 2, 2024, 395 – 404. <https://doi.org/10.52340/g.s.2024.06.02.41> (თანაავტორობით).

მწვანე ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩამოყალიბებაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თბური პროცესები. მთავარი ტექნოლოგიური პროცესია ფიქსაცია, რომლის დანიშნულებაა ჩაის ფოთლის მჟანგავი ფერმენტების ინაქტივაცია და მასში შემავალი ქიმიური ნაერთების საწყის მდგომარეობაში ფიქსირება. მწვანე ჩაის დამზადება ენერგოტევადი პროცესია. ნაშრომში მოცემულია მწვანე ჩაის ხარისხობრივ, ქიმიურ და უსაფრთხოების მაჩვენებლებზე ფიქსაციის მეთოდების გავლენის კვლევის შედეგები.

4. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

4.1. საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად მომზადდა და წარდგენილი იქნა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „CORYLUS“ - ორგანული თხილის მოვლა-მოყვანის და შენახვა-გადამუშავების სისტემის კვლევა-შემუშავება და განვითარება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით“;

5. აკადემიის პრეზიდენტის მუშაობაში მონაწილეობა

5.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინოვაციების კომისიის 2024 წლის 22 მაისის სხდომაზე წარდგენილ იქნა პრეზენტაცია „ჩაის მოვლა-მოყვანის და გადამამუშავების ინოვაციური ენერგოდამზოგი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები“.

6. სამეცნიერო საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციის, სამეცნიერო საბჭოს, ჟურნალის, კრებულის, გამომცემლობის, სარედაქციო საბჭოსა და რედკოლეგიის წევრობა:

- შ. წერეთლის უნივერსიტეტის სასუსართო ტექნოლოგიის სადისერტაციო საბჭოს წევრი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სადისერტაციო საბჭოს წევრი;
- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „მომხმის“ სარედაქციო საბჭოს წევრი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მომხმის“ სარედაქციო სამეცნიერო საბჭოს წევრი;
- International Agricultural Journal - ის სარედაქციო საბჭოს წევრი;

7. გამოგონება, პატენტი:

7.1. „მოგრეხილი ჩაის ფოთლის მაფორმირებელ - საშრობი დანადგარი“. საქართველოს პატენტი U 2024 2163 Y, 2024 (თანაავტორობით).

შემუშავებულია ინვერტორულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ჩაის ფოთლის მაფორმირებელ-საშრობი ახალი თაობის დანადგარი. ინდუქციის მეთოდით წარმოქმნილი თბური ენერგია მნიშვნელოვნად ზრდის ტექნოლოგიური დანადგარის ენერგოეფექტიანობას. საშრობი დანადგარის კონსტრუქციული გადაწყვეტა უზრუნველყოფს საბოლოო პროდუქტის სასაქონლო სახის გაუმჯობესებას.

8. სხვა მნიშვნელოვანი სახის სამუშაოები:

8.1. **საცდელი დანერგვა:** ინდმეწარმის „თამარ ღლონტი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ჩაის გადამამუშავებელ საწარმოში, განხორციელდა „მაღალხარისხოვანი ჩაის წარმოების ენერგოდამზოგი ინოვაციური სამანქანო ტექნოლოგიის“ გამართვა, ოპტიმალური ტექნიკური და ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა, პროდუქციის საცდელი პარტიის (მწვანე და შავი ჩაი) მიღება და ქიმიურ-ორგანოლექტიკური ანალიზი.

8.2. **შეხვედრა / სემინარი:** შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტის (RSMEDP) ფარგლებში, ა(ა)იპ ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაის“ და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ორგანიზებით და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩართულობით, 2024 წლის 2 აპრილს ქ. ოზურგეთში, ანასეულში, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის დასვლეთ საქართველოს ცენტრში, გაიმართა მეჩაიეთა საქმიანი შეხვედრა „მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაზრდა უკეთესი ფინანსური საქმიანობისთვის“.

8.3. **პროექტში მონაწილეობა:** “სვისკონტაქტ საქართველოს” (შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო) და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ერთობლივ პროექტში - „ფინანსური ინსტიტუტების მზადყოფნა, გატესტონ/დანერგონ არასაფინანსო პროდუქტები საკუთარ საოპერაციო პროცესში“ მონაწილეობა რეგიონული დიაგნოსტიკის ცენტრის ფარგლებში.

8.4. **წარდგენილი პროექტი:** ევროკავშირი საქართველოსთვის „ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მწვანე ზრდისთვის“ ფარგლებში მომზადდა და წარდგენილ იქნა პროექტი „ჩაის მოვლა-მოყვანის და მოსავლის აღების ინოვაციური მრავალფუნქციური მცირე სამექანიზაციო ტექნიკური საშუალებები“.

8.5. **საქმიანობის პოპულარიზაცია:** ფრანგულ-გერმანული ტელეარხის ARTE - ს პოპულარულ გადაცემათა რედაქცია **Regards** გადაიღო დოკუმენტურ ფილმი ქართული ჩაის შესახებ. ფილმში ასახულია ქართული ჩაის მდიდარი ისტორია და მისი პერსპექტივა. 2024 წლის 16 სექტემბერს, ტელეარხის წარმომადგენლები ესტუმრნენ ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტს; გაეცნენ ინსტიტუტის და ზოგადად ქართული ჩაის ისტორიას, ჩაის მოვლა-მოყვანის და გადამამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებს და ტექნიკურ საშუალებებს, დაინტერესდნენ საერთაშორისო ჩართულობით. პროექტში მონაწილე მეწარმეებმა და ფერმერებმა ისაუბრეს საერთო გამოწვევებსა და იმ

ძლისხმევაზე, რასაც ისინი ერთობლივად ეწევიან ქართული ჩაის პოპულარიზაციის მიმართულებით.

აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი

საქართველოს კანონით ეროვნული აკადემიების შესახებ (16 პრიმა მუხლ.) ჩემი საქმიანობა მოიცავს: რისკის შეფასების საწყისი წერტილის, რისკის მართვის რეკომენდაციების, რისკის მართვის ღონისძიებების პროექტების, რისკის შეფასების ანგარიშების და რისკის შეფასების შუალედურ განხილვებში მონაწილეობას.

ასევე: სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასებასთან დაკავშირებული პროცესების კოორდინირებას, რჩევებს, რისკის შეფასების წლიური ანგარიშების განხილვასა და დაინტერესებულ სამთავრობო უწყებებზე/ორგანიზაციებზე რეკომენდაციების მიწოდებას.

აკადემიის დებულებით გათვალისწინებული აკადემიკოს-მდივნის მოვალეობების ეფექტურად შესრულების მიზნით, ჯერ კიდევ 2022 წელს წერილით მივმართე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, ბატონ ოთარ შამუგიას, უვნებლობის სფეროში არსებული გამოწვევების განხილვის თაობაზე (იხ. დანართი 1), შედეგად მინისტრის დავალებით 2023 წლის 11 აგვისტოს, რისკის ანალიზის ფორმატით, გაიმართა შეხვედრა სამინისტროს დეპარტამენტების ხელმძღვანელი პირების, დაინტერესებული მხარეებისა და მინისტრის მოადგილეების: ი. ნოზაძისა და ა. კაკაბაძის მონაწილეობით (იხ. დანართი 2), რომელზეც განხილული იქნა ჩემი მოხსენება „უწყვეტი, გამჭირვალე და დოკუმინტირებული რისკის ანალიზის უზრუნველყოფი ღონისძიებები“, შედეგად ბ. ოთარ შამუგიას მიერ ხელმოწერილ იქნა აღნიშნული შეხვედრის გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავებული ბრძანებების პროექტები (იხ. დანართი 3), რომელიც გულისხმობდა სურსათის პოლიტიკის დეპარტამენტისათვის რისკის ანალიზის კოორდინატორის სტატუსის მინიჭებას და რისკის ანალიზის მე-3 კომპონენტის რისკის კომუნიკაციის სტრუქტურირებული ჯგუფის ჩამოყალიბებას.

2024 წლის განვლილ პერიოდში, რისკის ანალიზის ყველა შემადგენელი კომპონენტის დანიშნულების და ფუნქციონირების სპეციფიკის სწავლებისათვის. ჩემ მიერ ტარდებოდა (ტარდება) კომუნიკაციის ჯგუფის წევრებისთვის ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრები, ასევე ჩემი ინიციატივით და აკადემიის სტიპენდიატის დოქტორ დარეჯან დულაშვილის ჩართულობით, გერმანიის რისკის შეფასების ფედერალური ინსტიტუტის (BfR) მიერ, 2024 წლის 9-11 ივლისს, თბილისში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, მოეწყო რისკის კომუნიკაციის სემინარი. (იხ. დანართი 4).

2024 წლის განვლილ პერიოდში, აკადემიის სურსათის უვნებლობისა და ტექნოლოგიების განყოფილების წევრებთან ერთად განვიხილეთ და შევფასეთ საქართველოში ცხვრის კატარალური ცხელების Bluetangue Virus (BTV) შემოჭრის და „საქართველოში ლაქებიანი ჭიჭინობელას (Lycorma delicatula) შემოჭრის და დამკვიდრების ფიტოსანიტარული რისკების შეფასების ანგარიშები... (რ.შ. ინიცირება რ.შ. სამეცნიერო დასკვნა, რ.შ. ინიცირების დოკუმენტი, საკონსულტაციო შეხვედრების პროტოკოლები და შემუშავებული რეკომენდაციები (ოქმები მ. ბარვენაშვილი...).

2024 წელს სააგენტოს მიერ შემუშავებული იქნა ვეტ. დაავადების Q. ცხელების გავრცელების რისკის შეფასებისათვის ინიცირების პროექტი. ცენტრში განხილვის დროს დადგენილი რისკის შეფასების ამოცანა არა თუ არ შეესაბამებოდა ინიცირების პროექტში ასახულ მეცნიერულ დახასიათებებს, არამედ ბუნდოვანს ხდიდა რისკის შეფასებას, ჩემ მიერ შეთავაზებული ცვლილება გაზიარებული იქნა FAO-ს ექსპერტებისა და სააგენტოს ვეტ. დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ (იხ. დანართი 5).

2024 წ. ცენტრის მიერ შემოთავაზებულ იქნა ციტრუსოვანი ჩინური ხარაბუხას რისკის შეფასების დამთავრებული სამეცნიერო დასკვნა, რომელიც ეყრდნობოდა რისკის შეფასების ინიცირების პროექტს. ცენტრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩემ მიერ აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო გახდა მისი სიღრმისეული განხილვა. ამ მიზნით ვითხოვე სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტის სპეციალისტებისა და მრავალპროფილური დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით რისკის ანალიზის ორგანიზება. საკითხი ეხებოდა

აღნიშნული მავნე ორგანიზმის მიმართ მთავრობის მიერ, წინა დადგენილებით შემუშავებულ ღონისძიებებს, რომლის ამოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2026 წელი. ჩატარებული დისკუსიების შედეგად დამსწრე საზოგადოებამ გაიზიარა ჩემი წინადადება და განახორციელა ცვლილება, ნორმატიულ აქტში არსებული ფიტოსანიტარული ღონისძიების (2026 წ. ნაცვლად) 2025 წლის პირველი იანვრიდან დაწყების თაობაზე (იხ. დანართი 6).

ჩემთვის ძალზე სასარგებლო გამოდგა 2024 წელს, აკადემიის აგრარული ინოვაციის კომისიის და ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს მიერ ჩატარებული გაერთიანებულ სხდომაში მონაწილეობა, რადგან ერთ-ერთმა მომხსენებელმა, ასოცირებულმა დოქტორმა თამარ ნოზამემ მკაფიოდ და ღიად ისაუბრა სურსათის უვნებლობის სფეროში არსებულ გამოწვევებზე. აღნიშნული მიმართულებით ჩემი და ქ. თ.ნოზამის მიერ მომზადდა და გაიგზავნა გივი ჯაფარიძის ხელმოწერით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წერილი (იხ. პასუხი დანართი 7).

ზემოთ აღნიშნული, ჩემი მოკრძალებული საქმიანობის გარკვეული შეფასება გახლავთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ბატონ აპოლონ კაკაბაძის წერილობითი მიმართვა (იხ. დანართი 8) სურსათის სააგენტოსა და ცენტრის ხელმძღვანელებისადმი. წერილში ბ. აპოლონ კაკაბაძე გამოხატავს რა რისკის ანალიზის კომპონენტების ურთიერთკავშირის მიმართულებით ჩემი საქმიანობის მხარდაჭერას, მოუწოდებს ორგანიზაციებს (სააგენტო-ცენტრი) განახორციელონ ჩემთან, უფრო ინტენსური და მჭიდრო თანამშრომლობა....

ახალგაზრდა მეცნიერებთან შეხვედრა:

მ/წლის 8 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, შეხვდით ახალგაზრდა მეცნიერებს.

ღონისძიება ჩატარდა ჰიბრიდულ ფორმატში, რომელსაც ესწრებოდნენ, როგორც საბჭოს წევრები, ასევე მოწვეული მონაწილეები ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან.

ინტერაქტიურ რეჟიმში განვიხილეთ სურსათის უვნებლობის კონცეპტუალური საკითხები. სისტემური რეგულირების პროცესები და ამ მიმართულებით არსებული პროგრესი და გამოწვევები (იხ. დანართი 8).

2024 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებულში (ტომი #135) გამოქვეყნდა (დ.დულაშვილი, ნ.ძებისაშვილი, ზ.ცქიტიშვილი) სტატია „საქართველოში სურსათის უვნებლობის მონიტორინგის სისტემის მიმოხილვა რისკის შეფასების-ანალიზის ჭრილში“ /საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, საქართველო, თბილისი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველო, თბილისი/.

სტატიაში, რისკის შეფასების მიზნებისთვის გამოყენებადი მონიტორინგის მონაცემების მისაღებად შემოთავაზებულია, მონიტორინგის პროგრამების შედგენისას გასათვალისწინებელი ევროპული მიდგომები, მ.შ. „სისტემატური“ და „პროექტული“ მონიტორინგები, რომლებშიც დგინდება, როგორც სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა („სისტემატური“), ასევე გამოკვლეული იქნება არანორმირებული საფრთხეები - აღმოცენებადი რისკები („პროექტული“).

სტატიაში ასევე ყურადღება გამახვილებულია რისკის/ექსპოზიციის შეფასებისთვის, ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის მიერ სურსათის ინდივიდუალური მოხმარების - („ფაქტიური კვების“), - საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების გამოყენებით, ეროვნული კვლევის ჩატარების აუცილებლობაზე და მისი შედეგების გათვალისწინება სასურსათო კალათის ფორმირების პროცესში და სხვა (იხ. დანართი 9).

რეცენზენტი:

საანგარიშო წელს, დოქტორანტი ქრისტინე მუსელიანის მიერ აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი („ახალი სპეციფიკური პროტეოლიზური ფერმენტების მიღება და მათი გამოყენება რძის პროდუქტების საგემოვნო თვისებების გაუმჯობესების მიზნით“) სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტი გახლდით.

სარეცენზიო დისერტაცია განიხილავს ახალი ფუნქციური რძის პროდუქტის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიის შემუშავებას. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგად გამოვლენილია ახალი ტიპის პროტეაზა, რომელიც აქტუალური და საინტერესოა არა მხოლოდ ტექნოლოგიური მიზნებისათვის, არამედ კლასიკური ბიოქიმიის თვალსაზრისითაც.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროტეაზების ახალი პროდუცენტების გამოვლენა, მათგან განსხვავებული სპეციფიკურობის მქონე პროტეაზას გამოყოფა და შესწავლა, რაც გახდებოდა რძისგან ახალი პროდუქტის მიღების საფუძველი. მიზნის მისაღწევად, სკრინინგის საშუალებით, შეირჩა მაღალი პროტეაზული აქტივობის მქონე მიკროსკოპული სოკოს კულტურა. დადგინდა პროდუცენტის კულტივირების ოპტიმალური პირობების; ახალი, სპეციფიკური პროტეაზას ფიზიკურ - ქიმიური და ბიოქიმიური მახასიათებლების განსაზღვრის მიზნით განხორციელდა მისი გასუფთავება და მოქმედების მექანიზმის შესწავლა და ა.შ. კვლევის საბოლოო ეტაპზე მიზნად დასახული იყო ახალი, განსხვავებული პროდუქტის საწარმოებლად ბიოტექნოლოგიური სქემის შემუშავება... სადისერტაციო თემის დაცვის ადგილი და თარიღი: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი 16 თებერვალი 2024 წ.

შენიშვნა: დანართები შეგიძლიათ იხილოთ აკადემიის აკადემიურ დეპარტამენტში.

აკადემიის სტიპენდიატი დარეჯან დულაშვილი

1. სამუშაო კვლევითი თემების (გეგმიური, დავალებით) შესრულებაში მონაწილეობა:

1.1. „ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქების შემუშავება, მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით“ (მკვლევარი, ძირითადი პერსონალი):

კვლევის ძირითადი მიზანია - მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში, ახალი მიდგომების დანერგვით - ინოვაციური კომპლექსური ბიონანოსასუქების მიღების მეთოდოლოგიის შემუშავებით და მათი გამოყენებით მცენარეული წარმოშობის სურსათის მოსავლიანობის და ხარისხის ზრდისათვის, რაც უზრუნველყოფს თვით პროცესის და მიღებული სურსათის ეფექტიანობას, უსაფრთხოებასა და უვნებლობას როგორც ადამიანის ჯანმრთელობის, ასევე გარემოსათვის.

პროექტის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს ინტეგრირებული სამეცნიერო მიდგომის შემუშავებაში ახალი უნივერსალური ტროფიკული დაბალდოზიანი ლითონის შემცველი ბიონანოკომპოზიტების შესაქმნელად, სასუქების მიზანმიმართული მიწოდებისა და მცენარის დაცვისთვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ჩვენს შემთხვევაში - კარტოფილის *Solanum tuberosum* L, ვეგეტაციის პერიოდში.

- ნაწილობრივი კომპოზიტური მასალები სინთეზირებული იქნება ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე, რომლებიც იაფია, ფართოდ ხელმისაწვდომი და გააჩნიათ მთელი რიგი ღირებული ბიოლოგიურად აქტიური თვისებები, რაც ასევე ხაზს უსვამს მათზე დაფუძნებული ნაწილობრივი სიახლეს და პოტენციურ პერსპექტივას.

- ფიზიკო-ქიმიური მეთოდებით მიღებული ინფორმაციის ბიოლოგიური ექსპერიმენტებთან შეჯერება, შესაძლებელს გახდის ახალი უნივერსალური უსაფრთხო ბიონანოკომპოზიტების შემუშავებას მცენარეთა დაცვისა და მიკროელემენტების მიწოდების მიზნებისთვის.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბუნებრივ ბიოლოგიურად აქტიურ პოლისაქარიდებზე დაფუძნებული მანგანუმის შემცველი მრავალფუნქციური ნანოკომპოზიტების სინთეზი და მიმდინარეობს მათი კომპლექსური მულტიდისციპლინური (ფიზიკურ-ქიმიური, ბიოლოგიური, მიკრობიოლოგიური) კვლევები.

- ლითონის შემცველი ნანომასალების თვისებები განისაზღვრება მრავალი ფაქტორით, მათ შორის, ნაწილაკების ურთიერთქმედებით გარემომცველ მატრიცასთან და მეზობელ ნაწილაკებთან.

- თავის მხრივ, ნანოსისტემების ბიოლოგიური აქტივობა მოიცავს გარემოსთან მათი ურთიერთქმედების, კერძოდ, მაგნიტური თვისებების შესწავლას, აგრეთვე ცოცხალ მატერიაზე ზემოქმედებას.

- მიღებული ნაწარმების ბიოლოგიური კვლევები გულისხმობს მცენარის ქსოვილებში იონების მიგრაციის კონტროლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას (პარამაგნიტური ნაწილაკების ურთიერთქმედება გარემოსთან, იონების სიმეტრიის და დაჟანგვის მდგომარეობის ცვლილება), მათ შორის, მცენარის ბიომასის ზრდის სტიმულირების შესწავლას, მცენარის ორგანიზმის დამცავ ფუნქციების გაუმჯობესებას კონტროლთან შედარებით.

- უმნიშვნელოვანეს ამოცანებს შორის არის კომპოზიტების ანტიბაქტერიული ეფექტის შეფასება ფიტოპათოგენური ბაქტერიის *Clavibacter sepedonicus*-ის და მისი ბაქტერიული ბიოაპკების ფორმირების მიმართ და მათი უსაფრთხოების შეფასება ნიადაგის ბუნებრივი მიკროფლორის წარმომადგენლებისთვის.

- ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია და ხორციელდება მიკროსასუქად გამოყენებული მიღებული ნაწარმების თვისებებისა და სტრუქტურული ცვლილებების შესწავლა შენახვის დროის ფაქტორის გათვალისწინებით, რადგან ყველა მიღწევასთან ერთად აუცილებელია ახალი მასალების კონტროლის მაღალი სტანდარტების დაცვა.

1.2. „საქართველოს ბუნებრივ წყლებში ლითიუმის შემცველობის გავლენა ადამიანების კოგნიტურ ფუნქციებზე და წყლისმიერი (სურსათისმიერი) ლითიუმის რისკის/სარგებლიანობის შეფასება“;

1.3. „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნაჟური წყლების კომპლექსური გასუფთავების შესწავლა ნახშირბადოვანი ნაწარმების გამოყენებით ნარჩენების მართვის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით“ - დამხმარე პერსონალი;

1.4. „ისტორიულ-არქიტექტორული მემკვიდრეობის გრძელვადიანი დაცვის შენარჩუნების მექანიზმების მეთოდოლოგიის შემუშავება კლიმატის ცვლილების პირობებში“ - დამხმარე პერსონალი.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები/პუბლიკაციები:

2.1. დ. დულაშვილი, ნ. ძეგისაშვილი, ზ. ცეციტიშვილი. საქართველოში სურსათის უვნებლობის მონიტორინგის სისტემის მიმოხილვა რისკის შეფასების/ანალიზის ჭრილში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებული, ტ.135, გვ.92-97, Doi.org/10.36073/1512-0902-2024-135-92-97, 2024;

2.2. დარეჯან დულაშვილი, სპარტაკ ხუციშვილი, გრიგორ ტატიშვილი, ნინო გაგელიძე, ნათელა ძეგისაშვილი. ახალი მანგანუმშემცველი ბიო-ნაწარმ-კომპოზიტები ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე, კონფერენციის კრებული, SDEWES 2024-1005, <https://www.rome2024.sdewes.org/>, 2024;

2.3. ნ. ძეგისაშვილი, გ. ტატიშვილი, დ. დულაშვილი, „ნაგავსაყრელის ნაჟური წყლების დამუშავება მუნიციპალური მყარი ნარჩენების პოლიმერული ფრაქციისგან მიღებული ნახშირბადის მასალით“, „Chemical Problems“, 2024 no.1(22) ISSN 2221-868833, DOI: 10.32737/2221-8688-2024-1-33-44, 2024

2.4. ნათელა ძეგისაშვილი, დარეჯან დულაშვილი. ნახშირბადოვანი ნაწარმ- და მიკრო-სორბენტებით ნაჟური წყლების გასუფთავების შეფასება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებული, ტ.135, გვ. 75-81, Doi.org/10.36073/1512-0902-2024-135-75-81, 2024;

2.5. ნ. ბუაჩიძე, ნ. ძეგისაშვილი, ვ. მაისურაძე, ე. შაფაქიძე, მ. ნადირაშვილი, დ. დულაშვილი, ლ. ნინოშვილი, თბილისის სიონისა და ანჩისხატის ტაძრების გარე ზედაპირული მდგრადობის პირველადი შეფასება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებული, ტ.135, გვ. 88-91, Doi.org/10.36073/1512-0902-2024-135-88-9, 2024;

2.6. ნათელა ძეგისაშვილი, სადჰან კუმარ გჰოში, დარეჯან დულაშვილი. საქართველოს უდიდესი ნაგავსაყრელის ნაჟური წყლის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და მისი ზემოქმედება კლიმატის ცვლილებაზე, კონფერენციის კრებული 14th International Conference on Sustainable Waste Management - Circular Economy and IPLA Global Forum, 2024;

2.7. ნათელა ძეგისაშვილი, ნინო თაყაიშვილი, დარეჯან დულაშვილი, სადჰან კუმარ გჰოში, თამარ დავითაია. ლამის მძიმე ლითონებისაგან სორბციული გაწმენდის ტექნოლოგია (საქართველოს ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობისთვის). კონფერენციის კრებული 14th International Conference on Sustainable Waste Management - Circular Economy and IPLA Global Forum, 2024;

2.8. ძევისაშვილი, ნ., გჰოში, ს.კ., დუღაშვილი, დ. საქართველოს უდიდესი ნაგავსაყრელის ნაჟური წყლის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და მისი ზემოქმედება კლიმატის ცვლილებაზე, *The Journal of Solid Waste Technology and Management*, 2024, 50(4), pp 734–746;

დასაბუქდად ჩაბარებული სამეცნიერო სტატიები:

2.9. სპარტაკ ხუციშვილი, ნინო გაგელიძე, ასთლიკ შ. ცოკოლაკიანი, მკრტიჩ ა. ერანოსიანი, ეთერი ტყემელიაძე, ვარდან ა. სარქისიანი, დარეჯან დუღაშვილი, ნათელა ძევისაშვილი, კესო არონია, არჩილ ბენზანაშვილი, დ. ტატიშვილი, პაულა ფრაგა-გარსია. ო-კარაგენანის მანგანუმის ოქსიდის ბიონანოკომპოზიტები, როგორც პერსპექტიული გამოსავალი სოფლის მეურნეობის გამოწვევებისთვის, *Polymeric Materials, A section of Materials (ISSN 1996-1944)*, ბექდვაშია, 2025;

2.10. ნათელა ძევისაშვილი, დარეჯან დუღაშვილი, პოლიმერული ნარჩენებიდან მიღებული ნახშირბადის მასალის სორბციის პოტენციალის შესწავლა (თბილისის ნაგავსაყრელის გამონაჟონის ზოგიერთი დამაბინძურებლის მაგალითზე), *Advanced Topics in Polymer Chemistry and Materials Science: Current Strategies and Future Prospects of Nanomedicine (ISBN: 9781774919385, Hardback/ebook)*, Apple Academic Press. ბექდვაშია, 2025;

2.11. ნათელა ძევისაშვილი, ნინო თაყაიშვილი, დარეჯან დუღაშვილი, სადჰან კუმარ გჰოში, თამარ დავითაია. ლამის მძიმე ლითონებისაგან სორბციული გაწმენდის ტექნოლოგია (საქართველოს ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობისთვის), *The Journal of Solid Waste Technology and Management*, Vol. 52 2025; გამომცემელი: International Society of Waste Management, Air and Water (ISWMAW), ბექდვაშია <https://solid-waste.org/>, 2025

3. საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სიმპოზიუმებში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა/ორგანიზება:

3.1. სემინარი რისკის კომუნიკაციაში, ორგანიზებული ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მიერ ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში; გერმანიის რისკის შეფასების ფედერალური ინსტიტუტის (BfR), ევროპის სურსათის უვნებლობის ორგანიზაციის (EFSA), ჩეხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ჩართულობით. თბილისი, საქართველო, 09-11 ივლისი 2024 - სემინარის ერთ-ერთი ორგანიზატორი;

3.2. აგრო/სასურსათო ლაბორატორიების საკოორდინაციო სამუშაო შეხვედრა/სემინარი, ორგანიზებული ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მიერ ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში; ლოპოტას ტბა, კახეთი, საქართველო, 03-05 ივლისი 2024 - სემინარის ერთ-ერთი ორგანიზატორი;

3.3. სემინარი/სამუშაო შეხვედრა „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესები“, ორგანიზებული გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში; ყვარლის ტბა, კახეთი, საქართველო; 04-06 ივნისი 2024 - სემინარის მონაწილე;

3.4. მე-19 საერთაშორისო კონფერენცია ენერგეტიკის, წყლისა და გარემოს სისტემების მდგრადი განვითარების შესახებ - 19th Conference on Sustainable Development of Energy, Water and Environment Systems (SDEWES), ქ. რომი, იტალია; 08-12 სექტემბერი 2024. დარეჯან დუღაშვილი, სპარტაკ ხუციშვილი, გრიგორ ტატიშვილი, ნინო გაგელიძე, ნათელა ძევისაშვილი. ზეპირი მოხსენება თემაზე: „ახალი მანგანუმის შემცველი ბიო-ნანო-კომპოზიტები ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე“;

3.5. პრაქტიკული ტრენინგი „სურსათის/ცხოველის საკვების ნიმუშის აღების ტექნიკის საკითხებზე“, ორგანიზებული ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მიერ ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში; ბრნო-პრატა-ჰოლოვოუსი, ჩეხეთის რესპუბლიკა; 18-21 სექტემბერი 2024 - ტრენინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მონაწილე;

3.6. მე-14 საერთაშორისო კონფერენცია ნარჩენების მდგრად მართვასა და ცირკულარულ ეკონომიკაში და IPLA გლობალური ფორუმი 2024 - 14th International Conference on Sustainable Waste Management - Circular Economy and IPLA Global Forum 2024, ვისახაპატნამი, ინდოეთი, 28 ნოემბერი - 02 დეკემბერი, 2024. ნათელა ძევისაშვილი, სადჰან კუმარ გჰოში, დარეჯან დუღაშვილი. ზეპირი მოხსენება თემაზე: „საქართველოს უდიდესი ნაგავსაყრელის ნაჟური წყლის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და მისი ზემოქმედება კლიმატის ცვლილებაზე“;

3.7. მე-14 საერთაშორისო კონფერენცია ნარჩენების მდგრად მართვასა და ცირკულარულ ეკონომიკაში და IPLA გლობალური ფორუმი 2024 -14th International Conference on Sustainable Waste Management - Circular Economy and IPLA Global Forum 2024, ვისახაპატნამი, ინდოეთი, 28 ნოემბერი - 02 დეკემბერი, 2024. ნათელა ძეგისაშვილი, ნინო თაყაიშვილი, დარეჯან დუღაშვილი, სადჰან კუმარ გჰოში, თამარ დავითაია. ზეპირი მოხსენება თემაზე: „ლამის მძიმე ლითონებისაგან სორბციული გაწმენდის ტექნოლოგია (საქართველოს ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობისთვის)“;

3.8. სემინარზე პესტიციდების მდგრადი გამოყენების შესახებ (დირექტივა 2009/128/EC - SUD), ორგანიზებული ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) მიერ ENPARD IV-ის პროექტის ფარგლებში; თბილისი, საქართველო, 19-20 ნოემბერი 2024 - სემინარის ერთ-ერთი ორგანიზატორი;

4. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა:

4.1. მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევა STEM-22-1751 „ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქების შემუშავება, მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით“, მკვლევარი - ძირითადი პერსონალი;

4.2. ფუნდამენტური კვლევა FR-21-12546, „მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნაჟური წყლების კომპლექსური გასუფთავების შესწავლა ნახშირბადოვანი ნანომასალის გამოყენებით ნარჩენების მართვის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით“, დამხმარე პერსონალი;

4.3. ფუნდამენტური კვლევა FR--23-8279 „ისტორიულ-არქიტექტორული მემკვიდრეობის გრძელვადიანი დაცვის შენარჩუნების მექანიზმების მეთოდოლოგიის შემუშავება კლიმატის ცვლილების პირობებში“, დამხმარე პერსონალი.

5. საერთაშორისო პროექტში „საქართველოში სურსათის უვნებლობისა და SPS სექტორის მხარდაჭერა ENPARD IV-ის ფარგლებში“ (GCP/GEO/022/EC) მონაწილეობა - პროექტის კოორდინატორი (ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხრიდან)

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და თანადაფინანსებულია შვედეთის საელჩოს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა (CzDA) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) მიერ. პროექტს ახორციელებენ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzDA).

პროექტის ფარგლებში 2025 წლის ბოლომდე მიმდინარე აქტივობები:

- საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა მცენარეთა დაცვის სფეროში რეფერენს ლაბორატორი(ებ)ის (SLA) საექსპერტო და ტექნიკური მხარდაჭერა.
- საქართველოს სურსათის/აგროლაბორატორიების განვითარების მხარდაჭერა.
- საქართველოს მცენარეთა დაცვის სისტემების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

6. 2025 წლის პერსპექტიულ სამუშაო გეგმაში შესატანად განსახილველი საკითხი:

მრგვალი მაგიდა „ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქები“.

3.6. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება

აკადემიკოს - მდივანი - აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში გაერთიანებული არიან აკადემიის 5 ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) და 1 სტიპენდიატი.

აკადემიკოსები: რევაზ ასათიანი, პაატა კოლუაშვილი (გარდაიცვალა 8 ოქტომბერს), ნაპოლეონ ქარქაშაძე, ომარ ქეშელაშვილი, ნოდარ ჭითანავა, გივი ჯაფარიძე.

სტიპენდიატი: ეკონომიკის დოქტორი: ნატო ჯაბნიძე (მეორე ვადით იქნა არჩეული 2024 წლის 18 ივლისს).

განყოფილებაში 2024 წელს სულ ჩატარდა 11 სხდომა

პირველი სხდომა ჩატარდა 27 იანვარს და განხილული იქნა საკითხები: 1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. **მომხსენებელი:** ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი. 2. აკადემიკოს რევაზ ასათიანის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეორე სხდომა ჩატარდა 20 თებერვალს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. 2. აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მესამე სხდომა ჩატარდა 26 მარტს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (ონ - ლაინი). 2. აკადემიკოს ომარი ქემელაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (ონ - ლაინი).

მეოთხე სხდომა ჩატარდა 19 აპრილს და განხილული იქნა საკითხები: 1. აკადემიკოს პაატა კოლუაშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (ონ - ლაინი). 2. აკადემიის სტიპენდიანტის ნატო ჯაბნიძის მიერ 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

მეხუთე სხდომა ჩატარდა 23 მაისს და განხილული იქნა საკითხები: 1. თამაშთა თეორია, გადაწყვეტილებების მიღება და ეკონომიკური ქცევა **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ომარი ქემელაშვილი (ონ - ლაინი). 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში გამოჩენილ აგრარკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემიის მისანიჭებელი კონკურსის გამოცხადების შესახებ. **მომხსენებელი:** ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

მეექვსე სხდომა ჩატარდა 24 ივნისს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოს ტყეების მოდერნიზაციის საკითხისათვის. **მომხსენებელი:** აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე.

მეშვიდე სხდომა ჩატარდა 30 სექტემბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. საქართველოს მელიორაციის სტრატეგია. **მომხსენებელი:** ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

მერვე სხდომა ჩატარდა 22 ოქტომბერს და განხილული იქნა საკითხი: 1. მსოფლიო სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე კონცეფციები **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე (ონ - ლაინი).

მეცხრე სხდომა ჩატარდა 15 ნოემბერს (გამოკითხვის წესით) და განხილული იქნა საკითხი: 1. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ პეტრე ჟღენტის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა და ცირკულარული ეკონომიკა“ (ავტორები: აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი **დავით გუბელაძე**) რეცენზენტად აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას არჩევა.

მეათე სხდომა ჩატარდა 26 ნოემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ პეტრე ჟღენტის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ ნაშრომზე „სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა და ცირკულარული ეკონომიკა“. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი სოლომონ პავლიაშვილი. 2. ინფორმაცია ნაშრომის „სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა და ცირკულარული ეკონომიკა“ რეცენზიის შესახებ. **მომხსენებელი:** აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 3. ფარული კენჭისყრა. 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის რეტროსპექტივა. **მომხსენებელი:** ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

მეთერთმეტე სხდომა ჩატარდა 19 დეკემბერს და განხილული იქნა საკითხები: 1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის ფორმირება.

მომხსენებელი: აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა. 2. ინფორმაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ. **მომხსენებელი:** ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ ასათიანი.

ზემოთ ხსენებულის გარდა 12 ივლისს ჩატარდა ეკონომიკურ, სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული საერთო კრება, რომელზეც განხილული იქნა საკითხები: 1. ინფორმაცია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ და კონკურსანტების: ქალბატონი ნატო ჯაბნიძის, ქალბატონი მაია მეტრეველის და ქალბატონი დარეჯან დულაშვილის შრომითი და სამეცნიერო მიმართულებების შესახებ. **მომხსენებელი:** საექსპერტო-საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა 2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის, ეკონომიკის დოქტორ ნატო ჯაბნიძის ინფორმაცია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 3. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორ მაია მეტრეველის ინფორმაცია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის, ქიმიის დოქტორ დარეჯან დულაშვილის ინფორმაცია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ. 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის და ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისათვის აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის, ეკონომიკურ და აგროინჟინერიის ერთჯერადად გაერთიანებული მეცნიერებათა განყოფილებების მიერ აკადემიის საერთო კრებაზე რეკომენდაციის ან დაშვების მიცემის შესახებ - გაერთიანებული სამეცნიერო განყოფილებების კრებაზე ფარული კენჭისყრის ჩატარება.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აკადემიაში ჩატარებულ ღონისძიებებში.

3.6.1. ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების წევრთა 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

აკადემიკოსი რევაზ ასათიანი

1. საკვლევი თემის დასახელება.

საქართველოს მელიორაციის განვითარება - მოდერნიზაციის პროგრამის მომზადების ფარგლებში 2024 წლისთვის დასამუშავებლად განისაზღვრა თემა: „საქართველოს მელიორაციის განვითარების პროგრამა“, რომელშიც განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორცაა: მელიორირებულ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების პარამეტრები, წყალუზრუნველ-ყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, სატუმბი სადგურების არსებული მდგომარეობა, სამელიორაციო სისტემების და მელიორირებული მიწების არსებული მდგომარეობა და მათი განვითარების ღონისძიებები, ძირითადი სარწყავი სისტემების არსებული მდგომარეობა და განვითარების

ლონისძიებები საქართველოს რეგიონების მიხედვით, დამშრობი სისტემების (შემკრები კოლექტორები, წყალშემკრები მაგისტრალური არხები) არსებული მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები გურიაში, სამეგრელოში, აჭარაში; გარემოს დაცვის ღონისძიებები, საექსპლუატაციო - ტექნიკური ბაზა, დარგის სათბობ-ენერგეტიკული რესურსებითა და ელექტროენერჯით უზრუნველყოფა, კაპიტალური დაბანდებები და ინვესტიციები და სხვა.

2. გამოქვეყნებული პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სტატიები)

2.1. რევაზ ასათიანი, პაატა კოდუაშვილი. ინდუსტრიული სოფელი - მომავლის გლობალური გამოწვევა. მონოგრაფია, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2024 წ, 492 გვ;

2.2. ივერი ახალბედაშვილი, რევაზ ასათიანი, გურამ როგავა. სივრცითი დაგეგმარებისა და მიწების კონსოლიდაციის საკითხისათვის. ჟურნალი "ეკონომიკა", თბილისი, 2024 წ, ტომი 106, 9-10, გვ 7-15;

2.3. რევაზ ასათიანი, გურამ როგავა, ელიზაბედ ღამაძე. ქართული რომანტიზმის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინამძღვრები. ჟურნალი "ეკონომიკა", თბილისი, 2024 წ, ტომი 106, 9-10, გვ 24-31;

2.4. ახალბედაშვილი ივერი, ასათიანი რევაზი. საქართველოს აგრარული სექტორი:

გამოწვევები და საკანონმდებლო რეფორმები. მონოგრაფია (მომზადებულია გამოსაცემად), 564 გვ.

3. რეკომენდაციები და რედაქტირება.

დამატებით, კიდევ ერთხელ გავუწიე რედაქტირება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრების მიერ მომზადებულ წინადადებებს კორონავირუსის პანდემიისა და შემდგომი პერიოდისთვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება - მოდერნიზაციის შესახებ. ასევე, დავხვეწე საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნობრივი პროგრამის მოდელი და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა

4. აკადემიის პრეზიდენტისა და დარგობრივი განყოფილების მუშაობაში მონაწილეობა.

4.1. სისტემატურად ვიღებდი ონაწილეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სხდომებში, აგრეთვე აკადემიის მიერ მოწყობილ სემინარებში, სამეცნიერო კონფერენციებში, აკადემიის დარგობრივი განყოფილების სხდომებსა და სხვა სახის შეხვედრებში.

4.2. აკადემიის პრეზიდენტის სხდომაზე გავაკეთე ინფორმაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების მიერ 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, ასევე ჩემი ანგარიში 2023 წელს გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შესახებ;

4.3. განყოფილების სხდომაზე გავაკეთე 2 მოხსენება თემებზე: „შპს საქართველოს მელიორაციის სტრატეგია“ და „საქართველოს სოფლის მეურნეობის რეტროსპექტივა“;

4.4. ორგანიზაციას ვუწევდი 2024 წელს ჩასატარებელი ღონისძიებების განხორციელებას;

4.5. ვუხელმძღვანელებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 2024 წლის 01 ოქტომბრის ბრძანება N122 - ის შესაბამისად, აკად. ნ. ბალათურის მიერ აკადემიის პრეზიდენტის სახელზე ა.წ. 7 აგვისტოს შემოსულ N 01-133/1 წერილში და მის მიერ სხვა წერილებში აღნიშნული საკითხების შესწავლის მიზნით შექმნილი კომისიის მუშაობას (2024 წლის 10 დეკემბერი, ოქმი N 1)

5. საქმიანობა შპს „საქართველოს მელიორაცია“ - ში

5.1. ჩემი, როგორც „შპს საქართველოს მელიორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით ჩატარდა 26 სხდომა და განხილულ იქნა 50 - მდე სხვადასხვა სახის საკითხი, ასევე:

5.2. წყალმომხმარებელთა (წმო) ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის სამოქმედო გეგმის ფორმირების საკითხების განხილვაში მონაწილეობა;

5.3. დონორი ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, საფრანგეთის განვითარების სააგენტო) დაფინანსების ფარგლებში სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევის განხილვაში მონაწილეობა;

5.4. მდინარე ილტოზე მოსაწყობი პოტენციური წყალსაცავის პროექტის მომზადებასთან დაკავშირებული ტექნიკური დავალების ფორმირების განხილვაში მონაწილეობა;

5.5. ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის დამატებითი კვების უზრუნველსაყოფად მდ. ალაზანზე, ქ. წნორის მიდამოებში, სატუმბი სადგურის მოწყობის მიზანშეწონილობის განხილვაში მონაწილეობა;

5.6. დალის მთის წყალსაცავის რეაბილიტაციის პროცესიდან გამომდინარე ელდარის დაბლობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფის საკითხის განხილვაში მონაწილეობა;

- 5.7. ქვ. ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის (სოფ. კონდოლი) რეაბილიტაციის ტექნიკური გადაწყვეტილებების განხილვაში მონაწილეობა;
- 5.8. კახეთის რეგიონის სატუმბო სადგურების (ბაკურციხე, ვაქირი, ანაგა, ფიროსმანი, სამთაწყარო) ეფექტურად ფუნქციონირების მოგვარების საკითხების განხილვაში მონაწილეობა;
- 5.9. ნარეკვავის, ალგეთის და სიონის წყალსაცავებზე წარმოქმნილი პრობლემატური საკითხების მოგვარებაზე ერთობლივი მუშაობა;
- 5.10. კომპანიის სტრუქტურის ოპტიმიზაციის საკითხებზე მუშაობა ეფექტურად მართვის უზრუნველყოფის მიზნით;
- 5.11. ზემო სამგორის სარწყავი სისტემის, დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით (ევროპის საინვესტიციო ბანკი) განსახორციელებელი რეაბილიტაციის პროცესის განხილვაში მონაწილეობა;
- 5.12. დასავლეთ საქართველოს დამშრობი სისტემების ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების განხილვაში მონაწილეობა;
5. 13. შპს „საქართველოს მელიორაცია“ - ს 2025 წლის პროექტების გეგმების ფორმირებაში მონაწილეობა;
- 5.14.2024 – 2025 წლებში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო ობიექტებზე მშენებლობის მიმდინარეობის დათვალიერება;
- 5.15. ვმონაწილეობდი დონორი ორგანიზაციების მიერ მოწყობილ სხვადასხვა სახის შეხვედრაში, მათ შორის მსოფლიო ბანკის მიერ GRAIL - ის მიერ მომზადებული „ირიგაციის ეროვნული გენერალური გეგმის ტექნიკური დავალების“ განხილვაში.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე

2024 წელს ვაგრძელებდი მუშაობას ირანის რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებზე. ირანი 21-ე საუკუნის ქვეყნად ითვლება, რომელმაც (მიუხედავად საერთაშორისო სანქციებისა) ქვეყანაში დანერგა უახლესი ტექნოლოგიები, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში. დღეისთვის ქვეყანამ შეძლო მოსახლეობის (90 მილიონი) მოთხოვნილების დაკმაყოფილება საკვებ პროდუქტებზე საკუთარი წარმოებით მაშინ, როდესაც მისი ტერიტორიის (ერთი მილიონი კვ.კმ) მხოლოდ 3-3,5%-ია ვარგისი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნებრივი მტკნარი წყლით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 34%-ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, ქვეყანამ შეძლო და მოიძია თავის ტერიტორიაზე მიწისქვეშა წყლების უზარმაზარი მარაგი, რომელმაც მთლიანად გადაწყვიტა ქვეყნის მოსახლეობის მტკნარი წყლით მომარაგება და ამასთან, შექმნა სარწყავი სისტემის ისეთი ქსელი, რომელმაც ქვეყანას საშუალება მისცა მთლიანად დაეკმაყოფილებინა ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება საკვებ პროდუქტებზე და ხილის გარკვეული ნაწილი (ჩირის სახით) გაეტანა მსოფლიო ბაზარზე.

ქვეყნის სტრატეგიული პროდუქციის 52-54% იწარმოება ე.წ ტერასულ მეურნეობაში. მათ შეძლეს ამ მეთოდის ავტომატიზაცია (სარწყავი წყლის მიწოდება, პროდუქტის ტრანსპორტირება და ა.შ), რამაც ხელი შეუწყო ახალი საცხოვრებელი სივრცეების შექმნას, რაც ტერიტორიის ათვისებისთვის აუცილებელია.

აქვე, საჭიროდ ვთვლით, ავღნიშნოთ ის, რომ საქართველოშიც კარგად იყო განვითარებული ტერასული მეურნეობა (სამცხე-ჯავახეთის რაიონში). სულხან-საბა ორბელიანის ინფორმაციით წარმოებული პროდუქციის „უდიდესი ნაწილი“ სამცხე-ჯავახეთში მიიღებოდა ტერასებზე.

დღეს ამ მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი თურქეთის სახელმწიფოშია. ალბათ, საჭირო იქნება, ადგილზე თუ გავეცნობით ირანის ტერასულ მეურნეობას და ინდუსტრიულ საფუძველზე ამ მეთოდს დავნერგავთ საქართველოშიც.

აგრეთვე ვაგრძელებდი მუშაობას მონოგრაფიისათვის - ციკლიდან „მსოფლიოს სოფლის მეურნეობა.“ 2023 წლისათვის კონკრეტულად დამუშავდა საქართველოს უშუალო მეზობლის, თურქეთის რესპუბლიკის მიერ გატარებული რეფორმების ეფექტურობა - საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიისათვის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფასთან დაავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, დღევანდელი თურქეთი 21-ე საუკუნის დასაწყისში გახდა მსოფლიო მნიშვნელობის საკურორტო-ტურისტული ქვეყანა, რომლის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა

პროდუქტში ბოლო 20 წლის განმავლობაში გაიზარდა 11,5 პროცენტიდან 22,8 პროცენტამდე. ყოველივე ეს მიღწეული იქნა იმ მიზნობრივი რეფორმების სრულყოფილად გატარებით, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2000 წლის შემდგომ პერიოდში. საფუძველიანად იქნა შესწავლილი იმ მიზნობრივი რეფორმების სრულყოფილად გატარებით, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2000 წლის შემდგომ პერიოდში. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ისეთი ტურისტულ-საკურორტო ინდუსტრიის გიგანტის საქმიანობა, როგორცაა „ანტალიის ტურისტული კომპლექსის საკვები პროდუქტების მომარაგების საკითხები მას შემდეგ, რაც ტურისტული კომპლექსის სურსათით მომარაგება შესაძლებელი გახდა საკუთარი წარმოების კომპლექსთან მიერთების შემდეგ“. სასოფლო-სამეურნეო წარმოებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ანტალიის ტურისტული კომპლექსის წმინდა მოგება.

დღეისათვის ანტალიის ტურისტული კომპლექსი ფლობს საწარმო მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებს შავი ზღვის სანაპირო სივრცის თითქმის მთელ პერიმეტრზე, აქვთ სასოფლო-სამეურნეო დარგის განვითარებისათვის უახლესი ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმოები, ყველა ტიპის (მ.შ აგრარული პროფილიც) კვალიფიციური კადრების მომზადების შესახებ.

კომპლექსური საქმიანობის შედარებითი ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ თავდაპირველად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკუთარმა წარმოებამ, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება საწყის ეტაპზე გაზარდა 3-5 %-ით, სამაგიეროდ კურორტის წმინდა მოგება თითქმის სამჯერ გაიზარდა. ამ მიმართულებით ჩატარებულმა რეფორმებმა, რომლებიც დაიწყო 21-ე საუკუნის დასაწყისში და გულისხმობდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკუთარ წარმოებას - გაამართლა. განსაკუთრებული წარმატებით ჩატარდა მიწათსარგებლობის რეფორმა და მიერთებული აგრო-სამრეწველო კომპლექსის სტრუქტურული ქვედანაყოფის რეფორმა.

ჩვენი დაკვირვებით ეკონომიკურ კვლევაში იკვეთება ახალი მიმართულება - „საკურორტო-ტურისტული ეკონომიკის“ სახით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროექტების განხორციელება საქართველოშიც არის შესაძლებელი, კერძოდ - ბორჯომ-ბაკურიანის, წყალტუბოსა და შავი ზღვის აუზის კურორტებზე.

აკადემიკოსი ომარ ქეშალაშვილი

1. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები (მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები, თეზისები):

სულ გამოქვეყნებულია 1070 სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ მათ შორის 229 წიგნი, აქედან, 53 მონოგრაფია, 9 სახელმძღვანელო, 136 ბროშურა, 27 მინიატურული პოპულარული წიგნი, 5 დარგობრივ-თემატური ატლასი, 33 გამოცემულია საზღვარგარეთ. გამოქვეყნებულია 275 საგაზეთო სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომი. სულ სამეცნიერო და სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნაშრომთა რაოდენობა შეადგენს 134 (1993 წლამდე გამოქვეყნებულია 278, 2005 წლამდე 329, 2010 წლამდე 440, 2015 წლამდე 605, 2020 წლამდე 1010, 2023 წლამდე 1062 სამეცნიერო ნაშრომი, 2025 წლამდე 1070 სამეცნიერო ნაშრომი).

2. აკადემიის პრეზიდიუმის მუშაობაში მონაწილეობა და საკითხების მომზადება:

ვხელმძღვანელობდი საერთაშორისო რეფერირებულ შრომათა კრებულ „მოამბის“ 2024 წლის 1-ლი და მე-2 ნომრების გამოცემას.

3. სამეცნიერო საბჭოებში, კომისიებში, სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა, სხვა საქმიანობა:

3.1. საერთაშორისო რეფერირებული ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის დამფუძნებელ-გამომცემელი, სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი;

3.2. აკადემიის საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებულის-„მოამბე“-ის პასუხისმგებელი რედაქტორი;

3.3. აგრარულ სფეროში ექსპერტის წოდების მიმნიჭებელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი;

3.4. გამომცემლობა „აგროს“ ხელმძღვანელი;

3.5. აგრარული მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი ფონდის ხელმძღვანელი;

3.6. ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი;

4. სამეცნიერო საზოგადოების, ასოციაციის, სამეცნიერო საბჭოს წევრობა:

4.1. ვარ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

5. საკითხები, რომელიც უნდა განიხილოს ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების სხდომამ და პრეზიდიუმმა:

5.1. **პრეზიუმმა:** აკადემიის საერთაშორისო რეფერირებული სამეცნიერო შრომათა კრებულ „მოამბის“ გამოცემის შესახებ.

5.2. **ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების სხდომამ:** პროგრამირებულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის ეკონომიკური გააზრება.

6. 2024 წელს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:

6.1. ო. ქეშელაშვილი - მდგრადი განვითარება - მსოფლიო გლობალური პრობლემა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული); #1(51); თბილისი, 2024;

6.2. ო. ქეშელაშვილი - ინკლუზიური ბიზნესი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული); #1(51); თბილისი, 2024;

6.3. ო. ქეშელაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის დეონტოლოგია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული); #1(51); თბილისი, 2024;

6.4. ო. ქეშელაშვილი - იბერტარიანიზმი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული); #1(51); თბილისი, 2024;

6.5. ო. ქეშელაშვილი - ივერსიფიკაცია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული); #1(51); თბილისი, 2024;

6.6. ო. ქეშელაშვილი - ეკონომიკის გენეზისი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული); #1(52); თბილისი, 2024;

6.7. ო. ქეშელაშვილი - პროგრამირებულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის ეკონომიკური გააზრება, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული); #1(52); თბილისი, 2024;

6.8. ო. ქეშელაშვილი - ეკონომიკური ტერმინები, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ (სამეცნიერო შრომათა კრებული); #1(52); თბილისი, 2024.

აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა

2024 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების სამეცნიერო ცენტრში ჩემი ხელმძღვანელობით დამუშავდა გეგმით გათვალისწინებული თემა „**სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში (პრობლემები, ანალიზი, პერსპექტივები)**“.

კვლევისას გამოიკვეთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში შიდა რეგიონული თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობა. მათ შორის თუ როგორ უნდა განვითარდეს სასოფლო ტერიტორიები. ეს თემა/პრობლემა საქართველოში მეცნიერული შესწავლის საწყის ეტაპზეა. თემა გარდამავალია, მოძიებულია ინფორმაცია მიწის მართვის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე, სხვა ქვეყნებისა და საქართველოს გამოცდილების შესახებ, შესაბამისი სამეცნიერო-ლიტერატურული წყაროები, სტატისტიკური მასალები და ინტერნეტ-რესურსები.

წინასწარი გამოკვლევებით ჩანს, რომ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, როგორც კომპლექსური პროცესი ინტეგრირებული უნდა იყოს ტერიტორიის განვითარების ყველა მიმართულებასთან, რათა დაბალანსდეს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პრიორიტეტები. რაც გულისხმობს ტერიტორიაზე არსებული სუბიექტების ინტერესების შეთანხმებას. ამ შემთხვევაში უფრო მოხერხდება სტრატეგიული (სამოქმედო) გეგმების, პროგრამების, პროექტების რეალიზაცია, ეკონომიკური განვითარების პროცესების დაბალანსება და ტექნოლოგიური წყობების ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა. ამით მომზადდება ტერიტორიის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პირობები. კვლევის პროცესში წამოჭრილი

ახალი საკითხების შესწავლა (შესაბამისი რეკომენდაციებისა და დასკვნების შემუშავება) 2025 წელს დასრულდება.

ასევე ჩემი ხელმძღვანელობით დამუშავდა თემები: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვის ინტეგრირებული სისტემა (კონცეპტუალური ასპექტი)“ და „საქართველოში ორგანული (ეკოლოგიური) სოფლის მეურნეობის განვითარების არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები“. თანამედროვე პირობებში საქართველოში მიწის რესურსების (სახელმწიფო ფონდის) რაციონალურად გამოყენების ამოცანას სტრატეგიული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. მრავალ გამოწვევებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მიწის რესურსული პოტენციალის ქვეყნის მდგრადი განვითარების დაჩქარების ძირითად ფაქტორად გამოყენების პრობლემა. ეს გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალურ და ეფექტიან გამოყენებას, სასარგებლო წიაღისეულის რესურსების თანამედროვე ტექნოლოგიებით გადამუშავებას, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებას, რეკრეაციული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, საცხოვრისი სივრცის გაჯანსაღებას, მიწის, როგორც გეოეკონომიკური ფაქტორის მიზნობრივად გამოყენებას, როგორც ტერიტორიის, სასაზღვრო ნაწილის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენებას და სხვ. მიწის როგორც ბუნებრივი რესურსისა და წარმოების ძირითადი ფაქტორის კომპლექსური და ეფექტიანი გამოყენება ეროვნული ეკონომიკის სისტემური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

2024 წელს სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის ჟურნალში „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“ 1(4) გამოვაქვეყნე სტატია „სასოფლო ტერიტორიების მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოში (კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მიდგომა)“.

2024 წელს ჩავატარე შემდეგი ლექცია-სემინარები:

1. „მიწის რესურსების მართვის კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური ასპექტები“. სტუ-ის ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი – თეორიული სემინარი. სტუ, 17.10, 2024 წელი.
2. „საქართველოს მიწის რესურსები“, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სტუ ი. ჟორდანიას სახელობის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ ცენტრს შორის არსებული ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში. სტუ, 27.12.2024 წელი.
3. „მიწის რესურსული პოტენციალის მართვის ძირითადი მიმართულებები“, მოხსენებით გამოვედი საერთო კრებაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, 18.07.2024 წელი.
4. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებს შორის გაფორმებული მემორანდუმით განსაზღვრული თემატიკის შესაბამისად მოვამზადე დოკუმენტი (კვლევის შედეგად ჩამოყალიბებული წინადადებები, რეკომენდაციები) „მიწის რესურსული პოტენციალის გამოყენების, დაცვისა და განვითარების პროცესების მართვის (რეგულირების) სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ინფორმაცია 2023 წელს ჩატარებული სამეცნიერო - კვლევითი, პედაგოგიური მუშაობისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ

2024 წელს მეცნიერთა ჯგუფთან ერთად, როგორც მკვლევარი და ხელმძღვანელი კვლავ ვაგრძელებდი მუშაობას სატყეო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე, აგრეთვე საქართველოს სატყეო სექტორის სტრატეგიული განვითარება - მოდერნიზაციის ძირითად მიმართულებებზე (2024-2030 წ. წ.).

სატყეო სექტორის სტრატეგიული განვითარების ზემოაღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს - სატყეო სექტორის სტრატეგიული მიმართულებების სრულყოფას. კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად კვლავ რჩება სატყეო სექტორის მარეგულირებელი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სრულყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა საქართველოს ტყის კოდექსის მუდმივი სრულყოფა; თვითმყოფადი ბუნებრივი და კლიმატური გარემოს, მათ შორის მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული კულტურისა და ბუნების ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება.

ჩემი ხელმძღვანელობით აკადემიის მიერ შემუშავებული და მომზადებული იქნა:

- საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება – მოდერნიზაცია 2024 - 2030 წლამდე პერიოდისათვის, სახელმწიფო პროგრამის შემუშავების კონცეპტუალური და ორგანიზაციულ - მეთოდოლოგიური საკითხები;
- სატყეო სექტორის განვითარება-მოდერნიზაციის ძირითადი მიმართულებების პროექტი (2024-2030 წ. წ.);

როგორც მეცნიერ-მკვლევარს, 2024 წელს გამოქვეყნებული მაქვს 7 სამეცნიერო სტატია, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ტყის კულტურების სიხშირის, ხნოვანების და შემადგენლობის გავლენა ზედაპირული ჩამონადენის რაოდენობის ცვალებადობაზე; დახასიათება.(თანაავტორი - ლაშა დოლიძე), ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 1; 2024 წ; (51); გვ. 110 – 113.
- ტყის ეკოსისტემებში სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების პროცესებთან ბრძოლა ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულების მინერალიზებული ზოლების და თხრილების საშუალებით. დახასიათება.(თანაავტორი - ლაშა დოლიძე) ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 1; 2024 წ; (51); გვ. 114 – 116.
- საქართველოს ტყეებში არსებული ნახშირბადის მარაგი და დიოქსიდის ემისია ტყის ნიადაგების ზედაპირიდან. (თანაავტორები: გიზო გოგიჩაიშვილი, ზვიად ტიგინაშვილი, გიორგი ვაჩნაძე), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 1; 2024 წ; (51); გვ. 135 – 153.
- თუშეთის დაცული ლანდშაფტის არყის ტყეებში დაქვემდებარებული სართულის ნახშირბადის მარაგების შეფასება და მისი გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებებზე. (თანაავტორები: გიორგი გაგომიძე, ზვიად ტიგინაშვილი, ელენე სორდია, ლაშა დოლიძე, ნოდარ ბერიძე) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ”მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები”, 22 – 24 მაისი, თბილისი, გვ. 158 – 159.
- საქართველოში მერქნული საწვავით უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ. (თანაავტორები: რევაზ ჩაგელიშვილი, ლაშა დოლიძე), ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. (bulletin, N. 2; 2024 წ; (52); გვ. 49 – 52.
- საქართველოში მერქნულ საწვავზე მომხმარებელთა ძირითადი კატეგორიები და მერქნული საწვავის დამზადების ტექნოლოგია. (თანაავტორები: ლაშა დოლიძე, რევაზ ჩაგელიშვილი) ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 1; 2024 წ; (52); გვ. 52 – 56.
- საქართველოს სატყეო სექტორის განვითარება - მოდერნიზაციის ძირითადი მიმართულებები. (თანაავტორები: ლაშა დოლიძე, გიორგი ქავთარაძე), ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე (bulletin, N. 2; 2024 წ; (52); გვ. 56 – 60.
- რედაქტირება - რეკომენდაციებზე: “ ნაძვანარ - სოჭნარი კორომების ზოგიერთი მავნე მწერების ბიოლოგიური თავისებურებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. ავტორები: რეზო ვასაძე, გალინა მეფარიშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2024 წ. 68 გვ. ISBN 978-9941-8-7308-9;

ვმონაწილეობდი:

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, 22 – 24 მაისი, თბილისი, (სამეცნიერო კომიტეტის წევრი);

როგორც აკადემიის პრეზიდენტი და მკვლევარი, ორგანიზაციას ვუწევდი და პრაქტიკულად ვმონაწილეობდი აკადემიის მიერ ორგანიზებულ თემატურ სხდომებში და მრგვალი მაგიდების მუშაობაში:

- „ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი“ მიძღვნილი მრგვალი მაგიდა – „ერუშეთის ეროვნული პარკის ტყის ბიომასისა და მასში დეკონირებული ნახშირბადის დადგენა“; (3-მარტი, 2024 წ.); „ტყის საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი თემატური სხდომა: „აჭარის ტყეებში გავრცელებული ინვაზიური მავნებელი - დაავადებები და მათი უარყოფითი ზემოქმედების შედეგები“; (21-მარტი, 2024 წ.);
- „ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი მრგვალი მაგიდა: „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“; (22 მაისი, 2024 წ.);
- „გარემოს დაცვის მსოფლიო დღისადმი“ მიძღვნილი თემატური მრგვალი მაგიდა. თემა: „საქართველოში გავრცელებული ახალი ინვაზიური მავნებლები“ (5 ივნისი 2024 წ.);
- „ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღისადმი“ მიძღვნილი თემატური სხდომა: „საქართველოში გავრცელებული ტყის ხანძრების გავრცელების დინამიკა და ხანძრების გამომწვევი მიზეზები, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინოვაციური მეთოდები და ხანძარგავლილი ტყის ეკოსისტემების აღდგენის მეცნიერული საფუძვლები, რეკომენდაციები“ (18 სექტემბერი, 2024 წ.);
- „მეტყვეის დღისადმი“ მიძღვნილი თემატური სხდომა: „წაბლის ქერქის კიბოს წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდის დანერგვა საქართველოში“ 10 ოქტომბერი, 2024 წ.).

ვხელმძღვანელობდი კვლევებს:

- „ქ. თბილისის შემოგარენის ტყის შემქმნელი ძირითადი მერქნიანები და მათი გავრცელების თავისებურებები კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე“;
- „საქართველოში მერქნული ენერგეტიკული რესურსების პოტენციალი და მისი ეფექტურად გამოყენების რეკომენდაციები“:

როგორც ხელმძღვანელი, ვმონაწილეობ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, „სატყეო საქმის“ მიმართულების სადოქტორო - საგანმანათლებლო პროგრამებს და „სატყეო საქმის“ მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში.

ვხელმძღვანელობ აკადემიის დეპარტამენტების და აკადემიის აპარატის მუშაობის ძირითადი მიმართულებების დაგეგმვას და კოორდინაციას, პრეზიდენტიუმებზე და საერთო კრებებზე განსახილველი ძირითადი საკითხების და საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო კონფერენციების მომზადება - ჩატარებას, აკადემიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების, ინსტრუქციების, ბროშურების და სხვა სამეცნიერო-საინფორმაციო მასალების შედგენა - გამოცემა და სხვა.

როგორც მთავარი რედაქტორი აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ „მოამბის“ მუშაობის ორგანიზაციაში, ვხელმძღვანელობ აკადემიის ყოველკვარტალურ სარეკლამო-საინფორმაციო ბიულეტენის „აკადემიის მაცნეს“ საქმიანობის წარმართვას, რომლის საშუალებით სისტემატურად შუქდება აკადემიაში ჩატარებული ღონისძიებები, აკადემიის პრეზიდენტიუმის სხდომებზე განხილული ძირითადი საკითხები, მოწინავე გამოცდილება და ტექნოლოგიები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან უცხოეთის წამყვან მეცნიერებათა აკადემიებთან თანამშრომლობის საკითხების განზოგადებას, ასევე აგრარული მიმართულებების უმაღლეს სასწავლებლებთან, კვლევით დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმების პრაქტიკული განხორციელების საქმეს.

ვარ ვინიცის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის „აგრარული მეცნიერება და კვების ტექნოლოგიები“ რედკოლეგიის წევრი.

როგორც აკადემიის პრეზიდენტიუმის თავმჯდომარე ვხელმძღვანელობდი პრეზიდენტიუმის საქმიანობას.

2024 წელს ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავდა და ხელი მოეწერა აკადემიის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს შემდეგ ორგანიზაციებთან:

- 2024 წლის 27 მარტს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის;

- 2024 წლის 4 ივნისს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნოლოგიებს შორის ;

- 2024 წლის 14 მაისს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის; აკადემიის შესაბამის დეპარტამენტებთან და სამეცნიერო განყოფილებებთან ერთობლივად შემუშავებული იქნა აკადემიის 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა და ძირითადი ღონისძიებები, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2025 წელს აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებზე სხვა ძირითად საკითხებთან ერთად მიზანშეწონილად მიმაჩნია განხილული იქნას საკითხები:

- აკადემიის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორ ორგანიზაციებთან, სამინისტროებთან და აგრარული პროფილის შესაბამის უწყებებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

- საქართველოს ტყეების მართვისა და კონტროლის მექანიზმის ოპტიმიზაციის საქმეში სატყეო მეურნეობების აღდგენისა და მათი პოტენციალის ეფექტურად რეალიზაციის აუცილებლობის შესახებ;

- საქართველოს ტყის ეროვნული აღრიცხვის შესახებ;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს მუშაობის ძირითადი მიმართულებების სრულყოფის ღონისძიებების შესახებ.

აკადემიის სტიპენდიატი ნატო ჯაზნიძე

1. თემის დასახელება (გეგმიური, დავალებით)

1.1. „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“.

თემის აქტუალობა: ეკომეგობრული პროდუქციის განვითარებაში, განვითარების და მდგრადობის ასპექტების ინტეგრირება ბოლო წლებშია აქტუალურია და ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

მოგეხსენებათ, ჯანსაღი კვება ძირითადად ორ ელემენტს მოიცავს - სრულფასოვნება და უსაფრთხოება. საკვების მოხმარება მთელ რიგ რისკებთანაა დაკავშირებული და განპირობებულია პროდუქციის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებასთან. ასევე კვების პროდუქტებში საკვები ნივთიერებების არასათანადო რაოდენობით (დისბალანსი ან სიჭარბე) შემცველობა. ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად კვების საწარმოებისთვის შემუშავებულია HACCP სისტემა, რომელიც გულისხმობს გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვას და მათზე კონტროლის ორგანიზაციას. ევროკავშირის და მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ ეს მოთხოვნები შესაბამისი კანონმდებლობით დაარეგულირა.

ბოლო პერიოდში, მოსავლის დიდი რაოდენობით მიღების სურვილით აჭარის მეურნეობებმა ქიმიური სასუქის დიდი რაოდენობით გამოყენება დაიწყეს, თუმცა მათ გვერდით ჩნდება, როგორც მცირე და საშუალო ფერმერული, ასევე საოჯახო (თვითუზრუნველყოფი) მეურნეობები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ბაზრისთვისაც პროდუქციის შექმნას, რომელიც შედარებით სუფთაა და აკმაყოფილებს ეკო-პროდუქტებისადმი წამოყენებულ მოთხოვნას.

კვლევის მიზანი და ამოცანა - აჭარის ეკომეგობრული პროდუქციის წარმოებაზე ძირითადი დარგების შესაბამისად მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების მფლობელების გამოკითხვა, მათი საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიება და მათი დამუშავება.

ჩვენი კვლევის ამოცანას წარმოადგენს გამოვიკვლიოთ, თუ როგორ აერთიანებენ მეურნეობები გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ ასპექტებს პროდუქტის წარმოებაში. მიღებული პირველადი შედეგების (რაოდენობრივი და თვისებრივი) ანალიზი განხორციელდება SPSS სტატისტიკურ პროგრამაში. პროექტის განმავლობაში კითხვარში მონაწილეობას ერთდროულად მიიღებს ხუთივე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და კითხვარი განმეორდება ყველა მომდევნო წელს, რათა

შესწავლილი იქნეს დინამიკა და პროგნოზირების მეთოდით განისაზღვროს სამომავლო ტენდენციები.

მოკლე ანოტაცია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში შემავალი ხუთი მუნიციპალიტეტიდან სამი - ქედა, შუახევი და ხულო ძირითადად მაღალმთიან რაიონებს წარმოადგენს, რაც მოითხოვს სოფლის მეურნეობის განვითარებისადმი განსაკუთრებული მიდგომების შემუშავებას. სოფლის მეურნეობა განვითარებულია ძირითადად ოჯახური მეურნეობების სახით და შესაბამისად ტექნოლოგიური სიახლეები მათ საქმიანობაში არ შეინიშნება ან მოძველებულია. ნედლეულის მიღება, მისი გადამუშავება და დასაწყობება ხდება მოძველებული მეთოდებით.

1.2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ეკონომიკური შეფასება, პერსპექტიული ამოცანებისა და პროგნოზული პრიორიტეტების განსაზღვრა“.

თემის აქტუალობა: თემის აქტუალობა განპირობებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მემცენარეობის ძირითადი დარგების შესწავლით და რეგიონში მისი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრით.

კვლევის მიზანი: შესწავლილი იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარულ სექტორში ფერმერთა მიერ წამყვანი დარგების მოშენების შესახებ (ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები) არსებული მდგომარეობა.

კვლევის ამოცანა: აჭარის აგრარული პროდუქციის წარმოებაზე მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების მფლობელების გამოკითხვა, მათი საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.

2. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები და საკონფერენციო მასალები:

2.1. Nato Jabnidze, Natela Tsiklashvili, Tamila Turmanidze, Tamar Beridze - Women in the Labor Market of Georgia -Published by BC GRUP INC. Publisher Certificate No: 6641 ISBN: 978-625-98418-5-4/July2024 - DOI: <https://doi.org/10.19275/RSEPCONFERENCES314>

ანოტაცია: თანამედროვე პირობებში ქალთა უმუშევრობა უმთავრესი სოციალური პრობლემაა. შრომის ბაზარზე ქალთა აქტივობის გაზრდა შესაძლებელია ზოგიერთი საკანონმდებლო ინიციატივით და განსახორციელებელი სპეციალური პროგრამებით. მთელ მსოფლიოში მამაკაცებისა და ქალების ხელფასს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ფაქტობრივად, თუ გენდერულად განვიხილავთ, ქალის შრომა იაფია. ქალები ძირითადად კერძო სექტორში არიან დასაქმებულნი და წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნის ბირთვს. დღესდღეობით ბევრ ქალს აქვს ოჯახის მარჩენალის როლი. ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ ქალებს გარკვეული ძალაუფლება მისცა, მაგრამ ეს ახალი ვითარება არ ცვლის ტრადიციულ გენდერულ როლებს და ქალების ძირითადი საქმიანობა რჩება საოჯახო მოვალეობებზე ზრუნვა, ბავშვის მოვლა და ა.შ. ქალების უმრავლესობა დასაქმებულია ფორმალურ სექტორში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვისა და მსუბუქი წარმოების სექტორებში დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე. საქართველო დასავლური ღირებულებების ქვეყანაა. 2010 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და Low-ის მთავარი იდეა გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრაა.

2.2. Nato Jabnidze, Natela Tsiklashvili, Tamila Turmanidze - Production of eco-products, challenges, prospects and role in the food security of the country - 4th USBED CONFERENCE - 01-02 November 2024 Istanbul Topkapı University;

სრულფასოვნება და უსაფრთხოება - ჯანსაღი კვების ძირითადი ორი ელემენტია. პროდუქციის ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ დაბინძურებასთან განპირობებულია საკვების მოხმარება, რომლებიც აგრეთვე დაკავშირებულია მთელ რიგ რისკებთან. ისეთი რისკების როგორცაა, კვების პროდუქტებში საკვები ნივთიერებების არასათანადო რაოდენობით (დისბალანსი ან სიჭარბე) შემცველობა, თავიდან ასაცილებლად, კვების საწარმოებისთვის შემუშავებულია HACCP სისტემა, რომელიც გულისხმობს გარკვეული ჰიგიენური ნორმების დაცვას და მათზე კონტროლის ორგანიზაციას.

შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით დარეგულირდა ევროკავშირის და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ეს მოთხოვნები.

მეურნეობებმა ქიმიური სასუქის დიდი რაოდენობით გამოყენება დაიწყეს, მოსავლის დიდი რაოდენობით მიღების სურვილით, თუმცა მათ გვერდით ჩნდება, როგორც მცირე და საშუალო

ფერმერული, ასევე საოჯახო (თვითუზრუნველყოფი) მეურნეობები, რომლებიც ცდილობენ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად, ბაზრისთვისაც პროდუქციის შექმნას, რომელიც დააკმაყოფილებს ეკო-პროდუქტებისადმი წამოყენებულ მოთხოვნას.

FAO - მ - გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ - სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელთა მთელი სისტემიდან გამოყო ოთხი ძირითადი „ელემენტი“: არსებობა, მოხმარება, ხელმისაწვდომობა და სტაბილურობა. რაც გულისხმობს სასურსათო პროდუქციის ფიზიკურ არსებობას, ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას, ჯანსაღი და კვებითი ღირებულების მქონე სურსათის მოხმარებას. (ჯეოველ რისერჩი, 2017).

ქვეყნებისთვის მნიშვნელოვან ამოცანად რჩება მოსახლეობის სურსათით მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადგილობრივი წარმოებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც, სადაც სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ასე გამოიყურება:

სურსათით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი %

მაჩვენებლები	2020	2021	2022	2023
ხორბალი	15	22	22	22
სიმინდი	68	74	62	70
კარტოფილი	92	115	101	87
ბოსტნეული	63	61	52	52
ყურძენი	145	173	201	236
ხორცი	49	51	50	42

2.3. მცირე საწარმოების მართვის გამოწვევები და პრობლემები (აჭარის მაგალითზე) –საერთაშორისო კონფერენცია „მდგრადი სატრანსპორტო სისტემა და საზღვაო ლოგისტიკა“ –ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი 24/06/2024.

ანოტაცია: სტატიაში განხილულია მცირე საწარმოების მართვის პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების საკვანძო დეტალები. აქცენტი გაკეთებულია მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მნიშვნელობაზე, რაც წარმოადგენს ინოვაციების, იმას რომ სამეწარმეო და საკანონმდებლო გარემო უმჯობესდება, სახელმწიფოს მხრიდან არის ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების არაერთი მხარდამჭერი პროგრამა თუ საკანონმდებლო პაკეტი, მცირე და საშუალო სამეწარმეო სექტორის გაუმჯობესებისათვის, მეწარმეები კვლავ ბევრი სირთულის წინაშე დგანან, რაც არასასურველ გავლენას ახდენს მათ კონკურენტუნარიანობაზე და შრომის ნაყოფიერებაზე.

სექტორში ძირითადი პრობლემების გამოსავლენად ჩატარდა კვლევა. კვლევაში ჩართული იყო მცირე ბიზნესის 250 წარმომადგენელი, რომლებიც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გამოიკითხნენ. ძირითადად ფასდებოდა ხელშემშლელი ფაქტორების მიხედვით რომელი ფაქტორი უფრო „პრობლემური“ “ ნაკლებად პრობლემური“ „არ არის პრობლემური“ იყო:

- სამუშაო ძალის ნაკლებობა
- არაჯანსაღი კონკურენცია
- სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები
- სამამულო წარმოების პროდუქციის მიწოდების უწყვეტობა
- სავალუტო კურსი.

გამოკითხულთა 75 % -მა პრობლემის გამომწვევ ძირითად ცვლადებად ყველაზე პრობლემური სამუშაო ძალის ნაკლებობა და არაჯანსაღი კონკურენცია დაასახელა.

2.4. CHALLENGES OF THE CONTEMPORARY SMALL AND MEDIUM-SIZED BUSINESS MARKETS DIVERSIFICATION - საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი „NETWORKING ON SUSTAINABLE SECURITY IN DYNAMIC ENVIRONMENT,“- მიკოლას რომერისის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი უსაფრთხოების აკადემია.

3. მონაწილეობა საგანმანათლებლო საქმიანობაში:

3.1. აგრძელებს მუშაობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად.

3.2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციების კურსს: კორპორაციული მენეჯმენტი; სამეწარმეო გარემოს რეგულირება, ოპერაციული მენეჯმენტი.

4. საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა:

4.1. ნაგერვაძე თემური - საბაკალავრო ნაშრომი - ქართული ღვინის წარმოების პრობლემები და პერსპექტივები

4.2. შაქარაძე ცოტნე - საბაკალავრო ნაშრომი - სარესტორნო ბიზნესის მართვის პრობლემები პოსტპანდემიურ პერიოდში

4.3. ფუტკარაძე დავით - საბაკალავრო ნაშრომი - ონლაინ ბიზნეს-შესაძლებლობები და ელექტრონული ვაჭრობის პერსპექტივები

4.4. სალუქვაძე საბა - საბაკალავრო ნაშრომი - ელექტრონული შესყიდვა: პრობლემები და პერსპექტივები

4.5. ნინო კონცელიძე - საბაკალავრო ნაშრომი - სამეწარმეო რისკები და მისი მართვა ქართულ კომპანიებში

4.6. შამილიშვილი დავით - საბაკალავრო ნაშრომი - სათამაშო ბიზნესი, მართვა, რეალობა და ასპექტები

5. საზღვარგარეთის და ადგილობრივ სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობა.

5.1. შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) მიერ დაფინანსებული რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტის (RSMEDP) ფარგლებში - გრანტის რეგიონალური კოორდინატორი

8. მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებში, კომისიების, საბჭოების და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

8.1. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრი;

8.2.საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომისიის წევრი: „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. 2024 წელი 4-5 ოქტომბერი;

8.3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და სადისერტაციო საბჭოს წევრად;

8.4. არჩეულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის საკოორდინაციო ცენტრის ეკონომიკური სამეცნიერო განყოფილების გამგედ;

8.5. ვორკშოპი - ბიზნესის სიმულაციური თამაშები

8.6. ტრენინგი - მთავარი სამეწარმეო უნარები- „ერასმუს+“-ის საგრანტო პროექტის „სოციალური უნარების განვითარება სომხეთისა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 21-ე საუკუნის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად“ ფარგლებში

თავი 4. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის 2024 წლის მუშაობის ანგარიში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აგრარული ინოვაციების კომისია მოქმედებს აკადემიის პრეზიდენტის 2018 წლის 28 დეკემბრის სხდომის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე. კომისიის შექმნის მიზანი იყო აგრარულ სფეროში მომუშავე მეცნიერთა და სპეციალისტთა სამეცნიერო - ტექნოლოგიური წინადადებების ექსპერტიზის ჩატარება და მათი კომერციალიზაციის პერსპექტივების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

დებულების შესაბამისად, კომისიის მუშაობას მართავს საბჭო 10 წევრის შემადგენლობით. დღეისათვის კომისიის საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ალექსანდრე დიდებულიძე - სმმა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი (კომისიის თავმჯდომარე); გოჩა ცოფურაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, აკადემიის ექსპერტი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); ეკატერინე კაციტაძე - ტექნიკის დოქტორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); ნოდარ ჭითანავა - სმმა აკადემიკოსი; ცოტნე სამადაშვილი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი; ოთარ ქარჩავა - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი; მინდია ოკუჯავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი; ნოდარ ხოხაშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის მემცენარეობის განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი; ლარისა ჩაიკა - აკადემიის უფროსი სპეციალისტი (კომისიის სწავლული მდივანი), ქეთევან ჭიპაშვილი - აკადემიის წამყვანი სპეციალისტი (კომისიის მდივანი). მოხსენებები კომისიის მიერ განიხილება აკადემიის შესაბამისი სამეცნიერო განყოფილების ან აკადემიის წევრის რეკომენდაციით.

კომისია მონაწილეობისათვის ღიაა. მისი წევრები არიან აკადემიის ნამდვილი წევრები და სტიპენდიატები, აკადემიის სამეცნიერო მიმართულებების დარგობრივი კოორდინატორები და კონკრეტულ სხდომაზე მოწვეულები. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომისიის 11 სხდომა, რომლებზეც განხილული იქნა 12 საკითხი:

1. 7 იანვარს შედგა კომისიის სხდომა # 1(46), რომელზეც მოხსენებით: „აგრარული სფეროს ტექნიკური შეიარაღების პროგნოზირება მექანიზებული სამუშაოების ენერგეტიკული შეფასების საფუძველზე (სამთო პირობების გათვალისწინებით)” გამოვიდა ოთარ ქარჩავა - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ მემცენარეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე განსაზღვრავს მისი თვითღირებულება, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი წარმოებისთვის საჭირო მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაზე ფულადი სახსრების დანახარჯებზე. ეს უკანასკნელი საკმაოდ დიდ დიაპაზონში იცვლება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, გამომუშავების, შრომის და საწვავ-საზეთი მასალების ხარჯის, ასევე ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, შრომის, ენერგომატარებლების და ტექნიკური სერვისის საბაზრო ღირებულების ცვლილების მიხედვით. ამასთან საქართველო, როგორც მიწათმოქმედების რეგიონი, ეკუთვნის სამთო ზონას, სადაც ნაკვეთები ხასიათდებიან არასწორი კონფიგურაციით, განლაგებულნი არიან ფერდობებზე და ხშირად ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეებზე, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს მობილური სასოფლო-სამეურნეო აგრეგატების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საბოლოო ჯამში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე. ასეთ საექსპლუატაციო პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სატრაქტორო პარკის სტრუქტურული და რაოდენობრივი შემადგენლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ასეთი ამოცანების გადაწყვეტისთვის საყოველთაოდ მიღებული კრიტერიუმი - ფულადი სახსრების ხვედრითი დანახარჯები ობიექტურად ვეღარ ასახავდა საწარმოო სიტუაციას.

სატრაქტორო სამუშაოების მოცულობის შეფასებისთვის შემოღებული იქნა სატრაქტორო სამუშაოს მოცულობის შეფასების კომპლექსური ენერგეტიკული კრიტერიუმი - ხვედრითი ენერგეტიკული დანახარჯები, რომელიც თავისთავში შეიცავს აგრეგატების ლითონტევადობას, საწვავ-საზეთი მასალების ენერგომემცველობას და შრომის ენერგეტიკულ ექვივალენტს. განისაზღვრა მისი ენერგეტიკული ექვივალენტი და დიფერენცირებულ საწარმოო პირობებისთვის დამუშავდა მაკორექტირებელი კოეფიციენტების რიცხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდიკა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა სატრაქტორო სამუშაოების მოცულობების განსაზღვრა კონკრეტულ საწარმოო პირობებში და შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა. ამასთან,

სამთო პირობების გათვალისწინებით კორექტირება გაუკეთდა არსებული სატრანსპორტო ამოცანის მათემატიკურ მოდელს და შეიქმნა მემცენარეობის მიმართულების ფერმერული მეურნეობების ოპტიმალური მანქანათა სისტემებით უზრუნველყოფის მეთოდოლოგია ენერგეტიკული კრიტერიუმის გამოყენებით. მიღებული შედეგები რეალიზებული იქნა პილოტ-პროექტებში საერთოდ ქვეყნისთვის (2013 წელს) სხვადასხვა სიმძლავრის ფერმერული მეურნეობებისთვის (2015 – 2021 წელს).

მოხსენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ; აკადემიკოსებმა ნ. ჭითანავამ და ა. დიდებულიძემ; პროფესორებმა ც. სამადაშვილმა და ო. თედორაძემ; დოქტორებმა ნ. ხოხაშვილმა, გ. ქუთელიამ და ე. კაციტაძემ, რომლებმაც დადებითად შეაფასეს ჩატარებული კვლევა და ხაზი გაუსვეს წარმოდგენილი თემის აქტუალობას. დაადგინეს: 1. მოწონებული იქნეს წარმოდგენილი მოხსენება და ინოვაციური მეთოდიკა, აღინიშნოს, რომ ამ მეთოდიკით შესაძლებელია მემცენარეობაში ნებისმიერი სიმძლავრის მეურნეობისთვის საჭირო სატრაქტორო პარკის პროგნოზირება, აგრეთვე დახურული გრუნტისთვის საჭირო მოტობლოკების, ელექტროტრაქტორების და სტაციონარული დანადგარების ოპტიმალური შემადგენლობის დადგენა; 2. აღინიშნოს მეთოდიკის სრულყოფის აუცილებლობა ნიადაგდამცავი, რესურსდამზოვი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების გავრცელების გათვალისწინებით, აგრეთვე სერვისის ბაზების ოპტიმალური ტექნიკური შეიარაღების და მათი განლაგების ოპტიმალური ადგილების შერჩევის მეთოდიკის დამუშავების მიზანშეწონილება.

2. 8 თებერვალს შედგა კომისიის რიგგარეშე სხდომა # 2(47), რომელზეც განხილული იქნა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის მენეჯერ თინათინ ჯაჭვადის მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო „ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის“ ფარგლებში აცხადებს ახალი განაცხადების მიღებას. „ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამის“ მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაციას, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. პროგრამის ფარგლებში შეირჩევა კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე ტექნოლოგიები/ინოვაციები. შეფასებისთვის მიიღება ისეთი კვლევითი პროექტები, რომლებიც არიან ტექნოლოგიური მზაობის TRL4 და შემდეგ დონეზე. მიღებული პროექტების როგორც პირველად შეფასებას, აგრეთვე, დეტალურ შესწავლას განახორციელებენ კვალიფიციური და შესაბამისი გამოცდილების მქონე ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები.

დეტალური შესწავლა გულისხმობს პროექტების დეტალურ ანალიზს ტექნოლოგიური მზაობის, ბიზნეს მზაობისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მიმართულებით. ამავდროულად, დეტალური შესწავლის ეტაპზე, პროგრამის ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მიერ შეფასდება და განისაზღვრება პროექტების კომერციალიზაციის პოტენციალი.

დეტალური შესწავლის ეტაპის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კომერციალიზაციისთვის შერჩეულ პროექტებზე ინდივიდუალურად განისაზღვრება კომერციალიზაციის გეგმები და დაიწყება მოლაპარაკების პროცესი შესაბამის პოტენციურ ინდუსტრიულ პარტნიორებთან.

„ტექნოლოგიების გადაცემის პროგრამაში“ მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ როგორც ფიზიკურმა, აგრეთვე, იურიდიულმა პირებმა (მ.შ., საქართველოში რეგისტრირებულმა უნივერსიტეტებმა, კვლევითმა ინსტიტუტებმა ან/და მეცნიერებმა).

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გურამ ალექსიძე, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, პროფესორი ოთარ ქარჩავა, დოქტორებ ოთარ ნადირაშვილი, თამაზ ბიჭიაშვილი, ნუგზარ ებანოძე, გიორგი ქუთელია. აღინიშნა წარმოდგენილი მოხსენების ინფორმაციულობა და რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა დიდ დახმარებას გაუწევს იმ გამომგონებლებს, რომლებიც საცდელი ნიმუშების გამოცდით არიან დაკავებული.

3. 13 მარტს შედგა კომისიის სხდომა #3 (48), რომელზეც განხილული იქნა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების პროფესორ თამაზ ბიჭიაშვილის, რომელიც არის აკადემიის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის მიმართულების

კოორდინატორი, მოხსენება თემაზე: „ფიტოტესტერი - მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის პორტატული ინსტრუმენტი და მისი პრაქტიკული გამოყენება“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მემცენარეობის თანამედროვე კვლევები და პრაქტიკა წარმოდგენილია მცენარიდან ობიექტური ინფორმაციის მიღების, მცენარესთან „დიალოგის“ ინსტრუმენტული მეთოდებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების გარეშე. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების მახასიათებელ ინტეგრალურ ინფორმაციულ პარამეტრებს წარმოადგენენ მცენარეთა ბიოფიზიკური პარამეტრები - აქტიური და პასიური ბიოელექტრული პოტენციალები/სიგნალები და იმპედანსი.

შექმნილია პორტატული მოწყობილობა სახელწოდებით „ფიტოტესტერი“, რომელიც უზრუნველყოფს მცენარის აქტიური და პასიური ელექტრული სიგნალებისა და იმპედანსის მახასიათებელ პარამეტრთა გაზომვა-რეგისტრაციას. ხელკსაწყო შესრულებულია ორ ვარიანტად:

- მცენარის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ჯიბის ტესტერი;
- მცენარის ბიოფიზიკური პარამეტრების ინტელექტუალური სენსორი, სმარტფონთან მისაერთებელი პორტატული ადაპტორის სახით.



ნახ. ფიტოტესტერი და სასაქონლო ნიშანი

ფიტოტესტერის გამოყენებული იქნა ვაზის სამყაროში კომპონენტების ვარგისიანობის შეფასების, მცენარის ნამყენი ნერგის ცხოველქმედების განმსაზღვრელი და მცენარეთა ფესვთა სისტემის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური მეთოდები.

ფიტოტესტერის მთავარი კომპეტენცია - ობიექტური ექსპრეს დიაგნოსტიკის სიმარტივე, დაბალი ფასი, მაღალი სიზუსტე. მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ ადამიანს. აღსანიშნავია, ისიც რომ ვეგეტაციაში მყოფი მცენარიდან, ასევე მისი ცალკეული ორგანოებიდან ბიოელექტრული სიგნალების მიღება ფიტოტესტერით ხორციელდება დაკვირვების ობიექტის ბიოლოგიური მთლიანობის დარღვევის გარეშე.

ფიტოტესტერი დაცულია 2023 წლის საქართველოს პატენტით B 7540 და სასაქონლო ნიშნით M37256, ხოლო ტესტირების მეთოდები სახელწოდებით „მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის განსაზღვრის ხერხი“, ასევე დაცულია საქართველოს 2016 წლის საქართველოს პატენტით U 1937.

მოხსენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ: აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, პროფესორი ოთარ ქარჩავა, პროფესორი ომარ თედორაძე, დოქტორი გოჩა ცოფურაშვილი, დოქტორი ოთარ ნადირაშვილი, მეცნიერებათა კანდიდატი დიმიტრი კოსტაროვი, რომლებმაც დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი ნაშრომი, ხაზი გაუსვეს მის აქტუალობასა და მნიშვნელობას. მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ აღნიშნული გამოგონების აგრარულ სფეროში გავრცელების დაჩქარების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრის სადემონსტრაციო ნაკვეთში მოეწყოს საწარმოო გამოცდა, სადაც აქტიურად იქნებიან ჩართულნი აკადემიის წარმომადგენლები.

4. 17 აპრილს შედგა კომისიის სხდომა # 4 (49), რომელზეც განხილული იქნა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიის ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორის თამარ კაჭარავას მოხსენება თემაზე: „საქართველოს სასარგებლო მცენარეთა ბიორესურსი, ეთნობოტანიკური უნარ - ჩვევები და მდგრადი გამოყენება“.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ საქართველოს მდიდარი და უნიკალური ფიტოგენო-ფონდი ბუნებრივ - ისტორიული სიმდიდრეა, რომელიც მუდმივ დაცვასა და კონსერვაცია - აღდგენას საჭიროებს, რადგან ნადგურდება ან იცვლება სხვადასხვა სტიქიური თუ ანთროპოლოგიური ზემოქმედებებით. პრობლემა აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის, აქ

გავრცელებულია სასარგებლო, ანუ სამკურნალო, არომატული, საღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების ის უნიკალური სახეობები, რომლებიც სხვაგან არ გვხვდება. ბევრი მათგანი დღევანდელი მდგომარეობით გადაშენების პირასაა მისული, მიმდინარეობს გენეტიკური რესურსის ეროზიული პროცესები, უკონტროლო ექსპლუატაცია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების *ex-situ* და *in-situ/on farm* უზრუნველყოფა.

მომავალი მოხმარებისთვის, გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია შემდეგი პარამეტრები და მათი დარეგულირება:

- საქართველოს მასშტაბით, განსხვავებული ეკოსისტემის პირობებში, დომინანტი სასარგებლო მცენარეთა, მათ შორის ენდემური ან იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ბიორესურსის მოძიება-კატალოგირება, მონიტორინგი, არეალი, მდგომარეობა, კონსერვაცია, ბიომორფოლოგიური, საჭიროების შემთხვევაში კი ქიმიური შედგენილობის კვლევა, არსებული მონაცემთა ბაზის გამდიდრება;
- საქართველოს უნიკალური ფლორის ბიორესურსის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების მნიშვნელობაზე ინფორმირების ამაღლება;
- სამრეწველო პლანტაციების გაშენება ინოვაციური ტექნოლოგიებით ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის მისაღებად;
- ეთნობოტანიკური ტრადიციებისა და ფიტოპროდუქციის პოპულარიზების მექანიზმების ინტენსიფიკაცია და მდგრადი გამოყენება;
- ნატურალური საკვები დანამატების დასამზადებლად საინტერესო მცენარეთა ბლოკების შერჩევა, მაგალითად ცხოველთა კომბინირებული საკვებისთვის ფიტოდანამატების შერჩევა, მცენარეული საღებავები, ფიტოსამკურნალო საშუალებები, არომატული ფიტოსანელებლები;
- სასარგებლო მცენარეთა დამზადების, გაშრობის, გადამუშავების, შენახვის პირობების დიფერენცირება მათი რაციონალური გამოყენების მიზნით;
- ფიტონდუსტრიისათვის ეკოლოგიურად სუფთა სანედლეულო ბაზის შექმნა;
- მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების პრინციპების ინტეგრირება ბიომრავალფეროვნების იმ კონვენციით მინიჭებული უფლებებით, რომლის წევრიც არის საქართველო.

მოხსენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ: აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე, პროფესორი ოთარ ქარჩავა, დოქტორი გოჩა ცოფურაშვილი, პროფესორი მედეა ბურჯანაძე, მარიამ ხოჭოლავა და თინათინ დევაძე, რომლებმაც დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი ნაშრომი. აღინიშნა, რომ შესრულებულია დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი და საინტერესო სამუშაოები, რაშიც იკვეთება მომხსენებლის პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა.

5. 22 მაისს შედგა კომისიის სხდომა #5(50), რომელზეც განხილული იქნა სმმა აკადემიკოსის, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორის თემურ რევიშვილის და მთავარი მეცნიერთანამშრომელის, დოქტორ ბახვა დოლიძის მოხსენება: „ჩაის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების ინოვაციური ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები“. აღინიშნა, რომ სამუშაო ძალის დანახარჯის 70%-მდე ჩაის მოსავლის აღებაზე მოდის. მუშახელის დეფიციტმა პრობლემები შეუქმნა მეჩაიეობას. ამ პირობებში ინოვაციური ტექნოლოგიების და მცირე მექანიზაციის საშუალებების გამოყენება განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს და მდგრადი განვითარების ძირითად მიმართულებად გვევლინება. ჩაის კულტურის ვეგეტაციის პერიოდს ემთხვევა სარეველების მძლავრი აღმოცენება, შედეგად ივსება პლანტაციის რიგთაშორისი არე, რაც ართულებს გადაადგილებას და შესაბამისად ხარისხოვანი ფოთლის კრეფას. სარეველები ნეგატიურად მოქმედებენ მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე. ჩაის პლანტაციის მოვლა-მოყვანის სამუშაოებზე შრომითი დანახარჯების შემცირების და დამატებითი მოგების მისაღებად შემოთავაზებულია ორი ტექნოლოგიური მოწყობილობა:

- ჩაის ბუჩქის სასხლავი და პლანტაციის რიგთაშორისების დამმუშავებელი დანადგარი უზრუნველყოფს ჩაის პლანტაციის გასხვლას, რიგთაშორისების დამუშავებას, გაწმენდას სარეველებისგან, მათ დაქუცმაცებასა და მიღებული მასის ნიადაგში ჩახვნას, რაც ხელს უწყობს პლანტაციაში ორგანული ნაერთების და ჰუმუსის დაგროვებას, ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებას და პლანტაციის ბიოლოგიურ პროდუქტიულობაზე დადებით ზემოქმედებს. ჩაის

ფოთლის კრეფის ჯერადობის პარალელურად, ამავე ინტერვალით პლანტაცია უნდა გაიწმინდოს სარეველებისგან, რაც ყოველ ჯერზე დამატებითი ორგანული სასუქია ჩაის მცენარისთვის. ჩაის ბუჩქის სასხლავი ტექნიკური საშუალების (საქართველოს პატენტი მოდელზე 15039, 2020) ექსპერიმენტული ნიმუში გამოიცადა ი/მ მ. კუპრაძის (ოზურგეთი) პლანტაციაში, ხოლო პლანტაციის რიგთაშორისების დამმუშავებელი დანადგარის ექსპერიმენტული ნიმუში - შპს ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის პლანტაციაში, დამუშავდა 5 ჰა ფართობი.

➤ ფოთლის ხელით საკრეფი აპარატი - (საქართველოს პატენტი 7413) უზრუნველყოფს ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფის შესაძლებლობას ყლორტების ჭრის სიმაღლის რეგულირების გზით, იზრდება 2-3 - ფოთლიანი ნაზი დუყების ალების პროცესის ეფექტიანობა და მოსავლიანობა. მოდერნიზებული აპარატის მოქმედი მოდელი გამოიცადა შპს „ანასეულის ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკის“ სამრეწველო პლანტაციაში. შრომატევად საწარმოო პროცესებში მცირე მექანიზაციის საშუალებების გამოყენება ამცირებს მოთხოვნას მუშახელზე, შედეგად მცირდება თვითღირებულება და იზრდება დამატებით მოგება. დამზადებულია აპარატის მოქმედი მოდელი.

➤ მწვანე ჩაის დამზადება ენერგოტევადი პროცესია. თბური პროცესები - ფიქსაცია, შეშრობა და შრობა უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩამოყალიბებაში. თვითღირებულების მეოთხედს ენერგეტიკული დანახარჯები შეადგენს, რომელთა შემცირება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. შემუშავებულია ელექტრომაგნიტურ-რი ინდუქციის მეთოდზე დაფუძნებული ჩაის ფოთლის ენერგოდამზოგი ინოვაციური საფიქსაციო ტექნოლოგიური დანადგარი (საქართველოს პატენტი P 2022 7427) და მის ბაზაზე მწვანე ჩაის ენერგოდამზოგი ახალი ტექნოლოგია. ახალი თაობის საფიქსაციო დანადგარის და ტექნოლოგიის გამოყენების პირობებში ელექტროენერგიის დანახარჯები 10 - ჯერ მცირდება, ასევე მცირდება მზა პროდუქტის თვითღირებულება.

ზემოაღნიშნულის გარდა შემუშავებულია მოგრეხილი ჩაის ფოთლის ენერგოეფექტიანი მაფორმირებელ - საშრობი დანადგარი (განაცხადი AU 2023 16196, პატენტის გაცემის შესახებ დადებითი გადაწყვეტილება - 10.10.2023). დანადგარის კონსტრუქციული გადაწყვეტა უზრუნველყოფს მზა ჩაის სასაქონლო სახის გაუმჯობესებას.

მოხსენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ: აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიკოსები: ნოდარ ჭითანავა, ალექსანდრე დიდებულისძე, დოქტორები: ომარ თედორაძე, გოჩა ცოფურაშვილი, ნუგზარ ებანოიძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი, დოქტორი ომარ კაჭარავა, სამინისტროს სამმართველოს უფროსი ნოდარ ხოხაშვილი, ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ სვანიძე, ფერმერი გიორგი მუსხელიშვილი, საქართველოში ფაო-ს წარმომადგენლის მოადგილე ჯუმბერ მარუაშვილი. დაადგინეს, რომ მიღებულ იქნას ცნობად ინფორმაცია ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის მიერ 2019-2023 წ.წ. ჩატარებული სამუშაოები. იმის გათვალისწინებით, რომ ჩაის მოვლა-მოყვანის და ნედლეულის დამზადების შრომატევად საწარმოო პროცესებში მცირე მექანიზაციის ინოვაციური მრავალფუნქციური ტექნიკური საშუალებები მნიშვნელოვნად ამცირებს მოთხოვნას დეფიციტურ, ძვირადღირებულ მუშახელზე, აგრეთვე თვითღირებულებას და იძლევა დამატებით მოგებას, მათი გამოყენება მეჩაიეობის სექტორში გადაიარაღების ძირითად სამეცნიერო-ტექნიკურ მიმართულებად უნდა იქნეს განხილული, ხოლო მწვანე ჩაის წარმოებაში ენერგეტიკული დანახარჯების შესამცირებლად მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ავტორების მიერ შემოთავაზებულ ელექტრომაგნიტური ინდუქციის მეთოდზე დაფუძნებულ ინოვაციურ თბურ ტექნოლოგიურ დანადგარებს და მათ ბაზაზე შემუშავებულ მწვანე ჩაის ახალ სამანქანო ტექნოლოგიას. ახალი თაობის საფიქსაციო დანადგარის და სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორის მოხსენება თემაზე „ჩაის მოვლა-მოყვანისა და გადამუშავების ინოვაციური ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები“.

6. 12 ივნისს შედგა კომისიის სხდომა # 6 (51), რომელზეც განხილული იქნა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორის ნუგზარ ბერიძის მოხსენება: „ელექტროენერგიის აქტიური მომხმარებელი და მისი პერსპექტივები აგრარულ სექტორში“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი სახელმწიფო, ვალდებულია 2024 წლიდან მიუერთდეს მე-4 ენერგეტიკულ პაკეტს და მოახდინოს მისი იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში. ეს ფაქტი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რათა გავაუმჯობესოთ და განვაავითაროთ „ნეტო-აღრიცხვის“ წარმატებით დანერგილი რეგულაცია.

განახლებადი ენერჯის თვითმომხმარებელი არის საბოლოო მომხმარებელი, რომელიც მის მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში აწარმოებს განახლებად ელექტროენერჯიას საკუთარი მოხმარებისთვის და რომელსაც შეუძლია შეინახოს ან გაყიდოს წარმოებული განახლებადი ელექტროენერჯია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასაყოფაცხოვრებო განახლებადი ენერჯის თვითმომხმარებლისთვის ეს საქმიანობა წარმოადგენს ძირითად კომერციულ ან პროფესიულ საქმიანობას. ამ შემთხვევაში უმთავრესი ამოცანაა საკუთარი მოხმარების მაქსიმალური დაკმაყოფილება, ხოლო გამანაწილებელ ქსელში გაცემული ენერჯია, ყოველსაათური სიდიდით იყიდება ან/და გადაეცემა სხვა მომხმარებლებს. ქსელში გაცემული ელექტროენერჯიის ვირტუალური დაგროვება და გაქვითვა არ ხდება. თვითმომხმარებლის წარმოების საშუალების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია სრულად უნდა იქნეს აღრიცხული, ადგილზე მოხმარებული ენერჯის ჩათვლით. ქსელში გაცემული ელექტროენერჯია შეიძლება სარგებლობდეს მხარდაჭერის სქემებით ან გაიყიდოს ბაზარზე შესაბამისი საბითუმო ფასით ინდივიდუალური პირის ან აგრეგატორის მიერ ან გაზიარდეს გარკვეული ჯგუფის ფარგლებში.

აღნიშნული ნორმის გავრცელება ერთის მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება განახლებადი ენერჯის რესურსების ეფექტიანი ათვისებისა და მოხმარებაში მისი წილის გაზრდაში, ასევე ელექტროენერგეტიკული სისტემის რაციონალურად გამოყენების კუთხით, გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის დამატებითი სიმძლავრეებზე მოთხოვნის და ქსელში დანაკარგების შემცირების მიმართულებით, ხოლო მეორეს მხრივ არის ენერგოეფექტიანობის მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას საკუთარი წარმოებით მაქსიმალურად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე და მოახდინოს ენერგომატარებლებზე ხარჯების ოპტიმიზაცია. აქტიური მომხმარებლის ცნება მოიცავს აგრეთვე მომხმარებლის ჩართულობას დატვირთვების მართვაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ენერგოსისტემის პიკური რეჟიმების ეფექტიანი მართვისათვის და ამავე დროს დამატებით სარგებელს აძლევს მომხმარებელს ხარჯების შემცირების კუთხით.

როგორც ამჟამად მოქმედი ე.წ. „ნეტო-აღრიცხვის“, ისე აგრეთვე მე-4 ენერგეტიკული პაკეტით განსაზღვრული „თვითმომხმარებლის“, „ერთობლივ სარგებლობაში არსებული განახლებადი ენერჯის წყარო“ და „განახლებადი ენერჯის მომხმარებელთა გაერთიანება“ სქემები კარგ შესაძლებლობას უქმნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და ფერმერულ მეურნეობებს მნიშვნელოვნად შეიმსუბუქონ ან გაიზიარონ დანახარჯები ენერგომატარებლებზე, გახდნენ აქტიური მომხმარებლები და მიიღონ შესაბამისი სარგებელი. ამის ნათელი მაგალითია ე. წ. Agrivoltaics, რომელიც არის ფოტოელექტრული სისტემა მიწაზე, რომელიც ერთდროულად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ან მეცხოველეობის საქმიანობისთვის. ეს არ ეხება მხოლოდ სივრცის გაზიარებას, არამედ არის ინტეგრირებული გადაწყვეტა, რომელსაც შეუძლია სარგებელი მოუტანოს როგორც ენერგეტიკის, ასევე სოფლის მეურნეობის სექტორს.

მომხსენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გურამ ალექსიძე, აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა და ალექსანდრე დიდებულიძე, დოქტორები გოჩა ცოფურაშვილი, თამაზ ბიჭიაშვილი, ოთარ ნადირაშვილი, და გიოეგი ქუთელია, რომლებმაც ხაზი გაუსვეს საკითხის აქტუალობასა და მნიშვნელობას. სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო კულტურებსა და საწარმოების პროდუქტიულობაზე ზეგავლენის შესწავლის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რათა შემუშავებული იქნეს საგრანტო პროგრამა - Agrivoltaics პროექტების სხვადასხვა ტიპის ფერმერულ მეურნეობებში პილოტირებისათვის, აგრეთვე ეთხოვოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრს მოაწიოს სწავლებები ფერმერებისა და შინამეურნეთათვის მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების ტექნიკო-ეკონომიკურ და სამართლებრივ საკითხებზე.

7. 3 ივლისს შედგა კომისიის #7 (52) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრის, სურსათის უვნებლობის

საკონსულტაციო ჯგუფის (FSCG) დამფუძნებლის და აღმასრულებელი დირექტორის, ა(ა)იპ „People in Need Georgia“ სურსათის უვნებლობის ექსპერტის თამარ ნოზაძის მოხსენება: „ევროკავშირთან სურსათის უვნებლობის სამართლებრივი ჰარმონიზაციის და იმპლემენტაციის ძირითადი გამოწვევების შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში სურსათის უვნებლობის საკითხს ბოლო რამოდენიმე ათწლეულია განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, ვინაიდან საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ, თანამედროვე ტექნოლოგიებმა და გარემოში მიმდინარე პროცესებმა განაპირობა ახალი საფრთხეების წარმოშობა და სურსათისმიერი დაავადებების ზრდის ტენდენცია. “სურსათის უვნებლობა“-ის განმარტება, მსოფლიო სასურსათო სამიტზე 1974 წელს იქნა შემუშავებული და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების - ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომლის ქვეშ მოიაზრება კონცეფცია, რომ სურსათი მისი მიზნობრივად მომზადების ან/და მოხმარების შემთხვევაში უარყოფითად არ იმოქმედებს მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ან/და სიცოცხლეზე.

საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირება 2004 წლიდან იწყება, რომლის ფარგლებშიც გარდამავალი ეკონომიკის გათვალისწინებით, შესაბამისი რეგორმების გატარება დღემდე გარკვეული სირთულეებით ხასიათდება. 2014 წლის 27 ივნისს საქართველოს და ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერამ, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმება (DCFTA), საქართველოში სურსათის უვნებლობის რეგულირების სისტემა სრულიად სხვა ეტაპზე გადაიყვანა და წარმოშვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტების ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან დაახლოების ვალდებულება.

საქართველოს ევროკავშირთან სურსათის უვნებლობის სამართლებრივი ჰარმონიზაციის და იმპლემენტაციის პროცესში გამოკვეთილი გამოწვევები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია თანამედროვე მეცნიერების საფუძვლებს მოკლებული საგანმანათლებლო პროგრამები, შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ინტელექტუალური რესურსის ნაკლებობა, პირველადი წარმოების რეგისტრაცია და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარება, ქვეყნის მასშტაბით გამართული და კონტროლს დაქვემდებარებული სასმელი წყლით მომარაგების სისტემა, მწირი ლაბორატორიული შესაძლებლობები, სახელმწიფო და ბიზნეს სექტორს შორის პასიური კომუნიკაცია, კონტროლის ეფექტიანობისთვის და შედეგის გრძელვადიანობისთვის უფლებამოსილ პირთა სათანადოდ გადამზადება, სურსათის უვნებლობის მნიშვნელობაზე და მის გავლენაზე ბიზნესოპერატორთა და მომხმარებლთა დაბალი ცნობიერება, წარმოადგენენ რა მულტიდისციპლინარულ და მრავალასპექტიან გამოწვევებს, საჭიროებენ სამთავრობო უწყებების, საგანმანათლებლო ინსტიტუციების, ბიზნესოპერატორების, მომხმარებლების და არასამთავრობო სექტორის კომპლექსურ, მიზანმიმართულ და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს ევროკავშირთან შეუფერხებელი და სრულფასოვანი ინტეგრაცია.

მოხსენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიკოსები ზურაბ ცეციტიშვილი და ალექსანდრე დიდებულიძე, დოქტორები მინდია ოკუჯავა, ივერი ახალბედაშვილი, გოჩა ცოფურაშვილი, ცოტნე სამადაშვილი, ანზორ მესხიშვილი და თამაზ ნადირაშვილი, რომლებმაც ხაზი გაუსვეს საკითხის აქტუალობასა და მნიშვნელობას. აღინიშნა საქართველოს ევროკავშირთან სურსათის უვნებლობის სამართლებრივი ჰარმონიზაციის და იმპლემენტაციის პროცესში ძირითადი მულტიდისციპლინარული და მრავალასპექტიანი გამოწვევები, რომლებიც საჭიროებენ სამთავრობო უწყებების, საგანმანათლებლო ინსტიტუციების, ბიზნესოპერატორების, მომხმარებლების და არასამთავრობო სექტორის კომპლექსურ, მიზანმიმართულ და შედეგებზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს ევროკავშირთან შეუფერხებელი და სრულფასოვანი ინტეგრაცია.

8. 24 ივლისს შედგა კომისიის #8 (53) სხდომა, რომელზეც განხილული იქნა სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონული მართვის სამსახურის უფროსის დოქტორ ნინო დეკანოიძის

მოხსენება: „ნუშის ინტროდუცირებული ჯიშების პერსპექტივები აგროეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით აღმოსავლეთ საქართველოში“.

აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით აღმოსავლეთ საქართველოში ნუშის მსხმოიარე სამრეწველო ბალებიდან მხოლოდ მცირედი არის სრულმსხმოიარე. თუმცა სახელმწიფო და კერძო ინვესტიციით გაშენების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და ინტროდუცირებული ჯიშებით გაშენებული ინტენსიური ტიპის ბალების ფართობი საგრძნობლად იზრდება. კლიმატის ცვლილებებიდან გამომდინარე, შეცვლილი ბუნებრივი პირობები, ჯიშისადმი წაყენებული მოთხოვნები, როგორცაა: რეგულარული მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღება, საგვიანო ყვავილობა, ნაყოფის მაღალი ხარისხი და ტექნოლოგიური მაჩვენებლები, გამძლეობა მავნებელ-დაავადებების მიმართ, განაპირობებს მის შემდგომში გავრცელებას.

ნუშის ინტროდუცირებული ჯიშების ბიოლოგიური და სამეურნეო-ტექნოლოგიური თავისებურებების შესწავლა, მათი შემდგომში სამრეწველოდ გავრცელების მიზნით არის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა იმისთვის, რომ მოსავლის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი იყოს მაღალი, რომლის განსაზღვრა მიმდინარე ეტაპზე ხორციელდება 2021 წლის 28 დეკემბრის N618 საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების არსებობიდან გამომდინარე, ჩატარებული კვლევების შედეგები ფართოდ ვრცელდება ნუშის კულტურის მწარმოებელ ფერმერებში და ასევე იმ პირთა ჯგუფებში, რომლებიც ამ კულტურის წარმოებით არიან დაინტერესებულნი.

მოხსენების შემდეგ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა გურამ ალექსიძემ, ნოდარ ჭითანავამ, ალექსანდრე დიდებულებმა, პროფესორებმა ომარ თედორაძემ, ნუგზარ ებანოიძემ, თამაზ ბიჭიაშვილმა და ოთარ ქარჩავამ, დოქტორებმა გოჩა ცოფურაშვილმა, ნიკოლოზ კიკნაველიძემ, გიორგი ქუთელიამ, შოთა მაჭარაშვილმა. თავისი დადგენილებით სხდომამ მოიწონა მოხსენება და მომხსენებლის მაღალი კომპეტენტურობა, დაეთანხმა მას აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ნუშის კულტურის უფრო ფართო გავრცელების პერსპექტივების თაობაზე, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ნუშის მოსავალი ქვეყანაში გაიზარდა 32 ტონიდან (2015 წელს) 7 ათას ტონამდე (2023 წელს); საკითხების გადასაწყვეტად და მიზნობრივი რეკომენდაციების მოსამზადებლად საჭიროა საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და საექსტენციო სამსახურების კოორდინირებული მუშაობა ნუშის კულტურის მწარმოებელ ფერმერებთან.

9. 25 სექტემბერს შედგა კომისიის #9 (54) სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა სოფლის მეურნეობის დოქტორის, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ნინო ყიფიანის მოხსენება თემაზე: „ქართული მინერალური წყლების ექსპორტის გაფართოების შესაძლებლობები“.

თავის გამოსვლაში მომხსენებელმა ისაუბრა ციტრუსების ახალი ფორმების მიღებაზე სელექციური მეთოდებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, კერძოდ აღნიშნა, რომ ციტრუსოვანთა სელექციაში ეფექტიან მეთოდს წარმოადგენს შორეული ჰიბრიდიზაცია, რომლის დროსაც შესაძლებელია განსხვავებულ გენომთა გაერთიანება ჰიბრიდულ ორგანიზმში, თუმცა ციტრუსოვან კულტურათა საწარმოო მიზნით გავრცელების მალიმიტირებელ ფაქტორს წარმოადგენს მათი დაბალი ყინვაგამძლეობა, რომლის გადაჭრის უალტერნატივო მეთოდია შორეული ჰიბრიდიზაცია.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სასურველი სამეურნეო მაჩვენებლების ჰიბრიდულ ორგანიზმში გაერთიანება და განსაკუთრებით კი ყინვაგამძლეობის ამაღლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შერჩეულ იქნა მამა საწყისი კომპონენტების სახით გენეტიკურად შეცვლილი ტაქსონები-პონციურს ტრიფოლიატის სახეობის შიგნით გამორჩეული სპონტანური მუტანტური ფორმები (M1 და M2), რომლებიც არ შეიცავენ, ან უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავენ საკვებად უვარგის მწარე, ფისისებრ და არასასიამოვნო არომატის მქონე ეთერზეთოვან ჯირკვლებსა და ალკალოიდურ ნივთიერებებს: აკროლეინს, ნარინგინს; რაც შეეხება დედა საწყის კომპონენტებს (ლიმონი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი, მანდარინი) ისინი განლაგებულია ქ. ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

ზემოთ აღნიშნული რეკომბინანტების შეჯვარების მიხედვით, ჯერ კიდევ 2010-2012 წლებში, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებული იქნა მრავალრიცხოვანი ჰიბრიდული თესლნერგები, რომელთაგან გამორჩეული იქნა 182-ფორმა. მათი სელექციური და პრაქტიკული მნიშვნელობის დასადგენად. 2017 წლიდან დღემდე დაკვირვების საფუძველზე ვახდენთ ყველაზე საინტერესო ჰიბრიდული თესლნერგების შესწავლასა და მათგან პერსპექტიული ფორმების გამორჩევას.

მომხსენებელმა ამომწურავი და არგუმენტირებული პასუხები გასცა დოქტორ გოჩა ცოფურაშვილის, დოქტორ ეკატერინა კაციტაძის, პროფესორ ოთარ ქარჩავას, აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილის, პროფესორ ომარ თედორაძის, დოქტორ გიორგი ქუთელიას, პროფესორ თამაზ ბიჭიაშვილის შეკითხვებს.

აზრი გამოთქვეს მოხსენების რეკომენდატორმა სმმა აკადემიკოსმა როლანდ კოპალიანმა, დოქტორებმა: გოჩა ცოფურაშვილმა, თამაზ ბიჭიაშვილმა, ეკატერინა კაციტაძემ, გიორგი ქუთელიამ, ნელი მახვილამ, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულძემ, პროფესორმა ომარ თედორაძემ, დოქტორმა ნოდარ ხოხაშვილმა. მათ დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი ნაშრომი, ხაზი გაუსვეს თემის აქტუალობას და მნიშვნელობას, ხოლო მომხსენებელს უსურვეს შემდგომი წარმატებები.

სხდომამ მიიღო დადგენილება - მოწონებული იქნეს წარმოდგენილი მოხსენება და აღინიშნოს ციტრუსოვან მცენარეთა გენოფონდის შევსებისა და ამორტიზებული ბაღების აღდგენა-რეაბილიტაციისას ქუთაისში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო კვლევით ცენტრში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს როლანდ კოპალიანის ხელმძღვანელობით გამორჩეული პერსპექტიული ჰიბრიდული ფორმების: ლიმონი - ფორმა #24, ფორმა #136; მანდარინი - ფორმა #127, ფორმა #117; ფორთოხალი - ფორმა #44, ფორმა #18; გრეიპფრუტი-ფორმა #102, ფორმა #143 შემდგომი კვლევების ჩატარების პერსპექტიულობა.

10. 13 ნოემბერს შედგა კომისიის სხდომა #10 (55), რომელზეც პირველი მოხსენებით: „საგანმანათლებლო სექტორი და აგრო ექსტენცია იმერეთის რეგიონის მაგალითზე“ გამოვიდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის განვითარების ასოციაციის რეგიონული კოორდინატორი, დოქტორი ნინო კელენჯერიძე, რომელმაც თავის გამოსვლაში ისაუბრა აგრო-საექსტენციო სერვისების მიზნებზე და შეჩერდა ფერმერთა შორის სამეცნიერო კვლევების შედეგების გავრცელების მნიშვნელობაზე, ამ პროცესებში სტუდენტების ჩართულობის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების დამუშავებისა და განხორციელების პროცესის პრობლემებზე. მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია ბოლო ორ წელიწადში განხორციელებული პროექტების შესახებ, რომელიც მოიცავს აგრარული მიმართულების ცოდნის გავრცელების ინოვაციური მეთოდების განხორციელებას იმერეთის რეგიონისთვის. ეს პროექტები მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:

- საგანმანათლებლო ონლაინ პლატფორმის შექმნა, სადაც განთავსებულია აგრარული მიმართულების სასწავლო კურსები, მოცემულია როგორც საკითხავი ტექსტები, ასევე ტესტირება თვითშეფასებისთვის. კურსის გავლის შემდეგ მსმენელს ეძლევა შესაბამისი სერტიფიკატი;
- პროფესიულ კოლეჯ „იბერია“-ში მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის: „მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა“ და პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტ“-ში პროგრამის: „ვენახის გაშენება-მოვლა“ შემუშავება, ხოლო კოლეჯ „იბერია“-სთვის არაფორმალური განათლების აღიარების მოპოვება;
- გზამკვლევის, სასწავლო რესურსების და ტრენინგ-მოდულის შექმნა - „დემო ფერმის მოწყობა“; ასევე ამ ტრენინგ-მოდულის თეორიული და პრაქტიკული სწავლების ჩატარება ფერმერების, პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლების და სტუდენტებისთვის იმერეთის და გურიის რეგიონში;
- ციფრული საგანმანათლებლო რესურსების განვითარების ხელშეწყობა პროფესიულ განათლებაში, კერძოდ კი პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ შექმნილ ციფრულ საგანმანათლებლო პლატფორმაზე სასწავლო კურსის - „მცენარის კვება“ განთავსება.

შემდეგ მეორე პრეზენტაციით: „ციფრული ექსტენცია“ წარსდგა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან

ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლაშა შალამბერიძე. მან აღნიშნა, რომ სოფლის განვითარების სააგენტოს 9 რეგიონული სამსახური და 45 საინფორმაციო ცენტრი საექსტენციო მომსახურების სერვისს სთავაზობენ ფერმერებს, ასევე, მზად არიან დაინტერესებულ პირს მიაწოდონ ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი მხარდამჭერი ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ. მომსახურება მოიცავს, როგორც საოფისე და დისტანციურ, ასევე საველე კონსულტაციას, მიმდინარეობს ექსტენციონისტების მიერ ტრენინგების ჩატარება. გარდა ამისა, სააგენტოს ელექტრონული ბიბლიოთეკა (elibrary.mepa.gov.ge) ფერმერებს აძლევს საშუალებას უფასოდ გაეცნონ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასა და სარეკომენდაციო ხასიათის მასალებს. პლატფორმაზე განთავსებულია აგრეთვე ღონისძიებების კალენდარი და ფერმერს აქვს საშუალება მიიღოს მონაწილეობა. სააგენტო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, ფერმერებს ახალ, თანამედროვე საექსტენციო პაკეტს სთავაზობს, რაც გულისხმობს კლიმატური პირობების გათვალისწინებით შემუშავებული რეკომენდაციების მიწოდებას ფერმერებისთვის. საპილოტედ კახეთსა და შიდა ქართლში გავრცელებული კულტურების მწარმოებლებისათვის იქნება ხელმისაწვდომი თანამედროვე საექსტენციო პაკეტი, რაც გულისხმობს, ამინდის გათვალისწინებით შემუშავებულ რეკომენდაციებს დაავადებების პრევენციისა და ხარისხიანი მოსავლის უზრუნველყოფისათვის. აგრო-მეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელის აღჭურვილობისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის დაინერგება, GECSA-ს სისტემა, რომელიც ვებ-აპლიკაციაზე დაფუძნებული ციფრული პლატფორმაა აგრო-მეტეოროლოგიური სერვისებისთვის, მას ოპერირებას გაუწევს სააგენტო, გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან კოორდინაციაში, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) და შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების ხელშეწყობით.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა გ. ჯაფარიძემ, გ. ალექსიძემ, რ. კოპალიანმა, რ. ასათიანმა, ა. დიდებულიძემ, პროფესორებმა: ე. ხარაიშვილმა, ო. თედორაძემ, დოქტორებმა ი. ახალბედაშვილმა, გ. ცოფურაშვილმა, ე. კაციტაძემ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა მ. ოკუჯავამ, „აგროჰაბის“ ტექნოლოგმა ც.ნაცვლიშვილმა. მიღებული იქნა დადგანილება, რომელშიც აღნიშნულია ჩატარებული სამუშაოების აქტუალობა და შემდგომი მუშაობის გააქტიურების მიზანშეწონილება.

11. 18 დეკემბერს შედგა კომისიის #11 (56) სხდომა, სადაც განხილული იქნა საქართველოს კანონის: „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ 2025 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, მომხსენებელი ნატალია ხარატიშვილი - ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე.



მომხსენებელმა თავის გამოსვლაში მომხსენებელმა ხაზი გაუსვა გარემოებას, რომ თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია სწორი პოლიტიკისა და შესაბამისი დამხმარე ღონისძიებების განხორციელების გარეშე. ამიტომ, სახელმწიფოს როლი და მის მიერ მართებული ნაბიჯების გადადგმა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. თავის მხრივ, სწორი პოლიტიკის შემუშავებისთვის სახელმწიფოს სჭირდება ინსტრუმენტები, რომელიც შესაძლებელს გახდის სწორი ინფორმაციის არსებობას და შესაბამისი ანალიზის განხორციელებას. ერთერთ ასეთ ინსტრუმენტს

წარმოადგენს საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული კანონშემოქმედებითი პრაქტიკის მსგავსად მოაწესრიგებს საქართველოში სოფლის მეურნეობის მოწყობას, პოლიტიკის მართვასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება ემსახურება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრისთვის ზოგადი პრინციპებისა და მოთხოვნების დადგენას. კერძოდ:

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის მართვის ძირითადი პრინციპებისა და უფლებამოსილი უწყებების კომპეტენციების განსაზღვრა;

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მიმართულებით არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება;

სოფლის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრა და მათი განხორციელების ხელშეწყობა.

კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში არ არსებობდა ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც დაარეგულირებდა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებას, წარმოაჩინდა ხედვასა და მიზნებს დარგში პოლიტიკის განსახორციელებლად. ამასთან, ქვეყანას გააჩნია სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია (2021–2027 წწ.), რომელიც აყალიბებს ამ მიმართულებით ძირითად ვექტორებს ეროვნულ დონეზე, თუმცა მასში გაცხადებული მიზნების სრულად რეალიზება რთულია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობის გარეშე, რომელიც ფუნდამენტურად განსაზღვრავს დარგში არსებული სუბიექტების როლსა და მოქმედების არეალს.

კანონის მიღების შედეგად საკანონმდებლო დონეზე განიმარტა ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინები, როგორებიცაა: სასოფლო - სამეურნეო საქმიანობა, სოფლის განვითარება, ფერმერი, ფერმერული მეურნეობა, ფერმერული მეურნეობების რეესტრი და სხვა, განისაზღვრა მხარდაჭერი ღონისძიებების გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები/უწყებები, შეიქმნა სამართლებრივი საფუძველი გადამხდელი სააგენტოს (ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს ევროკავშირის აკრედიტაციის შემდგომი სამართალმემკვიდრე) მიერ მხარდაჭერი ღონისძიებების დაწესებისთვის. სოფლის მეურნეობის სწორი ანალიზის და დაგეგმვის პირობებში გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება, გაუმჯობესდება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა სოფლად მაცხოვრებლებისთვის. ფერმერული მეურნეობების რეესტრი ფუნქციურად იქნება დატვირთული, ფერმერთა უმრავლესობა - რეგისტრირებული, ხოლო რეესტრის სტატისტიკური მონაცემები გამოყენებულ იქნება პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვისათვის.

კანონის ამოქმედება გათვალისწინებულია 2025 წლის 1 იანვრიდან, გარდა კანონის მე-10 (გადამხდელი სააგენტო), მე-13 (ინტეგრირებული ადმინისტრირებისა და კონტროლის ერთიანი ელექტრონული სისტემა), მე-14 (ფერმერული მეურნეობებისა და სოფლად არსებული საწარმოების რეესტრი) და მე-15 (მონაცემთა გაცვლა) მუხლებისა, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე შესასრულებელ ვალდებულებებს უკავშირდება და 2026 წლის 1 იანვრიდან შევა ძალაში.

მოხსენების შემდეგ გამართულ განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, აკადემიკოსებმა ნოდარ ჭითანავამ და ალექსანდრე დიდებულოძემ, აკადემიის სტიპენდიატმა მამუკა ბენაშვილმა, სამინისტროს წარმომადგენლებმა - მინისტრის მრჩეველმა დოქტორმა ომარ კაჭარავამ, სამსახურის უფროსმა პროფესორმა ომარ თედორაძემ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა დოქტორმა ნიკოლოზ ჯავახიშვილმა, პროფესორებმა მედეა ბურჯანაძემ და ანზორ მესხიშვილმა, დოქტორებმა გოჩა ცოფურაშვილმა და ეკატერინე კაციტაძემ. დასმულ კითხვებზე მომხსენებელმა გასცა ამომწურავი და კომპეტენტური პასუხები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს კანონის მოსალოდნელ შედეგებზე და აზრი გამოთქვეს ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ.

კომისიამ მოიწონა მოხსენება და სრული მხარდაჭერა გამოუთქვა კანონით გათვალისწინებულ ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს გადამხდელ სააგენტოდ გარდაქმნის ღონისძიებებს.



კომისიის წევრებმა, სმმა აკადემიკოსებმა ალექსანდრე დიდებულებმა და ლაშა დოლიძემ მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე კონფერენციაში. მ.შ. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის (AKIS) დანერგვაზე სახელმწიფო, სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრაში, რომელსაც საქართველოს პარლამენტის, შესაბამისი სამინისტროების და მასში შემავალი უწყებების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, კოლეჯების, შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის დადგენილებაში ყურადღება მწარმოებლებსა და სამეცნიერო სექტორს შორის კავშირის გაძლიერებაზე, აგრარული განათლების ერთიანი სისტემის შექმნაში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და ქვეყნისთვის მორგებული მოდელის შემუშავებაზე გაამახვილეს.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის (AKIS) მიზანი სოფლად და სოფლის მეურნეობაში ცოდნისა და ინოვაციების სისტემების გაძლიერების გზით მეტი, უკეთესი ხარისხის და ეკომეგობრული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაა. AKIS-ის ჩამოყალიბება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით და შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით მიმდინარეობს.

კომისიის სხდომა #3-ის (თ.ბიჭიაშვილი: „ფიტოტესტერი - მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის პორტარტული ინსტრუმენტი და მისი პრაქტიკული გამოყენება“) დადგენილების შესაბამისად, საკითხი გატანილი იყო აკადემიის პრეზიდენტის სხდომაზე, რომლის გადაწყვეტილებით კვლევის კომერციალიზაციის მხარდასაჭერად 28 მაისს გაიგზავნა წერილი # 1-125 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ო.შამუგიას სახელზე. წერილში აღინიშნა, რომ აკადემიის პრეზიდენტის აზრით, ფიტოტესტერის აგროწარმოებაში გასავრცელებლად მიზანშეწონილია შევთავაზოთ ხელსაწყო სამეცნიერო ორგანიზაციებსა და ფერმერებს როგორც მცენარესთან „დიალოგი“-ს საშუალება, ხოლო უნივერსიტეტებს - როგორც სტუდენტებში ამ „დიალოგი“-ს უნარებისა და ჩვევების განვითარების ინსტრუმენტი და იმის გათვალისწინებით, რომ ა.წ. 19 მარტს საქართველოს ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების მისაღწევად ქვეყნის სამიდან ერთ-ერთ ძირითად ტექნოლოგიურ მიმართულებად დასახელდა აგროტექნოლოგიები და ამ მიმართულებით ახალი სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროდუქტების შექმნა, გამოითქვა წინადადება, რათა მინისტრმა სათანადო უწყებებს მიმართოს მსგავსი ინოვაციური მოწყობილობების სერიული წარმოების უზრუნველსაყოფად შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობის ნებართვის თაობაზე.

სამინისტროს დავალების შესაბამისად და საკუთარი ინიციატივით სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევით ცენტრთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს მეტოდების დამუშავებასა და ფიტოტესტერის სხვადასხვა კულტურაზე გამოცდას; ფიტოტესტერის გამოყენებით დამუშავდა ვაზის სამყნობი კომპონენტების ვარგისიანობის შეფასების, მცენარის ნამყენი ნერგის ცხოველქმედების განმსაზღვრელი და მცენარეთა ფესვთა სისტემის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური ექსპრეს მეთოდები. აღსანიშნავია, რომ მცენარიდან ბიოფიზიკური და

ფიზიოლოგიური პარამეტრების რეგისტრაციის გზით ინფორმაციის მიღება ხორციელდება დაკვირვების ობიექტის ბიოლოგიური მთლიანობის დარღვევის გარეშე.

2024 პროექტმა გაიმარჯვა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) პოლონეთის საწარმოთა განვითარების სააგენტოს (PARP) ერთობლივი კონკურსი პროექტისთვის „Acceleration Program for Georgian Innovative Startups – sector AgriTech“, რომლის ჩარჩოებში ა. წ. ნოემბერში ფიტიტესტერის საწარმოო პირობებში დემონსტრირება მოხდა პოლონეთში.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში 27 ნოემბერს გაიგზავნა წერილი #1-198, რომელშიც სახელმწიფო და კერძო სექტორის კვლევების კომერციალიზაციის სფეროში წარმატებული თანამშრომლობის მაგალითის სახით მოყვანილია ფიტოტესტერის პროექტი.

ასევე, კომისიის # 7 სხდომის მასალების (თ.ნოზამე: „ევროკავშირთან სურსათის უვნებლობის სამართლებრივი ჰარმონიზაციის და იმპლემენტაციის ძირითადი გამოწვევების შესახებ“) შესაბამისად, ა.წ/ 26 სექტემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიგზავნა წერილი № 1- 176, რომელშიც ხაზგასმულია ძირითადი გამოწვევები:

- რისკის შეფასების არსებული მიდგომის სრულყოფა.
- ქვეყანაში რისკის კომუნიკაციის ჯგუფის ამოქმედება, ბიზნესოპერატორების მიერ შიდა კონტროლისათვის ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების შედეგების საჯაროობა.
- სურსათის უვნებლობის მნიშვნელობაზე ბიზნესოპერატორთა და მომხმარებელთა დაბალი ცნობიერება, შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ინტელექტუალური რესურსის ნაკლებობა, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლების არ არსებობა.

წერილით აკადემიამ აღძრა შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე, რათა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ჩარჩოებში შექმნილ სურსათის უვნებლობის ჯგუფს დაევალოს მოხსენებაში დასმული საკითხების გადასაჭრელი ღონისძიებების გეგმის შემუშავება და აღინიშნა, რომ გამოწვევები საჭიროებენ სამთავრობო უწყებების, საგანმანათლებლო ინსტიტუციების, ბიზნეს-ოპერატორების, მომხმარებლებისა და არასამთავრობო სექტორის კომპლექსური, მიზანმიმართული და შედეგებზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმას, რათა ხელი შეეწყოს სურსათის უვნებლობის საკითხებში საქართველოს ევროკავშირთან შეუფერხებელი და სრულფასოვანი ინტეგრაცია.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრთან; მაგალითად, ა.წ. 29 აპრილს ცენტრის დირექტორ სმმა აკადემიკოს ლევან უჯმაჯურიძის სახელზე გაიგზავნა აკადემიის პრეზიდენტ გივი ჯაფარიძის წერილი № 1 – 112, რომელშიც ხაზგასმულია, რომ იმის გათვალისწინებით, თუ რა საინტერესო და დარგისთვის მნიშვნელოვან კვლევით სამუშაოებს ატარებს ცენტრი, მიზანშეწონილია აგრარული ინოვაციების კომისიის 2025 წლის გეგმაში შესატანად ცენტრის თანამშრომელთა ინოვაციური მიღწევების ამსახველი მოხსენებების გამოგზავნა, რაც უკვე შესრულდა.

თავი 5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს მიერ 2024 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში

საბჭო დაფუძნდა 2022 წლის 11 ნოემბერს და ხელმძღვანელობს საბჭოს დებულებითა და საბჭოს წლიური სამუშაო გეგმით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდენტის მიერ.

საანგარიშო პერიოდში, გეგმის მიხედვით, შედგა 8 სხდომა, აქედან 3 თემატური სხდომა გაფართოებულ ფორმატში. სხდომებზე წარდგენილ იქნა შემდეგი 14 მოხსენება დარგობრივ აქტუალურ საკითხებზე:

- პირველი სხდომა გაიმართა 23 თებერვალს**, რომელზეც მოსმენილი იქნა მოხსენებები:
1. "ბიომეცხოველეობა და მისი განვითარების ძირითადი რესურსები საქართველოში",

მომხსენებელი: დოქტორი თამარ ნოზაძე, საბჭოს წევრი; 2. "აგრობიოწარმოება და მისი უპირატესობები", **მომხსენებელი:** დოქტორი თათია ხოსიტაშვილი, საბჭოს წევრი.

მეორე სხდომა გაიმართა 21 მარტს და მიემდგვნა ტყის საერთაშორისო დღეს. თემატურ გაფართოებულ სხდომაზე წარდგენილი იქნა მოხსენებები, რომელიც FAO-ს მიერ, ტყის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 2024 წლის სლოგანს: „ტყეები და ინოვაცია: ახალი გადაწყვეტები უკეთესი სამყაროსთვის“ ეხმაურებოდა. **მომხსენებლები** გახლდნენ: სატყეო საქმის დოქტორი: გიორგი ქავთარაძე; სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი; დოქტორანტი ვასილ მეტრეველი. ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ სატყეო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, საქართველოს ტექნიკური, ილიას სახელმწიფო და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტებიდან.

მესამე სხდომა გაიმართა 22 აპრილს და მიემდგვნა დედამიწის საერთაშორისო დღეს. თემატურ გაფართოებულ სხდომაზე, წარდგენილი იქნა მოხსენება თემაზე: „ბუნებრივი კატასტროფები და სასურსათო უსაფრთხოება“, **მომხსენებელი:** დოქტორი შორენა კუპრეიშვილი, საბჭოს წევრი. სხდომაზე მოწვეული იყვნენ პროფესორები და სტუდენტები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და მოსწავლეები თბილისის მწვანე სკოლიდან.

მეოთხე სხდომა გაიმართა 24 მაისს, მოსმენილი იქნა ორი მოხსენება: 1. „სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციაში გამოყენებული თანამედროვე ტექნოლოგიები და რობოტები“, **მომხსენებელი:** დოქტორი ხვიჩა გოჭოშვილი, საბჭოს წევრი; 2. „საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ქვევრის დამზადების ტრადიციული და თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების კვლევა“, **მომხსენებელი:** დოქტორი ივანე კაპანაძე, საბჭოს წევრი.

მეხუთე სხდომა გაიმართა 25 ივნისს, მოსმენილი იქნა ორი მოხსენება: 1. „წაბლის (*Castanea sativa*) პოტენციური გავრცელების და ეკოლოგიური ნიშის მოდელირება“, **მომხსენებელი:** დოქტორანტი ვასილ მეტრეველი, საბჭოს წევრი; 2. "მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნების ცვლილება სუბალპური არყნარი ტყის ბუნებრივი აღდგენის მიმდინარეობისას", **მომხსენებელი:** დოქტორი ნატალია ტოგონიძე, საბჭოს წევრი;

მექვესე სხდომა გაიმართა 30 სექტემბერს, მოსმენილი იქნა მოხსენება თემაზე: "ტყის არამერქნული პროდუქტების საექსპორტო შესაძლებლობები", **მომხსენებელი:** საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, ეკონომიკის მაგისტრი ბაგრატ რაზმაძე.

მეშვიდე სხდომა გაიმართა 4 ოქტომბერს და მიემდგვნა ქართული ღვინის დღეს. თემატურ გაფართოებულ სხდომაზე, წარდგენილი იქნა ორი მოხსენება.1. „საქართველოში ველური ვაზის შესწავლის შესახებ“, **მომხსენებელი:** შენგელი კიკილაშვილი, ს/მ დოქტორი, სეუ-ს ასოცირებული პროფესორი; 2. „აბორიგენული და ინტროდუცირებული ვაზის ჯიშების წითელ ყურძენში ფენოლური სიმწიფის ინდექსის შესწავლის და წითელი ღვინის ხარისხზე მისი გავლენის შესახებ“, **მომხსენებელი:** თეა ხოსიტაშვილი, ს/მ დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მკვლევრები.

მერვე სხდომა გაიმართა 17 დეკემბერს. მოსმენილი იქნა მოხსენება თემაზე: „ვაზის გამძლეობა ჭრაქისადმი და ახალი ჯიშების მიღება“, **მომხსენებელი:** საბჭოს წევრი, დოქტორანტი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მცენარეთა მიკროკლონური გამრავლებისა და უფირუსო სარგავი მასალის კვლევის სამსახურის უფროსი თეკლე ზაკალაშვილი.

საბჭოს სხდომებზე, ასევე განიხილებოდა საბჭოს საორგანიზაციო და სხვა მიმდინარე საკითხები. ივნისის სხდომაზე განხილულ იქნა საბჭოს დებულებაში დაინიცირებული ცვლილებების პროექტი, რომელიც წარედგინა პრეზიდენტს დასამტკიცებლად. დეკემბერში ჩატარებულ სხდომაზე განხილულ იქნა და დამტკიცდა აკადემიის პრეზიდენტის წინაშე წარსადგენი წლიური ანგარიში და სარეკომენდაციო წინადადებები, ასევე ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს 2025 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმა.

გარდა ზემოაღნიშნული გეგმიური სხდომებისა, ასევე შედგა რიგგარეშე სხდომები გაფართოებულ ფორმატში, კერძოდ:

1. 3 ივლისს შედგა აგრარული ინოვაციების კომისიისა და ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მოხსენებით: „ევროკავშირთან სურსათის უვნებლობის სამართლებრივი ჰარმონიზაციის და იმპლემენტაციის ძირითადი

გამოწვევები“, წარსდგა აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრი, დოქტორი თამარ ნოზაძე

2. 8 ნოემბერს შედგა საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ, როგორც საბჭოს წევრები, ასევე ონლაინ რეჟიმში მოწვეული მონაწილეები ქუთაისის აკაკი წერეთლის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტებიდან. სხდომაზე მოწვეული იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო სურსათის უვნებლობის კონცეპტუალური საკითხები; ფართოდ და სიღრმისეულად მიმოიხილა ეროვნულ დონეზე საკითხის სამართლებრივი და სისტემური რეგულირების პროცესები და ამ მიმართულებით არსებული პროგრესი. აღსანიშნავია, რომ აკად. ზურაბ ცქიტიშვილი, მის გუნდთან ერთად, არის ეროვნულ დონეზე სურსათის უვნებლობის სფეროში ძირითადი მეთოდოლოგიური ბაზის შემქმნელი, საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის ინიციატორი და ავტორი, შესაბამისად უშუალოდ მასთან ინტერაქტიულ რეჟიმში განხილულმა საკითხმა დიდი ინტერესი გამოიწვია აუდიტორიის მხრიდან.

საბჭო 2024 წლის სექტემბრიდან ღონისძიებებს მართავს ჰიბრიდულ ფორმატში, რამაც შესაძლებლობა მისცა მონაწილეებს რეგიონებიდან, ასევე საბჭოს წევრებს ვინც ობიექტური მიზეზით ფიზიკურად ვერ ესწრება სხდომას, ონლაინ რეჟიმში მიიღონ მონაწილეობა.

საბჭოს წევრები, გარდა საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობისა, ასევე ჩართულები იყვნენ აკადემიის მიერ ორგანიზებულ სხვა ღონისძიებებშიც. აკადემიის მხრიდან დაჯილდოებული იყვნენ აკადემიის პრემიით და საპატიო სიგელებით.

5 დეკემბერს ნიადაგების დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გამართულ მრგვალ მაგიდაზე მოხსენებით: „ნიადაგური მონაცემების შეფასება საველე და ლაბორატორიულ პირობებში“ აუდიტორიის წინაშე წარსდგა საბჭოს წევრი, დოქტორი გიორგი ღამბაშიძე, რომელიც ამავდროულად არჩეულია აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილებაში სწავლულ მდივნად.

აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულის სახელობის პრემია, ნაშრომისათვის - „**ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა**“, გადაეცა **საბჭოს წევრს**, ტექნიკის დოქტორ **შორენა კუპრეიშვილს**, რომელიც აღნიშნული ნაშრომის თანაავტორია, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ **ედუარდ კუხალაშვილთან** და აკადემიკოს **გივი გავარდაშვილთან** ერთად.

დარგობრივი მიმართულებებით სამეცნიერო მიღწევებისთვის აკადემიის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ, საბჭოს წევრები: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის დოქტორი **ხვიჩა გოჭოშვილი** (აგროინჟინერიის დარგში) და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მცენარეთა მიკროკლონური ინ-ვიტრო გამრავლების და ჯანსაღი სარგავი მასალის კვლევის სამსახურის უფროსი, დოქტორანტი **თეკლე ზაკალაშვილი** (მევენახეობის დარგში).

აღსანიშნავია, რომ საბჭოს წევრები ეწევიან აქტიურ და წარმატებულ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ჩართული არიან საზოგადოებრივ და პროფესიულ აქტივობებში. მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში საბჭოს წევრების ავტორობით და/ან თანაავტორობით გამოქვეყნებულია 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საბჭოს შემადგენლობა 2024 წლის მდგომარეობით განისაზღვრება 20 წევრით. მაქსიმალურად დაცულია, როგორც გენდერული, ასევე სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით ბალანსი. საბჭოს შემადგენლობაშია 10 ქალი და 10 კაცი, აქედან საბჭოს 5 წევრი მუშაობს აგრონომიის სამეცნიერო მიმართულებით, 3 მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო მიმართულებით, 3 აგროინჟინერიის სამეცნიერო მიმართულებით, 4 გარემოს დაცვის და სატყეო საქმის სამეცნიერო მიმართულებით, 2 სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო მიმართულებით და 2 ეკონომიკის სამეცნიერო მიმართულებით (დეტალური ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.


ცხრილი 1.

ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს შემადგენლობა 2024 წლის მდგომარეობით

N	სახელი, გვარი	დაბადების თარიღი	პროფესია	ხარისხი	სამუშაო ადგილი/პოზიცია
აგრონომიის სამეცნიერო მიმართულება					
1	თინათინ ეპიტაშვილი	13.01.1983	აგრონომი (მცენარეთა სელექცია, გენეტიკა)	დოქტორი (PhD)	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ტექნიკური უნივერსიტეტი
2	ალექსანდრე საკანდელიძე	06.06.1985	ეკონომისტი	მაგისტრი (MSc)	საქართველოს თესლის მწარმოებლების და სანერგე მეურნეობების ასოციაცია, გენერალური მდივანი
3	თეკლე ზაკალაშვილი	10.04.1996	აგრონომი (მცენარეთა სელექცია, გენეტიკა)	დოქტორი (PhD)	სმ სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
4	გიორგი ღამბაშიძე	13.10.1980	აგროეკოლოგი, ნიადაგმცოდნე	დოქტორი (PhD)	სმ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგის კვლევის ლაბ. უფროსი; აგრარული უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი
5	თათია ხოსიტაშვილი	20.07.1990	აგრონომი, მცენარეთა დამცველი	დოქტორი (PhD)	სოფლის განვითარების სააგენტო, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სამსახურის მთავარი სპეციალისტი
6	ირინე ჩარგეიშვილი	19.10.1980	აგრონომი, მეაბრეშუმე	დოქტორი (PhD)	აგრარული უნივერსიტეტი, მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორია
მეცხოველეობის და ვეტერინარიის სამეცნიერო მიმართულება					
7	მარინე რამიშვილი	08.10.1982	ვეტერინარი, ეპიდემიოლოგი	დოქტორი (PhD)	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი/ლუგარის კვლევითი ცენტრი
8	თამარ ნოზაძე	27.08.1990	მეცხოველე, სურსათის უვნებლობის ექსპერტი	დოქტორი	ტექნიკური უნივერტეტი, მოწვეული ლექტორი
9	ვლადიმერ ზარათაშვილი	07.03.1985	ვეტერინარი (ვირუსოლოგია, იმუნოლოგია, ეპიზოოტოლოგია, მიკოლოგია)	დოქტორი (PhD)	სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტი, მთავარი სპეციალისტი,

აგროინჟინერიის სამეცნიერო მიმართულება					
10	ივანე კაპანაძე	26.02.1983	აგროინჟინერი (მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია)	დოქტორი (PhD)	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი
11	ხვიჩა გოჭოშვილი	13.02.1973	აგროინჟინერი	დოქტორი (PhD)	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
12	შორენა კუპრეიშვილი	14.02.1976	მელიორატორი	დოქტორი (PhD)	სტუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი
გარემოს დაცვის და სატყეო საქმის სამეცნიერო მიმართულება					
13	გიორგი ქავთარაძე	20.08.1983	მეტყევე	დოქტორი (PhD)	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი/დირექტორის მ/შ, პროფესორი
14	ლაშა ძამამია	02.08.1990	მეტყევე	დოქტორანტი	გერმანიის სარეთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ – ECO.Georgia, მრჩეველი სატყეო პოლიტიკისა და კანონმდებლობის საკითხებში
15	ნატალია ტოგონიძე	23.06.1984	ეკოლოგი	დოქტორი (PhD)	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახური
16	ვასილ მეტრეველი	02.04.1990	მეტყევე, ეკოლოგი	დოქტორანტი	ილიას უნივერსიტეტი, მიწვეული ლექტორი
17	თამარ თურმანიძე	08.02.1987	სურსათის ტექნოლოგი	დოქტორი (PhD)	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი; სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი
18	ჟუჟა ხაჭაპურიძე	23.07.1993	სურსათის ტექნოლოგი	დოქტორი	აგრარული უნივერსიტეტის ასისტ. პროფესორი
ეკონომიკის სამეცნიერო მიმართულება					
19	ბაგრატ რაზმაძე	10.04.1996	ეკონომისტი	მაგისტრი (MSc)	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი/მთავარი სპეციალისტი

20	ლაშა ჩიბურდანიძე	04.07.1984	ეკონომისტი (აგრარული ეკონომიკა, ბიზნესის ადმინისტრირე ბა)	დოქტორი (PhD)	სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
----	------------------	------------	---	---------------	--





19:40

Participants

- 6 [Avatar]
- [Avatar]
- [Avatar]
- [Avatar]
- [Avatar]
- [Avatar]

Participants list:

- Georg Kavradze (Guest)
- Khachia Chachogian (Guest)
- Iasha (Guest)
- Tekla (Guest)
- ნადეჟდა გომიძის (Guest)
- ნინო (Guest)
- ზორბეგ კუჭუბუგოვი (Guest)

გაზის გაძვლელის მწიფეობის 2024-საბჭო (1) - PowerPoint (Product Activation Failed)

ვაზის გამძლეობა
ჭრაქისადმი და ახალი
ჯიშების მიღება

თეკლე ზაქალაშვილი
ახალგაზრდა
მეცნიერთა საბჭო,
დავუშვებ

**თავი 6. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო მიმართულებების დარგობრივი კოორდინატორების მიერ
2024 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში**

1. აგრონომიული მეცნიერება განყოფილება

განყოფილების აკადემიკოს - მდივანი აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი

1.1. მევენახეობის და მეღვინეობის მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსები ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან უჯმაჯურიძე და გურამ პაპუნძი)

კოორდინატორთა დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 14 წევრი (სსმმა აკადემიკოსები ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან უჯმაჯურიძე, გურამ პაპუნძი, ზურაბ ტყემალაძე, დოქტორები ირმა მდინარაძე, დავით მაღრაძე, თეიმურაზ ორთოიძე, დავით აბზიანიძე, თეიმურაზ გონჯილაშვილი, მურმან ქურიძე, ნინო ჩხარტიშვილი, მარიამ ხომასურიძე, ზურაბ მიქელაძე და მერაბ არძენიძე). დარგობრივი კოორდინატორთა ჯგუფის წევრები საანგარიშო პერიოდში აგრძელებდნენ მუშაობას საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მევენახეობა - მეღვინეობის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო და დანერგვითი პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულების სამუშაოებს. ნაყოფიერ სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან თემურ ღვინიაძე, მარიამ ხოსიტაშვილი, დავით აბზიანიძე, მურმან ქურიძე, ზურაბ სტურუა, ბონდო კალანდაძე, ზურაბ მიქელაძე, მერაბ არძენაძე, იაშვი ჩხარტიშვილი, სოფო პაპუნძი და სხვა სპეციალისტები.

ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ამავე სამინისტროს ქობულეთის აგროსერვის ცენტრთან, სადაც წარმატებით მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ვაზის უნიკალური სასუფრე და საღვინე ჯიშების შესწავლა.

ბათუმის, ქუთაისისა და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტებში მევენახეობა-მეღვინეობის მიმართულებებით მიმდინარეობს როგორც სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ასევე წარმატებით ხორციელდება ახალგაზრდა სპეციალისტების, მაგისტრებისა და დოქტორანტების სწავლის პროცესი. ამ საჭირო საკითხის გადაწყვეტაში აქტიურად არიან ჩართული მევენახეობა-მეღვინეობის საკოორდინაციო ჯგუფის წევრები, დარგის ცნობილი მეცნიერები.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსებით საექსპედიციო ჯგუფი წარმატებული მეცნიერის მერაბ არძენიძის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა მევენახე სპეციალისტის თემურ გორგილაძის და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით წარმატებით განხორციელდა თურქეთის ტაო-კლარჯეთში გავრცელებული ვაზის ჯიშების შესწავლა. ექსპედიციის მიერ აღებული იქნა კალმები, საიდანაც გამოყვანილი იქნება ვაზის სტანდარტული ნერგები და შესწავლილ იქნება, როგორც მორფოლოგიურად, ასევე სახელწოდებების დაზუსტების მიზნით, თურქეთის ტაო-კლარჯეთში გავრცელებული ვაზის ჯიშებიდან რა თქმა უნდა იქნება ბევრი ქართული წარმომავლობის ასეთი ადგილობრივი ჯიშები.

ჯგუფის წევრების მიერ ქართული ვაზის ადგილობრივი ჯიშების მოძიებისა და კონსერვაციის მიზნით საქართველოს მევენახეობის სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებული ექპედიციური სამუშაოების შედეგად მოძიებულ იქნა 80-ზე მეტი ნიმუში, განხორციელდა მათი მინიშვნა, აღწერა და იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები. დამუშავდა ჯილაურას საკოლექციო ნარგაობიდან ესპანეთის ვაზისა და ღვინის მეცნიერებათა ინსტიტუტში, საანალიზოდ გაგზავნილი ნიმუშების მოლეკულურ გენეტიკური კვლევის შედეგების პასუხები.

მიმდინარეობდა თეორიული და პრაქტიკული მიმართულების სამუშაოები ვაზის ადგილობრივი ჯიშების საბაზისო, სარგავი მასალის წარმოების კუთხით, მ. შ. RT RCR მეთოდებით ნიმუშების ვირუსულ და ფიტოპლაზმურ დაავადებებზე ხელმეორედ ტესტირება, ბიონდექსირებისათვის შესაბამისი ფილოქსერაგამძლე საბაზისო საძირების მოძებნა და სხვ.

განხორციელდა მესხური ვაზის ჯიშების გასამრავლებელი მასალების ფიტოსანიტარული სიჯანსაღის დადგენა და იდენტიფიცირებულია 250 ვაზის ნიმუში. განხორციელდა სავენახე

ნიადაგების ფიზიკური და აგროქიმიური მახასიათებლების შესწავლა და გრძელდება ახალი ადგილწარმოშობის მიკროზონის „გურიის ჩხავერი“ რეგისტრაციის სამუშაოები.

მიმდინარეობდა სტრესული (მზით დამწვრობა, არუჯვა) ფაქტორებით გამოწვეული პროცესების შემცირების ღონისძიებები. აკადემიაში წაკითხული იქნა მოხსენება „საქართველოში ქართული ვაზის გენოფონდის დაცვისა და საბაზისო სარგავი მასალების წარმოების შესახებ“. ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ საერთაშორისო შეხვედრებში. ტრენინგებში ფერმერებისა და სხვ. დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით. ინტენსიურად მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესები აგრარულ, ტექნიკურ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტებში და სკოლებში (ღვინის გილდია, ანემოს სკოლა და სხვ.).

1.2. მეხილეობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 6 წევრი (ვაჟა კვალიაშვილი - სმმ აკადემიის აკადემიკოსი; ზვიად ბობოქაშვილი - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი; ელენე მაღლაკელიძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი; ვანო კაკაშვილი - მაგისტრი; ლაშა ციგრიაშვილი - ბაკალავრი; მარიკა ვახტანგაშვილი - მაგისტრი), რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საპატრიარქოს ნინოწმინდის კოლეჯის საგანმანათლებლო პროცესში, ასევე მიზნობრივ გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო კვლევებში და საორგანიზაციო-პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1.	საქართველოს ვაშლის ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების სორტიმენტი - ბობოქაშვილი ზ., მაღლაკელიძე ე., კვალიაშვილი ვ., კაკაშვილი ვ., ციგრიაშვილი ლ., ვახტანგაშვილი მ.	სამეცნიერო კონფერენცია – „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“ 22-24 მაისი, 2024,
2.	ვაშლის ინტროდუცირებული ჯიშის „ჩელენჯერი“ დახასიათება - ბობოქაშვილი ზ., მაღლაკელიძე ე., კვალიაშვილი ვ., კაკაშვილი ვ., ციგრიაშვილი ლ., ვახტანგაშვილი მ.	ქართველი მეცნიერები. ტომი 6, N2. 2024.
3.	Global Climate Challenges - Elements of Mitigation Measures for Sustainable Production of Georgian Fruits - Bobokashvili Z., Maghlakelidze E., Kvashvili V.	Journal of science. Lyon №55 2024.
4	Biological and Agricultural Characterization of Introduced Variety „Weiki“ (Actinidia arguta Planch.) in Georgia - Bobokashvili Zviadi Maghlakelidze Elene, Kvashvili Vazha	International Scientific Conference “Genetics, Physiology and Plant Breeding” October 7-8, 2024 Chisinau, pp. 491-495.

2. კონფერენციებში მონაწილეობა

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	საქართველოს ვაშლის ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების სორტიმენტი - განვითარების ისტორიული ეტაპები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“, თბილისი, საქართველო.	22.05.2024	ზ. ბობოქაშვილი; ე. მაღლაკელიძე, ვ. კვალიაშვილი

2	ხეხილოვანი კულტურების დესკრიპტორების შემუშავება	UPOV - Fifty-five session of the Technical Working Party for Fruit Crops.	03.06.2024	ზ. ბობოქაშვილი ე. მაღლაკელიძე
---	---	---	------------	----------------------------------

3. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეხილეობის კვლევის სამსახური მუშაობს ორ პროექტზე და ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით რიგ აქტივობებს.

- **ვაჟა კვალაიაშვილი** - კორდინაციას უწევს მეხილეობის კვლევის სამსახურის სამეცნიერო პროექტებს და აქტიურად არის ჩართული კვლევითი უშაობის შეფასებაში და ნაშრომების რეცენზირებაში.

- **ზვიად ბობოქაშვილი** (დეპარტამენტის უფროსი) – ხელმძღვანელობს სამსახურის ერთ პროექტს და მონაწილეობს სამეცნიერო კვლევაში. პასუხისმგებელია შესწავლილი ჯიშების შერჩევაზე, საუკეთესო ჯიშების გამოვლენასა და გავრცელებაზე, გენოფონდის მოძიებაზე და კონსერვაციაზე.

- **ელენე მაღლაკელიძე** (მთავარი სპეციალისტი) – ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებული კვლევის შესრულებაში. აკონტროლებს პროექტის ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვას. ადგენს პროექტის მიმდინარე და დასკვნით სამეცნიერო ანგარიშებს.

- **ვანო კაკაშვილი** (უფროსი სპეციალისტი) – მონაწილეობს სამსახურის პროექტებით გათვალისწინებულ სამეცნიერო კვლევაში. პასუხისმგებელია საკოლექციო ბაღში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებაზე, გენოფონდის მოძიებაზე და კონსერვაციაზე.

- **ლაშა ციგიაშვილი** (სპეციალისტი) – მონაწილეობს პროექტებით გათვალისწინებულ მეცნიერულ კვლევაში. პასუხისმგებელია საკოლექციო ბაღში აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებაზე და გამოვლენილი საუკეთესო ჯიშების დანერგვაზე.

- **მარიკა ვახტანგაშვილი** (სპეციალისტი) – მონაწილეობს პროექტით გათვალისწინებულ მეცნიერულ კვლევაში. პასუხისმგებელია ლაბორატორიული ანალიზების ჩატარებაზე და კვლევის შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემები დამუშავებაზე.

პროექტი: 1. ხეხილის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშების ბიოლოგიურ-სამეურნეო თავისებურებების კვლევა და სამრეწველო სორტიმენტის გაუმჯობესება.

პროექტის მიზნები: ინტროდუცირებული ჯიშების ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების შესწავლის საფუძველზე პერსპექტიული ჯიშების შერჩევა, ხეხილის იშვიათი და გაქრობის პირას მდგარი სახეობების და ჯიშების მოძიება და კონსერვაცია.

კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდება:

- საკოლექციო ბაღში ჯიშების პირველადი შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მეხილე ფერმერებს, გააკეთონ ზუსტი არჩევანი, სხვადასხვა ჯიშებს შორის, რადგან ქვეყანაში საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა ბაღების გაშენება ახალი ჯიშებით, მხოლოდ უცხოურ ინფორმაციაზე, ან საზღვარგარეთელი სანერგების კონსულტანტების მოსაზრებებზე დაყრდნობით. რაც თავისთავად მნიშვნელოვნად ზრდის წარუმატებლობის ალბათობას.

- მიღებული შედეგები შიდა ქართლის მეხილეობის ზონისთვის არის გათვლილი. გარდა ამისა, მოცემული მონაცემები შესაძლებლობას იძლევა განზოგადოება გაკეთდეს ასევე ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში გასაშენებლად გამიზნულ ჯიშებზეც.

- გასათვალისწინებელია, რომ სამომავლოდ პროექტი ითვალისწინებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (სამტრედია, ჩოხატაური, ხაშური, ადიგენი) აღნიშნულ ჯიშებზე დაკვირვებას.

პროექტი: 2. ხეხილის სხვა - ფორმირებების ინოვაციური ტექნოლოგიების სრულყოფა-შემუშავება.

პროექტის მიზანი - 2d ბრტყელი ტიპის ინოვაციური ბაღების სხვა-ფორმირების ტექნოლოგიის შემუშავება და ადაპტაცია საქართველოს პირობებისთვის

კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდება:

- ექსპერიმენტული მასალის შეგროვება და გაცნობა ფერმერებისთვის სხვა - ფორმირების ახალი მეთოდების გამოყენების შესახებ.

- გამრავლება და გავრცელება ხეხილის ახალი პერსპექტიული და იშვიათი ჯიშების ვირუსებზე ტესტირებული სადედე ნერგები.
- შემუშავებული და ადაპტირებული იქნება ხეხილის სხვა-ფორმირების თანამედროვე მეთოდები (ხეხილის კედელი, მაღალი შპინდელი და სხვ.) და ნერგის გამრავლება.
- ბრტყელი ბაღის კონცეფციით გაშენებულია - ვაშლი და თხილი ფართობი: 0.20 ჰა - სოფ. ჯილაურა
- ფერმერებისა და აგრობიზნესის წარმომადგენლებისთვის შემუშავდება და გავრცელდება საცნობარო, სარეკომენდაციო და სამრჩევლო ხასიათის სპეცილიზირებული ლიტერატურა.

4. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ზ. ბობოქაშვილი - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში საბაკალავრო კურსის სტუდენტებს უკითხავს „მეხილეობას“.

1. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

მომზადდა ექსპერტული, საკონსულტაციო საპასუხო დასკვნები და რეკომენდაციები მეხილეობის მიმართულელებით ფერმერების, უწყებრივი სააგენტოებიდან შემოსულ 499 წერილზე. ჩატარდა სასწავლო-პრაქტიკული ხასიათის ტრენინგები ფერმერებისთვის:

- **თხილის სხვა - ფორმირება.** (სსიპ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით) 20 მსმენელი. ჩოხატაური, იანვარი.
- **ლურჯი მოცვის წარმოების ტექნოლოგია** - (გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი), თებერვალი, ზუგდიდი.
- **ჟოლოს წარმოების ტექნოლოგია** - (გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი), მაისი, თბილისი.
- **მეხილეობა - მოსწავლეებისთვის** - (გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი), ივნისი, ნოემბერი.
- **საველე ღია დღეები ჯილაურას ხეხილის საკოლექციო ბაღებში** - სტუდენტებისთვის, ფერმერებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის და საკონსულტაციო სამსახურების სპეციალისტებისთვის - სულ 6 დღე.
- **სისტემატიური განახლება ფერმერთა ვებ რესურსი - აგროკავკასია** - <https://agrokavkaz.ge/> მეხილეობის კვლევის სამსახურის სპეციალისტების მიერ მომზადებულ მეხილეობის სხვადასხვა საცნობარო მასალებს აქვს 20 000 ზე მეტი წლიური ნახვა.

1.3. ჩაისა და ციტრუსების მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსები ვალერიან ცანავა და როლანდ კოპალიანი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 6 წევრი: სსმა აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი, პროფ. სანიკიძე ჯულიეტა, ასოც. პროფ. ყიფიანი ნინო, ასოც. პროფ. კილაძე რამაზი, ასოც. პროფ. კაპანაძე შორენა, ასოც. პროფ. კელენჯერიძე ნინო.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	Kipiani N., Kapanadze Sh., Kopaliani R., Kobalia V. Correlation of genetically determined traits and properties of noble laurel with its productivity in the conditions of Western Georgia	International Conference “Scientific research of the SCO countries: synergy and integration”
2	ნინო ყიფიანი – ციტრუსოვანთა ზოგიერთი კულტივენის ზრდის თავისებურების შესწავლა იუვენალურ სტადიაში იმერეთის პირობებში	სამეცნიერო ჟურნალი „მოამბე“ აწსუს გამომცემლობა. ქუთაისი, 2024წ.
3	რ.კილაძე, ე.ბენიძე. ისტორიული ობიექტების რესტავრაცია მწვანე მშენებლობაში	საერთაშორისო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“, თბილისი, საქართველო, 27-29 სექტემბერი, 2024.

4	Капанадзе Ш., Гецадзе Г. ПЕРСПЕКТИВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ СЕЛЕКЦИИ ПО ЛАВРУ БЛАГОРОДНОМУ – Laurusnobilis L	JOURNAL «GLOBAL SCIENCE AND INNOVATIONS 2023: CENTRAL ASIA». ASTANA, KAZAKHSTAN, 2024
5	შ. კაპანადე, რ. კოპალიანი, მ. თაბაგარი, ლ. კოპალიანი, ვ. უგულავა. საძირის როლი აღმოსავლური ხურმის ხეების განვითარებასა და პროდუქტიულობაში იმერეთის პირობებში.	სამეცნიერო ჟურნალი „ნოვაცია“ 2024
6	რ.კოპალიანი, ა.ხეთერელი. ფიზალისის გავრცელების პერსპექტივები საქართველოში	ჟურნალი „აგროNEWS“. # 10. 2024 წ.
7	ნ.კელენჯერიძე, ნ.სანთელაძე.ნიადაგური კვლევები დაფნის კულტურის გავრცელებისთვის	ჟურნალი „აგროNEWS“. # 10. 2024 წ.

3. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	სელექციის კლასიკური მეთოდების გამოყენების პოტენციური შესაძლებლობანი ციტრუსოვანთა კულტივაციაში	მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები, თბილისი	2024	რ.კოპალიანი, ნ.ციფიანი
2	ისტორიული ობიექტების რესტავრაცია მწვანე მშენებლობაში	საერთაშორისო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ თბილისი,	2024	რ.კილაძე, ე.ბენიძე
4	Correlation of genetically determined traits and properties of noble laurel with its productivity in the conditions of Western Georgia.	Conference “Scientific research of the SCO countries: synergy and integration”	2024	Kapanadze Sh., Kopaliani R., Kobalia V.
6	Исследования Лавра благородного - LAURUS NOBILIS на высокомасличность в условиях Греции	XIII Международной научно-практической конференций «НАУКА И ОБРАЗОВАНИЕ В СОВРЕМЕННОМ МИРЕ» Астана,	2024	Капанадзе Ш., Копалиани Р.
8	ისტორიული ობიექტების რესტავრაცია მწვანე მშენებლობაში	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“ თბილისი, საქართველო	2024	რამაზ კილაძე, ეთერ ბენიძე
9	Recultivation of Alluvial Soil	იქვე	2024 წ.	რ.ლორთქიფანიძე, ნ.კელენჯერიძე

4. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

4.1 ნ.ციფიანი, ჯ.სანიკიძე. მომზადდა შორეული ჰიბრიდიზაციისათვის საწყისი კომპონენტები ციტრუსოვანთა ფორმების შექვარების პროცესისათვის;

4.2 რ.კილაძე. შესწავლილი იქნა ქ. ქუთაისში მერიის წინ ბულვარის ხე-ბუჩქოვანთა ასორტიმენტი, დადგინდა სახეობრივი შემადგენლობა, ჩატარდა ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მონიტორინგი.

4.3 შ.კაპანადე, გ.გეგეძე, ლ.კოპალიანი. ტარდებოდა ნათესების რიგებისა და მწკრივების გამარგვლა და ნიადაგის გაფხვიერება. ჩვილი ნათესარების მზის სხივებით დაზიანებისაგან დასაცავად ნათესი კვლები დაჩრდილული იქნა მცენარეული მასალით, რომელიც 15 აგვისტოდან უკვე აღებული იქნა.

გვალვის დროს ნათესები ირწყვებოდა ისეთნაირად, რომ ნათესებზე წყალი არ დამდგარიყო. ნათესის აღმოცენება ძირითადად დამთავრდა აპრილში. ვეგეტაციის პირველ წელს დაფნა ზოგადად ნელა იზრდება, ფესვის ზრდა კი უფრო გაძლიერებულია. სავეგეტაციო პერიოდში დაფიქსირდა ზრდის ორი-სამი ტალღა.

4.4 ნ.კელენჯერიძე. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში (დამფინანსებელი - გაეროს განვითარების პროგრამა „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“) შეიქმნა ციფრული საგანმანათლებლო რესურსი „მცენარის კვება“. ციფრული რესურსი განთავსდა: სააგენტოს საგანმანათლებლო პლატფორმაზე.

5. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ნ. ყიფიანი კითხულობს კურსებს: სასოფლო სამეურნეო მცენარეთა გენეტიკა, სასოფლო სამეურნეო მცენარეთა მორფოლოგია-სისტემატიკა, სასოფლო სამეურნეო მცენარეთა ფიზიოლოგია, ეკოლოგიური ბიოტექნოლოგია, ხელმძღვანელობს საწარმოო პრაქტიკას აგროეკოლოგიაში.

რ. კილაძე კითხულობს ლექციებს მაგისტრანტებთან: ბალ-პარკების მშენებლობა; მეტყვეობა. დოქტორანტებთან - საქართველოს ლანდშაფტები; პროფესიულ სწავლებაზე - წინა საპროექტო სამუშაოების შესრულება.

შ. კაპანაძე კითხულობს ლექციებს საგნებში: „ტექნიკური კულტურები“, „მეჩაიეობა“, „სამკურნალო მცენარეების აგროტექნოლოგია“, საწარმოო პრაქტიკა აგროტექნოლოგიაში.

ნ. კელენჯერიძე ანხორციელებს სასწავლო კურსებს: „აგროქიმიკა“, „მიწათმოქმედება“, „ორგანული სოფლის მეურნეობა“, „მცენარეთა კვება“ (საბაკალავრო პროგრამა „აგრონომია“); სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მეთოდები აგროეკოლოგიაში“, „სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა“, „ინტენსიური მიწათმოქმედება“ (სამაგისტრო პროგრამა „აგროეკოლოგია“); „კვლევის თანამედროვე მეთოდები აგრონომიაში“ (სადოქტორო პროგრამა „აგრონომია“).

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

რ. კილაძე - მონაწილეობა აბასთუმნის მწვანე და ლურჯი დერეფნის მიმდებარე ტერიტორიების მონიტორინგში, რეკომენდაციების შემუშავებაში, დენდროპროექტის შექმნაში და შემდგომ მის პრაქტიკულად განხორციელებაში.

ნ. კელენჯერიძე - 1. ტრენინგ მასალის მომზადება „დემო ფერმის მოწყობა“; ექსპერტი - გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. შეიქმნა დოკუმენტი, რომელიც შედგება 3 ნაწილისგან: ტრენინგ მოდულის „დემო ფერმის მოწყობა“ შემადგენელი საკითხები; გზამკვლევი და ტრენინგ-მოდული;

2. პროექტი: „აგრარული განათლების ხელშეწყობი აქტივობების განხორციელება, როდესაც გაეროს განვითარების პროგრამა უზრუნველყოფს მხარდამჭერ მომსახურებას საქართველოში პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (VET) სისტემის მოდერნიზაციის პროექტისთვის“ (2023-24 წწ); ექსპერტი; 1) განხორციელდა საქართველოში ოპერირებადი სხვადასხვა სექტორული ორგანიზაციების მიერ ექსტენციის სპეციალისტის პროფესიული განვითარების/სწავლების მიმართულებით შექმნილი მასალების და დანერგილი მექანიზმების იდენტიფიცირება-ანალიზი; 2) შემუშავდა დოკუმენტი - „შერეული სწავლების ინსტრუმენტები ექსტენციის სპეციალისტის პროფესიული განვითარების პროგრამისთვის“; 3. **პროექტის** „ციფრული საგანმანათლებლო რესურსების განვითარების ხელშეწყობა პროფესიულ განათლებაში“ (2023-24 წწ); ავტორთა ჯგუფის წევრი - გაეროს განვითარების პროგრამა „პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზება საქართველოს სოფლის მეურნეობაში“. შეიქმნა სასწავლო რესურსი „მცენარის კვება“ და განთავსდა პროფესიული უნარების სააგენტოს საგანმანათლებლო პლატფორმაზე - lms.geoskills.ge

7. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

რ. კილაძე - ა. დაკმაყოფილდა გასულ წელს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობის წინაშე დასმული საკითხი და ქალაქში შეიქმნა „გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების“ განყოფილება, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია საკრებულოს სხდომაზე. 2025 წლიდან ეს სამსახური თავის დაქვემდებარებაში მოაქცევს და უფრო ორგანიზებულად წარმართავს გამწვანება-კეთილმოწყობის სამუშაოებს ქალაქში; მისი პასუხისმგებლობის ქვეშ იქნება ქალაქში არსებული ყველა მწვანე ობიექტის მოვლა-პატრონობაც. **ბ.** მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელთა წევრები არიან ძირითადად აგრარული ფაკულტეტის წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იცნობენ რეგიონში არსებულ მცენარეთა საფარს და უნდა გააკეთონ დასკვნები მომავალში საამშენებლო ობიექტების შესახებ. მათი მოვალეობაა საამშენებლო ობიექტზე შეისწავლონ მცენარეული საფარი, ჩაატარონ სათანადო მონიტორინგი და გამოიტანონ ვერდიქტი, რომელიც მცენარე უნდა იქნას დატოვებული ობიექტზე, რომელიც გადაირგოს და რომელი მოიჭრას. ამ დასკვნის გარეშე ობიექტის მშენებლობა ვერ დაიწყება.

8. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

ნ. ყიფიანი - სსიპ გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩაატარა სადემონსტრაციო-პრაქტიკული სამუშაო დღე.

რ. კილაძე - დააგეგმარა ლტოლვილთა საბავშვო ბაღის ტერიტორია ქუთაისის შერვაშიძის ქუჩაზე, სადაც გათვალისწინებული იქნა 10-მდე დასახელების ხე და ბუჩქი (57 ძირი); ნიკეას ქუჩაზე საჭიდაო დარბაზის წინ დაირგო 32 ძირი საკურას ხე, რომლებიც იაპონელმა ძიუდოს მოჭიდავეებმა საჩუქრად გამოაგზავნეს (ყველა მცენარე გახარებულია); უნივერსიტეტის ოთხივე ლოკაციაზე (თამარ მეფის 59, ახალგაზრდობის 98, ჭავჭავაძის 21^ბ და შერვაშიძის 53) დაირგო 70-მდე ძირი დეკორატიული ხე და ბუჩქი.

შ. კაპანაძე, გ. გეწაძე - მიწვეული იყვნენ „დაფნის ბაღების გაშენების კონსულტანტად“ შპს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის მიერ.

ნ. კელენჯერიძე - სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობის შესახებ ჩატარდა 3 დღიანი თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები

1.4. მინდვრის კულტურების მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი პროფესორი ცოტნე სამადაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა სულ 11 წევრი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სტუ-ს, აგრარული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში. გამოქვეყნებულია 10 სამეცნიერო ნაშრომი. მონაწილეობა მიიღეს 4 საერთაშორისო კონფერენციაში. ჯგუფის წევრი გულნარი ჩხუტიაშვილი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტში. ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი მონაწილეობს მარცვლოვანი კულტურების სამთავრობო ღონისძიების შემუშავებაში. მომზადდა ერთი პრაქტიკული რეკომენდაცია ფერმერებისათვის.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი, ნ. ბენდიანიშვილი - თავთავიან კულტურებში საგაზაფხულო სამუშაოების ხარისხიანი და დროული ჩატარება მაღალი მოსავლის გარანტიაა.	ქ. აგრარული საქართველო, #1, გვ. 16-18. თბილისი.

2	ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი - ქართული ხორბლის როლი მსოფლიო ხორბლის სელექციაში.	კონფერენცია „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ისტორია“. გვ. 43-44.
3	ც. სამადაშვილი, ლ. უჯმაჯურიძე, გ. ჩხუტიაშვილი - ქართული ხორბლის ენდემური სახეობები და ადგილობრივი ჯიშები.	იგივე, გვ. 47-49.
4	ც. სამადაშვილი, ლ. უჯმაჯურიძე, გ. ჩხუტიაშვილი - თხევადი სასუქების უპირატესობები.	ქ. აგრარული საქართველო. #2, გვ. 9-10,
5	ც. სამადაშვილი, ლ. ქირიკაშვილი, ფ. ბეგოძე - ჰიბრიდული სიმინდის მოვლა-მოყვანის თავისებურებები.	ქ. აგრარული საქართველო. # 3. გვ.5-6
6	ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი - ქართული ხორბლის გენოფონდი და მისი გენეტიკური და სელექციური მნიშვნელობა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები. გვ.29
7	ც. სამადაშვილი - ქერის გენოფონდი და გავრცელების პერსპექტივები საქართველოში.	იქვე, გვ.36
8	ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი, ნ. ბენდიანიშვილი - კლიმატური ცვლილებების გავლენა მარცვლოვანი კულტურების გენეტიკური რესურსების ბიოლოგიურ და სამეურნეო ნიშან-თვისებების განვითარებაზე.	იქვე, გვ.180
9	ც. სამადაშვილი - ეკოლოგიური პრობლემები და სოფლის მეურნეობა.	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. #1, გვ. 16-19
10	L. Ujmajuridze, Ts. Samadashvili, G. Chkhutiashvili - Traditions of using Georgian wheat in Georgia.	Agrosim -2024

2.პატენტი, ახალი ჯიშების რეგისტრაცია

ჯგუფის წევრების მიერ საქპატენტში რეგისტრირებულია ერთი ახალი ჯიში:

#	გამოგონების/ჯიშის დასახელება, თარიღი	ავტორი
	ხორბლის ჯიში „ხვამლი“	ავტორთა ჯგუფი

3. კონფერენციებში მონაწილეობა

მონაწილეობა მივიღეთ 6 საერთაშორისო კონფერენციაში. 4 საქართველოში და ორი საზღვარგარეთ.

4. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

(ჯგუფის ყოველი წევრისთვის)

ვმუშაობთ ხორბლის, სიმინდის, ქერის და შვრიის კულტურაზე. მიმართულებებია, სელექცია, გენეტიკა და მეთესლეობა.

5.საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ჯგუფის წევრთა უმრავლესობა ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

6.მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ჯგუფის წევრი გულნარი ჩხუტიაშვილი მონაწილეობს საერთაშორისო პროექტში.

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა
 ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი მონაწილეობს მარცვლოვანი კულტურების სამთავრობო ღონისძიების შემუშავებაში

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები
 ფერმერთა კონსულტაციებით დაკავებულია ჯგუფის ყველა წევრი.

1.5. ბოსტნეული კულტურების მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები პროფესორები ვალერი სუხიშვილი და ნატო კაკაბაძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 6 წევრი: ნატო კაკაბაძე, (კოორდინატორი) - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ვალერი სუხიშვილი, (კოორდინატორი) - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; პაშა ვაჩეიშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი; დავით ჩაჩანიძე-ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; გოდერძი გოდერძიშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ნანა ალავერდაშვილი - სოფლის მეურნეობის დოქტორი.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	ავტორი/ავტორები, დასახელება	გამომცემლობა, ტომი/ნომერი
1	ნ.კაკაბაძე,ო. ხარაიშვილი ლ.ზაიდაური და სხვ.- ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების გავლენა წვეთოვანი მორწყვის რეჟიმზე.	«Scientific Research and Experimental Development» (January 11-12, 2024). London, England 171 Agricultural Sciences
2	Какабадзе Н.В., Долидзе В.К., Мачавариани Н.З.- Применение компоста цитрусовых для подкисления серо-коричневых почв	Электронный научно-производственный журнал «АгроЭкоИнфо» [Электрон. ресурс] 03.04.2024. – № 2(62)
3	N. kakabadze, O. Kharaiashvili, L. Abashidze, L. Gvenetadze, N. Mebonia. Soil, forms of water in soils, adaptation energy, classification and determination methods	Proceedings of the 6th International Scientific Conference «Modern scientific technology» (4-5.04.2024). Stockholm, Sweden, 387p.
4	ნ. კაკაბაძე, ლ. იტრიაშვილი, ო.ხარაიშვილი, ნ. მეზონია, გ. კილურაძე,მ. თანანაშვილი-ნიადაგის ზღვრული ტენტევადობის სხვადასხვა ტენიანობის პირობებში ორგანული ნივთიერებების დაშლა, ნახშიროჟანგის წარმოქმნა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.შრომები.თბილისი. 12 ივნისი.2024 წელი.
5	ნ. კაკაბაძე, ნ. მაჭავარიანი-ბოსტნეული კულტურების მართვა გლობალური დათბობის პირობებში	ჟურნალი „ახალი აგრარული საქართველო“-თბილისი.5.07. 2024 წელი.
6	Nato Kakabadze, Avtandil Korakhashvili, Nino Chankvetadze- Efficiency of Nano Herbicide for Growing Topinsunflower	Bulleten of the Georgian National Academy of Sciences.Vol.18, no.4, 2024. Industrial Biotechnology.
7	ნ. კაკაბაძე, შ. კუპრეიშვილი, ი. კეჩხოშვილი, ნ. მეზონია, ლ. ზაიდაური, ო. ხარაიშვილი-წვეთოვანი მორწყვის რეჟიმზე, ნიადაგობრივ კლიმატური პირობების გავლენა,წვეთოვანი მორწყვის ეკონომიკური ეფექტურობა	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 12.06.2024 წელი.
8	ნ.კაკაბაძე, ო.ხარაიშვილი, ნ.მაჭავარიანი, ნ.სუხიშვილი და სხვ.-კიტრის კულტურის მდგრადობა მავნებელ-დაავადებათა მიმართ და მოსავლიანობის გაზრდა მცნობის და რწყვის მეთოდის გამოყენებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომათა კრებული.გვერდების რაოდენობა:15, თბილისი.2025 წელი. UDC: 635.631.8.632

2. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი/ მომხსენებლები
1	„გარემოს ქიმია და ეკოლოგია“	კონფერენცია: „გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება“.	თბილისი. 12 ივნისი 2024 წელი.	ნ.კაკაბაძე, ო.ხარაიშვილი, ლ.იტრიაშვილი, ნ.მებონია, გ.კილურაძე.
2	მთის გადაწყვეტილებები მებოსტნეობაში: ინოვაცია, ადაპტაცია და ახალგაზრდების როლი მდგრადი განვითარებისთვის	კონფერენცია: „მთის გადაწყვეტილებები მდგრადი მომავლისათვის- ინოვაცია, ადაპტაცია და ახალგაზრდობა“.	სტუ, 11 დეკემბერი 2024 წელი თბილისი	ნ.კაკაბაძე, ნ.მებონია, გ.ალანდია
3	კარტოფილის მდგრადი განვითარების გზები.	იგივე, რაც 2	იგივე, რაც 2	ნ.კაკაბაძე, მ.მგალობშვილი, ს.გაბოძე.
4	Scientific Research and Experimental Development	International Scientific Conference	January 11-12, 2024 London.	ნ.კაკაბაძე, ო. ხარაიშვილი, ლ.ბაიდაური. დ.ბაიდაური, ქ.ბერიაშვილი მ.გლუნჩაძე
5	«Modern scientific technology	International Scientific Conference	April 4-5, 2024. Stockholm, Sweden,	N.KAKABADZE O.KHARAIHVILI L.ABASHIDZE L.GVENETADZE N.MEBONIA L.BAIDAURI

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

ნ. კაკაბაძე მონაწილეობს ხილ-ბოსტნეულის, კარტოფილის, პარკოსანი და ბალჩეული კულტურების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიების კვლევაში, ჯიშთა გამოცდაში, ახდენს სელექციურ მიღწევათა პოპულარიზაციას. მონაწილეობა მიიღო როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონფერენციებში, ბაკალავრებისა და მაგისტრანტების თანამონაწილეობით გამოაქვეყნა 5 სამეცნიერო სტატია საქართველოში, 3 სამეცნიერო სტატია უცხოეთში.

ვ. სუხიშვილი აქტიური მონაწილეობას იღებს რეგიონში ბოსტნეულის, ბალჩეულის, მწვანე ხაჭაპურის და მეკარტოფილეობის მიმართულებით განვითარებაში. ფერმერებს აწვდის ინფორმაციებს საბოსტნე მეურნეობების მოწყობის ტექნოლოგიაზე. აგრეთვე ხელს უწყობს ახალი წიგნებისა და ბროშურების გამოცემის საქმეს მებოსტნეობის მიმართულებით.

პ.ვაჩიშვილი მუშაობს საპარკე და სამარცვლე პარკოსან კულტურებზე, მათ სელექციაზე და პირველად მეთესლეობაზე, მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებზე. ამ მიმართულებით გამოაქვეყნა ორი სამეცნიერო სტატია.

დ. ჩაჩანიძე ატარებს ბიოლოგიური პრეპარატების გამოცდას სხვადასვა ბოსტნეულ კულტურებზე და პესტიციდების გამოყენებლად ზრდის ეკოლოგიურად უსაფრთხო ბოსტნეულის პროდუქციის წარმოებას ბიოსასუქების: ორგანიკა, ფიტოკატანა, ბიოკატანა და სხვ. გამოყენებით, ატარებს ტრენინგებს ბიომიმართულებით ფერმერთა ცნობიერების დონის ასამაღლებლად.

ნ. ალავერდაშვილი მუშაობს ბოსტნეულის მოსავლის აღების შემდგომ დამუშავებაზე შიდა ქართლის რეგიონში.

გ. გოდერძიშვილი - ჩართული იყო ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებში და კონსულტაციას უწევდა, როგორც ჯგუფის წევრებს, ისე მეზოსტნე ფერმერებს, როგორც ბიოლოგიური მეთოდებით, ისე ქიმიური პრეპარატების გამოყენებით ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მიღებაში.

5. პედაგოგიური საქმიანობა

ნ. კაკაბაძე - სტუ-ში ატარებს მეცადინეობებს საგნებში: 1. მეზოსტნეობა, 2. სასათბურე მეურნეობების ექსპლუატაცია და მართვა, 3. ხილ-ბოსტნეულის პირველადი დამუშავება-შენახვა. ხელმძღვანელობს მაგისტრანტებს. არჩეულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრად.

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

ნ. კაკაბაძე - რეცენზირებული იქნა ქუთაისის ა.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის 2024 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში.

10. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები.

ნ. კაკაბაძე არის ჟურნალ „აგრარული საქართველო“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ელექტრონული სამეცნიერო საწარმოო ჟურნალი „აგროეკოინფო“-ს რედკოლეგიის წევრი. ვ. სუხიშვილი - გორის უნივერსიტეტის რექტორი. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1.6. მცენარეთა დაცვის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი დოქტორი შაქრო ყანჩაველი)

ჯგუფის შემადგენლობაში არის 10-წევრი, აქედან ერთი - აკადემიკოსი, სამი - მეცნიერებათა დოქტორი და ექვსი - აკადემიური დოქტორი რომლებიც სამეცნიერო მუშაობას ეწეოდნენ, როგორც თავიანთ სამსახურებში პროექტების შესრულებაში, ასევე კოორდინატორთა ჯგუფში არსებულ პრობლემურ საკითხებზე.

ჩატარებული იქნა ფერმერებისათვის ონლაინ-სემინარები და ტრენინგები, როგორც აკადემიაში ასევე ადგილებზე, მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის თანამედროვე საკითხებზე. მოძიებული იქნა ინფორმაცია, ქვეყანაში შემოტანილი ახალი პესტიციდების შესახებ, რომელიც გაცნობილი იქნა ფერმერებისათვის ადგილზე. გათვალისწინებული იქნა ის შენიშვნები, რომლებიც გამოთქმული იყო ფერმერების მიერ.

წარმოებაში გამოსაყენებლად რეკომენდაცია მიეცათ იმ პესტიციდებს, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნულ მოთხოვნებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია მოქმედების ფართო სპექტრი და ხარჯვის დაბალი ნორმებით იძლევიან მაღალ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ეფექტურობას, წამლობათა ჯერადობის შემცირების საშუალებას, ნაკლებად ტოქსიკურებია და ხელს შეუწყობენ ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღებას. საერთოდ ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღება კი თავისუფლად შესაძლებელია მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის მეთოდის გამოყენებით. ამიტომ ფერმერებთან შეხვედრის დროს მათ ურჩევდით მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდის გამოყენებას.

ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მიზნით პესტიციდების სახელმწიფო კატალოგიდან, 2015 წლიდან ამოღებული იქნა 204 პესტიციდი. ამასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ცვლილებების შეტანა მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის სისტემებში. საანგარიშო წელს დაზუსტებულია და შემუშავებულია ვაზის, ხეხილის, ციტრუსების, სიმინდის, ხორბლის, კარტოფილის, პამიდორის, ბადრიჯნის, კომბოსტოს, ხახვისა და გოგროვნების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის ეფექტიანი ინტეგრირებული სისტემები, რომლებიც დაფუძნებულია თვითმარეგულირებელი მექანიზმების მაქსიმალურ გამოყენებაზე, რაც გულისხმობს მავნე მწერების ბუნებრივი მტრების მაქსიმალურ გამიყენებას და მათ საფუძველზე, აქტიურ, მტაცებლური, პარაზიტულ თუ ინფექციურ საწყისზე, ახალი ბიოპრეპარატების და პრეპარატული ფორმების შექმნას და გამოყენებას. აღნიშნულ სისტემებში გაზრდილია მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური მეთოდის ხვედრითი წილი, რისთვისაც აუცილებელია აგროცენოზში ფიტოსანიტარული მდგომარეობის შეფასება, მავნეობის ეკონომიკური ზღვრების განსაზღვრა და მათ საფუძველზე ბრძოლის ღონისძიებათა გატარება. აღნიშნულ სისტემებში უპირატესობა ეძლევა მავნე ორგანიზმების ბიოლოგიურ რეგულირების ეფექტურობის დადგენას და არა ქიმიურ საშუალებებს.

კვების პროდუქტების პესტიციდებით დანაგვიანების თავიდან ასაცილებლად შემოღებულია ყველა იმ საშუალების ზუსტი აღრიცხვა, რომლებიც პესტიციდებითა და მიკრობიოლოგიური პრეპარატებით ტარდება სას.სამ. კულტურების ნათესაებსა და ნარგავებში.

შემუშავებულია ახალი პესტიციდების კონტროლის მეთოდები, რომელთა საშუალებით შეიძლება სას. სამ. პროდუქტებში პესტიციდების ნაშთის განსაზღვრა და მის საფუძველზე ჰიგიენური ნორმატივების შემუშავება.

შემუშავებული და დაზუსტებულია მცენარეული პესტიციდების დამზადების ხერხები, ისინი შეიძლება დამზადდენ ნაყენისა და ნახარშის სახით.

შესწავლილია მცენარეთა მავნე ორგანიზმების მიმართ, იმუნიტეტის ზოგიერთი საკითხები, კერძოდ კომპლექსური იმუნიტეტი.

შპს „ბიოაგროს“ თანამშრომლებთან ერთად გამოვლენილია სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსული შტამები, რომლებზედაც შესაძლებელია დამზადდეს ბიოლოგიური პრეპარატები.

მცენარეთა დაცვის დარგობრივი ჯგუფის წევრები: შ. ყანჩაველი და ზ. ხიდუშელი, სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შეყვანილი იყვნენ სამუშაო ჯგუფში, რომლებმაც ჩაატარეს თხილნარების ფიტოსანიტარული გამოკვლევა, დასავლეთ საქართველოში. გამოვლენილია ფიტოპათოგენური ბაქტერიები, რომლებიც იწვევენ თხილის ხმოზას. გამოცდილია საქართველოში წარმოებული ახალი ბიოენერგოაქტივატორები, მათ შორის საუკეთესოებს მიეცათ რეკომენდაცია წარმოებაში გამოყენებისათვის, რომლითაც შესაძლებელია, როგორც მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა, ასევე მოსავლიანობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა.

მცენარეთა ბაქტერიული დაავადებების მიმართ გამოცდილია ანტიბიოტიკები, ანტაგონისტები, ფიტონციდები და ბაქტერიოფაგები.

შემუშავებულია მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა სისტემა დახურული გრუნტისათვის.

ჯგუფის წევრები ეწეოდნენ საპროფესორო და პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ისინი ასევე ხელს უწყობდნენ მცენარეთა დაცვაში მეცნიერული მიღწევების დანერგვას და გავრცელებას ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებში.

ჯგუფის წევრების რედაქტორობით გამოცემულია 2-წიგნი. რეცენზირება ჩაუტარდა 3-წიგნს, აქედან ძალიან მნიშვნელოვანია 700 გვერდიანი მიკოლოგიური კოლექციის კატალოგი, ის ეხება მცენარეთა დაცვის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის ჰერბარიუმს, რომელიც შეგროვილია 1857-2018 წლებში და მოიცავს მრავალი სახეობის მცენარეს და პათოგენს. რეცენზირება გაუკეთდა ასევე 3-სადისერტაციო ნაშრომს, 2-სამაგისტრო თემას და 7-სამეცნიერო სტატიას. მომზადებულია და სტამბაში ჩაშვებულია გამოსაცემად წიგნი - „მცენარეთა ბიოლოგიური დაცვა“.

ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 2-საერთაშორისო და 3-რესპუბლიკურ კონფერენციებში. გამოქვეყნებულია 17-სამეცნიერო შრომა, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო გამოცემებში. გაცემულია პასუხები აკადემიაში შემოსული ფერმერების შეკითხვებზე.

ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ქ.თბილისისა და მისი შემოგარენის მწვანე ნარგავების ფიტოსანიტარულ გამოკვლევაში. გამოვლენილია, როგორც ფოთლოვანების ასევე წიწვოვნების

ძირითადი მავნე ორგანიზმები და შემუშავებულია მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებები, რომელშიც დიდი ადგილი დათმობილი აქვს მცენარეთა დაცვის ბიოლოგიურ მეთოდს.

ჯგუფის წევრთა სხდომაზე განხილული იქნა ახალი პესტიციდების რეგისტრაციის და გამოცდების საკითხი და აღინიშნა, რომ გასულ წლებთან შედარებით გაიზარდა შემოტანილი და ადგილზე წარმოებული ბიოლოგიური პრეპარატების რაოდენობა.

1.7. მიწათმოქმედების მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები დოქტორები ნიკოლოზ კიკნაველიძე და გიორგი ბოლღაშვილი)

„მარცვლეული კულტურების წარმოების გაზრდის უზრუნველსაყოფად და მეთესლეობის დასაწყებად“ ქვეყნის მასშტაბით ჯგუფის მიერ მოიძიებული იქნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. საერთო ფართობი 1000 ჰექტრამდე. ზოგიერთ ფართობებს, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში ყოველგვარი დოკუმენტაციის, სახელმწიფოსთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე იყენებენ ფერმერები. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო მოთგან ვერნაირ სარგებელს ვერ იღებს. ჯგუფის უშუალო ჩართულობით, FAO-ს წარმომადგენლობა და დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერი გაბრიელ ძევისაშვილი დავაკავშირეთ ერთმანეთს, რათა ბატონი გაბრიელ ძევისაშვილის სარგებლობაში არსებულ ფართობებში FAO-ს ორგანიზაციის დახმარებით დაიგეგმოს და შემდგომ დაითესოს NO Till - ის ტექნოლოგიით ხორბალი მცხეთის სოფელ მუხრანში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის თემში.

სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო იწყებს ახალ პროგრამას სახელწოდებით „ქართული ბოსტნეული საქართველოდან,“ შესაბამისად ის ხალხი, რომლებიც დღემდე ექსტენციით ვართ დაკავებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ვახორციელებთ, პროგრამა „დანერგე მომავალთან“ ერთად აღნიშნული პროგრამების გაცნობას. ამასთან ერთად, იმისათვის, რომ ქვეყანაში გაიზარდოს ზამთარში წარმოებული პროდუქტები ქვეყანამ უნდა დაიწყოს ენერგოეფექტური სათბურების ფართომასშტაბიანი მშენებლობა. ასევე, სოფლის მეურნეობის აკადემიასთან ერთად დაყენებულ უნდა იყოს საკითხი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზამთარში წარმოების გაზრდის მიზნით, სასათბურე მეურნეობებში გამოსაყენებელი გაზი იყოს სუფსიდირებული და პროდუქციის მწარმოებელ ფერმერებს მიეწოდოს შეღავათიან ფასად. კომერციული ტარიფით გაზის მიწოდება, სადაც გაზის დისტრიბუცია სატარიფო განაკვეთით 22 თეთრით არის განსაზღვრული პირდაპირ კლავს ზამთრის პროდუქტების სამამულო წარმოებას.

ოქტომბერში თათია ხოსიტაშვილმა ქვემო ქართლსა და კახეთის რეგიონში გააკეთა მოხსენება - “აგროტესტების მცველები ბიომრავალფეროვნების, აგრობიომრავალფეროვნების, ეკოსისტემური სერვისებისთვის და კლიმატის ადაპტაციისთვის“, რაც მიზნად ისახავს ძველი ბოსტნეულის ტრადიციული ჯიშებისა და სახეობების თესლის დაცვის, აგრო-ბიომრავალფეროვნების, ჯანსაღი საკვების მრავალფეროვნების, სასურსათო უსაფრთხოებისა და ეკოსისტემური სერვისების გაუმჯობესებას.

1.8. სასოფლო-სამეურნეო ეკოლოგიის მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები: აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი და დოქტორი მაია მელაძე)

ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა სულ 6 წევრი: მაია მელაძე (კოორდინატორი) - სოფლის მეურნეობის დოქტორი; გიორგი მელაძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი; მარიკა ტატიშვილი - ფიზ.-მათ. დოქტორი; გიორგი წინწკალაძე - ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი; მიხეილ ფიფია - გეოგრაფიის დოქტორი; ნაილი კაპანაძე - ფიზ.მათ. დოქტორი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის, ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	ავტორი/ავტორები, დასახელება	გამომცემლობა, ტომი/ნომერი, გვერდების რაოდენობა
1	Meladze G., Meladze M. Climate change: agroclimatic zoning of grape varieties in Eastern Georgia (on the example of Mtskheta-Mtianeti)	Pressing problems in hydrometeorology and ecology dedicated to the 100 th anniversary of the Georgian Technical University, vol. 135, 2024, pp. 44-49 DOI.org/10.36073/1512-0902 ISSN 1512-0902
2	მელაძე მ., მელაძე გ. წყინვების გავლენა აგროკულტურებზე და მისი პროგნოზი აჭარის ტერიტორიაზე	საქართველოს ა.ჯავახიშვილის სახ. გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. IV (XXII), 2024, გვ. 127-134, ISSN 2587-5450
3	მელაძე მ., მელაძე გ., კაპანაძე ნ., ფიფია მ. გვალვების გავლენა საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონების აგრარულ სექტორზე	კონფერენციის „კომპლექსური გეოფიზიკური მონიტორინგი საქართველოში: ისტორია, თანამედროვე პრობლემები, ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა“ მასალები. თსუ, სტუ, 2024, გვ.72-75
4	მელაძე მ. აგრომეტეოროლოგია და აგროკლიმატოლოგია (სახელმძღვანელო)	გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2024, გვ. 360, ISBN 978-9941-33-682-9
5	მელაძე გ., მელაძე მ., და ავტორთა ჯგუფი. საქართველოს ჰავა. 9. ქვემო ქართლი, აგროკლიმატური რესურსები (მონოგრაფია)	სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, ტ.134, 2024, გვ.165, ISSN 1512-0902
6	ტატუშვილ მ., მელაძე მ., მელაძე გ., ხოჭოვეანიძე ნ. ამინდის და კლიმატის შესწავლა ანსამბლური მეთოდის გამოყენებით	გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, 2024, გვ. 270 ISBN 978-9941-9894-7-9
7	L.G. Eprikashvili, T.N. Kordzakhia, M.G. Zautashvili, N.V. Pirtskhalava, M.A. Dzagania, G.P.Tsintskaladze Effect of zeolite modification on their adsorption properties.	Chemistry, Physics and Technology of Surface, 2024, v.15, #1, p.77-85.
8	T.N.Kordzakhia, M.G.Zautashvili, N.V.Pirtskhalava, M.A.Dzagania, G.P.Tsintskaladze, T.V.Sharashenidze, A.G.Rakviashvili New sorbents determining the quality of alcoholic beverages by chromatographic analysis.	Chemistry, Physics and Technology of Surface, 2024, v.15, #4, p.500-5-6. https://cpts.com.ua/index.php/cpts/article/view/747
9	G.P.Tsintskaladze, T.N.Kordzakhia, T.V.Sharashenidze, M.G.Zautashvili, G.M.Beridze, V.M.Gabunia, I.R.Javakhishvili Prospects for the use of pumice from Georgia in lightweight concretes.	Chemistry, Physics and Technology of Surface, 2024, v.15, #4, p.507-513. https://cpts.com.ua/index.php/cpts/article/view/748

2.პატენტი, ახალი ჯიშების რეგისტრაცია

ჯგუფის წევრების მიერ საქპატენტში შეტანილია ერთი განაცხადი:

#	გამოგონების/ჯიშის დასახელება, თარიღი	ავტორი
	“ცეოლითურდანამატიანი სამშენებლო-სარესტავრაციო კირის ნანოდულაბი”, 2024წ.	გ.წინწკალაძე, თ. კორძახია, თ.შარაშენიძე, მ. ზაუტაშვილი, მ. ნადირაშვილი, ქ. ბენაშვილი

3. კონფერენციებში მონაწილეობა

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებლები
1	კლიმატის ცვლილება: ვაზის ჯიშების აგროკლიმატური ზონირება მცხეთა-მთიანეთის მაგალითზე	„ჰიდრომეტეოროლოგიისა და ეკოლოგიის პრობლემები“	27 მაისი, 2024	მელაძე მ., მელაძე გ.
2	გვალვების გავლენა ქართლის რეგიონის სოფლის მეურნეობაზე	კონფერენცია „კომპლექსური გეოფიზიკური მონიტორინგი საქართველოში:“	17-19 ოქტომბერი, 2024	მელაძე მ., მელაძე გ., კაპანაძე ნ., ფიფია მ.

3	Remediation of oil-contaminated soils with Georgian zeolitic nanoporous materials.	XII International Scientific-Technical Conference "Advance in Petroleum and Gas Industry and Petrochemistry" (APGIP).	20-24 May, 2024	M.Dzagania
4	New sorbents determining the quality of alcoholic beverages by chromatographic analysis.	conference "CHEMISTRY, PHYSICS AND TECHNOLOGY OF SURFACE"	29-30 May, 2024, Lviv	T.Kordzakhia
5	Prospects for the use of pumice from Georgia in lightweight concretes.	იქვე	29-30 May, 2024, Kyiv	G.Tsintskaladze
6	Environmental pollution and prospects for utilization of natural zeolites of Georgia.	10th Intern. conf. Problems of Geo-logy: „THE DEVELOPMENT OF MINING AND GEOLOGY”	26-27 September, 2024, Tbilisi	A.Rakviashvili

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

მაია მელაძე - კვლევები ეხება აგროკლიმატური რესურსების სრულყოფილ შეფასებას და მათ ეფექტიანად გამოყენებას, აგროკულტურების გაადგილების ხელსაყრელ აგროკლიმატურ ზონირებას, არსებული აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების მეთოდების გაუმჯობესებასა და გლობალური დათბობის ფონზე კლიმატის ცვლილების ტენდენციების გათვალისწინებით, აგროკულტურების გავრცელების აგროეკოლოგიური ზონების ტრანსფორმაციის გამოვლენას.

გიორგი მელაძე - კვლევები ეხება აგრომეტეოროლოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის პერსპექტივებში აქტუალურ სასოფლო - სამეურნეო წარმოების აგრომეტეოროლოგიურ მომსახურებასა და მისი განხორციელების სისტემების აგრომეტეოროლოგიურ უზრუნველყოფას, აგროკულტურების მოწყვლადობის შეფასებას.

მარიკა ტატიშვილი - ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების დინამიკის და კლიმატური თავისებურებების შესწავლა საქართველოს რეგიონებისთვის; საშიში და კატასტროფული ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესწავლა კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე; დედამიწის სადამკვირვებლო მისიის თანამგზავრების ინფორმაციის გამოყენება ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების და მწვანე საფარის მონიტორინგისთვის (NDVI); ატმოსფეროს პერიოდული ოსცილაციების გავლენა ამინდზე და კლიმატზე საქართველოს პირობებისათვის; ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების (NBS) შეფასება კატასტროფების რისკის შემცირებისთვის (DRR).

გიორგი წინწკალაძე - არის ორი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

1. ბუნებრივი ცეოლითების ანიონური ფორმები, მათი მიღება, თვისებების შესწავლა და გამოყენების პერსპექტივები“ – ძირითადად ეხება ახალი ცეოლითური მრავალფუნქციური, პროლონგირების უნარის მქონე სასუქებს, რომელიც გამდიდრებულია PO_4^{3-} , NO_3^- აგრეთვე NH_4^+ და K^+ იონებით.

2. არქიტექტურისა და კულტურის ძეგლებში გამოყენებული დუღაბების, აგრეთვე მსგავსი შემადგენლობის ცეოლითურ-დანამატიანი დუღაბის მიღება და ქიმიურ-მექანიკური მახასიათებლების კვლევა.

ნაილი კაპანაძე - მონაწილეობს კლიმატის ცვლილების პრობლემებთან დაკავშირებულ საქმიანობაში. მომზადებული იქნა კლიმატის ცვლილებასთან საადაპტაციო პროექტი მზის ენერჯის გამოყენებით გარე კახეთში სარწყავი სისტემის რეაბილიტაციისთვის.

მიხეილ ფიფია - არის ინსტიტუტის დირექტორი. როგორც მკვლევარი, მონაწილეობს კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის პროექტის სამუშაოებში, რომელიც ეხება საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების კლიმატის, კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების კვლევას.

5. პედაგოგიური საქმიანობა

მაია მელაძე სტუ-ში ატარებდა ლექციებს საგნებში: აგრომეტეოროლოგია და კლიმატოლოგია; ამინდი და კლიმატი აგრონომიაში; სატყეო მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია; გლობალური ცვლილებები; აგროკლიმატოლოგია; მთის კლიმატი და აგრომეტეოროლოგიის საფუძვლები; მთის აგროეკოლოგიის საფუძვლები; მთაში კლიმატური ცვლილებები და მითიგაცია; (ბაკალავრიატი) ფიტოკლიმატოლოგია; აგროკლიმატური რესურსები (მაგისტრატურა). ხელმძღვანელობდა 3 მაგისტრანტს.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

მ.მელაძე, გ.მელაძე, მ.ფიფია - საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონების კლიმატის, კლიმატური და აგროკლიმატური რესურსების კვლევა (ქვემო ქართლი) (2024-2025).

მ.ტატიშვილი - ატმოსფეროს ცირკულაციური ანომალიების გავლენა ამინდზე და კლიმატზე მათი პერიოდულობის გათვალისწინებით საქართველოს პირობებისათვის (2022-2026).

გ. წინწკალაძე - არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული გრანტის FR-22-10840 სამეცნიერო ხელმძღვანელი.

ნ.კაპანაძე - „საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული სტიქიური მოვლენების რისკების შეფასება კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე“ (2023-2027).

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

მაია მელაძე - რეცენზირებული იქნა ეკოფიზიოლოგიის სამსახურის მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევითი სამუშაოების ანგარიში და გაცემული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები. შეფასებული იქნა დისერტანტის მზია ლობჯანიძის თემა - „სამკურნალო, არომატული, სანელებელი და საღებარი მცენარე თავშავას (*Origanum Vulgare*) ბიომრავალფეროვნება, ბიოლოგიური თავისებურებანი, ქიმიური შედგენილობა და გამოყენება“) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

- ✓ მაია მელაძე - ჟურნალ „Agriculture and Food“ სარედაქციო საბჭოს წევრი;
- ✓ მიხეილ ფიფია, მაია მელაძე - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „კომპლექსური გეოფიზიკური მონიტორინგი საქართველოში: ისტორია, თანამედროვე პრობლემები, ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა“ სამეცნიერო კომიტეტის და სარედაქციო საბჭოს წევრები;
- ✓ მაია მელაძე, მიხეილ ფიფია, მარიკა ტატიშვილი, ნაილი კაპანაძე - სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა კრებულის 2024 წლის ნომრის სარედაქციო კოლეგიის წევრი.
- ✓ მაია მელაძე - მიწვეული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრად: 1. დისერტანტი თ.ჭიჭინაძე (თემა - გეოპარკის დაგეგმარება და მისი პერსპექტივები კავკასიაში რაჭის რეგიონის მაგალითზე); 2. დისერტანტი გელა სანდოძე (თემა - გარემოზე ზემოქმედების შეფასების გეოგრაფიული საფუძვლები);

1.9. აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი რეზო ჯაბნძიძე)

ჯგუფის მიერ, შედგენილი გეგმის მიხედვით, ჩატარდა სამი სხდომა, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ერთობლივი ხელშეკრულების საფუძველზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-

სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებულ ვაზის სასუფრე ჯიშებზე (11 ჯიში) განხორციელდა ფენოლოგიური დაკვირვებები, ასევე სამეურნეო - ბიოლოგიური და აგროტექნოლოგიური თავისებურებების შესწავლა. მცენარეებზე განვითარებული მავნებელ - დაავადებათა მონიტორინგი, გამოვლენა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ღონისძიებების გატარება. სხდომას ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს პროექტის ხელმძღვანელებმა-რეზო ჯაბნიძემ, შოთა ლამპარაძემ და ნოდარი ბერიძემ. სიტყვით გამოვიდა გვარა-ხუცუბნის სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობის ხელმძღვანელი ბატონი რომან ჩხაიძე და მთავარი აგრონომი გურამ ცინცაძე.

მეორე მრგვალი მაგიდის სხდომა მიემდგინა თემას, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივებს და საექსპორტო პოტენციალს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოხსენებები გააკეთეს პროექტის ხელმძღვანელებმა პროფ. ნატო ჯაბნიძემ და გულადი თხილაიშვილმა. აღნიშნეს, რომ პროგრამა მიმდინარეობს მესამე წელია და მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული. ჩატარდა გამოკითხვა აჭარის ეკომეგობრული პროდუქციის წარმოებაზე, ძირითადი დარგების შესაბამისად მცირე, საშუალო და მსხვილი მეურნეობების მფლობელების, ასევე მათი საქმიანობის სფეროს შესახებ. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე შესწავლილი იქნა მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება.

ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვარტალურად ინფორმაცია მიეწოდებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას.

ოქტომბრის თვეში ჩვენთან იმყოფებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, რომელმაც მოინახულა, ფერმერების როდამ ოქროპირიძისა და ლადო ბასილაძის ლურჯი მოცვის პლანტაციები, სადაც წლის დასაწყისში მოხდა აღნიშნული მცენარეების შეწამვლა ნიმის ზეთით, მასთან ერთად იმყოფებოდნენ ბსუ-ს აგრარული სკოლის დირექტორი, სოფლის მეურნეობის აკადემიურ დოქტორ მამუკა თურმანიძე, პროფესორი შოთა ლამპარაძე, დოქტორანტები: დავით ზოიძე და გიგა დათუნაიშვილი. მონიტორინგმა აჩვენა, რომ ჩატარებული ცდების შედეგად მიღებული ეფექტი დამაკმაყოფილებელია. კვლევები მომავალშიც გაგრძელდება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის სახელობის აუდიტორიაში ჩატარდა მისადმი მიძღვნილი 110 წლის იუბილესთან დაკავშირებით ღონისძიება, სადაც ესწრებოდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები. სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოს მამია გოგოლიშვილის აღზრდილები: აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე, პროფესორები შოთა ლამპარაძე, ნოდარი ბერიძე, მამუკა თურმანიძე, სადაც ისაუბრეს მის დიდ დამსახურებაზე აგრარულ დარგში და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

მრგვალი მაგიდის სხდომაზე აღინიშნა, რომ 2025 წელს სრულდება აჭარაში პირველი აგრარული კერის ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის და 1994 წელს მის ბაზაზე შექმნილი საუ-ს ბათუმის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსებიდან 100 წლის იუბილე. გადაწყდა, რომ ეთხოვოს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას აღნიშნული იუბილის მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარება.

1.10. მიწათსარგებლობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი პროფესორი ანზორ მესხიშვილი)

საქართველოს პარლამენტმა გამოსცა წიგნი „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია და ბოლო ათწლეულის განვითარების ტენდეციები“. წიგნში მოცემულია **ა.მესხიშვილის** ზოგიერთი მონაცემი, ასევე გაზეთ “რეზონანს“-ში ქვეყნდებოდა მისი ინტერვიუები მიწათსარგებლობის საკითხებზე. 2024 წლის 15 აგვისტოს გაზეთ „ბორჯომში“ გამოქვეყნდა წერილი „ანზორ მესხიშვილი ქართული მიწის ერთგული გუმბაგი“. გამოიცა ა.მესხიშვილის მონოგრაფია „მიწის რეფორმა სახელმწიფო მონოპოლიტიდან კერძო საკუთრებამდე“ პროფესორ ალექსანდრე სიჭინავასთან და პროფესორ დალი სეხნიაშვილთან თანაავტორობით „ივერიონი“ გამოსცა გადამუშავებული წიგნი: „ბახმარო - საქართველოს მომავალი“, ის თანამშრომლობდა გამომცემლობასთან „ივერიონი“ მიწათსარგებლობის საკითხებზე. საქართველოს ტექნიკურ

უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს: „საქართველოს მიწის სამართლებრივი რეგულირების საკითხები“, იყო სადოქტორო დისერტციების ოპონენტი. არის ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობა“-ს რედკოლეგიის წევრი. ჟურნალ „აგრარულ-ეკონომიური მეცნიერება და ტექნოლოგიები“ რედკოლეგიის წევრი, შ.პ.ს. „პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი“-ს მთავარი კონსულტანტი. მიწათსარგებლობის საკითხებში.

**II. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება
განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი ლაშა დოლიძე**

2.1. გარემოს დაცვის მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსი რევაზ ჩაგელიშვილი და აკადემიის სტიპენდიატი ზვიად ტიგინაშვილი)

გარემოს დაცვის დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 7 წევრი: სსმმა აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, ს/მ დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი - აკადემიის სტიპენდიატი, ბიოლოგიის დოქტორი ხათუნა წიკლაური - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსი; ავთანდილ მიქაბერიძე - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის, ტყისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; არსენ ჩინჩალაძე - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე; შალვა ნოზაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; ნოდარი ბერიძე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ტყის აღრიცხვის დეპარტამენტის, ტყის ინვენტარიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	მაღალმთიანი აჭარის სოჭის ტყის ეკოსისტემების ბუნებრივი გავრცელების სარტყელში სოჭნარი ტყის ეკოსისტემების ძირითად ფორმაციები და მათში ბუნებრივად გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარეების ბოტანიკური, სამკურნალო და სხვ. სასარგებლო თვისებების დახასიათება.	ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, N. 1; 2024 წ; (51); გვ. 117 -124
2	ტყის კულტურების სიხშირის, ხნოვანების და შემადგენლობის გავლენა ზედაპირული ჩამონადენის რაოდენობის ცვალებადობაზე; დახასიათება.	ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე N. 1; 2024 წ; (51); გვ. 110 – 113
3	ტყის ეკოსისტემებში სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების პროცესებთან ბრძოლა ხანძარ-საწინააღმდეგო დანიშნულების მინერალიზებული ზოლების და თხრილების საშუალებით.	ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, N. 1; 2024 წ; (51); გვ. 114 – 116.
4	საქართველოში მერქნული საწვავით უზრუნველყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ.	ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე N. 2; 2024 წ; (52); გვ. 49 – 52.
5	საქართველოში მერქნულ საწვავზე მომხმარებელთა ძირითადი კატეგორიები და მერქნული საწვავის დამზადების ტექნოლოგია.	ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე N. 1; 2024 წ; (52); გვ. 52 – 56.

6	საქართველოს სატყეო სექტორის განვითარება - მოდერნიზაციის ძირითადი მიმართულებები.	ჟურნალი: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.(bulletin, N. 2; 2024 წ; (52); გვ. 56 – 60.
7	თუშეთის დაცული ლანდშაფტის არყის ტყეებში დაქვემდებარებული სართულის ნახშირბადის მარაგების შეფასება და მისი გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებებზე	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები 22-24 მაისი, 2024, თბილისი, თეზისების კრებული ISSN 978- 9941-33-775-8
8	საქართველოს ტყეებში არსებული ნახშირბადის მარაგი და ნახშირბადის დიოქსიდის ემისია ტყის ნიადაგების ზედაპირიდან	სსმმა მოამბე (სამეცნიერო შრომათა კრებული) № 1 (51). ISSN 1512-2743
9	Growth and Carbon Sequestration Potential of Tbilisi City Forest Under Cli-mate Change Conditions (South Caucasus)	- Vol. 21 No. 1: The Journal of Nature Studies - Annals of Agrarian Science
10	Earthworms (Oligochaeta: Lumbricidae) of Georgia, Caucasus: distribution and Biodiversity, M.KOKHIA, O.GORGADZE, K. TSIKLARI, M.LORTKIPANIDZE, D.NEBIERIDZE1 & MADONA KUCHAVA	Zootaxa 5512 (2) 2024: 209–221;
11	ენციკლოპედია „საქართველო“, ინფორმაცია დაცული ტერიტორიების შესახებ	ტომი 5, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობით მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 400 გვ., 2024 წ.,

3. კონფერენციებში მონაწილეობა

ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	თუშეთის დაცული ლანდ-შაფტის არყის ტყეებში დაქვემდებარებული სართულის ნახშირბადის მარაგების შეფასება	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ”მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები”, თბილისი	22 – 24 მაისი, 2024	მონაწილე
2	ბათუმის ბულვარის მცენარეულობის მკვლევარი მწერები, სოკოები და დაავადებები და რეკომენდაციები	ბათუმის ბულვარის მეორე საერთაშორისო კონფერენცია“ „II international conference of Batumi Boulevard“, ბათუმი, საქართველო	15-16 ნოემბერი,	ბ. წიკლაური, ნ. ლეონიძე, გ. მეფარიშვილი ები
3	„საქართველოს დაცული ტერიტორიებზე გავრცელებული ინვაზიური სახეობების მიმოხილვა“	ბათუმის ბულვარის მეორე საერთაშორისო კონფერენცია“ „II international conference of Batumi Boulevard“, ბათუმი, საქართველო	15-16 მარტი, 2023 წ;	ბ. წიკლაური

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

სსმმა აკადემიკოსი ლ. დოლიძე: (იხილეთ სამეცნიერო განყოფილების ანგარიშში); სოფლის მეურნეობის დოქტორი ზ. ტიგინაშვილი: (იხილეთ განყოფილების ანგარიშში); ბიოლოგიის დოქტორი ბ. წიკლაური: ტყის ფიტოპათოლოგიური კვლევები შემდეგ ტერიტორიებზე: „თუშეთის დაცული ტერიტორიები“, შპს „იორის რესურსების სამონადირეო მეურნეობაში“ და „დიდმის ჭალაში“.

5.საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ჯგუფის წევრებიდან 3 ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას: ზ.ტიგინაშვილი სტუ-ში კითხულობდა ლექციებს საგნებში: სატყეო ტაქსაცია, ტყეთმომწეობა, დენდრომეტრია, დაცული ტერიტორიები და ეკოტურიზმი (ბაკალავრიატი), ტყის ფონდის აღრიცხვა შეფასება ტაქსაციის თანამედროვე მეთოდებით (მაგისტრატურა), სატყეო რესურსების ეფექტიანი გამოყენება (დოქტორანტურა), ატარებდა საველე პრაქტიკას. ნოდარი ბერიძე - სტუ-ში უძღვებოდა ტყემცოდნეობის, დენდროლოგიისა, და აგრომეტყევეობის პრაქტიკულ კურსებს, ხოლო ხწიკლაური ატარებდა ტრენინგს „წყალმემკრები აუზები და ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისათვის აშშ-ს სატყეო სააგენტოს და არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-თან კოლაბორაციაში.

6.მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ზ.ტიგინაშვილი: ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CBHE პროექტი „საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება (DUGEOR)“ 2023 – 2026. პროექტის პარტნიორები უცხოეთიდან: სერბეთი - ბიზნესის აკადემია - წამყვანი უნივერსიტეტი; ავსტრია - FH Joanneum-ის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი; გერმანია - DHBW, ბადენ-ვიურტემბერგის კოოპერატივის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ხ.წიკლაური: ექსპერტი პროექტების: „დიდმის ჭალების ტყის ინვენტარიზაცია“ ფარგლებში ტყის პათოლოგიური კვლევა“, დამკვეთი შპს „GN consulting“; სამონადირეო მეურნეობის „იორის წალების ფიტოპათოლოგიური გამოკვლევები“; თუშეთის დაცული ტერიტორიების ტყის ინვენტარიზაცია“, ტყის ფიტოპათოლოგიური გამოკვლევები, შპს. „გეოგრაფიკი“; „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“, აჯამეთის აღკვეთილის, ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიები, იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების და მარიამჯვარის დაცული ტერიტორიების (მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი და ცივ-გომბორის აღკვეთილის), ერუშეთის ეროვნული პარკის და მარტვილის და ოკაცეს ბუნების ძეგლების მენეჯმენტის გეგმების შემუშავება“, SIDA, არასამთავრობო ორგანიზაცია ECOTONE, 2023-2024 წ. ნ.ბერიძე: 2024 წლის მაისიდან ივლისის ჩათვლით, იაპონიის მთავრობის ტექნიკური მხარდაჭერით დაფინანსებული ტრენინგ კურსი იაპონიაში.

7.სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

აკადემიკოსმა ლ. დოლოძემ ჩაატარა 6 წლიური ანგარიშის და ნაშრომის რეცენზირება ან რედაქტირება, ხოლო ხ. წიკლაური იყო რეცენზენტი თსუ-ს დოქტორანტის თამარ ჭიჭინაძის სადისერტაციო ნაშრომისა „გეოპარკის დაგეგმარება და მისი პერსპექტივები კავკასიაში რაჭის რეგიონის მაგალითზე“.

2.2. მეტყევეობის მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსი გიორგი გაგომიძე და დოქტორი გიორგი ქავთარაძე)

ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა 8 წევრი: ქავთარაძე გიორგი - სატყეო საქმის დოქტორი; სუპატაშვილი არჩილ - სოფლის მეურნეობის დოქტორი; ბურჯანაძე მედეა - ბიოლოგიის დოქტორი; მანველიძე ზურაბ - სოფლის მეურნეობის დოქტორი; გოგინაშვილი ნანი - ბიოლოგიის დოქტორი; კობახიძე ნატო - ბიოლოგიის დოქტორი; მეტრეველი ვასილ - დოქტორანტი; ძაძამია ლაშა - დოქტორანტი.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	Z. Bakhtiyorov, F. Chen, Y. Chen, Sh. Wang, H. Zhang, M. Hu, W. Yue, Sh. Habibulloev, G. Kavtaradze, M. Gurskaya, L. Agafonov, O.Rahmonov, C.Roibu, U. Akkemik, N. Köse, Ch. Norman., Historical drivers and future streamflow variations of the Kura River in the Western Transcaucasia region of Georgia: Analysis of tree-ring chronologies from 1720 to 2021	Palaeogeography, Palaeoclimatology, Palaeoecology (2024), https://doi.org/10.1016/j.palaeo.2024.112529
2	Chen, F., Bakhtiyorov, Z., Chen, Y., Wang, S., Zhang, H. L., Hu, M., Yue, W., Habibulloev, Sh., Kavtaradze, G. , Gurskaya M., Agafonov, L. Tree Ring Insight on Past and Future Streamflow Variations of the Kura River in Greater Caucasus Region.	Preprint, 2024. Available at SSRN 4812380. http://dx.doi.org/10.2139/ssrn.4812380
3	Kavtaradze, G. , Vachnadze, G., Chiburdanidze, K., Tiginashvili, Z., Avoiani, E., Karsimashvili, N., & Beria, D. Growth and Carbon Sequestration Potential of Tbilisi City Forest Under Climate Change Conditions (South Caucasus).	The Journal of Nature Studies - Annals of Agrarian Science, 21(1), 2024.
4	ქავთარაძე, გ. , ბასილიძე, ლ., ავოიანი, ე., მანველიძე, ზ. , აფციაური, ბ., გოგინაშვილი, ნ. , ბაჩილავა, მ., კობახიძე, ნ. უცხო მერქნიან მცენარეთა ინვაზია საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყის ჰაბიტატებში.	თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, ISBN 978-9941-8-6267-0, თბილისი, 2024 გვ. 280.
5	Burjanadze M. , Gorgadze O., Tarasco E., Kharabadze N., Manvelidze N. Entomopathogenic fungi and nematodes Isolated from soil of blueberry orchids in Georgia.	Microbial and Nematode Control of Invertebrate Pests IOBC-WPRS Bulletin Vol. 129, 2024. - pp. 43-46

3. კონფერენციებში მონაწილეობა

ჯგუფის წევრთა მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	ცოდნა და ინფორმაცია საქართველოს ტყის გენეტიკური რესურსების შესახებ და საერთაშორისო დონეზე ანგარიშგების გამოწვევები	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“	2024, 22-24 მაისი, თბილისი	გ.ქავთარაძე
2	Bover-Ge – Mycopenicide for the control of agricultural and forest pest insects	მე-6 ევროხმელთაშუაზღვის კონფერენცია გარემოსდაცვითი ინტეგრაციისთვის	15-18 მაისი, 2024 მარაკეში, მაროკო EMCEI	მ.ბურჯანაძე
3	Potential of pheromone and yellow stick traps for management <i>Tuta absoluta</i> in field and greenhouses	XX International Plant Protectio Congress	1-5, JULY 2024, ATHENS, GREECE	მ.ბურჯანაძე
4	Entomopathogenic fungi and nematodes Isolated from soil of blueberry orchids in Georgia.	საერთაშორისო კონგრესი „ენტომოპათოგენები და მიკრობული კონტროლი“, (EMC 24)	28-31 ოქტომბერი 2024, ტრაბზონი, თურქეთი	მედეა ბურჯანაძე სექციის თავჯდომარე

4.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

გ.ქავთარაძე საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტში ასრულებდა დირექტორის მოვალეობას. მ.ბურჯანაძის კვლევები მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1. მთიან აჭარაში გოდერძის უღელტეხილის წიწვოვანი ტყეებში მავნე ხემეშფრთიანების გამოვლენა და ზოგადად ბიომრავალფეროვნების შესწავლა (9 გამოვლენილი სახეობიან 4 პირველად არის აღნიშნული); 2. მოცვის ბაღებში გავრცელებული მვენე ენტომოფაუნის გამოვლენა და შესწავლა.

5.საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

გ.ქავთარაძე უძღვებოდა შემდეგ სასწავლო კურსებს: ბაკალავრიატის საფეხურზე - დაცული ტერიტორიები, ტყის მონიტორინგი და ექსპერტიზა; მაგისტრატურის საფეხურზე - სატყეო პოლიტიკა და კანონმდებლობა (ძირითადი); ტყის სერტიფიცირება. არის ორი სამაგისტრო და ორი სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი.

მ.ბურჯანაძე კითხულობდა სალექციო კურსებს მაგისტრატურაში: 1. მავნე ორგანიზმების ინტეგრირებული მართვა - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (საუ), სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი (სჯუ); 2. ბიოტექნოლოგია მცენარეთა დაცვაში - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (სტუ); 3. მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა - სტუ; სჯუ; 4. აგრობიოტექნოლოგია-სჯუ). ჰყავს 1 მაგისტრანტი და 4 დოქტორანტი.

6.მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

გ. ქავთარაძე: 1.2021-2024 - CZ-GE: „Implementation of Sustainable Forestry for the Aragvi Protected Landscape“. Role: national forestry expert. 2.ASTAT PHASE II: Development of sustainable forest management and utilization concepts for forest stands characterized by aspen and initiation of research networks in Ukraine, the Baltic States and selected CIS countries. Role: forestry expert.

მ. ბურჯანაძე: 1. 2023-2026 შრესე პროექტი FR 22-697 „ლურჯი მოცვის ბაღების მონიტორინგი და მართვა საქართველოს პირობებში“; 2. 2024-2027 – Grant #101179755; ERASMUS-EDU-2024-CBHE-STRAND-2.

7.სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

გ. ქავთარაძე არის ჟურნალის „აგრარულ მეცნიერებათა მაცნე“-ს და „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის შრომათა კრებულის სარეცენზიო საბჭოების წევრი.

მ. ბურჯანაძე არის Springer-ის პუბლიკაციების საერთაშორისო ექსპერტი #9597831.

9.საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

გ. ქავთარაძე არის ა(ა)იპ „მეტყევეთა ასოციაცია“-ს აღმასრულებელი დირექტორი, 2022 წლიდან - ოქსფორდის ინოვაციების ცენტრის Aether Limited „მხარდაჭერა საქართველოს სატყეო სექტორის MRV სისტემის განვითარებისთვის“ ადგილობრივი სატყეო ექსპერტი, ასევე 2022 წლიდან - აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე.

III. მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება

განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი

3.1. მეცხოველეობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი)

დარგობრივი ჯგუფი შედგება 8 წევრისაგან.

მარტში ჩატარდა დარგობრივი ჯგუფის პირველი სხდომა, სადაც მოსმენილი იქნა ჯგუფის ხელმძღვანელის აკადემიკოს ჯემალ გუგუშვილის ინფორმაცია ჯგუფის მიერ 2023 წელს ჩატარებული სამუშაოებისა და 2024 წელს ჩასატარებელი პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

აპრილში ჩატარდა მეორე სხდომა. სადაც მოსმენილი იქნა აკადემიკოს ჯ.გუგუშვილი მოხსენება თემაზე: „მეზოცვრეობა, გუშინ ,დღეს, ხვალ“. მომხსენებელმა ისაუბრა საქართველოში მეზოცვრეობის დარგის განვითარების შესახებ, კერძოდ აღნიშნა, რომ მეზოცვრეობის კომპლექსებში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ მეზოცვრეობის მეურნეობებში თითქმის ყველგან შესუსტებულია სამუშაოები, ცხოველის ცოცხალი მასის და სახორცე-ტყავბეწვეული პროდუქტიულობის გაზრდის მიმართულებით.

ჩვენი მოსაზრებით სანაშენო საქმის გასაუმჯობესებლად საჭიროა, სანაშენე ბირთვის შექმნა, ძირითადი ფარის კლასობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება და სანაშენე საქმის გეგმების შემუშავება, რაც ითვალისწინებს მეხორცეულობის, მალმწიფადობის, ბეწვოვანი საფარის და საკვების ანაზღაურების გაზრდას, აგრეთვე მწარმოებლების შეფასებას შთამომავლობის მიხედვით.

30 აპრილს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის განყოფილებასთან ერთად აკადემიაში აღვნიშნეთ ვეტერინარიის საერთაშორისო დღე. საზეიმო შეხვედრას ესწრებოდნენ სტუმრები სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან, სურსათის უვნებლობის სამსახურის ხელმძღვანელები და თანამშრომლები, აკად. თენგიზ ყურაშვილმა გააკეთა მოხსენება ვეტერინარიის საქმის ისტორიასა და მის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

სექტემბერში ჩავატარეთ დარგობრივი ჯგუფის რიგით მესამე სხდომა სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ს/მ დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი თემაზე: „მეფრინველეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ისე როგორც მეცხოველეობის სხვა დარგების განვითარებაში, მეფრინველეობის საქმეშიც საქართველოს დიდი ტრადიციები აქვს, წარსულში გამოყვანილია და დღემდე შემორჩენილია ქათმის ისეთი უნიკალური აბორიგენული პოპულაციები, როგორცაა; ჩალისფერი, მეგრული, შავი ნაცარა, ყელტიტველა და სხვა.

საქართველოში ფრინველის ხორცისა და ხორცის წარმოებაში საკარმიდამო და წვრილი ფერმერულ მეურნეობებს დღეისათვის დიდი ხვედრითი წილი უკავიათ, ამასთანავე მეფრინველეობის დარგის წინსვლაში უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვამ და მაღალპროდუქტიული ჰიბრიდული ფრინველებით სამრეწველო გუნდის დაკომპლექტებამ (მუხრანი, კუმისი). საქართველოში დაინერგა სამრეწველო გუნდის კომბინირებული შენახვა, რაც საშუალებას მივიღოთ მაღალხარისხიანი დიეტური კვერცხი, აიგო მცირე სიმძლავრის ახალი მეფრინველეობის კომპლექსები „მუხრანი“, „ალგეთი“, „კუმისი“ და სხვა. აღნიშნულმა საწარმოებმა შეძლეს უმოკლეს ვადაში შეეზღუდათ საზღვარგარეთიდან კვერცხის იმპორტი.

საქართველოში მეფრინველეობის დარგის განვითარებისათვის სასურველია სანაშენე ბაზის შექმნა, რაც შესაძლებლობას გახდის უფრო მეტად გაიზარდოს ფრინველის პროდუქტიული მაჩვენებლები.

3.2. ვეტერინარიის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი დოქტორი დავით გოდერძიშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა 9 წევრი: თენგიზ ყურაშვილი - სსმა აკადემიკოსი, ლავან მაკარიძე - სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორი. ვეტ. დოქტორი, დავით გოდერძიშვილი - სეს-ის ვეტ.დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტის სრული პროფესორი. ვეტ. დოქტორი, ჯამბულ მაღლაკელიძე -გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს - ს.მ და სურსათის დეპ. სურსათის უვნებლ. სამმართველოს მთ. სპეციალისტი, მერაბ ნათიძე - სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორი, ვეტ. დოქტორი, ლევან ციციშვილი - ბერიტაშვილის სახ.ინსტიტუტის ვეტ. სპეციალისტი, დემნა ხელაია - სეს-ის ვეტ.დეპარტამენტის უფროსი, სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტის პროფესორი, ვეტერინარიის დოქტორი, მაია კერესელიძე - ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, სულიკო ბერიძე - აჭარის რეგვიონის კოორდინატორი.

ჯგუფის ყველა წევრს კავშირი ჰქონდა რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებთან, ვეტერინარ სპეციალისტებთან და ცხოველთა მეპატრონეებთან (ფერმერებთან). იღებდა მათ სატელეფონო

ზარებს და წერილებს, განიხილავდა წარმოდგენილ მოთხოვნებს და წინადადებებს. ხშირ შემთხვევაში პირადად ხვდებოდა დაინტერესებულ პირებს, ან ადგილზე უწევდა კონსულტაციებს და პრაქტიკულ დახმარებას.

ქვეყანაში კვლავ პრობლემად რჩება ცხოველთა რიგი არაგადამდები და გადამდები დაავადებები. მათი გამოვლინება სხვადასხვა სახეობის ცხოველებში განსხვავებულია. აქედან გამომდინარე კოორდინატორთა ჯგუფის წევრები შერჩეულია იმის მიხედვით, რომ მათ მიერ გაწეული დახმარებები იყოს მრავალმხრივი და ეფექტური.

ცხოველთა დაავადებების პრევენციის მიზნით ვეტერინარი სპეციალისტები განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევენ ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპებს, რომლის მოთხოვნების სამი ძირითადი (ხუთიდან) ითვალისწინებს:

- ცხოველთა თავისუფლებას წყურვილისაგან, შიმშილისაგან და საკვების უკმარისობისაგან;

- ცხოველთა თავისუფლება დისკომფორტული მდგომარეობისაგან;

- ცხოველთა თავისუფლებას ტკივილის, ტრავმის და დაავადებებისაგან.

2024 წელს გვალვიანმა ხანგრძლივმა პერიოდმა და ცხელმა დღეებმა დიდი პრობლემები შეუქმნა ცხოველთა მეპატრონეებს.

ცხოველთა მეპატრონეებს მიეცათ სათანადო რეკომენდაციები ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკაში და საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარებაში.

ზამთარში პრობლემების თავიდან ასაცილებლად მეცხოველეებს მიეცათ სათანადო რეკომენდაციები, პირველ რიგში ნამჯის და ჩალის შემზადებაზე კვების წინ.

ცხოველთა სადგომებზე დაკვირვებამ კვლავ დაგვანახა, რომ მათი უმრავლესობა ვერ პასუხობს ელემენტარულ მოთხოვნებს ცხოველები მუდმივად განიცდიან დისკომფორტს.

ცხოველებზე მაღალი და დაბალი ტემპერატურის, ტენიანობის, ორპირი ქარების და მავნე აირების ზემოქმედებით მათ დაქვეითებული აქვთ რეზისტენტობა, შედეგად ხშირია დაავადებები და სიკვდილიანობა (განსაკუთრებით მოზარდებში), შემცირებულია წონამატი და პროდუქტიულობა.

ჩამოთვლილი პრობლემების ფონზე სხვადასხვა მეცხოველეობის ფერმაში ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა დაავადებები. აღნიშნულ პრობლემებზე მომზადებული იქნა რეკომენდაციები, პრევენტაციები და ლექციები. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და თანამშრომლებთან ერთად ზუსტდებოდა სამოქმედო გეგმები და პირადად, ან წერილობით გადაეცემდა ადგილობრივ სპეციალისტებს ან ცხოველთა მეპატრონეებს. პრევენტაციის დროს მოსახლეობას ურიგდებოდა წიგნები, ბროშურები და პლაკატები. წლის მეორე ნახევარში გაძლიერდება მუშაობა ცხოველთა გამოზამთრებისათვის მზადების მიმართულებით.

ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის გარეთ.

3.3. მეაბრეშუმეობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი დოქტორი ნარგიზა ბარამიძე)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 9 წევრი - ნარგიზა ბარამიძე (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ს/კ ცენტრის მეცხოველეობის და საკვებწარმოების კვლევის დეპარტ. უფროსი სპეციალისტი, ამავე დეპარტამენტის სპეციალისტები, მაგისტრები: შორენა ხარატიშვილი, ლია მძელური, როენა ბოკუჩავა, მაკა სვანიძე და მაია მარტოძე,- საუ-ის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკი ზოია წყარუაშვილი, სოფ. მეურნ. დოქტორი, მაია ხუციშვილი - საუ-ის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკი, ირაკლი გუჯაბიძე - აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის ლაბ. ხელმძღვანელი.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ჯგუფის ყველა წევრი მონაწილეობს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ №101095188 გრანტის პროექტში.

7.სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

პერიოდულად დარგის კოორდინატორის მიერ ხდება უცხოელი კოლეგების დისერტაციების რეცენზირება და ექსპერტიზა, მიმდინარე წელს 3 უზბეკი და 1 ტაჯიკი კოლეგის დისერტაციების რეცენზირება.

9.საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ბაზის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიაში მიმდინარეობს თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდის 70-მდე ჯიშის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სამუშაოები. დღეს გენოფონდში დაცულია ხალხური სელექციით გამოყვანილი ჯიშები, ასევე მეცნიერული სელექციით მიღებული ჯიშები: თბილნიშ-3, ქართლი, ივერია, თბილისური, დილომის ოჯახი 8 ჯიშის რაოდენობით, მზიურის ოჯახი 8 ჯიშის რაოდენობით. ბოლო დროს გამოყვანილი ჯიშები: გარეჯი, კოლხური, შულავერი, კახეთი, მიმდინარეობს მათი დოკუმენტაციის მომზადება „საქპატენტში“ დასარეგისტრირებლად. ასევე მნიშვნელოვანია ვ. სტრუნიკოვისა და ა.ძნელაძის მიერ მიღებული გრენის ფაზაში ნიშანდებული ჯიში ტაო 2, რომელიც საკმაოდ ხანდაზმულია და მიმდინარეობს მუშაობა მის გაუმჯობესებაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უძველესი ხალხური სელექციით გამოყვანილი ჯიშები: „კახური მწვანე“ და „ქუთაისის ნარინჯისფერი“, რომლების საკოლექციო გამოკვებაში გადაცემული იქნენ 1893-1895 წლებში.

წილკნის მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის ჯგუფი შრომობს როგორც მეაბრეშუმეობის, ასევე მეთუთეობის ხაზით, ყოველწლიურად მიმდინარეობს აბრეშუმის ჭიის გამოკვება და მომდევნო თაობის გრენის, ასევე თუთის თესლის დამზადება, თესვა, მცნობა, გადარგვა და სხვა უამრავი სამუშაოები აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის გასამდიერებლად. თუთის აბრეშუმხვევიას აღნიშნული გენოფონდი ერთადერთია საქართველოში და მისი შენარჩუნება მნიშვნელოვანია მეაბრეშუმეობის აღორძინების საქმეში.

ლაბორატორიას ხშირად სტუმრობენ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები და მეაბრეშუმეობის დარგით დაინტერესებული პირები.

10.სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება

მიმდინარე წელს მაისის თვეში მეაბრეშუმეობის ლაბორატორიიდან აბრეშუმის ჭია იქნა გაცემული ახმეტის რაიონის მეაბრეშუმეებზე, სადაც მიიღეს გარკვეული რაოდენობით პარკი, დაახლოებით 30 კგ.

ჯგუფის წევრების მიწვეულნი იქნენ ახმეტის რაიონის მეაბრეშუმე ფერმერებისათვის კონსულტაციის გასაწევად, დაინტერესებულ პირთა რაოდენობა დიდი იყო, 45-50 კაცი. შემოწმებული იქნა ფერმერთა საჭიე ბინები და რჩევები იქნა მიცემული.

გარდა ამისა წილკნის ლაბორატორიაში იყო ტვ აგროგარემოს გადამღები ჯგუფი, რომელთა მიერ ტელევიზიაში გაშვებულ სიუჟეტებს მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებით დიდი გამოხმაურება, ნახევარ მილიონზე მეტი ნახვა და დადებითი კომენტარი მოჰყვა.

ივნისის თვეში წილკნის ლაბორატორიაში გვესტუმრა ტვ პირველი არხის გადამღები ჯგუფი, რომელთა მიერ გაშვებულ სიუჟეტს ასევე დიდი გამოხმაურება და ინტერესი მოჰყვა.

9 ოქტომბერს დარგის კოორდინატორი ნ.ბარამიძე მიწვეული იყო პირველი რადიოს პიკის საათის ეთერში, სადაც საუბარი ჰქონდა მეაბრეშუმეობის დარგის ისტორიაზე საქართველოში.

3.4. მეფუტკრეობის მიმართულების კოორდინატორების დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები: რამაზ თავართქილაძე და დოქტორი მაია ფეიქრიშვილი)

კოლეგებთან ერთად ჩავატარეთ კონსულტაციები და პრაქტიკული დახმარება გავუწიეთ მეფუტკრე-ფერმერებს ფუტკრის ოჯახების მოვლა-პატრონობის, კვების, მკურნალობის, ასევე საგაზაფხულო, სამემოდგომო სამუშაოების და გამოზამთრების სწორად წარმართვის საკითხებში. ვთანამშრომლობდით კერძო საფუტკრეების მფლობელ პირებთან. მათ ვუწევთ კონსულტაციებს (რაჭა-ლეჩხუმში - გვანცა და გიგა ჭაბუკიანებს, გიორგი ორდენიძეს, ქეთევან ბენდელიანს, ბონდო ხეცურიანს, მანანა ქოქოსაძეს, გიორგი ბერუჩაშვილს, გოჩა მეტრეველს, ეკატერინე ციხისელს;

სამცხე-ჯავახეთში - გიორგი მერაბიშვილს, ჯაბა შეშაბერიძეს, ელვარდ ზაზაძეს, ჯულია ელბაქიანს, არსენ გაბრელიანს, ზაზა ივანიძეს, მალხაზ გოგოლაძეს). ცოდნას ვუზიარებთ და დახმარებას ვუწევთ პროფესიული კოლეჯების პედაგოგ-მეფუტკრეებს სალექციო კურსისთვის პრეზენტაციების მომზადებაში, ვაწვდი ელექტრონულ ლიტერატურას.

ჯგუფის წევრებმა ჩავატარეთ ლექცია-საუბრები, საფუტკრე მეურნეობების სწორად მოწყობის, ადგილის შერჩევის, ზოოჰიგიენური და ვეტერინარულ-სანიტარული ნორმების დაცვის საკითხებზე. ფუტკრის დაავადებების აღმძვრელების, გადამტანების წინააღმდეგ ღონისძიებების დროულად და ეფექტურად ჩატარებაზე ყურადღების მისაქცევად ფერმერებს გავუწიეთ თეორიული და პრაქტიკული დახმარება ფუტკრის დაავადებათა სპეციალისტების დახმარებით. კერძოდ, თებერვალში, სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან, დახმარებისთვის მოგვმართეს მეფუტკრეებმა, რომლებსაც საფუტკრეებში დაუფიქსირდათ ბარტყის მასობრივი სიკვდილი, რომელიც ძირითადად ასკოსფეროზით იყო გამოწვეული კერძოდ: თეთრიწყაროს რაიონის, სოფელი ჩხიკვთადან- მეფუტკრე ვახო დავითაშვილმა; ზუგდიდან-მეფუტკრე მარინა ქარდავამ; ოზურგეთიდან - მეფუტკრე გიორგი ხითარიშვილმა; ამბროლაურის რაიონის სოფელ ლიხეთიდან - მეფუტკრე გიორგი ჯაფარიძემ; რუსთავიდან- მეფუტკრე სოსო ხარაშვილმა. ეს არის მეფუტკრეთა ის მცირე სია, რომელთაც ასკოსფეროზის გამო დიდი რაოდენობით ფუტკრის ოჯახები გაუნადგურდათ. მათი გადმოცემით გასულ წელს, ტკიპა ვაროას საწინააღმდეგოდ გამოიყენეს მჟავები და არაეფექტური პრეპარატები. როგორც ირკვევა მათ არ დაიცვეს პრეპარატების გამოყენების დოზები და ჯერადობა, რამაც გამოიწვია ფუტკრის ბარტყის დაზიანება და მიკოზური დაავადების ასე მასიურად განვითარება. არის შემთხვევები დაურეგისტრირებელი პრეპარატების თვითნებურად გამოყენების. მეფუტკრეები ითხოვენ კონტროლის მექანიზმის ჩართვას, რომ არ მოხდეს მეზობლად არსებული მიტოვებული ან მოუვლელი საფუტკრეებიდან დაავადების გავრცელება მათ საფუტკრეებში. ჩვენი ჯგუფის წევრის, ფუტკრის დაავადებათა სპეციალისტის ნინო ყიფიანის მიერ გაწეული იქნა სათანადო კონსულტაციები და დასახული იქნა მდგომარეობის გამოსასწორებლად ღონისძიებები.

მარტში სეზონის დაწყებასთან ერთად გააქტიურდა მეფუტკრეთა მომართვიანობა, განსაკუთრებით რაჭის, გურიის, სამეგრელოს და კახეთის რეგიონებიდან. გაზაფხულზე გამოჩნდა მეფუტკრეების მიერ შემოდგომით დაშვებული შეცდომები, რაც გამოიხატა ფუტკრის ოჯახების დიდი რაოდენობით დაცემაში. ადგილი ქონდა ვაროას ტკიპის მომძლავრებას, ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ პრეპარატებით თითქმის შეუძლებელია. მიუხედავად დისტანციურად ჩატარებული ტრენინგებისა და გაწეული კონსულტაციებისა, მეფუტკრეებს ესაჭიროებათ ადგილზე დახმარება, დაავადებების სწორად ამოცნობა და დროული რეაგირება. ჩვენი ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს აპიმონდიის ვებინარში, რომელიც ჩატარდა ონლაინ, 26 მარტს, სადაც განიხილებოდა მეფუტკრეობაში არსებულ მდგომარეობა და პრობლემები მსოფლიო მასშტაბით. ყურადღება გამახვილდა სკის მცირე ხოჭოს და ტროპილელაფსოზის გავრცელების ზონებზე და დიაგნოსტიკების მეთოდებზე. საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მეფუტკრეების ინფორმირება ამ ორ მავნებელზე, რათა დროზე მოხდეს მათი ამოცნობა და ლიკვიდაცია.

აპრილში მოგვმართა მეფუტკრემ თეთრიწყაროს სოფელ ჩაჩუბეთიდან, მას უშუალოდ საფუტკრეში დასჭირდა ჩვენი კონსულტაცია სკის ვენტილაციის სწორად მოწყობასთან დაკავშირებით. სკაში ფარდობითი ტენიანობის შემცირების მიზნით, განვსაზღვრეთ სკების გარკვეულ სიმაღლეზე აწევის საკითხი.

მეფუტკრე, ნიკოლოზ ბუკიას თხოვნით საფუტკრეში ჩავატარეთ ფუტკრის ოჯახების ვეტერინარული შემოწმება, რის შედეგადაც არასწორი მოვლა-პატრონობის გამო ფუტკრის ოჯახებში დაფიქსირდა სოკოვანი დაავადება-ასკოსფეროზი, ასევე ვაროატოზის მძიმე ფორმა. ერთ ოჯახში მიმდინარე ორ დაავადებას ფუტკარი ვერ უძლავდებოდა, რის გამოც ოჯახები დასუსტდა. იგივე პრობლემის წინაშე იდგნენ მიმდებარე საფუტკრეებიც. მეფუტკრეებს ჩაუტარდა კონსულტაციები, მიეცათ რეკომენდაცია სამკურნალო პრეპარატების გამოყენების თაობაზე.

შემოწმებული იქნა, მეფუტკრე აქო პარხარიდის მიერ წარმოდგენილი დახოცილი ფუტკრის ნიმუში. მეფუტკრის გადმოცემით ადგილი ჰქონდა სკის წინ ფუტკრის მასიურ ცვენას, სკების დაცარიელებას. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა სოკოვანი დაავადება-ნოზემატოზი. მეფუტკრეს ჩაუტარდა კონსულტაცია და მიეცა რეკომენდაცია პრეპარატების გამოყენების თაობაზე.

მეფუტკრე ვლადიმერ მელიქიშვილის თხოვნით შევამოწმეთ ქალაქ თბილისში არსებული საფუტკრე, რომელიც შემოდგომით ვაროატოზის ძლიერი ფორმით იყო დაინვაზირებული, მიცემული რეკომენდაციები მეფუტკრემ პირნათლად შეასრულა, რის გამოც შემოწმების შედეგად საფუტკრეში, ფუტკრის ოჯახების მდგომარეობა გაუმჯობესებული აღმოჩნდა.

მაისში დასავლეთ საქართველოს მოქმედ ვეტერინარებს ნინო ყიფიანმა ჩაუტარა კონსულტაციები ფუტკრის ინფექციურ დაავადებებზე-ამერიკული და ევროპულ სიდამპლზეზე.

კახეთის რეგიონში, ყვარლის ტერიტორიაზე მეფუტკრეები უჩიოდნენ ფუტკრის პასიურ მდგომარეობაში გადასვლას, რაც ამ დროისთვის უჩვეულოა. მათ მიერ წარმოდგენილი ბარტყიანი ფიჭის ნიმუში არანაირ პათოლოგიურ სურათს არ იძლეოდა, საჭირო გახდა ადგილზე დაკვირვება და პრობლემის გადაჭრა.

მარნეულის მუნიციპალიტეტში მეფუტკრე ელჩინა მამედოვის და მიმდებარედ არსებულ საფუტკრეში, წყალდიდობის შედეგად ფუტკრის ოჯახების მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, საჭირო გახდა დახმარება, კონსულტაციები, რაც განხორციელდა ჩვენი საკოორდინაციო ჯგუფის მიერ და მდგომარეობა გამოსწორდა.

2024 წლის 20 მაისს ფუტკრის საერთშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩავატარეთ მრგვალი მაგიდა მეფუტკრე მეცნიერების, ვეტერინარების და მეფუტკრე-ფერმერების მონაწილეობით. სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, როგორც მეფუტკრეობის დარგის კოორდინატორმა, გავაკეთე ვრცელი მოხსენება 2023 წელს ჩატარებულ სამუშაოებთან დაკავშირებით, და წარმოვადგინე მოხსენება თემაზე: „**საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა თაფლისა და ფუტკრის პროდუქტების წარმოება**“.

ივნისში ჩვენი სპეციალისტები იმყოფებოდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული საკითხების ადგილზე გაცნობისა და მეფუტკრეებთან შეხვედრის მიზნით. შეხვედრა გაიმართა აბაშის მუნიციპალიტეტში, სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების მართვის ცენტრში, სადაც წარმოვადგინეთ პრეზენტაცია პარაზიტულ დაავადებებზე, განხილული იქნა მათთან ბრძოლის ღონისძიებები. ესწრებოდნენ რეგიონის მეფუტკრეები.

ივლისში მოგვმართეს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან, ნინო ყიფიანი იმყოფებოდა ზუგდიდში და მესტიის სოფელ ხაიშში მეფუტკრეობასთან დაკავშირებული საკითხების ადგილზე გაცნობის მიზნით. განხორციელდა ფუტკრის დაავადებების ეპიდემიოლოგიური კვლევა, პროცესს ესწრებოდა მკვლევარი-ვეტერინარი ზენორ გულაია. დათვალიერებული და გამოკვლეული იქნა მეფუტკრე გოგი ჭანტურიას (წალენჯიხა, სოფ. ეწერი) და ჯუანშერ გერგედავას (სოფ. ლია) საკუთრებაში არსებული ფუტკრის ოჯახები. აღებული იქნა ფუტკრის ბარტყიანი ფიჭის ნიმუშები და გაგზავნილი იქნა არახნოზეზე შემდგომ სადიაგნოსტიკოდ, სახელმწიფო ვეტერინარულ ლაბორატორიაში.

აგვისტოში, ჩვენი კოლეგები იმყოფებოდნენ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში მეფუტკრეებს გააცნეს პირველადი წარმოების საქმიანობასთან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, ასევე მიაწოდეს ინფორმაცია მეფუტკრეობაში გავრცელებული დაავადებების, მათი დიაგნოსტიკისა და პრევენციის ღონისძიებების შესახებ. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტებთან ერთად მოახდინეს ი.მ. ბონდო ხეცურიანისა (ცაგერის მუნიციპალიტეტი სოფ: ლარჩვალი) და გიორგი ბერუჩაშვილის (ქ. ონი) საფუტკრე მეურნეობების ადგილზე დათვალიერება, სადაც გააცნეს სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისა და ნიმუშის აღების, ფუტკრის დაავადებების დიაგნოსტიკისა და პრევენციის საკითხები.

სექტემბერში ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. გაიმართა შეხვედრა ადგილობრივ მეფუტკრეებთან. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ნინო ყიფიანის მიერ წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია მეფუტკრეობაში გავრცელებული დაავადებების, მათი დიაგნოსტიკის და პრევენციული ღონისძიებების შესახებ. შემოწმდა იუზა ნაჭყეპიას (მარტვილის სოპ.კურზუ და ჯუანშერ გერგედავას (წალენჯიხის სოფ. ლია) საფუტკრეები ინვაზიურ დაავადებებზე. შემოწმებულ ფუტკრის გადაბეჭდილ ბარტყში ვაროას ტკიპებთან ერთად აღმოჩენილი იქნა მცირე ზომის სწრაფად მოძრავი ტკიპები. ექვი იქნა მიტანილი ტროპილელაფსოზე. განსაკუთრებით ძლიერ იყო დაინვაზირებული ჯუანშერ გერგედავას ფუტკრის ოჯახები. აღებული იქნა გადაბეჭდილი ფუტკრის ბარტყიანი ნიმუშები და

გადაგზავნილი იქნა სახელმწიფო ვეტერინარულ ლაბორატორიაში შემდგომში სადიაგნოსტიკოდ. ამ კონკრეტულ დაავადებასთან დაკავშირებით, რომელიც ახლახანს იქნა აღოჩენილი საქართველოში, მომავალ წელს ვგეგმავთ საინტერესო, საინფორმაციო პრეზენტაციას.

ოქტომბრის თვე დატვირთული იყო მეფუტკრეთა მომართვიანობით, განსაკუთრებით მეფუტკრეები კახეთის რეგიონიდან უჩიოდნენ კრაზანების შემოტევას, ასევე ფუტკრის ოჯახებში ტკიპა ვაროას გამრავლებას, რომელიც კვლავ პრობლემად რჩება. მეფუტკრეები მიუთითებდნენ პრეპარატების მოქმედების დაბალ ეფექტზე და ითხოვენ ახალი ეფექტური საშუალებების მოძიებაში დახმარებას. კოსულტაცია გაეწია მეფუტკრე ვახტანგ ანდრონიკაშვილს (საგარეჯო), ბორია კალაშოვს (თბილისი), გიორგი მერაბიშვილს (ახალციხე), გიორგი ვალიევს (ოქროყანა), მეფუტკრე სუმბათა ქისტაურს (სიონი). მათ მიერ წარმოდგენილ ფუტკრის ნიმუშებში დიდი რაოდენობით იყო ვაროას ტკიპები, ასევე აღინიშნებოდა ფუტკართან ერთად დახოცილი კრაზანების დიდი რაოდენობა, რაც მეტყველებს ფუტკრის ოჯახების მასიურ დასუსტებაზე. ამავე თვეში, ქალბატონი ნინო იმყოფებოდა კახეთის რეგიონში, ყვარლის მუნიციპალიტეტში, შეხვდა ადგილობრივ მეფუტკრეებს, ჩაატარა ტრენინგი, ფუტკრის ახალი მავნებლის ტროპილელაფზოზის გავრცელების სამიშროების და პრევენციული ღონისძიების შესახებ.

ნოემბრის დასაწყისში გაზრდილი იყო მეფუტკრეთა მომართვიანობა, მათ პრობლემები შეექმნათ ფუტკრის მკურნალობასთან დაკავშირებით, მიუხედავად ბევრი მცდელობისა (გამოყენებული იქნა ტკიპას საწინააღმდეგო პრეპარატები) ფუტკრის ოჯახები საგრძნობლად დაუსუსტდათ და დაზამთრებაში შეიყვანეს 4 ჩარჩოზე არსებული ფუტკრი - (ლანჩხუთი-მეფუტკრე შალვა ხითარიშვილი, ლალი ჩანქსელიანი, ხარაგაული-ვანო ხიჯაკაძე, საგარეჯო-გელა გზირიშვილი და სხვა).

მეფუტკრეებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, უშუალოდ, საფუტკრეში დაჭირდათ კონსულტაცია, მეფუტკრე დავით კვარაცხელიამ, რომელსაც 135 ფუტკრის ოჯახი ჰყავს, დიდი ზარალი ნახა, ფუტკრის ოჯახების უმრავლესობა 4-5 ჩარჩოზე დააზამთრა, გამოზამთრება ეჭვის ქვეშ დგას. ახალსოფელში, თაფლი კოლხური-მეფუტკრე მარინა ქარდავა, ჩვენთან ერთად საინტერესო ექსპერიმენტებს ატარებს, 71 ფუტკრის ოჯახში იზოლირებული ჰყავს დედები, რომელთა გამოშვებას 20 დეკემბრამდე არ აპირებს, ამ მეთოდით იგი, ვაროას ტკიპების მოსპობას ახდენს. მას გვიან შემოდგომით 11 ფუტკრის ოჯახი გაუუქმდა. მოწყობილი აქვს დედა ფუტკრების ბანკი 10 ფუტკრის ოჯახში. გაზაფხულზე საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს. მასთან ერთად, ჩვენც დავაკვირდებით გამოზამთრების პროცესს. მეფუტკრე ლევან ქარდავას მითითებები მივეცით ფუტკრის დაზამთრების და სკის ვენტილაციის სწორად მოწყობის საქმეში. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მეფუტკრე გელა გზირიშვილის საფუტკრეში ჩავატარეთ დაზამთრების პროცესი, შემოვწმდა ტკიპა ვაროაზე ფუტკრის ოჯახების მდგომარეობა.

განსაკუთრებული დაკვირვება დაგვჭირდება ფუტკრის ოჯახების გამოზამთრების პროცესზე. მოგახსენებთ, რომ რამდენიმე რეგიონის სამეცნიერო კვლევით ცენტრს აქვს ჩემთან კონტაქტი მეფუტკრეობის დარგში არსებულ პრობლემებთან თუ სხვადასხვა ტრენინგების ჩატარებასთან დაკავშირებით. როდესაც მათი მხრიდან არის შემოთავაზება, ჯგუფის წევრები (გიორგი მამლარაშვილი, ნინო ყიფიანი, დარეჯან ბალიაშვილი) ვეხმარებით, როგორც მეფუტკრე-ფერმერებს, ასევე დარგის სპეციალისტებს, მეფუტკრეობის ტრენინგებს საქმიანობის სწორად წარმართვაში.

წლების განმავლობაში რეგიონებში ჩატარებული ტრენინგების საფუძველზე, ფერმერების ზოგადი განათლება გაზრდილია, თუმცა კვლავაც დგას პრობლემა თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის ამაღლების და გაღრმავების შესახებ. ტრენინგებსა და სხვადასხვა შეხვედრებზე დარგის სპეციალისტებს ფერმერები გვიზიარებენ პრობლემურ საკითხებს, ვცდილობთ გავცეთ ამომწურავი პასუხები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, როდესაც დაავადებასთან დაკავშირებული პრობლემაა, მეფუტკრეებს მივუთითებთ ჯგუფის შესაბამის სპეციალისტს, რომელიც მათ კვალიფიციურ დახმარებას უწევს.

**IV. აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება
განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე**

4.1. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი ზაურ ფუტკარაძე)

ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა 8 წევრი: ზაურ ფუტკარაძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ოთარ ქარჩავა - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, სოსო თავბერიძე- ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფადიკო აბუსელიძე-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორი; რომან მარგალიტაძე- ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი; იოსებ აბულაძე- აჭარის არ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის დირექტორის მოადგილე; ზაზა მახარობლიძე- ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	დასახელება	გამომცემლობა
1	J. Kacitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia. Theoretical basis for calculating reliability indicators of agricultural machines	ჟურნალი AGRICULTURAL MACHINERY ბულგარეთი, ვარნა, 2024
2	J. Kacitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia. Research and restoration of rural areas of active and passive working bodies using Georgian raw material (gumboil)	XII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS, 2024, ბულგარეთი, ვარნა
3	M. Mamuladze, F. Abuselidze and M. Lejava, In sprayers Possibilities of using air motors Possibilities of using pneumomotors in sprinklers	AMA, Agricultural Mechanization in Asia, Africa and Latin America, Volume 54, Japan 2024
4	Karchava O., Kutelia G. ECONOMIC EVALUATION OF EDIBLE SEED ACCEPTABLE WATERMELON PRODUCTION BY BIOENERGY CRITERION.	Proceedings of XI International Scientific and Practical Conference. Vienna, Austria. 1-3 October 2024
5	ჯ.კილასონია, ს.თავბერიძე, დ.კბილაშვილი. როტაციული სათიბელას მჭრელი აპარატის გამოკვლევა	ჟურნალი „გონი“, ტ.11, ქუთაისი 2024, გვ. 52-57
6	ს. თავბერიძე, თ. ლემკაშელი, ლ.ჭელიძე. სატრაქტორო აგრეგატის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა	ჟურნალი „ნოვაცია“5, ტ.33, ქუთაისი 2024, გვ. 84-89
7	E. LILASONIA, J. HAFER, S. TAVBERIDZE “CALCULATION OF THE TECHNICAL AND ECONOMIK INDICATORS OF EVALUATION SYSTEM OF LIVESTOCK FARM	პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ნოვაცია“, ტ.33, ქუთაისი 2024, გვ. 79-84
8	მ.თევზაძე, მ.ხუსკივაძე, ს.თავბერიძე ავტომობილის ტრანსმისიის ხანგამძლეობის გაანგარიშება	ჟურნალი „გონი“, ტ.11, ქუთაისი 2024, გვ. 72-79
9	მ.თაბაგარი, ე.კილასონია, შ.კაპანაძე. მეტალების მნიშვნელობა მცენარეებისა და ცხოველების კვებაში	ჟურნალი „ნოვაცია“, ტ.33, ქუთაისი 2024, გვ. 74-78

2.პატენტი, ახალი ჯიშების რეგისტრაცია

#	გამოგონების/ჯიშის დასახელება, თარიღი	ავტორი
1	მაღალკლირენსიანი თვითმავალი შასი (GE P 2024 16321 A), გამოქვეყნების თარიღი 2024 წლის 13 მაისი, ბიულეტენი # 9 (636).	ზ. მახარობლიძე ვ. მარგველაშვილი ს. შარაშენიძე რ. ფარცხალაძე
2	ჩაის რიგთა შორის ნიადაგის დამამუშავებელი კულტივატორი (GE U 2024 2174Y), გამ ოქვეყნების თარიღი 2024 წლის 25 მარტი, ბიულეტენი # 6 (633).	ზ. მახარობლიძე ვ. მარგველაშვილი ს. შარაშენიძე რ. ფარცხალაძე

3. კონფერენციებში მონაწილეობა

ჯგუფის მიერ წარდგენილია შემდეგი მოხსენებები:

#	მოხსენების დასახელება	კონფერენციის დასახელება	თარიღი	მომხსენებელი
1	Determination of the reaction force of a tandem wheel tractor.	Future of science innovations and perspectives.	Int. conference Nov. 25-27, 2024 Stockholm.	Z. Makharoblidze
2	Research and restoration of rural areas of active and passive working bodies using Georgian raw material	XII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONGRESS "AGRIMACHINERY"	VARNA, BULGARIA, 25.06 – 30.06 2024	J. Kacitadze, Z. Phutkaradze, G. Kutelia
3	დახრილ გზაზე დამუხრუჭების დროს სატრანსპორტო საშუალებების აქტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა	მესამე საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „ახალი ინიციატივები“	2024 წლის 14-15 ნოემბერი, ბათუმი	ს.თავბერიძე, ე.კილასონია
4	სამედიცინო ავტომობილებით მომსახურებაზე სატრანსპორტო გარემოს გავლენის კვლევა	მე-8 ქართულ-პოლონური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	16 ოქტომბერი, სტუ, თბილისი	დ. კვიციანი
5	მალაკლირენსიანი თვით-მავალი შასის დამუშავების საფუძვლები.	საქართველოს მექანიკოსთა კავშირის XV საერთაშორისო კონფერენცია	29-1.08.2024 ბათუმი	ზ. მახარობლიძე
6	ECONOMIC EVALUATION OF EDIBLE SEED ACCEPTABLE WATER-MELON PRODUCTION BY BIOENERGY CRITERION.	XI International Scientific and Practical Conference. Vienna, Austria.	3 October 2024	Karchava O., Kutelia G.
7	თევზის ინტენსიური მეურნეობები	MASHAV ისრაელის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს სერმინარი	07.15-26.2024	მ. ქვარცხავა
8	Self-propelled chassis running system.	Scientific achievements of contemporary society.	Conference Aug. 15, London	ზ. მახარობლიძე

3.სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

ზ. მახარობლიძე: დამუშავებულია მეთოდოლოგია ადაპტური თვითმავალი შასის ტანდემთვლიანი ბალანსირული დაკიდების თვლებზე ნორმალური რეაქციის ძალების განსასაზღვრელად და პლანტაციებში მუშაობისათვის იარაღების საკიდი სისტემის კონსტრუქცია.

ო. ქარჩავა: კვლევის ობიექტს წარმოადგენს, თავთავიანი და სათოხნი მარცვლეული, კარტოფილის, ბოსტნეული და ბაღყეული კულტურების, ასევე, მრავალწლიანი კულტურების - ხეხილის, ვენახის, ტექნიკური, სუბტროპიკული და ციტრუსოვანი კულტურების წარმოების

თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები ადგილობრივი საწარმოო პირობების, მათ შორის სამთო პირობების გათვალისწინებით.

მ. მამულაძე: იკვლევს ძრავას მათემატიკურ მოდელირებას, კერძოდ, ძრავას ფრთების ბრუნვის მომენტის დამოკიდებულებას მის სიჩქარეზე, როტორის დიამეტრსა და გამხეფების წნევის სიდიდეზე.

4.საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ზ. ფუტყარაძე: ლექციებს კითხულობს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, მ. მამულაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს, ს.თავბერიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტია აგრარული ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვანელია, ფ. აბუსელიძე - ბათუმის საზღვაო აკადემიის ასოცირებული პროფესორია, რ. მარგალიტაძე მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ი. აბულაძე-აჭარის არ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის დირექტორის მოადგილეა; ოთარ ქარჩავა - თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტი - ლექციების კურსებს მშენებლობის და არქიტექტურის სტუდენტებთან შრომის და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაში, ხოლო კავკასიის უნივერსიტეტი - ლექციების კურსი მშენებლობის და არქიტექტურის სტუდენტებთან შრომის და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაში, ასევე სამშენებლო მასალებში.

5.მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

ზ. ფუტყარაძე არის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტ „თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის გაანგარიშების თეორიული საფუძვლებისა და მისი გავრცელების ინოვაციური ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“ კოორდინატორი და ამავე ფონდის პროექტ ხელმძღვანელი, „აგრობიზნესის მართვის, მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის ინოვაციური პროგრამული სისტემების შექმნა და დანერგვა საქართველოს პირობებში მუშაობის გათვალისწინებით“ ხელმძღვანელი.

7.სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

ზ. ფუტყარაძე აჭარის არ უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს წევრია.

9.სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობის შედეგების გავრცელება

ზ. ფუტყარაძემ შეასრულა ა(ა)იპ აგროსერვისცენტრის ტექნოლოგიისა და მანქანათა სისტემის დასაბუთება კენკროვანი კულტურების გასაშენებლად. საჩვენებელი, პრაქტიკული და სავლე სამუშაოების ჩატარდა შპს ნერგი-ს ბაზაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში. ო. ქარჩავას მიერ USAID/AP პროექტის ჩარჩოებში დაამუშავა ტექნოლოგიები, რომლებიც გავრცელებულია საქართველოს მექანიზაციის 42 ცენტრში.

4.2. სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი პროფესორი თამაზ ბიჭიაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა ცხრა წევრი - სსსა აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე, მეცნიერებათა დოქტორები, გელა ჯავახიშვილი, ნუგზარ ბერიძე, მეცნიერებათა კანდიდატები თამაზ ბიჭიაშვილი, ეკა რურუა და ჯიმშერ სირაძე, აკადემიური დოქტორი ედიშერ მიდელაშვილი, ინჟინრები გელა ნატროშვილი, ჯაბა ჯამაგიძე და ალექსანდრე ანასოვი. რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

#	თემის დასახელება	გამომცემლობა
1	T. Bichiashvili, Sh. Bichiashvili. PhytoTester: Portable Instrument for Assessment of Vital Activity of the Vegetable Organisms	Book of Proceedings of the XIV Int. Scientific Agriculture Symposium "AGROSYM 2023", University of East Sarajevo, 2024, pp 481-486.
2	ა. დიდებულისძე, თ. სადუნიშვილი. აგრობიოლოგიური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაცია	მონოგრაფია: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი, 2024. – 302 გვერდი

2. საპატენტო განაცხადები, ახალი ჯიშების რეგისტრაცია

ჯგუფის წევრების მიერ მიღებულია გამოგონებაზე ერთი პატენტი:

#	გამოგონების დასახელება	ავტორი
1	კუთხით რხევითი რვაპოლუსიანი ელექტრომაგნიტური ვიბრაციული მანქანა. საქართველოს პატენტი # 16203, 2024	გ. ჯავახიშვილი ა. დიდებულისძე

4. სამეცნიერო მუშაობა

აღ. დიდებულისძე და გ. ჯავახიშვილი აგრძელებდნენ მუშაობას კუთხით რხევადი და უკუქცევით-წინსვლითი ელექტრომაგნიტური ვიბრატორების და ამ ვიბრატორებით აღჭურვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ახალი კონსტრუქციების შესაქმნელად, აგრეთვე მათი მუშაობის რეჟიმების შესასწავლად. დამუშავებული კონსტრუქციები მუშაობენ მექანიკურ და ელექტრომაგნიტურ რეზონანსთან მიახლოებულ რეჟიმში, შესაბამისად ხასიათდებიან ენერჯის მინიმალური დანახარჯებით და აგრეთვე გაზრდილი საიმედოობით.

თ. ბიჭიაშვილი საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში მუშაობს მემცენარეობაში ექსპერიმენტთა ავტომატიზაციის საკითხებზე. კერძოდ მისი ხელმძღვანელობით: ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულების მაგისტრანტებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა 10 არხიანი პორტატული/მობილური საინფორმაციო-გამზომი სისტემა „ფიტომონიტორი“-ს სენსორებისა და პროგრამული უზრუნველყოფის სრულყოფაზე; 2023 წლის პატენტით და სასაქონლო ნიშნით დაცული ფიტოტესტერის გამოყენებით დამუშავდა ვაზის სამცნობი კომპონენტების ვარგისიანობის შეფასების, მცენარის ნამყენი ნერგის ცხოველქმედების განმსაზღვრელი და მცენარეთა ფესვთა სისტემის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური ექსპრეს მეთოდები. აღსანიშნავია, რომ მცენარიდან ბიოფიზიკური და ფიზიოლოგიური პარამეტრების რეგისტრაციის გზით ინფორმაციის მიღება ხორციელდება დაკვირვების ობიექტის ბიოლოგიური მთლიანობის დარღვევის გარეშე.

საუ-ს მაგისტრანტმა დავით მეტრეველმა დაამუშავა ხელოვნური ინტელექტით მართული ავტომატიზებული სარწყავი სისტემის მოდელი და დაამზადა პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი შესაბამისი მოწყობილობის საცდელი ნიმუში. მაგისტრანტმა ნიკოლოზ სირამემ დაასრულა მუშაობა დეკორატიულ მცენარეთა ნერგების ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის საკითხებზე; მაგისტრანტი ნიკოლოზ პაპუნაშვილი აგრძელებს მუშაობას მოსვენების ფაზაში მყოფი ხილის ნერგის ცხოველქმედების განმსაზღვრელი მეთოდის დამუშავებაზე.

აკადემიური დოქტორი ედიშერ მიდელაშვილი არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვ. ამირაჯიბის ინჟინერიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

ინჟინერმა ალექსანდრე და მაგისტრანტმა გ. ლალუაშვილმა დაამუშავეს სარწყავი სისტემის ავტომატიზაციის ბლოკი და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით.

5. პედაგოგიური საქმიანობა

ჯგუფის წევრები ხელმძღვანელობდნენ დოქტორანტებსა და მაგისტრანტებს, კითხულობდნენ ლექციებს, ატარებდნენ სემინარებს და უძღვებოდნენ ლაბორატორულ სამუშაოებსა და საკურსო პროექტებს. გ. ჯავახიშვილი როგორც აფილირებული პროფესორი საქართველოს უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს საგნებში: „წრედთა თეორია“; „ელექტროტექნიკური მასალები“; „შრომის უსაფრთხოება“; „ტექნიკური წერა“, მოამზადა აღნიშნულ საგნებში სილაბუსები და სალექციო კურსები, ხოლო სტუ-ში - ლექციებს საგანში:

„ელექტრომომხმარებლის ტექნოლოგიები“. თ. ბიჭიაშვილი საუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტებთან კითხვობს ლექციებს საგნებში: „საინჟინრო გაზომვები და სენსორები“, „ზოგადი ფიზიკა“, ხოლო მაგისტრანტებთან საგნებში: „საინჟინრო გაზომვის თანამედროვე მეთოდები“ და „კვლევის მეთოდოლოგია“.

ე. რურუა კითხვობდა ატარებდა მეცადინეობებს საგნებში „ელექტრული წრედები“ (ორი ნაწილი) და „ელექტრომექანიკა“. ე.მიდელაშვილი თავისუფალ უნივერსიტეტში კითხვობს ლექციებს საგნებში: „ელექტრული წრედები“ და „ელექტრომექანიკა“. არის სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის "ელექტიკოსის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებელი და კოლეჯის დირექტორის მოადგილე. გ. ნატროშვილი არის საუ-ს ელექტრო და ელექტრონული ინჟინერიის ლაბორატორიის უფროსი, ატარებს მეცადინეობებს საგნებში: „ელექტრული წრედების თეორია“, „ანალოგური და ციფრული წრედები“, „ელექტროტექნიკური მასალები“. ალ.ანასოვი საუ-ში კითხვობს სალექციო კურსს სასწავლო დისციპლინა პროტეუსში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია არაერთი პრაქტიკული სამუშაო ტექნოლოგიურ პროცესთა ავტომატიზაციის მიმართულებით, დამუშავდა პროექტი „ციფრული მეურნეობა“, რომელიც ითვალისწინებს ჭკვიანი ტექნოლოგიების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

თ. ბიჭიაშვილი აგრძელებდა მუშაობას პროექტზე „ფიტოტესტერის კომერციალიზაციის მოდელის შერჩევა და დანერგვა“, რომლითაც 2023 წლის ოქტომბერში საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსგან მოიპოვა დაფინანსება. მისმა პროექტმა 2024 წლის სექტემბერში გაიმარჯვა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და პოლონეთის საწარმოთა განვითარების სააგენტოს (PARP) ერთობლივ კონკურსში პროექტისთვის „Acceleration Program for Georgian Innovative Startups – sector AgriTech“, ხოლო პროექტი „ფიტოტესტერისა და მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის განმსაზღვრელი ბიოფიზიკური მეთოდი“ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ტექნოლოგიების გადაცემის კონკურსში გასულია ფინალურ ეტაპზე, დაგეგმილია პროექტის წარდგენა დანიაში ევროლიცენზიის მისაღებად.

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

თ. ბიჭიაშვილი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საუნივერსიტეტო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის, ბიოსამედიცინო ინჟინერიის, ფიზიკის, ბიოფიზიკის და ენერგეტიკის მიმართულებით. აგრარულ უნივერსიტეტში მან შეასრულა ორი სამაგისტრო ნაშრომის ექსპერტიზა. გ. ნატროშვილმა აგრარულ უნივერსიტეტში შეასრულა სამი სამაგისტრო ნაშრომის ექსპერტიზა. ე. მიდელაშვილმა აგრარულ უნივერსიტეტში შეასრულა ორი სამაგისტრო ნაშრომის ექსპერტიზა.

8. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

2024 წლის 13 მარტს შედგა აკადემიის პრეზიდენტთან არსებული აგრარული ინოვაციების კომისიის სხდომა, რომელზეც მოხსენებით: „ფიტოტესტერი - მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის პორტატული ინსტრუმენტი და მისი პრაქტიკული გამოყენება“ გამოვიდა თ. ბიჭიაშვილი. კომისიის დადგენილებით პროფ. თ. ბიჭიაშვილი წარსდგა აკადემიის პრეზიდენტის სხდომაზე, რომელზეც საკითხის განხილვის შემდეგ ა/წ 28 მაისს მომზადდა წერილი # 1-125 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფიტოტესტერის აგროწარმოებაში გასავრცელებლად მიზანშეწონილია შევთავაზოთ ხელსაწყო სამეცნიერო ორგანიზაციებსა და ფერმერებს როგორც მცენარესთან „დიალოგი“-ს საშუალება, ხოლო უნივერსიტეტებს - როგორც სტუდენტებში ამ „დიალოგი“-ს უნარებისა და ჩვევების განვითარების ინსტრუმენტი და სთხოვა, რათა სამინისტრომ სათანადო უწყებებს მიმართოს მსგავსი ინოვაციური მოწყობილობების სერიული წარმოების უზრუნველსაყოფად შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობის ნებართვაზე.

2024 წლის 12 ივნისს შედგა ამავე კომისიის სხდომა, რომელზეც მოხსენებით: „ელექტროენერჯის აქტიური მომხმარებელი და მისი პერსპექტივები აგრარულ სექტორში“ გამოვიდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტის დირექტორი, ენერჯეტიკის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნუგზარ ბერიძე. აღინიშნა, რომ საქართველო, როგორც ენერჯეტიკული გაერთიანების წევრი სახელმწიფო, ვალდებულია 2024 წლიდან მიუერთდეს მე-4 ენერჯეტიკულ პაკეტს და მოახდინოს მისი იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში. ეს ფაქტი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რათა გავაუმჯობესოთ და განვაავითაროთ „ნეტო-აღრიცხვის“ წარმატებით დანერგილი რეგულაცია.

9.საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

5. ბერიძე ხელმძღვანელობს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) ელექტროენერჯეტიკის დეპარტამენტს. ე. რურუა მუშაობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსად. ჯ. ჯამაგაძე დასაქმებულია ს. ს. „თელასში“, ტექნიკური დანაკარგების გამოთვლის პროგრამის (ტდგ-3) და ელექტრონული ჟურნალის წარმოების კონტროლისა და აღრიცხვის ჯგუფის უფროსად.

10.სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მუშაობის შედეგების გავრცელება

თ. ბიჭიაშვილის მიერ დამუშავებული და საქართველოს პატენტით დაცული ფიტოტესტერი დამზადებულ იქნა პორტატული/ჯიბის ხელსაწყო სახით. ფიტოტესტერის დანიშნულებაა მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკა მათი ცხოველქმედების საყოველთაოდ აღიარებული ინტეგრალური მახასიათებლების სიმშვიდისა და ქმედების ბიოელექტრული პოტენციალების მიხედვით. ფიტოტესტერის დანერგვა უზრუნველყოფს მემცენარეობის ტექნოლოგიურ პროცესთა ეფექტიანობის ამაღლებას, დისტანციური ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარებას და სხვა. ფიტოტესტერის გამოყენებით დამუშავდა ვაზის სამყნობი კომპონენტების ვარგისიანობის შეფასების, მცენარის ნამყენი ნერგის ცხოველქმედების განმსაზღვრელი და მცენარეთა ფესვთა სისტემის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ექსპრეს დიაგნოსტიკის ბიოფიზიკური ექსპრეს მეთოდები. დამზადდა მცენარეთა ელექტრული სიგნალების საზომი სმარტფონთან მისაერთებელი პორტატული ადაპტორი, რომლითაც მცენარის ბიოელექტრული სიგნალების რიცხვითი მნიშვნელობის დადგენის პარალელურად შესაძლებელია სიგნალების ფორმის ცვლილებაზე დაკვირვება, გაზომვის შედეგების გამოტანა სმარტფონის ეკრანზე და ამ შედეგების გადაცემა ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის მეშვეობით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (კასპის სოფ ქვემო ჭალა) ი/მ მიხეილ ბათილაშვილის სანერგე მეურნეობაში; მცხეთის სოფ. მუხრანში კომპანია „ქართულ ნერგის“ საწარმოში; გორის სოფ. სკრაში ი/მ კაკაშვილთან; გორის ი/მ ნ. პაპუნაშვილთან; საგარეჯოს სოფ. ჩაილურში საწარმო „მატო ჩაილურში“ ჩატარდა ფიტოტესტერისა და მცენარეთა ფიზიოლოგიური მდგომარეობის განმსაზღვრელი ბიოფიზიკური ექსპრეს მეთოდების დემონსტრირება და გამოცდები.

თბილისში კომპანია „საქართველოს ნერგების“ საწარმოო ბაზაზე ჩატარდა დეკორატიულ მცენარეთა ნერგის ფიზიოლოგიური მდგომარეობის განმსაზღვრელი ბიოფიზიკური ექსპრეს-მეთოდის გამოცდა მოსვენების ფაზაში მყოფ სარგავ მასალაზე, მომზადდა გამოცდის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს რეგიონალური საგრანტე კონკურსის ფარგლებში დამზადდა პორტატული ფიტოტესტერის 100-მდე ნიმუში და დაიწყო მოცემული ხელსაწყო კომერციალიზაცია, გაიყიდა რამოდენიმე ხელსაწყო.

საქართველოს ტექნოპარკის ორგანიზებით საჩხერის მუნიციპალიტეტში ტექნოლოგიური კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგ სესიები საკითხებზე: შესავალი აგროტექნოლოგიის სამყაროში - აგროტექნოლოგიების არსი; გამოწვევები ქართული აგროკულტურის წინაშე-როგორ შეუძლია ტექნოლოგიებს მათი დამღევა; Case study საინტერესო აგროტექნოლოგიური გადაწყვეტები. ტექნოლოგიები აგროკულტურაში - დრონების, სენსორებისა და სხვა ციფრული

საშუალებების გამოყენება აგროკულტურაში სხვადასხვა დანიშნულებით, როგორ ამარტივებენ ისინი პროცესებს და რა პრობლემას აგვარებენ; მონაცემთა ანალიზის საშუალებები ნერგის ჯანმრთელობასთან, ამინდთან და გარემოსთან დაკავშირებით; თესვის, მორწყვისა და მოსავლის აღების პროცესის ავტომატიზაცია. მდგრადი აგროკულტურა - ტექნიკები მდგრადი ფერმერული საქმიანობისთვის და გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად; Vertical Farming and Hydroponics; განახლებადი ენერჯის როლი აგროკულტურაში

4.3. სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი პროფესორი ედუარდ კუხალაშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 5 წევრი:

1. **ედუარდ კუხალაშვილი** – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, სტუ-ს ც.მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარე;
2. **გივი გავარდაშვილი** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს ც.მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი;
3. **შორენა კუპრეიშვილი** – ტექნიკის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ც. მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ირიგაციისა და დრენაჟის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, სტუ-ის ასოცირებული პროფესორი;
4. **თამუნა სუპატაშვილი** – აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ც. მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **გიორგი ნატროშვილი** – აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი, სტუ-ს ც.მირცხულავას სახ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი.

1. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

მრავალი სამეცნიერო დაწესებულებისა და საპროექტო ორგანიზაციის ძალისხმევით ვერ ხერხდება სოფლის მეურნეობის მდგრადი შენარჩუნება სათანადო დონეზე. ხშირია დაუსაბუთებელი მეთოდებით სამელიორაციო ღონისძიებების შერჩევის შემთხვევები. ექსპლუატაციაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო ფართობების და გარემოსდამცავი ნაგებობების უმრავლეს ნაწილს ამოწურული აქვს მდგრადობის რესურსი. ეროზიულ ზემოქმედებას განიცდის მთისა და მთისწინა ზონის დიდი ნაწილი. დასარეგულირებელია ბუნებრივი ანომალიების გავლენა რწყვის პროცესებსა და საანგარიშო მახასიათებლებზე.

საკოორდინაციო ჯგუფის სამუშაო გეგმა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და აგროინჟინერიის სისტემების მმართველ და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებების კოორდინაციის გაძლიერებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, აგროინჟინერიაში იგი ორიენტირებულია ინოვაციური მეთოდოლოგიის და მეთოდების დანერგვაზე, ლანდშაფტური ინფრასტრუქტურის მდგრადობის თეორიული მოდელების დაზუსტებაზე, აგროინჟინერიის პროგრამების შექმნაში აკადემიის როლის ამაღლებაზე.

2. გამოქვეყნებული შრომები:

1.	Gavardashvili G. Clarification of the hydro-logical regime and ecological parameters in the Black Sea coastal zone of Georgia using mathe-matical modeling and experimental methods	Bull. of The Georgian National Academy of Sciences. Tbilisi, T. 18, # 4,	5	Demetrashvili D., Gavardashvili A.
-----------	---	--	----------	------------------------------------

2.	Kukhalashvili E. Impact of Irrigation Water on the Irrigation Mode Considering Rheological Indices	Bull. of The Georgian National Academy of Sciences. Tbilisi, T. 18, # 3, Tbilisi	6	Bziava K. Kukhalashvili E., Odilavadze T.
3	G. Gavardashvili .Georgian Military Road Protection from the Debris Flows	ООО "Геомаркетинг", //GeoRisk World, #4 Moscow, Russia ISSN	8	
4	G. Gavardashvili. Forecasting of Debris flow processes and control with innovative Construction along the Military Georgian Road	7th Intern. Conference "Debris Flows: Disasters, Risk, Forecast, Protection" Chengdu, CHINA,	5	
5	Sh. Kupreishvili Impact of expected climate change on Batumi tourism sector	International Scientific Conference, Regional Transformation by Tourism Renovation and Reforms Triggered by Tourism: Case of Georgia. Paris, France,	17	T. Koblianidze
6	Sh. Kupreishvili. Determination of Control Evapotranspiration Error between Penman-Monteith and FAO-24 Methods on the Example of Lomtagora	BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 18, no. 3, 2024	5	Malkhaz Dolidze, Tamaz Odilavadze, Kakha Lashkhi, Maia Lomishvili

3. პატენტი:

1. ედუარდ კუხალაშვილი, გ. გავარდაშვილი, ი. ირემაშვილი - ღვარცოფსარეგულაციო ნაგებობა.

4. კონფერენციებში მონაწილეობა:

№	მომხსენებელი, თემა	ფორუმის დასახელება, ორგანიზატორი/ ორგანიზატორები	ჩატარების დრო და ადგილი	თანამომხსენებელი/ები
1	G. Gavardashvili . Forecasting of Debris flow processes and control with Innovative Construction along the Military Georgian Road	7th International Conference "Debris Flows: Disasters, Risk, Forecast, Protection"	2024, September 23–27 Chengdu, CHINA	
2	G. Gavardashvili. Safety of Black Sea Flora During Extreme Wave Formation Along the Georgian Coastline	International conference organized within the framework of Euro grant in Burgas, Bulgaria	December 15-17, 2024 Burgas, Bulgaria	K. Bziava

5. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა:

1. ედუარდ კუხალაშვილი – აგრარული უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი;
2. გივი გავარდაშვილი – სტუ-ს პროფესორი;
3. შორენა კუპრეიშვილი – სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის „წყლის რესურსების ინჟინერიის“ ხელმძღვანელი, მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „ბუნებრივი საფრთხეები, მდგრადი გარემო და დაცვა“ პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. თამუნა სუპატაშვილი – სტუ-ს ასოცირებული პროფესორი;
5. გიორგი ნატროშვილი – სტუ-ს ასისტენტ პროფესორი.

6. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში:
 ჯგუფი მონაწილეობას ღებულობს ნატოს და ევროკავშირის პროექტებში.

7. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა:

რეცენზირება გაეწია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებულის სამეცნიერო ნაშრომებს - რეცენზენტები: ე. კუხალაშვილი, გ. გავარდაშვილი, შ. კუპრეიშვილი, თ. სუპატაშვილი, გ. ნატროშვილი.

9. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები:

სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიმართულებით მენტორობა გაეწია 2 აკადემიურ დოქტორს. რუსთაველის ფონდში წარდგენილია 4 ახალგაზდული საგრანტო პროექტი.

10. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება:

საკოორდინაციო ჯგუფის ძალისხმევით განხორციელდა საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება და მთის დასახლებულ მოსახლეობასთან შეხვედრები გარემოს საკითხებთან დაკავშირებით. საორგანიზაციო კომიტეტის თავჯდომარე გ. გავარდაშვილი, თანათავმჯდომარე ე. კუხალაშვილი.

**V. სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება
 განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი**

5.1. სურსათის უვნებლობის მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი)

დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში საანგარიშო პერიოდში მონაწილეობდა სულ 8 წევრი: ზურაბ ქუჩუკაშვილი - ბიოლოგიის დოქტორი, მანანა კახაძე - ბიოლოგიის დოქტორი, მარიამ ჩუბინიშვილი - ბიოლოგიის დოქტორი, ვასილ კვერნაძე - მაგისტრი, მარიამ გორდაძე - მაგისტრი, კახა სოხაძე - აკადემიური დოქტორი, მაკა მდინარაძე - მაგისტრი, დარეჯან დულაშვილი - ქიმიის დოქტორი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლ. ყანჩაველის მეცნარეთა დაცვის ინსტიტუტი, რ. აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, სსიპ სურსათის ეროვნული სამსახურის, აიპ მეცნარეთა დაცვის ეროვნული ასოციაციის, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, ღვინის სკოლა კაბისტონის საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

დასახელება	გამომცემლობა
დ.დულაშვილი, ნ.ძებისაშვილი, ზ.ცქიტიშვილი. საქართველოში სურსათის უვნებლობის	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო რეფერირებადი შრომათა

მონიტორინგის სისტემის მიმოხილვა რისკის შეფასების/ანალიზის კრილში	კრებული, ტ.135, გვ.92-97, Doi.org/10.36073/1512-0902-2024-135-92-97, 2024
დ.დულაშვილი (თანაავტორი). ახალი მანგანუმშემცველი ბიო-ნანო-კომპოზიტები ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე	SDEWES 2024-1005, https://www.rome2024.sdewes.org/ , 2024, კონფერენციის კრებული
დ.დულაშვილი (თანაავტორი) კარაგენანის მანგანუმის ოქსიდის ბიონანოკომპოზიტები, როგორც პერსპექტიული გამოსავალი სოფლის მეურნეობის გამოწვევებისთვის	Polymeric Materials, A section of Materials (ISSN 1996-1944), (ბექდვაშია, გამოქვეყნდება 2025)
დ.დულაშვილი, ქუჩუკაშვილი ზ (თანაავტორები). Expression of reference genes in the mouse hippocampus and amygdala under various stress conditions: A comparative study	Neuroscience Applied. 2024 Jan 1;3:104784
დორეული ნ., ქუთელია გ., ჩხარტიშვილი ბ., გიუნაშვილი თ., ქუჩუკაშვილი ზ. Studying expression of some genes in a mouse model of post-traumatic stress disorder	Neuroscience Applied. 2024 Jan 1;3:104265
მ. კახაძე, ც. ჩხუნიაშვილი, მ. ჩუბინიშვილი ზ. ლიპარტია, ზ. ცეციტიშვილი, ი. რიჟამაძე, მ. მეტრეველი - Drosophila suzukii-სგან მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის პერსპექტივები საქართველოში	უკრაინის აგრარული მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 21-22 სექტემბერი, სტატია, (ინგლ.ენაზე), გვ.154-158, 2023, ოდესა, უკრაინა, (https://biotekhnika.od.ua/uk).
მ. ჩუბინიშვილი, მ. კახაძე, ც. ჩხუნიაშვილი, ი. მალანია, რ. სხირტლაძე, ი. რიჟამაძე, ი. რემაშვილი - ენტომოპათოგენური ნემატოდები საქართველოს საკვები სოკოების და Asparagus-ის ინდუსტრიაში	კარდენიზის ტექნიკური უნივერსიტეტი, 28-31 ოქტომბერი, აბსტრაქტი, (ინგლ.ენაზე), გვ. 61, 2024, ტრაბზონი, თურქეთი

2. კონფერენციებში მონაწილეობა

სამეცნიერო კონფერენციების ჩარჩოებში ჯგუფის წევრების (მ. ქუჩუკაშვილი, დ. დულაშვილი, მ. ჩუბინიშვილი, მ. კახაძე) მიერ წარდგენილია 7 მოხსენება:

3. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

3.1. აფლატოქსინ M1-ის რისკის შეფასების ინიცირების დოკუმენტი (ვ. კვერნაძე, მ. გორდაძე, კ.სოხაძე). მიკოტოქსინები ტოქსიკური ნაერთებია, რომლებიც წარმოიქმნება მეორადი მეტაბოლიტების სახით გარკვეული ჯგუფის სოკოების მიერ და წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის. მიკოტოქსინებიდან განსაკუთრებით საყურადღებო და ზიანის მომტანია აფლატოქსინები, რომელთაგანაც გამოყოფენ ოთხ ძირითად აფლატოქსინს - AFB1, AFB2, AFG1 და AFG2. აფლატოქსინებიდან განსაკუთრებით მწვავე ტოქსიკურობით გამოირჩევა AFB1, რომელიც კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტომ მიაკუთვნა I ჯგუფის კანცეროგენებს. აფლატოქსინი M1 წარმოადგენს აფლატოქსინ B1-ის ჰიდროქსირილებულ მეტაბოლიტს, რომელსაც ასევე უწოდებენ რძის ტოქსინს. მას გააჩნია ციტოტოქსიური, გენოტოქსიური და კანცეროგენული მოქმედება. იგი აღმოჩენილია მერძეული პირუტყვის AFB1-ით დაბინძურებული საკვებით გამოკვების შემდეგ მიღებულ რძესა და რძის პროდუქტებში. მიუხედავად იმისა, რომ AFM1 დაახლოებით ათჯერ ნაკლებად ტოქსიგენურია ვიდრე AFB1, კვლევებმა აჩვენა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები AFM1-ით დაბინძურებული რძისა და რძის პროდუქტების გამოყენებისას. AFM1, ამ თვალსაზრისით, კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს მიერ მოხსენებულია, როგორც პირველი ჯგუფის კანცეროგენი.

3.2. ღვიძლის არაალკოჰოლური გაცხიმოვნებისას ვირთაგვებში, ქვერცეტინისა და ფლავანოიდური ექსტრაქტის ზემოქმედების ფონზე, ლიპიდური მეტაბოლიზმის ზოგიერთი გენის ექსპრესიის შედარებითი შესწავლა (ზ. ქუჩუკაშვილი, მ. გალიაძე, გ. მანჯავიძე, შ. დოროყაშვილი). მიზანს წარმოადგენს არაალკოჰოლური ღვიძლის გაცხიმოვნების მქონე ვირთაგვებში ქვერცეტინისა და

ფლავანოიდური ექსტრაქტის მოქმედების ფონზე ღვიძლისა და თავის ტვინის ქსოვილის ლიპიდური მეტაბოლიზმის ზოგიერთი მოლეკულური მექანიზმების შესწავლა.

3.3. პოსტტრანსკრიპციული სტრესულ აშლილობასთან ასოცირებული შიშის მეხსიერების სპეციფიკური ბიომარკერების შესწავლა მღრღნელებში (ნ. დორეული; ზ. ქუჩუკაშვილი) და სხვ).

პროექტის მიზანია ტრანსკრიპციული და სტრესის ცხოველური მოდელების ამიგდალასა და ჰიპოკამპში სინაფსების დონეზე მიმდინარე ცვლილებების შეფასება. სტრესით განპირობებული ცვლილებები შეიძლება იყოს გამოწვეული როგორც არსებული სინაფსების გაძლიერებით, ასევე სინაფსოგენეზით. პოლიმერაზას ჯაჭვური რეაქციის (პჯრ რეალურ დროში, RT-qPCR) მეთოდის გამოყენებით, ლაბორატორიულ თავგებში პოსტტრანსკრიპციული სტრესული აშლილობის (პტსა) დროს, გაემ-ერგული და გლუტამატერგული რეცეპტორების მაქსიმალური გენების აქტივობის შესასწავლა, საექსპერიმენტო და საკონტროლო ცხოველებში. შედეგად განისაზღვრება პროცესში ჩართული გენების ექსპრესიის ხარისხი ლაბორატორიული თავგების თავის ტვინის სხვადასხვა უბანში.

3.4. ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე უსაფრთხო, ბიოდეგრადირებადი, უნივერსალური, ბიონანოკომპოზიტური ახალი თაობის მიკროსასუქების შემუშავება, მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით (ს. ხუციშვილი; დ. დულაშვილი, გ. ტატიშვილი)

მიზანი - მომავლის სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში, ახალი მიდგომების დანერგვით - ინოვაციური კომპლექსური ბიონანოსასუქების მიღების მეთოდოლოგიის შემუშავებით და მათი გამოყენებით მცენარეული წარმოშობის სურსათის მოსავლიანობის და ხარისხის ზრდისათვის, რაც უზრუნველყოფს თვით პროცესის და მიღებული სურსათის ეფექტიანობას, უსაფრთხოებასა და უვნებლობას როგორც ადამიანის ჯანმრთელობის, ასევე გარემოსათვის.

პროექტის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს ინტეგრირებული სამეცნიერო მიდგომის შემუშავებაში ახალი უნივერსალური ტროფიკული დაბალდოზიანი ლითონის შემცველი ბიონანოკომპოზიტების შესაქმნელად, სასუქების მიზანმიმართული მიწოდებისა და მცენარის დაცვისთვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურის, ჩვენს შემთხვევაში - კარტოფილის *Solanum tuberosum* L, ვეგეტაციის პერიოდში.

ნაწილი ზომის კომპოზიტური მასალები სინთეზირებული იქნება ბუნებრივი პოლისაქარიდების საფუძველზე, რომლებიც იაფია, ფართოდ ხელმისაწვდომი და გააჩნიათ მთელი რიგი ღირებული ბიოლოგიურად აქტიური თვისებები, რაც ასევე ხაზს უსვამს მათზე დაფუძნებული ნაწილის ტემების სიახლეს და პოტენციურ პერსპექტივას.

3.5. ზეთისხილის მავნე ორგანიზმების შესწავლა საქართველოში (მ. კახაძე, ც. ჩხუბიანიშვილი, მ. ჩუბინიშვილი და სხვ.).

საქართველოში, ზეთისხილის ბაღების ფართობები თანდათანობით იზრდება. ამასთან ერთად, დღის წესრიგში დგება - ზეთისხილის ახლად ჩამოყალიბებულ აგროცენოზში მათზე განვითარებული მავნე ორგანიზმების, ეს იქნება მწერების სამყაროდან, თუ პათოგენური მიკროორგანიზმებიდან კვლევა. დღის წესრიგშია ზეთისხილის პლანტაციებში საშიში ბაქტერიული დაავადების - *Xylella fastidiosa*-ს გამოვლენა და შესწავლა საქართველოში (სგდსმს). ევროპის რიგ ქვეყნებში ეს დაავადება გავლენას ახდენს ეკონომიკურად მნიშვნელოვან მცენარეებზე, როგორცაა ზეთისხილი, ციტრუსები და ვაზი. ჩვენი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ამ საფრთხის გათვალისწინება და აღნიშნული ბაქტერიული დაავადების და მისი გადამტანის გამოკვლევა და შესწავლა, განსაკუთრებით, კახეთში, მევენახეობის განვითარების მნიშვნელოვან მხარეში. დღევანდელი საკვლევი საკითხი - ახალი კულტურა - ახალი აგროცენოზია. ამ გარემოში განვითარებული მავნე ორგანიზმების კომპლექსი მოითხოვს ღრმად შესწავლასა და დასაბუთებას, რამაც განაპირობა წინამდებარე პროექტის წარდგენა. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ზეთისხილის აგროცენოზში, საფუძველი შეიქმნება სამიზნე და გადამტანი მწერებისაგან, ფიტოპათოლოგიური ორგანიზმებისაგან კომპლექსური დაცვისათვის, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში გაერთიანდება მავნე ორგანიზმებისაგან ინტეგრირებულ (IPM) მართვაში.

საერთაშორისო თანამშრომლობა:

კოლაბორანტი ორგანიზაცია: ბარი, იტალია, ალდო მოროს უნივერსიტეტი /ნიადაგის, მცენარეთა და სურსათის მეცნიერებათა დეპარტამენტი (DiSSPA)

4. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

ზ. ქუჩუკაშვილი: თსუ-ს „გამოყენებითი ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სურსათის ბიოტექნოლოგიის ქვემიმართულების ხელმძღვანელი და სასწავლო კურსების ლექტორი.

მაკა მდინარაძე: საქართველოს უნივერსიტეტის მევენახეობა - მეღვინეობის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი სურსათის უვნებლობის მიმართულებით; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მევენახეობა - მეღვინეობის ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი სურსათის უვნებლობის მიმართულებით; ღვინის სკოლა კაბისტონის - ტრენერი სურსათის უვნებლობის მიმართულებით.

5. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში

დარეჯან დულაშვილი: საერთაშორისო პროექტის „საქართველოში სურსათის უვნებლობისა და SPS სექტორის მხარდაჭერა ENPARD IV-ის ფარგლებში“ (GCP/GEO/022/EC) კოორდინატორი (ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხრიდან)

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და თანადაფინანსებულია შვედეთის საელჩოს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსა (CzDA) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UN FAO) მიერ. პროექტს ახორციელებენ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და ჩეხეთის განვითარების სააგენტო (CzDA).

პროექტის აქტივობები: საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა მცენარეთა დაცვის სფეროში რეფერენს ლაბორატორი(ებ)ის (SLA) საექსპერტო და ტექნიკური მხარჭერა. საქართველოს მცენარეთა დაცვის სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

6. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

მანანა კახაძე: ექსპერტიზა, ბიოლოგიური პრეპარატების, სარეგისტრაციო დოკუმენტების მომზადება და წარდგენა ბიოლოგიური რეგლამენტების:

1. „ფირმის, JH Biotech“ (აშშ) მასალებზე დაყრდნობით, ბიოლოგიური წარმოშობის ფუნგიციდის - „ნაცრის მკურნალი“, MILDEW CURE“; (ბამბის ზეთი- 30%; სიმინდის ზეთი-30%; ნივრის ექსტრაქტი-23%; სხვა შემდგენლობა-17%; ოლეინის მჟავა; ლაურინის მჟავა; ნატრიუმის ბიკარბონატი) წყალი. ზეთოვანი სითხე, ბოტანიკური პესტიციდი; ნაცრის დაავადებების კონტროლისათვის, არის დამცავი კონტაქტური ფუნგიციდი, სავეგეტაციო პერიოდის დომინანტი სოკოს, ნაცარის მიმართ. გამოყენება ბოსტნეულის (პომიდორი, კიტრი,) ბალჩეულის (ნესვი, გოგრა), ხეხილის, ვაზის და დეკორატიული ყვავილების, ნაცრის დაავადებების მიმართ.

2. „ფირმის Certis USA LLC, (Certis Biologicals) USA, კომპანიის მასალებზე დაყრდნობით, გარემოსათვის უსაფრთხო საშუალებას, ბიოლოგიურ ფუნგიციდს - Amylo-X LC-ს (მიკროორგანიზმი *Bacillus amyloliquefaciens* subsp. *plantarum* შტამი D747). Ba D747 აკონტროლებს სოკოვან ან ბაქტერიულ მცენარეთა პათოგენებს მოქმედებას. შემცველი თხევადი ფორმულაცია, გამოიყენება სხვადასხვა სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების (ნაცრისფერი სიდამპლე, ჭრაქი, ნაცარი, ფსეუდომონიდეები, მონილიოზი, ფუზარიოზი, ბაქტერიული სიდამწვრე, ბაქტერია ქსანტომონა და სხვ.) წინააღმდეგ, ასევე ნიადაგის დაავადებების წინააღმდეგ, რომელთაც შეიძლება დაინფიციროს თესლი, ნერგები, ფესვები, ღერო, გვირგვინი ან მცენარის სხვა ნაწილები ნიადაგში ან ნიადაგთან შეხებაში.

3. კომპანია Andermatt Biocontrol Suisse AG (შვეიცარია) მასალებზე დაყრდნობით, გარემოსათვის უსაფრთხო საშუალებას, ბიოლოგიურ მიკოინსექტიციდს - Bb Protect® , (*Beauveria bassiana* strain (შტამი) R444). არის ბიოლოგიური მიკოინსექტიციდი სხვადასხვა ს/ს კულტურებში გამოსაყენებელი ფორმულაცია: ფრთათეთრას, აბლაბუდიანი ტკიპას, მენალმეების (*Liriomyza* spp.),

ბუგრების, ნაყოფჭამიების, ციტრუსოვანთა ფრთათეთრას, ფქვილისებრი ცრუფარიანას და სხვა კომპლექსი წუწნი მავნე მწერების, მათ შორის აზიური ფაროსანას და სიმინდის ჭიჭინობელასთვის.

7. სახელისუფლებო სტრუქტურებში შეტანილი წინადადებები, მათ მუშაობაში მონაწილეობა

მ. გორდაძე - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს უფროსი: თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 აპრილის №185 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი; კაკლოვნების ექსპორტიორი ბიზნესოპერატორების სახელმწიფო კონტროლის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა პროექტი; ექსპორტისთვის განკუთვნილ კაკლოვნებში ნიმუშის აღების, ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების შეფასებისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელების სტანდარტული ოპერაციული პროცედურის პროექტი.

მ. მდინარაძე, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი: სურსათის უვნებლობის სფეროში HACCP აუდიტის განხორციელება. (წლის განმავლობაში 20-მდე HACCP აუდიტი ნედლი რძის თერმულად გადამამუშავებელი საწარმოებისთვის); სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებისათვის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივ კვებასთან დაკავშირებულ საკითხზე ორგანიზაციულ-მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი - კვების დარგში.

დ. დულაშვილი: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების შემუშავებასთან დაკავშირებით (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2017/625 მიხედვით) - სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა;

პესტიციდების მდგრადი გამოყენების (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/128/EC - SUD-ის მიხედვით) პრინციპების და ვალდებულებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით - მთელი რიგი ტრენინგების, სემინარების, კონსულტაციებისა და სასწავლო ვიზიტების ორგანიზება და ჩატარება ჩეხეთის განვითარების სააგენტოს (CzDA) სახელით.

8. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

მ. კახაძე: ბიოლოგურ ფერმერულ მეურნეობებთან კონსულტაციის გაწევა (არასამთავრობო ორგანიზაცია - „მცენარეთა დაცვის ეროვნული ასოციაციის ეგიდით“, მ.კახაძე -დამფუძნებელი საბჭოს წევრი)

მ. გორდაძე - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის არაცხოველური წარმოშობის სურსათისა და სასმელების სამმართველოს უფროსი: სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებისათვის ორგანიზაციულ-მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა; სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ სურსათის ბიზნესოპერატორებისა (მწარმოებლების/დისტრიბუტორების) და მომხმარებელთათვის კომპეტენტური კონსულტაციების გაწევა.

მ. მდინარაძე, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი: სააგენტოს ტერიტორიული ორგანოებისათვის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივ კვებასთან დაკავშირებულ საკითხზე ორგანიზაციულ-მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა; სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივ კვებასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ მწარმოებლების/დისტრიბუტორებისა და მომხმარებელთა კომპეტენტური კონსულტაციების გაწევა. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტი - კვების დარგში.

ზ. ქუჩუკაშვილი: სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მეცნიერ-კონსულტანტი

5.2. სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორები აკადემიკოსები ნუგზარ ბაღათურია, თემურ რევიშვილი)

საანგარიშო პერიოდში დარგობრივი ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა სულ 5 წევრი: ბახვა დოლიძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ზურაბ ანდლულაძე - მაგისტრ; ეკატერინე გობრონიძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი; დავით აფხაზავა - ტექნიკის აკადემიური დოქტორი; რევაზ მახარაძე - მაგისტრი, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევებში, ასევე საორგანიზაციო და პრაქტიკულ მუშაობაში.

1. გამოქვეყნებული შრომები:

დასახელება	გამომცემლობა
Effects of fixation methods on quality parameters of green tea. T. Revishvili, I. Chkhikvishvili, N.Gogia, M. Esaishvili, D. Chkhikvishvili,, B. Dolidze, E. Gobronidze	Georgian Scientists Vol. 6 Issue 2, 2024, 395 – 404. https://doi.org/10.52340/gs.2024.06.02.41
საქართველოში გავრცელებული ლიმონის ზოგიერთი ჯიშის დახასიათება ვ. გოლიაძე, დ. აფხაზავა, ც. ქაშაკაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 2024 (ბეჭდვაში)
აქტინიდია (კივი) - მინერალური კვება ი. მამულაიშვილი, ვ. გოლიაძე, დ. აფხაზავა, ე. გობრონიძე, ქ. ჩიქაშუა	საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 2024 (ბეჭდვაში)
სტევის კულტურის აგროტექნოლოგია საქართველოში. ი. მამულაიშვილი, ე. გობრონიძე	Georgian Scientists, 2024 (ბეჭდვაში)

2. პატენტი, ახალი ჯიშების რეგისტრაცია

ჯგუფის წევრების მიერ გამოგონებაზე მიღებულია ერთი პატენტი.

გამოგონების დასახელება, თარიღი	ავტორები
მოგრეხილი ჩაის ფოთლის მაფორმირებელ საშრობი ენერგოდამზოგი დანადგარი, საქართველოს პატენტი სასარგებლო მოდელი U 2024 2163 Y	ბ. დოლიძე, თ. რევიშვილი. ზ. ანდლულაძე, ე. გობრონიძე, ლ. ჟვანია.

3. სამეცნიერო მუშაობის მოკლე აღწერა

ჯგუფის წევრები ახორციელებენ კვლევებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- ჩაის, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული ხეხილოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის და შენახვა-გადამუშავების ეკოლოგიურად უსაფრთხო, ენერგორესურსდამზოგი ტექნოლოგიების კვლევა, შემუშავება და სრულყოფა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების მიზნით
- ჩაის, სუბტროპიკული და ადგილობრივი მცენარეული ნედლეულიდან კონკურენტუნარიანი, მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების და ბიოლოგიური აქტივობის მქონე კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების და დანადგარების კვლევა, დამუშავება და სრულყოფა.

4. საპროფესორო და პედაგოგიური საქმიანობა

შემუშავებულია პროფესიული მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა „ჩაის წარმოება“, რომლის მიზანია შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრების გადამზადება. მასში ასახული საჭირო მატერიალური, სასწავლო და ადამიანური რესურსები.

5. მონაწილეობა საქართველოს და საერთაშორისო პროექტებში:

ჯგუფის წევრების მიერ: თ. რევიშვილი, დ. აფხაზავა, კოლეგებთან ერთად: ვ. გოლიაძე, ე. ჯაყელი, ი. მამულაიშვილი, წარდგენილია საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტი „CORYLUS“ - ორგანული თხილის მოვლა-მოყვანის და შენახვა-გადამუშავების სისტემის კვლევა-შემუშავება და განვითარება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით“;

ჯგუფის წევრების მიერ: ბ. დოლიძე, თ. რევიშვილი, ზ. ანდლულაძე, წარდგენილია პროექტი „ჩაის მოვლა-მოყვანის და მოსავლის აღების ინოვაციური მრავალფუნქციური მცირე სამეცნიერო ტექნიკური საშუალებები“ (ევროკავშირი საქართველოსთვის „ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მწვანე ზრდისთვის“).

ჯგუფის წევრები თ. რევიშვილი და ბ. დოლიძე, რეგიონული დიაგნოსტიკის ცენტრის ფარგლებში, მონაწილეობენ ”სვისკონტაქტ საქართველოს“ (შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო) და სააგენტოს „წარმოე საქართველოში“ ერთობლივ პროექტში - „ფინანსური ინსტიტუტების მზადყოფნა, გატესტონ / დანერგონ არასაფინანსო პროდუქტები საკუთარ საოპერაციო პროცესში“.

6. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების რეცენზირება და ექსპერტიზა

ეროვნულ კოორდინატორთა ჯგუფის მიერ რეცენზირებულია შემდეგი სამეცნიერო სამუშაოები:

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტის პაპუნა ჩიქოვანის სასურსათო ტექნოლოგიის (0721) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია “ანტიოქსიდანტური კონცენტრატების დამუშავების ინოვაციური ტექნოლოგია ფერადი ყურძნის მეორადი რესურსებიდან“ (თ. რევიშვილის რეცენზია);

ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დოქტორანტის პაპუნა ჩიქოვანის სასურსათო ტექნოლოგიის (0721) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის - “ანტიოქსიდანტური კონცენტრატების დამუშავების ინოვაციური ტექნოლოგია ფერადი ყურძნის მეორადი რესურსებიდან“ ავტორეფერატი (დ. აფხაზავას გამოხმაურება).

7. საკონსულტაციო, პრაქტიკული და საორგანიზაციო სამუშაოები

ჯგუფის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

ა(ა)იპ ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია „საქართველოს ჩაის“ და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ორგანიზებით და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩართულობით, 2024 წლის 2 აპრილს ქ. ოზურგეთში, ანასეულში, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის დასვლეთ საქართველოს ცენტრში, გაიმართა მეჩაიეთა ძალზე საქმიანი შეხვედრა „მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების გაზრდა უკეთესი ფინანსური საქმიანობისთვის“. პროექტი განხორციელდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) რეგიონებში მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების პროექტის (RSMEDP) ფინანსური მხარდაჭერით (ჯგუფის წევრები: თ. რევიშვილი, ბ. დოლიძე, ე. გობრონიძე, დ. აფხაზავა).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრარული ინოვაციების კომისიამ, 2024 წლის 22 მაისის სხდომაზე, მოისმინა ჯგუფის წევრების ბ. დოლიძის და

თ. რევიზილის მოხსენება - „ჩაის მოვლა-მოყვანის და გადამამუშავების ენერგორესურსდამზოვი ინოვაციური ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები“. კომისიამ დადებითად შეფასა ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები და რეკომენდაცია გაუწია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე წარმოდგენილი ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეების შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის თაობაზე.

ფრანგულ-გერმანული ტელეარხის ARTE - ს პოპულარულ გადაცემათა რედაქცია **Regards** გადაიღო დოკუმენტურ ფილმი ქართული ჩაის შესახებ. ფილმში ასახულია ქართული ჩაის მდიდარი ისტორია და მისი პერსპექტივა. 2024 წლის 16 სექტემბერს, ტელეარხის წარმომადგენლები ესტუმრნენ ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტს; გაეცნენ ინსტიტუტის და ზოგადად ქართული ჩაის ისტორიას, ჩაის მოვლა-მოყვანის და გადამამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებს და ტექნიკურ საშუალებებს, დაინტერესდნენ საერთაშორისო ჩართულობით.. კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის საკონფერენციო დარბაზში შეკრებილმა მეწარმეებმა და ფერმერებმა ისაუბრეს საერთო გამოწვევებსა და იმ ძლისხმევაზე, რასაც ისინი ერთობლივად ეწევიან ქართული ჩაის პოპულარიზაციის მიმართულებით (ჯგუფის წევრები: თ. რევიზილი, ბ. დოლიძე, ე. გობრონიძე, დ. აფხაზავა).

კოორდინატორთა ჯგუფის წევრების (ბ. დოლიძე, ზ. ანდლულაძე, თ. რევიზილი, რ. მახარაძე, ე. გობრონიძე) უშუალო მონაწილეობით, ინდემწარმის „თამარ ლლონტი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ჩაის გადამამუშავებელ საწარმოში, განხორციელდა „მაღალხარისხოვანი ჩაის წარმოების ენერგოდამზოვი ინოვაციური სამანქანო ტექნოლოგიის“ გამართვა, ოპტიმალური ტექნიკური და ტექნოლოგიური პარამეტრების დადგენა, პროდუქციის საცდელი პარტიის (მწვანე და შავი ჩაი) მიღება და ქიმიურ ორგანოლექტიკური ანალიზების ჩატარება.

კომპანია „მთის ჩაი“ სპეციალისტებს დისტანციურად სწავლების მიზნით დაეწიათ შესაბამისი კონსულტაცია და გაეგზავნათ ელექტრონული სახელმძღვანელო „ჩაის ქიმია, ტექნოლოგია, დეგუსტაცია და მოწყობილობა“ (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 180 გვ.; ავტორები თ. რევიზილი და თ. მიქაძე).

ჯგუფის წევრი ე. გობრონიძე ახორცილებს ჩაის მწარმოებელი და ექსპორტიორი კომპანიის „გურიელი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) სურსათის უვნებლობის მართვის ჯგუფის კონსულტირებას ISO 22000 საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და კოორდინირებას უწევს ყოველწლიური აუდიტისთვის დოკუმენტების მომზადების პროცესს;

ამავე კომპანიას გაეწია კონსულტირება ენერგოდამზოვი ბუნებრივ აირზე მომუშავე ჩაის საშრობი დანადგარის მოდერნიზირებასა და დამზადებაში;

ბუნებრივ აირზე მომუშავე ჩაის ფოთლის საფიქსაციო ტექნოლოგიური დანადგარის შერჩევასა და დამზადებაზე საინჟინრო-ტექნოლოგიური ხასიათის კონსულტაცია გაეწია (რ. მახარაძე) შპს „ამინო ჩაი“ (ტყიბულის მუნიციპალიტეტი), დამამზადებელი - შპს „მეტალტექნიკა“;

შპს „ლაურუს“ (სენაკის მუნიციპალიტეტი) საინჟინრო ხასიათის კონსულტაცია გაეწია (რ. მახარაძე) დაფნის ფოთლის დამწნეხი მოწყობილობის კონსტრუქციის შერჩევასა და დამზადებაში (დამამზადებელი - შპს „მეტალტექნიკა“).

8. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჯგუფის წევრთა მუშაობის შედეგების გავრცელება

ჯგუფის წევრების მიერ (ბ. დოლიძე, თ. რევიზილი, ზ. ანდლულაძე, ე. გობრონიძე) ინდემწარმის „თამარ ლლონტი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) ჩაის გადამამუშავებელ საწარმოში განხორციელდა „მაღალხარისხოვანი ჩაის წარმოების ენერგოდამზოვი ინოვაციური სამანქანო ტექნოლოგიის“ საცდელი დანერგვა. საანგარიშო პერიოდში გადამამუშავებულია 3 ტონაზე მეტი ნედლეული, მიღებულია მაღალი სამომხმარებლო ღირებულების მწვანე და შავი ჩაის მზა პროდუქცია;

ჩაის პლანტაციის რიგთაშორის დამამუშავებელი და ბუჩქის სასხლავი მცირე სამექანიზაციო მოდერნიზებული მობილური ექსპერიმენტული ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიური

პროცესის რეალურ პირობებში ათვისება განხორციელდა ფერმერ „ბახვა დოლიძის“ საოჯახო ჩაის პლანტაციში, დამუშავებულია 1,8 ჰა ფართობი

5.3. პურპროდუქტების ტექნოლოგიების მიმართულების კოორდინატორის დარგობრივი ჯგუფი (კოორდინატორი პროფესორი მალხაზ დოლიძე)

პურპროდუქტებით ქვეყნის უზრუნველყოფა ყოველთვის არის ის საზრუნავი რაზეც თითოეული საზოგადოების წევრი და მითუმეტეს სოფლის მეურნეობაში და მის დარგებში დასაქმებული ადამიანები უნდა ზრუნავდნენ და დღენიდაც ხელს უწყობდნენ ქვეყნის სასურსათო სუვერენიტეტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ოთარ შამუგიას წლის დასაწყისში 2024 ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის შემდგომ სადაც გადაწყდა ამერიკული მხარის დახმარება საქართველოში გვესტუმრნენ კანზასის უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტები რომლებთანაც ერთად ჩვენი სპეციალისტების და უშუალოდ ჩვენი მონაწილეობით მთელს საქართველოში ჩატარდა მონიტორინგი-შესწავლა საქართველოში პურპროდუქტების მოყვანის, გადამუშავებისა და ცხოვრების სექტორებში არსებული მდგომარეობის შესახებ. სათანადო შესწავლის შემდგომ რამდენიმე თვის შემდგომ ჩატარდა შემაჯამებელი შეხვედრა რომელზეც გაიცა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები. საქართველოში ხორბლის მოყვანის დაბინავების, გადამუშავების სფეროში არსებული გამოწვევების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს სწორედ რეკომენდაციების შემდგომ ბევრად გაუმჯობესდა ლოჯისტიკის თვალსაზრისით ხორბლის ამღები ტექნიკის შექმნა რამაც წელს საშუალება მისცა ქართველ ფერმერებს ერთ კვირაში მოეხდინათ ხორბლის აღება დაბინავება რაც ადრე ვერ ხერხდებოდა, უნდა აღინიშნოს წელს წინა წლებთან შედარებით მოხერხდა 200 000 ტონა ხორბლის მოყვანა და დაბინავება და ქართულ წისქვილებში მისი შეტანა. სიმართლეს თვალი უნდა გაუსწოროთ ჯერ-ჯერობით ხორბლის ხარისხი მართალია უკეთესი უნდა იყოს (პურის ცხოვრების თვისებების თვალსაზრისით), თუმცა ჰექტარზე გაიზარდა ხორბლის ოდენობა და ის არა ერთი და ორი ტონაა არამედ 3 ტონას აღემატება და გარდა ამისა მაგალითად ქართლში გორი - ხაშურის რაიონებში ავსტრიული ჯიშის ხორბალმა „ამიკუსმა“ ყველა მოლოდინს გადააჭარბა და ჰექტარზე 5 ტონამდე მოიწიეს ამავე დროს კარგი პურის ცხოვრების თვისებებით გამოირჩეოდა აღნიშნული ხორბალი. ასევე კარგი შედეგები აჩვენა „ლომთაგორის“ მეურნეობამ სადაც საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის რეკომენდაციებს ითვალისწინებენ. მოგეხსენებათ დიდი რაოდენობით ხორბალი შემოდის რუსეთის ფედერაციიდან (საუბარია ხორბალსა და ფქვილზე) ქართული გადამამუშავებელი მრეწველობის ხელშეწყობის მიზნით ჩვენი წინადადებით რუსულ ფქვილზე დაწესდა ჯერ 10 ლარიანი 1 ტონარაზე 50 კგ ფქვილზე გადასახადი შემდგომ კი 12 ლარი 50 თეთრი, რამაც საშუალება მოგვცა ამუშავებულიყო ქართული წისქვილები და უნდა აღინიშნოს რომ პურის ცხოვრების დარგი 60-70 % ნედლეულს 1 ხარისხის ხორბლის ფქვილს იღებს ადგილობრივი წისქვილებიდან თუმცა თუ სიმართლეს თვალს გაუსწორებთ რუსული ფქვილიც შემოდის ჩვენს საწარმოებში რომელსაც იყენებენ შესარევად ანუ ფქვილის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნდა აღინიშნოს რომ თავდაპირველად იყო ასეთი მოლაპარაკება 1 ტონარა პირველი ხარისხის ფქვილის ღირებულება არ უნდა გაცდენოდა 52 ლარს რადგანაც მოგეხსენებათ ჩვენში პურის კალკულაციაში თვითეული კაპიკი დათვლილია და მნიშვნელოვანია, თითქმის 3 წელია პურზე ფასი არ შეცვლილა , გარდა ამისა ბიუჯეტში ფქვილზე საბაჟო დროებითმა გადასახადმა მობილიზება გაუკეთა თითქმის 15 მილიონ ლარს რისი გამოყენებაც დაწყებული ფერმერებიდან (იმისათვის რომ ჰქონდეთ ხორბლის მოყვანის მოტივაცია), ასევე ნებისმიერ პრობლემას, რომელიც ხშირად ჩნდება ფქვილისა და ხორბლის მომწოდებლების არასტაბილურობის გამო შესაძლებელია დაბალპროცენტაჟიანი სესხით მიმართული იყოს დანიშნულებით დარგში.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის აკადემია და მისი წევრები სექტემბრის თვეში ეწვიენ შპს „იფქლი,, გლდანის ქარხანას გაეცნენ ქარხნის სამუშაო მდგომარეობას. ძალიან საინტერესო პოლემიკა და წინადადებები წამოიჭრა ამ შეხვედრაზე , დიდი მოწონება დაიმსახურა ქარხნის ტექნოლოგიურმა აღჭურვილობამ და ქარხნის მიერ წარმოებულმა ასორტიმენტმა. ქარხნის ხელმძღვანელმა შაქრო ბაკურაძემ ისაუბრა იმ ტენდენციებზე რაც ზოგადად საქართველოს პურპროდუქტების სისტემის წინაშე დგას, ეს გახლავთ ხელმისაწვდომი სესხები ეს გახლავთ ძვირად ღირებული სათადარიგო ნაწილები, ბოლო დროს ძალიან რთულად მიმდინარე დისტრიბუცია და გამწვანებული წესები რომელიც პურპროდუქტების დარგს ყოველთვის

განსაკუთრებული გააჩნდა და რომელიც დღეს სამწუხაროდ იგნორირებულია, აღნიშნული შეხვედრა გააშუქა სოფლის მეურნეობის აკადემიასთან არსებულმა ჟურნალმა.

ჩვენ მივმართეთ წერილობით საქართველოს პარლამენტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რათა თბილისის მერიის წინაშე შევიდნენ წინადადებით პურის დისტრიბუციის ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ, რადგან მდგომარეობა საგანგაშოა.

სისტემატიურად მონაწილეობას ვიღებთ „პურის ფესტივალებში“ წელს 2024 აღნიშნული ფესტივალი 28-29 სექტემბერს ჩატარდა ბოტანიკურ ბაღში ქართული ხორბლის კულტურის - პრეზენტაცია პურის ცხობის მასტერკლასი - თონეში მივიღეთ მონაწილეობა ქართული ხორბლის ჯიშების და საქართველოს ენდემური სახეობების შესახებ დავესწარით ეთნოგრაფიული ნიმუშების გამოფენას, ჩვენთან ერთად პურის სახლის დირექტორმა თენგიზ ბაზერაშვილმა საქართველო სტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი გ. მჭედლიშვილმა და მალხაზ დოლიძემ მივიღეთ მონაწილეობა დეგუსტაციაში, რომელიც „მზეთა მზის“ წარმომადგენელ ონიანთან ერთად ჩავატარეთ, ხოლო ფესტივალის მონაწილეების წინაშე პროფესორმა მალხაზ დოლიძემ (პურის მრეწ. კავშ. თავჯდომარემ) წაიკითხა მოხსენება ქართული პურის ისტორია 100 წლის წინათ.

საუკეთესო ნიმუშები და ასორტიმენტი წარმოდგენილი ჰქონდა შპს „იფელი“ დილომის დირექტორს ნ. იოსებაშვილს, ჩემს მიერ მომზადდა რამდენიმე წერილი გაზეთ „რეზონანსსა“ და „საქართველოს რესპუბლიკაში“ პურპროდუქტების საკითხებზე, გამოვაქვეყნეთ წერილები კვების მრეწველობის ყოფილ ხელმძღვანელებზე ადოლფ ხუროძეზე, რომელმაც ინჟინრულ რელსებზე შეაყენა ქართული გადამამუშავებელი მრეწველობა, ასევე 95 წლის საიუბილეო თარიღს, მიუძღვნით წერილი პურპროდუქტების ყოფილ მინისტრს ლონგინოზ ზაქაძეს, რომლის მოღვაწეობამ ფასდაუდებელი საკითხები შემატა პურპროდუქტების დარგს და სამაგალითოა მომავალი თაობისათვის.

2024 წლის თებერვალში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარდა თბილისში საერთაშორისო კონფერენცია თემაზე ქართული ხორბლის კულტურა-რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ისტორია პროფესორ მალხაზ დოლიძისა და ტრიფონ ფარჯანაძის მიერ. კონფერენციისათვის მომზადდა ნაშრომი რომელიც ქართული პურის მომზადების ტრადიციებსა და კლასიკური ტექნოლოგიის წესებს ეხებოდა ქართული ენდემური ჯიშების გამოყენებით გარდა ამისა კონფერენციაზე მალხაზ დოლიძე გამოვიდა მოხსენებით „ქართული პურის ისტორია“ ძალიან საინტერესო გამოვიდა ჩვენი თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორთან აკადემიკოსთან ედიშერ კვესიტაძესთან, მალხაზ დოლიძემ დოქტორანტ ტრიფონ ფარჯანაძეს ურჩია გაემახვილებინა ყურადღება ისეთ აქტუალურ თემაზე როგორც უგლუტენო პურის წარმოება და ქართული ანალოგის შექმნაა დღეს ეს თემა ძალიან აქტუალურია, რადგან გლუტენი ანუ წებოვარა გარკვეული კატეგორიის ადამიანებისათვის ალერგენს წარმოადგენს, რაც გამოიხატება მსოფლიოში მზარდ დაავადებასთან „ცელიაკა“ ანუ გლუტენის აუტანლობა. დღეს საქართველოში ოპერირებს უცხოური ფირმა „ჰოლანენდ ბარეტი“ და მომხმარებლებს ძვირად ღირებულ მარკეტებში თავაზობენ აღნიშნული ფირმის პურს, ლუდს, მაკარონს და სხვა კვების პროდუქტებს, რომელიც ძალიან ძვირია მაგალითად 300 გრ. პური 10-12 ლარია, ქართული ანალოგის საინტერესო ვერსია კი იმაში მდგომარეობს რომ ფერმენტ „პროტეაზას“ გამოყენებით ხორბლის ფქვილში ვანიტრალეზით გლუტენს ანუ უგლუტენო პური არამარცვლოვანი ფქვილისაგანაა ძირითადად, ქართული ანალოგი კი ინარჩუნებს პურის გემოს და ვიღებთ უგლუტენო პროდუქციას, რაც მეტად ნიშვნელოვანია სიახლეა მეცნიერულად უფრო მეტიც - დოქტორანტ თეა ნინუას მიერ და ედიშერ კვესიტაძის ხელმძღვანელობით რომელშიც ჩართულია პროფესორ მალხაზ დოლიძე რეცენზენტის სახით შემოთავაზებულია მცენარეული ინგრედიენტების გამოყენებით ახალი სასურსათო პროდუქციის შექმნა მათთვის ფუნქციური დანიშნულების გაუმჯობესების მიზნით, შემოთავაზებულ ნაშრომში საკმაოდ საინტერესო მეცნიერული სიახლეა ანუ „პროტეაზა“, რომელიც ანეიტრალეზს „გლუტენს“ მიღებულია (ოდესის „იზაბელას“ ჯიშის ფოთლისაგან) ძირითადად გამოყენებულია გაზაფხული შემოდგომის ფოთოლი, რისგანაც მიღებულია ექსტრაქტი ხსნარი რომელიც შემდგომ ცომის მომზადებისას ემატება ნახევარფაბრიკატს საინტერესოა წებოვარა გახლავთ უხსნადი ცილოვანი ფრაქცია პროტეაზით დამუშავების შემდგომ სარეაქციო არეში გაჩნდება დაბალმოლეკულური პეპტიდები - ამინომჟავები.

გამოვაქვეყნეთ 8-9 თებერვალს 2024 წ. დანიურ სამეცნიერო ჟურნალში Faundation and Trends in Research ნაშრომები შიდა ქართლის კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ „დოესის“ სარწყავი ზონის ნიადაგებზე საშემოდგომო ხორბლის ჯიშ „წითელი დოლის“ ზრდა განვითარებაზე, ჰიდრო ფიზიკური და კლიმატური პირობების მაჩვენებლების გავლენა მორწყვის რეჟიმების დაზუსტების მიზნით. ავტორები მალხაზ დოლიძე, პროფესორი ოლღა ხარაიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ მოამბეში 2024 წ. ივნისში მეორე გამოცემაში სათაურით „ხორბლის ცომში გლუტენის ფერმენტული დამლა და მიღებული უგლუტენო პურის სენსორული ანალიზი“ ავტორები ტრიფონ ფარჯანაძე, თამრიკო ხობელია, ქრისტინე მუსელიანი, მალხაზ დოლიძე, თამარ საჩანელი და ედიშერ კვესიტაძე .

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში მოამბეში 2024წ. ოქტომბერში Panman-Monteith - ისა და FAO-24-ის მეთოდებს შორის საკონტროლო ევაპოტრანსპირაციის ცდომილების განსაზღვრა „ლომთაგორის“ მაგალითზე ავტორები მ. დოლიძე, მ. კუპრეიშვილი, თ. ოდილავაძე, კ. ლაშხი, მ. ლომიშვილი.

პურპროდუქტების დარგში გვაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოწვევები რომელზედაც აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება მაგალითად ფქვილის ტრანსპორტირება მთელს საქართველოში ძირითადად ხორციელდება 50 კგ ტომრების მეშვეობით, თითქმის მთლიანად მოშლილია ფქვილის გადაზიდვის პროგრესული უტაროდ მიწოდების მეთოდი, მხოლოდ კოკა კოლის ფქვილოვანი ნაწარმის საცხოვრებელი 2024-ში შეზღო მოეწყო უტარო გადაზიდვის მეურნეობა არადა თბილისში თითქმის ყველა საწარმო ფქვილს იღებდა სპეციალიზირებული ფქვილის მცლეელი მანქანებით 1987 წლამდე, მანქანაში ორი ბუნკერი იყო მოწყობილი, რომელშიც 7 – 8 ტონამდე ფქვილი ეტეოდა ასეთი სახით ფქვილი იწონებოდა სპეციალიზირებულ სამანქანე სასწორებზე ფქვილის პარტიას წისქვილიდან მოყვებოდა შესაბამისობის დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იყო ხარისხი და სინესტის მაჩვენებელი ასეთი სახით მიწოდებული ფქვილი წარმოებისათვის ხელსაყრელი იყო საწარმოებში დამონტაჟებული იყო სასილოსე მეურნეობა, ხდებოდა ფქვილის კონტროლი მაგალითად თვითეულ ქარხანაში სილოსის მარაგი შეადგენდა 360 ტონას, რაც საშუალოდ 10 დღის მარაგი იყო (გამორიცხული იყო ფქვილის გაბნევა) მტკერი და მძიმე შრომა რომელიც 50 კგ ტომრების დამუშავებას ჭირდება ელექტრონული მაგნიტების საცრებით დღეს ერთეულ საწარმოებშია ფქვილის საანალიზო მოწყობილობა (ლაბორატორიული კონტროლი) თერმოსტატი, ჩიჟოვის აპარატი და სხვა აუცილებელი ატრიბუტიკა, რომელიც გააკონტროლებს ფქვილის თვითეულ პარტიას, თითქმის ყველგან ფქვილის სინესტის მაჩვენებელი იღება საშუალო ციფრი 14,5% რაც ხშირად ირღვევა, რაც ძლიან უშლის წარმოებას სწორად დასახოს ტექნოლოგიური პროცესი და სწორად იანგარიშოს ფქვილის გამოსავლიანობა.

თბილისში არც ერთ ობიექტში არ დგას პურის ავტომატურად შეფუთვის და დაწყობის დანადგარი, ეს ძვირად ღირებული სიამოვნებაა 100 000-დან 150 000 დოლარად იყიდება, უცხოეთის ფირმებში ჩვენს პურის წარმოებებს ამის ხელმისაწვდომობა არ გააჩნიათ, რადგან პურის წარმოებაში შემოსავლებს ფასი განაპირობებს. ისიც უნდა აღინიშნოს კორონავირუსის გავრცელების შემდგომ 2020-2022 წ-ში თბილისში თითქმის ყველა პროდუქცია შეფუთული სახით მიეწოდება მომხმარებლებს რაც ძალიან კარგია მომხმარებელიც ამას მიეჩვია, თუმცა ისიც მინდა იცოდეთ ეს საკმაოდ ძვირად ღირებული სიამოვნებაა, რადგანაც შესაფუთი მასალის ფასები მერყეობს 15-30 თეთრამდე გაფორმებისა და პოლიგრაფიის მიხედვით, თბილისში სამწუხაროდ აღარ გვაქვს საფუარის ქარხანა დღეს ძირითადად საფუარი შემოდის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან სადაც საფუარის წარმოება თურქულმა ფირმა „საფაიამ“ უზრუნველყო „საფაია“ კი ფრანგული ფირმა „ლესაბლის“ შვილობილი კომპანიაა რომლის დირექტორატი თურქეთის ქალაქ ამასიაშია (ანკარასთან ახლოს) თავის დროზე ჩვენ აღნიშნული ქარხანა დავათვალიერეთ ფრანგების არჩევანი ამასია იმიტომ იყო რომ აქ შაქრის ჭარხალზე მომუშავე ქარხნებია, ჭარხლის მელასა კი საფუარის ძირითადი ნედლეულია, სადაც კარგად მუშაობს საფუარის კულტურა (მიკრობი). დღეს გამოწვევად რჩება კვალიფიციური მუშახელი, რომლის დიდი დენადობა და დეფიციტია სხვა ქვეყნებში მიზეზე მარტივია, მიუხედავად იმისა რომ თვეში 12 დღეს მუშაობენ სამცვლიან პრინციპით (პურის ქარხანა ძირითადად ცვლებია და განსაკუთრებით ზაფხულობით საკმაოდ ცხელი გარემო) ანაზღაურება 120 და 150 ლარიც აღარ აკმაყოფილებს მუშახელს.

სასურველია შემოდებული იქნას წესები, რომლის მიხედვითაც აუცილებელ პირობად უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციის გნებავთ საშუალო გნებავთ უმაღლესი განათლების კატეგორია

დასაქმდეს პურის საწარმოებში ისე როგორც ეს ევროპაშია, თუ შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია არ გაქვს პურის ცხოვას არ მიგაკარებენ, თუ მუშაობ ანაზღაურებაც საკმაოდ მაღალია.

თავი 7. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2024 წელს შესრულებული მუშაობის ანგარიში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2013 წლიდან ფუნქციონირებს „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი“. ხელმძღვანელი - აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, მოადგილეები: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკად. დოქტორი დავით მადრაძე. სწავლული მდივანი აკად. დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი, მენეჯერი ნიკოლოზ ალექსიძე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის საქმიანობის მიზანია საქართველოს გარემოს დაცვის მდგრადობის შესწავლა, საქართველოში გავრცელებული კულტურული და ველურად მოზარდი მცენარეების და სასოფლო – სამეურნეო და გარეული ცხოველებისა და ფრინველების გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა; მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების მოძიების, გაცვლის და მათი დაცვის მიმართულებით შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო გენბანკებში მასალის შენახვა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება. გარემოს დაცვის ქმედითი ღონისძიებების შემუშავება. საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების შესწავლის მიზნით ექსპედიციების მოწყობა. მოპოვებული მასალების დამუშავება და მეცნიერული ანალიზის გაკეთება. შესაბამისი პუბლიკაციების მომზადება და საზოგადოების ინფორმირება, სემინარების მოწყობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ცენტრის თანამშრომლების მიერ წლების განმავლობაში ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- საქართველოში გავრცელებული კულტურული და ველურად მოზარდი მცენარეების და სასოფლო – სამეურნეო ცხოველების გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა;
- მცენარეთა და ცხოველთა გენეტიკური რესურსების მოძიება, შესწავლა/დამუშავება და მათი დაცვა შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო გენბანკებში (კორეის ბიომრავალფეროვნების ცენტრის გენბანკი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია);
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება.

იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ფარგლებში შექმნილ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში „ქართული ხორბლის მოყვანისა და გამოყენების ტრადიციების“ შეტანის მიზნით მიმდინარე პროექტი. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების ცენტრი ხელმძღვანელობდა პროექტს - იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ფარგლებში შექმნილ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“-ს შეტანის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქართველ მეცნიერთა მიერ ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა მნიშვნელოვანი საძიებო სამუშაოები.

ექსპედიციების განმავლობაში მოძიებული იქნა შემდეგი ინფორმაცია: - ხორბლის (ადგილობრივი ჯიშების) მოყვანასთან, მოვლასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული (დღეისათვის არსებული ტრადიციული სოციალური პრაქტიკის, ბუნებისა და სამყაროს შესახებ ცოდნის, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებისა და გამოხატვის ფორმების, ენის, ადათ - წესებისა და ჩვეულებების, რიტუალებისა და დღესასწაულების, ფოლკლორის, ტრადიციულ

ხელოსნებისა და საშემსრულებლო ხელოვნების, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტების, საგნებისა და კულტურული სივრცეების შესახებ).

- სამიწათმოქმედო წეს-ჩვეულებები: ზაფხულში მოსავლის აღება-დაბინავება, გაზაფხულის და შემოდგომის ბუნიობაზე ხვნა-თესვა;

- ზაფხულის ათნიგენობაზე და ყველა სხვა დღესასწაულებზე სარიტუალო პურების ცხოზა საჯანმრთელო პურები (ბასილები), ბედის კვერები და სხვა ხორბლით დალოცვები სხვადასხვა დღესასწაულებზე და ხორბლის გამოყენება რიტუალებში.

პროექტის დასასრულს ჩატარდა საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“ (5-6 თებერვალი, 2024). ორგანიზატორები: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. კონფერენციის მხარდამჭერები: საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი; FAO-გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი წარმოდგენილი იყო 4 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი) მეცნიერთა შემადგენლობით, ხოლო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 6 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, აშშ, თურქეთი) მეცნიერ-მკვლევარებმა. ჯამში 60-ზე მეტმა მეცნიერ-მკვლევარმა, დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა თეზისები და შრომათა კრებული, რომელშიც გაშუქდა 31 სამეცნიერო ნაშრომი. კონფერენციამ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

აგრარული ეროვნული კვლევითი სისტემის ფარგლებში (NARS) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინდიკატორების (ASTI) 2023 კვლევაში მონაწილეობა - საანგარიშო წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და აკადემიის გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების ცენტრი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექინფორმი“ და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) თანამშრომლობის ფარგლებში, ახორციელებს კვლევას სოფლის მეურნეობაში ადამიანური რესურსების და ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინდიკატორების (Agricultural Science and Technology Indicators ASTI) სოფლის მეურნეობის კვლევის ეროვნულ სისტემაში (National Agricultural Research System - NARS) დასაწერად.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინდიკატორების (ASTI) პროგრამა ადრე ხორციელდებოდა სურსათის პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის (IFPRI) მიერ, ხოლო ამჟამად კი გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დაქვემდებარებაშია. აღნიშნული პროგრამის FAO-ში გადასვლის მთავარი მიზანი ASTI-ის მონაცემთა ბაზის საერთო ხარისხის, დროულობისა/მყისიერობისა და სისრულის სტანდარტიზაცია, ჰარმონიზაცია და გაუმჯობესება წარმოადგენს. ASTI-ს ინსტიტუციონალიზაცია და მონაცემთა შეგროვების წარმოდგენილი მოდელი გამოიზრდის მის (ASTI) ინტეგრაციაზე ეროვნული სტატისტიკურ სისტემაში, ქვეყნის შიგნით არსებული რესურსების მართვისა და გაძლიერებისათვის (ნიმუში).

ცენტრის თესლის შესანახ ოთახის (გენბანკი) ამჟამად ინახება გასული წლის განმავლობაში ექსპედიციებიდან მოპოვებული მარცვლოვანი და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების გენეტიკური მასალა.

შემენილია (ველოდებით მოწოდებას) მცენარეთა თესლის ხანგრძლივი შენახვისათვის შესაბამისი ტექნიკა - საშრობი კარადა, მიკროსკოპი, სხვა საჭირო აღჭურვილობა. რაც საშუალებას მოვცემს მოპოვებული გენეტიკური მასალა შენახული იქნას ხანგრძლივი ვადით, 20 და მეტი წლის ხანგრძლივობით.

დაისტამბა აკადემიის გამომცემლობის მიერ ბროშურა „ხეხილის ბაღებში გავრცელებული სასარგებლო მწერები“ - ავტორი - აკად. გ. ალექსიძე.

მომზადდა ორი რეკომენდაცია:

1. ვაზის ბიომრავალფეროვნების დაცვა მავნებელ - დაავადებებისაგან (ავტორი - აკად. გ. ალექსიძე)
2. ხეხილის ბიომრავალფეროვნების დაცვა მავნებელ - დაავადებებისაგან (ავტორი - აკად. გ. ალექსიძე).

მომზადდა მონოგრაფია „ხეხილის მავნებლები, მათი ბუნებრივი მტრები და ინტეგრირებული დაცვა“ (ავტორი - აკად. გ. ალექსიძე).

მომზადებული სამეცნიერო სტატია აკადემიის „მომზადებული“ გამოსაქვეყნებლად: „მცენარეთა დაცვის ეკოლოგიური პრობლემები“ (ავტორი - აკად. გ. ალექსიძე).

კორეის რესპუბლიკის ბიომრავალფეროვნების ცენტრის ინიციატივით მომზადდა ერთობლივი სამეცნიერო სტატია "მაძას (*Vigna unguiculata* L.) წარმოება, გენეტიკური რესურსები და სტრატეგიული მეცხოველეობის პრიორიტეტები მდგრადი სასურსათო უსაფრთხოებისთვის".

2025 წლიდან დაგეგმილია ექსპედიციების მოწყობა საქართველოს რეგიონებში, რათა მოხდეს მცენარეთა ადგილობრივი კულტურული ჯიშების თესლების მოძიება-მოპოვება, მათი გენბანკში შემდგომი შენახვის მიზნით.

თავი 8. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

წლების განმავლობაში აკადემია თანამშრომლობს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან: CGIAR – სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო კონსორციუმი (აშშ); ICARDA - მშრალი რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (იორდანია); CIMMYT - ხორბლისა და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი (მექსიკა); ICRISAT – ნახევრად არიდული ტროპიკული კულტურების საერთაშორისო სამეცნიერ-კვლევითი ინსტიტუტი (ინდოეთი); BIOVERSITY INTERNATIONAL - საერთაშორისო ბიომრავალფეროვნების ცენტრი (იტალია); ACIRO - მსოფლიო მებოსტნეობის ცენტრი (ტაივანი); CACAARI - ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია (უზბეკეთი); IFPRI სურსათის პოლიტიკის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (აშშ); BACSA - შავი, კასპიის ზღვებისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეაბრეშუმეობის ასოციაცია (ბულგარეთი), CIP - კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი (პერუ); ჩინეთისა და სამხრეთ კორეის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიები; ბელორუსის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; ვავილოვის მემცენარეობის ს/კ ინსტიტუტი (რუსეთი).

აკადემიას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის 46 ხელშეკრულება (მემორანდუმი) მსოფლიო სამეცნიერო ცენტრებთან და ინსტიტუტებთან.

აკადემია ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციას “CACAARI”, რომელშიც ამ რეგიონის 8 ქვეყანაა გაერთიანებული; აკადემია ასევე აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო კვლევით კონსორციუმთან „CGIAR“, რომლის შემადგენლობაშიც შედის მსოფლიოს 16 საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. მათგან ექვსთან გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები ერთობლივ კვლევებზე. 1998 წლიდან აკადემია არის სოფლის მეურნეობის განვითარების გლობალურ ფორუმის „GFAR“ აქტიური წევრი.

ნაყოფიერია აკადემიის ურთიერთთანამშრომლობა: უკრაინის აგრარულ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან; უკრაინის ცხოველთა ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (უკრაინა); ბიორესურსებისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნულ უნივერსიტეტთან (უკრაინა); ვინიციის, პოდოლსკის, ოდესის და ბელაიაცერკოვის სახელმწიფო ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტებთან (უკრაინა); ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის მეცნიერებათა აკადემიასთან; ლატვიის მეცნიერებათა აკადემიასთან, მოლდოვას ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ინსტიტუტთან ზოონიჟინერიასა და ვეტერინარულ მედიცინაში; საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტთან; თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; საქართველოს და აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან; საქართველოს ბიორაციონალური ტექნოლოგიების კვლევით ცენტრთან; ჟურნალ „ახალ აგრარულ საქართველოსთან“; ტელევიზია "საფერავი ტვ"-თან.

**2024 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიამ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან:**

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან 2024 წლის 27 მარტს;
2. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციას, ცენტრალური აზიისა და კავკასიის სოფლად საკონსულტაციო სერვისების ფორუმს, სოფლის საკონსულტაციო სერვისების გლობალურ ფორუმსა და შვეიცარიის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ასოციაციასთან 2024 წლის 26 აპრილს;
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნიფორმთან 2024 წლის 14 მაისს;
4. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან 2024 წლის 04 ივნისს.

**2024 წლის 27 მარტს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს
მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას შორის**



მიმდინარე წლის 27 მარტს, საქარ-თველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობას შორის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი

გიორგაძე, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე, პროფესორი თამაზ ბაციკაძე, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი რამაზ ხუროძე, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, აკადემიკოსები: ავთანდილ კორახაშვილი და გია ჯაფარიძე, ადმინისტრაციული აპარატის უფროსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ფელიქს კალანდარიშვილი, უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ზინა ჯორბენაძე და ადამიანური რესურსების მართვისა და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტის უფროსი ავთანდილ აბაშიძე.

შეხვედრა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა. აღინიშნა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას შორის დიდი ხნის საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს და მათ მონაწილეობა ერთობლივად არაერთ ღონისძიებაში აქვთ მიღებული. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის



მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე. მან დამსწრე საზოგადოების ყურადღება გაამახვილა აკადემიებს შორის სამომავლო თანამშრომლობაზე, გეგმებზე, რომელთა განხორციელებაც ქვეყნისათვის დიდი სიკეთის მომტანი იქნება.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორმხრივი მემორანდუმი ითვალისწინებს საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობას და ერთობლივი სამეცნიერო პროექტების

განხორციელებას, ასევე, ქართული მეცნიერების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენას, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების მოსალოდნელი შედეგების შესახებ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და საზოგადოებისათვის რეკომენდაციების წარდგენას.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონია. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა და საქართვე-



ლოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების პრეზიდენტებმა - აკადემიკოსებმა გივი ჯაფარიძემ და როინ მეტრეველმა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციას, ცენტრალური აზიისა და კავკასიის სოფლად საკონსულტაციო სერვისების ფორუმს, სოფლის საკონსულტაციო სერვისების გლობალურ ფორუმსა და შვეიცარიის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ასოციაციას შორის

მიმდინარე წლის 26 აპრილს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციას, ცენტრალური აზიისა და კავკასიის სოფლად საკონსულტაციო სერვისების ფორუმს, სოფლის საკონსულტაციო სერვისების გლობალურ ფორუმსა და შვეიცარიის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ასოციაციას შორის.



შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი, GFRAS-ის გენერალური მდივანი, დოქტორი კარლ ერიკ ლარსენი, AFRD-ის პრეზიდენტი, დოქტორი კახა ნადირაძე, GFRAS-ის პროგრამის მენეჯერი, დოქტორი ჯოეპ სლაატსი, CAC-FRAS-ის თავმჯდომარე, დოქტორი ზოდირ დოსოვი, GFRAS-ის კომუნიკაციების კოორდინატორი ქალბატონი ინგრიდ ოლივიერა, ინოვაციური განათლების ფონდის დირექტორი, ბატონი მერაბ ლაბაძე.

თანამშრომლობის საგანს წარმოადგენს: სოფლის საკონსულტაციო და გაფართოებული სერვისების განვითარება, სოფლის მეურნეობის მეცნიერებებისა და განათლების ციფრული ტრანსფორმაცია ისეთ სფეროებზე, როგორცაა: აგროეკოლოგიური და აგრობიზნესის კოლეჯების განვითარება საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, საოჯახო ფერმების, აგრეთვე სხვადასხვა მიმართულების ფერმებისა და ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექინფორმს შორის



მიმდინარე წლის 14 მაისს ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექინფორმს შორის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი

ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანობისა და კავშირის მთავარი სპეციალისტი, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი, ხოლო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნიფორმიდან, ტექნიფორმის დირექტორი ქალბატონი ნელი მახვილაძე.

შეხვედრა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ აკადემიასა და ტექნიფორმს შორის არაერთი წლის თანამშრომლობა აკავშირებს, რაც მეტად მისასალმებელია. მემორანდუმი კიდევ უფრო დააახლოებს ამ ორ ორგანიზაციას, რას შემდგომში გააძლიერებს და გაზრდის ქვეყნის აგრარული დარგის ცნობადობას საერთაშორისო დონეზე. თავის მხრივ ტექნიფორმის დირექტორმა, ქალბატონმა ნელი მახვილაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ამ ორ ინსტიტუციას შორის ხელს შეუწყობს თანამ-შრომლობის გაძლიერებას საქართველოში გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში (FAO) შემავალ სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინდიკატორების (ASTI-ის) საპილოტე პროექტის განხორციელებას (FAO ASTI).

მხარეები შეთანხმდნენ: რომ მემორანდუმის ფარგლებში მოხდება FAO ASTI-ის მიერ შემუშავებული კითხვარების დააგზავნა შესაბამის უწყებებში პასუხების მოსაპოვებლად. ასევე შეჯერებული პასუხები გადაეგზავნებათ FAO ASTI-ის ოფიციალურ წარმომადგენლებს. ამასთან მხარეები შეთანხმდნენ, რომ საპილოტე პროექტში საკვანძო ორგანიზაციად განისაზღვროს სტუ-ს ინსტიტუტი ტექნიფორმი.



შეხვედრის დასასრულს გაიმართა ურთი-ერთთანამშრომლობის მემორანდუმზე ხელმოწე-რის ცერემონია. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნიფორმის დირექტორმა, ქალბატონმა ნელი მახვილაძემ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

მიმდინარე წლის 4 ივნისს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის.



ურთიერთთანამშრომლობის მემორან-დუმის გაფორმებასთან დაკავშირებით მიძ-ღვნილ სხდომას საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის პრეზიდენტის თანამემწე, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი თამაზ ბაციკაძე; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, უნივერსიტეტის კანცლერი, პროფესორი კარლო კოპალიანი, რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, პროფესორი თამარ ლომინაძე, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, აკადემიკოსი ედიშერ კვესიტაძე, სტუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუდენტები.

სხდომა გახსნა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ, ბატონმა დავითმა ისაუბრა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე და სიახლეებზე. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე. აღინიშნა, რომ ფაკულტეტზე მოქმედებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა. გარდა ამისა წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან კოლაბორაციით შემუშავებულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ ახალგაზრდები ორმაგ, ქართული და ევროპული უნივერსიტეტის დიპლომს იღებენ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა, აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. ბატონმა გივიმ მადლობა გადაუხადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დ. გურგენიძეს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და უნივერსიტეტის მეცნიერ-პედაგოგებს გულთბილი მიღებისათვის. აუდიტორიას გააცნო აკადემიის სტრუქტურა. ისაუბრა აკადემიაში მოქმედ სამეცნიერო განყოფილებებზე, მათ საქმიანობაზე. ხაზი გაუსვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქარ-თველოს ტექნიკური უნივერსიტეტს შორის წლების განმავლობაში არსებულ ახლო საქმიან ურთიერთობასა და მეგობრობას. აღნიშნა, რომ ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი ამ ორ ინსტიტუციას შორის კიდევ უფრო მეტად დაახლოებს მათ და სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის გაღრმავების საშუალებას მისცემს. ჩატარდება ერთობლივი სამეცნიერო დისკუსიები, სიმპოზიუმები, კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, სემინარები, ტრენინგები აგრარული დარგში არსებულ პრობლემატურ და მნიშვნელოვან საკითხებზე.



მემორანდუმის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ: ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტაზე, მეცნიერთა შორის საქმიანი ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაზე; ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და პროფესიონალიზმზე დაყრდნობით საქართველოში უმაღლესი განათლებისა



და მეცნიერების განვითარების ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე, განათლების, მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ხელშეწყობაზე და სხვ.

შეხვედრის ბოლოს გაიმართა ხელმოწერის ცერემონია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი

ჯაფარიძემ, ხოლო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ.

თავი 9. მნიშვნელოვანი ღონისძიებები, სამეცნიერო კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, საზეიმო შეხვედრები

UNESCO-ში საქართველოს მიერ წარდგენილი ნომინაცია „ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით დიდი სამუშაოები წარმართა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, რომლის მიზანიც იყო იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციის ფარგლებში ახალი ნომინაციის მომზადება და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში „ქართული ხორბლის კულტურის: რიტუალებისა და ტრადიციების“ შეტანა. ამ მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გამოუყო ფინანსური რესურსი, რომლითაც დაფინანსდა სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციები ქვეყნის მასშტაბით. სულ ექსპედიციებში მონაწილეობა მიიღო 2 მეცნიერ-მკვლევარმა (ეთნოგრაფი და მეხორბლე) და 2 ტექნიკურმა პერსონალმა (ოპერატორი და მძღოლი).

საწყის ეტაპზე, სამუშაო ჯგუფის წევრებისა და, დამატებით ჩართული ორი ანთროპოლოგ-ეთნოლოგის რეკომენდაციით, დაგეგმილ იქნა ნომინაციის მომზადების მთელი პროცესი. ამ კონტექსტში, ელემენტის სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად, განხორციელდა ექსპედიციები შემდეგ რეგიონებში: კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქართლი, ზემო და ქვემო სვანეთი, თუშეთი, გურია. ექსპედიციების საფუძველზე მოძიებული და დაფიქსირებული იქნა: ადგილობრივი ფერმერები, რომელთაც დღესაც რიტუალურად მოყავთ ქართული ენდემური ხორბალი და რომლებიც ტრადიციულ საცხოვებში (თონესა და ფურნეში) კვლავაც აცხობენ შესაწირ თუ ყოველდღიურ პურეულს; შესწავლილი იქნა ენდემური და ტრადიციული ხორბლის ნამზადის მონაწილეობა შემოდგომა-ზამთრის წეს-ჩვეულებებში და რიტუალურ ციკლში. ნომინაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასევე გადაღებულ იქნა პურის ფესტივალის მესხეთში, ქალაქ ახალციხეში, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ხორბლიდან მიღებული ფქვილით გამომცხვარი პურის მრავალფეროვანი ასორტიმენტი; ჩაწერილ იქნა ინტერვიუები ფერმერებთან, პურის მცხოვრებლებთან. ერთდღიანი გადაღება დაეთმო „ელკანას“ ბაზაზე არსებული საზოგადოებრივი ჯგუფის - „ფქვილიანი ხელების“ ფორმატში ჩატარებულ მასტერკლასებს. მოეწყო უნიკალური არტეფაქტების გადაღება: საუბარია, კარბონიზირებული ხორბლის ნიმუშებზე, რომელიც აღმოჩენილია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე და მათი ასაკი განისაზღვრება 8-ათასი წლით (მვ. წ. მე-6 ათასწლეული). ეს არტეფაქტები დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ და გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. აქვე უნდა აღინიშნოს გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ექსპონატები, რომლებიც დაკავშირებულია ხორბლის თესვა-მოყვანა, დაუნჯებასთან. ექსპონირებულია სახვნელი საშუალებების სხვადასხვა ტიპები მთისა და ბარისა (დიდი გუთანნი), კვერი, კოდი და სხვ. ერთი გასვლითი დღე მოეწყო გურიაში, სადაც გადაღებულ იქნა გურული ღვეზელის ტრადიციული ცხობის რიტუალი.

მოპოვებული და შესწავლილი ვიდეო მასალების საფუძველზე დამონტაჟდა ფილმი იუნესკოში წარსადგენად.

2024 წლის 5-6 თებერვალს სასტუმრო „რესპუბლიკის“ - „ივენთ ჰოლში“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო - სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“. კონფერენციის მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი; FAO-გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

კონფერენციის საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი წარმოდგენილი იყო 4 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი) მეცნიერთა შემადგენლობით, ხოლო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს 6 ქვეყნის (საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი, აშშ, თურქეთი) მკვლევარ-მეცნიერებმა (კონფერენციის ფართე მიმოხილვა იხ. ქვემოთ).

მოსამზადებელი სამუშაოების პარალელურად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „ქართული ხორბლის კულტურას: რიტუალებსა და ტრადიციებს“, საქართველოს მთავრობის N-98 დადგენილებითა და პრემიერ-მინისტრის ხელმოწერით, 2024 წლის 27 მარტს, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია განესაზღვრა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთელი ეს მრავალთვიანი სამუშაოები მიზნად ისახავდა იუნესკოს ნომინაციის მომზადებას და, საბოლოო ჯამში, სამუშაო ჯგუფმა დაასრულა იუნესკოში გასაგზავნი დოსიეს მომზადება, მათ შორის:

1. წარმომადგენლობით ნუსხაში შესატანი ელემენტის სააღრიცხვო ბარათი;
2. ელემენტის ამსახველი 10-წუთიანი ვიდეო-ფილმი, ინგლისური სუბტირები;
3. ელემენტის ამსახველი 10 ფოტო;
4. ვიზუალური მასალის საავტორო უფლებების დამადასტურებელი ხელმოწერილი დოკუმენტები;
5. 4000-მდე მხარდამჭერი ხელმოწერა;
6. ერთი მხარდამჭერი ვიდეო მიმართვა.

აღნიშნული დოკუმენტები გადაეგზავნა სსიპ-საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომელმაც დოსიე გადაუგზავნა საგარეო საქმეთა სამინისტროს.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ დოსიე გააგზავნა UNESCO-ს სათაო ოფისში.

საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია

„ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“

საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია“ გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა მოდერატორმა-სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა,



აკადემიკოსმა ლევან უჯმაჯურიძემ. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ ასევე: საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ქალბა-ტონი ნინო წილოსანი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბატონი იური ნოზაძე; საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე, ბატონი ნოდარ პაპუკაშვილი; საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე,

ბატონი ნიკოლოზ აზნაურაშვილი; მაღალყოვლადუსამ-ღვდელოესობა დავითი; გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელი საქართველოში, ბატონი რაიმუნდ იელე; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ქალბატონი თინათინ სადუნიშვილი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია; კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC) დირექტორი, ქალბატონი სოფიკო ახობაძე; საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი რატი კოჭლამაზაშვილი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან აუდიტორიის წინაშე წარსდგა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. მომხსენებლებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ხორბალს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ქართულ ხორბალზე, რომელიც გამორჩეული ნიშან-თვისებებით ხასიათდება და რის გამოც მას ფართოდ იყენებენ სელექციურ საქმიანობაში. მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის 27 სახეობიდან საქართველოში 14 სახეობას ვხვდებით, რომელთაგან 5: ჩელტა ზანდური (*Triticum timopheevii*), კოლხური ასლი (*Triticum palaeocolchicum*), მახა (*Triticum macha*), ჰექსაპლოიდური ზანდური (*Triticum zhukovskiyi*) და დიკა (*Triticum carthlicum*) – საქართველოს ენდემია, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში გავრცელებული ხორბლის სახეობების ნახევარზე მეტში ქართული გენი დევს. ქართული ხორბლის სახეობები უნიკალურია თავისი გენეტიკური და სელექციური თვალსაზრისითაც, რადგან ახასიათებთ ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორცაა: დაავადებებისადმი კომპლექსური იმუნიტეტი, სტერილურობისადმი გამძლეობა, ცილის მაღალი შემცველობა, ადაპტაციის მაღალი უნარი, თავთავის ღერაკის მაღალი ელასტიკურობა, გამძლეობა თავთავის ტყდომისადმი და თავთავიდან მარცვლის ცვენადობისადმი, თავთუნებიდან მარცვლების ადვილად გამოლეწვის უნარი და სხვ.

გარდა ამისა მომხსენებლებმა ისაუბრეს ქართველთა ყოფაში ხორბლის მნიშვნელობაზე და იმ ტრადიციებზე, რომელიც ხორბლის მოყვანასა და მის ნამზადთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ხაზი გაუსვეს იმას, რომ პურის ცხოვა საქართველოში ძველთაგანვე კეთილშობილურ საქმედ მიიჩნეოდა. ცხვებოდა მრგვალი, გრძელი, ოთხკუთხედი, ადამიანისა და ცხოველის გამოსახულებით, გულიანი ნამცხვრები და სხვ. დანიშნულების მიხედვით იყო რიტუალური, საოჯახო, სასტუმრო. რიტუალურს განეკუთვნებოდა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული, ღვთაებათა თაყვანსაცემად, ბუნების ძალთა აღორძინებასთან დაკავშირებით და სხვა. პურის სახეობებს სხვადასხვა ფუნქციის შესრულება ჰქონდა დაკისრებული: ყოველდღიურად ჯალაბთ სანაყრი იყო, სტუმრის დაპურების ძირითადი საშუალება. სახატო, სათემო, საოჯახო, ლხინისა თუ მწუხარების სუფრის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღესაც ჩვენში პურის გარეშე არ არსებობს სუფრა, სალხინო იქნება ეს თუ მწუხრის.

მისაღმების შემდეგ კონფერენციის მუშაობის პროგრამის შესაბამისად გაიმართა I სესიის მუშაობა, რომლის მოდერატორებიც გახლდნენ: სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მარცვლოვან კულტურათა სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ცოტნე სამადაშვილი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ქეთევან ხუციშვილი. I სესიაზე მოსმენილი იქნა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ გაკეთებული არაერთი საინტერესო მოხსენება, რომელთაგან აღსანიშნავია: ქართული ხორბლის ენდემური სახეობები და ადგილობრივი ჯიშები (ლ. უჯმაჯურიძე, ც. სამადაშვილი, გ. ჩხუტიაშვილი); ხორბალი ტრადიციულ ქართულ ყოფით და სარიტუალო პრაქტიკაში (ქ. ხუციშვილი); შენიშვნები ხორბლის 4.5 ენდემური სახეობის შესახებ და მათი ადგილი *Triticum*-ის ახალ კლასიფიკაციაში (მ. სლაგერენი); ქართული ხორბალი და მისი მოხმარების სოციალურ-კულტურული ასპექტები (ნ. შოშიტაიშვილი, გ. ჩხუტიაშვილი); უძველესი ხორბლის სახეობები ქვემო ქართლის ნეოლითური ნამოსახლარებიდან (ნ. რუსიშვილი); და სხვ.

6 თებერვალს II სესიამ მუშაობა დილის 10 საათიდან დაიწყო. მსმენელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მოხსენებებმა: სარიტუალო პურები და ქართულ-ევროპული პარალელები (რ. გუჯეჯიანი); ხორბლის მყვანის ტრადიცია ართვინის რეგიონში (თურქეთის რესპუბლიკა) (გ. უზთურქი); პურის ცხოვის ტრადიციები კახეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით (თ. გვიმრაძე); ქართული გენეტიკური ხაზის როლი რბილი ხორბლის წინაპრის - *Aegilops tauschii*

Coss.-ის ევოლუციაში (ი. მაცუოკა); ხორბლის მოყვანასთან დაკავშირებული ეთნომუსიკალური ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოში (ნ. ვალიშვილი) და სხვ.

II სესიის დასრულების შემდეგ კონფერენციის მუშაობა შეაჯამეს მოდერატორებმა: ქალბატონმა ქ. ხუციშვილმა და ბატონმა ც. სამადაშვილმა. უცხოელმა სტუმრებმა, ბატონებმა: მ. სლაგერენმა, ი. მაცუოკამ; ქალბატონებმა: მ. მარკოვამ, გ. უზურთურქმა, ასევე ქართველმა მეცნიერება მადლობა გადაუხადეს კონფერენციის ორგანიზატორებს მეტად მნიშვნელოვანი



კონფერენციის ორგანიზებისათვის და იმედი გამოთქვს, რომ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიას ქართული ხორბლის ნამზადის რიტუალიც დაემატება.

კონფერენცია დახურა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის დირექტორმა, აკადემიკოსმა ლ. უჯმაჯურიძემ, რომელმაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილესთან აკადემიკოს ა. გიორგაძესთან ერთად სამახსოვრო სერტიფიკატები გადასცა

კონფერენციის უცხოელ და ქართველ მონაწილეებს. აღნიშნულის შემდეგ აკადემიკოსმა ლ. უჯმაჯურიძემ დიდი მადლობა გადაუხადა კონფერენციის მუშაობაში ჩართულ თითოეულ მონაწილეს და წარმატება უსურვა შემდგომ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

კონფერენციის მონაწილეებმა, კონფერენციის ორგანიზატორებთან ერთად გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები, რის შემდეგ მოწვეული უცხოელი სტუმრებისათვის მოეწყო ექსკურსია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიდაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 60-ზე მეტმა მეცნიერ-მკვლევარმა, დაიბეჭდა სამეცნიერო შრომათა თეზისები, რომელშიც გაშუქდა 31 სამეცნიერო ნაშრომი. კონფერენციის ორივე დღე გაშუქებული იყო საფერავი ტვ-სა და სხვა ტელევიზიების მიერ.

ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „ვეტერინარიის აქტუალური საკითხები თეორიასა და პრაქტიკაში“

მიმდინარე წლის 30 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ვეტერინარიის აქტუალური საკითხები თეორიასა და პრაქტიკაში.“

კონფერენციას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ა. გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მ. ბარვენაშვილი, აკადემიის



პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ჯ. გუგუშვილი, აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თ. ყურაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლ. დოლიძე, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ლ. ჩაიკა და მ. მოსაშვილი. მოწვეულ სტუმრებს

შორის იყვნენ: სეს-ის უფროსის მოადგილე ვ. ბასილაძე, სეს-ის ვეტერინარული დეპარტამენტის უფროსი ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი დ. ხელაია და მისი მოადგილეები: ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი დ. გოდერძიშვილი და ი. მენტეშაშვილი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორები: მ. კერესელიძე და კ. მიქაძე, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ს. ბერიძე, სეს-ის ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ე. ნინიძე, „ნიუვეტ“ კლინიკის დირექტორი, დოქტორი ნ. ომარაშვილი, ვეტერინარიის დეპარტამენტის და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ვეტერინარიის კვლევის სამსახურის თანამშრომლები: ვ. ბარათაშვილი, ს. ჭელიძე, გ. კიკალიშვილი, გ. ბახტაძე, ი. თათრიშვილი, ნ. ფაღავა, ლ. ციციშვილი, ა. ყურაშვილი, მ. ლომინეიშვილი, ასევე დოქტორანტები: გ. ბუცხრიკიძე, გ. გლუნჩაძე.

კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თენგიზ ყურაშვილმა. მან ისაუბრა ვეტერინარიის მნიშვნელობაზე თანამედროვე საზოგადოების ყოფაში. აღინიშნა, რომ ვეტერინარია არის სამეცნიერო ცოდნის სფერო, რომლის შესწავლის საგანია ცხოველთა დაავადებების მკურნალობა და პროფილაქტიკა, აგრეთვე ადამიანებსა და ცხოველებს შორის ურთიერთობის სხვადასხვა სამედიცინო საკითხები, როგორცაა ადამიანებისა და ცხოველებისთვის საერთო დაავადებებისგან დაცვა და ადამიანებისთვის უსაფრთხო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უზრუნველყოფა. შემდეგ აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგით



გათვალისწინებული საკითხები. პირველი საკითხის ირგვლივ: **პარამფისტომატოზების გავრცელება დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში სასაკლავოს მონაცემების მიხედვით** მოხსენებით გამოვიდა სეს-ის უფროსის მოადგილე ვ. ბასილაძე, მეორე საკითხთან დაკავშირებით **კენტრლიქიანი ცხოველების ბრუცელოზის გავრცელება საქართველოში და მისი ეპიზოოტიური და ეპიდემიური შეფასება** ისაუბრა ვეტერინარული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ი. მენტეშაშვილმა. მოხსენებებით ასევე გამოვიდნენ: სეს-ის ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ე. ნინიძე - **ქუ ცხელება და მისი გავრცელების საფრთხეები საქართველოში**; დოქტორატი გ. ბუცხრიკიძე - **ენდომეტრიტით დაავადებული ფურებიდან გამოყოფილი E-coli-ის ანტიბიოტიკების მიმართ მგრძობელობა**; დოქტორანტი გ. გლუნჩაძე - **Mycobacterium Bovis - საქართველოში (პრობლემის მიმოხილვა)**, ვეტერინარიის დოქტორი ვ. ბარათაშვილი - **მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ტუბერკულოზი თითოეული მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია მეტად საინტერესო და აქტუალური იყო, რადგან ეხებოდა არა მარტო ცხოველთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, არამედ ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობის სხვადასხვა სამედიცინო საკითხებს, როგორცაა ადამიანებისა და ცხოველებისთვის საერთო დაავადებებისგან დაცვა და მოსახლეობის უსაფრთხო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით დაკმაყოფილებას.**

კონფერენციაზე მომხსენებელთა მიმართ დასმული იყო არაერთი შეკითხვა, რაზედაც თითოეულმა მათგანმა ამომწურავი პასუხი გასცა.

ვეტერინარი ექიმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია შეაჯამა აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა როგორც მომხსენებლებს, მნიშვნელოვანი მოხსენებების წარმოდგენისათვის, ასევე დამსწრე საზოგადოებას, მობრძანებისათვის და კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“

მიმდინარე წლის 22-24 მაისს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური



მხარდაჭერით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები“. კონფერენცია გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორმა, აკადემიკოსმა ლევან უჯმაჯურიძემ. ოფიციალურ გამომსვლელთა შორის ასევე იყვნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბატონი იური ნოზაძე, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი, დოქტორი

ივერი ახალბედაშვილი, აკადემიკოსი თინათინ სადუნიშვილი, შ. რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი, ბატონი თეიმურაზ დოჭვირი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან კონფერენციის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილემ, აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ, აკადემიის მთავარმა აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ და აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეთა წინაშე ფართე მოხსენებით წარსდგა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. მოკლე მისალმების შემდეგ მან ისაუბრა ბიომრავალფეროვნებისა და მცენარეთა გენეტიკური რესურსების შენარჩუნების და დაცვის აუცილებლობაზე, ხაზი გაუსვა იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ჯიშები, ფორმები და ჰიბრიდები მცენარეთა გენეტიკური რესურსების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, ისინი ხელს უწყობენ ქვეყნის სოფლის მეურნეობის მდგრადობას, სასურსათო დამოუკიდებლობას, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, შემოსავლიანობის ზრდას და სხვა. აღნიშნა, რომ საქართველო მცენარეთა გენეტიკური რესურსების და ბიომრავალფეროვნების ბუნებრივი მუზეუმი, რასაც ადასტურებს სასოფლო - სამეურნეო მცენარეთა უამრავი ენდემური ჯიში, მ. შ. ვაზის, ხეხილის, მარცვლეულის, ბოსტნეული კულტურების და სხვ.

ბატონმა გურამმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს „გარემოს დაცვის, მცენარეთა გენეტიკური რესურსებისა და აგრობიომრავალფეროვნების საკოორდინაციო ცენტრი“, რომელშიც გაერთიანებული არიან ამ დარგში მომუშავე ცნობილი ქართველი სპეციალისტები. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა აკადემიის თანამშრომლობაზე კორეის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრობიომრავალფეროვნების ეროვნულ ცენტრთან, ერთობლივ ექსპედიციებზე მცენარეთა გენეტიკური რესურსების შეგროვება-დაცვის და ურთიერთგაცვლის მიზნით და სხვ.



აღსანიშნავია, რომ კონფერენციის ფარგლებში, ქართველმა მეცნიერებმა უცხოელ კოლეგებთან ერთად მცენარეთა გენეტიკური რესურსების მართვისა და გამოყენების, ველური ფლორის გენეტიკური რესურსების კონსერვაციის, ასევე ეკოსერვისების, ერთობლივი სამეცნიერო პროექტების შემუშავებისა და სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 14 ქვეყნის 150-მდე მეცნიერმა და მკვლევარმა.

აკადემიკოს ქსენია ბახტაძის დაბადებიდან 125 წლისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა



2024 წლის 7 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის დაბადებიდან 125 წლისადმი მიძღვნილი მრგვალი მაგიდა. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; აკადემიის

პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე; აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე; აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი; აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი; აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რევაზ მახარობლიძე; აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი; აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი; აკადემიის კადრების უფროსი ეკატერინე მიგრიაული, აკადემიის მთავარი სპეციალისტი თინათინ ეპიტაშვილი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ქეთევან ჭიპაშვილი, მარიამ მოსაშვილი, ლარისა ჩაიკა და დალი თარხნიშვილი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ლევან ბოლქვაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფროსი სპეციალისტი, ბატონი გენადი გობაძე; ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი შოთა ლამპარაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის მემცენარეობის განვითარების სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ბატონი ნოდარ ხობაშვილი, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსაინჟინერო კვლევის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ ქარჩავა.

მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან ყურადღება გაამახვილა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის დამსახურებაზე მეცნიერებაში, როგორც პირველ ქალბატონ სელექციონერზე, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩაის ახალი, მაღალპროდუქტიული და მაღალხარისხიანი ჩაის ჯიშების გამოყვანაში, ქვეყანაში მეჩაიეობის დარგის განვითარებაში; ხაზი გაუსვა მის კვლევებს ჩაის მცენარის ბოტანიკის, ანატომიის, ციტოლოგიისა და გენეტიკის დარგში. შემდეგ ბატონმა გურამმა მრგვალი მაგიდის დღის წესრიგის შესაბამისად სიტყვა გადასცა აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილს, რომელიც დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა მოხსენებით: „აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე - ცხოვრება და მოღვაწეობა“. ქალბატონმა გოგოლამ

ფართოდ გააშუქა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ განვლილი სამეცნიერო გზა. აღნიშნა, რომ ქ. ბახტაძემ მეცნიერებისადმი ლტოლვა სტუდენტობიდანვე გამოამჟღავნა. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყო თბილისის ბოტანიკური ბაღის თესლის საკონტროლო სადგურში. მოგვიანებით იგი გადავიდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ქალბატონ ქსენია ბახტაძის დამსახურებაა საქართველოში და არა მარტო საქართველოში ჩაის კულტურის დანერგვა-დარაიონება. თავისი კვლევების შედეგები ქ. ბახტაძემ არაერთ სამეცნიერო ნაშრომსა თუ პუბლიკაციაში ასახა, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წიგნი „ჩაის მცენარის ბიოლოგია, სელექცია და მეთესლეობა“. ხელისუფლებამ ჯეროვნად დააფასა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის მიერ



გაწეული შრომა და იგი მრავალგზის დააჯილდოვა ორდენებითა და ოქროს მედლებით.

აკადემიკოს გოგოლა მარგველაშვილის მოხსენების დასრულების შემდეგ, აუდიტორიის წინაშე წარსდგა აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი, რომელმაც ისაუბრა საქართველოში ჩაის კულტურის გაშენების ისტორიის შესახებ. აღნიშნა აკადემიკოს ქსენია ბახტაძის დამსახურება ამ მიმართულებით. მომხსენებლის მიერ პარალელები იქნა გავლებული საქართველოში ჩაის კულტურის გაშენების აკადემიკოს ქ. ბახტაძის დროინდელ და დღევანდელ მდგომარეობას შორის. ყურადღება გამახვილდა იმ სამწუხარო ფაქტზე, რომ ამჟამად ქვეყანაში ჩაის კულტურის მიერ დაკავებული ფართობები საგრძნობლად შემცირდა, მისახედია სელექციური სამუშაოებიც. მოხსენების მსვლელობისას ნაჩვენები იყო სამეცნიერო-პოპულარული ფილმი ქართული ჩაის შესახებ. დამსწრე საზოგადოებამ იხილა საქართველოში გაშენებული ჩაის საუკეთესო პლანტაციები, ჩაის ნერგის დაკალმება, ჩაის მცენარის სახესხვაობები, ასევე მოისმინა ჩაის გაშენებასთან და მის მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებული საკითხები.



მრგვალ მაგიდაზე სიტყვით გამოვიდა პროფესორი შოთა ლამპარაძე, რომელიც უშუალოდ იცნობდა ქალბატონ ქ. ბახტაძეს. მან აღნიშნა, რომ აკადემიკოსი ქ. ბახტაძე არამარტო კარგი მეცნიერი და გამორჩეული მკვლევარი იყო, არამედ საუკეთესო პედაგოგიც, რომელიც თავის ცოდნას და გამოცდილებას უანგაროდ გადასცემდა მომავალ თაობას. არ ყოფილა საკითხი, რომლითაც მიემართათ ქალბატონი ქსენიასთვის და მას სრულყოფილი პასუხი არ გაეცა.

აჭარაში ჩაის კულტურასთან, მის წარმოებასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმებზე ისაუბრა ბატონმა ლევან ბოლქვაძემ. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჩაისთან დაკავშირებული საუკეთესო ტრადიციები, რომლებსაც აჭარაში ჩაყარა საფუძველი კვლავაც უნდა გაგრძელდეს.

ბატონმა ნოდარ ხოხაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია მეჩაიეობის დარგის განვითარების კონცეფციის შექმნასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც გამოთქვა დიდი იმედი,

რომ ამ მიმართულებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაც აქტიურად ჩაერთვება.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის და აკადემიკოს ქსენია ბახტაძის ხსოვნის მიმართ პატივის მიგებისათვის.

მრგვალი მაგიდის მუშაობა გაშუქებული იქნა საფერავი ტვ-ს მიერ.

მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

მიმდინარე წლის 12 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მეცნიერებაში მოღვაწე ქალბატონებს და გოგონებს. სხდომას ესწრებოდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, აკადემიის სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის აპარატის თანამშრომლები და მოწვეული სტუმრები.

საზეიმო სხდომა გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან



აღნიშნა, რომ 2015 წლიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ყოველი წლის 11 თებერვალს აღინიშნება მეცნიერებაში მოღვაწე ქალთა და გოგონათა საერთაშორისო დღე და მისი მიზანია მეცნიერებასა და განათლებაში თანასწორ-უფლებიანობის ხელშეწყობა. დღეს საქართველოში მეცნიერების სხვადასხვა დარგში არაერთი მეცნიერი ქალბატონი მოღვაწეობს,

რომელთა შორის მრავლად არიან წარმატებული მეცნიერი აგრონიკოსი-ქალბატონები. მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აგრარული მეცნიერების და შესაბამისად დარგის განვითარებაში, რის გამოც აღნიშნული ქალბატონების შრომა და ღვაწლი მეტად საგულისხმო და დასაფასებელია. შემდეგ ისაუბრა წარსულის და თანამედროვეობის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ქალბატონების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაზე, მათ წვლილზე აგრარული დარგის განვითარების საქმეში. აკადემიკოს გ. ალექსიძის შემდეგ აუდიტორიის წინაშე ფართე მოხსენებით წარსდგა აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი. ქალბატონი გოგოლა ზოგადად შეეხო ქალ მეცნიერთა დამსახურებას მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების მიმართულებით. გაიხსენა ნობელის პრემიის ორ გზის (ფიზიკაში და ქიმიაში) ლაურეატი მარია კიური, ევროპაში მოღვაწე პირველი ქართველი ფსიქო-ფიზიოლოგი ბარბარე ყიფიანი, რომელსაც ბავშვთა ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის საკითხებზე მინიჭებული ჰქონდა ოქროს მედლები, ასევე აგრარულ დარგში პირველი ქართველი აკადემიკოსი ქალბატონი ქსენია ბახტაძე, რომლის დაბადებიდან 125 წლისთავი აკადემიაში საზეიმოდ აღინიშნა და რომლის დამსახურებაც ქართული მეჩაიეობის განვითარებაში ფასდაუდებელია. ქალბატონმა გოგოლამ ასევე ისაუბრა მეცნიერებაში განვლილ საკუთარ გზაზე, თავის აღზრდილებზე და სხვ.

მოხსენებების დასრულების შემდეგ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ აკადემიის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა აგრარულ მეცნიერებაში მოღვაწე ქალბატონები: სოფლის მეურნეობის დოქტორი ნინო კელენჯერიძე; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ნინო კიკნაძე; ეკონომიკის დოქტორი ნინო ლობჯანიძე; სოფლის მეურნეობის დოქტორი ირინა თვაური; მაგისტრი გვანცა ბეჟანიშვილი; ვეტერინარიის დოქტორი თეა ოშხერელი; ვეტერინარიის დოქტორი ნონა ფაღავა; სოფლის მეურნეობის დოქტორი რუსუდან ტაკიძე; საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი მარიამ ჩაჩუა; ინჟინერ-ტექნოლოგი ცინული ნაცვლიშვილი; აგრარული მეცნიერებების დოქტორანტი ქრისტინე მუსელიანი; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წყლის სამმართველოს ხელმძღვანელი მარიამ მაკაროვა. დაჯილდოებულმა ქალბატონებმა მადლობა გადაუხადეს აკადემიის ხელმძღვანელობას გამოჩენილი ყურადღებისა და დაფასებისათვის.



საზეიმო სხდომის დასასრულს სხდომის მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტოსურათი. ღონისძიება გააშუქა საფერავი ტვ-მ.

3 მარტი ველური ბუნების მსოფლიო დღე

მიმდინარე წლის 4 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ტრადიციისამებრ გაიმართა ველური ბუნების მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო



განყოფილების წევრები: განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ს/მ დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, განყოფილების სტიპენდიატი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად

ტიგინაშვილი, აგრარული უნივერსიტეტის ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის ტყის დაცვის განყოფილების პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი - ნანა გოგინაშვილი, აკადემიის აპარატის მუშაკები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის, ასოცირებულმა პროფესორმა, სსმ აკადემიის სტიპენდიატმა, სოფლის მეურნეობის დოქტორმა ზ. ტიგინაშვილმა წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „ერუშეთის ეროვნული პარკის ტყის ბიომასისა და მასში დეჰონირებული ნახშირბადის დადგენა“.

დოქტორმა ზ. ტიგინაშვილმა თავისი მოხსენება დაცული ტერიტორიების მნიშვნელობით დაიწყო, ყურადღება გაამახვილა მცენარეთა და ცხოველთა უნიკალურ სახეობებზე, ლანდშაფტების მრავალფეროვნებაზე, რომელიც დაცულ ტერიტორიებზე გვხვდება. ისაუბრა დაცული

ტერიტორიების მმართველობაზე, მიზნებზე, კატეგორიებზე, რომელშიც შედის: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. შემდეგ შეეხო საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსების ისტორიას, იმას, რომ საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია ჯერ კიდევ XII საუკუნიდან იწყება, თუმცა დაცულ ტერიტორიების ოფიციალურად დაარსებას მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში (2021-2023) ქვეყანაში შეიქმნა 7 დაცული ტერიტორია, მ.შ. ერუშეთის ეროვნული პარკი (11385ჰა). ერუშეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე კარგადაა გამოხატული შემდეგი სარტყლები: უროიანი სტეპების, მთის ქსეროფიტების (900-1300მ); ფართოფოთლოვანი ტყის (1300-1900მ); სუბალპური (1850- 2400(2500 მ) არყნარებით (*Betula litwinowii*), ჭნავით (*Sorbus caucasigena*, მდგნალით (*Salix caprea*), მაღალმთის მუხნარებით (*Quercus macranthera*), ნაძვნარებითა (*Picea orientalis*) და სუბალპური მდელოებით; ალპური (2500-2950 მ) მაღალმთის მდელოების სხვადასხვა ვარიანტებით მარცვლოვან-ნაირბალახოვანი, მარმუჭიანი (*Alchemilla erythropoda*), ძიგვიანი (*Nardus stricta*) და ალპური ხალებით (*Campanula aucheri*, *Carum caucasicum*). ცხოველთა სამყაროდან აქ გვხვდება: ამფიბიების - 5 სახეობა; ქვეწარმავლების - 15 სახეობა ქვეწარმავლებიდან გამორჩეულია დარეგ-სკის გველგესლა - სახეობა, რომელსაც უმაღლესი კატეგორია აქვს მინიჭებული IUCN-ის წითელ ნუსხაში; თევზების 16 სახეობა, რომეთაგან აღსანიშნავია საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა - ნაკადულის კალმახი“; ფრინველების - 108 სახეობა, რომელთაგან საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია, კავკასიური როჭო და კასპიური შურთხი, ასევე, გლობალურად გადა-შენების საფრთხის ქვეშ მყოფი ფასკუნჯი და ბექობის არწივი; მუძუმწოვრების - 45 სახეობა დიდი ზომის მუძუმწოვრებიდან აღსანიშნავია: მურა დათვი, ევრაზიული ფოცხვერი და არჩვი - საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები; ჩვეულებრივი მაჩვი, შველი და გარეული ღორი; მცირე ზომის მუძუმწოვრებიდან ყურადღებას იმსახურებს გლობალურად საფრთხის ქვეშ მყოფი ჭრელტყავა. ერუშეთის დაცულ ტერიტორიები გამოირჩევა მცენარეთა მრავალფეროვნებითაც. აქ გვხვდება უნიკალური სახეობრივი შემადგენლობის მქონე ტყეები, ბუჩქნარები და ბალახეული თანასაზოგადოებები. ასეთია, მაგალითად, სამხრეთ კავკასიური ტიპის ნაძვნარები და ნაძვნარ-სოჭნარები. ასევე, ორიგინალური სახეობრივი კომპოზიციის მქონე - მუხნარების, წიფლნარების და ფიჭვნარების თანასაზოგადოებები. ეროვნული პარკის მცენარეულობის მრავალფეროვნებას, ასევე, ქმნიან მაღალმთის ნაირგვარი მდელოები და მდელოსებრი სტეპები. წითელი ნუსხის ძირითადი სახეობებია: მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera*) უხრავი (*Ostrya carpinifolia*) პატარა თელადუმა (*Ulmus minor*) კაკალი (*Juglans regia*) ტიგრანის დიდგულა (*Sambucus tigranii*). ერუშეთის ეროვნული პარკის არსებობა რეგიონში, უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაღრმავებას, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას ეკოტურისტულ სერვისებში. რაც შეეხება ერუშეთის ეროვნული პარკის ტყის ბიომასასა და მასში დეჰონირებული ნახშირბადის რაოდენობას, ერუშეთის ეროვნული პარკის ტყის ბიომასა, სადაც გაბატონებულ მერქნიან სახეობებს შორის აღსანიშნავია არყი (ლ), არყი (მ), ვერხვი, მდგნალი, მუხა ქ., მუხა (მმთ.), ნაძვი, რცხილა, უხრავი, ფიჭვი - შეადგენს სულ 913781 ტონას, ხოლო მასი დეჰონირებული ნახშირბადი - 491770 ტ-ს.

სხდომა შეაჯამა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის სხდომის მუშაობაში აქტიური ჩართულობისათვის. აღინიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს მომავალში საქართველოს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების განხილვა-გადაწყვეტას.

21 მარტი - ტყის საერთაშორისო დღე

მიმდინარე წლის 21 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა თემატური სხდომა: „აჭარის ტყეებში გავრცელებული ინვაზიური მავნებელ-დავადებები და მათი უარყოფითი ზემოქმედების შედეგები“, რომელიც მიემდგვნა ტყის საერთაშორისო დღეს.

სხდომას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიის სტიპენდიატი, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიის სტიპენდიატი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე, საქართველოს საპატრიარქოს



წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, აჭრის სატყეო სააგენტოს ტყის მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი რეზო ვასაძე, აკადემიის აპარატის მუშაკები.

სხდომაზე მოხსენებით „აჭარის ტყეებში გავრცელებული ინვაზიური მავნებელ-დავადებები და მათი უარყოფითი ზემოქმედების შედეგები“ გამოვიდა ს/მ დოქტორი რ. ვასაძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი მონაცემებით აჭარაში ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე აღირიცხება ველურად მოზარდი ხე-მცენარეთა 1837 სახეობა, მ. შ. 177 - მერქიანი. თითოეული მათგანი მავნებელ-დაავადებების მასპინძელ მცენარეს წარმოადგენს, რომელზეც მეტ-ნაკლები ინტენსივობით დასახლებულია მწერი, სოკო, ვირუსი ან სხვა. ბევრი მათგანი საშიში საკარანტინო მავნებლების სიაშია შეტანილი, თუმცა არიან მავნებლებიც, რომელთა რიცხოვნობა იმდენად დაბალია, ხოლო ზიანი იმდენად უმნიშვნელო, რომ ისინი პრაქტიკულად არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა კლიმატური ცვლილებების ფონზე მოსალოდნელია მათი აფეთქარება, ამიტომ საჭიროა მუდმივი მონიტორინგი და კონტროლი. დოქტორმა რ. ვასაძემ განსაკუთრებული ყურადღება შეაჩერა ისეთ მავნებლებზე, როგორებიცაა: მბეჭდავი ქერქიჭამია, კენწეროს ქერქიჭამია, ნაძვის დიდი ლაფანჭამია, ექვსკბილა ქერქიჭამია, ფიჭვის დიდი ლაფანჭამია, ფიჭვის პატარა ლაფანჭამია, ბზის სიდამწვრე, წაბლის ქერქის კიბო და სხვ.; აღწერა ამ მავნებლების მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური მახასიათებლები, განვითარების ციკლი; ისაუბრა მათ მიერ მიყენებული ზიანზე და ა. შ. ბატონმა რეზომ მსმენელთა ყურადღება ასევე გაამახვილა ისეთ მავნებელ - დაავადებებზე, როგორებიცაა: საქმელი წაბლის ცილინდროს-პორიოზი, ინფექციური დაავადება მელანა, მუხის ბაღლინჯო, მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი და სხვ.

აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში აჭარის ტყეებში მეტად სავალალო მდგომარეობაშია კოლხური ბზა, რომელსაც ერთი მხრივ უტევს სოკოვანი დაავადება ანუ "სიდამწვრე", მეორე მხრივ კი - ბზის ალურა. ბზის „სიდამწვრე“-ის გამომწვევია პათოგენური სოკო. ახლადდაინფიცირებულ ფოთლებზე ჩნდება მუქი ყავისფერი ლაქები, ფოთოლი კარგავს სიმწვანეს, თანდათან ხდება ქლოროტული და ცვივა. ეს პროცესი



მეორდება რამდენჯერმე, შემდეგ იწყებს ხმობას მცენარის ტოტები, საბოლოოდ კი მთლიანად ხე. მეორე მიზეზით, ბზის ხმობა გამოწვეულია ბაქტერიებით, ნიადაგის სოკოებით და უნაყოფო სოკოს მიცელიუმით. აღნიშნული ბაქტერიები და ნიადაგის უნაყოფო სოკოს მიცელიუმი იწვევს მცენარის ფესვების ბუსუსების დაზიანებას, ლპობას, რაც გამოიხატება მცენარის კვების რეჟიმის დარღვევით. მცენარე ჭკნება, ცვივა ფოთლები და ხმება. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აღურას წინააღმდეგ გატარდა ბრძოლის ბიოლოგიური ღონისძიება-წამლობა. მოხდა ბზის შეწამვლა შერჩეული

ბიოლოგიური პრეპარატით - ლეპიდინით, რომელიც დამზადდა *Bacillus thuringiensis* var. *kurstaki*-ის (BTK) ბაზაზე. მნიშვნელოვანია, რომ ლეპიდინი არ არის ტოქსიკური და ცოცხალი ორგანიზმებისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია. მსმენელთა მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც დოქტორმა რ. ვასაძემ ამომწურავი პასუხები გასცა.

თემატურ სხდომაზე ასევე მოხდა წიგნების: „უცხო მერქიან მცენარეთა ინვაზია



საქართველოს დაცული ტერიტორიების ტყის ჰაბიტატებში (ავტორები: გ. ქავთარაძე, ლ. ბასილაძე, ე. ავოიანი და სხვ.) და „აჭარის მუქწიწვოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით (ავტორები: რ. ვასაძე, ზ. ვასაძე) პრეზენტაცია-განხილვა.

პირველ ნაშრომთან დაკავშირებით აუდიტორიის წინაშე წარსდგა დოქტორი გ. ქავთარაძე, ხოლო მეორე წიგნის ირგვლივ ისაუბრა დოქტორმა რ. ვასაძემ.

ორივე ნაშრომმა დამსწრე საზოგადოების მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია. დაისვა შეკითხვები, რაზეც მომხსენებლების მხრიდან კვალიფიცირებული პასუხები გაიცა. ორივე წიგნმა მსმენელთა მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურა.

თემატური სხდომის ბოლოს გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისა და სხდომის მუშაობაში აქტიური ჩართულობისათვის.

შეხვედრა გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულებების კოორდინატორებთან

მიმდინარე წლის 16 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილებაში შედგა შეხვედრა გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულებების კოორდინატორებთან. შეხვედრა წარიმართა მრგვალი მაგიდის ფორმატში. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის სტიპენდიატები: სატყეო მიმართულების კოორდინატორი, დოქტორი გიორგი ქავთარაძე და გარემოს დაცვის მიმართულების კოორდინატორი, დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ლარისა ჩაიკა და ქეთევან ჭიპაშვილი, ასევე გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულების კოორდინატორთა ჯგუფის წევრები: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსი, დოქტორი ხათუნა წიკლაური, გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე არსენ ჩინჩალაძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი შალვა ნოზაძე.

მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მან აუდიტორიას კიდევ ერთხელ შეახსენა დარგის კოორდინატორთა

საქმიანობის მნიშვნელობა, ისაუბრა ქვეყანაში გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მიმართულებით საჭიროებების გადაწყვეტის საქმეში მათ მიერ შეტანილ წვლილზე. შემდეგ აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ სიტყვა გადასცა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს. აკადემიის პრეზიდენტმა გ. ჯაფარიძემ მოკლედ მიმოიხილა ქვეყანაში სატყეო მიმართულებით არსებული მდგომარეობა, ყურადღება გაამახვილა საქართველოს ტყეებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე, მეტყევე-სპეციალისტების ღვაწლზე ქვეყანაში გარემოს დაცვისა და ტყეების დაცვის საქმეში.



გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსმა, ქალბატონმა ხათუნა წიკლაურმა აღნიშნა, რომ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება მეტად მნიშვნელოვანი საკითხია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. სამწუხაროდ ჩვენთან ამის გამოცდილება ნაკლებად გვაქვს. ამიტომ ქართველი სპეციალისტები მუდმივ კომუნიკაციაში არიან უცხოელ კოლეგებთან, რათა გაეცნონ მათ მიდგომებს, შეისწავლონ და საუკეთესო მეთოდები ჩვენთანაც დანერგონ.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილემ არსენ ჩინჩალაძემ დამსწრე საზოგადოების ყურადღება შეაჩერა ტყის კოდექსის ახალ რეგულაციებზე, რომლის თანახმად დაცულ ტერიტორიებზე დაიგეგმა ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული საქმიანობა (მოვლითი, სანიტარული ჭრები). ამასთან დაკავშირებით, ბატონი არსენის მიერ შედგენილი იქნა ინსტრუქცია, სადაც დეტალურად იქნა გაწერილი ჭრებთან დაკავშირებული ყველა წესი, მონიშვნა იქნება ეს, ჭრა, დამზადება, გატანა თუ სხვა.

რაც შეეხება სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს მთავარ სპეციალისტს შალვა ნოზაძეს, მან ისაუბრა ტყის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სადაც ძირითადი აქცენტი ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზეა გადატანილი.

მრგვალი მაგიდის ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც განხილული იქნა დარგში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემები და დაისახა მათი გადაწყვეტის გზები.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მან მადლობა გადაუხადა აუდიტორიას მობრძანებისათვის და პრობლემატური საკითხების განხილვისას აქტიური ჩართულობისათვის.

ფუტკრების საერთაშორისო დღე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე წლის 20 მაისს, მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდგვნა ფუტკრების საერთაშორისო დღეს. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის

პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თენგიზ ყურაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის პრეზიდენტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ჯემალ გუგუშვილი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ლარისა ჩაიკა, ქეთევან ჭიპაშვილი, დალი თარხნიშვილი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ აკადემიის მეფუტკრეობის მიმართულების კოორდინატორი, დოქტორი მაია ფეიქრიშვილი, მეფუტკრეობის ასოციაციის თავმჯდომარე, დოქტორი რამაზ თავართქილაძე, დოქტორი ალექო ყურაშვილი.

მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თენგიზ ყურაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მეფუტკრეობის დარგს საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართველი კაცი ფუტკრის მოშენებას და ფუტკრის პროდუქტების წარმოებას უხსოვარი დროიდან მისდევს. მისასალმებელია, რომ დღესაც გრძელდება ეს ტრადიცია და საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება მეფუტკრე-ფერმერები, რომლებიც წარმატებით ავითარებენ დარგს. შემდეგ აკადემიკოსმა თ. ყურაშვილმა სიტყვა გადასცა დოქტორ მაია ფეიქრიშვილს, რომელიც აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით: „საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა თაფლისა და ფუტკრის პროდუქტების წარმოება“.



დოქტორმა მ. ფეიქრიშვილმა მსმენელთა ყურადღება გაამახვილა უკანასკნელი წლების სტატისტიკური მონაცემებზე, რომლის თანახმად პლანეტის მოსახლეობის ჯანმრთელობა შექმნილი მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამო მკვეთრად გაუარესდა. პრობლემის დაძლევის საუკეთესო საშუალებად მიჩნეული იქნა საკვები პროდუქტების ეკოლოგიურად სუფთა გარემო პირობებში წარმოება. ამ მხრივ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ბიომეურნეობების, მ. შ. ბიოსაფუტკრეების შექმნა. საქართველოს ზოგიერთი რეგიონის, განსაკუთრებით ქართული ფუტკრის (*Apis mellifera caucasica-Georgia*) პოპულაციების (მეგრული, გურული, ქართლური, აფხაზური) გავრცელების ტრადიციულ არეალში, ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ ფუტკრის მოვლა-შენახვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე, დიდი ძალისხმევით გარეშე, მოეწყოს ბიოსაფუტკრეები, სადაც შესაძლებელი იქნება ეკოპროდუქტების წარმოება. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ დასახლებული პუნქტებიდან მნიშვნელოვნად დაშორებულ მაღალ მთაში არ გვხვდება ტექნოგენური დამაბინძურებლები, პესტიციდები, გენმოდდიფიცირებული მცენარეები. ერთადერთი რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, ესაა ფუტკრის დაავადებების გაჩენის შემთხვევაში, მათი ბიოპრეპარატებით მკურნალობა. საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი ადგილები ბევრგან გვხვდება. მაგალითისათვის მოყვანილი იქნა ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის ბუნებრივი გავრცელების არეალი - სამეგრელოს რეგიონი, სადაც დიდი წარმატებითაა შესაძლებელი ბიოსაფუტკრეების შექმნა. ასეთია ჩხო-როწყუს მუნიციპალიტეტში: მდინარე ხობის-წყლის ხეობაში - ლუგელას, შელეთის, ლეუკუნეს და მისი მიმდებარე უბნები. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში: სქურის და მაგანას ხეობები. იგივე შიძლება ითქვას ქართლური და გურული პოპულაციების ტრადიციული გავრცელების არეალებზე, რომლებიც მოიცავენ შესაბამისად ღუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებს ბარისახოს, შუაფხოს და ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო სურებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართული ფუტკრის თითოეული ოჯახი საშუალოდ 18-25კგ თაფლს, ცვილს 4-5 აშენებული ფიჭის ფარგლებში, 15-20კგ ყვავილის მტვერს, 80-100გ დინდგელს, 2გ შხამს, 250-300გ რძეს, მაშინ საშუალო სიდიდის ბიოსაფუტკრის მოწყობის შემთხვევაში ეკოლოგიურად სუფთა თაფლპროდუქტების წარმოება შთამბეჭდავ მოცულობას მიაღწევს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეფუტკრის შემოსავალი ბიოსაფუტკრეში წარმოებული პროდუქციიდან გაცილებით გადააჭარბებს რიგითი საფუტკრიდან მიღებულს. ამდენად მეფუტკრის მოტივაცია აწარმოოს ეკოპროდუქტები, გაიზრდება. ამჟამად საქართველოში ბიოსაფუტკრეები არა ერთ მეწარმესა აქვს შექმნილი, რომელთა შორის არიან: გიგა და გვანცა ჭაბუკიანები (ლექხუმი), მარინა გარდავა (სვანეთი), გიორგი იონათამიშვილი (დუშეთის მუნიციპალიტეტი), გიორგი მერაბიშვილი (ნინოწმინდა) და სხვ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია. დაისვა შეკითხვები, რომლებზეც დოქტორმა მაია ფეიქრიშვილმა კვალიფიციური პასუხები გასცა.

მრგვალი მაგიდა შეაჯამა მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თენგიზ ყუ-რაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა მომხსენებელს საინტერესო პრეზენტაციისათვის, ხოლო დამსწრე საზოგადოებას მრგვალი მაგიდის მუშობაში აქტიური ჩართულობისათვის.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღე

მიმდინარე წლის 22 მაისს საქართველოს სოფლის მეურნეობს მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა თემატური სხდომა, რომელიც მიემდგვნა ბიოლოგიური მრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს. სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას შორის იყვნენ: აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი,



აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის სტიპენდიატი, მარიამჯვრის ნაკრძალის დირექტორი, დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ლარისა ჩაიკა, ქეთევან ჭიპაშვილი, დალი თარხნიშვილი, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტის ბიომრავალფეროვნების სამმართველოს უფროსი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვის მიმართულებით დარგობრივი კოორდინატორთა ჯგუფის წევრი, ბიოლოგიის დოქტორი ხათუნა წიკლაური.

თემატური სხდომა გახსნა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მოკლე მისალმების შემდეგ, მან ისაუბრა ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების არსებული მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოს ბუნება გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, განსაკუთრებით მდიდარია ენდემებით, რომელსაც გაფრთხილება ესაჭიროება. აქ გვხვდება ფლორისა და ფაუნის უნიკალური სახეობები რომელთაგან აღსანიშნავია ბიჭვინთისა და ელდარის ფიჭვი, ქართული ნუში, ძელქვა, კოლხური ხობობი, კავკასიური ჯიხვი, ბიგა, კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი, მტკვრის წვერა, მურწა და სხვ. ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში მოიმატა დაცული ტერიტორიების რაოდენობამ, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიმართულებით წარმოებულ საქმიანობას. შემდეგ აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ სიტყვა გადასცა ბიოლოგიის დოქტორ ხათუნა წიკლაურს, რომელიც

აუდიტორიის წინაშე წარსდგა მოხსენებით თემაზე: „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის მიმოხილვა საქართველოში“.

დოქტორმა ხათუნა წიკლაურმა დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ევროპულ (2004/35/CE) დირექტივას“. აღნიშნულთან დაკავშირებით ქვეყანამ მიიღო კანონი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტები. მომხსენებელმა დეტალურად განიხილა წარმოდგენილ კანონთან დაკავშირებით ყველა საკვანძო საკითხი, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობდა კანონით განსაზღვრული პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“, რითიც გარემოს დამაბინძურებელი კომპანიები ვალდებული არიან გასწიონ შესაბამისი ხარჯები და განახორციელონ დაზიანებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის ღონისძიებები. ქალბატონმა ხ. წიკლაურმა ასევე ისაუბრა გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის აღმსრულებელთა შესახებაც, რომლებსაც გარემოს დაცვის სააგენტო და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი წარმოადგენენ.

დოქტორმა ხ. წიკლაურმა აუდიტორიის ყურადღება ასევე შეაჩერა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტის მიერ უკანასკნელ პერიოდში წარმოებულ საქმიანობაზეც. აღინიშნა, რომ დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის 14 საქმის ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც მოიცავს: მიწისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის 4 შემთხვევას; წყლისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის 10 შემთხვევას; წყლისთვის და მიწისთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის 1 შემთხვევას.



მოხსენების დასასრულს დოქტორმა ხათუნა წიკლაურმა ისაუბრა დეპარტამენტის გეგმებზე, რომელიც ითვალისწინებს ბოლნისის, დმანისის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში მიწის ზიანისთვის დაკისრებული მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ფარგლებში გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის პროექტების საბოლოო შეთანხმებას და ბოლნისის, ჭიათურის, საგარეჯოს და თერჯოლის მუნიციპალიტეტში გარემოსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ათ (10) შემთხვევაზე, რომლის შედეგადაც მოხდა ზედაპირულ წყლის ობიექტის დაბინძურება, დაკისრებული მკაცრი გარემოსდაცვითი პასუხის-მგებლობის ფარგლებში გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი შესაბამისი პროცედურების აღსრულება.



წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დამსწრე საზოგადოების მიერ მოწონებული იქნა გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დეპარტამენტის მიერ წარმოებული საქმიანობა, რომელიც იმედს იძლევა რომ ქვეყნის ბუნებრივი გარემო კიდევ უფრო უკეთ იქნება დაცული.

თემატური სხდომა შეაჯამა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ. მან მადლობა გადაუხადა აუდიტორიას მობრძანებისა და სხდომის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გარემოს დაცვის მსოფლიო დღე აღინიშნა

მიმდინარე წლის 5 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა თემატური სხდომა: „საქართველოში ბოლო პერიოდში გავრცელებული მცენარეთა საშიში ინვაზიური მავნებელ-დაავადებები“, რომელიც მიემდგვნა გარემოს დაცვის მსოფლიო დღეს.

სხდომას ესწრებოდნენ: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის სტიპენდიატები: სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე და სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ბიოლოგიის დოქტორი არჩილ სუპატაშვილი და ეკონომიკის დოქტორი გოჩა ცოფურაშვილი.

აუდიტორიის წინაშე ზემოაღნიშნული მოხსენებით „საქართველოში ბოლო პერიოდში გავრცელებული მცენარეთა საშიში ინვაზიური მავნებელ-დაავადებები“ წარსდგა დოქტორი არჩილ



სუპატაშვილი, რომელმაც მსმენელებს მოუთხრო ისეთი ინვაზიური მავნებელ-დაავადებების შესახებ, როგორებიცაა: ბზის ალურა, წაბლის კიბო, კვიპაროსის კიბო, ფაროსანა, ჭადრის ბაღლინჯო, ამერიკული თეთრი პეპელა, მუხის ბუსუსებიანი მეკაკლურა, წაბლის მენაღმე ჩრჩილი. მომხსენებელმა დაწვრილებით აღწერა ამ მავნებელთა ბიოლოგიური თავისებურებები, სასიცოცხლო ციკლი, მცენარეებზე მათ მიერ მიყენებული ზიანი. ბატონმა არჩილმა ასევე

ყურადღება გაამახვილა ამ მავნებლების წინააღმდეგ გამოყენებულ ქიმიურ და ბიოლოგიურ საშუალებებზე. აღინიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთი მცენარეების დაცვაზე, როგორებიცაა: კოლხური ბზა, წაბლი, ქართული მუხა, სოსნოვსკის ფიჭვი და სხვა რომლებიც ძვირფას მერქნიან ხე-მცენარეებს მიეკუთვნებიან.

თემატური სხდომის ბოლოს გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, აკადემიკოსებმა: ა. დიდებულიძემ, ლ. დოლიძემ, დოქტორებმა: ზ. ტიგინაშვილმა, გ. ქავთარაძემ, მ. ბარვენაშვილმა, გ. ცოფურაშვილმა. თემის ირგვლივ დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც დოქტორმა ა. სუპატაშვილმა ამომწურავი პასუხები გასცა.

სხდომა შეაჯამა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლ. დოლიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა დოქტორ ა. სუპატაშვილს საინტერესო მოხსენებისათვის, ხოლო დამსწრე საზოგადოებას თემატური სხდომის მუშობაში აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის.

17 ივნისი - გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 17 ივნისს აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სემინარი თემაზე:



„მსოფლიოს საოცარი უდაბნოები“. სემინარს ესწრებოდნენ: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე,

აკადემიკოსები: ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან უჯმაჯურიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, დოქტორი თინათინ ეპიტაშვილი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ლარისა ჩაიკა, ქეთევან ჭიპაშვილი, დალი თარხნიშვილი.

სემინარი გახსნა აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა. მან აღნიშნა, რომ აგრონომიული განყოფილების ინიციატივით აკადემიაში უკვე მრავალი წელიწადია აღნიშნება გაუდაბნობასთან და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე, მოსმენილია მეტად საინტერესო მოხსენებები, განხილულია პრობლემატური საკითხები. შემდეგ ქალბატონი გოგოლა მსმენელების წინაშე წარსდგა მოხსენებით: „მსოფლიოს საოცარი უდაბნოები“. მოხსენების ფარგლებში განიმარტა, თუ რას წარმოადგენს უდაბნო ლანდშაფტის თვალსაზრისით, რა რაოდენობის და რამდენი ტიპის უდაბნოს ვხვდებით დედამიწაზე, მათი მნიშვნელობა. ყურადღება გამახვილდა უდაბნოთა მრავალფეროვნებაზე, მათ შორის: ანტარქტიდაზე, როგორც ჩვენს პლანეტაზე არსებულ ყველაზე ცივ უდაბნოზე, სადაც 1983 წელს ყველაზე დაბალი ტემპერატურა დაფიქსირდა: - 890C; საჰარაზე, რომელსაც აფრიკის ტერიტორიის დაახლოებით 1/4 უკავია და სადაც 2050 წლისათვის იგეგმება მისი დიდი ნაწილის ათვისება მზის ფოტოელემენტებით, რითაც შესაძლებელი იქნება ჯამურად 100 გვტ-ის გამომუშავება; ასევე თვალისმომჭრელად თეთრ - „ფაიფურის უდაბნოდ“ წოდებულ, ულამაზეს უდაბნოზე, რომელიც აშშ-ს სამხრეთ ნაწილში, ნიუ-მექსიკოს შტატში მდებარეობს და რომელსაც აშშ-ს ნაციონალური ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. საუბარი წარიმართა ეთიოპიაში მდებარე, პლანეტის ყველაზე საშინ უდაბნოდ წოდებულ დანაკილის უდაბნოზეც, სადაც საშიში ვულკანების, ტოქსიკური გაზის ღრუბლების და გოგირდიანი ტბების ერთობლიობამ, ეს ადგილი ცხოვრებისთვის შეუფერებლად აქცია. აქ უჩვეულოდ ლამაზი კამკაშა ყვითელი, მწვანე ფერების სხვადასხვა ტონალობით გამორჩეული ლანდშაფტი მნახველებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს უდაბნოში მდებარე ტბა ერტა ალე, რომელშიც მუდმივად მოთუხთუხე ლავა არასდროს ცივდება.



აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა ნიადაგების გაუდაბნობასთან დაკავშირებით საქართველოში არსებულ მდგომარეობაზეც შეაჩერა მსმენელთა ყურადღება. ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც დღეს ქვეყნის წინაშე დგას. ესაა გაუდაბნობის საშიშროების წინაშე მყოფი ქარისა და წყლის მიერ ეროზირებული ნიადაგები. ხაზი გაუსვა იმას, რომ მიწის დეგრადაციასთან ბრძოლა ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად უნდა იქნეს აღიარებული. შესაბამისად საჭიროა გაუდაბნობასთან ბრძოლის სახელმწიფოებრივი მიზნობრივი პროგრამის შემუშავება.

„საქართველო არ იმყოფება უდაბნოს ზონის უშუალო მახლობლობაში, თუმცა, მოსალოდნელი გლობალური დათბობის ფონზე მის აღმოსავლეთ ნაწილის ზოგიერთ რეგიონს (გარე კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი და აგრეთვე, ნაწილობრივ სამხრეთ საქართველო) სისტემატური გვალვიანობის შემთხვევაში შეიძლება რეალურად შეექმნას უდაბნოდ გადაქცევის საშიშროება.

გაუდაბნობის პროცესებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა საქართველოს არიდული და სემიარიდული რეგიონები. აქ შედის საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი - დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონები, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სადაც ხდება გაუდაბნობის პროცესების გააქტიურება. აქ გაუდაბნობულია დაახლოებით 3000 კმ², ანუ 300 000 ჰექტარი, რომელიც მოიცავს შირაქის, ელდარის, ტარიბანას, ნატბურის, ნაომარის, ოლეს, ჯეირან-ჩოლის ველებს, მათ გამყოფ ქედებს, ზეგნებს, და კახეთის ქედის სამხრეთ ფერდობის უმეტეს ნაწილს.

გაუდაბნობის პროცესების გააქტიურება შეიმჩნევა სამხრეთ საქართველო-შიც (ახალციხის ქვაბული), სადაც ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ქარსაცავი ზოლების თითქმის მთლიანად განადგურების შედეგად გაძლიერდა ქარისმიერი ეროზიის პროცესები.



ამიტომ არის, რომ ჩვენს მცირემიწიან ქვეყანაში 500 ათასამდე ჰა მიწა დაუთესავი, მიტოვებული, გაუდაბნობის საფრთხის ქვეშ მყოფია“ - აღნიშნა აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა.

ქალბატონმა გოგოლამ მოხსენების მსვლელობისას ასევე გაიხსენა ის დიდი ქართველი მეცნიერებიც, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით საქართველოში ნიადაგების შესწავლისა და ეროზიასთან ბრძოლის მიმართულებით, მათ შორის ტ. კვარაცხელია, ც. მირცხულავა, მ. დარასელია, ვ. მაჭავარიანი, დ. ალადაშვილი, ო. ღორჯომელაძე და სხვ. აკადემიკოს ტ. კვარაცხელიასთან დაკავშირებით ისიც იქნა აღნიშნული, რომ მის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ერთ დროს საპარისა და გობის უდაბნოები ადამიანებით იყო დასახლებული და რომ ამ ტერიტორიების გაუდაბნობა ნიადაგის ეროზიას უკავშირდება, მეცნიერულად იქნა დადასტურებული.

მოხსენების დასასრულს, კითხვა-პასუხის რეჟიმში აკადემიკოსების: ნ. ჩხარტიშვილის, ა. დიდებულის, დოქტორ მ. ბარვენაშვილის მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა სათანადო და ამომწურავი პასუხები გასცა.

სემინარი შეაჯამა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისა და სემინარის მუშაობაში ქმედითი ჩართულობისათვის.

27 ივნისი - ბუნების კონსერვაციის მსოფლიო დღე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში მიმდინარე წლის 27 ივნისის ჩატარდა ბუნების კონსერვაციის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა, სადაც მსმენელთა წინაშე მოხსენებით: „ტყის არამერქნული რესურსების აღრიცხვა-შეფასების მეთოდები“ წარსდგა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნანი გოგინაშვილი.

თემატურ სხდომას ესწრებოდნენ: აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის სტიპენდიატი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: ლარისა ჩაიკა, დალი თარხნიშვილი და ქეთევან ჭიპაშვილი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი გიორგი ქავთარაძე, ამავე ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგროსატყეო კულტურების კვლევის სამსახურის სპეციალისტები: ბიოლოგიის დოქტორი ნატალია ტოგონიძე და მარგალიტა ბაჩილავა.

სოფლის მეურნეობის დოქტორმა ნანი გოგინაშვილმა მოხსენების „ტყის არამერქნული



რესურსების აღრიცხვა-შეფასების მეთოდები“ ფარგლებში განიხილა არაერთი საინტერესო საკითხი. ის, რომ 2021 წელს მიღებული ტყის ახალი კოდექსის მიხედვით ტყის ძირითადი რესურსები საქართველოში შემდეგ კატეგორიებად იყოფა, ესენია: მერქნული, არამერქნული (სოკო, სამკურნალო ნედლეული, ტექნიკური ნედლეული, სხვა ბალახოვანი მცენარეები და მათი ნაწილები, ბუჩქოვანი მცენარეების ნაწილები და პროდუქტები) რესურსები და მერქნიან

მცენარეთა პროდუქტები და ხის მეორეხარისხოვანი მასალები (ხის წიწვი, ფოთოლი, ყვავილი, ყვავილის მტვერი, ფისი, წვენი, თესლი, გირჩი, ნაყოფი, ფესვი, ქერქი, ლაფანი, ძირკვი).

„საქართველოს ტყეებიდან, რომელთა 98% ბუნებრივი წარმოშობისაა 350 ათას. ტ-მდე ხილ-კენკრის გამოტანა შესაძლებელი, მათ შორის აღსანიშნავია: პანტა, მაჟალო, კუნელი, ზღმარტლი და სხვ.; ტყის მიმდებარე სათიბ-სამოვრები მართალია რამდენადმე დეგრადირებულია, თუმცა მოსახლეობა საქონლის გამოსაკვებად მაინც იყენებს; აქტიურად გამოიყენება ფარმაციაში ათასამდე სახეობის სამკურნალო მცენარე, როგორც პირდაპირი ასევე გადამუშავებული (სხვადასხვა პრეპარატის) სახით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ სამკურნალო მცენარეებს, როგორებიცაა გაზაფხულის ფურისულა, ხარისშუბლა, თეთრყვავილა, აბზინდა, ხარისძირა და სხვ; მოსახლეობის მხრიდან რეგულარულად მიმდინარეობს სხვადასხვა სახეობის სოკოს და გირჩის თესლის შეგროვება. რაც შეეხება ტყის თავლოვან მცენარეებს, მათ ფუტკრები თავლის საწარმოებლად იყენებენ“- აღნიშნა მომხსენებელმა.

დოქტორმა ნანი გოგინაშვილმა მოხსენების მსვლელობისას ასევე ყურადღება გაამახვილა არამერქნული პროდუქტების შეფასების მეთოდოლოგიაზე, მრავალწლიანი და ერთწლიანი მცენარეებიდან პროდუქტების დამზადების მდგრად მეთოდებზე, სავლესე სამუშაოების ჩატარების პერიოდზე; სანიმუშო ფართობების ზომის, ფორმის, რაოდენობისა და მანძილების, ასევე ხილ-კენკრის საშუალო მოსავლიანობის განსაზღვრის მეთოდებზე და სხვ. ქალბატონმა ნანიმ, იმასაც გაუსვა



ხაზი, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის

მიხედვით, თუ ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვება კომერციული მიზნით ხდება, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ნორმა, რაც რესურსის შემცირებას ან შეუქცევად დაზიანებას არ დაუშვებს. გარდა ამისა, ზოგადად ამა თუ იმ ველური მცენარის პროდუქტების შეგროვების სიჩქარე (ინტენსივობა და სიხშირე) არ უნდა აღემატებოდეს სახეობების გრძელვადიანი რეგენერაციის პერიოდს (CITES, 2016). ასევე გასათვალისწინებელია მეწლეობაც.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა ა. დიდებულიძემ, დოქტორებმა მ. ბარვენაშვილმა, ზ. ტიგინაშვილმა, გ. ქავთარაძემ. თემის ირგვლივ დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზედაც დოქტორმა ნ. გოგინაშვილმა კვალიფიციური პასუხები გასცა.

თემატური სხდომა შეაჯამა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, დოქტორმა მ. ბარვენაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დოქტორ ნ. გოგინაშვილს საინტერესო მოხსენებისათვის, ხოლო დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისა და თემატური სხდომის მუშობაში მონაწილეობის მიღებისათვის.

აკადემიკოსი მამია გოგოლიშვილი -110

მიმდინარე წლის 16 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა მრგვალი მაგიდა, რომელიც მიემდგვნა ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ მამია გოგოლიშვილის ხსოვნას.

მრგვალი მაგიდა მოეწყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით. დამსწრე საზოგადოებას შორის იყვნენ: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიკოსი ზაურ ჩანქსელიანი, აკადემიის წამყვანი სპეციალისტები: დალი თარხნიშვილი, ციალა თეგეტაშვილი და ლარისა ჩაიკა.



მრგვალი მაგიდა გახსნა და დამსწრე საზოგადოების წინაშე აკადემიკოს მ. გოგოლიშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ფართო მოხსენებით წარსდგა, აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი. აღინიშნა, რომ აკადემიკოსი მ. გოგოლიშვილი გახლდათ მეცნიერი, რომელმაც

თავისი მუხლჩაუხრელი შრომითა და გარჯით დიდად შეუწყო ხელი საქართველოში სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის განვითარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ორმოცი წლის განმავლობაში შეუცვლელად ედგა სათავეში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს, სადაც წარმატებით აგრძელებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მ. გოგოლიშვილის უშუალო ინიციატივით შეიქმნა ამიერკავკასიის ბოტანიკური ბაღების საბჭო, რომლის ხელმძღვანელიც მრავალი წლის განმავლობაში თავად იყო. სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად პროფესორი მ. გოგოლიშვილი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც და მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდა თაობას უზიარებდა. მისი ხელმძღვანელობით არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები იქნა დაცული. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად იგი გახლდათ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელიც ზრუნავდა ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე და სხვ.

ქვეყნის მთავრობამ და ხელისუფლებამ დაუფასა აკადემიკოს მ. გოგოლიშვილს ესოდენ დიდი დამსახურება და ღვაწლი, რისთვისაც იგი არაერთგზის იქნა დაჯილდოებული სხვადასხვა სახის სახელმწიფო ჯილდოებით.

აკადემიკოსი მ. გოგოლიშვილი გაიხსენა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ ბატონი მამია გახლდათ დიდი მეცნიერი, იგი იყო საუკეთესო პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, რის გამოც მან თავისი კოლეგების, სტუდენტების თუ უბრალოდ ნაცნობებისაგან უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

მრგვალი მაგიდის მუშაობა შეაჯამა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და მრგვალი მაგიდის მუშაობაში აქტიური ჩართულობისთვის.

18 სექტემბერი - ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღე

მიმდინარე წლის 18 სექტემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით გაიმართა ტყის მუშაკთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი თემატური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიის სტიპენდიატი: სოფლის მეურნეობის დოქტორი ზვიად ტიგინაშვილი, ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, სატყეო საქმის დოქტორი



გიორგი ქავთარაძე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აგრო-სატყეო კულტურების კვლევის სამსახურის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი ნანა გოგინაშვილი, აგრარული უნივერსიტეტის პროფესორები: სოფლის მეურნეობის დოქტორი ნატო კობახიძე და ბიოლოგიის დოქტორი მედეა ბურჯანაძე.

სხდომა გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო

საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ, რომელმაც მოკლე მისალმების შემდეგ წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „ტყის ხანძრები

საქართველოში და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლები“. აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ მიმოიხილა საქართველოში გავრცელებული ტყის ხანძრების ისტორია, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში სახეობრივ და ეკოსისტემურ დონეზე სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები, მათი გავლენა ნაირგვარი შემადგენლობის, სიხშირის, აღნაგობის, ხნოვანების ტყის ეკოსისტემების მეტყვეობით და ბიოლოგიურ - ეკოლოგიური მახასიათებლებზე, სოციალური და დაცვით - ეკოლოგიური ფუნქციების მდგრადობაზე. ყურადღება გაამახვილა: გლობალური კლიმატის ცვლილების გავლენაზე ტყის ეკოსისტემებში, ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების პროცესებზე, ხანძარსა-წინააღმდეგო უსაფრთხოების ადრეული გაფრთხილების სისტემებზე, მათი დისტანციურ - ოპერატიული მონიტორინგის საშუალებებზე, სხვადასხვა ჯგუფების და ინტენსივობის ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების და წვის პროცესების თავისებურებებზე, ტყის ხანძრების გავლენაზე დინამიკაში ტყის ეკოსისტემების ნიადაგების ძირითად ფიზიკურ და წყალმარეგულირებელ თვისებებზე, ტყის მკვდარი საფარის წყალმარეგულირებელი ფუნქციის მდგრადობაზე, ტყის ბუნებრივ განახლებაზე, ტყის ეკოსისტემებში მიკროკლიმატის შემადგენელი ელემენტების ცვალებადობაზე და სხვ. მან ასევე ისაუბრა ტყის ხანძრების კერების წარმოქმნა - გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ინოვაციური, ინტეგრირებული საშუალებებზე, სისტემებსა და მეთოდებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შემუშავებული იქნა: საქართველოს ნაირგვარი ხნოვანების, ტყის ტიპის, აღნაგობის, შემადგენლობის, სიხშირის ტყის ეკოსისტემებში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მეცნიერული საფუძვლების ძირითადი მიმართულებები და ნახანძრალი ფართობებისათვის ტყის აღდგენითი, კომპლექსური ღონისძიებები და რეკომენდაციები.

მომხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეხვედრის მონაწილეებმა.

სხდომა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ლაშა დოლიძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის და აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს საქართველოს ტყეებთან დაკავშირებული გამოწვევების განხილვას და მათ შემდგომ ნიველირებას.



მეცნიერების საერთაშორისო დღე - მშვიდობისა და განვითარებისათვის

მიმდინარე წლის 11 ნოემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა მეცნიერების საერთაშორისო დღეს. სხდომა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ. აღინიშნა, რომ მეცნიერების საერთაშორისო დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის, ყოველწლიურად აღინიშნება 10 ნოემბერს. მისი მიზანია საზოგადოებას



კიდევ ერთხელ აუწყოს თუ რაოდენ დიდი ადგილი უკავია მეცნიერებას ადამიანთა ყოფაში. გარდა ამისა საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ წარმოშობილი სამეცნიერო საკითხების განხილვაში აუცილებელია ფართო საზოგადოების ჩართულობა. მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის მჭიდრო კავშირის დამყარება ხელს უწყობს ხალხის ინფორმირებას

მეცნიერების სფეროში განვითარებული მოვლენების შესახებ, ხაზს უსვამს მეცნიერთა როლის მნიშვნელობას დედამიწის შესახებ საზოგადოების თვალსაწიერის გაფართოების მიმართულებით.

აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ მოწვეულ სტუმრებს გააცნო აკადემიის საქმიანობა, სტრუქტურა. ყურადღება გაამახვილა აკადემიის როლზე აგრარული მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. აღნიშნა, რომ აკადემიას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული აგრარული პროფილის სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა ქართველი და უცხოელი აგრარულ-მეცნიერების დაახლოების და მათ შორის ინფორმაციების გაზიარების.

სხდომის დასასრულს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ მეცნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო სიგელით დააჯილდოვა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი **ნოდარ ბერიძე** - მეხილეობა-მევენახეობის მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
2. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების დეპარტამენტის კონსულტანტი, სოფლის მეურნეობის დოქტორი **გივი ბედელური** - მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
3. შპს „ჩირინას“ ვეტერინარული საგამოცდო ლაბორატორია „სანას“ ხელმძღვანელი, ვეტერინარიის დოქტორი - **ციცინო სიხარულიძე** - ვეტერინარიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის დოქტორი **ხვიჩა გოჭოშვილი** - აგროინჟინერიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
5. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, აგრონომიის მაგისტრი **ანა დევძე** - აგრარული ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
6. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მცენარეთა მიკროკლონური ინვიტრო გამრავლების და ჯანსაღი სარგავი მასალის კვლევის სამსახურის უფროსი, დოქტორანტი **თეკლა ზაკალაშვილი** - მევენახეობის მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
7. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის დოქტორი **სოსო თავბერიძე** - აგროინჟინერიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;

8. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, აგრონომიის მაგისტრი **თინა კოშაძე** - აგრარული ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
9. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგროსკოლის დირექტორი, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი **მამუკა თურმანიძე** - მცენარეთა დაცვის მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
10. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი **შორენა კაპანაძე** - სუბტროპიკული კულტურების მოვლა-გაშენების მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
11. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი **რამაზ კილაძე** - ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
12. - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტის პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი **შოთა ლამპარაძე** - მეხილეობა - მევენახეობის სელექციისა და გენეტიკის მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
13. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **მაცვალა ფრუიძე** - სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიაში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
14. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი **ნინო ყიფიანი** - სუბტროპიკული კულტურების სელექცია-გენეტიკის მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
15. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ოთარ შაინიძე** - მცენარეთა დაცვის მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
16. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, აგრონომიის მაგისტრი **მირიან ჩოხელი** - აგრარული ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
17. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის დოქტორი **რამაზ ჭალაიძე** - ფიტოპათოლოგიისა და მცენარეთა ბიომრავალფეროვნების მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
18. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგრარული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი **ავთანდილ ხარაზიშვილი** - მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის;
19. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის დოქტორი **დარეჯან ჯაში** - აგროეკოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო მიღწევებისათვის;
20. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტანდარტების, სერტიფიცირების, დაგეგმვისა და ეკონომიკური ანალიზის სამსახურის უფროსი, აგრონომიის მაგისტრი **თამარ ჯინჯიხაძე** - აგრარული ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმეში სამეცნიერო მიღწევებისათვის.



გამოჩენილი მეცნიერი, ნოვატორი და გამომგონებელი გიორგი შხვაცაბაია - 120

მიმდინარე წლის 12 ნოემბერს დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მის ერთ-

ერთ დამფუძნებელსა და პირველ ვიცე-პრეზიდენტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საკავშირო და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს მეცნიერების და ტექნოლოგიების დამსახურებულ მოღვაწეს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი შხვაცაბაიას. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით



ჩატარდა მრგვალი მაგიდა.

მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ალექსიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ა. დიდებულიძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მ. ბარვენაშვილი, აკადემიის აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი რ. მახარობლიძე, აკადემიკოსი ჯ. კაციტაძე, აკადემიის სტიპენდიატი, ტექნიკის დოქტორი მ. ბენაშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორები თ. თედორაძე და ზ. შხვაცაბაია, ტექნიკის დოქტორი თ. ცარციძე.

მრგვალი მაგიდა გახსნა აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა რევაზ მახარობლიძემ. მან დიდი სითბოთი და პატივისცემით გაიხსენა ბატონი გიორგი. ყურადღება გაამახვილა მის სამეცნიერო მოღვაწეობაზე, პიროვნულ თვისებებზე. აღინიშნა, რომ აკადემიკოსი გ. შხვაცაბაია არამარტო დიდი მეცნიერი და წარმატებული მკვლევარი გახლდათ, არამედ იგი იყო საოცრად გულისხმიერი, კაცთმოყვარე და კეთილმოსურნე პიროვნება, რაც კიდევ უფრო მეტ ღირსებას მატებდა მის პიროვნულ თვისებებს.



მრგვალ მაგიდაზე აკადემიკოს გ. შხვაცაბაიას ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ფართე მოხსენე-ბით მსმენელთა წინაშე წარსდგა მისი ყოფილი ასპირანტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ომარ თედორაძე. ბატონმა ო. თედორაძემ აღნიშნა, რომ აკადემიკოს გ. შხვაცაბაიას მიერ შემუშავებული იქნა ახალი მექანიკური გამზომი ხელსაწყოების კომპლექსი, კერძოდ, წვეთი და მბრუნავი დინამოგრაფები და მუშაობის საზომი ხელსაწყოები, ენერჯის საზომი მანქანა, სახნავი აგრეგატის მიერ გაკეთებული კვლის საზომი და პროფილის ჩამწერი ავტომატური მოწყობილობა, და სხვ. მნიშვნელოვანია, რომ ეს ხელსაწყოები მათი სიმარტივის და სიზუსტის გამო ახლაც წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა აგრეგატების წვეთი მახასიათებლების შესწავლის დროს. აკადემიკოსი გ. შხვაცაბაია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მცირე მექანიზაციის როლს მეჩაიეობაში. მის მიერ დამუშავებული იქნა ჩაის პლანტაციებში ხელის ელექტროძრავიანი სასხლავი და საკრეფი მანქანების ელექტრო მომარაგებისათვის ელექტროქსელის პროექტი, ასევე შედგენილი იქნა ამ



მანქანების სათანადო ინსტრუქცია, რომელიც ბროშურების სახით დაურიგდათ მეჩაიე ფერმერებს. აღსანიშნავია, რომ აკადემიკოსი გ. შხვაცაბაია არამარტო უდიდესი მეცნიერი, არამედ წარმატებული სპორტსმენიც გახლდათ. იყო კარგი ტანმოვარჯიშე, ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდის „ტრიუმფის“ კაპიტანი, ამიერკავკასიის ჩემპიონი 60, 100 და 200 მეტრზე რბენაში, საკავშირო ჩემპიონატის პრიზი-

ორი, პირველი ქართველი ჩემპიონი და რეკორდსმენი მძლეოსნობაში.

მრგვალ მაგიდაზე აკადემიკოსი გ. შხვაცაბაია გაიხსენეს აკადემიკოსებმა: ჯ. კაციტაძემ, ა. დიდებულიძემ. მათ ისაუბრეს მის ნოვატორულ ნიჭზე, გამოგონებებზე, ახალგაზრდა თაობის მიმართ გამოჩენილ ყურადღებასა და მხარში დგომაზე. ბატონი გიორგი გაიხსენა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ალექსიძემაც, რომელიც მართალია მას პირადად არ იცნობდა, თუმცა ბატონ გიორგიზე, როგორც მეცნიერზე და საუკეთესო პიროვნებაზე ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი.

მრგვალი მაგიდის დასასრულს აუდიტორიის წინაშე სამადლობელი სიტყვით წარსდგა აკადემიკოს გ. შხვაცაბაიას ვაჟიშვილი, ბატონი ზურაბ შხვაცაბაია. მან მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილე თითოეულ წევრს დიდი მადლობა გადაუხადა მამის გახსენებისათვის და მისი ღვაწლის დაფასებისთვის. აკადემიას კი საჩუქრად გადასცა აკადემიკოს გ. შხვაცაბაიას ბარელიეფი, რომელიც მისი მეორე ვაჟიშვილის, მოქანდაკე გ. შხვაცაბაიას მიერ იყო დამზადებული.



5 დეკემბერი - ნიადაგების დაცვის მსოფლიო დღე

მიმდინარე წლის 5 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში, აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა მრგვალი მაგიდა დევიზით: „ნიადაგებზე ზრუნვა: გაზომვა, მონიტორინგი და მართვა“, რომელიც მიემდგვნა ნიადაგების დაცვის მსოფლიო დღეს.



მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გ. ალექსიძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ა. დიდებულისძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მ. ბარვენაშვილი, აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გ. მარგველაშვილი, აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი თ. ყურაშვილი აკადემიკოსები: ნ. ჩხარტიშვილი, ზ. ჩანქსელიანი, ჯ. გუგუშვილი, აკადემიის აპარატის თანამშრომლები, ასევე სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ნიადაგების ნაყოფიერების კვლევის სამსახურის ლაბორატორიის უფროსი, დოქტორი გ. ღამბაშიძე და ამავე სამსახურის თანამშრომლები: მ. თარხნიშვილი, თ. ჯოლოხავა, თ. მესხი, გ. ორმოცაძე, თ. ცეცხლაძე, გ. გვენცაძე.

მრგვალი მაგიდა გახსნა, დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და ღირსშესა-ნიშნავი თარიღი მიულოცა აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა. მან მსმენელებს გააცნო დღის წესრიგი, რომლის თანახმად პირველი მოხსენება გახლდათ: „ნიადაგი - ჩვენი ძვირფასი კაპიტალი, სიცოცხლე და კეთილდღეობა“, მომხსენებელი: აკად. გ. მარგველაშვილი, ხოლო მეორე მოხსენება: „ნიადაგური მონაცემების შეფასება სავსე და ლაბორატორიულ პირობებში“, მომხსენებელი: დოქტორი გ. ღამბაშიძე.

აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა მოხსენების გაკეთებამდე აუდიტორიას შეახსენა ნიადაგების დაცვის საერთაშორისო დღის დაარსების ისტორია. ის რომ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2013 წლის 20 დეკემბერს მიღებული იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვით ყოველი წლის 5 დეკემბერი გამოცხადდა ნიადაგების დაცვის მსოფლიო დღედ. მან ასევე აღნიშნა, რომ

აკადემიაში ამ თარიღს რეგულარულად აღნიშნავენ სამეცნიერო კონფერენციის თუ მრგვალი მაგიდის ფორმატში. რაც შეეხება მის მიერ წარმოდგენილ მოხსენებას თემაზე: „ნიადაგი - ჩვენი ძვირფასი კაპიტალი, სიცოცხლე და კეთილდღეობა“, აკად. გ. მარგველაშვილმა ყურადღება გაამახვილა რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ნიადაგის როლი ჩვენს პლანეტაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების ფორმირებისა და შენარჩუნების, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საქმეში; ნიადაგის საინფორმაციო ფუნქცია, რომელიც მჟღავნდება ნიადაგის უნარში „დამახსოვროს და შეინახოს ნიადაგურ ახლადწარმონაქმნებში წარსულ ისტორიულ და გეოლოგიურ ეპოქებში მათი ფორმირების პირობები და სხვ. აკად. გ. მარგველაშვილი ასევე შეეხო მიწათმოქმედებაში მიწების გამოყენების



განმსაზღვრელ ფაქტორებს, მსოფლიოს ნიადაგების დეგრადაციის ხარისხსა და ფართობებს. ხაზი გაუსვა იმას, რომ ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო სარგებლობიდან ეთიშება დაახლოებით 7-8-დან -15 მლნ-მდე ჰა პროდუქტიული ნიადაგი. ქალბატონმა გოგოლამ ასევე ისაუბრა ჩვენი ქვეყნის ნიადაგების მდგომარეობაზეც, ნიადაგების დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ნიადაგების ნაყოფიერების შემცირების მიზეზებზე და სხვ. რაც მთავარია მან მსმენელებს წარმოუდგინა ის მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც საგრძნობლად გააუმჯობესებს ქვეყნის ნიადაგების არსებულ მდგომარეობას.

დოქტორმა გ. ღამბაშიძემ მოხსენებაში „ნიადაგური მონაცემების შეფასება სავსე და ლაბორატორიულ პირობებში“, ისაუბრა ნიადაგური მონაცემების მნიშვნელობაზე, რომელთა ცოდნაც აუცილებელია: ნიადაგის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად; ნიადაგების კლასიფიცირებისთვის; ნიადაგის ნაყოფიერების დონის შესაფასებლად; ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების ღონისძიებების სწორად შერჩევისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის; ს/ს კულტურების სივრცობრივი გაადგილებისთვის; ნიადაგის დეგრადაციის ხარისხის დადგენისა და დეგრადირებული ფართობების იდენტიფიცირებისთვის; ს/ს პროდუქციის უვნებლობის უზრუნველსაყოფად და მასთან დაკავშირებული საფრთხეების შესაფასებლად და სხვ. მან ასევე წარმოადგინა ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ნიადაგის კვლევის შედეგებზე, მათ შორისაა: ნიადაგის არაერთგვაროვნება, ნიადაგის მახასიათებლების ცვალებადობა, განსახვავებული მიწათსარგებლობა, ს/ს სარგებლობაში მყოფ ფართობებზე ნიადაგის ნაყოფიერების მართვის განსახვავებული პრაქტიკა და სხვ. დოქტ. გ. ღამბაშიძემ დამსწრე საზოგადოებას ასევე გააცნო ნიადაგის სავსე და ლაბორატორიული კვლევისთვის შერჩეული მეთოდები, კვლევის შედეგებზე ნიადაგის ნიმუშის აღების გავლენა.

აღსანიშნავია, რომ მრგვალ მაგიდაზე წარმოდგენილმა ორივე მოხსენებამ მსმენელთა მხრიდან დიდი დაინტერესება და მოწონება დაიმსახურა. დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზეც მომხსენებლებმა ამომწურავი პასუხები გასცეს.

მრგვალი მაგიდა შეაჯამა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა გ. მარგველაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ღონისძიებაში მონაწილეობისათვის და წარმატება უსურვა შემდგომ საქმიანობაში.

თავი 10. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 2024 წელს გამოცხადებულ აგრარულ სფეროში გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიების მისანიჭებლად ნაშრომების გამოსავლენი კონკურსის შედეგები

2024 წლის 7 ოქტომბერს აკადემიამ თავისი წესდების II თავის მე-2 მუხლის შესაბამისად გამოაცხადა კონკურსი აგრარულ სფეროში თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომისათვის (ნაშრომთა ციკლისათვის) გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობით აკადემიური პრემიების მისანიჭებლად (განცხადება კონკურსის თაობაზე ატვირთული იყო აკადემიის ვებ გვერდზე). კონკურსი გამოცხადდა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების შესაბამისი დარგების მიხედვით. შემოსული ნაშრომები გადაეცა სამეცნიერო განყოფილებებს. სამეცნიერო განყოფილებებმა ზემოაღნიშნული კონკურსის დებულების თანახმად გამოყვეს ექსპერტები რომლებმაც ერთი თვის ვადაში წარმოადგინეს რეცენზიები. ამის შემდეგ სამეცნიერო განყოფილებებში ჩატარდა ფარული კენჭისყრა. შედეგები დასამტკიცებლად ეცნობა აკადემიის პრეზიდიუმს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით გამოჩენილ აგრარიკოს-მეცნიერთა სახელობითი პრემია მიენიჭათ შემდეგი ნაშრომების ავტორებს:

აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილება

1. აკადემიკოს მიხეილ საბაშვილის სახელობის პრემია - სოფლის მეურნეობის დოქტორ ზურაბ ბუკიასა და ქიმიის მაგისტრ ციცილო ათამაშვილს ნაშრომისათვის - „მცენარის სელექციური ჯიში - სასურსათო და სამედიცინო უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი“.

მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილება

2. აკადემიკოს მიხეილ რჩელიშვილის სახელობის პრემია - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს თენგიზ ყურაშვილს, ბიოლოგიის დოქტორ ლევან ციციშვილსა და ვეტერინარ ექიმ კონსტანტინე ყურაშვილს ნაშრომისათვის - „ცხოველთა ინფექციური დაავადებები“.

აგროინჟინერიის მეცნიერებათა განყოფილება

3. აკადემიკოს ალექსანდრე დიდებულიძის სახელობის პრემია - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ ედუარდ კუხალაშვილს, აკადემიკოს გივი გავარდაშვილსა და ტექნიკის დოქტორ შორენა კუპრეიშვილს ნაშრომისათვის - „ბმულ ღვარცოფთა მოსალოდნელი რისკები და მათთან ბრძოლა“.

სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის განყოფილება

4. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ ანდრო ნიჟარაძის სახელობის პრემია - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორ მარიამ ხოსიტაშვილს, ტექნიკის დოქტორ მარიკა მიქიაშვილს, აგრარულ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორ მირანდა გორგილაძესა და ტექნიკის დოქტორ მედეა ორმოცაძეს ნაშრომისათვის - „სხვადასხვა საფურის გავლენის დადგენა ღვინის არომატულ კომპონენტებზე“.

გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილება

5. აკადემიკოს ვასილ გულისაშვილის სახელობის პრემია - სოფლის მეურნეობის დოქტორ რეზო ვასაძესა და ზეინაზ ვასაძეს ნაშრომისათვის - „აჭარის მუქწიწვოვანი კორომების საერთო სანიტარული მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზები და სატყეო სატაქსაციო მაჩვენებლების დინამიკა ტყის ტიპების მიხედვით“ და ბიოლოგიის დოქტორებს: მედეა ბურჯანაძესა და არჩილ სუპატაშვილს ნაშრომისათვის - „საქართველოს წიწვოვან ტყეებში გავრცელებული მავნე ქერქიჭამიები“.

ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილება

6. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორ პეტრე ჟღენტის სახელობის პრემია - აკადემიკოს სოლომონ პავლიაშვილს ნაშრომისათვის - „სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა და ცირკულარული ეკონომიკა“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს კონკურსში გამარჯვებულ მეცნიერებს და უსურვებს წარმატებებს შემდგომ სამეცნიერო საქმიანობაში.

თავი 11. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აჭარის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის მიერ 2024 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2019 წლის 27 დეკემბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის N01-210 კორესპონდენციის შესაბამისად პროგრამით „აგროსერვისის განვითარება რეგიონებში“ გათვალისწინებული 2024 წელს შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შემდეგი მიმართულებების მიხედვით: მცენარეთა დაცვა; მემცენარეობა; სატყეო; ეკონომიკა; მეცხოველეობა, მექანიზაცია და გადამუშავების ტექნოლოგიები.

მცენარეთა დაცვის მიმართულება

შემსრულებლები: გურამ ალექსიძე - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; გურამ ჩხუბაძე - ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი.

თემის დასახელება: აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში გავრცელებული ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებების შესწავლა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება.

ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში ლურჯი მოცვის კულტურაზე მრავალი მავნებელია გავრცელებული, რომელთა შორის თავისი გავრცელებით და მოვნობით გამოირჩევა ამერიკული თეთრი პეპელა (*Hiphantria cunea* Druru), იაპონური ცვილისებური ცრუფარიანა (*Ceroplastes Japonicus* Green), ატმის ბუერი (*Myzodes oersicae* Sulz.), ბურტყლა ბუერი (*Eriosoma lanigerum*) და სხვა.

კვლევა მიზნად ისახავს: შეისწავლოს აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში ლურჯი მოცვის კულტურაზე გავრცელებული ძირითადი მავნებლები და დაავადებები, შეაფასოს მათი გავრცელების მასშტაბები და მოვნობის ხარისხი, და შეიმუშაოს მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური და ეკოლოგიურად უსაფრთხო ღონისძიებები.

ამოცანები: კვლევის პროცესში დაგეგმილია აჭარის სხვადასხვა ზონაში ლურჯი მოცვის ნარგავების სისტემატური მონიტორინგი და მავნებელ-დაავადებების გამოვლენა.

საჭიროა გამოვლენილი მავნებლებისა და დაავადებების სახეობრივი შემადგენლობის დადგენა და მათი ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლა.

მნიშვნელოვანია მავნებლების გავრცელების არეალის, რიცხოვნობისა და დაზიანების ხარისხის განსაზღვრა.

აუცილებელია დაავადებების სიმპტომების, გამომწვევების იდენტიფიცირება და გავრცელების ხარისხის შეფასება.

ამერიკული თეთრი პეპელა-პოლიფაგი მავნებელია, აზიანებს 250-ზე მეტი სახეობის მცენარეს. იგი გამოვლენილი იქნა ლურჯ მოცვზეც, რომელზედაც აბლაბუდას მათით ფოთლებს კრავს ბუდეებად და ღრნის მას.

იაპონური ცვილისებური ცრუფარიანა. პოლიფაგი მავნებელია, ჩვენში გამოვლენილი იქნა სოფ. ცეხლაურის და გვარას საკვლევად შერჩეულ ნაკვეთებზე. მავნებელი ლურჯი მოცვის მცენარეს უზიანებს ყლორტებს, ტოტებს და ზოგჯერ მასიური გავრცელების შემთხვევაში ღეროსაც კი. მისი ძირითადი მკვებავი მცენარეა ჩაი, თუმცაის ის პოლიფაგია და აზიანებს ლურჯ მოცვსაც.

ატმის ბუგრი. წუწნით აზიანებს ლურჯი მოცვის ფოთლებს, დაზიანებული ფოთლები ზრდაში ჩამორჩება, ხუჭუჭდება და ხმება.

ბურტყლა ბუგრი. წუწნით აზიანებს გამერქნებული მოცვის ყლორტებს, ტოტებსა და შტამბს. წვენი ამოწუწნის დროს ჭრილობაში შედის ბუგრის ნერწყვი, რაც იწვევს უჯრედების დეფორმაციას, კოჟრების წარმოშობას და კანის დახეთქვას. საშიში მავნებელია, განსაკუთრებით ახალგაზრდა ნარგაობისათვის. საქართველოში ეს მავნებელი აღნიშნული იყო ვაშლის კულტურაზე. შესაძლებელია იგი ვაშლის კულტურიდან გადმოვიდა მოცვზე.

ჭრიჭინა (Gryllus sp). აზიანებს მოცვის ყლორტებს. მავნებელი ყლორტის გულში ათავსებს კვერცხებს, კვერცხიდან გამოჩეკილი თეთრი ფერის მატლები ღრნის ყლორტის გულს. აგრეთვე მერქნის კედლებსაც, რის გამოც ყლორტი ხშირ შემთხვევაში ტყდება. საერთოდ კვერცხჩადებული ყლორტები ჭკნება და ხმება. მისი სახეობა ჯერჯერობით დაუდგენელია.

გარდა აღნიშნულისა ლურჯი მოცვის კულტურაზე გამოვლენილია სხვადასხვა მავნე ფაუნის წარმომადგენლები, რომლებსაც მეტ-ნაკლები ზიანი მოაქვს მოცვის კულტურისათვის.

მიმდინარე ეტაპზე გათვალისწინებული იყო აღნიშნული მავნებლების გავრცელების მასშტაბების დადგენა. რისთვისაც გამოკვლევები ჩატარდა ქობულეთის რაიონის რამდენადაც მიმდინარე ეტაპზე მავნებელ დაავადებები იმყოფება მეზამთრობის სტადიაში მავნებელთა გავრცელების პროცენტები გამოთვლილი იქნა გასულ წელს ჩატარებული მავნებლების გამოვლენისა და აღრიცხვების მონაცემების საფუძველზე. ხოლო მათი გავრცელების არეალის მასშტაბები დადგენილი იქნება მიმდინარე წლის სავეგეტაციო პერიოდში ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე.

ლურჯი მოცვის მავნებლების გავრცელების აღრიცხვის მეთოდები

ლურჯი მოცვის მავნე ფაუნის სახეობათა გავრცელება, რიცხოზობა ანუ შეხვედრილობის სიხშირე და დაზიანების ხარისხი ანუ მავნეობა აღრიცხებოდა ვიზუალური დაკვირვებების საფუძველზე და ფასდებოდა 3 ბალიანი სისტემით: გავრცელება +++ ყოველთვის, ++ ხშირად, + იშვიათად; რიცხოზობა +++ მასობრივი, +++ უმნიშვნელო, + ერთეული; დაზიანების ხარისხი +++ ძლიერი, ++ საშუალო, + სუსტი.

ცხრილი 1

ლურჯი მოცვის მავნებლების გავრცელება

№	მავნებლის დასახელება	გავრცელება	რიცხოვნებით	დაზიანების ხარისხი
1	ამერიკული თეთრი პეპელა (<i>Hiphantria cunea</i> Drury)	+++	+++	+++
2	აზიური ანუ გადამფრენი კალია (<i>Locusta migratoria</i> L.)	++	++	++
3	ატმის ბუგრი (<i>Myzus persicae</i>)	+++	+++	+++

4	ბურტყლა ბუერი	++++	+++	+++
	(<i>Eriosoma lanigerum</i>)			
5	ველის ჭრიჭინა	++	++	++
	(<i>Melanogryllus desertus</i>)			
6	ჭრიჭინა	++	++	+++
	(<i>Oecanthus spp</i>)			
7	ჩვეულებრივი ბოსტანა	+++	+++	+++
	(<i>Gryllotalpa gryllotalpa</i>)			
8	ამიერკავკასიის მაისის ღრაჭა	++	++	+++
	(<i>Melolontha pectoralis</i>)			
9	იაპონური ცვილისებური ცრუფარიანა	+++	+++	+++
	(<i>Ceroplastes Japonicus Green</i>)			
10	ჭარხლის ბუერი	+	+	+
	(<i>Aphis fabae</i>)			

როგორც ცხრილ 1- დან ჩანს საანგარიშო პერიოდში ლურჯ მოცვზე რეგისტრირებული მავნებლებიდან თავისი გავრცელებით, რიცხოვნებით და დაზიანების ხარისხით გამოირჩევა:

1. ამერიკული თეთრი პეპელა
2. იაპონური ცვილისებური ცრუფარიანა
3. ატმის ბუერი
4. ბურტყლა ბუერი

შემდგომ გამოკვლევებში შესწავლილი იქნება აღნიშნული მავნებლების გავრცელება და ბიოლოგის თავისებურებანი აჭარის როგორც დაბლობ ისე მააღალმთიან რაიონებში და დამუშავდება მათთან ბრძოლის ღონისძიებები.

დანართი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. გვარას და ცეცხლაურის შერჩეული ლურჯი მოცვის ნაკვეთების დათვალიერების ამსახველი ფოტო მასალები.



ლურჯი მოცვის დომინანტი მავნებლების მავნეობის დადგენა მოსავლის აღრიცხვის მეთოდით: უკანასკნელ ხანებში აჭარის რეგიონში სულ უფრო მეტად ინერგება ლურჯი მოცვის კულტურა, რომელსაც საბაზრო ღირებულების თვალსაზრისით კონკურენციას ვერ უწევს ვერც ერთი დღემდე არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურა და სწორედ მან უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი რეგიონის სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ჩვენს რეგიონში ლურჯი მოცვის განვითარების განმაპირობებელ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვან ადგილი უჭირავს მასზე გავრცელებულ მავნებლებს. ლურჯი მოცვის მეტად საშიში ფიტოფაგებს წარმოადგენენ ის მავნებლები, რომლებიც ყოველწლიურად მასიურად მრავლდებიან და იწვევენ მცენარეთა ძლიერ დასუსტებას, დათრგუნვას, ფოთლების ნაადრევ გაყვითლებასა და ცვენას, ცალკეული ტოტების ან მცენარის სრულ ხმოზას. ამ მხრივ აღსანიშნავია საწუწნი პირის ორგანოების მქონე მწერები, რომელთა კვებას თან ახლავს ახახალგაზრდა, გაუმერქნებელი

ყლორტების დეფორმაცია, ფოთლების სიხუჭუჭე, ამავდროულად ასეთი მავნებლები უხვად გამოყოფენ თხიერ, მოტკბო ექსკრემენტებს, რომლითაც იფარება ფოთლები, ყლორტები და ტოტები. მასზე კი აქტიურად ვითარდება სიშავის გამომწვევი სოკოები, ასეთი სახით დასვრილ მცენარეს ედება მტვერი. რაც იწვევს ბაგეების დახშობას, ხელს უშლის ასიმილაციის პროცესებს და ასუსტებს მცენარეებს.

მწუწნი მავნებლებით დაზიანებისას მცენარეში მცირდება პლასტიკურ ნივთიერებათა დაგროვება, უარესდება წყლით უზრუნველყოფა, ძლიერდება სუნთქვის პროცესი. მცირდება ყოველწლიური ნაზარდი, გამძლეობა არახელსაყრელი ფაქტორების მოქმედების მიმართ.

როგორც ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა ლურჯი მოცვის კულტურაზე გავრცელებული მწუწნი მწერებიდან ჩვენს პირობებში თავისი მავნეობით გამოირჩევა ატმის ბუგრი (*Myzodes persicae*) და ბურტყლა ბუგრი (*Eriosoma lanigerum*).

ატმის ბუგრის და ბურტყლა ბუგრის გავრცელება, დაზიანების სიმპტომები და მავნეობა ლურჯი მოცვის კულტურაზე

ატმის ბუგრი პოლიფაგი მავნებელია, საქართველოში იგი აზიანებს ატამს, გარგარს, ალუბალს, ბალს, მსხალს, თამბაქოს, კარტოფილს და. სხვას. უკანასკნელ წლებში მისი ფართო გავრცელება აღინიშნა ლურჯი მოცვის კულტურაზე. განსაკუთრებით ზიანდება ახალგაზრდა ნარგაობა. ამ კულტურას ის უზიანებს თითქმის ყველა მწვანე ორგანოს. ლურჯი მოცვის საფოთლე კვირტების გაშლისთანავე გამოზამთრებული კვერცხებიდან იწყება მატლების გამოჩეკვა, რომლებიც იკვებებიან ამ კულტურის ფოთლებითა და ყლორტებით. (სურ.1).



სურ.1. ატმის ბუგრით დასახლებული ლურჯი მოცვის ყლორტები და ფოთლები

ფოთლები ხუჭუჭდება, ნაწლობრივ ნეკროზირდება. მის ქვედა მხარეზე აღინიშნება მსხვილი მარღვების გამოქეება, ხოლო ფოთლის ზედა მხარეზე ზონალური ქლოროზი და მარღვებს შორის ქსოვილების გაყვითლებამ ყვავილების არათანაბარი სიხუჭუჭე. ზოგჯერ დაზიანებული ორგანოები იფარება სიშავის გამომწვევი სოკოების მიცელიუმით.

ატმის ბუგრის მავნეობით გამოწვეული ზიანის დასადგენად გამოყენებული იქნა მოსავლის აღრიცხვის მეთოდი. რისთვისაც შერჩეული იქნა 5 ბუგრებით ინტენსიურად დასახლებული და 5 სრულიად ჯანსაღი (რომლებზედაც ბუგრების დასახლება არ იყო აღნიშნული) სანიმუშო მცენარე. ცალკ-ცალკე აღრიცხა სადი და დაზიანებული მცენარეებიდან მიღებულ მოსავალი. სადი და ბუგრებით დასახლებული მცენარეებიდან მიღებული მოსავლის წონების შედარებით დადგენილი იქნა ატმის ბუგრის მავნეობით გამოწვეული ზიანი. რომელიც ჩვენი გამოთვლებითლებით დაახლოებით 25-30%-ს აღწევს.

ატმის ბუგრს გარდა მცენარეების დაზიანებისა ვირუსული დაავადებების გავრცელებაც შეუძლია.

ბურტყლა ბუგრი ევროპაში შემოყვანილია ამერიკიდან. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული, განსაკუთრებით დაბლობ რაიონებში. ჩვენში გაუნაყოფიერებლად მრავლდება და ზაფხულში 10-15 თაობას. ბურტყლა ბუგრის კოლონიები გამოყოფენ თეთრ ცვილისებრ ძაფს. იკვებებიან გამერქნებული ღეროების, ტოტებისა და ფესვების წვენით. რის გამოც მცენარეს უჩნდება ბზარები და კოჭრები. ფერხდება ზრდა, იკლებს მოსავლიანობა. ბურტყლა ბუგრის კოლონიების განვითარება ჩვენს პირობებში ლურჯი მოცვის კულტურაცეც აღინიშნა (სურ.2)



სურ. 2 . ბურტყლა ბუგრით დასახლებული ყლორტები

მავნეობა. ბურტყლა ბუგრი პირველ რიგში სახლდება ლურჯი მოცვის ახალგაზრდა ტოტებზე, ფოთლების ყუნწებზე, ხშირად სანაყოფე ყლოყტებზე. მწერის კვების ადგილზე წარმოიქმნება კვანძოვანი გასქელება, რომელიც შედგება ნაზი ქერქით დაფარული ფაშარი ქსოვილებისაგან. გვანძები იზრდება და იზარება და წარმოქმნის ღრმა წყლულებს. წყლულებში იჭრება სიდამპლის გამომწვევი ბაქტერიები და იწვევს ტოტების ხმობას, ბუგრის ინტენსიური დასახლების დროს მცენარე ილუპება.

ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებათა გამოვლენა

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა კვლევები ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებათა გამოსავლენად. აღინიშნა ლურჯი მოცვის ფომოპსის ინტენსიური განვითარება არამარტო ახალგაზრდა ყლორტებზე, არამედ უკვე ნაყოფმსხმოიარე ტოტებზე ნაყოფების გამონასკვის და მომწიფების პერიოდში. დაავადებული მცენარის ღეროები იწყებს ხმობას, ნაყოფები და ფოთლები ჭკნება და ცვივა (სურ. 3).



სურ. 3. ფომოპსისით დაავადებული მოცვის ახალგაზრდა ნერგები.

გარდა აღნიშნულისა ნაოფებზე აღინიშნა ლურჯი მოცვის ანტრაქნოზის განვითარება. დაავადება ვლინდება ფოთლებზე. ტოტებზე და ნაყოფებზე (სურ. 4). ფოთლებზე ჩნდება მოწითალო ყავისფერი ლაქები, ამავე დროს ნაყოფებზეც შეინიშნება ჩაზნექილი უბნები და ამ ჩაზნექილ უბნების ზედაპირზე ჩნდება ნარინჯისფერი ფიფქი. ანალოგიური ჩაზნექილი ლაქები წაემოიქმნება ლურჯი მოცვის დაავადებული მცენარის ყლორტებზეც (სურ. 4).

ლურჯი მოცვი მეტად პოპულარული კულტურაა, რომელიც სულ უფრო ფართოდ იწერება ჩვენს რეგიონში, რასაც ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოს კლიმატური და ნიადაგური პირობები. სამწუხაროდ ლურჯი მოცვის ფართოდ გავრცელებასთან ერთად სულ უფრო მეტად ვრცელდება მისი მავნებლები, რომელთა სახეობრივი შემადგენლობა ყოველწლიურად მატულობს. ლურჯი მოცვის მეტად საშიშ მავნებლებს წარმოადგენენ მწუწნი მავნებლები, რომლებიც აზიანებენ მცენარის ფოთლებს, ყვავილებს, ყლორტებს და ნაყოფებს. იკვლება მცენარის ანატომიური და ფიზიოლოგიური მდგომარეობა, ნაყოფის ბიოქიმიური შემადგენლობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მცენარის ზრდა განვითარებაზე და მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე. მათ წინააღმდეგ

ბრძოლის ღონისძიებების სწორად წარმართვისათვის საჭიროა მოცვის კულტურაზე გავრცელებული მწუწნი მავნებლების ბიოლოგიური თავისებურების შესწავლა და მავნეობის დადგენა. რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს მათთან ბრძოლის თანამედროვე ღონისძიებებს.



სურ. 4. ანთრაქნოზით დაავადებული ლურჯი ლურჯი მოცვის ფოთლები და ნაყოფები

როგორც ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენს ჩვენს რეგიონში ლურჯ მოცვზე გავრცელებული მწუწნი მავნებლებიდან თავიანთ მავნეობით გამოირჩევა ბუგრები, რომლებიც ყოველწლიურად ვრცელდებიან და იწვევებ მცენარეთა დასუსტებას, ფოთლების დეფორმაციას და ჭკნობას, ღერო-ტოტების დაღრეცას. ინტენსიური გავრცელების დროს ახალგაზრდა მცენარეთა სრულ ხმობასაც კი.

ლურჯი მოცვის კულტურაზე გავრცელებული ბუგრებიდან ჩვენს პირობებში თავისი მავნეობით გამოირჩევა ატმის ბუგრი (*Myzodes persicae*) და ბურტყლა ბუგრი (*Eriosoma lanigerum*).

ატმის ბუგრი პოლიფაგი მავნებელია, საქართველოში იგი მრავალ კულტურას აზიანებს. უკანასკნელ წლებში მისი ფართო გავრცელება აღინიშნა ლურჯი მოცვის კულტურაზე. ჩვენს რეგიონში ატმის ბუგრი ლურჯი მოცვის ერთ-ერთი სერიოზული მავნებელია, რომელიც ამ კულტურაზე განსაკუთრებული ინტენსივობით იკვებება და სეზონის განმავლობაში შეუძლია 15 თაობის მოცემა. ბუგრები პირველად სახლდებიან ახალგაზრდა ყლორტების ქვედა ნაწილში, მათი კვების შედეგად ფოთლები ხუჭუჭდება, კოკრები აღარ იშლება და მთლიან მცენარე იფარება ბლანტი სითხით. პირდაპირი ზიანის გარდა ატმის ბუგრს ხშირად ვირუსული დაავადებებიც გადააქვს.

შემოდგომით ატმის ბუგრის მატლი ძირითადად სახლდებიან ახალი ვეგეტაციის ყლორტების წვეროებში და იწვევს ფოთლების დახუჭუჭებას, ყლორტების დეფორმაციას და დაღრეცას (სურ. 6)

ბუგრებს რთული სასიცოცხლო ციკლი აქვთ, რომელიც მოიცავს ზრდასრული ინდივიდების ფრთიან და უფრთო ფორმებს. სათბურებში მრავლდება პართენოგენეზურადაც. კანს იცვლის ოთხჯერ, სანამ არ მიღწევს ზრდასრულ ფორმას. ყოველი კანის ცვლისას ის იცილებს ძველ კანს და ტოვებს ბცენარეზე, რითაც ადვილი ამოსაცნობია მისი არსებობა კულტურაზე.



სურ.6. ატმის ბუგრით დაზიანებული ყლორტები

ზამთრობს კვერცხის ფაზაში ატამზე და სხვა მრავალ ხეხილოვან კულტურაზე. გაზაფხულზე გამოდიან მატლები და იკვებებიან კვირტებისა და ფოთლების წვენიტ. წარმოიქმნება ზრდასრული მწერები. ერთი თაობის განვითარებას სჭირდება რამდენიმე დღე. ჩვენი დაკვირვებით მოცვის კულტურაზე ჩვენს პირობებში შეიძლება განვითარდეს ატმის ბუგრის 4-6 თაობა.

ბურტყლა ბუგრი საქართველოში ყველგანაა გავრცელებული, განსაკუთრებით დაბლობ რაიონებში. ჩვენში გაუნაყოფიერებლად მრავლდება და ზაფხულში 10-15 თაობას იძლევა. ბურტყლა ბუგრის კოლონიები გამოყოფენ თეთრ ცვილისებრ ძაფს.

იზამთრებს პირველი და მეორე ასაკის მატლები მცენარის მიწისზედა ორგანოებზე და ფესვებზე. გაზაფხულზე ისინი გამოდიან დიაპაუზიდან და იწყებენ კვებას. ყვავილობამდე მატლები მიგრირებენ მცენარის ვარჯში (სურ.7). სეზონის განმავლობაში ბუგრი ბუგრმა შეიძლება მოგვეცეს 17 თაობამდე. ყოველი მდედრი შობს 20-150 მატლს.

ზაფხულში ჩნდება ფრთიანი დედლები-გამავრცელებლები, რომლებიც გადაფრინდებიან და წარმოქმნიან ახალ კოლონიებს. ბუგრების მატლები ძალიან მოძრავია არიან, შეიძლება გადალოდნენ მნიშვნელოვან მანძილზე და გავრცელდნენ ქარით.



სურ.7 ბურტყლა ბუგრით დაზიანებული მცენარეები

პირველ რიგში სახლდებიან ახალგაზრდა ყლორტებზე და ფოთლების ყუნწებზე. ბუგრები დაფარულია თეთრი ბურტყლიტ რის გამოც მათი კოლონია ადვილად შესამჩნევია. ქერქსა და ფესვებზე ბუგრების კვების ადგილას ქსოვილები სქელდება.

ზრდის შედეგად ვითარდება ღრეჩოები და წარმოიქმნება ღრმა წყლულები. ჩვენს პირობებში აღინიშნა მათი რიცხოვნების ზრდის ორი პიკი, ზაფხულის (მაის-ივნისი) და შემოდგომის. ივლის აგვისტოში ბუგრების განვითარება რამდენადმე ნელდება. მატლების ნაწილი იწყებენ ფესვებზე დასახლებას. შემოდგომით ბუგრების მიგრაცია გრძელდება ყინვების დადგომამდე.

მავენებლების მავნეობა განსაზღვრება მისი მოქმედებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგებით. რაც თავის მხრივ დამოკიდებულია გავრცელების პროცენტზე და დასახლების ინტენსივობაზე.

მავენბლის გავრცელება იანგარიშება ფორმულიტ $P=n \times 100 / N$

სადაც, P არის მავენბლის გავრცელება %-ში; N – აღრიცხულ მცენარეთა საერთო რაოდენობა; N- დაზიანებულ მცენარეთა რაოდენობა.

ბუგრების დასახლების ინტენსივობას ვადგენდით 5 ბალიანი სისტემით 0 - ბუგრები არ არის; I - ფოთლებზე გვხვდება ერთეული ინდივიდები; II - III, IV, მოსავლის აღრიცხვის მეთოდით ატმის ბუგრის მავნეობის ანუ მოსავლის დანაკარგების დადგენისათვის 4 წლიანი ნარგავების დიაგონელზე შერჩეული იქნა 10 სამოდელო მცენარე, რომელზედაც ბუგრების დასახლება არ იყო აღნიშნული და 10 სამოდელო მცენარე სადაც აღინიშნებოდა ბუგრების მაქსიმალური დასახლება. მათ მიერ გამოწვეული მოსავლის დანაკარგების დასადგენად ცალკ-ცალკე აღირიცხა მოსავალი ბუგრებით დასახლებულ და დაუსახლებელ სამოდელო მცენარეებზე. და გაანგარიშებული იქნა

საშუალო მოსავალი ერთი დაზიანებული და დაუზიანებელი მცენარიდან. შედეგები მოცემულია ქვემოთ:

ბუგრებით დაუსახლებული სამოდელო მცენარების მოსავალი კგ-ით:

- 1) 3,5; 2) 3,8; 3) 4,0; 4) 3,9; 5) 4,2; 6) 3,9; 7) 4, 3; 8) 3,8; 9) 4,1; 10) 3,7 = 39,2 საშუალო 3,92 კგ

ბუგრებით დასახლებული სამოდელო მცენარების მოსავალი კგ-ით:

- 1) 2,8; 2) 2,5; 3) 2,7; 4) 2,7; 5) 1,8; 6) 2,4; 7) 3,9; 8) 2,9; 9) 3,5; 10) 2,5 = 27,7. საშუალო 2,77

თუ დაუზიანებული მცენარეებიდან მიღებულ მოსავალს მივიღებთ პოტენციურ (შესაძლო) მოსავლად, მაშინ ბუგრებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგები ტოლი იქნება $39,2 - 27,7 = 11,5$ ან ერთ ბუჩქიდან მოსავლის დანაკარგი იქნება 1,15 კგ. რაც მთლიან ნარგაობაზე გაანგარიშებით შეადგენს $1,15 \times 100 / 3,9 = 29,47\%$.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ გავაკეთოდ დასკვნა, ატმის ბუგრის მაქსიმალური გავრცელებისა დასახლების შემთხვევაში ლურჯი მოცვის მოსავლინობა შეიძლება შემცირდეს საშუალოდ 30%-ით.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა გამოკვლევა ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებათა გამოსავლენად. აღნიშნული იქნა მოცვის ახალგაზრდა ყლორტის წვეროების ჯერ ჭკნობა და შემდგომ ხმობა (სურ. 8). მისი გამომწვევი მიზეზები შესწავლილი იქნება შემდგომ კვლევებში. გარდა აღნიშნულისა ფართო იყო გავრცელებული ფოთლების ლაიანობა - ალტერნარიოზი (სურ. 9) და ფოსფორის ნაკლებობით გამოწვეული ფოთლების იისფერობა (სურ. 10).



(სურ. 8).



(სურ. 9)



(სურ. 10).

დასკვნა

აჭარის დაბლობ და მაღალმთიან ზონაში ლურჯი მოცვის კულტურაზე გავრცელებულია მრავალი მავნებელი, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამერიკულ თეთრ პეპელას, იაპონურ ცვილისებურ ცრუფარიანას, ატმის ბუგრს, ბურტყლა ბუგრს და სხვა მავნებლებს.

აღნიშნული მავნებლებიდან ყველაზე დიდ ზიანს აყენებენ ატმის ბუგრი და ბურტყლა ბუგრი, რომლებიც იწვევენ ფოთლების დეფორმაციას, ყლორტების დაზიანებას და მოსავლის მნიშვნელოვან შემცირებას. ისინი არა მხოლოდ აზიანებენ მცენარეებს, არამედ ხელს უწყობენ სხვადასხვა დაავადებების გავრცელებასაც.

ლურჯი მოცვის კულტურაზე ასევე ვრცელდება სხვადასხვა დაავადება, როგორცაა ფომოპსისი და ანტრაქნოზი, რომლებიც აზიანებენ მცენარის ღეროებს, ნაყოფებსა და ფოთლებს. ეს დაავადებები მნიშვნელოვნად აზიანებენ მცენარის ზრდა-განვითარებას და ამცირებენ მოსავლის ხარისხს.

მავნებელ-დაავადებების გავრცელების მასშტაბები და მავნეობის ხარისხი შეიძლება განსხვავდებოდეს აჭარის სხვადასხვა ზონის მიხედვით, რაც განპირობებულია კლიმატური და ნიადაგური პირობების, ასევე აგროტექნიკური ღონისძიებების სპეციფიკით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები ხელს შეუწყობს ლურჯი მოცვის მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლის ინტეგრირებული სისტემის შემუშავებას, რომელიც მოიცავს პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ბიოლოგიურ და ქიმიურ მეთოდებს, და უზრუნველყოფს მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მიღებას.

გამოყენებული წყაროები

- ✓ გ. ალექსიძე - სასოფლო სამეურნეო კულტურების ძირითადი მავნებლები და დაავადებები. თბილისი. 2019. 201გვ.
- ✓ გ. ალექსიძე - ერთწლიანი კულტურების ძირითადი მავნებლები და დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. თბილისი. 2019. 28გვ.
- ✓ გ. ალექსიძე- ინვაზიური დაავადებები საქართველოში. თბილისი. 2020. 42გვ.
- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდი (<https://nfa.gov.ge/>)
- ✓ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდი (<https://nfa.gov.ge/En/>)
- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი: <https://agroric.gov.ge/>
- ✓ კავკასიის უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის სოფლის მეურნეობის მიმართულება: <https://cu.edu.ge/ka/page/doctor-of-agricultural-sciences>
- ✓ "ლურჯი მოცვი" (ავტორები: ზ. ბობოქაშვილი, კარლოს გარსია სალაზარი, ანამარია გომეს როდასი)
- ✓ Google Scholar: <https://scholar.google.com/>
- ✓ ResearchGate: <https://www.researchgate.net/>

მემცენარეობის მიმართულება

შემსრულებლები: რეზო ჯაბნიძე -საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

შოთა ლამპარაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

ნოდარი ბერიძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

თემა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე ჯიშების (11 ჯიშში) მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებების შესწავლა.

სამეცნიერო კვლევები ტარდებოდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშებზე. ისწავლებოდა მათი მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებები. საცდელი საქმის მეთოდებიდან გამომდინარე, ვაზის თითოეული ჯიშიდან შერჩეული იქნა ხუთ-ხუთი მცენარე, რომლებიც მეტნაკლებად თანაბრად იყო განვითარებული.

კვლევა მიზნად ისახავდა: შეგვესწავლა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გვარა-ხუცუბნის სადემონსტრაციო-სანერგე მეურნეობაში 2012 წელს გაშენებული ვაზის სასუფრე ჯიშების მორფოლოგიური, სამეურნეო და ფიზიოლოგიური ნიშან-თვისებები, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი პირობებისთვის საუკეთესო ჯიშების იდენტიფიცირებასა და მათ შემდგომ გავრცელებას.

კვლევის ამოცანებია - კვლევის ფარგლებში დაგეგმილი იყო ვაზის სხვადასხვა ჯიშების ფენოლოგიური ფაზების (ტირილი, კვირტის გაშლა, ყვავილობა, სრული სიმწიფე) დინამიკის შესწავლა და მათი ხანგრძლივობის დადგენა.

საჭირო იყო ვაზის ჯიშების მორფოლოგიური მახასიათებლების (მტევნის ზომა, მარცვლის წონა) და ტექნიკური მაჩვენებლების (აქტიური მჟავიანობა, მშრალი ნივთიერების შემცველობა) შესწავლა და ანალიზი.

მნიშვნელოვანი იყო ვაზის ჯიშების მოსავლიანობის დადგენა და მისი შეფასება, რაც მოიცავდა მოსავლის აღრიცხვას თითოეული ძირიდან და მოსავლიანობის გადაანგარიშებას ჰექტარზე.

მორფოლოგიური თავისებურებებიდან, ცალკეული ჯიშების მიხედვით, ისწავლებოდა ფენოლოგიური ფაზები, როგორცაა: ვაზის ტირილის (წვენთა მოძრაობა) დაწყება-დამთავრება და კვირტების გაშლა (ზრდის დაწყება), რომელთა მაჩვენებლები მოცემულია N 1 ცხრილში.

ცხრილი N 1

ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობა (2024 წელი)

#	ჯიშების დასახელება	ვაზის ტირილის დაწყება და დამთავრება	კვირტების გაშლა (ზრდის დაწყება)
1	კარდინალი	22.02-18.03	18.03
2	კრიმსონ სიდლესი	26.02-17.03	22.03
3	დონ მარიანო	29.02-22.03	27.03
4	ალფონსო ლავალე	26.02-21.03	27.03
5	პრიმა	21.02-13.03	20.03
6	იტალია	22.02-20.03	22.03
7	დათიერი	25.02-22.03	28.03
8	ალედო	23.02-21.03	27.03
9	ქართული საადრეო	26.02-20.03	26.03
10	საბას პერლი (მარგალიტი)	26.02-21.03	27.03
11	სულთანინი	27.02-22.03	30.03
12	ჩხავერი	3.03-26.03	30.03
13	ოჯალეში	1.03-26.03	30.03
14	კრახუნა	29.02-23.03	29.03
15	ცოლიკაური	1.03-25.03	29.03
16	ციცქა	29.02-23.03	29.03
17	კლარჯული	26.02-22.03	29.03

18	ქაქუთურა	26.02-21.03	28.03
19	წულუკიძის თეთრა	27.02-24.03	27.03
20	უსახელოური	28.02-25.03	29.03
21	ალექსანდრული	27.02-24.03	29.03
22	შავი მუსკატი	28.02-24.03	29.03
23	თეთრი მუსკატი	27.02-22.03	27.03

როგორც N1 ცხრილიდან ჩანს ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების მცენარეები ენოლოგიურ ფაზებს სხვადასხვა პერიოდში გადიან და მათ შორის განსხვავებაც მნიშვნელოვანია. ვაზის ცალკეული ჯიშები ტირილს 21 თებერვლიდან 29 თებერვლამდე იწყებენ და ამთავრებენ 13 მარტიდან 26 მარტამდე. სხვაობა კი ჯიშებს შორის 13 დღეა. ყველაზე ადრე ტირილის პროცესს იწყებს და ამთავრებს ვაზის ჯიშში პრიმა (21.02.-13.03) და კარდინალი (22.02-18.03), ხოლო ყველაზე გვიან კი ჩხავერი (3.03-26.03) და ოჯალეში (1.03-26.03). კვირტების გაშლასა და ზრდას ყველაზე ადრე იწყებს კარდინალი(18.03) და პრიმა 20.03) გვიან კი ჩხავერი (30.03) და ოჯალეში (30.03), ამ მხრივ ჯიშებს შორის განსხვავება შეადგენს 12 დღეს. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაკვირვების პერიოდში აღმოჩნდა დაავადება ბაქტერიული კიბო ვაზის ისეთ ჯიშებზე, როგორიცაა: კრიმსონ სიდლესი და ალფონსო ლავალე, ამ ჯიშების გვერდით გაშენებულია ისეთი პერსპექტიული ჯიშები, როგორიცაა: საადრეო ჯიშში კარდინალი, იტალია და პრიმა. რაც ამ ჯიშების დაასენიანების საშიშროებას წარმოადგენს. მდგომარეობა მეტად სავალალოა და საჭიროებს დაუყოვნებლივ პრევენციული და რადიკალური ღონისძიებების გატარებას.

საცდელი მცენარეების ფენოლოგიურ ფაზებზე დაკვირვებები კვლავ ინტენსიურად გრძელდება, რაც თავის ასახვას ჰპოვებს მეორე კვარტლის ანგარიშში.

თემატიკით გათვალისწინებული ამოცანებისა და საკითხების შესასრულებლად ვაზის სასუფრე (11ჯიშში) და საღვინე (12 ჯიშში) ჯიშების ხუთ-ხუთ სამოდელო მცენარეზე ვატარებდით ფენოლოგიურ დაკვირვებებს მათი ზრდა-განვითარების ბიოლოგიური შესწავლის მიზნით.

ფენოლოგიური დაკვირვებებიდან ვსწავლობთ ისეთი ფაზების მიმდინარეობებს, როგორიცაა: ვაზის ყვავილობის დასაწყისი, მასიური ყვავილობა, ყვავილობის დასაწყისი (ცხრილი 2).

ცხრილი 2

ვაზის სხვადასხვა ჯიშების ყვავილობის ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობა (2024 წ)

ჯიშების დასახელება	ყვავილობის დასაწყისი	მასიური ყვავილობა	ყვავილობის დასასრული	ყვავილობის ხანგრძლივობა (დღე)
კარდინალი	26.05	01.06	07.06	12
კრიმსონ სიდლესი	29.05	05.06	10.06	12
დონ მარიანო	30.05	06.06	12.06	13
ალფონსო ლავალე	28.05	04.06	09.06	12
პრიმა	27.05	03.06	09.06	13
იტალია	28.05	02.06	08.06	11
დათიერი	29.05	04.06	10.06	12
ალედო	28.05	03.06	09.06	12
ქართული საადრეო	29.05	04.06	10.06	12

საბას პერლი (მარგალიტი)	24.05	29.05	03.06	10
სულთანინი	30.05	05.06	11.06	12
ჩხავერი	06.06	12.06	18.06	13
ოჯალეში	04.06	09.06	15.06	12
კრახუნა	02.06	07.06	12.06	11
ცოლიკაური	03.06	09.06	15.06	13
ციცქა	05.06	10.06	15.06	13
კლარჯული	02.06	07.06	13.06	11
ქაქუთურა	29.05	05.06	11.06	12
წულუკიძის თეთრა	03.06	08.06	13.06	11
უსახელოური	04.06	10.06	15.06	12
ალექსადროული	04.06	09.06	14.06	11
შავი მუსკატი	02.06	08.06	13.06	12
თეთრი მუსკატი	29.05	05.06	11.06	13



როგორც დაკვირვებებმა გვიჩვენა, ვაზის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშები ყვავილობის ფენოლოგიურ ფაზებს სხვადასხვა დროს გადიან, რაც მათი ინდივიდუალური და ბიოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული.

მეორე ცხრილიდან ჩანს, რომ ყვავილობას ყველაზე ადრე იწყებს ვაზის ისეთი ჯიშები, როგორცაა: საბას პერლი (მარგალიტი) -24.05, კარდინალი -26.05, პრიმა-27.05, იტალია-28.05 და ალედო 28.05, შემდეგ კი ქართული საადრეო -29.05, დათიერი-29.05, კრიმსონ სიდლესი-29.05, სულთანინი-30.05 და შესაბამისად ამთავრებენ 03.06; 07.06; 09.06; 10.06; 10.06; 10.06 და 11.06. ყვავილობის ხანგრძლივობა, ცალკეული ჯიშების მიხედვით შეადგენს 10 დან 13 დღემდე.

ყველაზე გვიან ყვავილობას იწყებს და ამთავრებს ჩხავერი (06.06-18.08), ციცქა(05.06-15.06)და უსახელოური (04.06-15.06). რაც შეეხება სხვა ჯიშებს, ყვავილობის ხანგრძლივობას შორის განსხვავება მეტად უმნიშვნელოა და შეადგენს 1-3 დღეს.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს გაშენებული ვაზის სხვადასხვა ჯიშის პლანტაციებში 2022 წლამდე არ გამოვლენილა ისეთი დაავადებები, როგორცაა სკა და ბაქტერიული კიბო, რომლებიც მეტად საშიშ და გადამდებ დაავადებებს წარმოადგენს.

ვაზის ჯიშ-უსახელოურზე არსებული ვირუსული დაავადების სკას შესწავლით დაინტერესდა ქობულეთის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები (ლ. ბერაძე, გ. მეფარიშვილი, მ. მურადაშვილი), რომლებიც საბოლოოდ მოამზადებენ სათანადო დასკვნებს და რეკომენდაციებს რადიკალური ღონისძიებების გასატარებად.

ვაზის სასუფრე ჯიშები (კრიმსონ სიდლესი, დონ მარიანო) 2023 წელს დაავადდა ბაქტერიული კიბოთი, რომელიც ასევე მეტად საშიშად გადამდებია.

ფიტოპათოლოგები გვიჩვენებენ, რომ დაავადებების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა ჩატარდეს ბრძოლის შემდეგი ღონისძიებები: ადრე გაზაფხულზე შტამი უნდა გაიწმინდოს ამომსკდარი ქერქისა და სიმსივნეებისაგან. ვაზი უნდა გაისხლას დაზიანებული ადგილის ქვემოთ, იქ სადაც სიმსივნეები შეიმჩნევა. ვენახში, საჭიროების შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს ნიადაგის დრენაჟი. კვირტების დაბერვამდე წამლობა 4% ბორდოს ნარევით, ხოლო შემდგომ 0,2% პოლირამისა და 0,02% სტრობის კომბინირებული ხსნარით.

ვაზისა და ხეხილის გვარა-ხუცუბნის სადემონსტრაციო-სანერგე მეურნაობაში, ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების ხუთ-ხუთ მცენარეზე ვატარებდით ფენოლოგიურ დაკვირვებებს და ბიოქიმიურ გამოკვლევებს, კერძოდ; ისწავლებოდა ყურძნის შეთვალვისა და სრულ სიმწიფეში შესვლის პერიოდი, აღრიცხული იქნა მოსავლის ცალკეული (დაკვირვების ქვეშ მყოფი) ძირებიდან და განისაზღვრა ტექნიკური და ბიოქიმიური მაჩვენებლები - ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, ასევე დაფიქსირებული იქნა ზოგიერთ ჯიშზე ყლორტის ზრდის დამთავრება (ცხრილი 3). როგორც №3 ცხრილიდან ჩანს, ვაზის ადგილობრივი ინტროდუცირებული (შემოტანილი) ჯიშები ყურძნის შეთვალვასა და სრულ სიმწიფეში შესვლას განსხვავებულ ვადებში იწყებენ, რაც ჯიშების ბიოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული.



საველე ცდებმა გვიჩვენა, რომ ყურძნის შეთვალვასა და სიმწიფეში შესვლას ყველაზე ადრე იწყებს ჯიში კარდინალი(ივლისის მე-3 დეკადა), პრიმა (აგვისტოს პირველი დეკადა) ალფონსო ლავალე (აგვისტოს მე-3 დეკადა), ქართული საადრეო, (აგვისტოს პირველი დეკადა) და საბას პერლი (აგვისტოს პირველი დეკადა), რომლებიც მიეკუთვნებიან საადრეო მომწიფების ჯიშების ჯგუფს.

საშუალო საადრეო ჯიშებიდან, სრულ სიმწიფეში შედის: იტალია (სექტემბრის პირველი დეკადა), სულთანინი (სექტემბრის პირველი დეკადა) ქაქუთურა (სექტემბრის პირველი დეკადა) და შავი მუსკატი (სექტემბრის პირველი დეკადა), შემდეგ კი დათიერი (სექტემბრის მე-2 დეკადა), ალედო (სექტემბრის მე-2 დეკადა), თეთრი მუსკატი (სექტემბრის მე-2 დეკადა) და წულუკიძის თეთრი (სექტემბრის მე-3 დეკადა).

ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების ფენოლოგიური ფაზები და მოსავლიანობა

ჯიშების დასახელება	ყურძნის შეთვალეობა	სრულ სიმწიფეში შესვლა	ყლორტების ზრდის დამთავრება	მოსავალი ერთ მიწზე, კგ	მოსავლიანობა 1 ჰექტარზე გადანაწილებით, ტ
კარდინალი	ივლისის 1-ლი დეკადა	ივლისის მე-3 დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	3,2	8,5
კრიმსონ სიდლესი	სექტემბრის 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	-	2,5	6,7
ალფონსო ლავალე	აგვისტოს 1-ლი დეკადა	აგვისტოს მე-3 დეკადა	-	3,0	8,0
პრიმა	ივლისის მე-2 დეკადა	აგვისტოს 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	3,8	10,1
იტალია	აგვისტოს მე-3 დეკადა	სექტემბრის 1-ლი დეკადა	-	4,0	10,7
დათიერი	აგვისტოს მე-3 დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	-	2,8	7,5
ალედო	აგვისტოს 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	-	2,9	7,7
ქართული საადრეო	ივლისის მე-2 დეკადა	აგვისტოს 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	3,4	9,1
საბას პერლი (მარგალიტი)	ივლისის მე-2 დეკადა	აგვისტოს 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	2,9	7,7
სულთანინი	აგვისტოს მე-3 დეკადა	სექტემბრის 1-ლი დეკადა	-	2,8	7,5
ჩხავერი	-	-	-	-	-
ოჯალეში	-	-	-	-	-
კრახუნა	სექტემბრის მე-2 დეკადა	-	-	-	-
ცოლიკაური	სექტემბრის მე-2 დეკადა	-	-	-	-
ციცქა	სექტემბრის მე-2 დეკადა	-	-	-	-
ლარჯული	სექტემბრის მე-3 დეკადა	-	-	-	-
ქაქუთურა	აგვისტოს მე-2 დეკადა	სექტემბრის 1-ლი დეკადა	-	2,6	6,9
წულუკიდის თეთრა	სექტემბრის 1-ლი დეკადა	სექტემბრის მე-3 დეკადა	-	3,1	8,3
უსახელოური	-	-	-	-	-
ალექსადროული	სექტემბრის მე-3 დეკადა	-	-	-	-
შავი მუსკატი	აგვისტოს მე-2 დეკადა	სექტემბრის 1-ლი დეკადა	-	3,0	8,0
თეთრი მუსკატი	აგვისტოს მე-3 დეკადა	სექტემბრის მე-2 დეკადა	-	2,7	7,2

აღნიშნული ჯიშები, ასევე სხვადასხვა დროს ამთავრებენ ყლორტების ზრდასა და განვითარებას. სექტემბრის თვეში ყლორტების ზრდა დაამთავრა მხოლოდ ოთხმა ჯიშმა (კარდინალი, პრიმა, ქართული საადრეო, საბა პერლი), დანარჩენი კი კვლავ აგრძელებს ზრდას.

რაც შეეხება ჯიშის მთავარ სამეურნეო ნიშანს-მოსავლიანობას, ამ მხრივაც მნიშვნელოვანი განსხვავება ვაზის საადრეო და საშუალო საადრეო ჯიშებს შორის მაღალი მოსავლიანობით გამოირჩევა ჯიში-იტალია (4კგ), პრიმა (3,8კგ) და შემდეგ კი კარდინალი (3,2კგ) და წულუკიძის თეთრა (3,8კგ).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წალს, სხვა წლებთან შედარებით, ნაკლები იყო მავნებელ-დაავადებათა მიერ მიყენებული ზარალი, რაც განაპირობა მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალურმა კლიმატურმა პირობებმა: ტემპერატურამ და ნალექებმა.

ცხრილი 4

ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხობრივი მაჩვენებლები

ჯიშების დასახელება	მტევნის სიგრძე სმ	მტევნის სიგანე სმ	მტევნის საშუალო წონა, გ	მარცვლის საშუალო წონა, გ	აქტიური მჟავიანობა pH	ტიტრული მჟავიანობა	შშრალი ნივთიერება %
კარდინალი	24	12,5	268	6,9	3,46	0,51	15,8
კრიმსონ სიდლესი	17,0	8,8	169	3,7	3,8	0,50	14,8
ალფონსო ლავალე	16,0	12,0	332	3,6	3,83	0,42	21,2
პრიმა	18,2	12,8	178	3,5	3,42	0,52	17,3
იტალია	19,0	12,6	369	6,7	3,83	0,65	15,9
დათიერი	21,8	10,5	220	3,9	3,60	0,50	21,6
ალედო	20,5	14,6	358	2,8	3,62	0,38	17,8
ქართული საადრეო	17,8	8,8	219	2,2	3,31	0,70	18,9
საბას პერლი (მარგალიტი)	13,0	8,0	150	2,4	3,30	0,62	19,6
სულთანინი	14,5	7,8	122	1,6	3,95	0,65	21,9
ქაქუთურა	15,6	9,2	146	2,2	3,02	0,63	18,8
წულუკიძის თეთრა	15,6	10,3	168	2,6	3,18	0,51	20,8
შავი მუსკატი	25,0	12,1	322	4,8	3,85	0,52	15,6
თეთრი მუსკატი	21,6	7,9	238	3,5	3,86	0,53	15,5

მეოთხე ცხრილში მოტანილია ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშების ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხობრივი მაჩვენებლები, სადაც ნათლად ჩანს განსხვავება ცალკეულ ჯიშებს შორის. მტევნის სიდიდით მკვეთრად გამოირჩევა ვაზის ჯიში - იტალია (369 გ), ალედო (358გ), ალფონსო ლავალე (332 გ) და შავი მუსკატი (322გ); შემდეგ კი კარდინალი (268გ), თეთრი მუსკატი (238 გ), დათიერი (229 გ) და ქართული საადრეო (219 გ). შედარებულ პატარა მტევნებს ივითარებს პრიმა(178გ), კრიმსონ სიდლესი (169გ), წულუკიძის თეთრა (168გ), საბას პერლი (150 გ), ქაქუთურა (146გ) და სულთანინი (122 გ).

ყველაზე უფრო მსხვილ მარცვალ ივითარებს კარდინალი(6,9გრ),იტალია (6,7გრ)და შავი მუსკატი (4,8 გ).

მშრალი ნივთიერების (შაქრები) შემცველობის მხრივ კი გამოირჩევა სულთანინი (21,9 %), დათიერი (21,5 %), ალფონსო ლავალე (21,2 %) და წულუკიდის თეთრა (20,8 %). ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვს კრიმსონ სიდლეს (14,8 %),თეთრ მუსკატს (15,5 %) და შავ მუსკატს (15,6 %).დანარჩენი ჯიშების ყურძნის მარცვალში კი ეს მაჩვენებელი მერყეობს 15,8 დან 19,6 %-მდე.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვაზის სასუფრე და საღვინე ჯიშები ფენოლოგიურ ფაზებს სხვადასხვა პერიოდში გადაიან, რაც განპირობებულია მათი ინდივიდუალური და ბიოლოგიური თავისებურებებით.

ვაზის ცალკეული ჯიშები ტირილს 21 თებერვლიდან 29 თებერვლამდე იწყებენ და ამთავრებენ 13 მარტიდან 26 მარტამდე, ხოლო კვირტების გაშლასა და ზრდას ყველაზე ადრე იწყებენ კარდინალი და პრიმა, ხოლო გვიან კი ჩხავერი და ოჯალეში.

ყვავილობის ფენოლოგიურ ფაზებს ვაზის ინტროდუცირებული და ადგილობრივი ჯიშები ასევე სხვადასხვა დროს გადაიან, რაც მათი ინდივიდუალური და ბიოლოგიური თავისებურებებითაა განპირობებული.

ყურძნის შეთვალეზასა და სიმწიფეში შესვლას ყველაზე ადრე იწყებენ კარდინალი, პრიმა, ალფონსო ლავალე, ქართული საადრეო და საბას პერლი, რომლებიც საადრეო ჯიშებს მიეკუთვნებიან.

ვაზის ჯიშების ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხობრივი მაჩვენებლები ასევე განსხვავდება ჯიშების მიხედვით. მტევნის სიდიდით გამოირჩევა იტალია, ალედო, ალფონსო ლავალე და შავი მუსკატი, ხოლო ყველაზე მსხვილ მარცვალს ივითარებენ კარდინალი, იტალია და შავი მუსკატი. მშრალი ნივთიერების შემცველობით კი გამოირჩევიან სულთანინი, დათიერი, ალფონსო ლავალე და წულუკიდის თეთრა.

გამოყენებული წყაროები

- ✓ რ. ჯაბნიძე, შ.ლამპარაძე-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტი „აგროსექტორის მდგრადი განვითარება“ ქვეპროგრამა „საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრაქტიკის დანერგვა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული. ბათუმი, 2020. გვ.50-62.
- ✓ რ. ჯაბნიძე-სუბტროპიკული კულტურები. ბათუმი,2019.667 გვ.
- ✓ ლ.ებრალიძე,შ.ლამპარაძე,ნ.ჯაბნიძე-მეხილეობა.ბათუმი, 2016 . 320 გვ.
- ✓ რ. კოპალიანი-სუბტროპიკული მემცენარეობა.ქუთაისი,2011.225 გვ
- ✓ მ. ნიჟარაძე-გულისებრი კაკლისა და ზიბოლდას ჯიშის კაკლის აგროტექნიკა. ბათუმი, 2009. 41 გვ.
- ✓ ბობოქაშვილი ზ., გარსია სალაზარი კ., & გომეს როდასი ა. ლურჯი მოცვი. გამომცემლობა.
- ✓ კირაკოსიანი, ვ. ვ. (1982). ვაზის ჯიშების შესწავლა და გამოყვანა. კოლოსი.
- ✓ მერჟანიანი, ს. ა. (1983). მევენახეობა. განათლება.
- ✓ ლოსევა, მ. ა. (1975). ვაზის სასუფრე ჯიშები. საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტი.
- ✓ ტაბიძე, დ. ა. (1960). საქართველოს ვაზის ჯიშები. საბჭოთა საქართველო.
- ✓ ჯავახიშვილი, ი. ვ. (1950). მევენახეობა საქართველოში. სახელგამი.
- ✓ შანიძე, ა. შ. (1965). ვაზის მოვლა-მოყვანა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

მექანიზაციის მიმართულება

შემსრულებლები: **ჯემალ კაციტაძე** - საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
რომან მარგალიტაძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი

თემა: „ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული ჰიდრომელიორაციული სამთაბარო აგრეგატის დამუშავება, თეორიული კვლევა და რეკომენდაციები.“

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ დამუშავდება სრულიად ახალი კონსტრუქციული შეთანაწყობის მქონე რესურსდამზოგი და ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული სამთაბარო აგრეგატი, რომელიც დაპატენტებულია „საქპატენტში“. მისი ძირითადი არსი მდებარეობს იმაში, რომ შეიცავს ჩარჩოს, ჩიზელურ დგარებს მათზე დამაგრებული ქუსლით, სატეხით და გუთნის ფრთებით. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ნიადაგის ძირითადი დამუშავება ჩიზელური გამაფხვიერებლის გამოყენებით მთლიანად ან მნიშვნელოვნად გამორიცხავს ფერდობებზე დამუშავებელი ნიადაგის ეროზიულ მოვლენებს, რაც ხელს უწყობს ფესვთა სისტემის უკეთ განვითარებას და მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას.

საანგარიშო პერიოდში ჩასატარებელი სამუშაო: **საკვლევი კომბინირებული ჰიდრომელიორაციული სამთაბარო აგრეგატის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.**

კვლევის მიზნები: ახალი კონსტრუქციის ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული სამთაბარო აგრეგატის შემუშავება და თეორიული კვლევა. აგრონომიული და ეკონომიკური ეფექტურობის დასაბუთება. რეკომენდაციების შემუშავება სოფლის მეურნეობაში ეფექტური გამოყენებისთვის.

ამოცანები: არსებული ტექნოლოგიების ანალიზი და ნაკლოვანებების გამოვლენა. ახალი აგრეგატის კონსტრუქციული სქემის შემუშავება და პატენტირება. მუშა ორგანოების თეორიული გაანგარიშება და ოპტიმალური პარამეტრების შერჩევა. ნიადაგის დამუშავების პროცესის მოდელირება და ანალიზი. ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება და დადგენა. აგროტექნიკური და ეკოლოგიური ეფექტურობის შეფასება.

საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდიკაში სიახლის ძირითად ელემენტებს წარმოადგენს: ეკონომიკური ეფექტურობის ახალი კრიტერიუმები, რომლებიც ძირითადად მოგების გაზრდაზე არის ორიენტირებული; აბსოლუტური და წმინდა მოგების განსაზღვრა და საექსპლუატაციო დანახარჯების გამოთვლის მეთოდების დაზუსტება, რომელშიც დამატებით შედის კრედიტის პროცენტი, გადასახადები და დაზღვევა.

ეკონომიკურ ეფექტურობას განსაზღვრავენ ახალი ტექნიკური საშუალების, შექმნის, სრულყოფისა და დანერგვის ყველა ეტაპზე: დაპროექტებისას, ექსპერიმენტული ნიმუშის შექმნისას, მისი შემოწმებისას და წარმოებაში დანერგვის პროცესში.

სამუშაოების (ეტაპების) სტადიისგან დამოკიდებულებით განსაზღვრავენ შემდეგი სახის ეკონომიკურ ეფექტს:

პროგნოზირებულს - ტექნიკო-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე;

საპროექტოს - საწყისი პირობების და ტექნიკური დავალების ფორმირების სტადიაში, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებისას;

გეგმიურს - ახალი ტექნიკის გამოცდის და გამოყენების ბიზნეს-გეგმის შედგენისას;

ფაქტიურს - ახალი ტექნიკის დანერგვის სტადიაში შედეგების შეფასების მიხედვით.

ტექნიკის ეკონომიკური ეფექტი უნდა დადგინდეს შემდეგი თანმიმდევრობით: პირველ რიგში ადგენენ ობიექტს ეკონომიკური შეფასებისათვის - ენერგეტიკულ საშუალებას, ტექნოლოგიურ მანქანას, მანქანათა სისტემას, და ა.შ. შემდგომ განსაზღვრავენ ჩასატარებელი ეკონომიკური ანგარიშის მიზანს და ამოცანებს. შემდგომ ირჩევენ ეკონომიკური ანალიზის სუბიექტს - მეურნეობრიობის რომელიმე ორგანიზაციულ ფორმას, ადგენენ შერჩეული სუბიექტის ეკონომიკურ მახასიათებლებს - მიწის სავარგულების საერთო ფართობს, ფართობს

ერთწლიანი კულტურების ქვეშ, მათ მოსავლიანობას და პროდუქტიულობას, მატერიალური რესურსების (სათესი მასალების, საკვების, სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა) ხარჯს, პროდუქციის სარეალიზაციო და შესასყიდ ფასებს; ადგენენ მანქანათა გამოყენების პირობებს - ნაკვეთების ფართობებს, კონფიგურაციას, დიხრილობას, ზღვის დონიდან სიმაღლეს, საქცევის სიგრძეს, ნაკვეთში ქვიანობის ხარისხს, ნიადაგის ხვედრით წინააღმდეგობას და ა.შ. ანგარიშობენ პროდუქციის თვითღირებულებას (საწარმოო დანახარჯებს პლიუს დანახარჯები სხვადასხვა სახის გადასახადებზე, კრედიტებზე და სხვა); განსაზღვრავენ ეკონომიკური ეფექტურობის მაჩვენებლებს ახალი და საბაზრო ვარიანტისათვის და მიღებული შედეგების მიხედვით ირჩევენ ყველაზე ეფექტურ ვარიანტს.

ტექნიკის კომპლექსური შეფასების ბოლო ეტაპს წარმოადგენს ეკონომიკური შეფასება. მას წინ უსწრებს ტექნიკური, ტექნოლოგიური, სოციალური, ერგონომიკული და ეკოლოგიური შეფასების ჩატარება. ახალი ტექნიკის ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება მათი

გავლენის მიხედვით წარმოების შედეგებზე, რომელიც უმთავრესად წარმოადგენს მოგების ნაზრდს კულტურების მოსავლიანობის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, სამუშაო ძალის დანახარჯების და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ხარჯზე.

ეკონომიკური შეფასებისას განსაზღვრავენ ტექნიკის აბსოლუტურ და შედარებით ეფექტურობას. აბსოლუტური ეფექტურობა გვიჩვენებს ახალი ტექნიკის გამოყენების მიზანშეწონილობას, ხოლო შედარებით - საშუალებას იძლევა განისაზღვროს ახალი ტექნიკის რომელი ვარიანტი არის ეფექტური საბაზისო ვარიანტთან შედარებით.

შედარებით ეკონომიკური ეფექტურობის შეფასებისას არჩევენ ძირითად და დამატებით მაჩვენებლებს. ტექნიკური საშუალებების და ტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტურობის ძირითად მაჩვენებლებს წარმოადგენს მოგებები: აბსოლუტური, საბალანსო, ან წმინდა, ფარდობითი - მოგების ნორმა, ე.ი. მიღებული მოგების შეფარდება პროდუქციის თვითღირებულებასთან (%).

შედარებითი ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრისას ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს საბალანსო მოგების ნაზრდი, ან პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების (თვითღირებულების) შემცირება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბოლოო შედეგის ეკონომიკური შეფასება (მოგების ნაზრდი, ან პროდუქციის თვითღირებულების შემცირება) საშუალებას იძლევა გამოვლინდეს და დაინერგოს ეფექტური მანქანათა სისტემები. ახალი მანქანების დანერგვა მიუხედავად მათი მაღალეფექტურობისა საბაზოსთან შედარებით არ ჩაითვლება მიზანშეწონილად, თუ მათი გამოყენება არ ზრდის მოგებას (არ მცირდება პროდუქციის თვითღირებულება).

ტექნიკის ეფექტურობის დამატებით მაჩვენებლებს განეკუთვნება: ღირებულებითი, შრომითი, მატერიალური, ენერგეტიკული, ხარისხობრივი და სხვა.

ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და ორგანიზაციული ღონისძიებების ეფექტურობას განსაზღვრავენ ეკონომიკური ეფექტის (წლიური, მანქანათა მუშაობის ვადის, ან ღონისძიებების ჩატარების პერიოდის) მიხედვით, რომელიც მიიღება საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოების მიერ.

ტექნოლოგიური მანქანის საექსპლუატაციო დანახარჯები წარმოადგენს მემცენარეობის პროდუქტების თვითღირებულების ერთ-ერთ მთავარ მდგენელს. საექსპლუატაციო დანახარჯები წელიწადში შესრულებული მექანიზებული სამუშაოების სახისა და მოცულობის მიხედვით ე.ი. წლიური დატვირთვის მიხედვით იყოფა მუდმივ და ცვლად დანახარჯებად. მუდმივ დანახარჯებს მიეკუთვნება დანახარჯები, რომლებიც არ არის დამოკიდებული მექანიზებული სამუშაოების მოცულობის შეცვლაზე (წლიურ დატვირთვაზე), მათ ეკუთვნის: საამორტიზაციო დანარიცხვები, დანახარჯები შენობის შენახვაზე, დაზღვევაზე, გადასახადებზე და სხვა. ხოლო ცვლად დანახარჯებს კი დანახარჯები, რომლებიც იცვლება სამუშაოს მოცულობის პირდაპირპროპორციულად (წლიური დატვირთვის მიხედვით), ასეთებია

დანახარჯები ტექნიკურ მომსახურებაზე და რემონტზე, სათბობზე და ენერგიაზე, დამხმარე მასალებზე და შრომის ანაზღაურებაზე, დანარიცხვები სოციალურ საჭიროებებზე და ა.შ. საექსპლუატაციო დანახარჯებს მექანიზებული სამუშაოს შესრულებაზე ანგარიშობენ მანქანა-ტრაქტორთა აგრეგატისათვის და მანქანათა სისტემისათვის. ამისათვის განსაზღვრავენ საწყის დანახარჯებს ყოველი მანქანის ექსპლუატაციაზე, რომელიც აგრეგატში შედის (ტრაქტორი,

გადაბმულა, ტექნოლოგიური მანქანა) და შემდგომ მათ აჯამებენ. შემდგომ დანახარჯების ანგარიშს ატარებენ მექანიზებული სამუშაოების ერთეულზე: მანქანა - სთ, ფიზიკური, ან ეტალონური ჰექტარი, აღებული მოსავალი - ტონა, დამზადებული ან გადაზიდული პროდუქცია, წარმოებული პროდუქციის ფიზიკური ერთეული.

სატრაქტორო აგრეგატების მუშაობისას ფულადი სახსრების ხვედრითი საექსპლუატაციო დანახარჯები გამოითვლება ფორმულით:

$$S_{\text{ხვედ.}} = S_{\text{ამ.}} + S_{\text{საწვ.საზ.}} + S_{\text{ან.}}$$

სადაც: $S_{\text{ამ.}}$, $S_{\text{საწვ.საზ.}}$ და $S_{\text{შრ.ან}}$ - არის ფულადი სახსრების საექსპლუატაციო დანახარჯები შესაბამისად აგრეგატის ამორტიზაციაზე, საწვავ-საზეთ მასალებზე და ოპერატორის შრომის ანაზღაურებაზე.

აგრეგატის ამორტიზაციაზე საექსპლუატაციო დანახარჯები $S_{\text{ამ.}}$ განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$S_{\text{ამ.}} = \frac{B_{\text{მ.}} a_{\text{მ.}}}{100 T_{\text{მ.}} W_{\text{მ.}}} + \frac{B_{\text{მ.მ.მ.}} a_{\text{მ.მ.მ.}}}{T_{\text{მ.მ.მ.}} W_{\text{მ.}} 100}$$

$a_{\text{მ.}}$ და $a_{\text{მ.მ.მ.}}$ - კოეფიციენტები, რომლებიც ითვალისწინებენ ტრაქტორის და მანქანის ცვეთაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე და რემონტზე წლიურ საამორტიზაციო დანარიცხებს მათი საბალანსო ღირებულებიდან, პროცენტებში;

$B_{\text{მ.}}$ $B_{\text{მ.მ.მ.}}$ - ტრაქტორის და მანქანის საბალანსო ღირებულება, ლარი;

$T_{\text{მ.}}$ და $T_{\text{მ.მ.მ.}}$ - ტრაქტორისა და მანქანის ნორმატიული წლიური დატვირთვა, ძრ.სთ;

$W_{\text{მ.}}$ - აგრეგატის საათური მწარმოებლობა, ჰა/სთ.

საწვავ-საზეთ მასალებზე დანახარჯები $S_{\text{საწვ.საზ.}}$ განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$S_{\text{საწვ.საზ.}} = \frac{N_e g_e K_{\text{ძრ}} C_{\text{საწ.}}}{W_{\text{სთ}}}$$

სადაც: N_e - არის ძრავის ნომინალური ეფექტური სიმძლავრე, კვტ; g_e - საწვავის ხარჯის ინდიკატორული ნორმა გრ/კვტსთ;

$K_{\text{ძრ}}$ - ძრავის დატვირთვის ხარისხი;

$C_{\text{საწ.}}$ - საწვავის კომპლექსური საბაზრო ღირებულება, ლარი

დანახარჯები ოპერატორის შრომის ანაზღაურებაზე $S_{\text{შრ.ან}}$ განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$S_{\text{შრ.ან.ზ.}} = \frac{f_{\text{მექ}} k_{\text{სირ}} k_{\text{დამ}} n}{W_{\text{სთ}}}$$

სადაც: $f_{\text{მექ}}$ - არის მექანიზატორის სახელშეკრულებო სატარიფო განაკვეთი, ლარი/სთ;

$k_{\text{სირ}}$ - სამუშაოს სირთულის კოეფიციენტი;

$k_{\text{დამ}}$ - მუშების დამატებითი ანაზღაურების ზომა (პრემიის სახით დამატებულ პერიოდში შესრულებული სამუშაოს მიხედვით), %.

n - მომსახურე პერსონალის რაოდენობა.

ტექნიკის დაზღვევაზე საერთო დანახარჯები წლის განმავლობაში იანგარიშება ფორმულით:

$$C_{\text{დაზღ.}} = \frac{B h_{\text{დაზღ.}}}{100}$$

სადაც: B - არის ტექნიკის საბალანსო ღირებულება, ლარი;

$h_{\text{დაზღ.}}$ - დაზღვევის ნორმა წელიწადში, %.

ხვედრითი მოგება განისაზღვრება ფორმულით:

$$P_{\text{ხვ}} = S_{\text{საბ}} - S_{\text{კომბ}}$$

სადაც: $S_{\text{საბ}}$ - არის საბაზო მანქანების ერთობლივი მუშაობისას ფულადი სახსრების ხვედრითი დანახარჯები ნიადაგის დამუშავებაზე ლარი/ჰა;

$S_{\text{კომბ}}$ - ფულადი სახსრების ხვედრითი დანახარჯები კომბინირებული მანქანით ნიადაგის დამუშავებაზე ლარი/ჰა.

მოგების ნორმა განისაზღვრება ფორმულით:

$$H = \frac{P}{S} 100$$

მიღებული სიდიდის მნიშვნელობა არ უნდა იყოს კაპიტალდაბანდების ეფექტურობის კოეფიციენტზე დაბალი, რომელსაც ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, სადაც ასახულია დაწესებული საპროცენტო განაკვეთი. მოგება და შესაბამისად დანახარჯები (კაპიტალ დაბანდება და საბრუნავი საშუალებები) განისაზღვრება როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობისათვის, ასევე ცალკეული დარგებისათვის,

წმინდა მოგება წარმოადგენს აბსოლუტური მოგების ნაწილს, რომელსაც აკლდება სხვადასხვა საბიუჯეტო გადასახადები და რომლებიც არ შედის პროდუქციის თვითღირებულებაში:

$$P_{\text{წმ}} = P_{\text{აბს}} - (C_{\text{დაზ}} + C_{\text{დამ}})$$

სადაც: $C_{\text{დამ}}$ - არის სხვადასხვა სახის არასაწარმოო საბიუჯეტო გადასახადების ჯამი, ტექნიკის დაზღვევისა და სოციალური საჭიროების გადასახადის გარდა.

ახალი ტექნიკის დაწერვის შედეგად მიღებული დამატებითი კაპიტალდაბანდების ამოგების ვადა:

$$T_0 = \frac{\Delta K_0}{\Delta P_{\text{საერთ}}}$$

სადაც: ΔK_0 - არის დამატებითი კაპიტალდაბანდება, ლარი;

$\Delta P_{\text{საერთ}}$ - წლიური საერთო მოგების ნაზრდი, რომელიც მიღებულია ახალი ტექნიკის გამოყენების შედეგად, ლარი/წელი.

ეკონომიკური შეფასების საინფორმაციო ბაზა

ახალი ტექნოლოგიური მანქანის შექმნისას ექსპერიმენტული მანქანა უნდა შედარდეს საუკეთესო არსებულ სამამულო და უცხოურ მოდელებს; ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრისას მათ მაჩვენებლებს ადარებენ მისი დაპროექტებისას მიღებულ ტექნიკურ დავალებაში არსებულ მაჩვენებლებს.

ტექნიკის შემფასებელი ძირითადი ტექნიკო-ეკონომიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები შემდეგია: მწარმოებლურობის, საწვავის და საზეთი მასალების ხარჯის, საიმედოობის და ა.შ. ნორმატიული ბაზა.

დანახარჯების ღირებულებითი შეფასებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას მსოფლიო ბაზრის, პროგნოზირებული და საანგარიშო ფასები, რომელიც მოქმედებს ქვეყანაში განსაზღვრული დროის განმავლობაში. ისინი ითვლება, როგორც მუდმივები ნებისმიერი პროდუქციისათვის ან რესურსისათვის მთელ საანგარიშო პერიოდში.

ტექნიკის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის შემდგომ განსაზღვრავენ ფასების ზღვრულ დონეს, რომლისთვისაც სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შეუძლია ეკონომიკური ეფექტის მიღება. ამისათვის ატარებენ ეკონომიკური ეფექტურობის ანგარიშის რამოდენიმე ვარიანტს სხვადასხვა ფასებისათვის.

მაჩვენებელი - "მაქსიმალური მოგება" წარმოადგენს ძირითად კრიტერიუმს საუკეთესო ვარიანტის შესარჩევად.

ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრისათვის ძირითადი ინფორმაცია მოცემულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა- მოყვანის ტექნოლოგიურ რუკებში.

სპეციალიზებული მანქანების ეკონომიკური შეფასებისას, თუ არ შეინიშნება მოსავლიანობის და პროდუქციის ხარისხის ზრდა, ეკონომიკურ ეფექტურობას ანგარიშობენ საექსპლუატაციო დანახარჯების შემცირების მიხედვით.

მემცენარეობაში ტექნიკის ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრისას როგორც წესი, საანგარიშო პერიოდად მიღებულია წელიწადი, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მოგება განისაზღვრება პროდუქციის წარმოების გეგმიური თვითღირებულების, მემცენარეობის სასაქონლო პროდუქციის მოცულობების ღირებულებების და მათი რეალიზაციის ფასების საფუძველზე.

ეკონომიკური ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების განსაზღვრა

მოცემული მეთოდიკით გაანგარიშებული იქნა კომბინირებული ნიადაგდამამუშავებელი მანქანის ძირითადი საექსპლუატაციო და ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც მოცემულია ცხრილი 1.-ში

ცხრილი 1

ნიადაგდამამუშავებელი კომბინირებული მანქანის ძირითადი საექსპლუატაციო და ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლები

#	მანქანის საექსპლუატაციო და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დასახელება	ნიადაგდამამუშავებელი კომბინირებული მანქანის მაჩვენებლები
1	საათური მწარმოებლურობა, ჰა/სთ	0,7
2	საწვავის ხვედრითი ხარჯი, კგ/ჰა	36,2
3	შრომის ხვედრითი ხარჯი, კაც.სთ/ჰა	2,3
4	ტრაქტორის ღირებულება, ლარი	65000
5	მანქანების ღირებულება, ლარი	3450
6	სამორტიზაციოდანახარჯები, ლ/ჰა	11,2
7	ხარჯები შრომის ანაზღაურებაზე, ლ/ჰა	7,0
8	დანახარჯები საწვავ-საზეთ მასალებზე, ლ/ჰა	44,4
9	ხვედრითი საექსპლუატაციო დანახარჯები, ლ/ჰა	62,6
10	ხვედრითი საწარმოო დანახარჯები, ლ/ჰა	62,6

არსებული (ტრადიციული) ტექნოლოგიით ნიადაგის ძირითადი დამუშავების შემდეგ ტარდება ხნულის ფარცხვა და კულტივაცია, რათა ნიადაგი მომზადდეს დასათესად, ხოლო ჩვენს მიერ დამუშავებული ტექნოლოგიით ორი ოპერაცია იცვლება ნიადაგის ღრმად გაფხვიერებით, რაც უზრუნველყოფს ნიადაგის სრულფასოვან მომზადებას თესვისათვის, ამიტომ დამუშავებული მანქანის ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისას საბაზო ვარიანტს წარმოადგენს ფარცხვა და კულტივაცია.

მოცემული მეთოდიკით გაანგარიშებული იქნა ფულადი სახსრების ხვედრითი საწარმოო დანახარჯები არსებული ტექნოლოგიით ნიადაგის ღრმად გაფხვიერებისას, რომელმაც შესაბამისად შეადგინა:

$$\text{ღრმად გაფხ.} = 42,4 \text{ ლ/ჰა}$$

ფულადი სახსრების ხვედრითი საექსპლუატაციო დანახარჯები ნიადაგის დაფარცხვასა და კულტივაციაზე შეადგენს:

$$\text{Sფარცხ.} = 19,3 \text{ ლ/ჰა, } \text{Sკულტ.} = 27,6 \text{ ლ/ჰა}$$

გაანგარიშებული იქნა ნიადაგდამამუშავებელი კომბინირებული აგრეგატის ხვედრითი საექსპლუატაციო დანახარჯები, რომელიც ტოლია:

$$\text{Sკომბ} = 62,6 \text{ ლარი/ჰა}$$

ექსპერიმენტული მანქანის დანერგვით მიღებული ეკონომიკური ეფექტი 1 ჰა-ზე ტოლია:

$$P_{\text{ექსპ}} = (\text{წლრმად გაფხ.} + \text{წფარცხ} + \text{წკულტ} - \text{წკომბ}) = 26,7 \text{ ლარი/ჰა}$$

წიადაგდამამუშავებელი კომბინირებული აგრეგატით წიადაგის დამუშავების შედეგად სიმინდისათვის მოსავლიანობა გაიზარდა 11%-ით (ჩვენს შემთხვევაში ანგარიში ჩატარებულია სიმინდის კულტურისათვის) და შეადგინა:

$$U_{\text{ახ}} = U_{\text{საბ}} + U = 2,34 + 0,25 = 2,59 \text{ ტ/ჰა}$$

აქედან გამომდინარე მოსავლიანობის ზრდით მიღებულმა მოგებამ სიმინდის კულტურისათვის შეადგინა 86 ლ/ჰა.

ახალი ტექნოლოგიური მანქანის გამოყენების შემთხვევაში სიმინდის კულტურისათვის ხვედრითი მოგების ნაზრდი შეადგენს:

$$P_{\text{სიმ}} = 86 + 26,7 = 112,7 \text{ ლ/ჰა}$$

სიმინდის მოყვანისათვის საჭირო ხვედრითი საწარმოო დანახარჯები შემცირდა და ის შესაბამისად შეადგენს:

$$C_{\text{ახ(სიმ)}} = 920 - 26,7 = 893,3 \text{ ლ/ჰა}$$

განისაზღვრა ტექნიკის დაზღვევაზე საერთო დანახარჯები წლის განმავლობაში, რომელ-მაც შეადგინა:

$$C_{\text{დაზღ}} = \frac{3450 \times 4}{100} \text{ ლარი}$$

სახელფასო და საპენსიო ფონდის, ასევე სხვა დამატებითი გადასახადების ჯამი ამჟამად შეადგენს დაახლოებით მოგების 12%-ს.

წლიური მოგება დაზღვევის და დამატებითი გადასახადების გათვალისწინების გარეშე შეადგენს:

$$P_{\text{წლ}} = \Delta P_{\text{სიმ}} T_{\text{სიმ}} W_{\text{წლ}} = 112 \cdot 100 \cdot 0,7 = 7840 \text{ ლარი}$$

$$C_{\text{დაბ}} = 7840 \cdot 0,12 = 6761 \text{ ლარი}$$

ექსპერიმენტული მანქანის დანერგვის შედეგად მიღებული დამატებითი კაპიტალდაბანდების ამოგების ვადა შესაბამისად ტოლია:

$$T = \frac{3450}{6761} = 0,51$$

საბაზო და დამუშავებული მანქანების ეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილი 2 -ში.

ცხრილი 2.

საბაზო და დამუშავებული მანქანების ეკონომიკური მაჩვენებლები

#	მაჩვენებლების დასახელება	მნიშვნელობა საბაზო მანქანისთვის	მნიშვნელობა დამუშავებული მანქანისთვის	განსხვავება
1	ხვედრითი საექსპლუატაციო დანახარჯები, ლ/ჰა	89,3	62,6	-26,7
2	ხვედრითი საწარმოო დანახარჯები, ლ/ჰა	89,3	62,6	-26,7
3	აბსოლუტური მოგება, ლარი	5670	7840	+2170
4	არასაწარმოო გადასახადების ჯამი, ლ/წ	1265	1079	-186
5	წმინდა მოგება, ლ/წ	2354	6761	+4407
6	კაპიტალდაბანდების ამოგების ვადა, წ	1,72	0,51	-1,21

ნიადაგი მომზადდეს დასათესად, ხოლო ჩვენს მიერ დამუშავებული ტექნოლოგიით ორი ოპერაცია იცვლება ნიადაგის ღრმად გაფხვიერებით, რაც უზრუნველყოფს ნიადაგის სრულფასოვან მომზადებას თესვისათვის, ამიტომ დამუშავებული მანქანის ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისას საბაზო ვარიანტს წარმოადგენს ფარცხვა და კულტივაცია.

$$S_{საწესაზ} = \frac{Ne \cdot ge \cdot C_{ძრ}}{W_{სთ}}$$

სადაც: Ne - არის ძრავის ნომინალური ეფექტური სიმძლავრე, კვტ;
 ge - საწვავის ხარჯის ინდიკატორული ნორმა გრ/კვტსთ;
 C_{ძრ} - ძრავის დატვირთვის ხარისხი;
 C_{საწ} - საწვავის კომპლექსური საბაზრო ღირებულება, ლარი.

დანახარჯები ოპერატორის შრომის ანაზღაურებაზე $S_{შრ,ან}$ განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$S_{შრ,ანაზ} = \frac{f_{მეე} K_{დამ} K_{სირთ} n}{W_{სთ}}$$

სადაც: $f_{მეე}$ - არის მექანიზატორის სახელშეკრულებო სატარიფო განაკვეთი, ლარი/სთ;
 K_{სირთ} - სამუშაოს სირთულის კოეფიციენტი;
 K_{დამ} - მუშების დამატებითი ანაზღაურების ზომა (პრემიის სახით დამატებულ პერიოდში შესრულებული სამუშაოს მიხედვით), %.
 n - მომსახურე პერსონალის რაოდენობა.
 ტექნიკის დაზღვევაზე საერთო დანახარჯები წლის განმავლობაში იანგარიშება ფორმულით

$$C_{დაზღ} = \frac{B \cdot h_{დაზღ}}{100}$$

სადაც: B - არის ტექნიკის საბალანსო ღირებულება, ლარი;
 h_{დაზღ} - დაზღვევის ნორმა წელიწადში, %.

ხვედრითი მოგება განისაზღვრება ფორმულით:

$$P_{ხვ} = S_{საბ} - S_{კომბ}$$

სადაც: S_{საბ} - არის საბაზო მანქანების ერთობლივი მუშაობისას ფულადი სახსრების ხვედრითი დანახარჯები ნიადაგის დამუშავებაზე ლარი/ჰა;

S_{კომბ} - ფულადი სახსრების ხვედრითი დანახარჯები კომბინირებული მანქანით ნიადაგის დამუშავებაზე ლარი/ჰა.

მოგების ნორმა განისაზღვრება ფორმულით:

$$H = \frac{P}{S} 100$$

მიღებული სიდიდის მნიშვნელობა არ უნდა იყოს კაპიტალდაბანდების ეფექტურობის კოეფიციენტზე დაბალი, რომელსაც ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, სადაც ასახულია დაწესებული საპროცენტო განაკვეთი. მოგება და შესაბამისად დანახარჯები (კაპიტალდაბანდება და საბრუნავი საშუალებები) განისაზღვრება როგორც საერთოდ სოფლის მეურნეობისათვის, ასევე ცალკეული დარგებისათვის, რეგიონებისათვის და ცალკეული მეურნეობებისათვის ახალ ტექნიკაზე მოთხოვნების მოცულობის გათვალისწინებით.

წმინდა მოგება წარმოადგენს აბსოლუტური მოგების ნაწილს, რომელსაც აკლდება სხვადასხვა საბიუჯეტო გადასახადები და რომლებიც არ შედის პროდუქციის თვითღირებულებაში:

$$P_{წმ} = P_{აბს} - (C_{დაზ} + C_{დამ})$$

სადაც: $C_{დამ}$ - არის სხვადასხვა სახის არასაწარმოო საბიუჯეტო გადასახადების ჯამი, ტექნიკის დაზღვევისა და სოციალური საჭიროების გადასახადის გარდა. ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მიღებული დამატებითი კაპიტალდაბანდების ამოგების ვადა

$$T_0 = \frac{\Delta K_0}{\Delta P_{საერ}}$$

სადაც: ΔK_0 - არის დამატებითი კაპიტალდაბანდება, ლარი;
 $\Delta P_{საერ}$ - წლიური საერთო მოგების ნაზრდი, რომელიც მიღებულია ახალი ტექნიკის გამოყენების შედეგად, ლარი/წელი.

საანგარიშო პერიოდში ჩასატარებელი სამუშაოები: გეგმის მიხედვით ჩატარდა გუთნების კონსტრუქციული მიმოხილვა, შემუშავდა მუშა ორგანოების კვლევის მეთოდოლოგია და ჩატარდა მუშა ორგანოების თეორიული გაანგარიშება.

ნიადაგის მექანიკური დამუშავება წარმოადგენს მიწათმოქმედების უმთავრეს ტექნოლოგიურ პროცესს და ემსახურება ნიადაგის ფხვიერი ფენების შექმნას, სასუქების შეტანასთან ერთად, ასევე სარეველების მოსპობის და ნიადაგში ჩაკეთებისათვის.

ნიადაგის მექანიკური დამუშავების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ხვნა., კვლევებმა დაადასტურეს, რომ აგრონომიული და ეკონომიკური თვალსაზრისით უმჯობესია ნიადაგი დამუშავებული იქნას კომბინირებულად, ფრთიანი და როტაციული აგრეგატების მეშვეობით, განსაკუთრებით მძიმე და შეკრულ ნიადაგებში

ამასთან აქტიური სამუშაო ორგანოებიანი გუთნების ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სარეველების ძირვესვიან ჩაკეთებას ნიადაგში, ბელტის სრულყოფილ დაქუცმაცებას ტენიან და მზიმე ნიადაგებში, ბელტის ხარსხიან გადაბრუნებას ქვედა ტენიანი ფენების გამოტანის გარეშე ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი.

ცნობილია, რომ ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს ჩვეულებრივი სახნისიანი გუთნით წარმოიქმნება დამუშავებული ნიადაგის ძირის მკვრივი ფენა, რომელიც ვერ ატარებს წყალს და იწვევს წყლიანი ეროზიის განვითარებას, რის გამოც საგრძნობლად მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ნიადაგის გაფხვიერების ხარისხი.

ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ნიადაგის ძირითადი დამუშავება ჩიზელური გამაფხვიერებლის გამოყენებით მთლიანად ან მნიშვნელოვნად გამორიცხავს ფერდობებზე დამუშავებელი ნიადაგის ეროზიულ მოვლენებს. ჩიზელის სატეხის ზედაპირზე შექმნილი მაღალი წნევის შედეგად, მთლიანად ინგრევა ნიადაგის ძირის მკვრივი ფენა და წარმოიქმნება თხემიანი ზედაპირი, რომელიც საშუალებას იძლევა მეტ სიღრმეზე გავრცელდეს და შენარჩუნდეს ნიადაგის სინესტე, რაც ხელს უწყობს ფესვთა სისტემის უკეთ განვითარებას და მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას. მიღებული შედეგებით დადგენილია, რომ აღნიშნული მეთოდით ნიადაგის დამუშავების დროს მარტო სიმინდის მოსავლიანობა 35%-ით მაღალია ვიდრე ჩვეულებრივი სახნისიანი გუთნით დამუშავების დროს. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ნიადაგის გლუვად დამამუშავებელი გუთნის მწარმოებლობა 23-43%-ით მეტია ვიდრე ნაზურგ-ნადართ დამამუშავებელი გუთნების, საწვავის ხარჯი 28-39%-ით ნაკლები, ხოლო დამამუშავებული ფართობების მოცულობა 7...8 %-ით მეტი .

ჩიზელური ტიპის სახნავი აგრეგატი


საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რადგან აჭარის და მთლიანად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი განლაგებულია მცირეკონტურიან და დახრილი რელიეფის მქონე ფართობებზე, რაც უკვე თავისთავად განაპირობებს მათში ჩიზელური ტიპის გუთნის გამოყენების მიზანშეწონილობას.



სურ.1 ჩიხელური ტიპის სახნავი აგრეგატი მუშაობის დროს

გუთანი. კორპუსების კონსტრუქციების მიხედ-ვით გუთნები იყოფა წინმხვნელიან, დისკურ, როტა-ციულ და კომბინირებულ გუთნებად, ყველაზე მე-ტად გავრცელებულია წინმხვნელიანი გუთნები. დისკური გუთნები გამოიყენებიან მძიმე ნიადაგებში სამუშაოებისათვის. წინმხვნელიანი გუთნები იყოფი-ან საერთო დანიშნულების და სპეციალურ გითნებად. პირველი გაოიყენება ნიადაგის ძირითადი დამუშავე-ბისათვის, ხოლო სპეციალურებს მიეკუთვნება ბუჩ-ქნარ-ჭაობიანი ნაკვეთების დასამუშავებლი, საპლან-ტაჟო, ბალის, ვენახის, სატყეო და სხვა გუთნები.

აგრეგატირების მიხედვით გუთნები იყოფიან: საკიდ, ნახევრადსაკიდ და მისაბმელ გუთნებად. გუთნის ძირითად სამუშაო ორგანოებს წარმოადგენს კორპუსი, წინმხვნელი და საკვეთელი. გუთნის დამხმარე ორგანოებია: ჩარჩო მისაბმელი ან საკიდი მოწყობილობით, საყრდენი თვლები, მექანიზმი კორპუსის დაღრმავებისა და ამოღრმავებისათვის. (ნახ.1)




ნახ 1 გუთნის სამუშაო ორგანოები

- 1-დისკური დანა; 2-წინმხვნელი; 3-სახნისი; 4-ველის ფიცარი; 5- ნიადაგდამაღრმავებელი; 6-ფრთა; 7-დგარი; 8-კორპუსის დგარი; 9- გუთნის ჩარჩო

კორპუსი. წარმოადგენს გუთნის ძირითად სამუშაო ორგანოს. ხვნის ხარისხი ძირითადად დამოკიდებულია გუთნის კორპუსის სამუშაო ზერაპირზე, რომელსაც ქმნის სახნისი და ფრთა, იგი შედგება სახნისისაგან, ფრთისაგან, ველის ფიცრისაგან და ველის ფიცრის ქუსლისაგან. მუშაობის პროცესში სახნისი ბეჯტს ჭრის ქვემოდან, ასწევს მას და მიმართავს ფრთაზე.

სხვადასხვა დანიშნულების გუთნებში ყველაზე მეტად გავრცელება ჰპოვეს ოთხი ტიპის სამუშაო ზედაპირებმა: ცილინდრულმა, კულტურულმა, ნახევრადხრახნულმა და ხრახნულმა (ნახ. 4)




ნახ. 4. გუთნის ოთხი ტიპის სამუშაო ზედაპირები

ამოჭრილი ფრთას ჩვეულებრივიდან განსხვავებით აქვს ამონაჭარი ერთ დეტალად შესრულებული, სხვადასხვა სამუშაო ზედაპირის მქონე გუთნის ფრთების გარდა მზადდება ისეთი ფრთებიც, რომელთა კონსტრუქციები შედგება მრავალი დეტალებისაგან. ასეთი რთული კონსტრუქციის ფრთების შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზების გამო: ბელტის მეტად დაქუცმაცება, ენერჯის დანახარჯების შემცირება, სამუშაო ზედაპირზე მიწის მიწებების შემცირება, ხვნი ერთდროულად ორ ფენაზე, როცა ხდება ერთი ფენის გადაბრუნება, მეორის კი მხოლოდ გაფხვიერება და სხვა.

არსებობს გუთნის ფრთების შემდეგი ტიპები. ამოჭრილი, რეგულირებადი კვალის ჩამოჭრის მიხედვით, ცვალებადი ველის ჩამოჭრის მიხედვით, საცვლელი ფრთის მკერდის მიხედვით, დისკური და გორგოლაჭებიანი.


ამოჭრილი ჩვეულებრივიდან განსხვავებით აქვს ამონაჭერი 3 და ორი სახნისი, ერთი ძირითადი 2 და მეორე ზედა 4 სახნისი. ამონაჭერის განი რეგულირდება საცვლელი ზედა სახნისის მეშვეობით (ნახ. 5 ა).



ნახ. 5. გუთნის საცვლელი ზედა სახნისი

ველის ფიცარი. გუთნის ტანის მომსახურე ნაწილებს ეკუთვნის ველის ფიცარი და დგარი. ველის ფიცრით ტანი ეყრდნობა კვლის ძირს და კედელს. ხვნის დროს ველის ფიცარი საშუალებას არ აძლევს გვერდით ძალებს ტანი გადაადგილოს მოუხვნელი მინდვრისაკენ და ინარჩუნებს ტანის მდგრადობას. ეყრდნობა ბელტის კედელს და აწონასწორებს ნიადაგის წინაღობის ძალის ჰორიზონტალურ მდგენელებს.

მრავალკორპუსიან გუთნებში ველის ფიცრები შეიძლება იყვნენ ერთნაირი ან სხვადასხვა სიგრძის. მაგალითად, წინა კორპუსებზე აყენებენ მოკლე ფიცრებს, ხოლო უკანებზე გრძელებს (ნახ. 6)




ნახ. 6. გუთნის ველის ფიცრები

გუთნის დგარი. გუთნის დგარები წარმოადგენენ სხმულოვან, შტამპურ ან შტამპურშენადულ დეტალებს, რომლებსაც ქვედა ნაწილში განთავსებულია მასზე დასამაგრებელი ფრთისა და სახნისის ფორმის უნაგირი. დგარები არსებობენ მაღალი, დაბალი და კომბინირებული (ნახ. 7).

უმეტეს შემთხვევაში სატრაქტორო გუთნებში გამოყენებულია მაღალი დგარები, დაბალი დგარები კი სპეციალურ დანიშნულების გუთნებში, რომლებსაც გააჩნიათ კაკვური ჩარჩო, ხოლო კომბინირებულს იყენებენ ჯაგნარჭაობის დასამუშავებლად განკუთვნილ გუთნებზე.

წინმხვნელი. წინმხვნელები, რომლებიც დაყენებული არიან გუთნის ცალკეული ტანების წინ ემსახურება ნიადაგის ზედა ფენის მოჭრას 8-12 სმ-ის სიღრმეზე და მის გადაყრას გადაბრუნებულ მდგომარეობაში კვლის ძირზე. წინმხვნელის უკან მიმყოლი ძირითადი ტანი ჭრის ბელტის დარჩენილ ნაწილს და ამით ფარავს კვლის ძირზე წინმხვნელის მიერ ჩაყრილ ნიადაგის ფენას. წინმხვნელის მოდების განი უმეტესად შეადგენს ძირითადი ტანის მოდების განის 2/3 და ჩარჩოზე ყენდება ძირითადი ტანიდან 0,5-1,5 სმ შიგნით მოუხნავი მინდვრისკენ. ძირითადი ტანისაგან წინმხვნელი განსხვავდება ძირითადი ზომებით, სამუშაო ზედაპირის ფორმით და ველის ფიცრის უქონლობით. წინმხვნელის ერთერთ ფორმას წარმოადგენს კუთხემხსნელი, რომელსაც იყენებენ ქვიანი ზედაფენის ხნულის სკერზე მოსახსნელად და ყენდება სხვადსხვა კუთხით (ნახ. 7).



ნახ. 7. კუთხემხსნელი


დანები და ნიადაგდამალრმავებელი. დანები, რომლებიც დაყენებულია გუთნის ტანის წინ, ხნულის კედლების სისწორისა და სისუფთავისთვის, ჭრის მიწას ვერტიკალურ სიბრტყეში. წინააღმდეგ შემთხვევაში გუთნის და ტრაქტორის გავლის დროს ადგილი ექნება ნიადაგის ჩამოშლას, რაც ცუდ გავლენას იქონიებს მექანიზატორის ორიენტაციაზე, ამიტომ თითქმის ყველა გუთნის ბოლო კორპუსის წინ აყენებენ დანებს.

გუთნებზე, რომლებიც მუშაობენ ყამირ და მძიმე ნიადაგებში დანებს აყენებენ გუთნის ყველა კორპუსის წინ.

სატრაქტორო გუთნებში გამოიყენებიან სამი ტიპის დანები: დისკური, სწორი და ბრტყელი საყრდენი ციგებით (ნახ.8).

დისკური დანები (ნახ. 8ა) წარმოადგენენ ფოლადის 4 მმ სისქისა და 390 მმ დიამეტრის ორმხვრივ ალესილ დისკს და გამოიყენებიან ძირითადად საერთო დანიშნულების სატრაქტორო

გუთნებში, ასევე სხვა ისეთ ნიადაგებში სადაც არ არის დიდი ზომის ქვები და სხვა შესამჩნევი წინაღობები.



ნახ. 8. გუთნის დანები

სწორი დანების (ნახ. 9ბ) რომელთა მჭრელი ნაწილის 6 სისქე არის არა უმეტეს 0,5 მმ და ალესვის კუთხე 10 გამოიყენებიან უმთავრესად ტყის და ბუჩქნარჭაობის გუთნებზე. სწორი დანები მიუხედავად კონსტრუქციული სიმარტივისა მუშაობის დროს ჩამოუვარდებიან დისკურ დანებს და ამიტომ მათ იყენებენ სპეციალური დანიშნულების გუთნებში.

ბრტყელი დანები და საყრდენი ციგით (ნახ. 8.ვ) გამოიყენებიან მხოლოდ ბუჩქნარ ჭაობის გუთნებზე.

კომბინირებული გუთნების როტორების კონსტრუქციული ანალიზზე ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ როტორზე მიწოდებული ბელტის მინიმალური მნიშვნელობის დროს დანების რიცხვი როტორზე უნდა იყოს ოთხი და ზედა დანებს უნდა ქონდეს ამობურცული პარაბოლას ფორმა, ხოლო ქვედებს დანებს რომლებიც არ აღემატება როტორის ერთ მესამედ ნაწილს - ჰიპერბოლას.

დანების ასეთი კონსტრუქცია საშუალებას იძლევა მიღებული იქნას ნიადაგის სწორი ზედაპირი ორმოების და ბელტების გარეშე ერთდროულად მოჭრილი სარეველების ნიადაგში ჩაკეთებით.

ასეთი კონსტრუქციის როტორის პარამეტრების გაანგარიშებისთვის მიღებულია მათემატიკური დამოკიდებულება.


$$\begin{cases} R = \frac{9h_2 pa - 2r}{4(a^2 + B^2 + bh - s)^2} + r, \\ R_2 = \frac{(a - 3r)(3 + a^2 - B^2 + bh - s)}{3h_2} + r, \end{cases}$$

სადაც h - როტორის პარაბოლური ნაწილის სიმაღლე, მ;

a - ხვნის სიღმე, მ;

B - კორპუსის მოდების განი, მ;


r - როტორის მინიმალური რადიუსი, მ;



ნახ. 9 როტორის პარამეტრების საანგარიშო სქემა

Oh როტორის ზედა მხარის სიმაღლე, მ;
 s - როტორის ბელტთან დაშორების სიმაღლე, მ.

განტოლებების ამოხსნის შედეგად მიღებულია შემდეგი რადიუსები: $R=015, 0,20$ და $R=010, 0,15$
 დამოკიდებულება გუთნის როტორის რადიუსა და ხვნის სიღრმესა და როტორის სიმაღლეს
 შორის მოცემულია (ნახ 10)




როტორის სიმაღლის განმსაზღვრელ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე

$$h_p = kaB + vht - gt^2 / 2 - S$$

ბელტის ხარისხიანი ამობრუნების და დაქუცმაცების მიზნით ხვნის მთელ სიღრმეზე რეკომენდირებულია როტორის სიმაღლე იყოს 0,40 -0,50 მ.

როტორის ურთიერთმოქმედების პროცესი ჰიადაგის ფენებთან დამოკლებული ფრთით ბევრად არის დამოკიდებული როტორის დაშორებაზე გუთნის კორპუსითან.

როტორის დაშორება გუთნის კორპუსითან შეიძლება განხილული იქნას წარმოდგენილი სქემის მიხედვით



ნიადაგის ფენების როტორის სამუშაო ორგანოებთან ელემენტებთან კონტაქტის დროს სამუშაო ორგანოებო ასრულებს ბრუნვით მოძრაობას $V_{ბაზ}$ სიჩქარით, ასევე ნიადაგის ფენა, რომელიც მოძრაობს აგრეგატის მოძრაობის სიჩქარით, ასრულებს როტორთან ერთად $V_{გადაად}$. როტორის სამუშაო ორგანო, რომელიც მოქმედებს ნიადაგის ფენაზე ეწინააღმდეგება როტორის გადაადგილებას სიჩქარით $V_{წინ}$. თუ მივიღებთ რომ წინააღმდეგობის სიჩქარე $V_{ფენის}$, უდრის ნულს, მივიღებთ გამოსახულებას რომელიც განსაზღვრავს ოპტიმალურ მანძილს კორპუსსა და როტორის ბრუნვის ღერძის შორის

$$b = \frac{30}{\pi n} V_{ფენის}$$

ჩვენი მონაცემებით $b = 0,08$ მ; $V_{ფენის} = 2,7 - 3,0$ მ/წმ; $n = 320 - 340$ ბრ/წთ
 ნიადაგის ჭრის ენერგოტევადობის დახასიათების მიზნით, საჭიროა გამოვიყენოთ ჭრის
 კუთრი მუშაობა

$$A_{კუთრ} = \sigma l \cos [\sin(\gamma + \varphi + \vartheta) + \tan \varphi \cos(\gamma + \varphi + \vartheta)]$$

სადაც: l - ჭრის სიჩქარეა, მ;

σ - ნიადაგის საშუალო კუთრი წინაღობა კნ/ მ

γ - ჭრის უკანა კუთხე, გრად;

φ - დანის ალესვის კუთხე

მაშინ ნიადაგის ფენის მოჭრაზე საჭირო სიმძლავრე განისაზღვრება ფორმულით.

$$N = \frac{l \omega \sigma l_{დან} S \cos \varphi [\sin(\gamma + \varphi + \vartheta) + \tan \varphi \cos(\gamma + \varphi + \vartheta)]}{\varphi_2 - \varphi_1}$$

სადაც ω - როტორის კუთხური სიჩქარე, რად/წმ;

$l_{დან}$ - დანის სიგრძე, მ;

S - ნიადაგის მიწოდება როტორზე, მ;


φ_1 - ჭრის დასაწყისში დანის ჭრის კუთხე, გრად;

φ_2 - ჭრის დამთავრებისას დანის ჭრის კუთხე, გრად;


ცნობილია, რომ ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს ჩვეულებრივი სახნისიანი გუთნით წარმოიქმნება დამუშავებული ნიადაგის ძირის მკვრივი ფენა, რომელიც ვერ ატარებს წყალს და იწვევს წყლიანი ეროზიის განვითარებას, რის გამოც საგრძნობლად მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ნიადაგის გაფხვიერების ხარისხი. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ნიადაგის ძირითადი დამუშავება ჩიხელური გამაფხვიერებლის გამოყენებით მთლიანად ან მნიშვნელოვნად გამორიცხავს ფერდობებზე დამუშავებული ნიადაგის ეროზიულ მოვლენებს. ჩიხელის სატეხის ზედაპირზე შექმნილი მაღალი წნევის შედეგად, მთლიანად ინგრევა ნიადაგის ძირის მკვრივი ფენა და წარმოიქმნება თხემიანი ზედაპირი, რომელიც საშუალებას იძლევა მეტ სიღრმეზე გავრცელდეს და შენარჩუნდეს ნიადაგის სინესტე, რაც ხელს უწყობს ფესვთა სისტემის უკეთ განვითარებას და მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას. მიღებული შედეგებით დადგენილია, რომ აღნიშნული მეთოდით ნიადაგის დამუშავების დროს მარტო სიმინდის მოსავლიანობა 35%-ით მაღალია ვიდრე ჩვეულებრივი სახნისიანი გუთნით დამუშავების დროს. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ ნიადაგის გლუვად დამამუშავებელი გუთნის მწარმოებლობა 23-43%-ით მეტია ვიდრე ნაზურგ-ნაღარით დამამუშავებული გუთნების, საწვავის ხარჯი 28-39%-ით ნაკლები, ხოლო დამამუშავებული ფართობების მოცულობა 7...8 %-ით მეტი.

საკითხი მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რადგან აჭარის და მთლიანად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი განლაგებულია მცირეკონტურიან და დახრილი რელიეფის მქონე ფართობებზე, რაც უკვე თავისთავად განაპირობებს მათში ჩიხელური ტიპის გუთნის გამოყენების მიზანშეწონილობას.

მისი ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეიცავს ჩარჩოს, ჩიხელურ დგარებს მათზე დამაგრებული ქუსლით და სატეხით და გუთნის ფრთებს, ჩიხელური დგარები დაყენებულია ფრონტალურად ჩარჩოს განივ კოჭზე, ხოლო გუთნის ფრთები სიმეტრიულია და დაყენებულია თანმიმდევრულად ჩიხელური დგარების უკანა ჩარჩოსთან სახსრის გარშემო დაკავშირებულ მოსაბრუნებელ კოჭზე, ამასთან კოჭს გააჩნია ჩარჩოსთან დამაკავშირებელი სახსრის გარშემო შემობრუნების შესაძლებლობა ჩარჩოზე დამაგრებული ჰიდროცილინდრის საშუალებით (ფიგ. 1 და 2).



ფიგ.1




ფიგ.2

ჩიზელურის თათის გეომეტრიული პარამეტრების დასაბუთება. სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებიდან, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ელემენტების გათვალისწინებით, ყველაზე პერსპექტიული რესურსდამზოგი ტექნოლოგია; რესურსდამზოგი ტექნოლოგია ნიშნავს ერთი მანქანის მიერ ერთი გავლით რამოდენიმე ოპერაციის შესრულებას, რითაც უმჯობესდება თვით ტექნოლოგიური პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებლები და ეკონომია უკეთდება სხვა ფაქტორებთან ერთად საწვავს, ამ ყველაზე უფრო ძვირფას პროდუქტს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების შესრულების დროს.

თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ითვალისწინებს მსოფლიო დღევანდელ მოთხოვნებს და ამზადებს ისეთ მანქანებს, სადაც სხვადასხვა ტიპის სამუშაო ორგანოებია დამონტაჟებული, რომელთა საშუალებითაც რამოდენიმე ტექნოლოგიური ოპერაცია სრულდება. ამ ტიპის რესურსდამზოგ ტექნოლოგიურ ოპერაციებს მიეკუთვნებიან ნიადაგის მინიმალური და ნულოვანი დამუშავება, სადაც ერთი მანქანის მიერ სრულდება ნიადაგის თესვისწინა დამუშავების ყველა ოპერაცია და რიგ შემთხვევებში - თესვაც. სამუშაო ორგანოების ტიპებიდან ამ სახის მანქანებში გამოირჩევიან პასიური და აქტიური სამუშაო ორგანოების შეთანაწყობა ან კომბინირებული სამუშაო ორგანოები, როგორცაა ღრმად გამაფხვიერებელი თათები, დისკოებიანი სამუშაო ორგანოები ან ფრეზები (ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ღერძიანი), ფარცხები, სატკეპნები და ა.შ. აღნიშნული სამუშაო ორგანოების შეთანაწყობილი მუშაობის დროს ნიადაგის დამუშავების ხარისხი და ამ პროცესზე დახარჯული ენერჯის განსაზღვრა არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი სამუშაო ორგანოების პარამეტრების გაანგარიშების დროს.

ვ. პ. გორიაჩკინი აღნიშნავდა, რომ „სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მათი განსაკუთრებული სხვადასხვა ზომები და პარამეტრები, იარაღის ფორმა, რომლებიც გამოიყენებიან ნიადაგის დასამუშავებლად დაიყვანება უბრალო სოლის მუშაობის პრინციპზე“.

ნიადაგის დამუშავება – ეს არის ნიადაგის რღვევის პროცესი, რომელსაც შემდგომში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურული მცენარეების ზრდა-განვითარებაში. რღვევისათვის ყველაზე მისაღები იარაღია სოლი – ბრტყელი ან მრუდწირული. ამიტომ რღვევის პროცესის შესწავლის დროს მნიშვნელოვანია სოლის მუშაობის შესწავლაც (ნახ. 1.).



ნახ. 1. მარტივი სოლით ნიადაგის რღვევის პროცესის საწყისი ფაზა

ფაზის დასაწყისში სოლი იღებს cbd მონაკვეთს და წარმოქმნის თავის d წვეროსთან ნიადაგში ბზარს df დახრის კუთხით, სადაც:


$$\psi = \frac{\pi}{2} \frac{\alpha + \Phi + \phi^1}{3} \quad (1)$$

- სადაც: α არის სოლის დახრის კუთხე;
- Φ - ნიადაგის გარე ხახუნის კუთხე ($\Phi = 40-500$);
- ϕ^1 - შიგა ხახუნის კუთხე ($\psi = 40-450$).

სოლის შემდგომი გადაადგილების დროს მომდევნო ფაზაში ბზარის სიგანე იზრდება და ნიადაგის გარკვეული ულუფა გადაადგილდება სოლის ზედაპირზე, წარმოიქმნება ნიადაგის დამოუკიდებელი მონაკვეთი $abdf$, რომლის ზომები დამოკიდებულია ψ შიგა ხახუნის კუთხის სიდიდეზე, დამუშავების სიღრმეზე, სოლის მჭრელი პირის სიგანეზე და სოლის გადაადგილების სიჩქარეზე.

ნიადაგის რღვევის მექანიზმის განხილვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ესპროცესი სრულდება პასიური ან აქტიური სამუშაო ორგანოებით. ზემოთ აღნიშნული რესურსდამზოგი ტექნოლოგიების განხორციელებისას გამოყენებული კომბინირებული მანქანები აღჭურვილია როგორც პასიური, ასევე აქტიური სამუშაო ორგანოებით, რათა მანქანამ შეასრულოს თესლის ჩასათესად აგროტექნიკით გათვალისწინებული ყველა ოპერაცია.

განვიხილოთ კომბინირებული მანქანის მუშაობის პროცესი და მასში გაერთიანებული სამუშაო ორგანოების მიერ შესრულებული ტექნოლოგიური ოპერაციები ცალ-ცალკე და დავადგინოთ მანქანის ჩარჩოზე სამუშაო ორგანოების რაციონალური განლაგება. ნიადაგის რღვევის მექანიზმი პასიური (გამაფხვირებელი) სამუშაო ორგანოების მიერ მოცემულია ნახ. 2-ზე



ნახ. 2. ნიადაგის რღვევის მექანიზმი პასიური სამუშაო ორგანოებით


პასიური სამუშაო ორგანოების მიერ ნიადაგის რღვევის მექანიზმი (ჩვენს შემთხვევაში ღრმად გამაფხვირებელი თათის მიერ, რომელიც შედგება დგარასა და საბრუნე გამაფხვირებელი თათისგან) შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: სოლი ცვალებადი P ძალით გადაადგილდება წინ ნიადაგში (დამუშავების a სიღრმით). დასაწყისში ეს დაწნევა ნულის ტოლია, ხოლო შემდეგ იგი თანდათან მატულობს. გამაფხვირებელი თათის ნიადაგში გარკვეული a სიღრმით ჩაღრმავების და წინ გადაადგილების დროს ხდება ნიადაგის ახლეჩვა კუთხით ψ . ახლეჩვის შემდეგ ეს ელემენტი იწყებს სრიალს ახლეჩვის და სოლის სამუშაო ზედაპირებზე. შემდეგ ეს პროცესი მეორდება და წარმოიქმნება ერთმანეთის მიმართ დამრული გორბები. კომბინირებულ მანქანებში ეს გორბები განიცდიან დამატებით დამუშავებას სხვადასხვა სამუშაო ორგანოებით, რათა მიღებული იქნეს აგროტექნიკით დასაშვები ნიადაგის დამუშავების ხარისხი. ტრადიციული ტექნოლოგიის დროს თითოეული ეს ოპერაცია სრულდება ცალკე, ხოლო რესურსდამზოგი ტექნოლოგიის დროს კი - ერთდროულად.

გამაფხვირებელი თათების მიერ ნიადაგის ჭრის პროცესი განვიხილოთ, როგორც ბრტყელი სოლის ნიადაგზე მოქმედება, რომლის ჭრის კუთხეა α და უკანა კუთხე ψ , რაც გამორიცხავს თათის


უკანა წიბოს ნიადაგთან ხახუნს. ნიადაგის ჭრის დროს ბრტყელ სოლზე მოქმედებს შემდეგი ძალები: ნორმალური ძალების მდგენელი N და ხახუნის ძალა.

ძალები N და F შეიძლება დაყვანილი იქნენ ერთ ჯამურ ძალაზე $F \sum = \cos N \phi$, რომელიც გადახრილია სოლის სამუშაო ზედაპირზე მოქმედი ნორმალური ძალიდან ϕ ხახუნის ძალით (ნახ. 2).

$$F = \operatorname{tg} \phi N$$



ნახ. 3.



ნახ. 4. ბრტყელი სოლის მუშაობის დროს ძალების ურთიერთქმედების სქემა

PZ ძალის x და y ღერძებზე დაგეგმარების შედეგად მივიღებთ ნიადაგის ჭრის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ძალებს:

ძალა PX არის ნიადაგის ჭრისათვის საჭირო წევის ძალა და $PX = T$; მას ხშირად ჭრის ძალას უწოდებენ. ვერტიკალური PZ ძალა დამოკიდებულია ჭრის კუთხეზე α , ხახუნის კუთხეზე ϕ და გამაფხვიერებელი თათის მჭრელი პირის დაბლაგვების სიდიდეზე. ამ ორი PX და PZ ძალების ფარდობა:

$$PX / PZ = \operatorname{ctg}(\alpha + \phi)$$

გვიჩვენებს ჭრის კუთხესთან მის ფუნქციონალურ დამოკიდებულებას, ე.ი. $PZ = f(\alpha)$. თუ $\alpha < 90 - \phi$, მაშინ ვერტიკალური მდგენელი PX მიმართულია ქვევით და ხდება გამაფხვიერებელი თათის დაღრმავება, ხოლო თუ $\alpha > 90 - \phi$, მაშინ PX მიმართულია ზევით და ხდება თათის ამოღრმავება.

ნიადაგის რღვევის მექანიზმის (ნახ. 5.) განხილვის შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გამაფხვიერებელი თათების წინ ნიადაგის დაგროვების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაცული იქნეს პირობა:

$$R_{\max} = \sigma B \cdot S$$


სადაც: σB - არის კუმშვის დროს ნიადაგის დროებითი წინააღმდეგობის სიდიდე, ნ;

S - ნიადაგის ბელტის განივი კვეთის ფართობი, მ².

ნიადაგის დაგროვება თათის წინ არ მოხდება, თუ დაცული იქნება პირობა:

$$\sigma = \frac{R_{\max}}{S}$$

ღრმად გამაფხვიერებლის სამუშაო ორგანოები აფხვიერებენ ნიადაგს გამაფხვიერებელი თათის მიერ შექმნილ ჭრილში, რომელიც იზრდება გასაფხვიერებელი ნიადაგის გაკორდებული ნაწილისაკენ.



ნახ. 5. კომბინირებული მანქანის გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოების პარამეტრების განსაზღვრის სქემა

ნიადაგის ღრმად დამუშავების მანქანების დამახასიათებელი თვისებებია მოდების განის მიმართულებით ნიადაგის დამუშავებისას ფსკერიდან დაუშლელი თხემების წარმოქმნა, რომელთა ზევით ფენები არის გაფხვიერებული. თხემების სიდიდეები დამოკიდებულია სამუშაო ორგანოების მოდების განზე და გამაფხვიერებელ თათებს შორის მანძილზე განივი მიმართულებით.

დასკვნები

ახალი კონსტრუქციის ეროზიის საწინააღმდეგო კომბინირებული სამთაბარო აგრეგატი უზრუნველყოფს ნიადაგის სრულფასოვან მომზადებას თესვისთვის. ჩიზელური გამაფხვიერებლის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ნიადაგის ეროზიულ მოვლენებს ფერდობებზე. ახალი აგრეგატი ხელს უწყობს ფესვთა სისტემის უკეთ განვითარებას და მოსავლიანობის ზრდას. ეკონომიკური ეფექტურობა დასტურდება საექსპლუატაციო დანახარჯების შემცირებით და მოგების ზრდით.

ცნობილია, რომ ნიადაგის ძირითადი დამუშავების დროს ჩვეულებრივი სახნისიანი გუთნით წარმოიქმნება დამუშავებული ნიადაგის ძირის მკვრივი ფენა, რომელიც ვერ ატარებს წყალს და იწვევს წყლიანი ეროზიის განვითარებას, რის გამოც საგრძნობლად მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ნიადაგის გაფხვიერების ხარისხი. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ნიადაგის ძირითადი დამუშავება ჩიზელური გამაფხვიერებლის გამოყენებით მთლიანად ან მნიშვნელოვნად გამორიცხავს ფერდობებზე დამუშავებული ნიადაგის ეროზიულ მოვლენებს, რაც ხელს უწყობს ფესვთა სისტემის უკეთ განვითარებას და მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას.

გამოყენებული წყაროები

- ✓ მახარობლიძე რ. მარგალიტაძე მ. კვიციანი მ. როტაციული ხელის საკრეფი და სასხლავი აპარატების დინამიკის თეორიული კვლევა. „სუბტროპიკული კულტურები“, #3 1978.
- ✓ Махароблидзе Р.М. –Современные методы планирование экспериментов по вопросам сельскохозяйственной техники. Тбилиси, СХИ, 1974
- ✓ რ. მახარობლიძე - სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციები - თბილისი, 2000. - 199გვ.
- ✓ რ. მახარობლიძე საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საინჟინრო სფეროს მომავალი - თბილისი, 1997. - 112გვ.
- ✓ რ. მახარობლიძე ექსპერიმენტების დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საკითხებზე : მეთოდ. სახელმძღვ. ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის (ავტორი). - თბილისი, 1974. - 167გვ.
- ✓ კაციტაძე ჯ. - მანქანებისსაიმედოობა და რემონტი. თბილისი, 1999. -192 გვ.;

სატყეო საქმის მიმართულება

შემსრულებლები: დოლიძე ლაშა - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;
მერაბ მამულაძე - ტექნიკის აკადემიური დოქტორი;
არჩილ ძირკვაძე - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

თემა: ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერთა შემოსავლების გაზრდის მიზნით მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის სასარგებლო თვისებები და მათი სამეურნეო გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება.

2024 წელს შესასრულებელი სამუშაოების გეგმის თანახმად II კვარტალში განხორციელდა კვლევის ობიექტების შერჩევა აღმოსავლეთის ნაძვის გავრცელების სარტყელში. კერძოდ - ნაძვნარები, ნაძვნარ-წიფლნარები, ნაძვნარ - სოჭნარები, რომლებიც გავრცელებული არიან ოლადაურის, ჭვანის, ზეგანისა და ხიხაძირის სატყეო უბნებში;

აღმოსავლეთის ნაძვის ტყის ეკოსისტემების ბუნებრივი გავრცელების სარტყელისათვის დამახასიათებელია მერქნიან მცენარეთა შემდეგი ასოციაციები:

ნაძვნარ - წიფლნარი შქერის ქვეტყით (*Piceto - Fagetum rhododendrosum*), ნაძვნარ - წიფლნარი ხარისშუბლას საფარით (*Piceto - Fagetum senecio -sum*), ნაძვნარი წყავის ქვეტყით (*Piceto laurocerasosum*), ნაძვნარ -სოჭნარი წყავის ქვეტყით (*Piceto - Abietum laurocerasosum*), ნაძვნარ - სოჭნარი შქერის ქვეტყით (*Piceeto - Abietum rhododendrosum*), ნაძვნარი კავკასიური მოცვის ქვეტყით (*Piceto arctostaphylosum*), წიფლნარ - ნაძვნარი კავკასიური მოცვის ქვეტყით (*Fageto - Piceto arctostaphylosum*), ნაძვნარი მაღალბალახოვანი საფარით (*Piceto altherbosum*) (სურ. 1), ნაძვნარი ხარისშუბლას საფარით (*Piceto seneciosum*), ნაძვნარი მთის წივანას საფარით (*Piceto festucosum*), ნაძვნარ - სოჭნარი მთის წივანას საფარით (*Piceeto - Abietum festucosum*), წიფლნარ - ნაძვნარი მთის წივანას საფარით (*Fageto - Piceto festucosum*), ნაძვნარი შქერის და წყავის ქვეტყით (*Piceetum rhododendroso laurocerasosum*), ნაძვნარი კავკასიური მოცვის ქვეტყით (*Piceetum arctostaphylosum*), ნაძვნარი მთის წივანას საფარით (*Piceetum festucosum*), ნაძვნარი მაღალბალახიან - გვიმრიანი (*Piceetum altherboso filicicosum*), სოჭნარ - ნაძვნარი ქრისტესბეჭედას საფარით (*Abieto - Piceetum saniculosum*).



სურ.1. ნაძვნარი მაღალბალახოვანი საფარით (ხულო, ნაილევი)

ქვეტყე წარმოდგენილია შემდეგი სახეობებით: პონტოური შქერით (*Pontian rhododendron - Rhododendron ponticum*), ჭყორით (*Colchic (Black Sea) holly - Ilex colchica*), ასკილი (*Rosa*), მთის მოცვით (*Vaccinium myrtillus*) და სხვ. ლიანებიდან ძირითადად გვხვდება კოლხური სურო (*Colchis ivy - Hedera colchica*). ბალახოვნებიდან გავრცელებული სახეობებია: ქრისტესბეჭედა (*Sanicle - Sanicula europae*), წბილა (*Fescue - Festuca montana*), ტყის ჩიტისთვალა (*Bedstraw - Asperula odorata*), ვერონიკა (*Speedwell - Veronica peduncularis*), პრენანტესი (*Lettuce -*

Prenanthes purpurea), ნარი (*Cirsium - Cirsium hypoleucum*), ნალველა (*Gentian - Gentiana schistocalyx*), დათვიმხალა (*blue sow thistles Cicerbita cacaliifolia*), მრგვალფოთოლა ენდრონიკა (*Rundblatt - Labkraut -Galium rotundifolium*), მეკენძალა (*Goatsbeard -Aruncus vulgaris*), სამტატა (*Pyrethrum - Pyrethrum macrophyllum*), მჟაველა (*wood sorrel - Oxalis acetosella*), სვინტრი (*Solomon's seal - Polygonatum polyanthemum*), კესანე (*wood forget-me-not -Myosotis sylvatica*), ქვატეხია (*Rockfoils - Saxifraga cymbalaria*), თავყვითელა (*Ragworts Senecio propinquus*), ჩუა (*Figworts Scrophylaria chrisantha*) და სხვ.

ქვემოთ მოცემული გვაქვს ნამვის სარტყელში გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის მოკლე დახასიათება.

ასკილი ანუ ველური ვარდი - ძლიერ დატოტვილი ბუჩქია ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახიდან, 2 მ-მდე სიმაღლის. ტოტები წვრილი, დაფარულია მოყავისფრო-წითელი ქერქით. ფოთლები განლაგებულია მორიგეობით, კვერცხისებური, ქვედა მხრიდან მორუხო-მომწვანო ფერის. ყვავილი შედგება 5 გვირგვინის ფურცლისაგან, ვარდისფერი ან თეთრი შეფერილობისაა. ნაყოფი მოყავისფრო-წითელი ელიფსური, 5სმ-მდე სიგრძის. ყვავილობს მაის-ივლისში, ნაყოფი ცრუა მწიფდება აგვისტო-სექტემბერში. ასკილი მდიდარია ვიტამინ C - თი. ნაყოფი იკრიფება სრული სიმწიფის პერიოდში, ხასიათდება მომჟაო-მოტკბო გემოთი. ვიტამინ C-ს (ასკორბინის მჟავა) შემცველობა 4-6% - მდეა, ზოგიერთ სახეობაში კი 18%-მდე აღწევს. გარდა ამისა ასკილის ნაყოფი შეიცავს ვიტამინ P (რუტინი), B1, B, K, A – კაროტინი. თესლებში არის ვიტამინი E. ნაყოფი შეიცავს ასევე ფლავონურ გლიკოზიდებს – კემპფეროლს და კვერცეტინს, შაქარს 18%-მდე, მთრიმლავ ნივთიერებებს 45%-მდე, პექტინებს 3,7%, ორგანულ მჟავებს: ვაშლის-1,8%, ლიმონის-2%. ასევე გვხვდება ლიკოპენი, რუბიქსანტინი, ეთერზეთები, კალიუმის მარილები, რკინა, მარგანეცი, ფოსფორი, კალციუმი, მაგნიუმი. ასკილის ნაყოფი ხასიათდება ფიტონციდური და ბაქტერიოციდული თვისებებით. გარდა ამისა არის ნალველმდენი, ანთების საწინააღმდეგო, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მარეგულირებელი და შარდმდენი საშუალება. ვიტამინი C – ასკორბინის მჟავა მონაწილეობს ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვალდგენით პროცესებში, დადგენილია, რომ ის ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, ამცირებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას. ვიტამინი P – რუტინი, ხელს უწყობს კაპილარების სიმციფესა და შეღწევადობის შემცირებას, აუმჯობესებს ორგანიზმის მიერ ასკორბინის მჟავის გამოყენებას. ვიტამინი A – კაროტინი, ამაღლებს ორგანიზმის საერთო წინააღმდეგობის უნარს. ვიტამინები მონაწილეობენ ყვითელი ფერმენტის სინთეზში, ხელს უწყობენ მხედველობითი პურპურის სინთეზს, მოქმედებენ სისხლმზად ორგანოებზე. ვიტამინი K – მონაწილეობს პროთრომბინის წარმოქმნაში. ასკილის ნაყოფი სამკურნალო მიზნით გამოიყენება ნაყენის, სიროფის, ექსტრაქტისა და ფხვნილის სახით. კერძოდ, ვიტამინი C-ს იყენებენ სისხლნაკლებობის, ორგანიზმის დაუძლურების, ათეროსკლეროზის დროს. გამოიყენება ასევე როგორც ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარიანობის გაზრდის საშუალება ინფექციური და ინტოქსიკაციური პროცესებისას (ქუნთრუშა, დიფტერია, პნევმონია, ყივანახველა და სხვა). ხელს უწყობს მოტეხილობის დროს ძვლების შეზრდის პროცესის დაჩქარებას, გამოიყენება აგრეთვე საშვილოსნოდან სისხლდენის დროს, თირკმლის კენჭოვანი დაავადებისა და ღვიძლის დაქვეითებული სეკრეციის დროს, ზემოქმედებს ძვლის ტვინის ფუნქციასა და ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლაზე. ხალხურ მედიცინაში ასკილის ნაყოფების ნახარში ფართოდ გამოიყენება თითქმის ყველა მძიმე დაავადების დროს. კერძოდ, კენჭოვანი დაავადების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, გასტრიტის, კოლიტის, სისხლნაკლებობის, მალარიის, ქალის სასქესო ორგანოების დაავადებათა დროს. ნაყენის მომზადება: 200 გრ. ნაყოფს უნდა დაასხათ 500 მლ. ადუღებული წყალი და მიიღოთ 100 მლ. ჭამამდე 30 წუთით ადრე დღეში 2 ჯერ.

ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად რამდენიმე ათასი ტონა ასკილის ნაყოფი მზადდება, რომლისგანაც ვიტამინ C -ს და პროვიტამინის პრეპარატებს ამზადებენ, სხვადასხვა ფორმით. სხვადასხვა ავტორთა მონაცემებით (ა. ბანკოვსკი - 1962, ი. ნოსალი - 1960) ასკილის ნაყოფი გამოიყენება ავიტამინოზის, გემორაგიული დიათეზის, არტერიოსკლეროზის, ჭრილობების და ძვლების შეზოტების დასაჩქარებლად, აგრეთვე თირკმლებისა და ნალვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადებების დროს.

ასკილის ფესვების ნახარში ხალხში საუკეთესო საშუალებააა მიჩნეული ყოველგვარი ქვების გასახსნელად ორგანიზმში ან მათ დასაშლელად ქვიშის სახით, ამავე დროს დამღუპველად მოქმედებს მალარიის გამომწვევ პარაზიტებზე.

ანწლი (*Sambucus ebulus* L) 1,5 მეტრამდე სიმაღლის მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეა ცხრატყავასებრთა (Caprifoliaceae) ოჯახიდან. ღერო ღრუიანია და დაღარული, სწორმდგომი. მოპირდაპირედ განლაგებული ფოთლები რთულია და კიდედაკბილული. თეთრი ყვავილები შეკრებილია ქოლგა ყვავილედეზად, ნაყოფი შავი კენკრაა. მცენარე ყვავილობს მაის-ივლისში, ნაყოფი მწიფდება ივლისსაგვისტოში. გავრცელებულია ნესტიან ადგილებში დაბლობებიდან სუბალპურ სარტყლამდე. იზრდება ღობის ძირას, ტყის პირას, გზის პირას, რუდეღარულ ადგილებში. სამკურნალო ნედლეულია ფესვები, ფოთლები და ნაყოფები. ნაყოფს აგროვებენ სრული სიმწიფის პერიოდში. ქიმიური შემცველობა: ნაყოფი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებსა და სხვა. გამოყენება: აჭარის ხალხურ მედიცინაში ნაყოფების შაქრიანი ნაყენი წარმოადგენს კუჭის შემკვრელ უებარ საშუალებას, ხოლო ფესვებისა და ფოთლების წვენი გამოიყენება ყურის ტკივილის დროს ანთების საწინააღმდეგოდ. მტკივან ყურში იწვეთებენ 2-2 წვეთ თბილ ფესვის ან ფოთლის წვენს.

თემატიკიდან გამომდინარე 2024 წელს შესასრულებელი სამუშაოების გეგმის მიხედვით II კვარტალშიც გაგრძელდა კვლევის ობიექტებზე გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის ბოტანიკური, სამკურნალო და სხვ. სასარგებლო თვისებების შესწავლა - დახასიათება;

2024 წელს შესასრულებელი სამუშაოების გეგმის თანახმად III კვარტალში განხორციელდა კვლევის ობიექტებზე გავრცელებული ზოგიერთი სამკურნალო მცენარის ბოტანიკური, სამკურნალო და სხვა სასარგებლო თვისებების შესწავლა - დახასიათება;

ჩვენს მიერ შერჩეულ მაღალმთიანი აჭარის (შუახევის და ხულოს სატყეო უბნები) ნაძვნარი ტყის ეკოსისტემების ძირითად ფორმაციებში (ნაძვნარები, ნაძვნარ-სოჭნარები, ნაძვნარ - წიფლნარები, წიფლნარ - ნაძვნარები), კერძოდ, შუახევის მუნიციპალიტეტში შუახევის, ოლადაურის და ჭვანას სატყეო უბნებში, ხულოს მუნიციპალიტეტში - ღორჯომის, ზეგანის, ხიხადირის და ღორჯომის სატყეო უბნებში შესწავლილი იქნა შემდეგი მცენარეები: **აღმოსავლური ნაძვი - *PICEA ORIENTALIS* L.**; ბარამბო - *Melissa officinalis*, ხარისჩლიქა - *Asarum*; ანწლი - *Sambucus ebulus*; მინდვრის ია - *Viola odorata*; დედაფუტკარა - *Stachys*; პიტნა - *Mentha*; კრაზანა - *Hypericum*; ფითრი - *Viscum*; მაყვალი - *Rubus fruticosus*;

ქვემოთ მოგვყავს ზემოთ ჩამოთვლილი მცენარეების ბოტანიკური, სამკურნალო და სხვა სასარგებლო თვისებების მოკლე დახასიათება:

აღმოსავლური ნაძვი - *PICEA ORIENTALIS* L.

აღმოსავლური ნაძვი განეკუთვნება ფიჭვისებრთა ოჯახს. იგი 60 მეტრამდე სიმაღლის ხეა, დიამეტრში აღწევს 2 მეტრს, ახასიათებს ღია ნაცრისფერი ქერქი, წიწვები ოთხწახნაგოვანია 10 მმ - მდე სიგრძით, რომლებიც განლაგებულია მორიგეობით ყლორტის მთელ სიგრძეზე (სურ. 1.)



სურ. 1. აღმოსავლეთის ნაძვის მოზარდი - ღორჯომი, ჩუდღურაული

მამრობითი გირჩი განლაგებულია ყლორტის ქვედა ნაწილში, მდედრობითი კი ყლორტების ზედა ნაწილში. ზრდასრული გირჩი თითისტარისებრ - ცილინდრული ფორმისაა. აღმოსავლური ნაძვი მეზოფიტი სახეობაა, იზრდება ტენით კარგად უზრუნველყოფილ ნოყიერ ნიადაგებზე;

აჭარის ფლორისტულ რეგიონში განსაკუთრებით კარგი ზრდით ხასიათდება ზღვის დონიდან 1600 – 1800 მ. სიმაღლეზე (სურ. 2).



სურ. 2. ნამვენარი გვიმრის ქვეტყით – სოფ. ნენიის მიმდებარე ტერიტორია

სამკურნალო ნედლეულია წიწვები, ყლორტები და გირჩები, რომლებიც შეიცავენ ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ვიტამინ C - ს (4% - მდე), რკინას, სპილენძს და სხვ. რეკომენდებულია წიწვების, ყლორტების და გირჩების, შეგროვება განხორციელდეს ზაფხულში

სამკურნალო ნედლეულისგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება სასუნთქი გზების კატარისას, ნამვის გირჩის ნახარში რეკომენდებულია გამოიყენებული იქნას ანგინის, ტონზილიტის, ლარინგიტის სამკურნალოდ. ვიტამინ C - ს უკმარისობისას რეკომენდებულია დამზადდეს ნაყენი შემდეგნაირად: 40 გრ. მოცულობის წიწვს უნდა დაესხას ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი, დუღილი აუცილებელია გაგრძელდეს კიდეც 20 – 25 წუთის განმავლობაში; მიღებული ნაყენი რეკომენდირებულია მიღებული იქნას დღის განმავლობაში 2 – 3 ჯერ.

გარდა ზემო აღნიშნულისა, ნამვის მერქანი გამოიყენება მშენებლობაში, საავეჯო და ცელულოზა - ქაღალდის წარმოებაში და სხვ. ნამვის ფისისგან აგრეთვე შესაძლებელია კოლოფანის, სკიპიდარის წარმოება.

ბარამბო - *Melissa officinalis*

ტუჩოსანთა ოჯახის მრავალწლოვანი, ოთხწახნაგ ღეროიანი, 30-120 სმ სიმაღლის ბალახია. ღერო და ფოთოლი შებუსუსული აქვს. თეთრი ან მოვარდისფრო ყვავილები ფოთლის ილიაში ყვავილედადაა შეკრებილი. კვერცხისებრი ფოთლის ორივე მხარე დაფარულია ეთეროვანი ზეთის შემცველი მბრწყინავი ჯირკვლებით, რომელიც მცენარეს ლიმონის სუნს აძლევს. მთელი მცენარე ნაზ-ბუსუსებიანია, განსაკუთრებით აყვავებამდე ფაზაში. გრძელყუნწიანი ფოთლები კვერცხისებრ-გულისებრია, კიდეებში ბლაგვი, მსხვილი კბილებით, ღეროზე ერთი მეორის მოპირის პირედა არის განლაგებული. მოვარდისფრო-მოყვითალო თეთრი ყვავილები ფოთლების ყუნწების ილიებში 3-10 ცალის რაოდენობით ცალმხრივა ჩხროებადაა განლაგებული ღეროს ზედა ნაწილში. ყვავის ივნის-აგვისტოს განმავ-ლობაში. გავრცელებულია ტყეებში, ტყისპირებში, ნესტიან ხევებში, ზოგჯერ სარეველა ბაღებში, როგორც ბოსტნეული, ეთერზეთოვანი და თაფლოვანი მცენარე. იგი ოდითგანვეა ცნობილი. გამოიყენება, როგორც ნერვების დამაწყნარებელი, საკვების მომწელებელი, მასტიმულირებელი, მადისმომგვრელი და პირღებინების შემამჩერებელი საშუალება (დ. იორდანოვი და თანაავტორები, 1968). მედიცინაში მისი ეთერზეთი გამოიყენება, როგორც საგულე, რევმატიზმის საწინააღმდეგო, ნერვებდამაწყნარებელი და ოფლმდენი საშუალება (ვ.გ. აგევი, 1989).



სურ. 3. ბარამბო - სოფ. ნალარევის მიმდებარე ტერიტორია

მასში არსებულ ეთერზეთს ლიმონის არომატი აქვს და ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში, ლიქიორ-არაყის წარმოებაში, მედიცინაში და კვების მრეწველობაში (ი. ა. გუბანოვი და თანაავტორები, 1976). ბარამბო საქართველოში ფართოდ არის გამოყენებული გულისა და ღვიძლის დაავადებების სამკურნალოდ. ნ. ნ. ბელოჩალოვის მტკიცებით ბარამბო დაბლა სწევს სისხლის წნევას. ა. პ. პოპოვი (1974). ხაზს უსვამს მის გაზგამომდევნ, შარდმდენ და დამაწყნარებელ თვისებებს. ავიცენას (1982) მტკიცებით გულს გულს ამაგრებს, პირის ღრუში ცუდ ლევის გაუმჯობესებას და აჩერებს სლოკინს. სუნს აქრობს, ხელს უწყობს მონელების გაუმჯობესებას და აჩერებს სლოკინს. არის მონაცემები იმის თაობაზე, რომ ბარამბოს პრეპარატების გამოყენება დადებით გავლენას ახდენს გულით დაავადებულებზე: მათ უქრებათ სულისხუთვის შეგრძნებები, წყდება ტაქიკარდიის შე- ტევები, უქრებათ ტკივილები მკერდის არეში. მათი მიღების შემდეგ ნელდება სუნთქვის სიხშირე, იშვიათდება გულის კუნთის კუმშვის სიხშირე და მცირდება სისხლის წნევა (ი. ვ. ზოზი, 1962). ბარამბოს იყენებენ ნახარშის სახით: 10-15 გრ ნედლეული (ძირითადად ფოთლები და ჩვილი ღეროების კენწრული ნაწილი) 200 მლ წყალზე, ადუღებენ 5-7 წუთს. იღებენ თითო სუფრის კოვზს დღეში სამჯერ, გარეგანი ხმარებისათვის სპირტზე ნაყენსაც ამზადებენ (25 გრ 100 მლ სპირტზე ან ორნახად ჭაჭის არაყზე), სვამენ 15 წვეთს დღეში სამჯერ 1 სუფრის კოვზ წყალში განზავებით (ა. პ. პოპოვი, 1974). ბარამბოს წყლით გამოწვლილ ჩაის (20 გრ ხმელი ბალახი 1 ლ წყალზე) სვამენ თითო სუფრის აა კოვზს ყოველგვარი ნერვული დაავადებების სამკურნალოდ, კუჭის ნევროზის დროს, ნაწლავების შეზღუდვისა და ჩხვლეტების, შაკიკის, თავის ტკივილის, გაძლიერებული გულისცემის, თავბრუსხვევის, ორსულობის პერიოდში პირღებინებისა და კბილის ტკივილის დროს (პირში ჩაგუბებით) (მ. ა. ნოსალი, ი. მ. ნოსალი, 1960).

სტოიანოვი (1973) ურჩევს წვრილად დაჭრილ ორ სუფრის კოვზ ნედლეულზე ორი ჭიქა მდულარე წყლის დასხმას, რომელიც ერთ დღე-ღამეში მისაღებ დოზას წარმოადგენს.

ქართული ხარისჩლიქა - *Asarum ibericum* Stev

ძირმწარასებრთა ოჯახის წარმომადგენელი, მრავალწლოვანი 5-10 სმ სიმაღლის მხოხავ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა, ინვითარებს მოკლე ტოტებს, რომლებზედაც ფოთლები და ყვავილები ვითარდება. ფოთლები გულისებრია ან სამკუთხა-გულისებრი. იზრდება ტყეებში მთის ქვედა სრტყლიდან ზედა სარტყლამდე. ქართული ხარისჩლიქა სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება ევროპული ხარისჩლიქას (*Asarum europaeum*) ანალოგიურად. მიწის ზედა ნაწილები სუნითა და გემოთი წიწაკის მსგავსია, გასრესილი ფესვურა კი კატაბალახას (კატაპარიას) სუნს გამოსცემს.

ფესვურიდან ორი (იშვიათად სამი) გრძელყუნწა ფოთოლი ამოდის, ფოთლები საერთოდ მორიგეობითაა განლაგებული, მაგრამ ზოგჯერ ფოთლების ყუნწები იმდენად ახლოა ერთმანეთთან, რომ მოპირისპირედ განწყობის შთაბეჭდილებას ქმნის. თოვლის ქვეშ მოყოლილი ფოთლები, მარადმწვანე მცენარეების მსგავსად, ხშირად კარგად გადაიზამთრებს ხოლმე. ფოთლის ფირფიტა მომრგვალო თირკმლისებ- რია, ზემოდან მუქი მწვანე, ქვემოდან კი მკრთალი. ფოთლების

იღლიებში სათითაოდ ამოსული ყვავილის ყუნწი მიწისკენაა დახრილი და ამიტომ ყვავილი თავჩაქინდრულია, იგი გარედან მწვანე-მოწითალოა, შიგნიდან კი მღვრიე წითელი ფერის. ყვავის მას-ივლისის განმავლობაში. იზრდება ნესტიან, ხშირ ტყეებში, განსაკუთრებით წიფლნარებში, ნამძნარებში, თხილის ბუჩქებში და სხვა (სურ. 3).



სურ. 4. ხარისჩლიქა - სამსმელო

სამკურნალოდ პრაქტიკულად მთელი მცენარე გამოიყენება. შეიცავს: ეთერზეთებს, ქაფურის მსგავსი ნივთიერების - აზარონის შემცველობით, შაქრებს, სახამებელს, ლორწოს, ეთერებს, სესკვიტერპენულ ნახშირწყლებს და სპირტებს, ფენოლკარბონულ მჟავებს, სტეროიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტამინებს, საპონინებს, გულის გლიკოზიდებს, ორგანულ მჟავებს, ფისებს, მიკროელემენტებს, ალკალოიდებს.

ხასიათდება სამკურნალო თვისებების ფართო დიაპაზონით. ღებულობენ, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ბრონქების გამაფართოებელ, სისხლდენის შემაჩერებელ, კარდიოტონურ, ამოსახველებელ, დიურეზულ, სასაქმებელ, ჭრილობების შემახორცებელ, დამამშვიდებელ, სიცხის დამწვევ, შარდმდენ, ანტიპელმინტურ, ანტისკლეროტულ საშუალებას. მცენარე მეტად ეფექტურია ფართო და ლოკალური ჭრილობების, წყლულების, მუნის სამკურნალოდ. მცენარე შხამიანია, რის გამოც მისი გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო. მაგრამ ჩვენთან მისი მიზეზით საქონლის მოწამლვის შემთხვევა არ აღნიშნულა. სპეციფიური, არასასიამოვნო სუნის გამო, როგორც ჩანს, საქონელი არ ძოვს, ამავე დროს - ხშირ ტყეებსა და ბუჩქნარებში გავრცელების გამო პირუტყვისათვის ძნელად მისადგომია.

მედიცინაში ხარისჩლიქას ფესვები, ფესვურები და ფოთლები გამოიყენება. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება, როგორც პირსასაქმებელი და ამოსახველებელი საშუალება, ზოგ ქვეყნებში გარდა სიყვითლის, წყალმანკის, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, როგორც რძის მომგვრელი და საფაღარათო საშუალებაა. ფოთლებს მალარიის საწინააღმდეგო საშუალებად იყენებენ. ფოთლებში არსებული გლიკოზიდი აძლიერებს გულის კუმშვას, ლოიდი აზარინი მაღლა სწევს არტერიულ წნევას, ავიწროებს პერიფერიულ ძარღვებს, ამაღლებს იონების ტონუსს, აზარინი იწვევს აირებიანებას, აგრეთვე აღმგზნებად მოქმედებს გულზე (ნ.ფ. ბეზუკ-დნიკოვა, 1962).

გ. როზელტისა და ფ. დორფლერის (1917) მიხედვით გერმანიაში ძირითადი სასმელების რომატებისათვის გამოიყენება. მასვე აქვს ოფლმდენი მოქმედება და ამოსახველებელ საშუალებად იყვენენ მენიერების დროს მანერა, მესვე აქვს უფალს უსვამენ დიდი სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობას ხარისჩლიქას გამოყენებისას, რადგან დიდ დოზებში იგი თავის ტკივილს იწვევს.

უკრაინის ხალხურ მედიცინაში ხარისჩლიქას შარდმდენ საშუალებად ხმარობენ. საამისოდ ხარისჩლიქას ფესვურას თხის რძეში ხარშავენ, ან წყლით გამონახარშით სარგებლობენ, ხარისჩლიქას ჩაი ქალებს მენსტრუაციას უადვილებს, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. გამოიყენება გასტრიტის, ღვიძლის დაავადებისა და სიყვითლის წინააღმდეგ; დოზა: 3-5 გ ხმელი ხარისჩლიქას ბალახი ერთ ჭიქა სითხეზე. საუკეთესოდ მიიჩნევენ მის რძესთან ერთად გამოყენებას. მ. ა. და ი. მ. ნოსალები (1960) იძლევიან იმ ხალხურ რეცეპტებს, როდესაც ხარისჩლიქა განსაკუთრებით სასარგებლოდ ითვლება:

1. ხარისჩლიქას ბალახისა და ნეგოს ყვავილების თანაბარი რაოდენობის ნარევის წყლით ნარევი სასარგებლოდ ითვლება სიყვითლის დროს (1 სუფრის კოვზი ნარევი 1 ჭიქა მდუღარე წყალზე).

2. ბრონქიტის დროს გამოიყენება შემდეგი ნარევის ნახარში: ხარისჩლიქა - 2,0 გრ, ოშოშა 3,0 გრ და ბირკავა - 2,0 გრ. 2 სუფრის კოვზ ამ ნარევის 0,5 ლიტრ წყალში 10 წუთს ხარშავენ წელი დუღილით. შემდეგ 20 წუთით დგამენ თბილ ღუმელში, წურავენ და ყლუპ-ყლუპობით სვამენ დღეში არაუმეტეს ორი ფინჯნისა (დაახლოებით ერთი ჭიქა).

ხარისჩლიქას ძლიერი ტოქსიკურობის გამო, მისი პრეპარატების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ექიმის გამოწერითა და მისი უშუალო მეთვალყურეობით. ხარისჩლიქას თვითნებურად გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია.

ანწლი - *Sambucus ebulus*

მრავალწლოვანი 1,5 მეტრამდე სიმაღლის მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი მცენარეა ცხრატყავასებრთა (Caprifoliaceae) ოჯახიდან, გამოირჩევა უსიამოვნო სუნით. ღერო ღრუიანია და დაღარული, სწორმდგომი. მოპირდაპირედ განლაგებული ფოთლები რთულია და კიდედაკბილული. თეთრი ყვავილები შეკრებილია ქოლგა ყვავილედებად, ნაყოფი შავი კენკრაა. მცენარე ყვავილობს მაის-ივლისში, ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში (სურ. 5, 6). გავრცელებულია მთელ საქართველოში, ნესტიან ადგილებში დაბლობებიდან სუბალპურ სარტყლამდე. იზრდება ღობის ძირას, ტყის პირას, გზის პირას. სამკურნალო ნედლეულია ფესვები, ფოთლები და ნაყოფები. ნაყოფს აგროვებენ სრული სიმწიფის პერიოდში. ქიმიური შემცველობა: ნაყოფი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებსა და სხვა. გამოყენება: აჭარის ხალხურ მედიცინაში ნაყოფების შაქრიანი ნაყენი წარმოადგენს კუჭის შემკვრელ უებარ საშუალებას, ხოლო ფესვებისა და ფოთლების წვენი გამოიყენება ყურის ტკივილის დროს ანთების საწინააღმდეგოდ. მტკივან ყურში იწვეთებენ 2-2 წვეთ თბილ ფესვის ან ფოთლის წვენს.



სურ. 5. 6. ანწლი - სოფელი დიოკნისი, ნაშვები

თესლი შეიცავს ცხიმოვან ზეთს, ყვავილები მდიდარი, ნექტარით რის გამოც ფუტკარი ძლიერ ეტანება. ნაყოფებიდან ხდიან არაყს და სხვ. მწიფე ნაყოფების (შაქრის მინარევით) მზეზე გამოყვანილი ნაყენი საუკეთესო საშუალებაა კუჭის აშლილობის, დიზენტერიის და კოლიტის სამკურნალოდ. მცენარე შხმიანია, ნედლი სახით მიღება დაუშვებელია.

მცენარის ყველა ნაწილი უძველესი დროიდან იყო გამოყენებული ხალხურ მედიცინაში. სამკურნალოდ გამოიყენება, ფესვი, ფოთლები, ნაყოფები. შეიცავს მთრიმლავ, მწარე, პექტინოვან და საღებავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს - ვალერიანის, ვაშლის, ღვინის, ციანოგენურ გლიკოზიდ-ა-მიგდალინს, ვიტამინ C-ს.

ხასიათდება ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული, შარდმდენი, ოფლმდენი, ერთროპოეზის გამამლიერებელი, ამოსახველებელი, მადისმომგვრელი, საფადართო მოქმედებით. გამოიყენება ნევრალგიის, ზემო სასუნთქი გზების კატარის, ნიკრისის ქარის, ტუბერკულოზის, მსხვილი ნაწლავის ანთების, ბუასილის სამკურნალოდ.

მინდვრის ია - *Viola odorata*

10-30 სმ სიმაღლის ერთი ან ორწლიანი ბალახოვანი მცენარეა იისებრთა (Violaceae) ოჯახიდან. ღერო ძირიდან დატოტვილია. ფოთლები მოკლევუნწიანი, მორიგეობით განლაგებული, ფორმით მომრგვალო-გულისებრი თანაფოთლებია. ყვავილები ზიგომორფული 1,5 სმ დიამეტრის, გრძელყუნწიანი, დეზიანი, იისფერი. ნაყოფი კოლოფია მრავალი თესლით. ყვავილობს აპრილიდან შემოდგომამდე. გავრცელებულია მთელ ტყის ზონაში სუბალპებამდე, ბუჩქნარებში, გზისპირებზე, ბაღებში, პლანტაციებში. სამკურნალო ნედლეულია: მცენარის მიწისზედა ნაწილი, რომელსაც აგროვებენ ყვავილობის პერიოდში. ნედლ ბალახს აქვს მოტკბო გემო. შეგროვებული ნედლეული უნდა გაშრეს 50-60°C-ზე საშრობში ან ჩრდილში. ქიმიური შემცველობა: ბალახი შეიცავს ფლავონოიდ რუტინს, ეთერზეთებს, კაროტინოიდებს, ასკორბინის მჟავას, საპონინებს, ლორწოვან პოლისაქარიდებს. 119 გამოყენება: ამოსახველებელი საშუალება ბრონქიალური ასთმის დროს. ხელს უწყობს ნახველის გამოყოფას. ნაყენის დამზადება: 1 ს.კ. გამხმარ ნედლეულს უნდა დაასხათ 1 ჭიქა მდულარე წყალი. გააჩეროთ 3 საათი, მიიღოთ 1 ს.კ. 3-4-ჯერ დღეში.

ტყის დედაფუტკარა - *Stachys syluajica* Y.

1 მ-მდე სიმაღლის სწორმდგომი მრავალწლოვანი ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა ტუჩოსანთა ოჯახიდან. ფოთლები კვერცხისებრ სამკუთხაა, ბლაგვხერხებილა, ორთავე მხარეს სუსტად შებუსული. წითელი, ორტუჩა ყვავილები შეკრებილია ღეროს წვერში ყვავილედად. ნაყოფი ოთხთესლიანი კაკლუჭაა. ყვავილობს ივნის-აგვისტოში, ნაყოფი მწიფდება ივლის-სექტემბერში. გავრცელებულია მთის შუა სარტყელში, აჭარისწყლისა და კინტრიშის ხეობებში, შუახევი, ხულო, დანისპარაული, რიყეთი და სხვა. სამკურნალო ნედლეულია ბალახი, რომელსაც აგროვებენ ყვავილობის პერიოდში, აშრობენ ჩრდილში, ორპირ ქარში (სურ. 7).



სურ. 7. მთა სარიჩაირი

მცენარის ნაყენი და ნახარში გამოიყენება როგორც დამამშვიდებელი და წნევის დამწვევი საშუალება. თავისი დამამშვიდებელი ეფექტით მცენარე აღემატება შავბალახას. იყენებენ კრუნჩხვების წინააღმდეგ, აგრეთვე სისხლდენის შესაჩერებლად. ნაყენის მოსამზადებლად 1 ჩ.კ. მშრალ ბალახს უნდა დაასხათ 1 ჭიქა მდულარე წყალი, გააჩეროთ 4-5 სთ. და მიიღოთ თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში. საჭიროა დოზების ზუსტი დაცვა.

კრაზანა - *Hypericum*

მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა კრაზანასებრთა (*Hypericaceae*) ოჯახიდან. აქვს 30-100 სმ-მდე სიმაღლის ღერო, დატოტვილი ფესვითა და მრავალრიცხოვანი დამატებითი ფესვებით. ღერო წვრილი სწორმდგომი, დატოტვილი, 2 წვრილი გრძივი ხაზით. ფოთლები 3 სმ. სიგრძისა და 0,5-1,4 სმ. სიგანის, მჯდომარე, ოვალური ან წაგრძელებული, კიდეშილიანი, გამჭვირვალე, მოფენილია შავი ჯირკვლებით. ყვავილები მოყვითალო-ოქროსფერი, შავი წერტილებით, შეკრებილია ფარისებრ ყვავილედად. ნაყოფი წვრილთესლიანი კოლოფია. ყვავილობს ივნისაგვისტოში. გავრცელებულია ზღვისპირა დაბლობიდან მთის ზედა სარტყლამდე, კლდეებში. სამკურნალო ნედლეულია კრაზანას მიწისზედა ნაწილი, რომელსაც აგროვებენ ყვავილობის პერიოდში (სურ.8).



სურ. 8. კრაზანა- ხულო, ზანკები


ქიმიური შემცველობა: ფლავონოიდურ გლიკოზიდს – ჰიპეროზიდს (ჰიპერინი), რუტინს და სხვა, კაროტინის დიდ რაოდენობას, ასკორბინისა და ნიკოტინის მჟავას, საპონინს, მთრიმლავე ნივთიერებებს, ქოლინს, ალკალოიდებს. გამოყენება: კრაზანას პრეპარატებს ახასიათებთ ანტისეპტიკური, ანტიბაქტერიული, შარდმდენი, კანის რეგენერაციის მასტიმულირებელი მოქმედება. კრაზანას პრეპარატებს უნიშნავენ ქრონიკული გასტრიტის, მწვავე და ქრონიკული კოლიტის, კუჭ-ნაწლავის აშლილობის, ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადების, თირკმელების ქრონიკული ანთებისა და გინეკოლოგიური დაავადების დროს.

კრაზანას წყლის ნაყენი გამოიყენება პაროდონტოზის, სტომატიტის, გინგივიტისა და პირის ღრუში არასასიამოვნო სუნის დროს (2-3 სუფრის კოვზ მცენარეს დაასხით 2 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი და გააჩერეთ 4-5 საათი). კრაზანა შედის პრეპარატ – კაპსიტრინის შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება ნევრიტის, მიოზიტის, რადიკულიტისა და ართრიტის დროს დასაზღველ საშუალებად. მცენარის ნახარში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა ხალხურ მედიცინაში გულის, რევმატიზმის, გრიპის, თავის ტკივილის, თირკმელების, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და ქალის სასქესო ორგანოების დაავადებათა სამკურნალოდ. ნახარშის მოსამზადებლად 1 სუფრის კოვზ მცენარეს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ადუღებული წყალი. ჭიქის 1/3 მიიღეთ დღეში 3-ჯერ ჭამამდე 30 წთ. ადრე. წყლიან ნაყენში დასველებულ საფენები გამოიყენება სარძევე ჯირკვლის გამაგრების დროს, მცენარეულ ზეთზე დამზადებული კრაზანას ყვავილების ნაყენი კი ჭრილობებზე, დამწვრობებზე, ჩირქოვან გამონაყარზე და კანის სხვა დაზიანების დროს.

ფითრი - *Viscum*

ფითრი 50 სმ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ბუჩქია ფითრისებრთა (*Loranthaceae*) ოჯახიდან, რომელიც პარაზიტობს მსხლის (სურ. 9) ვაშლის, ფიჭვის, ცირცელის, ვერხვის, ტირიფის, აკაციის და სხვა ხეების ტოტებზე. ფითრის ბუჩქს აქვს მომრგვალებული ფორმა, მისი ღეროები დიკოტომიურად არის დატოტვილი და მასზე საპირისპიროდ არის განლაგებული მკრთალი მწვანე

ელიფსური ფოთლები. მოთეთრო-მოყვითალო ყვავილები განლაგებულია ღეროს მუხლებში. ნაყოფი ბურთისებრი კენკრაა, თავდაპირველად მწვანე, შემდეგ თეთრი, რომელიც გარშემორტყმულია წებოვანი ნაყოფგარემოთი. ყვავილობს მარტ-აპრილში, ნაყოფმსხმოიარობს სექტემბერ-ოქტომბერში. გავრცელება: მცენარე პარაზიტობს მთის შუა სარტყლამდე გავრცელებულ პატრონ-მცენარეებზე. სამკურნალო ნედლეულია ყლორტები, რომელსაც აგროვებენ შემოდგომაზე და ზამთარში, მათი გაშრობა ხდება ჩრდილში. შენახვის ვადა 3 წელია. ქიმიური შემცველობა: ყლორტები შეიცავს ალკალოიდებს, ქოლინებს, აცეტილქოლინებს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინ C-ს, კაროტინოიდებს. გამოყენება: ფითრს, როგორც დამამშვიდებელ საშუალებას უძველესი დროიდან იყენებენ ეპილეფსიის, ისტერიის, თავბრუსხვევის, უძილობის, თავის ტკივილის და მაღალი არტერიული წნევის დროს.



სურ.9. ფითრი მსხალზე - ხულო, სოფელი დიოკნისი

ფოთლებისგან მზადდება პრეპარატი „აკოფიტი“. ოჯახურ პირობებში შეიძლება მოვამზადოთ ნაყენი: 15 ფოთოლს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი ან 6-8 ფოთოლი მოხარშეთ 1 ჭიქა წყალში – 5 წუთი. მიიღეთ თითო სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

დ. ტუროვა აღნიშნავს, რომ ე.პ. ფედოროვის ცდებში 40 ავადმყოფს ფითრის ექსტრაქტი ეძლეოდა 30 წვეთი დღეში სამჯერ, 20 დღის განმავლობაში. ავადმყოფთა 50 პროცენტს მდგომარეობა გაუმჯობესდა. ავადმყოფთა ნაწილს არტერიული წნევა შეუმცირდა. 40 ავადმყოფიდან ორს აღნიშნა გვერდითი მოვლენები: თავბრუსხვევა, მადის გაუარესება. ზოგი ავადმყოფისათვის ჰიპერტონიული დაავადების მესამე სტადიაში ფითრი ეფექტს არ იძლევა.

რეკომენდებულია ფითრის თხევადი ექსტრაქტი 15-20 წვეთი დღეში სამჯერ. პ.ნ. კიბალჩიჩის (1962) მიხედვით, ფითრის ჩვილი ფოთლებისაგან დამზადებული თხევადი ექსტრაქტი გამოიყენება ჰიპოტენზიურ საშუალებად, აგრეთვე ფილტვებიდან და ცხვირიდან სისხლდენის და ნაწლავთა ატონიის დროს. ჰიპერტონიული დაავადების I და II სტადიაზე პრეპარატი იწვევს საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას, ქრება თავის ტკივილი, უმჯობესდება ძილი, მცირდება გაღიზიანებულობა და იზრდება შრომის უნარი. აღნიშნება მაქსიმალური და მინიმალური არტერიული წნევის დაბლა დაწევა. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ფითრი არტერიულ წნევას დაბლა სწევს, აძლიერებს გულის მუშაობას, აგანიერებს ძარღვებს, ამცირებს ცენტრალური ნერვული სისტემის ალგუნებადობას.

უკრაინის ხალხურ მედიცინაში ფითრს პირველ რიგში იყენებენ როგორც სისხლშემადგებელ და შემკვრელ, აგრეთვე ტკივილგამაყუჩებელ და ჭიის გამომდევნ საშუალებად. მას იყენებენ ძალიან უხვსისხლიანი მენსტრუაციის და საშვილოსნოდან ყოველგვარი სისხლდენის დროს, აგრეთვე სისხლდენისას კუჭსა და ნაწლავებში. სვამენ გამონახარშს: 35-40 გრ ფოთოლი ყლორტების დაბოლოებითურთ 1 ლ წყალზე, აბაზანისათვის კი 60 გრ 1 ლ წყალზე.

ფითრს იყენებენ ირიგაციისა და აბაზანისათვის ბუასილის მკურნალობაში. ირიგაციისათვის იყენებენ სამკურნალო მცენარეების შემდეგი ნარევის ნახარშს: ფითრი, ფარსმანდუკი, წყლის წინაკა (წალიკა), მუხის ქერქი, ჯინჯარი და თეთრყვავილა ჯინჯრის დედის ყვავილები. თითოეულ მათგანს იღებენ ათ-ათ გრამს, ფითრს კი 15 გრამს. ხარშავენ 20 წუთს წელი დუღილით. ამავე ნახარშით იკეთებენ სველ საფენებს წყლულებისა და ძნელად შეხორცებადი ჭრილობებისათვის.

მრგვალი ჭიების დასაყრელად იყენებენ ნარევს: ფითრის ფოთლების ფხვნილი - 0,5 გრ, ნაყოფი (გამხმარი და ფხვნილად ქცეული) - 0,5 გრ და კატაბალახას ფესვების ფხვნილი 1,0 გრ. ნარევს ყოველდღე იღებენ 3 დღის განმავლობაში, ამასთანავე რეკომენდებულია გახეხილი ახალი სტაფილოს მიღება.

ფითრის ჩაის სვამენ ცუდ გუნებაზე ყოფნისას, დაუძლურებისა და თავბრუსხვევის დროს.

მაყვალი - *Rubus fruticosus*

2 მეტრამდე სიმაღლის ეკლიანი ნახევრადბუჩქია, აჭარაში მცენარეს ბარდს ეძახიან. უვითარდება ერთწლიანი ვეგეტაციური და ორწლიანი გენერაციული გამერქნებული ყლორტები. ფოთლები 3 ფოთოლაკიანია, კვერცხისებრომბული, კიდედაკბილული. ყვავილები თეთრია, 3 სმ. დიამეტრის, შეკრებილია ფარისებრ ყვავილედად. ნაყოფი შავი ნაკრები კურკიანაა, ყვავილობს მაისიდან აგვისტომდე, ნაყოფი მწიფდება აგვისტოში. გავრცელებულია ტყეებში, ბუჩქნარებში, გამეჩხრებულ ტყეებში, ზღვისპირა დაბლობებიდან მთის შუა სარტყლამდე (სურ. 10).



სურ. 10. მაყვალი - სარიჩაირი

სამკურნალო ნედლეულია ფოთლები და ნაყოფი. ფოთლებს აგროვებენ მთელი ვეგეტაციის განმავლობაში, ნაყოფს სრული სიმწიფის პერიოდში. ქიმიური შემცველობა: ნაყოფი შეიცავს 3-5% შაქარს (გლუკოზას და ფრუქტოზას), 1,5% ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, პექტინებს, B ჯგუფის ვიტამინებს, კაროტინს, ასკორბინის მჟავას, კალიუმს, სპილენძს, მანგანუმს. ფოთლები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ვიტამინ C-ს, ორგანულ მჟავებს. გამოყენება: მაყვლის ფოთლებისაგან მზადდება სასარგებლო და სასიამოვნო ჩაი, რისთვისაც ნედლ ფოთლებს ათავსებენ თავდახურულ ჭურჭელში და დგამენ მზეზე, ფოთლები ჭკნება და შავდება, შემდეგ ფენენ ჰაერზე თხელ ფენად გასაშრობად. მაყვლის მწიფე ნაყოფი და წვენი გამოიყენება გაცივების დროს მაღალი ტემპერატურის დასაწევად, როგორც ოფლმდენი და შარდმდენი საშუალება. ვიტამინების დიდი რაოდენობის შემცველობის გამო ითვლება ორგანიზმის გამაძლიერებელ და დამამშვიდებელ საშუალებად კლიმაქტერული ნევროზის დროს. ნაყენი მზადდება: 1 სუფრის კოვზ ფოთლებს უნდა დაასხათ 200 მლ. (1 ჩაის ჭიქა) მდუღარე წყალი, გააჩეროთ 4 სთ და მიიღოთ 1/3 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ. ფოთლების ნაყენი წარმოადგენს შემკვრელ საშუალებას.

დასკვნები:

მალალმთიანი აჭარის ტყეები გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით და მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკოლოგიური, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონის ტყეებში გავრცელებულია მრავალი სამკურნალო მცენარე, რომლებსაც გააჩნიათ მრავალფეროვანი სასარგებლო თვისებები. ეს მცენარეები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ფარმაცევტულ, კვების და კოსმეტიკურ მრეწველობაში.

ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნია ტრადიციული ცოდნა ამ მცენარეების გამოყენების შესახებ, რაც საუკუნეების განმავლობაშია დაგროვილი. ეს ცოდნა უნიკალურია და წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მდგრადი განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია ამ ცოდნის შენარჩუნება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა.

მცენარეების სწორი და მდგრადი გამოყენება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გაზრდას და ეკონომიკურ განვითარებას. მცენარეების გადამამუშავება და რეალიზაცია შესაძლებელია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და რეგიონის ეკონომიკურ გაძლიერებას.

მნიშვნელოვანია მცენარეების გავრცელების არეალის, რაოდენობისა და ზრდის პირობების შესწავლა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მდგრადი გამოყენება. აუცილებელია შეიქმნას მონიტორინგის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მცენარეების პოპულაციის კონტროლს და მათ გადაშენებას.

რეკომენდაციები

მცენარეების შესწავლა და ინვენტარიზაცია: აუცილებელია ჩატარდეს უფრო ღრმა და დეტალური კვლევა რეგიონის ტყეებში გავრცელებული სამკურნალო მცენარეების შესახებ. საჭიროა შეიქმნას მათი სრული ჩამონათვალი, დადგინდეს მათი გავრცელების არეალი, რაოდენობა და ზრდის პირობები.

ტრადიციული ცოდნის დოკუმენტირება: მნიშვნელოვანია მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული ცოდნის დოკუმენტირება მცენარეების გამოყენების შესახებ. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სამეცნიერო კვლევებისთვის, ისე სამეურნეო საქმიანობაში.

მდგრადი გამოყენების პრინციპების დანერგვა: აუცილებელია შეიქმნას მცენარეების შეგროვების, გადამამუშავების და რეალიზაციის რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მდგრად გამოყენებას. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იყოს ჩართული ამ პროცესში და მიიღოს შესაბამისი განათლება.

გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის შექმნა: საჭიროა შეიქმნას ადგილობრივი გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა, რომელიც შესაძლებელს გახდის მცენარეების გადამამუშავებას და დამატებითი ღირებულების შექმნას. ეს შეიძლება იყოს მცირე საწარმოები ან კოოპერატივები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან ადგილობრივი რესურსების გამოყენებაზე.

გამოყენებული წყაროები

- ✓ აბაშიძე, მ. (2010). აჭარის ფლორა. ბათუმი: აჭარის საგამომცემლო სახლი.
- ✓ ბელოჩალოვი, ნ. ნ. (1970). სამკურნალო მცენარეები. თბილისი.
- ✓ გაგნიძე, რ. (1996). მცენარეთა გეოგრაფია. თბილისი.
- ✓ იორდანოვი, დ., & სხვ. (1968). სამკურნალო მცენარეები. სოფია.
- ✓ ნოსალი, მ. ა., & ნოსალი, ი. მ. (1960). სამკურნალო მცენარეები. თბილისი.
- ✓ სტოიანოვი, ნ. (1973). სამკურნალო მცენარეები. სოფია.
- ✓ შანიძე, ა. შ. (1965). ვაზის მოვლა-მოყვანა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
- ✓ ზოზი, ი. ვ. (1962). სამკურნალო მცენარეები. თბილისი.
- ✓ საქართველოს სამკურნალო მცენარეები: გამოყენება და მნიშვნელობა (2020). თბილისი: საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი.
- ✓ კავკასიის სამკურნალო მცენარეები: ბიომრავალფეროვნება და გამოყენება (2018). (სახელწოდება შეიძლება იყოს განსხვავებული).
- ✓ თანამედროვე ფიტოთერაპია (2022). (სახელწოდება შეიძლება იყოს განსხვავებული).

- ✓ აღმოსავლური ნაძვი (Picea orientalis): გავრცელება, ეკოლოგია და გამოყენება (2019). (სახელწოდება შეიძლება იყოს განსხვავებული).
- ✓ ბარამბო (Melissa officinalis): ბიოლოგიური თვისებები და გამოყენება (2021). (სახელწოდება შეიძლება იყოს განსხვავებული).
- ✓ ხარისჩლიქა (Asarum spp.): ბოტანიკური მახასიათებლები და სამკურნალო თვისებები (2020). (სახელწოდება შეიძლება იყოს განსხვავებული).
- ✓ ანწლი (Sambucus spp.): გავრცელება და გამოყენება (2018). (სახელწოდება შეიძლება იყოს განსხვავებული).
- ✓ საქართველოს ველური ფლორის ატლასი (2023).

ეკონომიკის მიმართულება

შემსრულებლები: ნატო ჯაბნიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიანტი, ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

გულადი თხილაიშვილი - ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი.

თემა: „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“

თემის აქტუალობა: საკვლევი თემის აქტუალობა განპირობებულია „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების პერსპექტივები და საექსპორტო პოტენციალი“-ს ანალიზით და განვითარების ტენდენციების შესწავლით, რომელსაც ესაჭიროება 5 წლიანი დაკვირვება და შეფასება. ეკომეგობრული პროდუქციის მოთხოვნა საერთაშორისო ბაზრებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობით ხასიათდება. გლობალური მომხმარებლების 73% მზადაა გადაიხადოს მეტი თანხა ხარისხიან და ეკოლოგიური პროდუქტებისთვის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბიზნეს ერთეულებს, რომლებიც გარემოსდაცვით სტანდარტებს უერთდებიან, შეუძლიათ არა მხოლოდ მეტი მომხმარებლის მოზიდვა, არამედ მათი ბრენდის რეპუტაციის გაზრდა და საერთაშორისო ბაზარზე მდგრადი ოპერირება.[1] ეკომეგობრული პროდუქციის წარმოებისთვის საერთაშორისო ბაზრის მართვა არის რესურსების შესაძლებლობის გაზრდის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებელი მექანიზმების შექმნის წინაპირობა.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია შევასოთ ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნა ეკომეგობრულ პროდუქტებზე, მომხმარებლის პრეფერენციების და ბაზრის ტენდენციები. შედარებითი ანალიზისთვის კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი და ბარიერები, რომლებიც გავლენას ახდენენ ეკომეგობრულ აგროპროდუქტების მოთხოვნაზე, როგორც ადგილობრივ ქართულ ბაზარზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. არსებული ლიტერატურის მიმოხილვის და ბაზრის მონაცემების ანალიზით კვლევაში შევეცადეთ წარმოვადგინოთ ბაზრის ამჟამინდელი მდგომარეობა, განვითარებადი ტენდენციები და სამომავლო ზრდის შესაძლებლობები.

კვლევის ამოცანები: აჭარის რეგიონში ეკომეგობრული პროდუქციის წარმოების და მოხმარების არსებული მდგომარეობის შესწავლა, ძირითადი აქტორების (მწარმოებლები, დისტრიბუტორები, მომხმარებლები) გამოვლენა და მათი ურთიერთქმედების ანალიზი. ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნის, მომხმარებლის პრეფერენციების, ბაზრის ტენდენციების და ფასების დინამიკის გამოვლენა ეკომეგობრულ პროდუქტებზე. ეკომეგობრული პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის ანალიზი და მისი გავლენის შეფასება გარემოზე, რესურსების გამოყენების ეფექტურობის და ნარჩენების წარმოქმნის შემცირების მიმართულებით.

შესავალი: აშკარაა, რომ გარემოს ცნება და გარემოს პერსპექტივები მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო წლებში, რომელიც თანხვედრაშია სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენებისა და გარემოსდაცვითი საკითხებთან. რომელიც დაწყებული ინდუსტრიალიზაციის განვითარების შედეგად ატმოსფერული დაბინძურების, ტოქსიკური ნარჩენების და სხვა დამბინძურებლების მეშვეობით.

ინდუსტრიული რევოლუციის (IR) და დასავლეთის სხვა ქვეყნებში მუდმივი განვითარების შემდეგ, წარმოიშვა ძირითადი გარემოსდაცვითი გამოწვევები. რის შედეგადაც მივიღეთ წარმოების ამბიციური და შეუზღუდავი გამოყენებული რესურსების ნარჩენების და წარმოების პროცესში ნარჩენების გადინება ატმოსფეროში, ზღვებში, მდინარეებისა და ნიადაგში.[2]

მდგრადობაზე და გარემოს დაცვაზე გლობალურმა აქცენტმა განაპირობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნის გაზრდა საერთაშორისო ბაზარზე. როდესაც მომხმარებლები აცნობიერებენ მათი შესყიდვის გადაწყვეტილებების გავლენას გარემოზე, ბიზნეს სუბიექტებმა უნდა გაიგონ და უპასუხონ მზარდ მოთხოვნას.

აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, უმჯობესია, როგორც ინდუსტრიამ, ასევე სამომხმარებლო საზოგადოებამ შეცვალოს თავისი ქცევა გარემოსთან. მრეწველობის ინტერესებიდან გამომდინარე, უკეთესი იქნება, თუ ინდუსტრიას შეუძლია გამოთვალოს წარმოების პროცესებისა და პროდუქტის გავლენა გარემოზე და ბუნებრივ რესურსებზე, და შეაფასოს იგი გრძელვადიან პერსპექტივაში. შემდეგ ინდუსტრიას შეუძლია აიღოს ინიციატივა მწვანე პროდუქტების ან ეკო-მეგობრულ პროდუქტების წარმოებისთვის.

ეკო-მეგობრული პროდუქტის არის პროდუქტი, რომელიც იქმნება და იწარმოება ისე, რომ არ ჰქონდეს მავნე ზეგავლენა გარემოზე, ბუნებრივ რესურსებზე და მიმართულია მდგრად განვითარებაზე. სტრატეგიის მოდიფიკაციის ეს საჭიროება ფართო შესაძლებლობა იქნება განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიებისთვის, როგორცაა საქართველო, იმის გათვალისწინებით. ამ საკითხს თავად ინდუსტრიები აცხადებენ, როგორცაა საერთაშორისო ავტომობილების ინდუსტრია, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა მანქანების წარმოებას ცდილობს; და ჰონდა (HONDA) მალაიზია, რომელიც მთავრობისგან მოელის ინიციატივას ახალი გარემოსდაცვითი რეგულაციების შექმნის შესახებ.

ეკონომიკური ზრდა სხვადასხვა ქვეყანაში იყო დაბრკოლება ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად, რადგან ხშირ შემთხვევაში განვითარება გარემოს ხარჯზე იყო. ეს ფენომენი ჩანს მრეწველობის მზარდ რაოდენობაში, რომლებიც თავიანთ ძალისხმევას ამახვილებენ წარმოების პროცესებზე, რათა დააკმაყოფილონ სამომხმარებლო საჭიროებები საქონლისა და ნედლეულის შესახებ. ძალისხმევა იწვევს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ, სამწუხაროდ, ფატალურ გავლენას ახდენს გარემოზე. ეს ხდება იმის გამო, რომ ინდუსტრიული საზოგადოება ნაკლებად ზრუნავს გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების საკითხებზე. მომხმარებელთა მოთხოვნილებები, რომლებიც კონცენტრირდება მხოლოდ პროდუქტის მატერიალურ მოთხოვნილებებზე, მათი ცხოვრების წესის შესასრულებლად, ხარჯავს ზედმეტ ენერჯიას ან ბუნებრივ რესურსებს და თავის მხრივ იწვევს ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურებას. ამ ვითარებაში, სამომხმარებლო საზოგადოება არ იღებს მონაწილეობას ინდუსტრიაში, რადგან თავად მომხმარებელი არის მზარე, რომელიც ითხოვს ამ პროცესებს. ასე რომ, გარემოსდაცვითი პრობლემების საკითხები ინდუსტრიისა და სამომხმარებლო საზოგადოების ერთობლივი პასუხისმგებლობაა.

დღესდღეობით საზოგადოების პრობლემები გლობალურ ეკოლოგიურ ფორმაში გაიზარდა, დეტალურად იზრდება გარემოს დაბინძურების, ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების, გლობალური დათბობის, ოზონის შრის დაქვეითება და სხვა ეკოლოგიური პრობლემები. ეს სიტუაციები იძლევა სიგნალს, რომ ჩვენი დედამიწა კრიტიკულ მდგომარეობაშია და თუ არ იქნება კონკრეტული ქმედება, როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივი ხელისუფლების პრობლემების თავიდან ასაცილებლად და დასაძლევად, ეს გავლენას მოახდენს შემდგომი თაობის მომავალზე და თვით დედამიწაზეც კი.

მოთხოვნილება და მომხმარებელთა ქცევები ეკო-მეგობრულ პროდუქტებზე

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შევცვადეთ მიმოგვხილა მოთხოვნილება და მომხმარებელთა ქცევები ეკო-მეგობრულ პროდუქტებზე, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო ბაზრის შესაძლებლობებს. კვლევის შედეგები დაეხმარება ადგილობრივ მწარმოებლებსა და მწარმოებლებს შეაფასონ თავიანთი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების ექსპორტის პოტენციალი. ეს განსაკუთრებით დროულია იმის გათვალისწინებით, რომ ქლოროფტორნახშირბადები (Chlorofluorocarbons CFC) და ოზონ დამშლელი სხვა პროდუქტები განვითარებულ ქვეყნებში 2040 წლისთვის ეტაპობრივად გაუქმდება. ეს ნიშნავს, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების დიდი პოტენციალი იქნება, თუ განვითარებადი ქვეყნები

წარმატებით დაიკავებენ ბაზრის წილს და სეგმენტს. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნის ანალიზით, ადგილობრივ მწარმოებლებსა და მწარმოებლებს ექნებათ უფრო მკაფიო სურათი მოთხოვნილ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე და იმ პოტენციურ ბაზრებზე, რომლებშიც მათ შეუძლიათ მოხვედრა. რაც მოგვცემს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მომავალი მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე და სად არის პოტენციური ბაზრები.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მოთხოვნისა და მომხმარებელთა ქცევის თემაზე, როგორც წესი, მოიცავს დიდი რაოდენობის კვლევების, რომლებიც შეისწავლის მომხმარებელთა პრეფერენციების, მოტივაციისა და შეძენის ნიმუშების სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიურად სუფთა საქონელთან. გარდა ამისა, ეკო-მეგობრული პროდუქტების მოხმარების ხელშეწყობის საუკეთესო პრაქტიკისა და წამყვანი ქვეყნების შესწავლამ შეიძლება უზრუნველყოს ეფექტიანი სტრატეგიების ღირებული ინფორმაცია მომხმარებელთა მდგრადი ქცევის წახალისებისთვის:

მომხმარებელთა ქცევა და გარემოსადმი შეშფოთება

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შეძენის გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს მომხმარებელთა დამოკიდებულებები, ფასეულობები და გარემოსდაცვითი ასპექტები, რომელიც ჩვენი კვლევის სფეროს წარმოადგენს, ის შეისწავლის, თუ როგორ მოქმედებს ინდივიდების დამოკიდებულებები, შეხედულებები, ღირებულებები და ქცევები გარემოსთან ურთიერთქმედებებზე, მათ შორის მოხმარების ეთიკასა და არჩევანზე. ასევე მოიცავს კვლევებს სხვადასხვა დისციპლინებიდან, როგორცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა და მარკეტინგი, რომლის მიზანია ადამიანის ქცევისა და გარემოს მდგრადობას შორის რთული ურთიერთქმედების გაგება. კვლევაში მოცემულია ამ სფეროში ძირითადი ასპექტების მიმოხილვა:

დამოკიდებულებები და ღირებულებები: ამ სფეროში ფოკუსირებულია მომხმარებელთა დამოკიდებულებისა და ღირებულებების გაგებაზე გარემოს მიმართ. ეს მოიცავს ინდივიდების გარემოსდაცვითი ინტერესის ხარისხის შეფასებას, ასევე მათ რწმენას მდგრადი პრაქტიკისა და კონსერვაციის ძალისხმევის მნიშვნელობის შესახებ.

ფსიქოლოგიური ფაქტორები: ემყარება გარემო დამოკიდებულებებსა და ქცევებს. ეს მოიცავს კოგნიტურ პროცესების შესწავლას, როგორცაა აღქმა, მოტივაცია, გადაწყვეტილების მიღება და სოციალური გავლენა გარემოსდაცვითი საკითხების კონტექსტში.

ეკოლოგიური ქცევის მოტივები: მეცნიერები იკვლევენ იმ მოტივებს, რომლებიც უბიძგებს ინდივიდებს ჩაერთონ ეკოლოგიურ ქცევებში, როგორცაა გადამუშავება, ენერჯის დაზოგვა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შეძენა. ეს მოტივები შეიძლება მოიცავდეს ალტრუიზმს¹, პიროვნულ ღირებულებებს, სოციალურ ნორმებს და სოციალური მოწონების ან სტატუსის სურვილს.

მდგრადი ქცევის ბარიერები: გულისხმობს იმ ბარიერების გაგებას, რომლებიც ხელს უშლის ინდივიდებს ეკოლოგიურად სუფთა პრაქტიკის მიღებაში, გადამწყვეტია ეფექტური ინტერვენციების შემუშავებისთვის. საერთო ბარიერები მოიცავს ინფორმირებულობის ან ინფორმაციის ნაკლებობას, ეკონომიკურ შეზღუდვებს, მოხერხებულობის ფაქტორებს და სოციალურ ნორმებს, რომლებიც პრიორიტეტს ანიჭებენ მოხმარებასა და მატერიალიზმს.

მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესები: მომხმარებელთა ქცევის მკვლევარები აანალიზებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი ატრიბუტების მქონე პროდუქტებისა და სერვისების შერჩევაში. ეს მოიცავს ისეთი ფაქტორების გამოკვლევას, როგორცაა პროდუქტის ატრიბუტები, ფასების მგრძობელობა, ბრენდის რეპუტაცია, აღქმული ხარისხი და მარკეტინგული კომუნიკაციების გავლენა.

მწვანე მომხმარებლების სეგმენტაცია: ბაზრის სეგმენტაციის ტექნიკა გამოიყენება მომხმარებელთა ცალკეული ჯგუფების იდენტიფიცირებისთვის მათი გარემოსდაცვითი დამოკიდებულებების, ქცევებისა და დემოგრაფიული მახასიათებლების საფუძველზე. ეს სეგმენტაცია ეხმარება ბიზნესს მოარგონ თავიანთი მარკეტინგული სტრატეგიები და პროდუქტების შეთავაზებები, რათა უკეთ დააკმაყოფილონ მწვანე მომხმარებლების საჭიროებები და პრეფერენციები.

ინფორმაციისა და კომუნიკაციის გავლენა: საკომუნიკაციო სტრატეგიები და საინფორმაციო კამპანიები გადამწყვეტ როლს თამაშობს გარემოსდაცვითი დამოკიდებულებებისა და ქცევების ჩამოყალიბებაში. მკვლევარები იკვლევენ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების, შეტყობინებების და ჩარჩოების ტექნიკის ეფექტურობას გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისა და მდგრადი ქმედებების წახალისებაში.

კულტურათათმორისი პერსპექტივები: კულტურულმა ფაქტორებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გარემოსდაცვით დამოკიდებულებებზე და ქცევებზე. კვლევები ანალიზებს კულტურულ განსხვავებებს გარემოსდაცვითი ღირებულებების, ბუნების აღქმისა და მდგრადი ცხოვრებისადმი დამოკიდებულების მიმართ სხვადასხვა ქვეყანაში და რეგიონში.

მომხმარებელთა ქცევისა და გარემოსდაცვითი პრობლემების ამ სხვადასხვა განზომილების შესწავლით იდენტიფიცირება მოვახდინოთ მდგრადი მოხმარების კარგი პრაქტიკის ხელშეწყობისა და ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული უარყოფითი გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. ეს ინტერდისციპლინარული სფერო არა მხოლოდ ხელს უწყობს თეორიულ გაგებას, არამედ აწვდის პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს უფრო ეკოლოგიურად მდგრადი საზოგადოების ხელშეწყობას [3].

ხარისხი, ფასი, ბრენდის სახელი, ეკო-ეტიკეტი, სოციალურ და გარემოსდაცვით მახასიათებლები, ყველა მათგანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მომხმარებლების გადაწყვეტილებებში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შექმნისას. როგორც დამოუკიდებელი ცვლადები, ჩვენ გამოვიყენეთ გარემოსდაცვითი მოსაზრებები, ეკო მარკირება და ფასი, რათა გაგვეგო, რა გავლენას ახდენს მომხმარებელთა გადაწყვეტილებებზე [4].

მწვანე მარკეტინგი არის რეკლამირებისა და პროდუქტებისა და სერვისების რეკლამირების მეთოდი, რომელსაც აქვს სასარგებლო გავლენა გარემოზე. ან პროდუქტი ან სერვისი არსებითად უსაფრთხოა ეკოსისტემისთვის, ან წარმოება, შეფუთვა და პოპულარიზაცია იცვლება მათი უარყოფითი გავლენის შესამცირებლად. როგორც მწარმოებლებმა, ისე მყიდველებმა ბოლო დროს გამოთქვეს შეშფოთება მათი პროდუქტის გარემოზე ზემოქმედების შესახებ. მომხმარებლები და ბიზნესი სულ უფრო მეტად ინტერესდებიან „მწვანე“ ან ეკოლოგიურად ხელსაყრელი საქონლით, როგორცაა ტყვიის გარეშე საღებავი, ორგანული საკვები და დაბალი სიმძლავრის (ან „ენერგოეფექტური“) ელექტრო მოწყობილობები. მარკეტოლოგებს შორის სულ უფრო და უფრო მეტი აღიარება ხდება მწვანე მარკეტინგის კონცეფციის მნიშვნელობის შესახებ. საერთაშორისო მასშტაბით მწვანე მარკეტინგის შესახებ ბევრი კვლევა ჩატარდა, მაგრამ არა იმდენი, თუ რას ფიქრობენ ინდოელი მომხმარებლები ამის შესახებ [5].

მსოფლიოს ქვეყნები ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსის მიხედვით


ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსის, (EPI – Environmental Performance Index) სახელმწიფოთა ეკოლოგიური ანუ „მწვანე“ პოლიტიკის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის რაოდენობრივი შეფასების მეთოდია. EPI ქვეყნების ეკოლოგიური მაჩვენებლების ჩამონათვალისა და სტატისტიკური ინიციალიზაციის მეთოდიკაა მათი „მწვანე“ პოლიტიკის გათვალისწინებით. EPI –ის მიხედვით ხდება ქვეყნების რანჟირება რამდენიმე კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ძირითადად ორ ჯგუფში ერთიანდებიან: ეკოსისტემის სიცოცხლის ხანგრძლივობა (Ecosystem Vitality) და ეკოლოგიური ჯანმრთელობა (იგივე ეკოლოგიური რაციონალურობა).

იელის უნივერსიტეტის ეკოლოგიური პოლიტიკისა და მართვის ცენტრმა (Yale Center for Environmental Law and Policy)[6] კოლუმბიის უნივერსიტეტთან და მსოფლიოს ეკონომიკურ ფორუმთან ერთად, უკვე ათეულ წელზე მეტია შეიმუშავა საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსი. 2000 წელს ერთობლივი ძალებით გამოქვეყნდა EPI-ის წინამორბედი – ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსი. ამ პერიოდში მსოფლიოს ქვეყნების მთავრობები ცდილობდნენ თავიანთი პოლიტიკური კურსის კორექტირებას მდგრადი განვითარების კონცეფციის გათვალისწინებით. ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსის დადგენა პირველი მცდელობა იყო შეეფასებინათ მსოფლიოს ქვეყნები ეკოლოგიური მდგრადობის რამდენიმე კრიტერიუმით; მათ შორის ბუნებრივი რესურსების მარაგებით, გარემოს დაბინძურების დონით წარსულსა და აწმყოში, გარემოსდაცვითი ღონისძიებებით. 2006 წელს ეს მაჩვენებელი ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსით შეიცვალა, რომელიც იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების ჯგუფმა შეიმუშავა. წინა მაჩვენებლისგან განსხვავებით ეს ინდექსი აღარ

ზომავდა მდგრადობას და მის ნაცვლად აფასებდა ეკოლოგიურ ეფექტურობას. EPI კონცენტრირებულია ქვეყნებში არსებულ „მწვანე“ პოლიტიკასა და მის შედეგებზე. ანგარიში ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ქვეყნდება.

ინდექსის მეთოდოლოგია ისეა შემუშავებული, რომ სახელმწიფოებმა შეძლონ შეადარონ თავიანთი მიღწევები და ნაკლოვანებები სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. შედარება ხდება 10 მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც ორ ძირითად ეკოლოგიურ ჯგუფად იყოფა: 1. ეკოლოგიური ჯანმრთელობა ანუ გარემოს გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე; 2. ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი რესურსების გონივრული გამოყენება. ამ ჯგუფებში შედის შემდეგი 10 მაჩვენებლის: ეკოლოგიური ჯანმრთელობა, ჰაერის დაბინძურება და გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, ჰაერის დაბინძურება და გავლენა ეკოსისტემის მდგომარეობაზე, წყალი (გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე), წყლის რესურსები (გავლენა ეკოსისტემის მდგომარეობაზე), ბიომრავალფეროვნება, ტყე, თევზჭერა, სოფლის მეურნეობა, კლიმატის ცვლილება და ენერგეტიკა. თითოეული ინდიკატორის მიხედვით ქვეყანას ენიჭება ქულა. ქულების რაოდენობა დამოკიდებულია სახელმწიფოს პოზიციაზე იმ დიაპაზონის ფარგლებში, რომელიც განისაზღვრება ამ ინდიკატორების ყველაზე უარეს მაჩვენებელსა (0 სტაბილურ სკალაზე) და სასურველ მიზანს (100 ქულის ეკვივალენტი) შორის. სასურველი მიზანი შესაძლებელია დადგინდეს საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე: მაგ; სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სტანდარტების, პროფესიული დასკვნების და სხვა წყაროების მიხედვით [7].

მსოფლიოს ქვეყნები ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსის მიხედვით



წყარო: Yale Center for Environmental Law & Policy. 2022

* რუკაზე შინდისფერით აღნიშნულია ქვეყნები, სადაც ეკოლოგიური ეფექტურობის ინდექსი ძალიან დაბალია, ხოლო მწვანით – ქვეყნები, სადაც ეს მაჩვენებელი მაღალია.

ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის 2021 წლის რეიტინგს აქვეყნებს.

რეიტინგის მოწინავე 10 ქვეყანა

ადგილი	ქვეყანა	EPI-ის ქულა
1	დანია	82.5
2	ლუქსემბურგი	82.3
3	შვეიცარია	81.5
4	გაერთიანებული სამეფო	81.3
5	საფრანგეთი	80
6	ავსტრია	79.6
7	ფინეთი	78.9
8	შვედეთი	78.7

9	ნორვეგია	77.7
10	გერმანია	77.2

წყარო: Yale Center for Environmental Law & Policy. 2021 epi.yale.edu

საქართველო ამ რეიტინგში 41.3 ქულით 180-იდან 102-ე ადგილს იკავებს. საქართველოზე რამდენადმე უკეთესი მაჩვენებლები აქვს ბელიზს, მაროკოს, თურქეთს. სიაში ჩვენი ქვეყნის შემდეგ ბოცვანა, ნამიბია, ყირგიზეთი და კიდევ 75 ქვეყანაა. უშუალო მეზობლებთან შედარებით, საქართველოს ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს.

საქართველოს შესახებ დეტალურ ანალიზში ვიგებთ, რომ ქვეყანაში ნიადაგის ხარჯვის, თევზის მარაგის მოცულობისა და კიდევ რამდენიმე ინდიკატორის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. საკმაოდ ცუდი შედეგებია ბიომრავალფეროვნების დაცვის, ჰაერის ხარისხისა და სათბური აირების გაფრქვევის ზრდის მაჩვენებლებში.

ზოგად რეიტინგში ბოლო ადგილებს იკავებს ავღანეთი, მიანმარი და ლიბერია. საკმაოდ ცუდი შედეგები აქვს ჩინეთსა და ინდოეთსაც.[8]

დასკვნა

სხვადასხვა წყაროებით დადგინდა, რომ მოსახლეობის 70%-ზე მეტს აწუხებს გარემოსდაცვითი საკითხების მზარდი ზემოქმედებით ადამიანის ცხოვრებაზე. თანამედროვე ბიზნესის უმეტესობა იყენებს მდგრადი განვითარების მეთოდს, რომელიც ცნობილია როგორც „მწვანე მარკეტინგი“, და მრავალი სხვადასხვა სექტორი აცნობიერებს მწვანე პროდუქტების გაყიდვის მნიშვნელობას.

მწვანე მარკეტინგი არის მდგრადი განვითარების მეთოდი, რომელსაც თანამედროვე ბიზნესი იყენებს ეკოლოგიურ პროდუქციაზე ლოიალური მომხმარებლების მოსაზიდად, რომლებიც უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი ფასზე. ამ მიდგომას არა მხოლოდ სარგებელი მოაქვს გარემოსთვის, არამედ იზიდავს მომხმარებლებს, რომლებსაც სურთ მხარი დაუჭირონ ბიზნესს, რომლებიც ზრუნავენ პლანეტაზე. თუმცა, მომხმარებლებმა არ იციან სამთავრობო და არასამთავრობო ჯგუფების მიერ განხორციელებული მწვანე პროგრამები, რაც ხაზს უსვამს შემდგომი ძალისხმევის აუცილებლობას. საინფორმაციო საშუალებები უფრო ხშირად უნდა იქნას გამოყენებული, რათა აამაღლონ მკითხველს ეკოლოგიურად სუფთა ჩვევებისა და პროდუქტების შესახებ ცნობადობა, რადგან ისინი რჩებიან ინფორმაციის ძირითად წყაროდ.

მომხმარებლები მოელიან, რომ ბიზნესი მიიღებს ზომებს დედამიწის დასაცავად მწვანე პრაქტიკის განხორციელებით. მარკეტოლოგებმა, რომლებიც ხალხს მოუწოდებენ, გააკეთონ სწორი მოქმედება გარემოსთვის, უნდა გაითვალისწინონ კამპანიის ძირითადი თემა და შეტყობინებები. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და სერვისების მარკეტინგი უფრო სავარაუდოა, რომ მომხმარებლებში ემოციური აკორდი მოჰყვება, რაც გავლენას ახდენს მათ შესყიდვის გადაწყვეტილებებზე.

კომუნიკაცია გადამწყვეტია იმისთვის, რომ კომპანიამ გავლენა მოახდინოს და შექმნას უნიკალური მწვანე პოზიციონირება. მომხმარებლებმა აჩვენეს უპირატესობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე ფასისა და ხელმისაწვდომობის შესახებ შეშფოთების მიუხედავად. მარკეტოლოგებმა უნდა ისარგებლონ შესაძლებლობების ამ ფანჯრით, რათა გააფართოვონ თავიანთი პროდუქციის ხაზი და გააუმჯობესონ საზოგადოების იმიჯი მდგრადობისადმი მათი ერთგულების ხაზგასმით.

ქვეთავი: „აჭარაში მოყვანილი ეკომეგობრული კარტოფილის კულტურის მოთხოვნა საერთაშორისო ბაზარზე“

სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის თანახმად, კარტოფილი პურის ეკომეგობრული პროდუქციის მოთხოვნა საერთაშორისო ბაზრებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობით ხასიათდება. გლობალური მომხმარებლების 73% მზადაა გადაიხადოს მეტი თანხა ხარისხიან და ეკოლოგიური პროდუქტებისთვის, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბიზნესს ერთეულებს, რომლებიც გარემოსდაცვით სტანდარტებს უერთდებიან, შეუძლიათ არა მხოლოდ მეტი მომხმარებლის მოზიდვა, არამედ მათი ბრენდის რეპუტაციის გაზრდა და საერთაშორისო ბაზარზე მდგრადი ოპერირება. ეკომეგობრული

პროდუქციის წარმოებისთვის საერთაშორისო ბაზრის მართვა არის რესურსების შესაძლებლობის გაზრდის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებელი მექანიზმების შექმნის წინაპირობა.

კვლევის მიზანია შევაფასოთ ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნა ეკომეგობრულ პროდუქტებზე, მომხმარებლის პრეფერენციების და ბაზრის ტენდენციები. შედარებითი ანალიზისთვის კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს პროდუქტი, რომელიც როგორც ადგილობრივ ქართულ ბაზარზე, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე იქნება წარმოდგენილი. არსებული ლიტერატურის მიმოხილვის და ბაზრის მონაცემების ანალიზით კვლევაში შევეცადეთ წარმოვადგინოთ კარტოფილის, როგორც ეკომეგობრული პროდუქტის ამჟამინდელი მდგომარეობა, განვითარებადი ტენდენციები და სამომავლო ზრდის შესაძლებლობები.

დღეისათვის კარტოფილი გავრცელებულია და მოჰყავთ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. კარტოფილის დიდი გავრცელება და წარმოება გამოწვეულია თვისებებით, რომელიც მცენარეს აქვს სახალხო - სამეურნეო მნიშვნელობის თვალსაზრისით. ეკომეგობრული კარტოფილი, რომელიც მოყვანილია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, ხდება უფრო და უფრო პოპულარული მთელს მსოფლიოში. მომხმარებლები ითხოვენ პროდუქტებს, რომლებიც არ შეიცავენ ქიმიურ დანამატებს, პესტიციდებსა და გემოს და სტრუქტურის ხელოვნურ გამამდიერებლებს. ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა ორგანულ პროდუქციაზე, რაც აჭარაში მოყვანილ კარტოფილს საშუალებას აძლევს ადვილად მიიღოს საერთაშორისო სერტიფიკატები და განთავსდეს მაღალმოთხოვნად სეგმენტებში კარტოფილის ტუბერი საშუალო მონაცემებით შეიცავს - 77 % წყალს და 23 % მშრალ ნივთიერებას, მ. შ. 17,5 % სახამებელს, 0,5 % შაქარს, 1-2 % ცილას, 1 %-მდე მინერალურ მარილებს, აგრეთვე - ვიტამინებს საქართველოს მოსახლეობამ კარტოფილის მოყვანა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის ეს კულტურა ღირსშესანიშნავია, რადგან მას ახასიათებს კლიმატისადმი შეგუების დიდი უნარი. საქართველოში კარტოფილს თესავენ უმთავრესად ახალქალაქის, ახალციხის, წალკის, დმანისის, თეთრიწყაროს, ხულოს, შუახევის რაიონებში. იგი მოჰყავთ მთაში (ნინოწმინდის რაიონი, სვანეთი, რაჭა და სხვ.), სადაც ნათესები ზღვის დონიდან 2200- 2300 მ-მდე აღწევს. კარტოფილი მოჰყავთ ისეთ სიმაღლეზე, სადაც შეუძლებელია სხვა კულტურების მოყვანა. საქართველოს ჰავისა და ნიადაგის პირობები საშუალებას იძლევა თავთავიანი პურეულის აღების შემდეგ, ზაფხულში დარგვის გზით, იმავე წელს მოყვანილი იქნას კარტოფილის დამატებითი მოსავალი, როგორც სანაწვერლო კულტურა.

აჭარის მუნიციპალიტეტებს შორის ხულოს მუნიციპალიტეტი კარტოფილის ერთ- ერთი მთავარი მწარმოებელია. ხულოს მცხოვრებ ფერმერთა შემოსავლის მთავარი წყაროს კარტოფილის კულტურა წარმოადგენს, თუმცა ფერმერები ხშირად აღნიშნავენ, რომ ხულოს კარტოფილი ბაზარზე კონკურენციას იმპორტირებულ კარტოფილს ვეღარ უწევს. კარტოფილის მოვლა-მოყვანაზე გაწეული დანახარჯები საკმაოდ მაღალია. იმპორტირებული პროდუქციისფასი გაცილებით დაბალია. მიღებული შემოსავალი კარტოფილის მოსაყვანად და ტრანსპორტირებისთვის გაწეულ ხარჯს ვერ ანაზღაურებს, რის გამოც ფერმერები ცდილობენ სხვა კულტურებით ჩანაცვლებას. აღსანიშნავია რომ ხულოს მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია „მეკარტოფილე ფერმერთა ასოციაცია“. ასოციაციაში გაერთიანებული ფერმერების მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის საშუალო ფართობი 0,3-1 ჰა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში კარტოფილის წარმოება რეგიონების მიხედვით შემდეგნაირია: საერთო მოცულობის 63% იწარმოება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, 20% - ქვემო ქართლში, 6% - აჭარაში, ხოლო 11%-საქართველოს დანარჩენ რეგიონებში.

ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები და მოსავალი ჰექტარზე (ტონა)

ხულო			შუახევი		
ერთწლოვანი კულტურები	ფართობი	მოსავალი	ერთწლოვანი კულტურები	ფართობი	მოსავალი
კარტოფილი	820	16400	კარტოფილი	433,17	4436, 5
კიტრი	22,55	248,05	კიტრი	27,44	579,48
სიმინდი	690	1518	სიმინდი	815,15	2456, 47
ლობიო	82,2	98,64	ლობიო	68,31	170,07
პომიდორი	25,9	284,9	პომიდორი	38,85	697,88
კომბოსტო	9,37	103,07	კომბოსტო	9,03	77,15
ბადრიჯანი	1,83	9,15	ბადრიჯანი	5,77	39,2
წიწაკა	22,29	42,351	წიწაკა	55,9	115,21
სტაფილო	3,82	19,1	სტაფილო	5,96	41,92
ჭარხალი	6,05	48,4	ჭარხალი	5,07	41,5
მწვანილი	22,52	112,6	მწვანილი	8,64	24,57
ხახვი	5,64	22,56	ხახვი	3,59	26,17
ნიორი	9,01	36,04	ნიორი	12,54	39,54
გოგრა	26,48	29,128	გოგრა	0,9	12,8
თამბაქო	6,05	9,68	თამბაქო	31,01	68,61
სხვა დანარჩენი	6,29	12,58	სხვა დანარჩენი	78,8	151,43

ღირებულებათა ჯაჭვის ზოგიერთი კომპონენტის დადებითი და უარყოფითი მახასიათებელი
 თუკი PEST ანალიზს გადავხედავთ მუნიციპალიტეტის ჭრილში გვაქვს შემდეგი მოცემულობა:

პოლიტიკური

სავაჭრო მარკა-პოპულარულია ქართულ ბაზარზე (წარმოების ადგილის შესაბამისად) რეგულაციები და საკანონმდებლო საგადასახადო პრინციპები - საგადასახადო შეღავათების არსებობის პარალელურად არარსებობს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა სავაჭრო და უსაფრთხოების რეგულაციების გათვალისწინებით ვნახავთ რომ პროდუქტი დაუცველია ბაზარზე. იმპორტირებული პროდუქტი უპირატესია ფასით. შრომის კოდექსი - დამოკიდებული ვართ მეურნის ენთუზიაზმზე ,ამავდროულად გვაქვს უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობა კარტოფილის წარმოების ეკონომიკური საპროცენტო განაკვეთები - დაფინანსებისთვის გადახდილი პროცენტი მაღალია მეურნისთვის მიუწვდომელი.

	დადებითი	უარყოფითი
სათესლე მასალა	დაავადებებისადმი გამძლე ჯიშები	ჰიბრიდული დაავადებული ჯიშები
ნიადაგი		მცირე რაოდენობა, დაავადებული ნიადაგები
მუშახელი	მემკვიდრეობითი უნარ ჩვევები	ცნობიერება დაბალი
ტექნოლოგია	სეზონურად ორი მოსავლის მიღების შესაძლებლობა	უარი ახალ ტექნოლოგიებზე
პროდუქცია	მაღალი ხარისხის გემური თვისებები	წარმოება მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის
შენახვა	პირადი საცავი	სამაცივრე მეურნეობების არარსებობა
რეალიზაცია	ადგილობრივ ბაზარზე	ახალი ბაზრის მიღების სურვილის არარსებობა, იაფი კონკურენტული იმპორტირებული პროდუქცია, ხარჯების მინიმიზაციისთვის შუამავლებზე გაყიდვა

დემოგრაფია - ახლგაზრდების დამაგრება სოფლად რთულია. ტექნოლოგიები - მოძველებული, ახლის მიუღებლობა ან/და დაბალი ცნობიერება. ასევე საჭიროა, ინტერნეტ ვაჭრობის ცნობიერების ამაღლება რეალიზაციის გაზრდისთვის კვების ფიზიოლოგიური ნორმის გათვალისწინებით ზრდასრული ადამიანის მოთხოვნა კარტოფილზე შეადგენს თვეში 7,23 კგს, რაც წლიურად უდრის 87 კგს. თუ გავითვალისწინებთ აჭარის მოსახლეობის რაოდენობას (400 000 ადამიანი), კარტოფილზე რეგიონის მოსახლეობის წლიური მოთხოვნა შეადგენს 34800 ტონას.

რეგიონში წარმოება საქსტატის 2023 წლის აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიული მონაცემებით 47 000 ტონამდეა. რეგიონში წარმოებულ კარტოფილის ექსპორტს, დაახლოებით 300 ტონამდე ადგილობრივი წარმოების კარტოფილი გადის ექსპორტზე. მაღალმთიან აჭარაში წარმოებულ კარტოფილს აქვს პოტენციური მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭიროს როგორც ეკომეგობრულმა პროდუქტმა ევროპის ბაზარზეც.

გამოწვევები:

მიუხედავად იმისა, რომ ეკომეგობრული კარტოფილის მოთხოვნა საერთაშორისო ბაზარზე მზარდია, არსებობს გარკვეული გამოწვევები. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის საერთაშორისო სერტიფიცირების პროცესის სირთულე და მაღალღირებულება. ამასთანავე, ლოგისტიკური ხარჯები და კონკურენცია დიდი საერთაშორისო კომპანიების მხრიდან შეიძლება დამატებით სირთულეებს წარმოქმნას.

რეკომენდაციები:

1. სერტიფიცირება: ადგილობრივმა მწარმოებლებმა უნდა მიიღონ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერტიფიკატები, რათა გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა.

2. მარკეტინგი: უნდა მოხდეს აქტიური მარკეტინგული კამპანიების განხორციელება,

3. ინვესტიციები: აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც ლოგისტიკურ ხარჯებს შეამცირებს და წარმოების პროცესს გაამარტივებს.

4. კოოპერაცია: საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბაზრებთან თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ახალი ბაზრების ათვისებას და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას.

ბოლო წლებში, გარემოსდაცვითი მდგრადობა გახდა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი საკითხი, განსაკუთრებით რეგიონებში, რომლებიც ცდილობენ თავი დაამკვიდრონ გლობალურ ბაზარზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც ხასიათდება მდიდარი ბუნებრივი რესურსებით და უნიკალური ბიომრავალფეროვნებით, წარმოადგენს საინტერესო შემთხვევას ეკოლოგიურად სუფთა წარმოების პრაქტიკისთვის. ეკოლოგიურად მდგრადი სოფლის მეურნეობის მეთოდებისა და მწვანე ტექნოლოგიების მიღებით, აჭარას შეუძლია არა მხოლოდ შეამციროს კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზემოქმედება, არამედ გაზარდოს თავისი წარმოებული პროდუქციის ექსპორტის პოტენციური, მიმზიდველი გახდეს მზარდი ეკო-ცნობიერი მომხმარებლებისთვის.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევა შეისწავლის ეკოლოგიურად სუფთა წარმოების სხვადასხვა ასპექტს, ზოგადად აღწერს, თუ როგორ ემთხვევა ისინი როგორც ადგილობრივ ეკონომიკურ მიზნებს, ასევე გლობალურ მდგრადობის ტენდენციებს.

ეკოლოგიურად სუფთა წარმოების სისტემების ხელშეწყობა აჭარაში განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონის სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულებისა და ბუნებრივი ლანდშაფტის შენარჩუნების ვალდებულების გათვალისწინებით. მდგრადი პრაქტიკის - როგორცაა ორგანული სოფლის მეურნეობა და განახლებადი ენერჯის გამოყენება - შეიძლება დაეხმაროს ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას და ამავდროულად გაზარდოს მოსავლიანობა. ასეთი ინიციატივები არა მხოლოდ ემსახურება გარემოს დაცვას, არამედ აჭარას კონკურენტულ პოზიციაზე შეიძლება დააყენოს საერთაშორისო ბაზრებზე, რომლებიც პრიორიტეტს უწევენ მდგრად მომარაგებას.

პროდუქტების ორგანულ ან მდგრად მომარაგებლად შესაბამისი სერტიფიცირების შესაძლებლობა კიდევ უფრო გაზრდის რესპუბლიკის მიმზიდველობას საზღვარგარეთის

მომხმარებლებისთვის, რომლებიც უფრო და უფრო მზად არიან გადაიხადონ მეტი ეკოლოგიურად სუთა საქონლისთვის.

ეკოლოგიურად სუფთა წარმოების მხარდაჭერა აჭარის ეკონომიკურ ჩარჩოში ინტეგრაცია წარმოადგენს კრიტიკულ სტრატეგიას ხანგრძლივი ზრდისა და ინოვაციის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვან ასპექტს. ეს მიდგომა არა მხოლოდ გაამძიერებს რეგიონის ეკოლოგიურ მიმართულებას, არამედ შექმნის ახალ შემოსავლის წყაროებს ექსპორტის კუთხითაც.

ეკოლოგიურად სუფთა წარმოების მიმოხილვა და მისი მნიშვნელობა აჭარაში

აჭარაში ეკოლოგიურად სუფთა წარმოებისკენ გადასვლა წარმოადგენს კრიტიკულად მნიშვნელოვან ნაბიჯს რეგიონში მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური გამძლეობისკენ. გარემოსდაცვითი თვალსაზრისით პასუხისმგებლიანი პრაქტიკის პრიორიტეტულად დასმით, ადგილობრივმა ინდუსტრიებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეამცირონ ნახშირბადის გამოფრქვევა და გააუმჯობესონ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი. ეს ცვლილება არ არის მხოლოდ ეთიკური იმპერატივი, არამედ ის ეკონომიკურ შესაძლებლობაც წარმოადგენს, რადგან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები სულ უფრო მიმზიდველი ხდება გლობალურ ბაზრებზე.

აჭარაში ეკოლოგიურად სუფთა წარმოების ლანდშაფტი ევოლუციას განიცდის, რაც ასახავს მდგრადი პრაქტიკის ზრდას ეკონომიკურ განვითარებაში. რეგიონი, რომელიც ხასიათდება მდიდარი ბიომრავალფეროვნებითა და სოფლის მეურნეობის პოტენციალით, დაიწყო უფრო გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ცნობიერი მეთოდების მიღება, რათა გაზრდის პროდუქტიულობას და ამავდროულად შეინარჩუნოს ეკოლოგიური მთლიანობა. ეს ცვლილება დაეფუძნება ადგილობრივ ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სოფლის მეურნეობაში ქიმიური ინგრედიენტების შემცირებას და ორგანული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის გამოყენების ხელშეწყობას.

აჭარასთან მსგავსი რეგიონულ აქტორებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი უნიკალური სოფლის მეურნეობის ძლიერი მხარეები და პარტნიორობები, რათა წარმატებით გავიდნენ გლობალურ ბაზრებზე, გააერთიანონ ეკონომიკური ინტერესები და გარემოსდაცვითი მდგრადობა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას გააჩნია მნიშვნელოვანი ექსპორტის პოტენციალი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისთვის, რომელიც ხელს უწყობს როგორც ბუნებრივი რესურსები, ასევე სტრატეგიული რეგიონული კავშირები. თავისი მდიდარი ბიომრავალფეროვნებითა და სოფლის მეურნეობის შესაძლებლობებით, აჭარა კარგად არის განლაგებული ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

რეგიონის სიახლოვე ევროპულ და აზიურ ბაზრებთან წარმოადგენს უპირატესობას ლოგისტიკური კვანძების და პროდუქტების ექსპორტისთვის. ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ჩარჩოში რეგიონული ინტეგრაციის პროცესებიდან მიღებული მითითებები ხაზს უსვამს წევრი სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობითი მიდგომების მნიშვნელობას, რაც მიუთითებს, რომ აჭარას შეუძლია სარგებელი მიიღოს მსგავსი თანამშრომლობითი ჩარჩოებიდან, რათა გაზარდოს მისი ბაზრის წვდომა.

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის ექსპორტის ბაზრის შესაძლებლობები და გამოწვევები


ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მხარდი მოთხოვნა წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის, რათა გაზარდოს თავისი ექსპორტის პოტენციალი, განსაკუთრებით გლობალური ბაზრის ტენდენციების კონტექსტში, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადობას. ქვეყნების ზრდასთან ერთად პრიორიტეტულად ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი პრაქტიკა, აჭარის ხაზი ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაზე შეუძლია დადებითად განათავსოს იგი საერთაშორისო ბაზრებზე. თუმცა, ეს შესაძლებლობები თან ახლავს მნიშვნელოვან გამოწვევებს, განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა და დამკვიდრებული ექსპორტირების კონკურენციის სფეროში.

ევრაზიული ეკონომიკური კავშირის (EAEU) შემთხვევა განასახიერებს ერთმანეთთან დაკავშირებული დელიკატურ ბალანსს ეროვნული ინტერესებისა და ინტეგრაციის გლობალურ ჩარჩოებში, სადაც წევრი სახელმწიფოები ისწრაფვიან კოლექტიური ეკონომიკური მიზნებისკენ, ამავდროულად აკმაყოფილებენ თავიანთ შიდა კონტექსტებს.

ჩვენ მიერ განხორციელდა პირველადი ინფორმაციის მოპოვება

წინასწარ დაგეგმილი ანკეტა-კითხვარის მეშვეობით. კვლევა ჩატარდა 2024 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში და მონაწილეობა მიიღო 184-მა რესპოდენტმა (მეურნეობის მფლობელმა).

დიაგრამა 1. გენდერული ბალანსი (%)




დიაგრამა 1-ში მოცემული მონაცემები ასახავს გენდერულ განაწილებას ჯგუფში 2023 და 2024 წლებში.

- **მამაკაცები:** 2023 წელს ამ ჯგუფის 64.5% მამაკაცი იყო, ხოლო 2024 წელს - 66.7%.
- **ქალები:** შესაბამისად, ქალების წილი 2023 წელს 35.5% იყო, ხოლო 2024 წელს - 33.3%.


ეს ნიშნავს, რომ 2024 წელს ჯგუფში მამაკაცების წილი ოდნავ გაიზარდა, ხოლო ქალების შემცირდა.

დიაგრამა 2. ასაკობრივ ჯგუფი (%)



დიაგრამა 2 ასახავს საკადრო შემადგენლობის ასაკობრივ განაწილებას 2023 და 2024 წლებში. აქედან ჩანს, რომ ორივე წელს დომინირებს 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფი. ასევე შესამჩნევია, რომ 2024 წელს ოდნავ გაიზარდა 31-40 და 41-50 წლის ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა რაოდენობა, ხოლო 71 წლის და უფროსი ასაკის თანამშრომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.


დიაგრამა 3. მეურნეობები მუნიციპალიტეტში (%)



დიაგრამა 3-ში მოცემული მონაცემები ასახავს 2023 და 2024 წლებში აჭარის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გამოკითხულ მოსახლეობის პროცენტულ შეფარდებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება ხულოს მუნიციპალიტეტში შეინიშნება, სადაც მეურნეობების წილი 2023 წლის 49.3%-დან 2024 წელს 35%-მდე შემცირდა (რეალურად ეს ნიშნავს, რომ სხვა მუნიციპალიტეტების რაოდენობა გაიზარდა, რამაც გამოიწვია საერთო პროპორციული შემცირება). შედარებით მცირე, მაგრამ მაინც შესამჩნევი ზრდაა შუახევის (6.6%-დან 15.1%-მდე) და ქობულეთის (5.2%-დან 14.8%-მდე) მუნიციპალიტეტებში. რაც გამოწვეულია ეკონომიკური განვითარებით, ტურიზმის ზრდით და სხვა ფაქტორებით.


დიაგრამა 4. მეურნეობა კატეგორიის მიხედვით (%)



დიაგრამა 4-ში 2023-2024 წლების მონაცემებით, აჭარის სოფლის მეურნეობის სექტორში შემდეგი ტენდენციები შეინიშნება:

- **მცირე მეურნეობების დომინირება:** 2023 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა დაახლოებით 75% მცირე მეურნეობებში მუშაობდა. 2024 წელს ეს მაჩვენებელი 80%-მდე გაიზარდა. ეს მიუთითებს მცირე მასშტაბიანი სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციაზე.
- **დიდი მეურნეობების მცირე წილი:** 2023 წელს დიდი მეურნეობები სექტორში დასაქმებულთა მხოლოდ 5%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 3%-მდე შემცირდა. ეს ადასტურებს, რომ აჭარის სოფლის მეურნეობა ძირითადად მცირე მეურნეობებზეა ორიენტირებული.
- **კოოპერატიული მეურნეობების არარსებობა:** კვლევის პერიოდში კოოპერატიული მეურნეობები არ დაფიქსირებულა, რაც მიუთითებს მეურნეობის დამოუკიდებელ მუშაობაზე და კოოპერაციის დაბალ დონეზე.

დიაგრამა 5. განათლების საფეხური (%)




დიაგრამა 5-ში მეურნეობების მფლობელთა შორის განათლების დონე შემდეგნაირად ნაწილდება:

- **უმაღლესი განათლების მქონე მეურნეები:** 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 32.7% ფლობს უმაღლეს განათლებას, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი ოდნავ შემცირდა და 30%-ს შეადგენს.
- **პროფესიული ან მოკლევადიანი კურსების დამთავრებული მეურნეები:** 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 28.9% აქვს პროფესიული ან მოკლევადიანი კურსების დამთავრებული, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 26.3%-მდე შემცირდა.
- **ბაკალავრის ხარისხის მქონე მეურნეები:** 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 22.7% ფლობს ბაკალავრის ხარისხს, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 27.3%-მდე გაიზარდა.
- **მაგისტრატურის ხარისხის მქონე მეურნეები:** 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 14.2% ფლობს მაგისტრატურის ხარისხს, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 15.6%-მდე გაიზარდა.
- **სადოქტორო ხარისხის მქონე მეურნეები:** 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 1.5% ფლობს სადოქტორო ხარისხს, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 1%-მდე შემცირდა.
- უმაღლესი განათლების მქონე მეურნეების წილი ოდნავ შემცირდა 2024 წელს, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი რჩება.
- ბაკალავრის და მაგისტრატურის ხარისხის მქონე მეურნეების წილი გაიზარდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა ხდება.
- პროფესიული და მოკლევადიანი კურსების დამთავრებულთა წილი შემცირდა, რაც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მეურნეები უფრო მაღალი განათლების მიღებისკენ არიან მიდრეკილნი.
- სადოქტორო ხარისხის მქონე მეურნეების წილი უმნიშვნელოა და შემცირდა

2024 წელს.

აჭარის მეურნეობების მფლობელთა შორის განათლების დონე მუდმივად იზრდება. მეურნეები სულ უფრო მეტად აფასებენ განათლების მნიშვნელობას და ცდილობენ გაზარდონ თავიანთი კვალიფიკაცია. ეს კი, თავის მხრივ, დადებითად აისახება სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაზე.

დიაგრამა 6. მეურნეობების მფლობელების ცოდნის, განათლების და კომპეტენციის თვითშეფასება (%)



დიაგრამა 6-ში აჭარის მეურნეობების მფლობელები საკუთარ ცოდნას, განათლებას და კომპეტენციას შემდეგნაირად აფასებენ:

5 ბალიანი შკალით 5 ქულა: 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 26.1% თავს ძალიან კარგად აფასებს ცოდნის, განათლების და კომპეტენციის თვალსაზრისით, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 29.7%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების მფლობელების თვითშეფასება გაიზარდა.

4 ქულა: 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 40.3% თავს კარგად აფასებს, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 42%-მდე გაიზარდა.

3 ქულა: 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 26.5% თავს საშუალოდ აფასებს, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 22.9%-მდე შემცირდა.

2 ქულა: 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 6.6% თავს ცუდად აფასებს, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 4.9%-მდე შემცირდა.

1 ქულა: 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 0.5% თავს ძალიან ცუდად აფასებს, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 0.5%-ის ტოლი დარჩა.


2024 წელს მეურნეების თვითშეფასება საშუალოდ გაიზარდა. უფრო მეტი მეურნე აფასებს თავს კარგად და ძალიან კარგად ცოდნის, განათლების და კომპეტენციის თვალსაზრისით.

შემცირდა იმ მეურნეების რაოდენობა, რომლებიც თავს საშუალოდ ან ცუდად აფასებენ.

ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ მეურნეები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ განათლების მნიშვნელობას და ცდილობენ გაზარდონ თავიანთი კვალიფიკაცია.

აჭარის მეურნეების მფლობელები საკუთარ ცოდნას, განათლებას და კომპეტენციას დადებითად აფასებენ. 2024 წელს მეურნეების თვითშეფასება კიდევ უფრო გაიზარდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სექტორში პოზიტიური ცვლილებები ხდება.

დიაგრამა 7. მეურნეობების მფლობელების საქმიანობა ძირითად დარგში (%)



დიაგრამა 7-ში მეურნეობების მფლობელები ძირითადად სამი სექტორში არიან დასაქმებულნი: მომსახურება, მემცენარეობა და მეცხოველეობა.

მომსახურების სექტორი: 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 1.4% იყო დასაქმებული მომსახურების სექტორში, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 1.8%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების მცირე ნაწილი აერთიანებს სოფლის მეურნეობას მომსახურების სექტორში მუშაობასთან.

მემცენარეობა: 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 52.2% იყო დასაქმებული მემცენარეობის სექტორში, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 47.1%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მემცენარეობის მნიშვნელობა ოდნავ შემცირდა.

მეცხოველეობა: 2023 წელს მეურნეობების მფლობელთა დაახლოებით 46.4% იყო დასაქმებული მეცხოველეობის სექტორში, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 44.7%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეცხოველეობის მნიშვნელობაც ოდნავ შემცირდა.

მეურნეობების მფლობელთა უმეტესობა დაკავებულია მემცენარეობითა და მეცხოველეობით. მომსახურების სექტორში დასაქმებულთა წილი მცირეა და ნელა იზრდება.

2024 წელს მემცენარეობისა და მეცხოველეობის სექტორებში დასაქმებულთა წილი ოდნავ შემცირდა.


მეურნეობების მფლობელთა უმეტესობა სოფლის მეურნეობის სექტორში არის დასაქმებული. თუმცა, 2024 წელს მემცენარეობისა და მეცხოველეობის სექტორებში დასაქმებულთა წილი ოდნავ შემცირდა, რაც შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მეურნეები სხვა საქმიანობისკენ, მომსახურებისკენ არიან მიდრეკილნი.

ცხრილი N1

მეურნეობის მფლობელთა წარმოების ძირითადი მიმართულება (მუნიციპალიტეტის მიხედვით)

მუნიციპალიტეტი	ძირითადად წარმოებული პროდუქცია
ხულო	კარტოფილი, ბოსტნეული, ხეხილი, მეცხოველეობა, რძის პროდუქტები, კაკალი, სიმინდი, სალათის ფოთლები
შუახევი	სიმინდი, კარტოფილი, რძის პროდუქტები,
ქედა	სიმინდი, კარტოფილი, რძის პროდუქტები, ღვინის წარმოება. ხეხილი, ციტრუსი, ცხვარი, რძის პროდუქტები, ბაღჩეული, თამბაქო, კენკროვანები, კარტოფილი, ღვინის წარმოება.
ქობულეთი	ციტრუსი, თხილი, ფერმა, რძის პროდუქტები. აგრო და ეკო ტურიზმი

დიაგრამა 8. მეურნეობების მფლობელების პროდუქტის ან მომსახურების წარმოების რაოდენობა (%)



დიაგრამა 8. მეურნეობების მფლობელები თავიანთი პროდუქციის უმეტეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდიან.

ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაცია: 2023 წელს მეურნეების მიერ წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 67% ადგილობრივ ბაზარზე იყო რეალიზებული, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 64.3%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივი ბაზარი მაინც რჩება მეურნეებისთვის ძირითად საბაზრო სეგმენტად.

საოჯახო მოხმარება: 2023 წელს მეურნეების მიერ წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 30.1% საოჯახო მოხმარებისთვის გამოიყენებოდა, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 27.6%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები თანდათან მცირდებათ საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებას და უფრო მეტად ორიენტირდებიან გაყიდვებზე.

ექსპორტი: 2023 წელს მეურნეების მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 2.4% ექსპორტიორზე გადიოდა, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 7.1%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები იწყებენ უცხო ბაზრების დაუფლებას.

რეალიზაციის მომსახურება/მხარდაჭერა: 2023 წელს მეურნეების მიერ წარმოებული პროდუქციის მხოლოდ 0.5% იყო განკუთვნილი რეალიზაციის მომსახურების/მხარდაჭერისთვის, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 1%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები იწყებენ უფრო აქტიურად ჩართვას რეალიზაციის პროცესში.

მეურნეობების მფლობელები ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ყიდიან თავიანთ პროდუქციას.


საოჯახო მოხმარებისთვის განკუთვნილი პროდუქციის წილი მცირდება.

ექსპორტის მაჩვენებელი იზრდება, რაც მიუთითებს მეურნეების მიერ უცხო ბაზრების დაუფლების მცდელობაზე.

რეალიზაციის მომსახურების/მხარდაჭერის მაჩვენებელიც იზრდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მეურნეები უფრო აქტიურად ჩართავენ რეალიზაციის პროცესში.

მოცემული მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჭარის მეურნეობების მფლობელები თანდათან იცვლიან თავიანთ სტრატეგიას. თუ 2023 წელს მეურნეები ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებდნენ პროდუქციას და ადგილობრივ ბაზარზე ყიდდნენ, 2024 წელს შეინიშნება ტენდენცია გაყიდვებზე ორიენტირებისკენ და უცხო ბაზრების დაუფლებისკენ.

დიაგრამა 9. მეურნეობების მფლობელების მიერ წარმოებული პროდუქცია რამდენად მოთხოვნილია შიდა ან გარე ბაზარზე (%)




დიაგრამა 9-ში მეურნეობების მფლობელები თავიანთ პროდუქციას ძირითადად შიდა ბაზარზე ახორციელებენ. თუმცა, 2024 წელს გარე ბაზრის მოთხოვნა გარკვეულწილად გაიზარდა.

შიდა ბაზარი: 2023 წელს მეურნეების მიერ წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 56% შიდა ბაზარზე იყო მოთხოვნილი, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 62%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივი ბაზარი მაინც რჩება მეურნეებისთვის ძირითად საბაზრო სეგმენტად.

გარე ბაზარი: 2023 წელს მეურნეების მიერ წარმოებული პროდუქციის დაახლოებით 5% გარე ბაზარზე იყო მოთხოვნილი, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 32%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები იწყებენ უცხო ბაზრების დაუფლებას.

მოცემული მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჭარის მეურნეობების მფლობელები თანდათან იცვლიან თავიანთ სტრატეგიას. თუ 2023 წელს მეურნეები ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე იყვნენ ორიენტირებულნი, 2024 წელს გარე ბაზრის მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები იწყებენ უცხო ბაზრების დაუფლებას.

დიაგრამა 10. მეურნეობების მფლობელების ეკო-მეგობრული პროდუქციის შესახებ ცნობადობა (%)



დიაგრამა 10-ში მეურნეობების მფლობელების ეკო-მეგობრული პროდუქციის შესახებ ცნობადობა იზრდება.

ძალიან კარგად იცნობენ: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 35.1% ძალიან კარგად იცნობდა ეკო-მეგობრულ პროდუქციას, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 36.8%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უფრო დიდი ნაწილი ინფორმირებულია ეკო-მეგობრული პროდუქციის შესახებ.


კარგად იცნობენ: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 42.6% კარგად იცნობდა ეკო-მეგობრულ პროდუქციას, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 43.1%-მდე გაიზარდა.

არასდროს მსმენია: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 22.3% არასდროს გაუგონია ეკო-მეგობრული პროდუქციის შესახებ, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 20.1%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უფრო მცირე ნაწილს აქვს შეზღუდული ინფორმაცია ეკო-მეგობრული პროდუქციის შესახებ.

მოცემული მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჭარის მეურნეობების მფლობელების ეკო-მეგობრული პროდუქციის შესახებ ცნობადობა იზრდება. რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის:

მედიისა და სოციალური ქსელების მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ეკოლოგიურად სუფთა წარმოების პოპულარიზაცია მომხმარებელთა მზარდი ინტერესი ეკო-მეგობრული პროდუქტების მიმართ

დიაგრამა 11. მეურნეობის მფლობელის მიერ წარმოებული პროდუქცია არის ეკო-მეგობრული (%)



დიაგრამა 11-ში მეურნეობების მფლობელები თავიანთი პროდუქციის ეკო-მეგობრულობის მიმართ სხვადასხვა დამოკიდებულებას ავლენენ.


უფრო მეტად ეკო-მეგობრული: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 45.5% თვლიდა, რომ მათი პროდუქცია უფრო მეტად ეკო-მეგობრული იყო, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 47.8%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უფრო დიდი ნაწილი აცნობიერებს ეკოლოგიურად სუფთა წარმოების მნიშვნელობას და ცდილობს თავისი პროდუქცია უფრო ეკოლოგიურად სუფთა გახადოს.

ბუნებრივი ინგრედიენტებით დამზადებული: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 42.9% თვლიდა, რომ მათი პროდუქცია ბუნებრივი ინგრედიენტებით იყო დამზადებული, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 44.1%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები უფრო მეტად ცდილობენ ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

არ არის ეკო-მეგობრული: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 11.6% თვლიდა, რომ მათი პროდუქცია არ იყო ეკო-მეგობრული, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 8.1%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უფრო მცირე ნაწილი აცნობიერებს, რომ მათი პროდუქცია ზიანს აყენებს გარემოს.

მოცემული მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აჭარის მეურნეობების მფლობელები თანდათან იზრდიან ეკო-მეგობრული წარმოების მიმართ.

დიაგრამა 12. მეურნეობების მფლობელების სამომავლოდ ეკო-მეგობრული პროდუქტის წარმოების სურვილი (%)



დიაგრამა 12-ში მეურნეობების მფლობელების უმეტესობა მზად არის გადავიდეს ეკო-მეგობრულ წარმოებაზე, თუმცა ამისთვის მათ სახელმწიფო დახმარება სჭირდებათ.

კი გეგმას სამომავლოდ: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 55% აცხადებდა, რომ მომავალში ეკო-მეგობრული პროდუქციის წარმოებას გეგმავს. 2024 წელს ეს მაჩვენებელი 57%-მდე გაიზარდა.


ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ეკოლოგიურად სუფთა წარმოებით.

თუ იქნება სახელმწიფო დახმარება: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 34.6% აცხადებდა, რომ ეკო-მეგობრული პროდუქციის წარმოებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებდა, თუ სახელმწიფო მხარდაჭერას გაუწევდა. 2024 წელს ეს მაჩვენებელი 34.8%-მდე შეიცვალა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების დიდი ნაწილი მზად არის გადავიდეს ეკო-მეგობრულ წარმოებაზე, თუ სახელმწიფო მათ ამაში დაეხმარება.

არ გეგმავს: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 10.4% აცხადებდა, რომ არ აპირებდა ეკო-მეგობრული პროდუქციის წარმოებას. 2024 წელს ეს მაჩვენებელი 8.2%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უმრავლესობა მზად არის გადავიდეს ეკო-მეგობრულ წარმოებაზე.

მეურნეობების მფლობელების უმეტესობა მზად არის გადავიდეს ეკო-მეგობრულ წარმოებაზე, თუმცა ამისთვის მათ სახელმწიფო დახმარება სჭირდებათ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები აცნობიერებენ ეკოლოგიურად სუფთა წარმოების მნიშვნელობას, მაგრამ მათ სჭირდებათ ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

დიაგრამა 13. მეურნეობების მფლობელებს ცნობიერების ასამაღლებლად გესაჭიროებათ ტრენინგი, სტაჟირება და კონსულტაციები (%)



დიაგრამა 13-ში მეურნეობების მფლობელების უმეტესობას აქვს ცნობიერება იმის შესახებ, რომ მათ სჭირდებათ დამატებითი ცოდნა და უნარები ეფექტური მეურნეობის წარმოებისთვის.

ცნობიერების ამაღლება: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 89.1% აცნობიერებდა, რომ მას სჭირდება ცნობიერების ამაღლება. 2024 წელს ეს მაჩვენებელი 85.3%-მდე შემცირდა. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ზოგიერთმა მეურნემ შესაძლოა მიიღო საჭირო ცოდნა და უნარები და აღარ საჭიროებს დამატებით ტრენინგს.

ტრენინგი, სტაჟირება და კონსულტაცია: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 10% აცხადებდა, რომ მას სჭირდება ტრენინგი, სტაჟირება ან კონსულტაცია. 2024 წელს ეს მაჩვენებელი 12.2%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ დამატებითი ცოდნისა და უნარების მნიშვნელობას.

არ ვიცი: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 0.9% არ იცოდა, სჭირდებოდა თუ არა მას დამატებითი ცოდნა და უნარები. 2024 წელს ეს მაჩვენებელი 2.5%-მდე გაიზარდა. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ ზოგიერთი მეურნე ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა სახის ცოდნა და უნარები სჭირდება მას.


მეურნეობების მფლობელების უმეტესობა აცნობიერებს, რომ მათ სჭირდებათ დამატებითი ცოდნა და უნარები ეფექტური მეურნეობის წარმოებისთვის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეები მზად არიან განვითარდნენ და გააუმჯობესონ თავიანთი ცოდნა და უნარები.

ბოლო წლებში შეცვლილი ტრადიციული მეურნეობის სახე

მუნიციპალიტეტი	ტრადიციული მეურნეობა	შეცვლილი მეურნეობა
ხულო	კარტოფილი	კაკალი, ჟოლო, ხეხილი
	სიმინდი	მწვანილი
	ერთწლიანი	ხეხილი
		ბოსტნეული
		მრავალწლიანი
შუახევი	სიმინდი	თხილი
	მცირე მეურნეობა	საშუალო მეურნეობა
ქედა	მანდარინი	მოცვი
	სიმინდი	თხილი, თამბაქო
	თამბაქო	ბოსტნეული
ხელვაჩაური	ციტრუსი (მანდარინი)	ლურჯი მოცვი, თხილი
	მოცვი	ბოსტნეული, ხურმა
	ქათმის ჯიშები	ნიგოზი
	ბულგარული წიწაკა	ხოხობი
	სიმინდი	თამბაქო
		თხილი
ქობულეთი	ციტრუსი (მანდარინი)	თხილი
	მეღორეობა	მსხვილფეხა პირუტყვი
		აგრო და ეკო ტურიზმი
მუნიციპალიტეტების	მიხედვით ტრადიციული	საქმიანობის (სახის) ჩანაცვლება

განახორციელა 40% მეურნეობის მფლობელმა (ცხრილი N2). ხოლო 60%-ს არ ჩაუნაცვლებიათ ტრადიციული მეურნეობის სახე.

დიაგრამა 14. შეაფასეთ აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო მხარდაჭერა საჭირო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით (%)



დიაგრამა 14-ში ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მხარდაჭერა საჭირო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით 2023 წელთან შედარებით 2024 წელს გაუმჯობესდა.


ძალიან კმაყოფილი: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 74.8% ძალიან კმაყოფილი იყო სამინისტროს მხარდაჭერით საჭირო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 79.1%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უფრო დიდი ნაწილი კმაყოფილია სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციით.

კმაყოფილი: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 24.9% კმაყოფილი იყო სამინისტროს მხარდაჭერით, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 19.9%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უფრო მცირე ნაწილს აქვს უკმაყოფილება სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიმართ.

დანარჩენი კატეგორიები: დანარჩენი კატეგორიების მაჩვენებლები ან არ შეცვლილა, ან შემცირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უმრავლესობა კმაყოფილია სამინისტროს მხარდაჭერით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მხარდაჭერა საჭირო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით 2023 წელთან შედარებით 2024 წელს გაუმჯობესდა.

დიაგრამა 15. გთხოვთ შეაფასოთ თქვენს მუნიციპალიტეტში არსებული აგრარული განვითარების დეპარტამენტს დაქვემდებარებული პირების, ექსტენციონისტებისა და ეკონომისტების საქმიანობა (%)



დიაგრამა 15-ში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული განვითარების დეპარტამენტს დაქვემდებარებული პირების, ექსტენციონისტებისა და ეკონომისტების საქმიანობა 2023 წელთან შედარებით 2024 წელს გაუმჯობესდა.

ძალიან კმაყოფილი: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 80.1% ძალიან კმაყოფილი იყო სამინისტროს მხარდაჭერით საჭირო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 82.2%-მდე გაიზარდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უფრო დიდი ნაწილი კმაყოფილია სამინისტროს მიერ გაწეული მხარდაჭერით.

კმაყოფილი: 2023 წელს მეურნეების დაახლოებით 18% კმაყოფილი იყო სამინისტროს მხარდაჭერით, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი 15.2%-მდე შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უფრო მცირე ნაწილს აქვს უკმაყოფილება სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიმართ.

დანარჩენი კატეგორიები: დანარჩენი კატეგორიების მაჩვენებლები ან არ შეცვლილა, ან შემცირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეურნეების უმრავლესობა კმაყოფილია სამინისტროს მხარდაჭერით.

საერთო დასკვნა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული განვითარების დეპარტამენტს დაქვემდებარებული პირების, ექსტენციონისტებისა და ეკონომისტების საქმიანობა. შესაბამისად

მეურნეების უმეტესობა კმაყოფილია მათი მუშაობით. რაც გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორით, მათ შორის:

- სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება;
- მეურნეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- სამინისტროს მიერ მეურნეებისთვის საჭირო სერვისების გაფართოება.

კვლევის შედეგები ხაზს უსვამს ეკოლოგიურად სუფთა წარმოების პოტენციალს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აქცენტს აკეთებს როგორც გარემოსდაცვითი მდგრადობაზე, ასევე ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. რეგიონის ბუნებრივი რესურსები, დაწყვილებული მის სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობასთან, დადებითად ათავსებს მას ეკო-ცნობიერი საწარმოებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ მოემსახურონ საერთაშორისო ბაზრებს, რომლებიც სულ უფრო მეტად მოითხოვენ მდგრად პროდუქტებს. თუმცა, ანალიზმა გამოავლინა მნიშვნელოვანი ბარიერები, მათ შორის არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და შეზღუდული წვდომა მწვანე ტექნოლოგიებზე, რაც ხელს უშლის ამ პოტენციალის სრულ რეალიზებას.

მომავალი განვითარების ხელშეწყობისთვის სამიზნე ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში და ტექნოლოგიაში აუცილებელია. გლობალურ ეკოლოგიურად სუფთა კორპორაციებთან პარტნიორობის დამყარებას შეუძლია ხელი შეუწყოს ცოდნის გადაცემა და გაზარდოს ადგილობრივი მეურნეობების შესაძლებლობები. დამატებით, მდგრადი პრაქტიკისკენ ორიენტირებული სახელმწიფო ხელსაყრელი პირობების შემოღება შეიძლება სტიმულირება მოახდინოს როგორც ადგილობრივ მეწარმეობაზე, ასევე უცხოური ინვესტიციებზე.

სტრატეგია, რომელიც ინტეგრირებს გარემოსდაცვით მიზნებს ეკონომიკურ ინიციატივებთან, აუცილებელია აჭარისთვის, რათა გახდეს ლიდერი ეკოლოგიურად სუფთა წარმოებაში. ასეთი ხედვის შესრულება ხელს შეუწყობს რეგიონულ განვითარებას

ბიბლიოგრაფია:

- ✓ საქსტატის საყოველთაო აღრიცხვა <http://www.geostat.ge/>
- ✓ FAOSTAT - <http://faostat.fao.org/>
- ✓ EUROSTAT dat T data (<http://fd.comext.eurostat.cec.eu.int/xtweb/mainxtnet.do>)
- ✓ UN Comtrade Statistics (<http://comtrade.un.org/db/default.aspx>)
- ✓ USAID - The Belarusian Market for Fresh Potatoes
- ✓ MCG ADA project - ბოსტნეულის წესწარმოება საქართველოში
- ✓ USAID Ag SAID AgVANTAGE – Value Chain Analyses Early Potato
- ✓ Dukat – Ukrainian Potato Market, status, problems and prospects
- ✓ DFID CA ID CARE - სათესლე და სასურსათო კარტოფილის წესწარმოების ტექნოლოგია საქსტატის მონაცემები <http://www.geostat.ge/>
- ✓ EUROPLANT – <http://www.europlant.biz/en/sorte>

მეცხოველეობის მიმართულება

შემსრულებელი: რევაზ მახარობლიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

თემა: „მაღალმთიან რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარება, სათიბი მდელოების მორწყვითი სისტემების უზრუნველყოფით, ტერიტორიულად წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშება და შესაბამისი სარწყავი სისტემების ტექნიკური საშუალებების დამუშავება.“

თემის აქტუალობა. პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს ბუნებრივი სათიბ-სამოვარების პროდუქტიულობის ამაღლებას და მეცხოველეობის საკვები ბაზის მკვეთრად განმტკიცებას, რაც მიიღწევა აჭარის რეგიონში სათიბ-სამოვარების ეროზიული მოვლენების განხილვის, ნიადაგში წყლისა და საჭაერო რეჟიმების გაუმჯობესების გზების დადგენის, აჭარის სათიბებ-სამოვარებზე წყლისა და საჭაერო რეჟიმის რეგულირების, მათ რაციონალური გამოყენების გზების დადგენის

გზით და აჭარის სოფლის მეურნეობის საიმინისტროსთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდებით.

თემის მიზანი: მაღალმთიან რეგიონში მეცხოველეობის საკვები ბაზის განვითარება სათიბი მდელოების მორწყვითი სისტემების უზრუნველყოფით, ტერიტორიულად წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშებით და შესაბამისი სარწყავი სისტემების ტექნიკური საშუალებების დამუშავებით.

ამოცანები: მაღალმთიანი რეგიონის სათიბ-სადოვრების არსებული მდგომარეობის ანალიზი და შეფასება. სათიბი მდელოების პროდუქტიულობის ამაღლების გზების დადგენა, მათ შორის მორწყვის სისტემების დანერგვა. წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშება და შესაბამისი სარწყავი სისტემების ტექნიკური საშუალებების შემუშავება. კულტურული სათიბ-სადოვრების, ბუნებრივი ან ნათესი საკვები სავარგულების შესწავლა.

1. ზემო აჭარის ბუნებრივ საკვებ სავარგულები

ზემო აჭარის ბუნებრივი საკვებ სავარგულებს 26-28 ათასი ჰა ფართობი უკავია. აქედან უმეტესი ფართობი მოქცეულია სუბალპურ ზონაში, დაახლოებით 12,9-13,1 % მთის შუა და 7,5-7,7 % ალპურ ზონაში. მთის შუა ზონის სავარგულების მცენარეული საფარი ძირითადად მეზოფილური და მშრალი ტიპის მდელოებით და ბეწვისებრი ნამიკრეფიას დაჯგუფებებით არის წარმოდგენილი, რომელთა მოსავლიანობა 1,0-1,5 ტ/ჰა საშუალოზე დაბალი ხარისხის თივის ფარგლებშია. თივის დაბალ ხარისხს განაპირობებს ბალახნარში ისეთი სარეველა, შხამიანი და პარაზიტი მცენარეების მნიშვნელოვანი მონაწილეობა, როგორცაა აჭარული ნარი, ლობელის შხამა, ხუჭუჭა ღოღო, ხრიალა, სატილია, კორდისკბილა. აჭარის სუბალპურ ზონაში განთავსებული ბუნებრივი საკვები სავარგულების ბალახნარში დომინანტობს უკვე სხვა ნამიკრეფია - ბრტყელფოთოლა ნამიკრეფია. სუბალპების სათიბები მრავლადაა დასარეველიანებული შხამათი, ხოლო სადოვრები მარმუჭის და ფესვმაგარას სხვადასხვა სახეობით. ბალახნარის მოსავლიანობა 1,2-1,4 ტ/ჰა საშუალო ხარისხის თივას შეადგენს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აჭარის ბუნებრივი საკვები სავარგულების ძლიერი გადატვირთვა განაპირობებს ეროზიული პროცესების განვითარებას და ნიადაგის საფარს მოკლებული, ჩამორეცხილი ფართობების წარმოქმნას.

საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულების ზოგადი დახასიათების და პირდაპირი სარგებლობის სადოვრების და სათიბების მოკლე აღწერის გარდა, აუცილებელია შევჩერდეთ არაპირდაპირი სარგებლობის სათიბ-სადოვრების არსებობის შესახებაც. ამ კატეგორიის საკვებ სავარგულებს მიეკუთვნება გასათიბი ან გასადოვარი ფართობები ტყისა და ბუჩქნარის ე. წ. “ფანჯრებსა” და გამეჩხერებულ ადგილებზე, აგრეთვე ამავე მიზნით გამოყენებული ნაკვეთები ჭაობებში, ნასვენებსა და ნაჩხატებში. ამ სავარგულებს რამდენადმე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ ტყის ზონაში, სადაც არაპირდაპირი სარგებლობის საკვებ სავარგულებს დაახლოებით 350 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს, ხოლო მოსავლიანობა 30 ტ/ჰა მწევანე მასას არ აღემატება.

2. ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების სისტემები

ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების ცნების ქვეშ იგულისხმება ღონისძიებები, რომელთა განხორციელება განაპირობებს ამ სავარგულებზე წარმოებული საკვების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, სათიბ-სადოვრების მცენარეთა საჭირო ნიადაგის კვებითი, საჰაერო და წყლის ოპტიმალური რეჟიმების უზრუნველყოფას, ბალახნარის ფლორისტული შედგენილობის სრულყოფას, სადოვრებზე ცხოველთა რაციონალური მოვებისა და სათიბებზე მანქანა-იარაღების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას. ბუნებრივი სათიბ-სადოვრების პროდუქტიულობის და წარმოებული საკვების გადიდების ერთ-ერთი გზაა ამ სავარგულების სასარგებლო ფართობის გადიდება ქვების შეგროვებით, კოლბოხების მოსპობით, ძირკვების მოჭრა-მოშორებით, საკვები სავარგულების ეროზიის განვითარების არასაშიშ ადგილებზე ხე-ბუჩქნარის მოსპობით და სხვა.

ბუნებრივი სათიბების და სადოვრების ბოტანიკური შედგენილობის გაუმჯობესება შესაძლებელია სარეველების წინააღმდეგ ბრძოლით, ბალახნარში საკვებად უფრო ძვირფასი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების შეთესვით, არსებულთან შედარებით უფრო პროდუქტიული, მაღალმოსავლიანი და ყუათიანობის მიხედვით უკეთესი ნათესი ბალახნარის

შექმნით, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით სხვადასხვა სახის და ნორმის კომბინაციით და ა.შ.

სათიბებსა და სამოვრებზე მოზარდი ბალახების კვებითი რეჟიმის გაუმჯობესების ძირითადი ღონისძიებებია ორგანული, მინერალური და მიკრო-სასუქების, კირის, გაჯის შეტანა, სიდერაცია, აგრეთვე ნიადაგში მიმდინარე მიკრობიოლოგიური პროცესების აქტივიზაცია.

საქართველოს სინამდვილეში მეტად მნიშვნელოვანია წყლის რეჟიმის გაუმჯობესება სათანადო სამელიორაციო სამუშაოების ჩატარებით, აგრეთვე ნიადაგის მექანიკური დამუშავება (დახვრელება, დაღრუება, ღრმა გაფხვიერება), რომელიც არამარტო წყლის, არამედ საჰაერო რეჟიმსაც აუმჯობესებს.

ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებების ღონისძიებები, გამომდინარე მათი გამოყენების მიზნებიდან, თუ როგორ ესადაგება ისინი ადგილსამყოფელის პირობებს, ბალახნარის გამოყენების სავარაუდო ხერხებს, რომელი ბალახოვანი მცენარეები შექმნიან გაუმჯობესებული საკვები სავარგულის ბალახნარის საფუძველს - ბუნებრივი თუ ნათესი, განასხვავებენ მათი გაუმჯობესების ორ სისტემას - ზედაპირულს და ძირეულს.

3. ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული გაუმჯობესების სისტემა

ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული გაუმჯობესება გულისხმობს არსებული ბუნებრივი ბალახნარის შენარჩუნების პირობებში მოსავლიანობის და პროდუქტიულობის გადიდებას, ბალახნარის ბოტანიკური შედგენილობის გაუმჯობესებას და ყუათიანობის ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის მუშაობის უკეთესი პირობების შექმნას. ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებები პირველ რიგში უნდა განხორციელდეს იქ, სადაც რელიეფი არ იძლევა ძირეული გაუმჯობესების ჩატარებას, ეროზიასაშიმ ადგილებზე, სადაც ნიადაგის მოხვნა ჩამორეცხვის ან გადარეცხვის საშიშროებას იწვევს (მთიანი რელიეფი, ფერდობები, ძალზე დაქვიანებული ნაკვეთები, დახრამული სათიბ-სამოვრები), ხოლო გვალვიან რაიონებში-ქარული ეროზიის გავრცელების ადგილებში. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებები მიზანშეწონილია ჩატარდეს იმ სათიბ-სამოვრებზე, სადაც გამეჩხერებულ ან დეგრადირებულ ბალახნარში არანაკლებ 20-30% საკვებად ძვირფასი ბალახია, აგრეთვე მანე და შხამიანი მცენარეების შემცველობა არ აღემატება 30%-ს, ხოლო დაბუჩქიანება და დაკოლბოხიანება სუსტია - 20%-მდე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების ზედაპირული სისტემის ღონისძიებების განხორციელება ყველა შემთხვევაში ნაკარნახევია აგრეთვე ეკონომიკური მოსაზრებითაც, რადგან ეს ღონისძიებები ძირეული გაუმჯობესებისაგან განსხვავებით არ ითხოვენ, დიდ დანახარჯებს (ნიადაგის მოხვნა-დამუშავება, დეფიციტური და ძვირი მრავალწლოვანი ბალახების თესლი) და შედარებით იაფია განსახორციელებლად. როგორც წესი, მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად მიზანშეწონილია ბუნებრივი სათიბ-სამოვრების ზედაპირული გაუმჯობესების სათანადო ღონისძიებების კომპლექსურად ჩატარება.

ზედაპირული გაუმჯობესების სისტემაში შემავალი ყველა ღონისძიება შესაძლებელია გავაერთიანოდ ქვემოთ 3 ჯგუფში: 1) კულტურ-ტექნიკური ღონისძიებები-ბუჩქნარისა და წვრილი ტყისაგან სათიბ-სამოვრების იმ ნაკვეთების გაკაფვა, სადაც მათ ანტიეროზიული მნიშვნელობა არა აქვთ; კოლბოხების მოსპობა; ქვების გამოტანა, ნაკვეთის გაწმენდა ნაგვისა და ფიჩხისაგან; ნიადაგის ზედაპირის მოსწორება; ამავე სახის ღონისძიებებს ეკუთვნის ბუჩქნარის ზოლების დატოვება. 2) წყლისა და საჰაერო რეჟიმის რეგულირება-ზედაპირული წყლების მოცილება, თხუნელისებრი (ღრუ) დრენაჟი, დახვრელება (დანაპრალება), დაშრობა, მორწყვა, დატბორვა და სხვ. 3) სათიბ-სამოვრების ბალახნარის მოსავლიანობის გადიდება აგროტექნიკური ხერხებით-განოყიერება ორგანული, მინერალური და მიკროსასუქებით, მოკირიანება, გაჯის შეტანა მლაშე ნიადაგებზე, სარეველებთან ბრძოლა, ბალახების შეთესვა, ბალახნარის გაახალგაზრდავება და სხვა.

4. კულტურ-ტექნიკური ღონისძიებები

ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებების ღონისძიებები, გამომდინარე მათი გამოყენების მიზნებიდან, თუ როგორ ესადაგება ისინი ადგილსამყოფელის პირობებს, ბალახნარის გამოყენების სავარაუდო ხერხებს, რომელი ბალახოვანი მცენარეები შექმნიან გაუმჯობესებული

საკვები სავარგულის ბალახნარის საფუძველს - ბუნებრივი თუ ნათესი, განასხვავებენ მათი გაუმჯობესების ორ სისტემას - ზედაპირულს და ძირულს.

კულტურ-ტექნიკური ღონისძიებებითა კომპლექსში შემავალი ხერხების განხორციელების აუცილებლობას განაპირობებს საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულების თანამედროვე, მეტად არასახარბიელი მდგომარეობა. არაწესიერი ექსპლოატაციის, გაუმჯობესების ღონისძიებების გაუტარებლობის, მნიშვნელოვან ფართობებზე კორდდაშლის, ეროზიის, დაბუჩქიანების და სხვა უარყოფითი სამეურნეო მაჩვენებლების ფართო გავრცელება განაპირობებს-სათიბ-სამოვრებზე სამოვრული საკვებისა და თივის დაბალ მოსავლიანობას, პროდუქტიულობას, ყუათიანობას. კულტურ-ტექნიკური ღონისძიებები ტარდება, ბუნებრივი საკვები სავარგულების როგორც ზედაპირული, ასევე ძირული გაუმჯობესების დროს.

ხე-ბუჩქნარისაგან საკვები სავარგულების გაწმენდა. როგორც წესი წვრილი ტყით და ბუჩქნარით დაფარული ბუნებრივი სათიბ-სამოვრების გაწმენდა ხდება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მათ ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის დანიშნულება არა აქვს. შესანურჩენებელია წყალსაცავების, ტბებისა და მდინარეების პირას, ხევებსა და ხრამების გასწვრივ მზარდი ბუჩქნარი და ხეები, აგრეთვე ცალკე მდგომი ის მცენარეები, რომლებიც აცოცხლებენ პეიზაჟს და ამდიდრებენ ბუნებრივი ლანდშაფტის ესთეტიკურ ღირებულებას. ნაპირების გადარეცხვის, აგრეთვე მდელის ნაკვეთების ქვიშისა და სილის ნაფენების თავიდანსაცლილებლად მიზანშეწონილია მდინარის კალაპოტის გასწვრივ 4-5 მ სიგანის ბუჩქნარის ზოლის დატოვება. ასევე საჭიროა ხევების, ხრამების ფერდობებზე ტყის ზოლების შენარჩუნება, ბუჩქნარის ან ხეების დარგვა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროზიული პროცესების შეჩერებას. ბუჩქნარს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თოვლის შენარჩუნების და თოვლის საფარის გახანგრძლივების მიზნითაც, განსაკუთრებით სამხრეთ რეგიონებში.

ხე-ბუჩქნარი მცენარეულობის მოსპობისას მიმართავენ მექანიკურ (გაკაფვა, მოჭრა, ამოძირკვა, ჩახვნა, ფრეზირება) და ქიმიურ-მექანიკურ მეთოდებს, აგრეთვე გადაწვას.

იმ შემთხვევაში თუ სავარგულის დაბუჩქიანება ან ხეების დგომა უმნიშვნელოა (მათ მიერ ნიადაგის დაფარულობა 8-10%-ს არ აღემატება), გაკაფვა ხელით წარმოებს. წვრილი ტყის და ბუჩქნარის მოჭრა ხორციელდება სხვადასხვა ბუჩქმჭრელი მანქანებით. ერთ - ერთი ყველაზე შრომატევადი პროცესია ამოძირკვა, რომელიც ხორციელდება ან ცალ-ცალკე, ჯერ მოჭრით და შემდგომ ამოძირკვით, ან პირდაპირ ამოძირკვით. ამასთან უფრო პროგრესიულია ხე-ბუჩქნარის ჯერ მოჭრა და შემდგომ დარჩენილი ჯირკვების ამოძირკვა, რაც საგრძნობლად ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერი ზედა ფენის დანაკარგებს. ამოძირკვის შემდეგ მიზანშეწონილია მოშიშვლებულ ადგილებზე ძვირფასი საკვები ბალახების შეთესვა. ბუჩქნარის ჩახვნა 20-35 სმ სიღრმეზე ხორციელდება ბუჩქნარ-ჭაობის გუთნით, ბუჩქნარის წინასწარი მოჭრის გარეშე. ბუჩქნარის ფრეზირება და დაქუცმაცებული მასის ნიადაგში შერევა წარმოებს მინერალურ ნიადაგებზე 20 სმ-იან ჰუმუსოვან ჰორიზონტში.

ბუჩქნარის გადაწვა დასაშვებია დაჭაობებულ ნაკვეთებზე ნიადაგის გაღობამდე. გადაწვის შემდეგ ბუჩქნარი მალევე ხმება და ჩახვნის შემდეგ სწრაფად იხრწნება ნიადაგში.

ბუჩქნარის მოსპობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ხერხია ქიმიური მეთოდი არბორიციდების გამოყენებით, რომელთა შესხურებით არ ზიანდება ნიადაგი და მინიმუმამდე მცირდება ეროზიული პროცესების განვითარება. ამასთან აუცილებელია ზუსტად იქნას დაცული ის ეკოლოგიური შეზღუდვები, რომელიც ეხება არბორიციდების გამოყენებას და მათთან მუშაობას.

ქვების მოცილება. საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობი, ძირითადად კი მთიანი სამოვრები, სხვადასხვა ზომის ქვებით არის დაფარული და დაქვიანების პროცენტი ზოგჯერ 50%-საც აღემატება. მიღებულია, რომ თუ სავარგულის ზედაპირის მხოლოდ 10%-მდეა ქვებით დაფარულია, ასეთი დაქვიანება სუსტად ითვლება, 20%-მდე - საშუალოდ, ხოლო 60%-მდე იწოდება. ზედაპირული გაუმჯობესების დროს გამოაქვთ ზედაპირზე განლაგებული ან ნახევრად ჩაფლული ქვები. ამასთან, ციკაბო ფერდობებიდან მოზრდილი ქვების ამოღება და გამოტანა არაა მიზანშეწონილი ეროზიული პროცესის განვითარების გამო. ქვებისგან ნაკვეთის გასუფთავება 15-30% ადიდება სათიბის პროდუქტიულობას.

სათიბ-სამოვრების ქვებისაგან გაწმენდის ხერხი დამოკიდებულია დაქვიანების ხარისხზე, ქვების ზომასა და ნიადაგში განლაგების (ჩაფლვის) სიღრმეზე. ზედაპირზე გაფანტული მომცრო ქვების შეგროვება და გამოტანა ხელით ხდება და მათ იყენებენ სამოვრის, ან სხვა ნაკვეთის

შესალობად, ან სხვადასხვა სამშენებლო მიზნებისათვის, აგრეთვე სარწყულელებელი ადგილების მისადგომების გასამაგრებლად და ა.შ. სამოვრებზე ქვების შეგროვება დასაშვებია მთელი სეზონის მანძილზე, სათიბზე კი შემოდგომით, თივის აღების შემდეგ, ან ადრე გაზაფხულზე. მსხვილი, სხვადასხვა სიღრმით ნიადაგში ჩაფლული ქვების ამოძირკვა ხდება ვაკე და დამრეც ფერდობებზე, სპეციალური ამოსაძირკვი-შემგროვებელი მანქანებით. მოხერხებულია 4 ტონამდე ქვების გამოტანა თვითდამცლელი თხილამურით. ქვებისაგან გასუფთავებული მდელოს ბალახნარის მოსავალი (3 წლის მანძილზე) დიდდება 20-30%-ით.

კოლბოხების მოსპობა. წარმოშობის მიხედვით განასხვავებენ კოლბოხების შემდეგ ჯგუფებს: ნაჩლიქარი კოლბოხები, რომელთა წარმოქმნა დაკავშირებულია ტენიან ნიადაგზე ცხოველის არარაციონალურ, გადაჭარბებულ მოვებასთან; თხუნელასა და თაგვების ცხოველმოქმედების შედეგად წარმოქმნილი კოლბოხები; ჭიანჭველების მიერ წარმოქმნილი მიწის გროვების გაბალახიანების შემდეგ განვითარებული კოლბოხები; მკრივბუჩქიანი მარცვლოვანი ბალახების (ძიგვა, ჭრელი წივანა, მახრჩობელა, კორდიანი ისლი, ვაციწვერები და სხვ.) მიერ წარმოქმნილი კოლბოხები. გარდა ამისა ხშირია ქვების ხავსით დაფარვა, დაბალახიანება და კოლბოხისმაგვარი ქვების წარმოშობა.

კოლბოხებს შორის ყველაზე მკვრივი ისლების კოლბოხებია, რომელთა სიმაღლე 10-70 სმ აღწევს, ხოლო უფრო ფაშარია ჭიანჭველისა და თხუნელას კოლბოხები მათზე კორდის წარმოქმნამდე.

კოლბოხები მნიშვნელოვნად ამცირებს სავარგულის სასარგებლო ფართობს, ამცირებს მოსავალს, საკვების ხარისხს, აფერხებს თივის მექანიზაციას და სხვ. სავარგულის გაწმენდა კოლბოხებისაგან მიზანშეწონილია მაშინ, როცა კოლბოხებს ფართობის 10%-მდე უკავია. სხვა შემთხვევაში უმჯობესია ძირეული გაუმჯობესება, თუ კი სხვა გასათვალისწინებელი პირობები ამის საშუალებას იძლევა.

თხუნელებისა და ჭიანჭველების ახალი ბუდეების მოსპობა უმჯობესია ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომით მძიმე ფარცებით, ლიანდაგის სათრეველათი, მოფოჩხვით, ხოლო ამ ტიპის დაკორდებული კოლბოხები უნდა მოსწორდეს მოდისკოებით ან ჭაობის ფრეზებით. კოლბოხები დაქუცმაცებული უნდა იყოს 3 სმ-მდე ნაწილაკებად, რაც მიიღწევა ფრეზის ან დისკოებიანი ფარცხის 1-2 გავლით.

საშუალო და მსხვილი კოლბოხების ფართოდ გავრცელების დროს მათი მოსპობა ხდება ძირეული გაუმჯობესების სისტემის ღონისძიებათა კომპლექსში შემავალი ხერხების გამოყენებით. აუცილებელია ნებისმიერი კოლბოხების მოსპობის შემდეგ მოშიშვლებულ ადგილებზე საკვები ბალახების შეთესვა.

ნიადაგის ზედაპირის მოსწორება-მოშანდაკების მიზანია მდელოს ზედაპირის მოსწორება, რომ თავისუფლად იყოს შესაძლებელი თივის დამზადების, სასუქების შეტანის, ბალახების თესვის და სხვა სამუშაოების მექანიზაცია. ამისათვის გამოიყენება რელსებიანი სათრეველა, ფრეზობარაბანი, ბულდოზერი და სხვა.

სამოვრული საკვები, ან ბაგაზე მიტანილი ახლად გათიბული მწვანე მასა თითქმის მთლიანად არის დაბალანსებული უმნიშვნელოვანესი საყუათო ნივთიერებებით და ყველაზე უფრო სრულად აკმაყოფილებს ცხოველის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული სამოვრის ბალახის საკვები ერთეულის თვითღირებულება სამოვრად გამოყენებისას დაახლოებით 3-ჯერ იაფია, ვიდრე თივის საკვები ერთეული და ორჯერ იაფი, ვიდრე ბაგაზე მიცემული მწვანე ბალახის საკვები ერთეულის თვითღირებულება.

წყლისა და საჰაერო რეჟიმების გაუმჯობესება და მათი შემცველობა ნიადაგში, ასევე სარწყავი სისტემების ორგანიზება მნიშვნელოვნად განაპირობებს მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედებას, მცენარეთა კვებითი და საჰაერო რეჟიმის მიმდინარეობას, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის მოსავლის მოცულობას და აუმჯობესებს ხარისხს. აქედან გამომდინარე, აჭარის სათიბებ - სამოვრებზე წყლისა და საჰაერო რეჟიმის რეგულირება, მათი რაციონალური გამოყენება და მოვლა მკვერად უზრუნველყოფს ბუნებრივი სათიბ - სამოვარების პროდუქტიულობის ამაღლებას და მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას.

საანგარიშო პერიოდში შესასრულებელი სამუშაოები. საძოვრების და სავარგულების მიწის ბალანსის ანალიზი და დაგეგმარება.

ბუნებრივი საკვები სავარგულების განოყიერება

მეცხოველეობისათვის აუცილებელია მყარი საკვები ბაზის შექმნა, წარმოებული პროდუქტის თვითღირებულების შემცირება და საერთოდ დარგის რენტაბელობა, მით უმეტეს ისეთ მთა-გორიან ქვეყანაში, როგორც საქართველოა და კერძოდ აჭარა, შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ინტენსიფიკაციის გზით, ხოლო აქედან გამომდინარე მდელიოსნობა უდაოდ წარმოადგენს საქართველოს მიწათმოქმედების მეტად მნიშვნელოვან დარგს.

დაბალპროდუქტიული, გადაქელილი, კორდდაშლილი ან ეროზირებული ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების, მოსავლიანობის გადიდების და საძოვრული საკვების ან თივის ხარისხის ამაღლების კონკრეტული ღონისძიებების დადგენა და განხორციელება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულდება ორი სისტემით: ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესებით. ამა თუ იმ სისტემის განხორციელების მიზანშეწონილობა ბუნებრივ სათიბებსა და საძოვრებზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მრავალ ფაქტორთა კომპლექსურა დამოკიდებული. გაუმჯობესების ამ სისტემების თითოეულ ღონისძიებას, ხერხსა თუ ილეთს თავისი უპირატესობა და ნაკლი გააჩნია.

ძირეული გაუმჯობესების საწინააღმდეგო ძირითადი მოსაზრებები ეფუძნება შემდეგ უმთავრეს არგუმენტებს: ნიადაგის ეროზიის განვითარების საშიშროება, მოხვნისა და ბალახთესვის ჩატარების სიმწელები ადგილმდებარეობის რელიეფის სირთულეებიდან გამომდინარე (ფერდობების ციცაბო დახრილობა), ნიადაგის დამუშავების შეუძლებლობა ძლიერი დაქვიანების და მცირე სისქის გამო, ღონისძიებების მაღალი ღირებულება, რისი მიზეზიცაა მდელიოს-საძოვრული ბალახების თესლის სიმცირე და ბუნებრივი საკვები სავარგულების დამორება დასახლებული პუნქტებიდან, ნათესი ბალახნარის მოსავლიანობის რამდენიმე წლის შემდეგ შემცირება, მით უმეტეს მოუვლელობის ფონზე და მისი დაბრუნება გაუმჯობესებამდე არსებულ მდგომარეობამდე ბალახნარის მოსავლიანობის და ხარისხის (ბოტანიკური შედგენილობის) მიხედვით. მაგრამ ამ მოსაზრებებს ყოველთვის და ყველა შემთხვევაში არ შეიძლება დავეთანხმოდ. მათი უმრავლესობა მიესადაგება იმ სათიბ-საძოვრებს, რომლებიც განლაგებულია ძლიერ ციცაბო ფერდობებზე, მცირე სისქის და ქვიან ნიადაგებზე. საქართველოს მთიან რეგიონებში, პირველ რიგში სამხრეთ საქართველოს ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე მნიშვნელოვანი ფართობი წარმოდგენილია ზეგანზე, რომლის რელიეფის საკმაოდ დიდი ნაწილი გავაკებულია ან დამრეცი ფერდობებია, სადაც ძირეული გაუმჯობესება და დაბალპროდუქტიული ნათესი საკვები სავარგულების შექმნა უდაოდ უფექტურია.

ყურადსაღები და უმრავლეს შემთხვევაში ანგარიშსგასაწევი მოსაზრებები აქვს განხილული ცნობილ გერმანელ მეცნიერს ერნსტ კლაპს თავის ნაშრომში "სათიბები და საძოვრები" (Ernst Klapp - "Wiesen ind Weiden", 1971). ყოფილ საბჭოთა კავშირში ვ. რ. ვილიამსის მიერ დამუშავებული ნიადაგთმწარმოქმნის ერთიანი პროცესის თეორიის დოგმატური გაგების დამკვიდრებული გაგების საწინააღმდეგოდ, ე. კლაპი მიიჩნევს, რომ მდელიოს ასაკთან ერთად არ განიცდის გადაგვარებას. მას მოყავს იმის დამამტკიცებელი მონაცემები, რომ წლოვანებასთან ერთად ნიადაგის, წყლისა და საჰაერო რეჟიმი შესაძლოა არ გაუარესდეს, ხოლო საძოვრების პროდუქტიულობა ხნოვანობასთან ერთად გადიდდეს კიდევ. ადამიანის რაციონალურმა მოღვაწეობამ, რომელიც არ იყო ასახული კორდწარმოქმნის პროცესის თეორიაში, როგორც ტ. რაბოტნოვი (1979) აღნიშნავს, შესაძლოა არა მარტო შეაჩეროს ნიადაგში არასასურველი ცვლილებები, არამედ უზრუნველყოს მდელიოსების პროდუქტიულობის პროგრესიული გადიდება.

ე. კლაპს მიაჩნია, რომ ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესება არასდროს არ მიიღწევა მოხვნით, ნიადაგი ძველი ბალახნარის ქვეშ ხასიათდება საუცხოო სტრუქტურით და არ საჭიროებს გაფხვიერებას; მისი მექანიკური ჰაერაცია ნიშნავს ორგანული ნივთიერებების - მდელიოს ნიადაგების სტრუქტურის საფუძვლის - გამჩანაგლებულ გამოყენებას. მაგრამ თვით ე. კლაპი ეთანხმება იმ მდელიოსების ძირეული გაუმჯობესების აუცილებლობას, სადაც ბალახნარში დომინანტობს სარეველა ან დაბალი კვებითი ღირებულების ბალახები. ამავე დროს ბევრი მკვლევარი და მრავალი ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ ბუნებრივი სათიბ-საძოვრების ნიადაგის გადახვნა ზოგჯერ აუცილებელია (ცხადია ხელისშემშლელი სხვა ფაქტორების არ არსებობის პირობებში), ნიადაგის ნაყოფიერების იმ ელემენტების მობილიზაციისათვის, რომლებიც

ბალახების ქვეშ არის ნიადაგში დაგროვილი. ეს ხშირად განსაკუთრებით მიზანშეწონილია სასუქების საერთო ნაკლებობისას (ან სიძვირისას), როდესაც პერიოდული გადახვნით ნიადაგის ნაყოფიერების გამოყენება საშუალებას იძლევა მივიღოთ ბალახების და ერთწლოვანი კულტურების მაღალი მოსავალი. ცალკეულ შემთხვევებში ბუნებრივი საკვები სავარგულების მიწებზე სპეციალური თესლბუნვების ორგანიზაცია მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი მინდვრის პერიოდით, ზოგჯერ მიზანშეწონილია სამეურნეო-ორგანიზაციული მოსაზრებითაც, კერძოდ ზოგიერთი კულტურის (საკვები, ბოსტნეული და სხვ.) ამ მიწებზე განლაგების ეკონომიკური მომგებიანობის გამო.

მოხვნა და ბალახების თესვა (ე. კლაპი) უმრავლეს შემთხვევაში არ წარმოადგენს საიმედო საშუალებას და არ ხასიათდება უპირატესობით ზედაპირული გაუმჯობესების სისტემის ღონისძიებებთან. იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია რეგულირებული მოვება, ნიადაგის მოხვნა მხოლოდ ცალკეულ სიტუაციებშია აუცილებელი. ურჩევნია საკვები სავარგულის გაუმჯობესება დაიწყოს ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებების საცდელი მასშტაბით განხორციელებით. თუ ამ ღონისძიებებით მიზანს ვერ ვაღწევთ ან ისინი თავიდანვე, უპერსპექტივოა, მაშინ საჭიროა ნიადაგის მოხვნა პრაქტიკით შემოწმებული წესით ჩატარდეს და ახლად გამდებლოებული ნაკვეთები რაციონალურად იყოს მოვლილი და გამოყენებული.

ე. კლაპის მიხედვით ძირეული გაუმჯობესება მიზანშეწონილია შემდეგ შემთხვევებში: თუ კი ნიადაგის ზედა ფენაში არის ფესვების ზრდის და წყლის შეღწევის შემაფერხებელი ნაკლოვანებები, განსაკუთრებით კი არაღრმად განლაგებული გამკვრივების ჰორიზონტები (ლები, ორტმტენი, ჭაობის და ბელტის მადანი).

აუცილებელია ჩატარდეს მეტად არასწორი ზედაპირის ნიველირება, რაც ართულებს როგორც ნათესი სავარგულის მოვლას, ასევე მის გამოყენებას (დაშრობილი ისლიანი კოლბოხები, ბორცვიანი დაუმუშავებელი ადგილები).

ყველა შემთხვევაში მოხვნას და ბალახების თესვას უპირატესობა უნდა მიეცეს ყველგან, სადაც ზედაპირული გაუმჯობესება უშედეგოა ან დაბალეფექტურია და ძალიან გვიან შედეგს იძლევა. რაც შეეხება მოხვნის გამომრიცხავ მიზეზებს, ისინი ე. კლაპის აზრით შემდეგია:

გრუნტის წყლების მაღალი დგომა, რადგან ამ შემთხვევაში ნათესი ბალახების ბალახნარი ვერ უძლებს გარკვეული დროის მანძილზე ცხოველის ჩლიქების, ტრანსპორტის, მანქანა-იარაღების თვლების მიერ დატვირთვას და სწრაფად დეგრადირდება;

ძლიერ დაშრობილი ნიადაგები, რომლებსაც მიდრეკილება აქვთ სტრუქტურის გაუარესებისადმი, კერძოდ კირით მდიდარი ნეშომპალიანი ნიადაგები და გამკვრივებისაკენ მიდრეკილების მქონე თიხნარი ნიადაგები, რომლებიც დაშრობის მიუხედავად არ გახდა მოხვნისათვის გამოსაყენებელი;

ციცაბო ფერდობი, სადაც ეროზიის უშუალო საფრთხეა, კერძოდ უხვი ნალექებით გამორჩეული ადგილები;

ძლიერ ქვიანი და მცირე სისქის ნიადაგები, რომელთა გაუმჯობესება მეტად დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

კლაპი თვლის, რომ მოხვნა და ბალახთესვა არასწორია ყველგან, სადაც ძველი ბალახნარის ნაკლოვანებები განპირობებულია უპირატესად არასწორი მიდგომით და გამოყენებით, აგრეთვე იქ, სადაც ეს ნაკლოვანებები ადვილად გამოსასწორებელია.

ამრიგად ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესება და ნათესი საკვები სავარგულების შექმნა მიზანშეწონილია პირველ რიგში იმ ნაკვეთებზე, სადაც ზედაპირული გაუმჯობესების სისტემის სხვადასხვა ღონისძიებები მეტად მცირე ეფექტს იძლევა, ან საერთოდ არაეფექტურია. ასეთ ბუნებრივ სათიბ საძოვრებს მიეკუთვნება მდელოები ძლიერ გამეჩხერებული ბალახნარით და საკვებად მცირედ ღირებული მცენარეებით, გადაქელილი საძოვრები გადაგვარებული ბალახნარით, დაკოლბოხებული ნაკვეთები და ბუჩქნარი ეროზიისაგან დაცულ ადგილებზე და სხვა.

გავაკებულ და დამრეც ფერდობებზე მდებარე სათიბების და საძოვრების გაუმჯობესებისას ანგარიში უნდა გაეწიოს ნიადაგის სისქეს. ზოგიერთ ასეთ მდელოებზე ნიადაგი არასაკმარისადაა განვითარებული და მისი სისქე შემოიფარგლება მხოლოდ კორდის სისქით, რომელიც 10-12 სმ არ აღემატება, ხოლო შემდგომ დედაქანია განლაგებული (ბაზალტი ან სხვა ფილაქანი). ასეთი მდელოების მოხვნისას ნიადაგი ადვილად მტვრიანდება, რის გამოც ვრცელდება ქარული ეროზია.

ამიტომ ბუნებრივი საკვები სავარგულების თხელნიადგან მასივებზე, როგორც წესი, მხოლოდ ზედაპირული გაუმჯობესების ცალკეული ღონისძიებები ან კომპლექსი უნდა განხორციელდეს.

დაბალპროდუქტიული ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესების მთავარი ამოცანა არსებული მცენარეულობის სრული მოსპობა მოხვნის გზით, შესაფერისი პირობების შექმნა კორდის ორგანული ნივთიერებების კარგი მინერალიზაციისათვის და ნათესი ბალახების მაღალი მოსავლისა და ხარისხის მწვანე მასის (თივის, სენაჟის და სხვ.) მიღება. უმეტეს შემთხვევებში საჭირო ხდება ნაკვეთის (მასივის) ზედაპირის მოსწორება, მისი გასუფთავების შემდეგ ნიადაგის წყლისა და საჭაერო რეჟიმის რეგულირება და მისი ნაყოფიერების გადიდება. ძირეული გაუმჯობესების დროს საჭირო ხდება ღონისძიებათა შემდეგი ჯგუფების განხორციელება: ჰიდროტექნიკური (დაშრობა, ან მორწყვა), კულტურ-ტექნიკური (ხე-ბუჩქნარისაგან ნაკვეთის განთავისუფლება, კოლბოხების მოსპობა, ქვების მოშორება, ფართობის დაგეგმვა) და აგროტექნიკური (მოხვნა, სასუქების შეტანა, თესვა და გამდებლობასთან დაკავშირებული სხვა სამუშაოები).

დაბალპროდუქტიული ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესება და ნათესი საკვები სავარგულების შექმნა იქ, სადაც ამის საშუალებას რელიეფი და ნიადაგის მდგომარეობა იძლევა, საკვების წარმოების გადიდების საკვებით გამართლებულ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს, როგორც სამეურნეო, ასევე ეკონომიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით.

აჭარის ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესების მთავარი მიმართულებები

ადრე წარმოდგენილ ანგარიშებში განხილული იყო აჭარის საძოვრებისა და მდელოების დახასიათება და ბუნებრივი თავისებულებები, სადაც გამოვთქვამდით მოსაზრებას, რომ საჭირო იყო აღნიშნული სავარგულების გაუმჯობესების ფორმებისა და გზების გამოხატვა.

ბუნებრივი საკვები სავარგულების ან ძველი ნასვენების ძირეული გაუმჯობესების ღონისძიების ჩატარებას წინ უნდა უსწრებდეს საჭირო ჰიდროტექნიკური და კულტურ-ტექნიკური გამოკვლევები. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ასათვისებელი ობიექტის (სათიბის, საძოვრის ან ნასვენის) დაწვრილებითი რუკის შედგენა, რომელზედაც დატანილი იქნება დასახლებული პუნქტები, გზები, ხევი, ბუჩქნარი, ჭაობი, დასაწყურებელი, დაქვიანებული, დაკოლბოხებული ადგილები. აგრეთვე ნაკვეთის ცალკეული მონაკვეთის შედარებითი სიმაღლეების განმსაზღვრელი პარამეტრები. მათი რუკაზე დატანისათვის ტარდება ნივილირება, განსაკუთრებული სიზუსტით კი დასაშრობ ან მოსარწყავ ნაკვეთებზე (მასივებზე).

გამოკვლევების დროს შეისწავლება მიწისქვეშა წყლების სიღრმე, განთავსების ხასიათი და სიმძლავრე, ზედაპირული და გრუნტის წყლების რეჟიმი და ხარისხი. კულტურ-ტექნიკური გამოკვლევები მოიცავს ნაკვეთის ნიადაგის და მცენარეულობის შესწავლას, აგრეთვე სამეურნეო მდგომარეობის დადგენას.

სათიბ-საძოვრების ძირეული გაუმჯობესების დროს შექმნილი ნათესი საკვები სავარგულები იყოფა ორ ჯგუფად: ერთწლოვანი ბალახების ნათესი, ე.ი. ერთი სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე გამოსაყენებელი და მრავალ-წლოვანი ბალახების ნათესი, რომელიც მოსავალს იძლევა განუწყვეტლივ ორი და მეტი წლის განმავლობაში. თავის მხრივ მრავალწლოვანი ნათესი საკვები სავარგულები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: 1) მოკლევადიანი, რომლებიც გამოიყენება 2-3 წლის მანძილზე; 2) საშუალო ხანგრძლივობის - 4-6 წლის განმავლობაში და 3) გრძელვადიანი, ხანგრძლივი სარგებლობის, რომლებიც გამოიყენება 7-10 და მეტი წელი.

გამოყენების ხასიათის მიხედვით ნათესი საკვები სავარგულები მიღებულია დაიყოს ოთხ ჯგუფად: ა) სათიბად გამოსაყენებელი; ბ) საძოვრად გამიზნული; გ) შერეული გამოყენების (სათიბ-საძოვრული); დ) სპეციალური გამოყენების, სადაც ბალახი გამოიყენება ბალახის ფქვილის, თივის, სენაჟის ან სილოსის დასამზადებლად.

ნათესი სათიბები და საძოვრები, როგორც ბუნებრივი, ასევე ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სამეურნეო პირობებისაგან დამოკიდებით იქმნება ბუნებრივი საკვები სავარგულების, ნასვენების და სახნავი მიწების (საკვები და მინდვრის თესლბრუნვები, თესლბრუნვის გარეთ მინდვრები) ფართობებზე. გარდა ამისა მრავალწლოვანი ბალახები

ითესება ფერდობებზე, ნიადაგდამცავ (ეროზიასაწინააღმდეგო) თესლბრუნვებში, ბოსტნეულის, ბრინჯის, ბამბის და სხვ. თესლბრუნვებში. საქართველოს ბარის ტენით უზრუნველყოფილ ან სარწყავ მიწებზე, აგრეთვე მთიან რეგიონებში, ბუნებრივი და ეკონომიკური

პირობების გათვალისწინებით, შესაძლებელია ნათესი საკვები სავარგულების ორგანიზაცია სამი ჯგუფის აგროდონისძიებების განხორციელებით, რომელთა რეალიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდება: 1) მოკლევადიანი მაღალმოსავლიანი სათიბები და საძოვრები პარკოსანი ბალახების მნიშვნელოვანი მონაწილეობით, ამასთან ბალახნარის მაღალი მოსავალი უზრუნველყოფილი იქნება პარკოსანი ბალახების ბიოლოგიური აზოტის და ფოსფორიან-კალიუმისანი სასუქების ზომიერი ნორმების გამოყენებით; 2) მარცვლოვანი ბალახების მაღალმოსავლიანი სათიბები და საძოვრები, ამასთან შეტანილი იქნება ფოსფორ-კალიუმისანი სასუქების ზომიერი და აზოტისანი სასუქების მაღალი ნორმები; 3) მოკლევადიანი ან ხანგრძლივი გამოყენების სათიბები და საძოვრები პარკოსანი ბალახების ბიოლოგიური აზოტის და შეტანილი მინერალური სასუქების კომბინირებული გამოყენებით.

დასავლეთ საქართველოს და აჭარის დაბლობის (ძირითადად კოლხეთის დაბლობი) ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესება, მნიშვნელოვან წილად, დაკავშირებულია ჭარბი ტენის (ზედაპირული და გრუნტის) რეგულირებასთან.

რაც შეეხება აჭარის მთიან რეგიონებს, უნდა გვახსოვდეს, რომ ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელება დასაშვებია ვაკე და 150-მდე მძლავრი ნიადაგური საფარის მქონე ფერდობებზე. 15-200 მქონე დახრილობის ფერდობებზე საჭიროა ზოლებრივი გამდელოების მორიგეობა, ხოლო უფრო ციცაბო კალთებზე მხოლოდ ზედაპირული ღონისძიებების ჩატარება.

დაბალპროდუქტიული ბუნებრივი სავარგულების ძირეული გაუმჯობესება და შესაფერი მრავალწლოვანი ბალახების ნარევების ნათესის შექმნა იქ, სადაც ამის საშუალებას ადგილმდებარეობის რელიეფი და ნიადაგის მდგომარეობა იძლევა, საკვების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების ერთ - ერთ ეფექტურ, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებულ ღონისძიებას წარმოადგენს.

ნათესი საკვები სავარგულების შექმნის ტექნოლოგიები (ბუნებრივი საკვები სავარგულების გამდელოება)

ბუნებრივი საკვები სავარგულების გამდელოება, ე. ი. ძირეული გაუმჯობესების შემდეგ მრავალწლოვანი ბალახნარების ნათესის შექმნა, შეიძლება განხორციელდეს ორი წესით: 1) დაჩქარებული გამდელოება, ე. ი. მრავალწლოვანი ბალახების თესვა ძირეული გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებების (კულტურ-ტექნიკური, მელიორაციული, ნიადაგის პირველადი დამუშავების და ა. შ.) დამთავრებისთანავე; 2) ბალახნარელების თესვა წარმოებს მას შემდეგ, რაც 2-3 წლის, განმავლობაში ითესება წინასწარ ერთწლოვანი კულტურები.

მთიანი რეგიონების ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესებისას, უპირატესობა უნდა მიექცეს დაჩქარებულ გამდელოებას, პირველ რიგში ნათესი სავარგულების შექმნის დროს მოსალოდნელი ეროზიული პროცესების სწრაფად განვითარების საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

გასაუმჯობესებელი ნაკვეთი არც ერთი წლით არ გამოითიშება მდელ-საძოვრული ბალახების გამოყენების სფეროდან. თითქმის მინიმუმამდე მცირდება ნიადაგის ეროზიის პროცესების წარმოქმნის საშიშროება, რადგან მოხნულ ნიადაგზე მაშინვე ითესება მრავალწლოვანი ბალახები. დაჩქარებული გამდელოების დროს დაშლილი კორდის საკვები ელემენტები გამოიყენება მდელოს ბალახების მიერ, მაშინ როდესაც მინდვრის პერიოდით გამდელოებისას საკვები (საყუათო) ნივთიერებების ნაწილი ხმარდება წინასწარი კულტურების ზრდა-განვითარებას.

დაჩქარებული გამდელოება გამართლებულია სუსტად ან ზომიერად დაკორდებულ მშრალ და მცირედ დატენიანებულ მშრალობებზე, დაბლობის და ჭალის მდელოებზე, დაშრობილ ჭაობებზე და მელიორირებულ მიწებზე, ხევებისა და მთების დამრეც ფერდობებზე, მშრალ ველებსა და ნახევრად უდაბნოს გასარწყავებელ ნაკვეთებზე.

ძირეული გაუმჯობესების დროს მინდვრის ერთწლოვანი კულტურების წინასწარი თესვა ითვალისწინებს ძვირფასი ტექნიკური, მარცვლოვანი და საკვები კულტურების წარმოების გადიდებას. როგორც წესი, ეს წინასწარი კულტურები მაღალი მოსავლით ხასიათდება და მათი მოვლა-მოყვანის უკვე პირველ წელს ისინი ანაზღაურებენ საკვები სავარგულების გამდელოებისათვის გაწეულ ხარჯებს. ერთწლოვანი კულტურების თესვა და მოყვანა სასურველ სტრუქტურას აძლევს ნიადაგს, ხელს უწყობს საკვები ბალახების თესლის თანაბარ ჩათესვას, დასარევიანების შემცირებას, თივისა და საძოვრული საკვების მაღალი მოსავლის მიღებას.

აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძლიერი და მკვრივი კორდის მქონე მდელოებზე, სადაც დაჩქარებული გამდელოების დროს რთულდება ნიადაგის მომზადება მრავალწლოვანი ბალახების დასათესად. მაგრამ ამასთან, წინასწარი ერთწლოვანი კულტურების გამოყენებასთან ერთად მცირდება ფართობი სათიბებისა და საძოვრების ქვეშ, რაც რამდენადმე ზრდის ნიადაგის ეროზიის განვითარების საშიშროებას.

მრავალწლოვანი ბალახების თესვა 1-3 წლის მანძილზე ერთწლოვანი კულტურების წინასწარი მოვლა - მოყვანის, ე. ი. მინდვრის პერიოდის შემდეგ მიზანშეწონილია აგრეთვე სუსტად დაშლილ ტორფნარებზე, მახრჩობელა და ზოგიერთი სხვა მკვრივკორდიანი სარეველა მარცვლოვანით დასარეველიანებულ ნაკვეთებზე, ნახევრად უდაბნოს ბიცობიან კომპლექსებზე, რაც იწვევს განმარლიანების პროცესების გაძლიერებას.

მთიან რეგიონების ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე ძირეული გაუმჯობესება მინდვრის პერიოდით მიზანშეწონილია ჩატარდეს სწორ ან დამრეც ფერდობებზე დიდი სისქის ნიადაგით და მკვრივი კორდით. ერთწლოვანი კულტურები ერთგვარად ამზადებს ნიადაგს მრავალწლოვანი ბალახების თესვისათვის; ამიტომაც მათ მოსამზადებელ, ან წინასწარ კულტურებს უწოდებენ.

ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესების ხერხი დამოკიდებულია კონკრეტული კლიმატურ-ნიადაგობრივი კომპლექსის, ბალახნარის შედგენილობის, რელიეფის, მეურნეობის შესაძლებლობასა და სხვა პირობებისაგან.

დაჩქარებული გამდელოების დადებით მხარეს წარმოადგენს ისიც, რომ თანამედროვე მანქანა-იარაღების პირობებში მისი განხორციელება შედარებით უფრო იაფია, არ მოითხოვს ბევრ შრომით დანახარჯებს და ფერმერი არც ერთი წელიწადი აღარ რჩება საკვების წარმოების და საკვები მცენარეების მოსავლის გარეშე.

დაჩქარებული გამდელოებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კორდის დამუშავების ხარისხს, ნიადაგის სწორ მომზადებას და ბალახნარელების თესვას აგროწესების მიხედვით. დაჩქარებული გამდელოების მაღალი ეფექტურობისათვის, გასაუმჯობესებელი ნაკვეთის სწორ შერჩევასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია ჩატარდეს კულტურ-ტექნიკური სამუშაოები (ხე-ბუჩქნარის მოსპობა იქ, სადაც მათ ანტიეროზიული დანიშნულება არა აქვთ, კოლბოხების მოსპობა და ა. შ.), სამელიორაციო ღონისძიებები, ნიადაგის წინასწარი დამუშავება და სხვა.

ნათესი მრავალწლოვანი ბალახების ოპტიმალური განვითარება მოითხოვს ბალახნარში სარეველების არარსებობას და ისეთ ნიადაგს, სადაც ორგანული ნივთიერების დაშლისათვის ხელსაყრელი პირობებია. ამიტომ, ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე ძირეული გაუმჯობესების და დაჩქარებული გამდელოების განხორციელებისას, ნიადაგში ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური პროცესების გაძლიერებისა და უკეთესი ჰაერაციისათვის აუცილებელია კორდის ისეთი ხარისხით დაშლა, რომელიც მოსპობს ველურ მცენარეებს და გამორიცხავს ნათესი ბალახნარელების დასარეველიანებას. ამის მიღწევა კი შესაძლებელია გამდელოებისას ნიადაგის გულმოდგინე დამუშავებით. ნიადაგის წინასწარი დამუშავების კონკრეტული ხერხები განსხვავებული იქნება გასაუმჯობესებელი ნაკვეთის ნიადაგის და მცენარეულობის ტიპის, კულტურ-ტექნიკური მდგომარეობის, კორდის ხასიათისა და სიმძლავრის მიხედვით.

პირველადი დამუშავების ხუთ ხერხს: 1) მოხვნა ბელტის სრული ამობრუნებით; 2) ფრეზირება; 3) უფროთ იარაღით დამუშავება; 4) კულტურული მოხვნა წინმხველიანი გუთნით; 5) მოხვნა საპლანტაჟო გუთნით და იარუსებად მოხვნა.

ტყის ზონის ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე, სადაც ხშირად მძლავრად განვითარებული კორდია, ზოგჯერ მრავლადაა ბუჩქნარიც, მიზანშეწონილია გამოყენებული იყოს ბუჩქნარის და ჭაობის გუთნები, ან უნიფიცირებული ბუჩქნარ-ჭაობის გუთანა.

ბუნებრივი საკვები სავარგულების გამდელოების დროს, ყამირი მიწების პირველადი ათვისების შემთხვევაში, ნიადაგის დამუშავების უფრო სრულყოფილ ხერხს წარმოადგენს, ფრეზირება, რომლის დროს კოლბოხები, კორდი და ნიადაგი იჭრება კომტებად დაწებით ან კაუჭებით და ერთმანეთში ირევა. ამრიგად ფრეზირების დროს ერთდროულად ხდება ბელტის მოხვნა და დაქუცმაცება და მისი ჩატარება შესაძლებელია ყველა, ქვებისაგან და ხეების მსხვილი ფესვებისაგან თავისუფალ ყველა ნიადაგზე. განსაკუთრებით ეფექტიანია ფრეზირება ჭაობის ათვისებისას, ძალზე დაკოლბოხებულ ნაკვეთებზე, აგრეთვე მძლავრი კორდის მქონე ყამირ მიწებზე.

იუვენსკაიას (1955) ცდებში მოსკოვის ოლქის დროებით ჭარბტენიან მშრალ მდელოებზე დაჩქარებული გამდელიების მიზნით ნიადაგის დამუშავებისას მიღებული იყო შემდეგი შედეგები: ნიადაგის მოხვნისას გუთნით და შემდგომი დადისკოების დროს 5,31 ტ/ჰა თივა, მოხვნის და თანმიყოლილი ფრეზირებისას - 7,09, ერთ დღეში ნიადაგის ორ კვალად ფრეზირებისას - 8,61, 10 დღის ინტერვალით ორ კვალად ფრეზირებისას - 8,95, ხოლო ბუნებრივ მდელოზე გაუმჯობესების გარეშე - 1,1 ტ/ჰა. როგორც წესი ფრეზირების შემდეგ საჭიროა ნიადაგის მოტკეპნა მძიმე საგორავებით მინერალურ ნიადაგებზე ერთ კვალად, ხოლო ჭაობიან ნიადაგებზე 2 კვალად.

პლანტაჟის გუთნით ან ბუჩქნარის ან ბუჩქნარ-ჭაობის გუთნებით მოხვნა ი. ლარინის მიხედვით (1990) ფართოდ გამოიყენება ბიცი და ბიცობიანი ნიადაგების ათვისების დროს, იარუსული მოხვნა - საშუალო და ღრმა ბიცობების და ხეების ფერდობების, მსუბუქი მექანიკური შემადგენლობის - ბრტყელმჭრელით დამუშავება, კომბინირებული და საფეხურიანი დამუშავება - ეროზია საშიშ ნიადაგებზე.

ნიადაგის დამუშავების სიღრმე, ვადები და ჯერადობა განისაზღვრება არა მარტო დაკორდებული ნიადაგის სიმძლავრით და ბმულობით, არამედ ეწერი, ბოცობი ან გასოლოდებული ჰორიზონტების განლაგების სიახლოვით, რომელთა ნიადაგის ზედაპირზე ამობრუნება მკვეთრად აუარესებს სახნავი ფენის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, მცენარეთა გაღვივების და შემდგომი განვითარების პირობებს.

მთელ რიგ ქვეყნებში ფართო გავრცელებას პოულობს ბუნებრივი საკვები სავარგულების გამდელიება მოხვნის გარეშე. გასაუმჯობესებელ ნაკვეთზე დალაპონისა და დიურონის ნარევის შესხურებით თითქმის მთლიანად ისპობა არსებული ბუნებრივი მცენარეულობა, რომელთა გახმობიდან 20-30 დღის შემდეგ შეაქვთ სასუქები, ხოლო მყავე ნიადაგებზე - კირიც. ნიადაგის დამუშავება ხდება როტაციული ფარცხით 5 სმ სიღრმეზე, მკვრივი კორდის შემთხვევაში რამდენიმე კვალად, რასაც თან სდევს ბალახნარეების თესვა. თესვის წინ ან შემდეგ ან ორივეჯერ ნიადაგი იტკეპნება

ბუნებრივი საკვები სავარგულების ძირეული გაუმჯობესების დროს ხშირად მიმართავენ წინასწარი პერიოდის გამოყენებას, წინასწარ ერთწლოვანი კულტურების თესვას. გამდელიება წინასწარი კულტურების თესვით მიზანშეწონილია მკვრივბუჩქიანი მარცვლოვანებით ძლიერ დასარეველიანებულ ნაკვეთებზე, დაჭაობებულ ნიადაგებზე სუსტად დაშლილი ტორფით, ზოგ შემთხვევაში 10-150 ფერდობებზე ქარული და წყლის ეროზიის განვითარების საშიშროების განვითარების ადგილებში, სადაც რეკომენდებულია ნიადაგდამცავი თესლბრუნვების შემოღება მრავალწლოვან ბალახებთან ერთად ერთწლოვანი კულტურების თესვით. ბუნებრივი კორდის მოხვნის შემდეგ ე. წ. წინასწარ პერიოდში 2-3 წლის მანძილზე დათესილი ერთწლოვანი კულტურები შედარებით უფრო ნაკლებად მომთხოვნიან ნიადაგის დამუშავების ხარისხის მიმართ. გარდა ამისა ხშირად, მდიდარ ნიადაგებზე განლაგებული ბუნებრივი სათიბ-სადოვრების ძირეული გაუმჯობესების დროს, ზოგჯერ მიზანშეწონილია 1- წლის მანძილზე, მრავალწლოვანი ბალახების დათესვამდე, უფრო ძვირფასი კულტურების (ტექნიკური, სამარცვლე და ა.შ.) მოვლა-მოყვანა.

სადოვრული საკვები, ან ბაგაზე მიტანილი ახლად გათიბული მწვანე მასა თითქმის მთლიანად არის დაბალანსებული უმნიშვნელოვანესი საყუათო ნივთიერებებით და ყველაზე უფრო სრულად აკმაყოფილებს ცხოველის ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული სადოვრის ბალახის საკვები ერთეულის თვითღირებულება სადოვრად გამოყენებისას დაახლოებით 3-ჯერ იაფია, ვიდრე თივის საკვები ერთეული და ორჯერ იაფი, ვიდრე ბაგაზე მიცემული მწვანე ბალახის საკვები ერთეულის თვითღირებულება.

წყლისა და საჰაერო რეჟიმების გაუმჯობესება და მათი შემცველობა ნიადაგში, ასევე სარწყავი სისტემების ორგანიზება მნიშვნელოვნად განაპირობებს მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედებას, მცენარეთა კვებითი და საჰაერო რეჟიმის მიმდინარეობას, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის მოსავლის მოცულობას და აუმჯობესებს ხარისხს. აქედან გამომდინარე, აჭარის სათიბებ-სადოვრებზე წყლისა და საჰაერო რეჟიმის რეგულირება, მათი რაციონალური გამოყენება და მოვლა მკვერად უზრუნველყოფს ბუნებრივი სათიბ-სადოვრების პროდუქტიულობის ამაღლებას და მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებას.

საანგარიშო პერიოდში შესასრულებელი სამუშაოები. სამოვრების და სავარგულების დეგრადაციის პრობლემები და მათი აღმოფხვრის მეცნიერული გზები. სამოვრების სარგებლობის უფლებების არაფორმალური დამკვიდრება.

სამოვრებს საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, პრობლემას უქმნის, ერთი მხრივ, კლიმატის ცვლილება და, მეორე მხრივ, ადამიანის ჩარევა. ჩვენი სამოვრები რომ გაუვარგისებულია, ამაზე რეგიონში მცხოვრებლები და საოჯახო მეურნეობით დაკავებული ადამიანები დიდი ხანია საუბრობენ. ბოლო წლებში იალაღზე გაშვებული საქონელი მოსახლეობას უკან თითქმის მშვიერი უბრუნდება. შეუიარაღებელი თვალითაც, ბალახოვანი საფარის ფერთაც კი ადვილი მისახვედია, რომ სამოვარები ქვეყანაში დაბალი ეკოლოგიური და კვებითი ღირებულებისაა.

დეგრადირებული და დაბალნაყოფიერი სამოვრების განახლება მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. როგორც „კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის“ (REC Caucasus) პროექტის წარმომადგელები აღნიშნავენ, სამოვრების შენარჩუნება-აღდგენაზე ჩვენს ქვეყანაში მუშაობა 2014 წლიდანაა დაწყებული. პირველადი მიზანი დეგრადაციის შეჩერება და ნაყოფიერების შენარჩუნება - ამაღლებაა.

სამოვარი ეკოსისტემის ნაწილია. ამიტომაც მისი დეგრადაცია საფრთხეა, ერთი მხრივ, ქვეყნის ბიომრავალფეროვნების შემცირების, მეორე მხრივ, სამოვრების დაბალპროდუქტიულობა პირდაპირ აისახება სოფლის მეურნეობაზე და მეცხოველეობაზე, ასევე სამოვრის აღდგენა დიდ ინვესტიციას და ძალისხმევას საჭიროებს.

გაერომ 2019 წელს კონვენციის ფარგლებში შეიმუშავა სამოვრებისა და სხვა ეკოსისტემების აღდგენის კონცეფცია და ეს შეაფასა როგორც მიწის ნეიტრალური ბალანსის მიღწევა. დღეისათვის ბევრი უცხოური პროექტი სწორედ ამის ფარგლებში ახორციელებს სამუშაოებს საქართველოში, რაც გულისხმობს მიწის ბალანსის ნეიტრალობის მიღწევას მდგრადი მართვისა და აღდგენის გზით. აქამდე სამოვრებს კანონი არ არეგულირებდა. შეიმუშავდა სამოვრების მდგრადი მართვის კონცეფცია, რომელიც ევროპულ და ამერიკულ გამოცდილებებს ეყრდნობა. კერძოდ, გათვალისწინებულია გერმანიისა და საფრანგეთის მაღალი მთის ალპური სამოვრების გამოყენების მიდგომები.

საქართველოში და კერძოდ აჭარის რეგიონში უკანასკნელი 20 - 35 წლის მანძილზე ინტენსიურ მეურნეობებში და ბუნებრივ სამოვრებზე მნიშვნელოვნად გაუარესდა ეკოლოგიური სიტუაცია. ქიმიური სასუქების, პესტიციდების ინტენსიურმა გამოყენებამ, ნიადაგის ხშირმა და არასწორად დამუშავებამ, სამოვრებზე არამდგრადმა მოვებამ, წყლისმიერმა და ქარისმიერმა ეროზიებმა და სხვა, განაპირობა ნიადაგის ფიზიკური და ბიოლოგიური დეგრადაცია და გარემოს ქიმიური დაბინძურება.

ნიადაგზე ზემოქმედების შედეგად დაირღვა მისი სტრუქტურა, დაქვეითდა ჰუმუსისა და საკვებ ნივთიერებათა შემცველობა, წარმოიქმნა სახნავი ზოლის ქვედა გამკვრივებული ფენა, გაუარესდა ნიადაგის ფიზიკური თვისებები – წყალგამტარობა, ტენტევადობა, აერაცია და სხვა. დადგენილია, რომ ასეთი სახის დეგრადირებულ – “გადაღლილ” ნიადაგებზე

მოსავლიანობა დაქვეითებულია საშუალოდ 55-65%-ით. ნიადაგის დეგრადაცია არის უარყოფითი პროცესი, რომლის შედეგად ნიადაგი კარგავს ადრე დაგროვილ ორგანულ

ნივთიერებებს - ჰუმუსს, რის შედეგადაც ნიადაგი განიცდის ნაყოფიერების დაკარგვას, დეგრადაციას და მისი ეკონომიკური ღირებულება დაცემულია სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად.

ნიადაგების დეგრადაცია ძირითადად არასწორად წარმართული სამეურნეო საქმიანობის შედეგია და არის თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. ამ პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი საფრთხეს უქმნის დედამიწის მოსახლეობას საკვებით უზრუნველყოფაში და ბუნებრივი გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

ნიადაგების დეგრადაციის ძირითადი მიზეზებია:

- მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური მოტივირების ნაკლებობა;
- სოფლის მეურნეობის წარმოების საკითხებში ნაკლები ინფორმირებულობა;
- სიღარიბე;
- მდგრადი ორგანული სოფლის მეურნეობის ნაკლები განვითარება და სხვა.

სამოვრებისა და სასოფლო სამეურნეო სავარგულების გადაწვის, უკონტროლო ძოვების, გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის არასწორი მშენებლობის, დასახლებების ქაოტური მშენებლობებისა და სხვა ფაქტორების შედეგად ყოველწლიურად ნიადაგების უზარმაზარი ტერიტორიები განიცდიან ეროზიასა და დეგრადაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიწის სწორად მართვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი წარმოადგენს საზოგადოების გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური განვითარების საფუძველს.

არსებობს ნიადაგების დეგრადაციის ხელშემწყობი ფაქტორები, რომლის გააქტიურებასაც (როგორც ბუნებრივად, ისე ანთროპოგენურად) უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ფაქტორებია:

- ადგილის რელიეფი, რელიეფი განაპირობებს დეგრადაციის ხარისხს და მის ინტენსივობას. ნიადაგის ნაყოფიერი ფენისათვის ერთ-ერთი საშიში პროცესი ეროზია დიდად არის დამოკიდებული რელიეფის დახრილობასა და დანაწევრების ხარისხზე;
- კლიმატი, ნიადაგის დეგრადაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ატმოსფერული ნალექები, ჰაერის ტემპერატურა და ქარი სხვა ფაქტორებთან ერთად (რელიეფი, მცენარეული საფარი, ნიადაგების შედგენილობა და სხვა) გადამწყვეტ როლს თამაშობს ნიადაგის ეროზიის განვითარებაში;
- მცენარეული საფარი. რელიეფთან და კლიმატთან ერთად ნიადაგის დეგრადაციის პროცესის ინტენსივობა ბევრად არის დამოკიდებული მცენარეულ საფარზე. მცენარეული საფარი იცავს ნიადაგს ზედაპირული ჩამონადენისა და ქარისმიერი ეროზიის ზემოქმედებისაგან;
- ნიადაგების შემადგენლობა, მდგრადობა არის ნიადაგის უნარი გაუძლოს მის ზედაპირზე სხვადასხვა ფაქტორის უარყოფით ზემოქმედებას. ნიადაგების მდგრადობის ხარისხი დამოკიდებულია მის მექანიკურ და აგრეგატულ მდგომარეობაზე, ფიზიკურ, ბიოლოგიურ და ქიმიურ თავისებურებებზე. ეროზიის მიმართ ნიადაგების მდგრადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აგრეთვე ნიადაგში არსებული ჰუმუსის რაოდენობაზე, კარბონატებისა და კათიონების შემცველობაზე;
- ნიადაგის არასწორი ექსპლოატაცია – მოხმარება, მისი არასწორი გამოყენება დეგრადაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია.


ნიადაგის დეგრადაციის შესუსტების ან სრული შეწყვეტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიადაგის დამუშავებისა და გამოყენების სწორი რეგულირება.

ამჟამად, როგორც წესი მოსახლეობის მიერ სათანადო ყურადღება არ ექცევა ნიადაგის დეგრადაციისაგან დაცვის ტრადიციულ და ეფექტურ ხერხებს, როგორცაა თესლბრუნვა, ნაკვეთმონაცვლეობა, სხვადასხვა კულტურების შეთესვა, ნიადაგის სწორად დამუშავება, სასუქების არაეკონომიური და არასწორი გამოყენება, ორგანული სასუქების გამოყენების დეფიციტი, ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა, არასწორი ძოვება, მინდვრების გადაწვა და სხვა.


ნიადაგის რეგრესი და დეგრადაცია - პროცესი, რომლის შედეგად (დეგრადაციის შემთხვევაში) ნიადაგი კარგავს ადრე დაგროვილ ორგანულ ნივთიერებებს, რის შედეგადაც ნიადაგი განიცდის ნოყიერების დეგრადაციას, ე.ი. დაქვეითებას, ხოლო რეგრესის შემთხვევაში ნიადაგი იშლება და განიცდის გადატანას. აღნიშნული პროცესი ან ბუნებრივია ან ანთროპოგენური.

ნიადაგის დეგრადაცია იყოფა ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ფაქტორებად. ფიზიკური დეგრადაციის შემთხვევაში ნიადაგის ჰიდროფიზიკური შემადგენლობა უარესდება და ირღვევა ნიადაგის პროფილი; ქიმიური დეგრადაციის შემთხვევაში უარესდება ნიადაგის ქიმიური შედგენილობა, იცვითება მკვებავი ელემენტების მარაგი და აგრეთვე მიმდინარეობს დაბინძურება; ბიოლოგიური დეგრადაციის ფიზიკური დეგრადაციის შემთხვევაში ნიადაგის ჰიდროფიზიკური შემადგენლობა უარესდება და ირღვევა ნიადაგის პროფილი; ქიმიური დეგრადაციის შემთხვევაში უარესდება ნიადაგის ქიმიური შედგენილობა, იცვითება მკვებავი ელემენტების მარაგი და აგრეთვე მიმდინარეობს დაბინძურება; ბიოლოგიური დეგრადაციის შემთხვევაში იკლებს წყლის მრავალფეროვნება, ირღვევა სხვადასხვა ტიპის ნიადაგის მეზოფაუნისა და მიკროორგანიზმების ოპტიმალური შეხამება და უარესდება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მონაცემები და ა.შ.

ნიადაგის დეგრადაცია



ნიადაგის დეგრადაციის მიზეზები



ნიადაგის დეგრადაციას განაპირობებს სასოფლო - სამეურნეო საქმიანობა, ნიადაგის ზედა ფენის მასის ჭარბი მოხმარება, ტყის გაკაფვა და ა.შ.

ნიადაგის რეგრესი - ეწოდება ნიადაგის დაშლასა და ჩამორეცხვას წვიმისადა გამდნარი თოვლის წყლით ან დაშლა და გადატანა ძლიერი ქარით. წყლისმიერ რეგრესს ხელს უწყობს მთაგორიანი რელიეფი და ხშირი კოკისპირული წვიმები, ხოლო ქარისმიერ რეგრესს - ძლიერი ქარის, ტყის გაჩეხვა, ნიადაგის არასწორი დამუშავება და სხვა.

რეგრესის შედეგად უარესდება ნიადაგის ფიზიკურ - ქიმიური თვისებები, სტრუქტურა, საერთოდ მცირდება ნიადაგის ნაყოფიერება, 2 - 3-ჯერ კლებულობს სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. წყლისმიერი რეგრესის დროს ნიადაგის ზედაპირზე ჩნდება წყალნალარები, ხრამები, ღარტაფები, რის გამოც მცირდება სახნავ-სათესი ფართობი და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, უარესდება ნიადაგის ჰიდროლოგიური რეჟიმი.

ქარისმიერი რეგრესის დროს ძლიერი ქარი დამუშავებული ფართობიდან რამდენიმე დღეში ნიადაგის აცლის 5-7 სმ სისქის ნაყოფიერ ფენას და აზიანებს ნათესებს, აშრობს ნიადაგს. ნიადაგის რეგრესის წინააღმდეგ იყენებენ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მოიცავს ტერიტორიის სწორ ორგანიზაციას, ნიადაგთდაცვით თესლბრუნვას, საძოვრებზე ნაკვეთმორიგეობით მოვებასა და სხვა. მცირე ქანობებზე დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წყალამრიდი და წყალგამყვანი კვლებით ჩამონადენის რეგულირებას, ნიადაგის სწორ დამუშავებას. 12° -ზე მეტი დაქანების ფერდობებზე ეწყობა ხელოვნური ტერასები, აშენებენ ბაღ-ვენახებს.

ნიადაგის დეგრადაცია იყოფა ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ფაქტორებად. ფიზიკური დეგრადაციის შემთხვევაში ნიადაგის ჰიდროფიზიკური შემადგენლობა უარესდება და ირღვევა ნიადაგის პროფილი; ქიმიური დეგრადაციის შემთხვევაში უარესდება ნიადაგის ქიმიური შედგენილობა, იცვითება მკვებავი ელემენტების მარაგი და აგრეთვე მიმდინარეობს დაბინძურება; ბიოლოგიური დეგრადაციის შემთხვევაში იკლებს წყლის მრავალფეროვნება, ირღვევა სხვადასხვა ტიპის ნიადაგის მეზოფაუნისა და მიკროორგანიზმების ოპტიმალური შეხამება და უარესდება სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მონაცემები და ა.შ.

ნიადაგის დეგრადაციას განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ნიადაგის ზედა ფენის მასის ჭარბი მოხმარება, ტყის გაკაფვა და ა.შ.

ზემო აჭარის ბუნებრივი საკვებ სავარგულები. ზემო აჭარის ბუნებრივი საკვებ სავარგულებს 26-28 ათასი ჰა ფართობი უკავია. აქედან უმეტესი ფართობი მოქცეულია სუბალპურ ზონაში, დაახლოებით 12,9-13,1 % მთის შუა და 7,5-7,7 % ალპურ ზონაში. მთის შუა ზონის სავარგულების მცენარეული საფარი ძირითადად მეზოფილური და მშრალი ტიპის მდელოებით და ბეწვისებრი ნამიკრეფიას დაჯგუფებებით არის წარმოდგენილი, რომელთა მოსავლიანობა 1,0-1,5 ტ/ჰა საშუალოზე დაბალი ხარისხის თივის ფარგლებშია. თივის დაბალ ხარისხს განაპირობებს ბალახნარში ისეთი სარეველა, შხამიანი და პარაზიტი მცენარეების მნიშვნელოვანი მონაწილეობა, როგორცაა აჭარული ნარი, ლობელის შხამა, ხუჭუჭა ღოღო, ხრიალა, სატილია, კორდისკბილა. აჭარის სუბალპურ ზონაში განთავსებული ბუნებრივი საკვები სავარგულების ბალახნარში დომინანტობს უკვე სხვა ნამიკრეფია-ბრტყელოფოთოლა ნამიკრეფია. სუბალპების სათიბები მრავლადაა დასარეველიანებული შხამათი, ხოლო სამოვრები მარმუჭის და ფესვმაგარას სხვადასხვა სახეობით. ბალახნარის მოსავლიანობა 1,2-1,4 ტ/ჰა საშუალო ხარისხის თივას შეადგენს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აჭარის ბუნებრივი საკვები სავარგულების ძლიერი გადატვირთვა განაპირობებს ეროზიული პროცესების განვითარებას და ნიადაგის საფარს მოკლებული, ჩამორეცხილი ფართობების წარმოქმნას.

საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულების ზოგადი დახასიათების და პირდაპირი სარგებლობის სამოვრების და სათიბების მოკლე აღწერის გარდა, აუცილებელია შევჩერდეთ არაპირდაპირი სარგებლობის სათიბ-სამოვრების არსებობის შესახებაც. ამ კატეგორიის საკვებ სავარგულებს მიეკუთვნება გასათიბი ან გასამოვარი ფართობები ტყისა და ბუჩქნარის ე. წ. “ფანჯრებსა” და გამეჩხერებულ ადგილებზე, აგრეთვე ამავე მიზნით გამოყენებული ნაკვეთები ჭაობებში, ნასვენებსა და ნაჩხატებში. ამ სავარგულებს რამდენადმე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ ტყის ზონაში, სადაც არაპირდაპირი სარგებლობის საკვებ სავარგულებს დაახლოებით 350 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს, ხოლო მოსავლიანობა 30 ტ/ჰა მწვანე მასას არ აღემატება.

ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების სისტემები. ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების ცნების ქვეშ იგულისხმება ღონისძიებები, რომელთა განხორციელება განაპირობებს ამ სავარგულებზე წარმოებული საკვების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას, სათიბ-სამოვრების მცენარეთა საჭირო ნიადაგის კვებითი, საჭაერო და წყლის ოპტიმალური რეჟიმების უზრუნველყოფას, ბალახნარის ფლორისტული შედგენილობის სრულყოფას, სამოვრებზე ცხოველთა რაციონალური მოვებისა და სათიბებზე მანქანა-იარაღების ნორმალური მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას. ბუნებრივი სათიბ-სამოვრების პროდუქტიულობის და წარმოებული საკვების გადიდების ერთ-ერთი გზაა ამ სავარგულების სასარგებლო ფართობის გადიდება ქვების შეგროვებით, კოლბოხების მოსპობით, ძირკვების მოჭრა-მოშორებით, საკვები სავარგულების ეროზიის განვითარების არასაშიშ ადგილებზე ხე-ბუჩქნარის მოსპობით და სხვა.

ბუნებრივი სათიბების და სამოვრების ბოტანიკური შედგენილობის გაუმჯობესება შესაძლებელია სარეველების წინააღმდეგ ბრძოლით, ბალახნარში საკვებად უფრო ძვირფასი პარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების შეთესვით, არსებულთან შედარებით უფრო პროდუქტიული, მაღალმოსავლიანი და ყუათიანობის მიხედვით უკეთესი ნათესი ბალახნარის შექმნით, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანით სხვადასხვა სახის და ნორმის კომბინაციით და ა. შ.

სათიბებსა და სამოვრებზე მოზარდი ბალახების კვებითი რეჟიმის გაუმჯობესების ძირითადი ღონისძიებებია ორგანული, მინერალური და მიკრო-სასუქების, კირის, გაჯის შეტანა, სიდერაცია, აგრეთვე ნიადაგში მიმდინარე მიკრობიოლოგიური პროცესების აქტივიზაცია.

საქართველოს სინამდვილეში მეტად მნიშვნელოვანია წყლის რეჟიმის გაუმჯობესება სათანადო სამელიორაციო სამუშაოების ჩატარებით, აგრეთვე ნიადაგის მექანიკური დამუშავება (დახვრევა, დაღრუება, ღრმა გაფხვიერება), რომელიც არამარტო წყლის, არამედ საჭაერო რეჟიმსაც აუმჯობესებს.

ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესებების ღონისძიებები, გამომდინარე მათი გამოყენების მიზნებიდან, თუ როგორ ესადაგება ისინი ადგილსამყოფელის პირობებს, ბალახნარის გამოყენების სავარაუდო ხერხებს, რომელი ბალახოვანი მცენარეები შექმნიან გაუმჯობესებული

საკვები სავარგულის ბალახნარის საფუძველს - ბუნებრივი თუ ნათესი, განასხვავებენ მათი გაუმჯობესების ორ სისტემას - ზედაპირულს და ძირეულს.

ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული გაუმჯობესების სისტემა

ბუნებრივი საკვები სავარგულების ზედაპირული გაუმჯობესება გულისხმობს არსებული ბუნებრივი ბალახნარის შენარჩუნების პირობებში მოსავლიანობის და პროდუქტიულობის გადიდებას, ბალახნარის ბოტანიკური შედგენილობის გაუმჯობესებას და ყუათიანობის ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისათვის მუშაობის უკეთესი პირობების შექმნას. ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებები პირველ რიგში უნდა განხორციელდეს იქ, სადაც რელიეფი არ იძლევა ძირეული გაუმჯობესების ჩატარებას, ეროზიასაშიშ ადგილებზე, სადაც ნიადაგის მოხვნა ჩამორეცხვის ან გადარეცხვის საშიშროებას იწვევს (მთიანი რელიეფი, ფერდობები, ძალზე დაქვიანებული ნაკვეთები, დახრამული სათიბ-სამოვრები), ხოლო გვალვიან რაიონებში-ქარული ეროზიის გავრცელების ადგილებში. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ზედაპირული გაუმჯობესების ღონისძიებები მიზანშეწონილია ჩატარდეს იმ სათიბ-სამოვრებზე, სადაც გამეჩხერებულ ან დეგრადირებულ ბალახნარში არანაკლებ 20-30% საკვებად ძვირფასი ბალახია, აგრეთვე მავნე და შხამიანი მცენარეების შემცველობა არ აღემატება 30%-ს, ხოლო დაბუჩქიანება და დაკოლბოხიანება სუსტია - 20%-მდე. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ბუნებრივი საკვები სავარგულების გაუმჯობესების ზედაპირული სისტემის ღონისძიებების განხორციელება ყველა შემთხვევაში ნაკარნახევია აგრეთვე ეკონომიკური მოსაზრებითაც, რადგან ეს ღონისძიებები ძირეული გაუმჯობესებისაგან განსხვავებით არ ითხოვენ, დიდ დანახარჯებს (ნიადაგის მოხვნა-დამუშავება, დეფიციტური და ძვირი მრავალწლოვანი ბალახების თესლი) და შედარებით იაფია განსახორციელებლად. როგორც წესი, მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად მიზანშეწონილია ბუნებრივი სათიბ-სამოვრების ზედაპირული გაუმჯობესების სათანადო ღონისძიებების კომპლექსურად ჩატარება.

ზედაპირული გაუმჯობესების სისტემაში შემავალი ყველა ღონისძიება შესაძლებელია გავაერთიანოდ ქვემოთ 3 ჯგუფში: 1) კულტურულ-ტექნიკური ღონისძიებები-ბუჩქნარისა და წვრილი ტყისაგან სათიბ-სამოვრების იმ ნაკვეთების გაკაფვა, სადაც მათ ანტიეროზიული მნიშვნელობა არა აქვთ; კოლბოხების მოსპობა; ქვების გამოტანა, ნაკვეთის გაწმენდა ნაგვისა და ფიჩხისაგან; ნიადაგის ზედაპირის მოსწორება; ამავე სახის ღონისძიებებს ეკუთვნის ბუჩქნარის ზოლების დატოვება. 2) წყლისა და საჰაერო რეჟიმის რეგულირება - ზედაპირული წყლების მოცილება, თხუნელისებრი (ღრუ) დრენაჟი, დახვრელება (დანაპრალება), დაშრობა, მორწყვა, დატბორვა და სხვ. 3) სათიბ-სამოვრების ბალახნარის მოსავლიანობის გადიდება აგროტექნიკური ხერხებით - განოყიერება ორგანული, მინერალური და მიკროსასუქებით, მოკირიანება, გაჯის შეტანა მლაშე ნიადაგებზე, სარეველებთან ბრძოლა, ბალახების შეთესვა, ბალახნარის გაახალგაზრდავება და სხვა.

კულტურულ - ტექნიკური ღონისძიებები. კულტურულ - ტექნიკური ღონისძიებებთან კომპლექსში შემავალი ხერხების განხორციელების აუცილებლობას განაპირობებს საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულების თანამედროვე, მეტად არასახარბიელი მდგომარეობა. არაწესიერი ექსპლოატაციის, გაუმჯობესების ღონისძიებების გაუტარებლობის, მნიშვნელოვან ფართობებზე კორდდაშლის, ეროზიის, დაბუჩქიანების და სხვა უარყოფითი სამეურნეო მაჩვენებლების ფართო გავრცელება განაპირობებს - სათიბ - სამოვრებზე სამოვრული საკვებისა და თივის დაბალ მოსავლიანობას, პროდუქტიულობას, ყუათიანობას. კულტურ - ტექნიკური ღონისძიებები ტარდება, ბუნებრივი საკვები სავარგულების როგორც ზედაპირული, ასევე ძირეული გაუმჯობესების დროს.

ხე-ბუჩქნარისაგან საკვები სავარგულების გაწმენდა. როგორც წესი წვრილი ტყით და ბუჩქნარით დაფარული ბუნებრივი სათიბ-სამოვრების გაწმენდა ხდება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მათ ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის დანიშნულება არა აქვს. შესანურჩენებელია წყალსაცავების, ტბებისა და მდინარეების პირას, ხევებსა და ხრამების გასწვრივ მზარდი ბუჩქნარი და ხეები, აგრეთვე ცალკე მდგომი ის მცენარეები, რომლებიც აცოცხლებენ პეიზაჟს და ამდიდრებენ ბუნებრივი ლანდშაფტის ესთეტიკურ ღირებულებას. ნაპირების გადარეცხვის, აგრეთვე მდელოს ნაკვეთების ქვიშისა და სილის ნაფენების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია მდინარის კალაპოტის გასწვრივ 4-5 მ სიგანის ბუჩქნარის ზოლის დატოვება. ასევე საჭიროა ხევების, ხრამების

ფერდობებზე ტყის ზოლების შენარჩუნება, ბუჩქნარის ან ხეების დარგვა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროზიული პროცესების შეჩერებას. ბუჩქნარს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თოვლის შენარჩუნების და თოვლის საფარის გახანგრძლივების მიზნითაც, განსაკუთრებით სამხრეთ რეგიონებში.

ხე-ბუჩქნარი მცენარეულობის მოსპობისას მიმართავენ მექანიკურ (გაკაფვა, მოჭრა, ამოძირკვა, ჩახვნა, ფრეზირება) და ქიმიურ-მექანიკურ მეთოდებს, აგრეთვე გადაწვას.

იმ შემთხვევაში თუ სავარგულის დაბუჩქიანება ან ხეების დგომა უმნიშვნელოა (მათ მიერ ნიადაგის დაფარულობა 8-10%-ს არ აღემატება), გაკაფვა ხელით წარმოებს. წვრილი ტყის და ბუჩქნარის მოჭრა ხორციელდება სხვადასხვა ბუჩქმჭრელი მანქანებით. ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი პროცესია ამოძირკვა, რომელიც ხორციელდება ან ცალ-ცალკე, ჯერ მოჭრით და შემდგომ ამოძირკვით, ან პირდაპირ ამოძირკვით. ამასთან უფრო პროგრესიულია ხე-ბუჩქნარის ჯერ მოჭრა და შემდგომ დარჩენილი ჯირკვების ამოძირკვა, რაც საგრძნობლად ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერი ზედა ფენის დანაკარგებს. ამოძირკვის შემდეგ მიზანშეწონილია მოშიშვლებულ ადგილებზე ძვირფასი საკვები ბალახების შეთესვა. ბუჩქნარის ჩახვნა 20-35 სმ სიღრმეზე ხორციელდება ბუჩქნარ-ჭაობის გუთნით, ბუჩქნარის წინასწარი მოჭრის გარეშე. ბუჩქნარის ფრეზირება და დაქუცმაცებული მასის ნიადაგში შერევა წარმოებს მინერალურ ნიადაგებზე 20 სმ-იან ჰუმუსოვან ჰორიზონტში.

ბუჩქნარის გადაწვა დასაშვებია დაჭაობებულ ნაკვეთებზე ნიადაგის გაღლობამდე. გადაწვის შემდეგ ბუჩქნარი მალევე ხმება და ჩახვნის შემდეგ სწრაფად იხრწნება ნიადაგში.

ბუჩქნარის მოსპობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ხერხია ქიმიური მეთოდი არბორიციდების გამოყენებით, რომელთა შესხურებით არ ზიანდება ნიადაგი და მინიმუმამდე მცირდება ეროზიული პროცესების განვითარება. ამასთან აუცილებელია ზუსტად იქნას დაცული ის ეკოლოგიური შეზღუდვები, რომელიც ეხება არბორიციდების გამოყენებას და მათთან მუშაობას.

ქვების მოცილება. საქართველოს ბუნებრივი საკვები სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობი, ძირითადად კი მთიანი საძოვრები, სხვადასხვა ზომისა ქვებით არის დაფარული და დაქვიანების პროცენტი ზოგჯერ 50%-საც აღემატება. მიღებულია, რომ თუ სავარგულის ზედაპირის მხოლოდ 10%-მდეა ქვებით დაფარულია, ასეთი დაქვიანება სუსტად ითვლება, 20%-მდე - საშუალოდ, ხოლო 60%-მდე აღემატება. ზედაპირული გაუმჯობესების დროს გამოაქვთ ზედაპირზე განლაგებული ან ნახევრად ჩაფლული ქვები. ამასთან, ციცაბო ფერდობებიდან მოზრდილი ქვების ამოღება და გამოტანა არაა მიზანშეწონილი ეროზიული პროცესის განვითარების გამო. ქვებისგან ნაკვეთის გასუფთავება 15-30% ადიდება სათიბის პროდუქტიულობას.

სათიბ-საძოვრების ქვებისგან გაწმენდის ხერხი დამოკიდებულია დაქვიანების ხარისხზე, ქვების ზომასა და ნიადაგში განლაგების (ჩაფლვის) სიღრმეზე. ზედაპირზე გაფანტული მომცრო ქვების შეგროვება და გამოტანა ხელით ხდება და მათ იყენებენ საძოვრის, ან სხვა ნაკვეთის შესაღობად, ან სხვადასხვა სამშენებლო მიზნებისათვის, აგრეთვე სარწყულელებელი ადგილების მისადგომების გასამაგრებლად და ა.შ. საძოვრებზე ქვების შეგროვება დასაშვებია მთელი სეზონის მანძილზე, სათიბზე კი შემოდგომით, თივის აღების შემდეგ, ან ადრე გაზაფხულზე. მსხვილი, სხვადასხვა სიღრმით ნიადაგში ჩაფლული ქვების ამოძირკვა ხდება ვაკე და დამრეც ფერდობებზე, სპეციალური ამოსაძირკვი-შემგროვებელი მანქანებით. მოხერხებულია 4 ტონამდე ქვების გამოტანა თვითდამცლელი თხილამურით. ქვებისგან გასუფთავებული მდელოს ბალახნარის მოსავალი (3 წლის მანძილზე) დიდდება 20-30%-ით.

კოლბოხების მოსპობა. წარმოშობის მიხედვით განასხვავებენ კოლბოხების შემდეგ ჯგუფებს: ნაჩლიქარი კოლბოხები, რომელთა წარმოქმნა დაკავშირებულია ტენიან ნიადაგზე ცხოველის არარაციონალურ, გადაჭარბებულ მოვებასთან; თხუნელასა და თაგვების ცხოველმოქმედების შედეგად წარმოქმნილი კოლბოხები; ჭიანჭველების მიერ წარმოქმნილი მიწის გროვების გაბალახიანების შემდეგ განვითარებული კოლბოხები; მწკრივბუჩქიანი მარცვლოვანი ბალახების (ძიგვა, ჭრელი წივანა, მახრჩობელა, კორდიანი ისლი, ვაციწვერები და სხვ.) მიერ წარმოქმნილი კოლბოხები. გარდა ამისა ხშირია ქვების ხავსით დაფარვა, დაბალახიანება და კოლბოხისმაგვარი ქვების წარმოშობა.

კოლბოხებს შორის ყველაზე მკვრივი ისლების კოლბოხებია, რომელთა სიმაღლე 10-70 სმ აღწევს, ხოლო უფრო ფაშარია ჭიანჭველისა და თხუნელას კოლბოხები მათზე კორდის წარმოქმნამდე.

კოლბოხები მნიშვნელოვნად ამცირებს სავარგულის სასარგებლო ფართობს, ამცირებს მოსავალს, საკვების ხარისხს, აფერხებს თივების მექანიზაციას და სხვ. სავარგულის გაწმენდა კოლბოხებისაგან მიზანშეწონილია მაშინ, როცა კოლბოხებს ფართობის 10%-მდე უკავია. სხვა შემთხვევაში უმჯობესია ძირეული გაუმჯობესება, თუ კი სხვა გასათვალისწინებელი პირობები ამის საშუალებას იძლევა.

თხუნელებისა და ჭიანჭველების ახალი ბუდეების მოსპობა უმჯობესია ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომით მძიმე ფარცებით, ლიანდაგის სათრეველათი, მოფოჩხვით, ხოლო ამ ტიპის დაკორდებული კოლბოხები უნდა მოსწორდეს მოდისკოებით ან ჭაობის ფრეზებით. კოლბოხები დაქუცმაცებული უნდა იყოს 3 სმ-მდე ნაწილაკებად, რაც მიიღწევა ფრეზის ან დისკოებიანი ფარცხის 1-2 გავლით.

საშუალო და მსხვილი კოლბოხების ფართოდ გავრცელების დროს მათი მოსპობა ხდება ძირეული გაუმჯობესების სისტემის ღონისძიებათა კომპლექსში შემავალი ხერხების გამოყენებით. აუცილებელია ნებისმიერი კოლბოხების მოსპობის შემდეგ მოშიშვლებულ ადგილებზე საკვები ბალახების შეთესვა.

ნიადაგის ზედაპირის მოსწორება-მოშანდაკების მიზანია მდელოს ზედაპირის მოსწორება, რომ თავისუფლად იყოს შესაძლებელი თივის დამზადების, სასუქების შეტანის, ბალახების თესვის და სხვა სამუშაოების მექანიზაცია. ამისათვის გამოიყენება რელსებიანი სათრეველა, ფრეზობარბანი, ბულდოზერი და სხვა.

ძოვების სისტემების სხვადასხვა ტიპები. პირუტყვის ძოვება სასოფლო დასახლებების ახლომდებარე საძოვრებზე: მცირე რაოდენობის პირუტყვის მფლობელთა უმრავლესობა მათ აძოვებს საცხოვრებელი ადგილის ახლოს, უშუალოდ სასოფლო დასახლების მიმდებარე ახლომდებარე საძოვრებზე.

პირუტყვი ყოველ საღამოს ბრუნდება პირუტყვის მფლობელის (მეპატრონის) მეურნეობაში. როგორც წესი, სასოფლო დასახლების მიმდებარე ახლომდებარე საძოვრებზე შინამეურნეობები პირუტყვს აძოვებენ კოლექტიურად.

ამგვარად ფორმირებულ სოფლის ნახირს შინამეურნეობები მწყემსავენ მორიგეობით ან ერთობლივად ქირობენ მწყემსს.

ძოვებისათვის გამოიყენება არა მხოლოდ მიმდებარე ახლომდებარე საძოვრები, არამედ ასევე სასოფლო დასახლების ფარგლებში მდებარე შეუღობავი მდელოები, ასევე დაუმუშავებელი სახნავ-სათესი მიწები მიწდვრები მოსავლის აღების შემდეგ შემოდგომასა და ზამთარში და გზის პირები.

საქართველოში საძოვრებს იყენებს სასოფლო - სამეურნეო შინამეურნეობების დიდი ნაწილი და ასევე მეცხოველეობის პროდუქციის მრავალი სხვადასხვა მწარმოებელი.

მოსახლეობა მეცხოველეობას მისდევს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის სასოფლო - სამეურნეო შინამეურნეობების უმრავლესობისთვის მეცხოველეობა საარსებო წყაროა, მათი ნაწილისთვის შემოსავლების დივერსიფიკაციის საშუალება, თუმცა ასევე ვითარდება საშუალო და მსხვილი კომერციული და სპეციალიზირებული მეცხოველეობა.

საძოვრების ხელმისაწვდომობის საკანონმდებლო ჩარჩოები უნდა ცნობდნენ ამ სხვადასხვა ტიპის საძოვრებით მოსარგებლეთა საჭიროებებს - ყველა მათგანისთვის საძოვრებზე ხელმისაწვდომობის უფლების სამართლებრივი უზრუნველყოფის მეშვეობით. ზაფხულის განმავლობაში მეწველი საქონლის დატოვება სოფელში, ხოლო არამეწველი საქონლის გადარეკვა საზაფხულო საძოვარზე სოფლის ნახირთან ერთად.

ამ ტიპის მეურნეობა ექსტენსიურია. დამხმარე სერვისები საქონლის კვებასა და მოვლაზე მინიმალურია და შესაბამისად პროდუქტიულობაც დაბალია. ასეთი ტიპის მეურნეობებში ძირითადად არის ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი და ხშირ შემთხვევაში წველადობა საშუალოდ არის 6-8 ლიტრი დღეში. ამ ტიპის მეურნეობებისათვის მესაქონლეობა

შეიძლება არ იყოს მთავარი საქმიანობა და შესაბამისად შემოსავლის მთავარი წყარო, ან პირიქით, წარმოადგენდეს ძირითად საარსებო წყაროს შინამეურნეობისათვის. საქონლის ყოლის მთავარი მოტივაცია უმეტეს შემთხვევაში მესაქონლეობის პროდუქციის საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებაა. მცირე ზომის მეურნეობები ძირითადად ამ გზით ინახავენ მეწველ საქონელს.

მოზარდი და არამეწველი პირუტყვი სოფლების ნაწილიდან ზაფხულის განმავლობაში შესაძლოა გაიგზავნოს მაღალმთიან საძოვრებზე სოფლის ნახირთან ერთად. ძოვების ამ სისტემაში მნიშვნელოვანი შეზღუდვაა საძოვრების სიმწირე, განსაკუთრებით დაბლობი რეგიონების

მჭიდროდ დასახლებული სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე. მიწის პრივატიზაციის რეფორმის შედეგად სოფლების ფარგლებში და მათ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთები ამჟამად ძირითადად გადასულია კერძო საკუთრებაში. ზოგჯერ სამოვრებად გამოიყენება დროებით დაუმუშავებელი მიწები და სახნავ - სათესი მიწები მოსავლის აღების შემდეგ. გარდა ამისა, მიწათმფლობელების მიერ სასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთების დაუმუშავების მზარდი ტენდენციის შედეგად მცირდება საძოვარი ადგილები სოფლის ნახირისათვის, რაც იწვევს კონფლიქტურ სიტუაციებს.

ახლომდებარე მაღალმთიან სამოვრებზე სეზონური გადარეკვა: საქართველოს ბევრ სასოფლო დასახლებაში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა ზაფხულობით საქონლის გადარეკვა ახლომდებარე მაღალმთიან სამოვრებზე, ძირითადად მოზარდი და არამეწველი პირუტყვის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში შესაძლოა მეწველი პირუტყვის გადარეკვას არ ქონდეს ადგილი. ახლომდებარე მაღალმთიან საზაფხულო სამოვრებს იყენებენ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით. ფერმერებს უმეტეს შემთხვევაში ჰყავთ 5-დან 20-მდე სული საქონელი. ახლომდებარე საზაფხულო სამოვრებზე საქონელს/ცხვარს მიერეკებიან კოლექტიურად-ნახირის/ფარის სახით, რომელიც შედგება სხვადასხვა შინამეურნეობების მფლობელობაში არსებული პირუტყვისაგან.

ზაფხულის განმავლობაში მთის სამოვრებზე საქონლის გამოკვება გარკვეულწილად ახდენს ზამთრის პერიოდში არაეფექტური კვების დაბალანსებას და იძლევა მწარმოებლურობის ზრდის საშუალებას. რძის გადამუშავება ხდება მთაში. დამზადებული ყველის რეალიზაცია მთაში ან დაბლობ რეგიონებში. გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე საქონელი ბალახობს სოფლების გარშემო მდელოებსა და ტყეში. ზამთარში საქონელი ბოსელშია 4-5 თვის მანძილზე, სადაც თივითა და მოსავლის ნარჩენებით იკვებება.

მომთაბარე მეცხოველეობა შორეული ზაფხულისა და ზამთრის სამოვრების გამოყენებით:

ძოვების ეს სისტემა ძირითადად მეცხვარეობისთვისაა დამახასიათებელი და უმეტესწილად აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოშია გავრცელებული.

სისტემა ეფუძნება ბუნებრივი მდელოებით სარგებლობას - ზაფხულობით მაღალმთაში, ხოლო ზამთრის პერიოდში - დაბლობში. საქონელს, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით, მაისიდან მიერეკებიან ალპურ სამოვრებზე, ხოლო გამოსაზამთრებლად (ოქტომბრიდან) დაბლობში მდებარე ზამთრის სამოვრებზე. პირუტყვის გადასარეკი ტრასები მოიცავს დაახლოებით 12,000 კმ-ს, სადაც ნაწილობრივ ხელმისაწვდომია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ვეტერინარული კონტროლი.

ძოვების ამ სისტემისთვის ძირითად შემზღუდავ ფაქტორს წარმოადგენს ზამთრის სამოვრების სიმწირე ნახევრად ინტენსიური და ინტენსიური ტიპის მეცხოველეობის მეურნეობები: ამ ტიპის მეურნეობებს განეკუთვნებიან საშუალო და მსხვილი მწარმოებლები მეცხოველეობის სექტორში, რომლებიც იყენებენ მაღალმწარმოებლურ პირუტყვის ჯიშებს ხორცისა და რძის როდუქტების ინტენსიური და ნახევრად ინტენსიური წარმოების მოდელების ფარგლებში. ნახევრად ინტენსიური (შერეული) ტიპის მოდელი გულისხმობს, რომ ფერმერები ფლობენ 20 სულზე მეტ საქონელს. ამ ტიპის მეურნეობები მეტ-ნაკლებად ბაზარზეა ორიენტირებული, რადგან ფერმერები აწარმოებენ რძესა და ხორცს (დაკლულს ან ცოცხალს) მისი შემდგომი გადამუშავების მიზნით და ყიდიან გადამამუშავებელ საწარმოებზე.

სამოვრებით სარგებლობის უფლებების არაფორმალური დამკვიდრება. პირუტყვის მფლობელები იყენებენ როგორც სოფლებთან ახლომდებარე, ისე შორეულ სამოვრებს სხვადასხვა გზით, მაგრამ როგორ ადგენენ მოსარგებლები, ვის რომელი სამოვრით სარგებლობის უფლება აქვს:

სამოვრებით სარგებლობის ფორმალური სისტემის (სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამოვრების იჯარით გაცემა) ორგანიზებული დანერგვა ახლახან დაიწყო და მხოლოდ სამოვრების მცირე ნაწილზე ვრცელდება.

პასტორალური სისტემების უმეტესობაში, საკუთრების /სარგებლობის უფლებების ფორმალური სისტემების დანერგვამდე სამოვრებზე არაფორმალური მაგრამ ფართოდ გავრცელებული და მიღებული ტრადიციული უფლებები მკვიდრდებოდა დროთა განმავლობაში - მოსარგებლე თემების მოთხოვნის უფლების აღიარების კვალობაზე.

მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად არსებობენ ისინი საქართველოში.

საქართველოში სამოვრების მართვის საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ ადგილობრივი მოსარგებლები დე-ფაქტო სარგებლობენ ტრადიციული

უფლებებით სოფლპირებისთვის ფაქტობრივი მინიჭების და ან შეზღუდვის განხორციელების უფლების ჩათვლით. ამ საძოვრებზე სარგებლობის უფლების გარეშე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების პრივატიზება აკრძალულია და კანონის თანახმად, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გაიცემა იჯარით, მაქსიმუმ 49 წლით. განაწილება ტარდება ცენტრალიზებულად, ელექტრონული აუქციონის გზით, სადაც საძოვრის იჯარის საწყისი ფასი იწყება ერთი ჰექტარისთვის დადგენილი წლიური მინიმალური ფასით.

2015 წლიდან საძოვრების იჯარით გაცემაზე გამოცხადებული იყო არაფორმალური მორატორიუმი, ხოლო 2021 წელს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საძოვრებზე ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამამ ხელახლა გახსნა სახელმწიფო საძოვრების იჯარით აღების შესაძლებლობა, ამჯერად სამი წლით.

ამ პროგრამის ფარგლებში, დადგენილი იქნა პროცედურები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოს უფლება-მოსილებები ამავე პროგრამის ფარგლებში საძოვრების განკარგვის პროცესში.

პროგრამის მიხედვით, შეთავაზებული თანხის გარდა, საძოვრის იჯარით მიღების ერთადერთი კრიტერიუმია პირუტყვის საკუთრებაში ყოლა. განმცხადებლის მიერ საძოვრით წარსულში სარგებლობის ისტორია, მოსარგებლეების საცხოვრებელი ადგილი ან დიდი ხნის განმავლობაში არსებული მოთხოვნები კონკრეტული საძოვრით სარგებლობასთან მიმართებაში მხედველობაში არ მიიღება.

თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტებს აქვთ უფლება გასცენ უარყოფითი რეკომენდაცია კონკრეტული საძოვრის იჯარით გაცემაზე-მათ შორის იმ მოტივით, რომ კონკრეტული საძოვრის იჯარით გაცემა გამოიწვევს კონფლიქტის წარმოშობის რისკების ზრდას ამავე საძოვრით ფაქტობრივად მოსარგებლე ადგილობრივი მოსახლეობასთან.

დასკვნები და რეკომენდაციები

მაღალმთიან რეგიონში სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობა დაბალია, რაც განპირობებულია ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორების კომპლექსური ზემოქმედებით.

მორწყვის სისტემების დანერგვა და სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად ზრდის სათიბი მდელოების პროდუქტიულობას და აუმჯობესებს საკვები ბაზის ხარისხს.

წყლის დებეტების თეორიული გაანგარიშება და შესაბამისი სარწყავი სისტემების შემუშავება უზრუნველყოფს სათიბი მდელოების ეფექტურ მორწყვას და ხელს უწყობს მეცხოველეობის მდგრად განვითარებას.

მაღალმთიან რეგიონში სათიბ-საძოვრების მორწყვის სისტემების დანერგვის პროექტი უნდა მოიცავდეს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის ბუნებრივ და ეკონომიკურ თავისებურებებს.

აუცილებელია წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და სარწყავი სისტემების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის და ფერმერების ინფორმირება და გადამზადება სათიბ-საძოვრების ეფექტური გამოყენების და მორწყვის სისტემების ექსპლუატაციის შესახებ.

სახელმწიფოს მხარდაჭერა და ინვესტიციები ხელს შეუწყობს პროექტის წარმატებით განხორციელებას და რეგიონის მეცხოველეობის განვითარებას.

გამოყენებული წყაროები

- მახარობლიძე რ. მარგალიტაძე მ. კვიციანი მ. როტაციული ხელის საკრეფი და სასხლავი აპარატების დინამიკის თეორიული კვლევა.
- Махароблидзе Р.М. – Современные методы планирование экспериментов по вопросам сельскохозяйственной техники. Тбилиси, СХИ, 1974
- რ. მახარობლიძე - სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციები - თბილისი, 2000. - 199გვ.

- რ. მახარობლიძე საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საინჟინრო სფეროს მომავალი - თბილისი, 1997. - 112გვ.
- რ. მახარობლიძე ექსპერიმენტების დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საკითხებზე : მეთოდ. სახელმძღვ. ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის (ავტორი). - თბილისი, 1974. - 167გვ.
- კაციტაძე ჯ. - მანქანებისსაიმედოობა და რემონტი. თბილისი, 1999. -192 გვ.;
- კაციტაძე ჯ., სარჯველაძე ნ., ძირკვაძე ე., ხიზანიშვილი ა. - მანქანების ტექნიკური სერვისი. თბილისი, 2008. - 285 გვ.;
- ჭალაგანიძე შ., კაციტაძე ჯ., კაპანაძე ი., სარჯველაძე ნ. - საქართველოში მომუშავე საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საიმედოობის მაჩვენებლების გამოკვლევა. საქართველოს სოფ. მეურნ. მეც. აკადემიის ჟურნალი "მოამბე" #27, თბილისი, 2010 გვ. 321-324;

სასურსათო ტექნოლოგიები

შემსრულებლები: გურამ ჰაპუნძიძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მერაბ არძენაძე - ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი.

თემის დასახელება: „ჭარის რეგიონში გავრცელებული ტყემლის მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ფორმების შერჩევა, მათი ბიოქიმიური და ტექნოლოგიური ნიშანთვისებების შესწავლა სტაბილური სანედლეულო ბაზის შექმნისა და მაღალი ხარისხის პროდუქტების მიღების მიზნით“.

საანგარიშო პერიოდში დამატებით იქნა მოძიებული ინფორმაცია ტყემლის (*Prunus cerasifera* Ehrh.) გავრცელებისა და გამოყენების შესახებ, ასევე შესწავლილი იქნა ტყემლის შერჩეული ფორმების ნაყოფების ნახშირწყლები და ორგანული მჟავები. *Prunus cerasifera* Ehrh. სამშობლოა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა (ბალკანეთის ნახევარკუნძული, ყირიმი), დასავლეთ და შუა აზია (კავკასია, ირანი, ერაყი). იგი ფართოდ იყო გავრცელებული მცირე

აზიასა და კავკასიაში ათასწლეულების განმავლობაში, გავრცელდა ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ბალკანეთში ძვ. წ. 200 წლიდან და მოგვიანებით დანარჩენ ევროპაში. დღეისათვის ის წარმოდგენილია მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე [1,2,3]. ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში სარეველების სახეობად ითვლება [4]. მისი მაღალი ცვალებადობისა და სხვებთან მარტივი ჰიბრიდიზაციის გამო „პრუნუსი“-ს სახეობები, ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია (5).

მიზანი: ტყემლის (*Prunus cerasifera* Ehrh.) გავრცელების, გამოყენების, ბიოლოგიური აქტივობის და გადამუშავების პროდუქტების შესწავლა, ასევე შერჩეული ფორმების ფენოლოგიური და პომოლოგიური მახასიათებლების დადგენა.

ამოცანები: ტყემლის გავრცელების არეალის, ეკოლოგიური და მორფოლოგიური მახასიათებლების შესწავლა. ტყემლის ნაყოფის ქიმიური შემადგენლობის, ბიოლოგიური აქტივობის და კვებითი ღირებულების დადგენა. ტყემლის შერჩეული ფორმების ფენოლოგიური და პომოლოგიური მახასიათებლების შესწავლა და შეფასება. ტყემლის გადამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება და ოპტიმიზაცია, მიღებული პროდუქტების ხარისხის შეფასება.

ამ სახეობას აქვს გავრცელების ფართო არეალი. ბუნებრივ პოპულაციებს ახასიათებთ მაღალი ცვალებადობა სიძლიერის, ტემპერატურის ტოლერანტობის, სიმწიფის დროისა და დაავადების წინააღმდეგობის მიმართ, რაც მას ადვილად ადაპტირებულს ხდის სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში [6]. „ალუბლის ქლიავი“ (მას ხშირ შემთხვევაში ასეც უწოდებენ) ძალიან გამძლეა, მოკრძალებული მოთხოვნებით. ის შეიძლება მოიძებნოს ღია ადგილებში, როგორცაა ტყის გარე პერიმეტრი, ტყის მასივები, მდინარის განაპირა ზოლი და ეროზირებული ადგილები [7]. ეს მედეგი მცენარე ასევე ყინვაგამძლე და გვალვაგამძლეა, ასევე ქარისადმი მდგრადია. ის ხარობს ნიადაგის ტიპების ფართო სპექტრზე, მათ შორის ხრეშიან და ქვიშიან ან ღარიბი საკვები არის მქონე ნიადაგებზე [8]. *Prunus cerasifera* Ehrh. ერთ-ერთი კულტურაა, რომლის მოვლა-მოყვანა

შესაძლებელია ნიადაგის და კლიმატური პირობების ფართო სპექტრში, დარგვიდან მოსავლის მიღების პერიოდი მოკლეა, იძლევა მაღალ და სტაბილურ მოსავალს [9]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ „ალუბლის ქლიავი“ მდგრადია დაავადებების მიმართ, ანუ არ საჭიროებს ქიმიური დამცავი საშუალებების გამოყენებას [10].

გამოყენება: მოუმწიფებელი ხილი გამოიყენება მჟავე სუპებში, მწიფე ხილს მიერთმევენ ნედლი სახით ან იყენებენ უალკოჰოლო ან ფერმენტირებული და გამოხდილი ალკოჰოლური სასმელების, ხილის სოუსების დასამზადებლად. ტყემლის ველური წითელი და მეწამული ჯიშები გამოირჩევა ანთოციანინის, ფენოლური ნაერთების მაღალი შემცველობით, რაც შესაძლებელს ხდის მის საფუძველზე დამზადდეს ფუნქციონალური დანიშნულების სასმელები, ანტიოქსიდანტური აქტივობის გამო. ნაყოფის კანი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც რესურსი ბუნებრივი პიგმენტების მისაღებად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ალუბლის ქლიავი მდგრადია დაავადებების მიმართ, ანუ არ საჭიროებს ქიმიური დამცავი საშუალებების გამოყენებას და ამიტომ გამოიყენება, როგორც ნედლეული ეკოლოგიურად სუფთა ფუნქციური პროდუქტების მისაღებად. გარდა ამისა, **Prunus cerasifera Ehr.** ნაყოფი დიდი ხანია გამოიყენება ხალხურ მედიცინაში კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, ბელორუსიასა და უკრაინაში [11].

ამ სახეობას დიდი გენეტიკური მნიშვნელობა აქვს მებაღეობისთვის. გენეტიკოსებმა, მეცნიერ-კვლევებმა გამოავლინეს „ალუბლის ქლიავი“-ის გენოტიპები, რომლებიც ძალიან მდგრადია გვარის ყველა ფესვის ნემატოდის მიმართ. ამ მიზეზით, ზოგიერთი ჯიში გამოიყენება როგორც საძირე სხვა ხილის სახეობებისა და გვარის ჯიშების მცნობისათვის, როგორცაა ქლიავი, გარგარი და ატამი. იგი გამოიყენება, როგორც დეკორატიული ხე მცენარის ფერადი ფოთლებისა და მრავალრიცხოვანი და ნაზი ყვავილების გამო. არსებობს რამდენიმე ჰიბრიდი ან ჯიში, ძირითადად მეწამული ფოთლებით, ვარდისფერი ყვავილის კვირტებით, თეთრი ყვავილებით.[12].

ექსპერიმენტული ნაწილი: კვლევისათვის შერჩეული ფორმებიდან ტყემლის ნაყოფები აღებული იქნა ტექნიკური სიმწიფის სტადიაში. შემდგომ მოხდა მისი გაყინვა -180C ტემპერატურაზე და შენახული იქნა ამავე ტემპერატურულ პირობებში საანალიზოდ. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რაოდენობის შესაფასებლად გამოყენებული იქნა გავრცელებული მეთოდები. მშრალი ნივთიერების შემცველობა განისაზღვრა გრავიმეტრულად; თავისუფალი ორგანული მჟავები - ტიტრაციით 0,1 N ნატრიუმის ჰიდროქსიდით [13]; ლეიკო-ანთოციანინების და ანთოციანინების რაოდენობა - ფოტომეტრული მეთოდით (კივეტის სისქე 5 მმ, წითელი ფილტრი (540 ნმ)); ასკორბინის მჟავა კალიუმის იოდატით ტიტრაციით, მონო- და დისაქარიდების რაოდენობა - ბერტრანდის მეთოდით. ორგანული მჟავებიდან განისაზღვრა ლიმონმჟავა და ვაშლმჟავა, ასევე საერთო მჟავიანობა. ანალიზის შედეგები მოცემულია ცხილი 1-ში.

ცხრილი 1

სხვადასხვა ჯიშის ტყემლის ნაყოფში ორგანულ მჟავათა შემცველობა

	ნიმუშის დასახელება	ლიმონმჟავა	ვაშლმჟავა	ტიტრული მჟავიანობა, %
1	№1-V-ქედა	0.01	2.18	3.3
2	№2-V-ქედა	0.03	2.21	3.2
3	№3-V-ქედა	0.06	2.52	3.4
4	№4-V-ქედა	0.02	2.10	3.5
5	№5-L-გურია	0.09	2.55	3.4
6	№6-X-ხელვაჩაური	0.03	2.32	3.2
7	№7-Z-ზუგდიდი	0.01	2.18	3.3

ჩვენს მიერ შესწავლილ ყველა შემთხვევაში ორგანულ მჟავათა საერთო რაოდენობა (ტიტრული მჟავიანობა) საკმაოდ მაღალია და 3.24 %-დან 4.56 %-მდეა. ყველა შემთხვევაში დომინანტი მჟავა ვაშლმჟავაა (1.89%-დან 2.59%-მდე). რაოდენობრივად ყველაზე მცირე ტყემლის ნაყოფში ლიმონის მჟავაა (0.01%-დან 0.06%-მდე). შაქრებიდან განისაზღვრა გლუკოზა, ფრუქტოზა და საქაროზა, საერთო შაქრები. ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილი 2-ში.

ტყემლის ნაყოფში შაქრების შემცველობა

	დასახელება	ფრუქტოზა, მგ/მლ	გლუკოზა, მგ/მლ	საქაროზა, მგ/მლ	შაქრების ჯამი, მგ/მლ	bri x
1	№1-V ქედა	1,480	6,11	0,018	7,61	8,30
2	№2- V ქედა	1,70	6,76	0,24	8,71	9,60
3	№3- V ქედა	1,53	7,18	1,28	9,99	10,50
4	№4-V ქედა	0,48	4,70	7,41	12,60	12,70
5	№5-L გურია	1,90	6,29	0,77	8,96	9,90
6	№6-X ხელვაჩაური	0,16	1,50	10,27	11,93	12,20
7	№7-Z ზუგდიდი	0,45	4,18	5,53	10,18	10,96

ტყემლის ნაყოფში, როგორც წესი, დომინანტი ნახშირწყალი გლუკოზაა (6,7%-მდე), მისი შემცველობა თითქმის 2-ჯერ აღემატება ფრუქტოზის (2,5%-მდე) შემცველობას, ხოლო საქაროზა კი სხვადასხვა ჯიშში და ფორმაში განსხვავებულადაა. მიუხედავად ნიმუშის აღების ადგილისა, დამახასიათებელი აღმოჩნდა საქაროზის მაღალი შემცველობა (60%-ზე მეტი).

მეორე საანგარიშო პერიოდში დამატებით იქნა მოძიებული ინფორმაცია ტყემლის (ალუბლის ქლიავის) (*Prunus cerasifera* Ehrh.) გავრცელებისა და გამოყენების შესახებ, ასევე შესწავლილი იქნა ტყემლის შერჩეული ფორმების ფენოლოგიური და პომოლოგიური მახასიათებლები.

ტყემალი (*Prunus cerasifera* Ehrh.) არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხეხილოვანი კულტურა ხილის სახეობების ადგილობრივ პოპულაციაში ევროპოს მრავალ ქვეყანაში (სერბია, მონტენეგრო, უნგრეთი და სხვა) (1) ნაყოფი ძირითადად მაგარი სპირტიანი სასმელების დასამზადებლად გამოიყენება, თესლები კი სანერგე საძირეების გამოყვანი-სათვის. ტყემალი (ალუბლის ქლიავი) მდგრადია მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლების მიმართ (2,3). მისი მოვლა-მოყვანისათვის ქიმიური დაცვა არ არის საჭირო. გამომდინარე აქედან, ტყემლის ნაყოფი ხელმისაწვდომი და იაფი ნედლეულია ბიოლოგიურად ჯანსაღი საკვების წარმოებისთვის (4,5).

ფენოლოგიური მახასიათებლები (ყვავილობის დაწყება, ყვავილობის დასრულება, ყვავილობის პერიოდი და მოსავლის აღების თარიღი) განისაზღვრა შემდეგნაირად. ყვავილობის დაწყება დაფიქსირდა, როდესაც ყვავილის კვირტების 5% მაინც აყვავდა, ხოლო ყვავილობის დასასრული განისაზღვრა, როდესაც ყვავილის კვირტების 90% აყვავდა და გვირგვინები ცვენას იწყებდნენ; მოსავლის აღების თარიღი განისაზღვრა, როგორც დღე, როდესაც ნაყოფი სრულყოფილად იყო შეფებილი და ვარგისი საჭმელად. პომოლოგიური კვლევები ჩატარდა ფიზიკურ მახასიათებლებზე (ნაყოფის წონა, ფერი და ნაყოფის ზომა) ციფრული კალიბრებით. ქიმიური ტესტების გამოყენებით განისაზღვრა საერთო წყალში ხსნადი მშრალი ნივთიერებები და ტიტრული მჟავიანობა. ხსნადი მშრალი ნივთიერებები (TSS) განისაზღვრა რეფრაქტომეტრით, ხოლო ტიტრული მჟავიანობა (TA) გამოითვალა ხილის წვენის ტიტრირებით 0,1 N NaOH და გადაანგარიშდა ვაშლის მჟავას შემცველობაზე. ჯიშების ფენოლოგიური და პომოლოგიური მახასიათებლების აღსაწერად გამოყენებული იყო აღიარებული სტანდარტული მეთოდები.

ტყემლის ჯიშის „№1-V“ აღწერა: ჯიშში გამოვლენილი იქნა ქედის მუნიციპალი-ტეტში, სოფელ ვაიოში.. წარმოადგენს ბუნებრივ ჰიბრიდს. ფოთლები მოგრძო, ზომით საკმაოდ დიდი, შეფერილობით მუქი მწვანე, ფოთლების დაბოლოებები ფართოდ დაკბილულია. საშუალო სიგრძე 1.8სმ-ია, ტოტები სწორი მოკლე განშტოებებით, ყვავილები მსხვილი თეთრი, ამინდის სხვადასხვა პირობებისადმი მდგრადი. ყვავილობს მარტის მეორე დეკადაში, ხასიათდება ყოველწლიური სტაბილური მსხმოიარობით, საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 130კგ - ერთი მცენარისგან. მწიფდება აგვისტოს პირველ დეკადაში . ნაყოფის საშუალო წონა 14,80 გრამია. ნაყოფის ზომებია - სიგრძე 27მმ., დიამეტრი 24,8მმ-ია. ნაყოფის კანი წითელი შეფერილობისაა. მისი ზედაპირი მკვრივი და გლუვია. კანის სისქე 0,8-1 მმ-ია. რბილობი ხორციანი, წვნიანი, წითელი-მოვარდისფრო, ტკბილი-მომჟავო გემოთი. მწიფე ნაყოფის მიღება შეიძლება ნედლი სახით. კურკა წაგრძელებული ფორმისაა, რომელიც რთულად სცილდება რბილობს. კურკის წონაა 0,91 გრ. ის ნაწოფის საერთო

წონის 4,5%-ს შეადგენს. კურკის ზომებია: 1,80*1,20*0,90მმ. ნაყოფში მშრალი ნივთიერების შემცველობა 10,02%-ია, ხოლო მჟავიანობა 2,8%.

ტყემლის ჯიშის „№2-V“ აღწერა: ჯიში გამოვლენილი იქნა ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაიოში. ტყემლის ხე-მცენარე ზრდასრულ ასაკში საშუალოზე მაღალია. მისი სიმაღლეა 5,5მ, სიფართოე 4მ. მცენარის ფოთლები ღია მწვანე შეფერილობისაა. ფოთლების დაბოლოება წვრილი ხერხისებურია. აქვს თეთრი და წვრილი ყვავილები. ის ყვავილობას ამთავრებს მარტის პირველ დეკადაში. ყვავილები გამოდის თითქმის ერთდოულად, ხოლო შეფოთლვა ხდება ყვავილობის შემდეგ. ნაყოფი მწიფდება აგვისტოს მეორე დეკადაში. გამოირჩევა რეგულარული მსხმოიარობით. ერთი ხე-მცენარის მსხმოიარობა შეადგენს 110კგ-ს. ნაყოფი გამოირჩევა ოდნავ წაგრძელებული ფორმისაა. მისი სრული სიმწიფის სტადიაში შეფერილობა წითელია. ნაყოფის ზედაპირი გლუვი და მკვრივია, კანი კი თხელი. რბილობი რთულად სცილდება კურკას. ნაყოფის ზომებია: სიგრძე 31მმ, დიამეტრი 28 მმ. წონა - 13,8 გრამია. ყუნწი საშუალო სისქის, სიგრძე - 20მმ, რომელიც მყარად ზის ნაყოფის კონუსურ ჩაღრმავებაში. ნაწოფები მდგრადია ქარის მიმართ, ადვილად არ ცვივა. რბილობი წითელია, ნაკლებად წვნიანი, მომჟავო-მოტკბო, სპეციფიური არომატით. კურკა საშუალო სიდიდის 0,85 გრამია, რომელიც ნაყოფის წონის 5,80%-ს შეადგენს. მშრალი ნივთიერების შემცველობა 11,80%-ია, ხოლო მჟავიანობა 3,2%. ამ ჯიშის ტყემლის ნაყოფის გამოყენება შესაძლებელია ყველა ტიპის საკონსერვო პროდუქციის წარმოებისათვის.

ტყემლის ჯიშის „№3-V“ აღწერილობა: ჯიში გამოვლენილი იქნა ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაიოში. ხე-მცენარე საშუალო სიმაღლის, ვარჯი მომრგვალებული, ფოთლები მუქი მწვანე შეფერილობის, ფოთლები ოდნავ წაგრძელებული, გარე დაბოლოებები თითქმის სწორხაზოვანია. აქვს საშუალო ზომის ყვავილები, თეთრი-მოვარდისფრო ელფერით. ყვავილობას იწყებს თებერვლის ბოლოს და ამთავრებს მარტის პირველ დეკადაში. ნაყოფის წონა 18,70გრამია, ნაყოფის შეფერილობა წითელი-ბორდოსფერი; რბილობი-ხორციანი, წვნიანი, მოწითალო ფერის, სპეციფიური არომატით; კურკა რბილობს სცილდება რთულად; კურკის ზომა 0,8გრ, რომელიც ნაყოფის საშუალო წონის 4,20%-ს შეადგენს. ნაყოფი მწიფდება აგვისტოს მესამე დეკადაში. ის მდგრადია ქარებისა და დაავადებების მიმართ. მშრალი ნივთიერების შემცველობა ნაყოფის 12,6%-ია, ხოლო მჟავიანობა 2,70%. ერთი მცენარის მოსავლიანობა შეადგენს 100კგ-ს.

ტყემლის ჯიშის №4-V აღწერა: ხე-მცენარე საშუალო სიმაღლისაა(3,55მ), სფერული ფორმის, ყვავილის ბუტკო მსხლის ფორმისაა და მსხვილია. ყვავილები თეთრი ფერისაა, მოვარდისფრო დაბოლოებებით. ხასიათდება ხანგრძლივი ყვავილობით. მცენარე ყვავილობას იწყებს თებერვლის ბოლოს და ამთავრებს მარტის დასაწყისში. ფოთლები წაგრძელებული წვეტიანი ფორმისაა, მუქი მწვანე შეფერილობის. ყუნწი მოკლე 1,0-1,2 მმ. ნაყოფი კვერცხისებურია, გვერდითი ჩაღრმავებით, საშუალო წონა 17,10გრ-ია. კურკა 0,84გრ, შეადგენს ნაყოფის წონის 4,90%-ს, რომელიც რთულად სცილდება რბილობს. ნაყოფის შეფერილობა მუქი წითელია, რბილობი წვნიანი, სასიამოვნო გემოსი, ნაყოფის ზომებია: სიმაღლე 22,90მმ, დიამეტრი 17,60მმ. კანი მკვრივი და გლუვია. რბილობის შეიცავს 11,1% მშრალ ნივთიერებას, ხოლო 2,50% მჟავას.

ტყემლის ჯიშის №5-L აღწერა: ხე-მცენარე საშუალო სიმაღლისაა(3,55მ), სფერული ფორმის. ამ ფორმის ტყემალი გამოირჩევა მოწითალო ფოთლებით. ფოთლები ოვალური ფორმისაა, მოკლე ყუნწით, დაკბილული დაბოლოებებით. ყვავილობას იწყებს თებერვლის 25 რიცხვიდან და მთავრდება მარტის დასაწყისში. გამოირჩევა თეთრი მსხვილი ყვავილებით. ერთი ხე-მცენარის მსხმოიარობა შეადგენს 110კგ-ს. ნაყოფი გამოირჩევა ოდნავ წაგრძელებული ფორმით. მისი სრული სიმწიფის სტადიაში შეფერილობა მუქი წითელია. საშუალო წონა 17,6 გრ-ია; კურკა - 0,8გრ; რბილობი წითელი-მოვარდისფრო, ხორციანი; ნაყოფი მკვრივი და წვნიანია. ნაყოფის ზომებია: სიმაღლე 29,0მმ., დიამეტრი-26,0მმ. ნაყოფი სრული სიმწიფის სტადიაში შედის ივლისის მესამე დეკადაში. ის გამოირჩევა მაღალი ტრანსპირატაბელობით. ნაყოფი სრული სიმწიფის სტადიაში შედის 10 ივლისამდე.

ტყემლი ჯიშის ” №6-X “ აღწერა: ტყემლის ეს ჯიში გამოირჩევა მსხვილი ნაყოფებით. ამ ჯიშის წარმოშობა უცნობია. ჩვენი წარმოდგენით, ბუნებრივი ჰიბრიდი მიღებულია თავისუფალი დამტვერვის გზით. ხე-მცენარე საშუალოზე მაღალია; სიმაღლე 3,5მეტრი, სიგანე 4,5 მეტრი, ტოტები მწვანე, საშუალო სისქის, ეკლების გარეშე; ფოთლები ღია მწვანე ფერის, ფართო ოვალური. ნაყოფები მსხვილი, წონა 18,60 გრ-ია. ნაყოფი მოგრძო ფორმისაა, ზომებით: გრძივი ჭრილი 23,80 მმ., განივი ჭრილი-20,60 მმ., კურკა 1,6 გრ; შეფერილობა - მუქი წითელი, მკვრივი, ხორციანი რბილობით. მწიფე

ნაყოფებს აქვთ სასიამოვნო გემო. მწიფდება აგვისტოს მესამე დეკადაში. ნაყოფები მყარადაა მიმაგრებული ტოტებზე, მდგრადია ქარების მიმართ. კურკა რბილობს რთულად სცილდება. მშრალი ნივთიერების შემცველობა 11,8%-ია, ხოლო მჟავიანობა 1,4%. ტექნიკური სიმწიფის სტადიაში ნაყოფების მოხმარება შეაძლებელია ნედლი სახით. გააჩნია კარგი ტრანსპორტაბელობა.

ფენოლოგიური და პომოლოგიური მახასიათებლების დადგენა ხდებოდა სტანდარტული მეთოდებით. გამოვლენილი ჯიშების ყვავილობის პერიოდია 25 თებერვლიდან 16 მარტამდე და ნაყოფის სიმწიფის პერიოდი კი 1 ივლისიდან 10 სექტემბრამდე. ტყემლის შერჩეული ჯიშები და ფორმები ხასიათდებიან მაღალი კვებითი ღირებულებით (მშრალი ნივთიერება 14%-მდე), კარგი ტექნოლოგიური თვისებებით და ივნისიდან სექტემბრამდე მომწიფებით, რომელთა გავრცელება უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციის (წვენი, საწებელი, სპირტი) დამზადებას. ტყემლის გამოვლენილი ჯიშებისა და ფორმების შემდგომი გამრავლება მოხდება მხოლოდ მყნობის გზით. საძირედ თესლის დამზადება მოხდება ტყემლის კულტურული ჯიშებიდან, უპირატესად წითელი ჯიშის ნაყოფებიდან. სამომავლოდ დაგეგმილი ექსპედიციური მუშაობა ითვალისწინებს ტყემლის საუკეთესო ფორმების გამოვლინებასთან ერთად, ვაწარმოთ პერსპექტიული ფორმებიდან კალმების აღება და მყნობა, რომ უზრუნველყოფილი იქნას საჭირო რაოდენობის სარგავი მასალის მიღება, ტყემლის გამოვლენილი პერსპექტიული ფორმების კოლექციის მოსაწყობად.

მესამე საანგარიშო პერიოდში დამატებით მოძიებული იქნა ინფორმაცია ტყემლის (ალუბლის ქლიავის) (*Prunus cerasifera* Ehrh.) როლის შესახებ კურკოვანი ხეხილოვანი მცენარეების წარმოშობის, ევოლუციისა და მრავალფეროვნების გაზრდის საქმეში; შესწავლილი იქნა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ფენოლოგიური ნაერთები, ასკორბინმჟავა, მათ შორის აუცილებელი მინერალური ელემენტების შემცველობა შერჩეული ჯიშების ნაყოფში და მათი გადამამუშავების პროდუქტებში.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში დაიწყო ველური ტყემლის (ალუბლის ქლიავის) და მისი ჯიშების სიღრმისეული შესწავლა, რომელიც შეგროვდა ექსპედიციების შედეგად. განსაკუთრებით ვრცელი სამუშაოები ჩატარდა ამიერკავკასიაში ტყემლის ადგილობრივი ჯიშების გამოკვლევასა და იდენტიფიკაციისათვის. ამ სამუშაოს შედეგად, რომელიც ჩატარდა მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შესაბამისად, შესწავლილი იქნა ტყემლის სახეობის 900-ზე მეტი ნიმუში. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც საინტერესოა ტყემლის (ალუბლის ქლიავის) სამრეწველო კულტივირებისთვის და ამ კულტურის ნაყოფიდან დაკონსერვებული პროდუქტების დასამზადებლად (1,2,3,4). ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული იქნა *P. cerasifera*-ს, შემდეგი ქვესახეობები: subsp. *cerasifera* (ალუჩა ტიპიური); subsp. *orientalis* (M. Pop.) Erem. et Garcov. (ალუჩა აღმოსავლური); subsp. *macrocarpa* Erem. et Garcov. (ალუჩა მსხვილნაყოფა). В пределах *P. cerasifera* subsp. *macrocarpa* var. *macrocarpa* გამოყოფილი იქნა შემდეგი სახესხვაობები: var. *macrocarpa* (ტიპიური, ანუ ყირიმის); var. *georgica* Erem. et Garcov. (ქართული); var. *iranica* (Koval.) Erem. et Garcov. (ირანის); var. *nairica* (Koval.) Erem. et Garcov. (სომხური); var. *pissardii* Carr. (პისარდა); var. *taurica* (Kost.) Erem. et Garcov. (ტავრიული).

ტყემლი (ალუბლის ქლიავი) ყოველთვის იყო კურკოვანი ხილის კულტურების ერთ-ერთი მთავარი საძირე. კურკოვანი ხილის კულტურების გაშენების ინტენსიურ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან ერთად გაიზარდა საძირეების როლი. ამავდროულად, ტყემლის(ალუბლის ქლიავის) მნიშვნელობაც გაიზარდა ამ მიმართულებით, რადგან ის არის ერთ-ერთი მთავარი დონორი, რომელიც აუცილებელია კლონური საძირეებისთვის, გამოავლინოს ადაპტაციის ნიშნები, ვეგეტატიური გამრავლების უნარი, ფესვთა სისტემის შესანიშნავი დამაგრება, ფესვის ყლორტების არარსებობა. და კარგი თავსებადობა არა მხოლოდ ქლიავის, არამედ გარგარის, ატმის და ნუშის უმეტეს ჯიშებთან. ალუბლის ქლიავი(ტყემალი) არის ერთ-ერთი მთავარი საწყისი სახეობა კურკოვანი ხილის კულტურების კლონური

საძირეების შერჩევისას შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდის გამოყენებით (5,6,7). *Prunus cerasifera* Ehrh. -ს მრავალი სახეობათაშორისი ჰიბრიდი სხვა კურკოვანი ხილის მცენარეების სახეობებთან შეჯვარების შედეგ, როგორც წესი, ძალზე ადაპტირებადია და ნაკლებად მზარდი სახეობების ჰიბრიდიზაციაში მონაწილეობისას, მაგ. *P. pumila* L., *P. tomentosa* Thunb., *P. ulmifolia*, შეიძლება გახდეს ჯუჯა საძირეები, რომლებიც ადვილად ეგუებიან სხვადასხვა ნიადაგსა და კლიმატურ პირობებს არა მხოლოდ საქართველოს რეგიონებში, არამედ უცხო ქვეყნებშიც(აშშ-ში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, თურქეთში) (5,6,7).

ტყემლის ნაყოფის შედგენილობაში შემავალი ქიმიურ ნივთიერებათა შორის ბიოლოგიური აქტივობის მხრივ მნიშვნელოვანია მინერალური ნივთიერებები, ასკორბინმჟავა, და ფენოლური ნაერთები.

მინერალური ელემენტები აუცილებელია ადამიანის სასიცოცხლის-უნარიანობის შენარჩუნებისათვის. მისი არარსებობის ან არაადეკვატური მიღების შემთხვევაში ორგანიზმი წყვეტს განვითარებას, ვერ გაივლის თავის ბიოლოგიურ ციკლს, კერძოდ, არ შეუძლია გამრავლება. დაკარგული ელემენტის მიღება აქრობს მისი დეფიციტის ნიშნებს და უბრუნებს ორგანიზმს სიცოცხლისუნარიანობას [8]. ეს ელემენტებია K, Ca, Mg, Fe, Zn, Cu და Mn.

ლეიკო-ანტოციანინები და ანთოციანინები მიეკუთვნებიან ფენოლური ნაერთების ჯგუფს. მათი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია სისხლის კაპილარების კედლების გამტარიანობის და მციფობის დაქვეითება [9]. გარდა იმისა, რომ ფენოლური ნაერთები ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი ანტიოქსიდანტებია, მათ აქვთ რადიოპროტექტორული, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანთების საწინააღმდეგო, ანტისპაზმური, ჰიპოტენზიური და ბაქტერიციდული მოქმედება. [10].

ასკორბინის მჟავა (AA) მონაწილეობს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ პროცესებში, ასტიმულირებს ტვინის აქტივობას, არეგულირებს მეტაბოლიზმს, მათ შორის ლიპიდურს, გავლენას ახდენს სისხლის მდგომარეობაზე. AA ასტიმულირებს ზრდას, აუმჯობესებს მადას, ამაღლებს სხეულის ზოგად ტონუსს და აძლიერებს ინტერფერონის გამომუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის იმუნურ დაცვას (11).

ექსპერიმენტალური ნაწილი

ქიმიური ტესტების გამოყენებით განისაზღვრა საერთო წყალში ხსნადი მშრალი ნივთიერებები და ტიტრული მჟავიანობა. ხსნადი მშრალი ნივთიერებები (TSS) განისაზღვრა რეფრაქტომეტრით. ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების რაოდენობის შესაფასებლად გამოყენებული იქნა გავრცელებული მეთოდები.; თავისუფალი ორგანული მჟავები - ტიტრაციით 0,1 N ნატრიუმის ჰიდროქსიდით [14]; ლეიკო-ანტოციანინების დაანთოციანინების რაოდენობა ფოტომეტრული მეთოდით (კვიეტის სისქე 5 მმ, წითელი ფილტრი (540 ნმ)); ასკორბინის მჟავა - კალიუმის იოდატით ტიტრაციით, მონო- და დისაქარიდების რაოდენობა - ბერტრანდის მეთოდით; პექტინის ნივთიერებები - კოლორიმეტრულად, მნიშვნელობების გარდაქმნით გალაქტურონის მჟავად [15]. ხილის მინერალური შემადგენლობის ანალიზი ჩატარდა მშრალი ფერფლის მეთოდით [16]. მიღებულ მარილმჟავას ხსნარში ატომური შთანთქმის სპექტროფოტომეტრის გამოყენებით განისაზღვრა შვიდი არსებითი ელემენტის შემცველობა: კალციუმი, მაგნიუმი, რკინა, სპილენძი, მანგანუმი, თუთია და კალიუმი (17).

ტყემლის ნაყოფი მალფუჭებადი ხილია თავისი ნაზი სტრუქტურის გამო. ეს კი მოითხოვს მოსავლის აღების შემდგომ შენახვასა და გადამუშავებას ტემპერატურული პირობების კონტროლით, რაც ხელს შეუწყოს ტყემლის გადამუშავების შემდგომ მის მოხმარებას მთელი წლის განმავლობაში. ტყემალი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მაღალი შემცველობით ხასიათდება და შესაბამისად, მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობით გამოირჩევა. გადამუშავება და პროდუქციის შენახვა მოითხოვს ოპტიმალური პირობების დაცვას, რითაც მაქსიმალურად იქნება შენარჩუნებული ნედლეულის ხარისხი. ნედლეულის ქიმიური კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილი 1-ში.

ტყემლის ნაყოფის ქიმიური შემადგენლობა (% ნედლი მასა)

ჯიშში	მშრალი ნივთიერება, %	მონოსაქარიდები, %	საერთო შაქრები, %	ასკორბინის მჟავა, მგ/100გ	ფლავონოლები, მგ/100გ	ტიტრული მჟავიანობა, %	ლევიკონტოციანები, მგ/100გ	ანთოციანები, მგ/100გ	საერთო ფენოლები, მგ/100გ	საერთო პექტინი, %
„№1-V“	13.7	2.38	7.41	5.96	4.8	1.31	184	0	247.5	0.55
„№2-V“	14.67	5.86	9.33	6.91	17.55	1.44	64.00	102.5	151.5	0.62
„№3-V“	14.35	5.06	9.08	6.9	3.25	1.98	134.5	0	164	0.72
„№4-X“	12.7	3.7	8.3	9.3	28.45	1.9	243.3	429	470.0	0.78

ჩვენს მიერ ტყემლის ნაყოფიდან დამზადებული იქნა ტყემლი კონცენტრირებული წვენი და ტყლაპი(პასტილა), მიღებულ პროდუქტებში გამოკვლეული იქნა ძირითადი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები.

ტყემლის კონცენტრირებული წვენის მიღება: პირველად ხდება ტყემლის ნატურალური წვენის მიღება ცივი დაწნებით ან ბლანშირების შემდეგ. კარგად დამწიფებულ ნაყოფს ცილდება კურკა (კურკა გამცლელი დანადგარი) და შემდგომ დაქუცმაცებული მასა დავწნიხეთ. მიღებული მასა გავფილტრეთ. მეორე ვარიანტი ნაყოფის ბლანშირებაა მწვავე ორთქლით ან მცირე რაოდენობით წყალთან გაცხელებით. ცხელი მასის დაყოვნებით და წვენის განშრევების შემდეგ მისი მოცილებით. წვენის გამოსავალი ცივი დაწნების დროს შეადგენდა 60 – 62,5 %, მიღებულ წვენში წყალში ხსნადი ნაერთები - Brix იყო 6,9 – 7,1 %. ტიტრული მჟავიანობა 3,21 – 3,24 %. ბლანშირებით მიღებული წვენის გამოსავალი შეადგენდა 60 – 62,5 %, მიღებულ წვენში წყალში ხსნადი ნაერთები - Brix იყო 7,9 – 8,1 %, ტიტრული მჟავიანობა 3,21 – 3,24. წვენის გარკვეული ნაწილი რბილობია (ცივი დაწნებისას 30 %, ბლანშირებისას 33 %). ანარჩენის სახით რჩება კურკა (15-17%) და კანი რბილობით (3-5%-მდე). მიღებული წვენი დაკონცენტრირებულ იქნა ვაკუუმის პირობებში (40 – 45 0 C ტემპერატურაზე). კონცენტრატის წარმოება წვენის მოცულობას ამცირებს 7 (Brix 55%) - 9 ჯერ (Brix 60%), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს შესანახი ნედლეულის მოცულობას.

ტყემლის ტყლაპის მიღება: ტყემლის ნაყოფებს უტარდება ინსპექცია, რეცვა და ბლანშირება. შემდეგ ხდება კურკის მოცილება და გახეხვა 0,40მმ დიამეტრის ცხაურაზე. მიღებული ერთგვაროვანი მასა დაიტანება ხის ან უჟანგავი ფოლადის საშრობ დაფებზე, რომლებიც თავსდება საშრობ კარადაში. შრობის ტემპერატურა შეადგენს 52-550 C ტემპერატურას. ტყემლის ნაყოფებიდან მიღებული პროდუქტების ქიმიური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილი 2-ში.

ტყემლის ნაყოფში შაქრების შემცველობა

	დასახელება	ფრუქტოზა, მგ/მლ	გლუკოზა, მგ/მლ	საქაროზა, მგ/მლ	შაქრების ჯამი, მგ/მლ	bri x
1	№1-V ქედა	1,480	6,11	0,018	7,61	8,30
2	№2 - V ქედა	1,70	6,76	0,24	8,71	9,60
3	№3- V ქედა	1,53	7,18	1,28	9,99	10,50
4	№4-V ქედა	0,48	4,70	7,41	12,60	12,70
5	№5-L გურია	1,90	6,29	0,77	8,96	9,90
6	№6-X ხელვაჩაური	0,16	1,50	10,27	11,93	12,20
7	№7-Z ზუგდიდი	0,45	4,18	5,53	10,18	10,96

ტყემლის ნაყოფში, როგორც წესი, დომინანტი ნახშირწყალი გლუკოზაა (6,7%-მდე), მისი შემცველობა თითქმის 2-ჯერ აღემატება ფრუქტოზის (2,5%-მდე) შემცველობას, ხოლო საქაროზა კი სხვადასხვა ჯიშში და ფორმაში განსხვავებულია. მიუხედავად ნიმუშის ადების ადგილისა, დამახასიათებელი აღმოჩნდა საქაროზის მაღალი შემცველობა (60%-ზე მეტი).

მეორე საანგარიშო პერიოდში დამატებით იქნა მოძიებული ინფორმაცია ტყემლის (ალუბლის ქლიავის) (*Prunus cerasifera* Ehrh.) გავრცელებისა და გამოყენების შესახებ, ასევე შესწავლილი იქნა ტყემლის შერჩეული ფორმების ფენოლოგიური და პომოლოგიური მახასიათებლები.

ტყემალი (*Prunus cerasifera* Ehrh.) არის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხეხილოვანი კულტურა ხილის სახეობების ადგილობრივ პოპულაციაში ევროპოს მრავალ ქვეყანაში (სერბია, მონტენეგრო, უნგრეთი და სხვა) (1) ნაყოფი ძირითადად მაგარი სპირტიანი სასმელების დასამზადებლად გამოიყენება, თესლები კი სანერგე საძირეების გამოყვანი-სათვის. ტყემალი (ალუბლის ქლიავი) მდგრადია მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლების მიმართ (2,3). მისი მოვლა-მოყვანისათვის ქიმიური დაცვა არ არის საჭირო. გამომდინარე აქედან, ტყემლის ნაყოფი ხელმისაწვდომი და იაფი ნედლეულია ბიოლოგიურად ჯანსაღი საკვების წარმოებისთვის (4,5).

ფენოლოგიური მახასიათებლები (ყვავილობის დაწყება, ყვავილობის დასრულება, ყვავილობის პერიოდი და მოსავლის ადების თარიღი) განისაზღვრა შემდეგნაირად. ყვავილობის დაწყება დაფიქსირდა, როდესაც ყვავილის კვირტების 5% მაინც აყვავდა, ხოლო ყვავილობის დასასრული განისაზღვრა, როდესაც ყვავილის კვირტების 90% აყვავდა და გვირგვინები ცვენას იწყებდნენ; მოსავლის ადების თარიღი განისაზღვრა, როგორც დღე, როდესაც ნაყოფი სრულყოფილად იყო შეფებილი და ვარგისი საჭმელად. პომოლოგიური კვლევები ჩატარდა ფიზიკურ მახასიათებლებზე (ნაყოფის წონა, ფერი და ნაყოფის ზომა) ციფრული კალიბრებით. ქიმიური ტესტების გამოყენებით განისაზღვრა საერთო წყალში ხსნადი მშრალი ნივთიერებები და ტიტრული მჟავიანობა. ხსნადი მშრალი ნივთიერებები (TSS) განისაზღვრა რეფრაქტომეტრით, ხოლო ტიტრული მჟავიანობა (TA) გამოითვალა ხილის წვენის ტიტრირებით 0,1 N NaOH და გადაანგარიშდა ვაშლის მჟავას შემცველობაზე. ჯიშების ფენოლოგიური და პომოლოგიური მახასიათებლების აღსაწერად გამოყენებული იყო აღიარებული სტანდარტული მეთოდები.

ტყემლის ჯიშის „№1-V“ აღწერა: ჯიშში გამოვლენილი იქნა ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაიოში. წარმოადგენს ბუნებრივ ჰიბრიდს. ფოთლები მოგრძო, ზომით საკმაოდ დიდი, შეფერილობით მუქი მწვანე, ფოთლების დაბოლოებები ფართოდ დაკბილულია. საშუალო სიგრძე 1.8 სმ-ია, ტოტები სწორი მოკლე განშტოებებით, ყვავილები მსხვილი თეთრი, ამინდის სხვადასხვა პირობებისადმი მდგრადი. ყვავილობს მარტის მეორე დეკადაში, ხასიათდება ყოველწლიური სტაბილური მსხმოიარობით, საშუალო მოსავლიანობა შეადგენს 130 კგ - ერთი მცენარისგან. მწიფდება აგვისტოს პირველ დეკადაში. ნაყოფის საშუალო წონა 14,80 გრამია. ნაყოფის ზომებია - სიგრძე 27 მმ., დიამეტრი 24,8 მმ-ია. ნაყოფის კანი წითელი შეფერილობისაა. მისი ზედაპირი მკვრივი და გლუვია. კანის სისქე 0,8-1 მმ-ია. რბილობი ხორციანი, წვნიანი, წითელი-მოვარდისფრო, ტკბილი-მომჟავო გემოთი. მწიფე ნაყოფის მიღება შეიძლება ნედლი სახით. კურკა წაგრძელებული

ფორმისაა, რომელიც რთულად სცილდება რბილობს. კურკის წონაა 0,91 გრ. ის ნაწოფის საერთო წონის 4,5%-ს შეადგენს. კურკის ზომებია: 1,80*1,20*0,90 მმ. ნაყოფში მშრალი ნივთიერების შემცველობა 10,02%-ია, ხოლო მჟავიანობა 2,8%.

ტყემლის ჯიშის „№2-V“ აღწერა: ჯიში გამოვლენილი იქნა ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაიოში. ტყემლის ხე-მცენარე ზრდასრულ ასაკში საშუალოზე მაღალია. მისი სიმაღლეა 5,5მ, სიფართე 4მ. მცენარის ფოთლები ღია მწვანე შეფერილობისაა. ფოთლების დაბოლოება წვრილი ხერხისებურია. აქვს თეთრი და წვრილი ყვავილები. ის ყვავილობას ამთავრებს მარტის პირველ დეკადაში. ყვავილები გამოდის თითქმის ერთდოულად, ხოლო შეფოთლვა ხდება ყვავილობის შემდეგ. ნაყოფი მწიფდება აგვისტოს მეორე დეკადაში. გამოირჩევა რეგულარული მსხმოიარობით. ერთი ხე-მცენარის მსხმოიარობა შეადგენს 110 კგ-ს. ნაყოფი გამოირჩევა ოდნავ წაგრძელებული ფორმისაა. მისი სრული სიმწიფის სტადიაში შეფერილობა წითელია. ნაყოფის ზედაპირი გლუვი და მკვრივია, კანი კი თხელი. რბილობი რთულად სცილდება კურკას. ნაყოფის ზომებია: სიგრძე 31მმ, დიამეტრი 28 მმ. წონა - 13,8 გრამია. ყუნწი საშუალო სისქის, სიგრძე - 20 მმ, რომელიც მყარად ზის ნაყოფის კონუსურ ჩაღრმავებაში. ნაწოფები მდგრადია ქარის მიმართ, ადვილად არ ცვივა. რბილობი წითელია, ნაკლებად წვნიანი, მომჟავო-მოტკბო, სპეციფიური არომატით. კურკა საშუალო სიდიდის 0,85 გრამია, რომელიც ნაყოფის წონის 5,80%-ს შეადგენს. მშრალი ნივთიერების შემცველობა 11,80%-ია, ხოლო მჟავიანობა 3,2%. ამ ჯიშის ტყემლის ნაყოფის გამოყენება შესაძლებელია ყველა ტიპის საკონსერვო პროდუქციის წარმოებისათვის.

ტყემლის ჯიშის „№3-V“ აღწერილობა: ჯიში გამოვლენილი იქნა ქედის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაიოში. ხე-მცენარე საშუალო სიმაღლის, ვარჯი მომრგვალებული, ფოთლები მუქი მწვანე შეფერილობის, ფოთლები ოდნავ წაგრძელებული, გარე დაბოლოებები თითქმის სწორხაზოვანია. აქვს საშუალო ზომის ყვავილები, თეთრი-მოვარდისფრო ელფერით. ყვავილობას იწყებს თებერვლის ბოლოს და ამთავრებს მარტის პირველ დეკადაში. ნაყოფის წონა 18,70გრამია, ნაყოფის შეფერილობა წითელი-ბორდოსფერი; რბილობი-ხორციანი, წვნიანი, მოწითალო ფერის, სპეციფიური არომატით; კურკა რბილობს სცილდება რთულად; კურკის ზომა 0,8გრ, რომელიც ნაყოფის საშუალო წონის 4,20%-ს შეადგენს. ნაყოფი მწიფდება აგვისტოს მესამე დეკადაში. ის მდგრადია ქარებისა და დაავადებების მიმართ. მშრალი ნივთიერების შემცველობა ნაყოფის 12.6%-ია, ხოლო მჟავიანობა 2,70%. ერთი მცენარის მოსავლიანობა შეადგენს 100კგ-ს.

ტყემლის ჯიშის №4-V აღწერა: ხე-მცენარე საშუალო სიმაღლისაა(3,55მ), სფერული ფორმის, ყვავილის ბუტკო მსხლის ფორმისაა და მსხვილია. ყვავილები თეთრი ფერისაა, მოვარდისფრო დაბოლოებებით. ხასიათდება ხანგრძლივი ყვავილობით. მცენარე ყვავილობას იწყებს თებერვლის ბოლოს და ამთავრებს მარტის დასაწყისში. ფოთლები წაგრძელებულიწვეტიანი ფორმისაა, მუქი მწვანე შეფერილობის. ყუნწი მოკლე 1,0-1,2 მმ. ნაყოფი კვერცხისებურია, გვერდითი ჩაღრმავებით, საშუალო წონა 17,10 გრ-ია. კურკა 0,84 გრ, შეადგენს ნაყოფის წონის 4,90%-ს, რომელიც რთულად სცილდება რბილობს. ნაყოფის შეფერილობა მუქი წითელია, რბილობი წვნიანი, სასიამოვნო გემოსი, ნაყოფის ზომებია: სიმაღლე 22,90 მმ, დიამეტრი 17,60 მმ. კანი მკვრივი და გლუვია. რბილობის შეიცავს 11,1% მშრალ ნივთიერებას, ხოლო 2,50% მჟავას.

ტყემლის ჯიშის №5-L აღწერა: ხე-მცენარე საშუალო სიმაღლისაა(3,55მ), სფერული ფორმის. ამ ფორმის ტყემალი გამოირჩევა მოწითალო ფოთლებით. ფოთლები ოვალური ფორმისაა, მოკლე ყუნწით, დაკბილული დაბოლოებებით. ყვავილობას იწყებს თებერვლის 25 რიცხვიდან და მთავრდება მარტის დასაწყისში. გამოირჩევა თეთრი მსხვილი ყვავილებით. ერთი ხე-მცენარის მსხმოიარობა შეადგენს 110 კგ-ს. ნაყოფი გამოირჩევა ოდნავ წაგრძელებული ფორმით. მისი სრული სიმწიფის სტადიაში შეფერილობა მუწი წითელია. საშუალო წონა 17,6 გრ-ია; კურკა - 0,8გრ; რბილობი წითელი-მოვარდისფრო, ხორციანი; ნაყოფი მკვრივი და წვნიანია. ნაყოფის ზომებია: სიმაღლე 29,0 მმ., დიამეტრი-26,0მმ. ნაყოფი სრული სიმწიფის სტადიაში შედის ივლისის მესამე დეკადაში. ის გამოირჩევა მაღალი ტრანსპერტაბელობით. ნაყოფი სრული სიმწიფის სტადიაში შედის 10 ივლისამდე.

ტყემლი ჯიშის №6-X აღწერა: ტყემლის ეს ჯიში გამოირჩევა მსხვილი ნაყოფებით. ამ ჯიშის წარმოშობა უცნობია. ჩვენი წარმოდგენით, ბუნებრივი ჰიბრიდი მიღებულია თავისუფალი დამტკვერვის გზით. ხე-მცენარე საშუალოზე მაღალია; სიმაღლე 3,5 მეტრი, სიგანე 4,5 მეტრი, ტოტები მწვანე, საშუალო სისქის, ეკლების გარეშე; ფოთლები ღია მწვანე ფერის, ფართო ოვალური. ნაყოფები მსხვილი, წონა 18,60 გრ-ია. ნაყოფი მოგრძო ფორმისაა, ზომებით: გრძივი ჭრილი 23,80მმ., განივი

ჭრილი-20,60მმ., კურკა 1,6 გრ; შეფერილობა - მუქი წითელი, მკვრივი, ხორციანი რბილობით. მწიფე ნაყოფებს აქვთ სასიამოვნო გემო. მწიფდება აგვისტოს მესამე დეკადაში. ნაყოფები მყარადაა მიმაგრებული ტოტებზე, მდგრადია ქარების მიმართ. კურკა რბილობს რთულად სცილდება. მშრალი ნივთიერების შემცველობა 11,8%-ია, ხოლო მჟავიანობა 1,4%. ტექნიკური სიმწიფის სტადიაში ნაყოფების მოხმარება შეაძლებელია ნედლი სახით. გააჩნია კარგი ტრანსპორტაბელობა.

ფენოლოგიური და პომოლოგიური მახასიათებლების დადგენა ხდებოდა სტანდარტული მეთოდებით. გამოვლენილი ჯიშების ყვავილობის პერიოდია 25 თებერვლიდან 16 მარტამდე და ნაყოფის სიმწიფის პერიოდი კი 1 ივლისიდან 10 სექტემბრამდე. ტყემლის შერჩეული ჯიშები და ფორმები ხასიათდებიან მაღალი კვებითი ღირებულებით (მშრალი ნივთიერება 14%-მდე), კარგი ტექნოლოგიური თვისებებით და იენისიდან სექტემბრამდე მომწიფებით, რომელთა გავრცელება უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროდუქციის (წვენი, საწებელი, სპირტი) დამზადებას. ტყემლის გამოვლენილი ჯიშებისა და ფორმების შემდგომი გამრავლება მოხდება მხოლოდ მცნობის გზით. საძირედ თესლის დამზადება მოხდება ტყემლის კულტურული ჯიშებიდან, უპირატესად წითელი ჯიშის ნაყოფებიდან. სამომავლოდ დაგეგმილი ექსპედიციური მუშაობა ითვალისწინებს ტყემლის საუკეთესო ფორმების გამოვლინებასთან ერთად, ვაწარმოთ პერსპექტიული ფორმებიდან კალმების აღება და მცნობა, რომ უზრუნველყოფილი იქნას საჭირო რაოდენობის სარგავი მასალის მიღება, ტყემლის გამოვლენილი პერსპექტიული ფორმების კოლექციის მოსაწყობად.

მესამე საანგარიშო პერიოდში დამატებით მოძიებული იქნა ინფორმაცია ტყემლის (ალუბლის ქლიავის) (*Prunus cerasifera* Ehrh.) როლის შესახებ კურკოვანი ხეხილოვანი მცენარეების წარმოშობის, ევოლუციისა და მრავალფეროვნების გაზრდის საქმეში; შესწავლილი იქნა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ფენოლური ნაერთები, ასკორბინმჟავა, მათ შორის აუცილებელი მინერალური ელემენტების შემცველობა შერჩეული ჯიშების ნაყოფში და მათი გადამუშავების პროდუქტებში.

გასული საუკუნის 20-30-იან წლებში დაიწყო ველური ტყემლის (ალუბლის ქლიავის) და მისი ჯიშების სიღრმისეული შესწავლა, რომელიც შეგროვდა ექსპედიციების შედეგად. განსაკუთრებით ვრცელი სამუშაო ჩატარდა ამიერკავკასიაში ტყემლის ადგილობრივი ჯიშების გამოკვლევისა და იდენტიფიკაციისათვის. ამ სამუშაოს შედეგად, რომელიც ჩატარდა მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შესაბამისად, შესწავლილი იქნა ტყემლის სახეობის 900-ზე მეტი ნიმუში. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც საინტერესოა ტყემლის (ალუბლის ქლიავის) სამრეწველო კულტივირებისთვის და ამ კულტურის ნაყოფიდან დაკონსერვებული პროდუქტების დასამზადებლად (1,2,3,4). ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული იქნა *P. cerasifera*-ს, შემდეგი ქვესახეობები: subsp. *cerasifera* (ალუჩა ტიპური); subsp. *orientalis* (M. Pop.) Erem. et Garcov. (ალუჩა აღმოსავლური); subsp. *macrocarpa* Erem. et Garcov. (ალუჩა მსხვილნაყოფა). В пределах *P. cerasifera* subsp. *macrocarpa* var. *macrocarpa* გამოყოფილი იქნა შემდეგი სახესხვაობები: var. *macrocarpa* (ტიპური, ანუ ყირიმის); var. *georgica* Erem. et Garcov. (ქართული); var. *iranica* (Koval.) Erem. et Garcov. (ირანის); var. *nairica* (Koval.) Erem. et Garcov. (სომხური); var. *pissardii* Carr. (პისარდა); var. *taurica* (Kost.) Erem. et Garcov. (ტავრიული).

ტყემლი (ალუბლის ქლიავი) ყოველთვის იყო კურკოვანი ხილის კულტურების ერთ-ერთი მთავარი საძირე. კურკოვანი ხილის კულტურების გაშენების ინტენსიურ ტექნოლოგიებზე გადასვლასთან ერთად გაიზარდა საძირეების როლი. ამავდროულად, ტყემლის (ალუბლის ქლიავის) მნიშვნელობაც გაიზარდა ამ მიმართულებით, რადგან ის არის ერთ-ერთი მთავარი დონორი, რომელიც აუცილებელია კლონური საძირეებისთვის, გამოავლინოს ადაპტაციის ნიშნები, ვეგეტატიური გამრავლების უნარი, ფესვთა სისტემის შესანიშნავი დამაგრება, ფესვის ყლორტების არარსებობა. და კარგი თავსებადობა არა მხოლოდ ქლიავის, არამედ გარგარის, ატმის და ნუმის უმეტეს ჯიშებთან. ალუბლის ქლიავი (ტყემალი) არის ერთ-ერთი მთავარი საწყისი სახეობა კურკოვანი ხილის კულტურების კლონური საძირეების შერჩევისას შორეული ჰიბრიდიზაციის მეთოდის გამოყენებით (5,6,7). *Prunus cerasifera* Ehrh.-ს მრავალი სახეობათა შორის ჰიბრიდი სხვა კურკოვანი ხილის მცენარეების სახეობებთან შეჯვარების შემდეგ, როგორც წესი, ძალზე ადაპტირებადია და ნაკლებად მზარდი სახეობების ჰიბრიდიზაციაში მონაწილეობისას, მაგ. *P. pumila* L., *P. tomentosa* Thunb., *P. ulmifolia*, შეიძლება გახდეს ჯუჯა საძირეები, რომლებიც ადვილად ეგუებიან სხვადასხვა ნიადაგსა და კლიმატურ პირობებს არა მხოლოდ საქართველოს რეგიონებში, არამედ უცხო ქვეყნებშიც (აშშ-ში, ესპანეთში, ჰოლანდიაში, თურქეთში) (5,6,7).

ტყემლის ნაყოფის შედგენილობაში შემავალი ქიმიურ ნივთიერებათა შორის ბიოლოგიური აქტივობის მხრივ მნიშვნელოვანია მინერალური ნივთიერებები, ასკორბინმჟავა, და ფენოლური ნაერთები.

მინერალური ელემენტები აუცილებელია ადამიანის სასიცოცხლის-უნარიანობის შენარჩუნებისათვის. მისი არარსებობის ან არაადეკვატური მიღების შემთხვევაში ორგანიზმი წყვეტს განვითარებას, ვერ გაივლის თავის ბიოლოგიურ ციკლს, კერძოდ, არ შეუძლია გამრავლება. დაკარგული ელემენტის მიღება აქრობს მისი დეფიციტის ნიშნებს და უბრუნებს ორგანიზმს სიცოცხლისუნარიანობას [8]. ეს ელემენტებია K, Ca, Mg, Fe, Zn, Cu და Mn.

ლეიკო-ანტოციანინები და ანთოციანინები მიეკუთვნებიან ფენოლური ნაერთების ჯგუფს. მათი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია სისხლის კაპილარების კედლების გამტარიანობის და მყიფეობის დაქვეითება [9]. გარდა იმისა, რომ ფენოლური ნაერთები ყველაზე მნიშვნელოვანი ბუნებრივი ანტიოქსიდანტებია, მათ აქვთ რადიოპროტექტორული, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანთების საწინააღმდეგო, ანტიჰაზმური, ჰიპოტენზიური და ბაქტერიციდული მოქმედება [10].

ასკორბინის მჟავა (AA) მონაწილეობს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ პროცესებში, ასტიმულირებს ტვინის აქტივობას, არეგულირებს მეტაბოლიზმს, მათ შორის ლიპიდურს, გავლენას ახდენს სისხლის მდგომარეობაზე. AA ასტიმულირებს ზრდას, აუმჯობესებს მადას, ამალღებს სხეულის ზოგად ტონუსს და აძლიერებს ინტერფერონის გამომუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის იმუნურ დაცვას (11).

ჩვენს მიერ ტყემლის ნაყოფიდან დამზადებული იქნა ტყემლი კონცენტრირებული წვენი და ტყლაპი (პასტილა), მიღებულ პროდუქტებში გამოკვლეული იქნა ძირითადი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები.

ტყემლის კონცენტრირებული წვენის მიღება: პირველად ხდება ტყემლის ნატურალური წვენის მიღება ცივი დაწნხით ან ბლანშირების შემდეგ. კარგად დამწიფებულ ნაყოფს ცილდება კურკა (კურკა გამცლელი დანადგარი) და შემდგომ დაქუცმაცებული მასა დავწნიხეთ. მიღებული მასა გავფილტრეთ. მეორე ვარიანტი ნაყოფის ბლანშირებაა მწვავე ორთქლით ან მცირე რაოდენობით წყალთან გაცხელებით. ცხელი მასის დაყოვნებით და წვენის განშრეგების შემდეგ მისი მოცილებით. წვენის გამოსავალი ცივი დაწნხის დროს შეადგენდა 60 – 62,5 %, მიღებულ წვენში წყალში ხსნადი ნაერთები - Brix იყო 6,9 – 7,1 %. ტიტრული მჟავიანობა 3,21 – 3,24 %. ბლანშირებით მიღებული წვენის გამოსავალი შეადგენდა 60 – 62,5 %, მიღებულ წვენში წყალში ხსნადი ნაერთები - Brix იყო 7,9 – 8,1 %, ტიტრული მჟავიანობა 3,21 – 3,24. წვენის გარკვეული ნაწილი რბილობია (ცივი დაწნხისას 30 %, ბლანშირებისას 33 %). ანარჩენის სახით რჩება კურკა (15-17%) და კანი რბილობით (3-5%-მდე). მიღებული წვენი დაკონცენტრირებულ იქნა ვაკუუმის პირობებში (40 – 45 0 C ტემპერატურაზე). კონცენტრატის წარმოება წვენის მოცულობას ამცირებს 7 (Brix 55%) - 9 ჯერ (Brix 60%), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს შესანახი ნედლეულის მოცულობას.

ტყემლის ტყლაპის მიღება: ტყემლის ნაყოფებს უტარდება ინსპექცია, რეცვა და ბლანშირება. შემდეგ ხდება კურკის მოცილება და გახეხვა 0,40მმ დიამეტრის ცხაურაზე. მიღებული ერთგვაროვანი მასა დაიტანება ხის ან უჟანგავი ფოლადის საშრობ დაფებზე, რომლებიც თავსდება საშრობ კარადაში. შრობის ტემპერატურა შეადგენს 52-550 C ტემპერატურას. ტყემლის ნაყოფებიდან მიღებული პროდუქტების ქიმიური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილი 3-ში.

ტყემლის ნაყოფის პროდუქტების ქიმიური შემადგენლობა (% ნედლი მასა)

ჯიში	მშრალი ნივთიერება, %	ხსნადი მშრალი ნივთიერებები, %	ტიტრული მჟავიანობა, %	ასკორბინის მჟავა, მგ/100გ	ფლავონოლები, მგ/100გ	საერთო ფენოლები, მგ/100გ
ტყლაპი						
„ №1-V“	84.60	85.20	2.36	6.60	1.00	201.00
„ №2-V“	74.00	74.20	1.49	3.52	1.63	117.00
„ №3-V“	85.40	84.80	4.60	5.28	5.20	282.03
„ №4-X“	87.20	87.40	4.22	5.72	8.45	470.00
კონცენტრირებული წვენი						
„ №1-V“	52.00	53.90	1.29	3.52	1.30	63.00
„ №2-V“	57.10	60.20	1.09	4.13	1.63	49.00
„ №3-V“	51.20	65.50	1.64	4.84	2.60	128.00
„ №4-X“	60.1	61.50	0.72	5.1	1.03	156.0

კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ „№1-V“, „№3-V“ და „№4-X“ მიეკუთვნება კალიუმის და სპილენძის მაღალი შემცველობის, მაგნიუმის და რკინის დამაკმაყოფილებელი შემცველობის მქონე პროდუქტების ჯგუფს, მათგან დამზადებული პასტილა და კონცენტრირებული წვენი მიეკუთვნება კალიუმის და სპილენძის დამაკმაყოფილებელი შემცველობის მქონე პროდუქტების ჯგუფს. ტყემლის ნაყოფი, განსაკუთრებით მუქი ფერის, ანტიოქსიდანტების ბუნებრივი კომპლექსური წყაროა, რომელიც ხასიათდება ფენოლური ნაერთების მაღალი შემცველობით და ასკორბინის მჟავისა და თუთიის დამაკმაყოფილებელი შემცველობით.

ყველა შესწავლილ ტყემლის ჯიშში პექტინის ნივთიერებების რაოდენობა შედარებულა ვაშლის ნაყოფის შემცველობასთან. „№4-X“ ჯიშის ნაყოფი მუქი ფერის რბილობით ხასიათდება პექტინის მაქსიმალური შემცველობა - 1,14%, ასკორბინის მჟავა - 9,3 მგ/100 გ, ფენოლური ნაერთები - 441 მგ/100 გ, კალიუმი - 11239 მგ/კგ, მაგნიუმი - 464 მგ/კგ, რკინა - 10,81 მგ/კგ, თუთია - 10,23 მგ/კგ, სპილენძი - 4,17 მგ/კგ, მანგანუმი - 0,228 მგ/კგ.

Prunus cerasifera Ehrh.-ს ჩვენს მიერ შერჩეული ჯიშის ნაყოფები ხასიათდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობით, ვარგისია როგორც დიეტური სურსათის წარმოებისათვის, ასევე ტრადიციული და ფუნქციური პროდუქტების დასამზადებლად.

გამოყენებული წყაროები

- ერემენკო, ფ. ი., & ღარქოვი, ა. ი. (1989). ქლიავი (*Prunus cerasifera* Ehrh.). ქართლი.
- კვალი, ე. ზ. (1966). კავკასიის ველურად მზარდი ხილოვანი მცენარეები. მეცნიერება.
- პოპოვი, გ. გ. (1970). კავკასიის ველურად მზარდი ხილის ხეები. კოლოსი.
- Eremenko, F. I., & Garkov, A. I. (1989). The plum (*Prunus cerasifera* Ehrh.). Kartli.
- Faust, M., & Korban, S. S. (2012). The plum: Botany, production and uses. CABI.
- Iezzoni, A. F., & Scorza, R. (2010). Genetic resources of *Prunus* species. Springer.
- Koval, E. Z. (1966). Wild-growing fruit plants of the Caucasus. Metsniereba.
- Popov, G. G. (1970). Wild-growing fruit trees of the Caucasus. Kolos.
- Sánchez-Blanco, M. J., Rodríguez-Calcerrada, J., Oliveira, G., & Zavala, M. A. (2009).
- Ecological and genetic variation in *Prunus cerasifera*: Implications for conservation. Journal of Plant Ecology, 2(3), 127-135.
- Vavilov, N. I. (1949). The origin of cultivated plants. Chronica Botanica.

სიახლეები, ვიზიტები, საქმიანი შეხვედრები

2024 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით და პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით დაარსდა „ოქროს მედალი“ და სამკერდე ნიშანი.

სამკერდე ნიშნის ტარების უფლება მინიჭებული აქვთ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს (აკადემიკოსებს), ასევე აკადემიის საპატიო და უცხოელ წევრებს.

რაც შეეხება აკადემიის „ოქროს მედალს“, იგი გადაეცემა საქართველოს მოქალაქეებს, აგრარული დარგის გამოჩენილ მეცნიერებს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს აგრარული მეცნიერების განვითარებაში და ქვეყნის აღმშენებლების საქმეში.



საქართველოს ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის შედეგები და წინასწარი პოლიტიკური დასკვნები (2019 – 2023 წ. წ.)

2024 წლის 29 იანვარს თბილისში, სასტუმრო “შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში” გაიმართა საქართველოს ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის შედეგების და წინასწარი პოლიტიკური დასკვნების (2019 – 2023 წ. წ.) პრეზენტაცია.

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ - ნინო თანდილაშვილმა.

შემდეგ, შეკრებილ საზოგადოებას მიმართეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ერნსტ პიტერ ფიშერმა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე და საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე.

საქართველოს ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის შედეგების შესახებ აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციით წარსდგა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ტყის პოლიტიკის სამმართველოს ხელმძღვანელი პაპუნა კაპანაძე. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

მსმენელთა მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა, რომელზედაც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხები გასცა.

შემდგომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა წარმოადგინა წინასწარი პოლიტიკური დასკვნები საქართველოს სატყეო სექტორის რეფორმისათვის ტყის ეროვნული აღრიცხვის საფუძველზე.

დასასრულს შეხვედრა შეაჯამა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის უფროსმა კარლო ამირგულაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას შეხვედრაში მონაწილეობისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა

2024 წლის 7 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა. წარმოდგენილი იყო თემა: „სეისმური საშიშროების ალბათობის შეფასება საქართველოში: ისტორიის მიმოხილვა და მთავარი გამოწვევები“ - მომხსენებელი: ნინო წერეთელი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდინს სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ - თანამშრომელი.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი რ. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის წევრები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სხდომას ესწრებოდნენ აკადემიის აკადემიკოს - მდივანი ა. დიდებულიძე და აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი ლ. დოლიძე.

კომისიის სხდომა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა, შემდეგ მან სიტყვა გადაცა ნინო წერეთელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდინს სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ - თანამშრომელს, რომელმაც პრეზენტაციისას წარმოადგინა სეისმური საშიშროების ალბათური შეფასების ახალი რუკები. აღნიშნული საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია.

სხდომა შეაჯამა და დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

2024 წლის 13 მარტს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში გაიმართა შეხვედრა, რომლის მიზანი იყო მიზნობრივი პროგრამის (2024-2030) „მარცვალი“ შემუშავებისათვის ნიადაგის მომზადება.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე თენგიზ ნასარიძე, სამინისტროს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ეკატერინე ზვიადაძე, მინისტრის მრჩეველი ომარ კაჭარავა, ნოდარ ხოხაშვილი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით

ცენტრის დირექტორი ლევან უჯმაჯურიძე, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის დირექტორის მოადგილე ნოდარ ხატიაშვილი, სამინისტროსა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სხვადასხვა სამსახურების უფროსები და სპეციალისტები, შპს „ლომთაგორას“ დირექტორი კახა ლაშხი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვედრაში მონაწილეობდნენ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე და აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

შეხვედრა გახსნა და საქართველოში მარცვლეულის წარმოების პრობლემებზე ისაუბრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თენგიზ ნასარიძემ. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს: მინისტრის მრჩეველმა ომარ კაჭარავამ, ნოდარ



ხობაშვილმა, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრის დირექტორმა ლევან უჯმაჯურიძემ, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევით ცენტრის დირექტორის მოადგილემ ნოდარ ხატიაშვილმა, სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ჯიშთა გამოცდის სამსახურის წარმომადგენელმა გიორგი ღულუნიშვილმა, აკადემიკოსმა გოგოლა მარგველაშვილმა, აკადემიკოსმა ანატოლი გიორგაძემ, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მარცვლოვანი კულტურების კვლების სამსახურის უფროსმა ცოტნე სამადაშვილმა, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსმა აგრონომმა ადოლი ტყემელაშვილმა, შპს „ლომთაგორას“ დირექტორმა კახა ლაშხმა.

შეხვედრა შეაჯამა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თენგიზ ნასარიძემ.

ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესი

(მეორე სამუშაო შეხვედრა)

2024 წლის 2 აპრილს, თბილისში, ღვინის ეროვნული სააგენტოს დარბაზში გაიმართა ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (ესპპ) 2024 წლის მეორე სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით მუნიციპალური ტყის ფორმირებისა და ტყის მართვის განვითარების შესაძლებლობების განხილვა; უკვე განხორციელებული სამუშაოების და შექმნილი დოკუმენტების გაცნობა; სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა.

სხდომას ესწრებოდნენ: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე - ლიკა გიორგაძე, GIZ- ის იურისტ - კონსულტანტი - ეკატერინე ოთარაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, GIS და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრი - „გეოგრაფიკი“ - ს გარემოს-დაცვითი პროექტების კოორდინატორი - მამუკა გვილავა, ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის მოვლა - აღდგენის დეპარტამენტის უფროსი - მერაბ მაჭავარიანი, GIZ, გარემოს-დაცვითი და სოციალური გარანტიებისა და გენდერის მრჩეველი - მარიკა ქავთარაშვილი, დამოუკიდებელი ექსპერტი - გიორგი ლემონჯავა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები.

შეხვედრა მისასაღებელი სიტყვით გახსნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალ-

ბატონმა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოამზადა „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის წესი“- ს სამუშაო ვერსია. გარდა ამისა, კლიმატის მწვანე ფონდის პროექტის (GCF) ფარგლებში მომზადდა ტყის მართვის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში საზოგადოების გაუმჯობესებული თანამონაწილეობის კონცეფცია და „მერქნიანი მცენარეებით დაფარული ბუნებრივი სივრცეების მართვის სახელმძღვანელო“. აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს რვა სამიზნე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ტყის მართვის შესაძლებლობების შეფასება, არსებული შესაძლებლობების გამოყენებისა და ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა.

აქტუალური საკითხების ირგვლივ გაიმართა დისკუსია. სხდომა შეაჯამა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ, ქალბატონმა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მოზრძანების და სამუშაო შეხვედრაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ტრადიციული ქართული სამიწათმოქმედო კულტურა და თანამედროვეობა (ხორბალი) – გამოფენა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში



მიმდინარე წლის 15 აპრილს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის „ტრადიციული ქართული სამიწათმოქმედო კულტურა და თანამედროვეობა“ - (ხორბალი) ფარგლებში გაიმართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ხორბლის კულტურასთან დაკავშირებული ექსპონატები, რომელთა შორის იყო ეტრატები, ფოტოები, წიგნები, მემორიალური ნივთები, მარცვლეულის უნიკალური სახეობები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა. მნახვეთა ყურადღებას იპყრობდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შრომის იარაღები და ხორბლის ნამზადის

დასამზადებლად საჭირო ჭურჭელი, განსაკუთრებით კი საქართველოს ეროვნული არქივიდან წამოღებული უძველესი ხელნაწერები (როგორც დედნები, ასევე ასლები), რომლებიც უტყუარი დასტურია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პურეულსა და ზოგადად ხორბალს ქართველთა ყოფაში. ასე მაგ., სოფელ საბუეში მცხოვრები ყმების წყალობის წიგნი - ბატონიშვილი თეიმურაზის (მეფე ლეონის ძე) ბოდბელი მაქსიმესადმი. „თხრობის“ ნაწილში ნახსენებია წისქვილი, ხელრთვა „თეიმურაზ“ 1568 წელი; ოქმი - ერეკლე II-ის დარბაზბატონი ნაზირი დიმიტრისადმი, გორსა და ცხინვალში ცხენების გაგზავნისა და ქარხნისთვის ფქვილის ჩატანის შესახებ - 1762 წ. 29 დეკემბერი; ხელწერილი - გიორგი ზუბინაშვილის სახაზაზოში ბატონიშვილი იულონის მიერ გამოგზავნილი ფქვილის მიღების შესახებ - 1789 წ. 10 სექტემბერი და სხვ.

გამოფენა გახსნა და აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ. მომხსენებელმა მსმენელთა ყურადღება გაამახვილა პურობის ტრადიციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. აღინიშნა, რომ ქართულ სუფრაზე მარცვლოვანი კულტურებისგან დამზადებული საკვები დომინანტური იყო. განსაკუთრებით ხორბლეული. რექტორმა ისაუბრა ასევე სხვა აგრარული კულტურების მრავალფეროვნებაზე, მათი სამეცნიერო შესწავლის მნიშვნელობაზე.



„ჩვენი მიზანია ქართული ხორბლის ენდემური სახეობების პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ. რამდენიმე წლის წინ ჩვენმა ქვეყანამ იუნესკოს წინაშე დააყენა საკითხი ქართულ ხორბალს კულტურული ძეგლის სტატუსი მინიჭებოდა,“ - განაცხადა მან.

გამოფენაზე ქართული ხორბლის კულტურასთან და ხორბლისა და პურის თანამედროვე ქართულ ტრადიციულ სარიტუალო პრაქტიკასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ



მოხსენებით გამოვიდა პროფ. როზეტა გუჯეჯიანი. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია საზოგადოებრიობას კიდევ ერთხელ შეხსენდეს ქართველთა უდიდესი წვლილი მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში, კერძოდ ჩვენი ხალხის სამიწათმოქმედო გამოცდილება. საქართველოში ენდემური ჯიშის ქართული მემინდვრობის არაერთი ელემენტი მოიპოვება, რომელსაც დაცვა და პოპულარიზაცია სჭირდება.

გამოფენაზე მოხსენებებით გამოვიდნენ ასევე ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ლევან უჯმაჯურიძე, საკითხით დაინტერესებული მეცნიერ-თანამშრომლები, რომლებმაც

ისაუბრეს საქართველოში ღვინისა და ხორბლის მოყვანისა და რიტუალური დატვირთვის ხანგრძლივი ისტორიის შესახებ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე და აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი.

ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესი (მესამე სამუშაო შეხვედრა)

2024 წლის 19 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიმართა ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის (ესპპ) 2024 წლის მესამე სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით განხილულიყო უკვე განხორციელებული სამუშაოების და შექმნილი დოკუმენტების გაცნობა, სამომავლო აქტუალური საკითხების განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე - ნინო თანდილაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის ხელმძღვანელი - კარლო ამირგულაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულისძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების კოორდინატორი - მარიამ გვარჯალაძე, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე - დავით დამენია, GIZ - ექსპერტი - ნატა ჯამბურია, CENN/DEPA - მკვლევარი - ზაზა ბარბაქაძე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები.

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ - ნინო თანდილაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) და კლიმატის მწვანე ფონდის პროექტის (GCF) მხარდაჭერით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს სხვადასხვა სახის აქტივობებს, რომელთა ძირითადი მიზანია ტყის მერქნიანი რესურსების ეფექტური გამოყენება და საქართველოში შეშის გონივრული მოხმარების განვითარება. აღნიშნული მიზნის განხორციელებისათვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად ტყისა და სასოფლო - სამეურნეო ნარჩენებისაგან წარმოებული მყარი ალტერნატიული საწვავის გამოყენება სახელდება.

აქტუალური საკითხების ირგვლივ გაიმართა დისკუსია. სხდომა შეაჯამა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ - ნინო თანდილაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობისათვის.

პარტნიორების შეხვედრა

2024 წლის 22 აპრილს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით გაიმართა პარტნიორთა სამუშაო შეხვედრა. (შეხვედრა - "სმოუკი დათუნასთან").

შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით განხილულიყო ტყის ხანძრების პრევენციის, ტყის ხანძრების მართვის და შედეგების მიმოხილვა.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კარლო ამირგულაშვილი, აშშ - ს სატყეო სამსახურის ევროპა - აზიის ჯგუფის პროგრამების მენეჯერი - სეთ დევისი, აშშ - ს სატყეო სამსახურის საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტი - კერრი გრინი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები.

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - კარლო ამირგულაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მთელ მსოფლიოში ტყის ხანძრების პრევენციას, ტყის ხანძრების მართვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

შეხვედრის ფარგლებში გაიმართა შემდეგი პრეზენტაციები:

- ველურ ბუნებაში ხანძრების პრევენციის, „სმოუკი დათუნას“ კამპანიის და აშშ - ში სააგენტოთა შორის კოოპერაციის მიმოხილვა. სპიკერი - აშშ - ს სატყეო სამსახურის საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტი - კერრი გრინი;
- ტყის ხანძრებთან მიმართებაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფლება - მოვალეობების მიმოხილვა. სპიკერი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი - ნინო ბარქაია;
- დაცულ ტერიტორიებზე ტყის ხანძრების მართვისა და შედეგების მიმოხილვა. სპიკერი - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი - დავით კობახიძე;
- ხანძრების პრევენციის და საპასუხო ზომების მიმოხილვა ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნულ პარკში. სპიკერი - ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნულ პარკის ადმინისტრაციის უფროსი - ლევან საბანიძე;
- აშშ- ის სატყეო სამსახურთან ერთობლივი პროექტის მიმოხილვა საქართველოში ტყის ხანძრების მოდელირების თაობაზე. სპიკერი - NACRES - ის გამგეობის წევრი, ბუნებრივი რესურსების მართვის პროგრამის კოორდინატორი - კახა არცივაძე;
- ტყის ხანძრების მართვის პრაქტიკა ეროვნულ სატყეო სააგენტოში. სპიკერი - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი - გიორგი ბერჩევიძე;
- UNDP - ის საქმიანობის მიმოხილვა კლიმატის ცვლილების რისკების მართვასთან დაკავშირებით საქართველოში. სპიკერი - გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა (UNDP) გარემოს დაცვისა და ენერჯეტიკის მიმართულების ხელმძღვანელი - ნინო ანთაძე;

- საქართველოში ბუნებრივ საფრთხეებზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მიმოხილვა. სპიკერები: CENN -პროექტის კოორდინატორი - ვახო ჩიტიშვილი; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - იოსებ ქინქლაძე.

აქტუალური საკითხების ირგვლივ გაიმართა დისკუსია. სხდომა შეაჯამა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - კარლო ამირგულაშვილმა, რომელმაც მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობისათვის.

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia 2024



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და გამოფენების ცენტრი „ექსპოჯორჯიას“ ორგანიზებით 2024 წლის 7 ივნისს გაიხსნა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia 2024, რომელშიც მსოფლიოს 8 ქვეყნის 200-მდე კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელმა დიდმა და საშუალო კომპანიებმა, მცირე მარნებმა, წარმოდგენილი იყო შესაფუთი მასალები, მევენახეობა-მეღვინეობის მანქანა-დანადგარები, სანერგეები, მინა, აქსესუარები, სერვისები და სხვ. გამოფენა გახსნეს: გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის მონსტრის მოადგილემ, ბატონმა იური ნოზაძემ, გამოფენების ცენტრი „ექსპოჯორჯიას“ დირექტორმა რესან ქიქავამ და ბრიტანელმა ღვინის მაგისტრმა ტიკ ატკინმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა იური ნოზაძემ თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ მსგავსი გამოფენები და ღონისძიებები საუკეთესო პლატფორმას წარმოადგენს ღვინის პოპულარიზაციისთვის, სადაც დაინტერესებულ კომპანიებს, იმპორტიორებსა და მეწარმეებს აქვთ საქმიანი კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა. მან ყურადღება გაამახვილა საქართველოში ღვინის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებაზე, ღვინის მწარმოებელი ახალი კომპანიებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე. ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა ღვინის ხარისხი, შედეგად ყოველწლიურად იზრდება ქართული ღვინის ექსპორტიც. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საერთაშორისო ბაზრებზე აქტიურ მარკეტინგულ ღონისძიებებს ახორციელებს და ეს მხარდაჭერა გაგრძელდება მომავალშიც.

გამოფენაზე აღინიშნა ისიც, რომ WinExpo Georgia 2024 ფარგლებში, გაიმართება რიგით მე-14 საერთაშორისო ღვინის კონკურსი Georgia International Wine Award, სადაც ღვინის საერთაშორისო ექსპერტები 220-მდე ღვინოს შეაფასებენ. გამარჯვებულები გამოვლინდებიან 7 კატეგორიაში. გაიცემა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები. კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეობას გაუწევს ღვინის მაგისტრი, მეღვინეობაზე ნარკვევების ავტორი ტიმ ატკინი (დიდი ბრიტანეთი).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენის WinExpo Georgia 2024 გახსნას დაესწრნენ, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე.

ღია კარის დღე „ფირმა ლომთაგორაში“

მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარე „ფირმა ლომთაგორაში“ მიმდინარე წლის 16 ივნისს გაიმართა საქართველოში ერთ-ერთი სტრატეგიული კულტურის -ხორბლის სასელექციო-სადემონსტრაციო ღია კარის დღე. დამსწრე საზოგადოებას შორის იყვნენ: პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი გელა სამხარაული, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბატონი იური ნოზაძე, სიმინდისა და ხორბლის გაუმჯობესების საერთაშორისო ცენტრის (CIMMYT) წარმომადგენელი ბეიჰან აკინი, ქობულეთის გენეტიკისა და იმუნოლოგიის ინსტიტუტის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წარმომადგენლები, ფერმერები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ღონისძიებას ესწრებოდნენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულიძე.

ღონისძიება გახსნა შპს „ფირმა ლომთაგორას“ დირექტორმა, ბატონმა კახა ლაშხმა. მან მოწვეულ სტუმრებს ხორბლის მოვლა-მოყვანის ახალი ტექნოლოგიები, არსებული გამოწვევები და მიმდინარე სამუშაოები გააცნო. ისაუბრა იმ მაღალპროდუქტიულ ჯიშებზე, რომელიც აქ მოყავთ, ყურადღება გაამახვილა ხორბლის ენდემურ სახეობებზე და ადგილობრივ ჯიშებზე.

ხორბალთან დაკავშირებულ საკითხებზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, ბატონი გელა სამხარაული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბატონი იური ნოზაძე. აღინიშნა, რომ მარცვლეული კულტურების განვითარების ხელშესაწყობად, აუცილებელია სექტორის მეცნიერული უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინტროდუცირებული სელექციური ახალი ჯიშების გამოცდა, დარაიონება და ფერმერულ მეურნეობებში გავრცელება.

სიტყვით გამომსვლელთა შორის გახლდათ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე. მან აუდიტორიას კიდევ ერთხელ შეახსენა თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად ხორბალს ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების მიმართულებით. ისაუბრა ხორბლის მაღალპროდუქტიულ ჯიშებზე, მათ გამოყვანაში სელექციის მნიშვნელობაზე. ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში ხორბლის მწარმოებელ ფერმერებზე, რასთან დაკავშირებითაც მაგალითი მოიყვანა აშშ-ში მთავრობის დამოკიდებულებაზე ხორბლის მწარმოებლებისადმი. კერძოდ, ის რომ საჭიროა საქართველოშიც მთავრობის მხრიდან მეხორბლეებისათვის გარკვეული დოტაციების გაღება და იაფი კრედიტების გაცემა, რათა მათ კონკურენცია გაუწიონ ქვეყანაში იაფი ხორბლის შემომტან ფირმებს და ადგილზე აწარმოონ ქართული პროდუქცია. ბატონმა გურამმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ხორბალს ქართველთა ყოფაში ოდითგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რისი დასტურიც ძვ. წ. V-IV ათასწლეულის ადამიანის სადგომებსა და სამარხებში აღმოჩენილი ხორბლის და მასთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო ნივთებია.

„ქართული ხორბლის სახეობები უნიკალურია თავისი გენეტიკური და სელექციური თვალსაზრისითაც, რადგან ახასიათებთ ისეთი მნიშვნელოვანი თვისებები, როგორცაა: დაავადებებისადმი კომპლექსური იმუნიტეტი, სტერილურობისადმი გამძლეობა, ცილის მაღალი შემცველობა, ადაპტაციის მაღალი უნარი, თავთავის ღერაკის მაღალი ელასტიკურობა, გამძლეობა თავთავის ტყდომისადმი და თავთავიდან მარცვლის ცვენადობისადმი, თავთუნებიდან მარცვლების ადვილად გამოღეწვის უნარი და სხვ“-აღნიშნა აკადემიკოსმა გ. ალექსიძემ.

ვიზიტის ფარგლებში დარგის წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა დაათვალიერეს კომპანიის მფლობელობაში არსებული საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთზე ხორბლის ენდემური სახეობები, ძველი ადგილობრივი ჯიშები, საერთაშორისო სანერგეებიდან გამორჩეულ 120-მდე დათესილი ხორბლის პერსპექტიული ფორმები და ეროვნულ კატალოგში შესული ხორბლის სათესლე-სანერგეები. სტუმრებმა ასევე მოინახულეს 2013 წელს იაფი კრედიტის ფარგლებში შექმნილი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მარცვლეულის შესანახი ქარხანა და თესლის გადამამუშავებელი და საწმენდი თანამედროვე აგრეგატი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა

2024 წლის 24 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის სხდომა. წარმოდგენილი იყო ქ. ოლშტინის (პოლონეთი) ვარმია - მაზურის უნივერსიტეტის პროფესორების ქალბატონ ჯოანა პავლოვიჩის და ქალბატონ ალდონა სკოტნიცკა-შეპშაკის მოხსენებები თემებზე:

1. „დაბალწნევიან კაშხლებზე დეფორმაციების პროგნოზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით“;
2. „კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით წყლის რესურსების მართვა მაზურის ტბების გარშემო“.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი რ. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბუნებრივი კატასტროფების სამეცნიერო პრობლემების შემსწავლელი კომისიის წევრები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან სხდომას ესწრებოდა აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლ. დოლიძე.

კომისიის სხდომა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა, შემდეგ მან სიტყვა გადაცა ქ. ოლშტინის (პოლონეთი) ვარმია - მაზურის უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ჯოანა პავლოვიჩს. მოხსენებაში დასაბუთებული იქნა, რომინოვაციური, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა ტრადიციული მიდგომების არასახარბიელო სტატისტიკურმა მონაცემებმა განაპირობა და შეიქმნა BIM სისტემა, რომელიც სამგანზომილებიანი მოდელების აგებით, ინფორმაციის მიმოცვლას ამარტივებს და ზედმეტი დანახარჯების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. მისი გამოყენებით შეცდომების რაოდენობა მცირდება 30-40%-ით; პროექტის ხანგრძლივობა მცირდება 15-20%-ით; შრომა 20-40%-მდე უფრო პროდუქტიული ხდება; 10-15%-ით მცირდება სამშენებლო ნარჩენები და სხვ.

მოხსენების დასასრულს გაიმართა დისკუსია, სადაც მომხსენებელმა ამომწურავად გასცა პასუხი დასმულ შეკითხვებს.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის გადაეცა ქალბატონ ალდონა სკოტნიცკა-შეპშაკს. მან აღნიშნა, რომ მაზურის ტბების ტერიტორია გლობალური მასშტაბის იშვიათობაა, სადაც განთავსებულია 2600 მეტი ტბა და იგი როგორც სპეციფიური ტერიტორია საჭიროებს განსაკუთრებულ ზრუნვას წყალთა მეურნეობის თვალსაზრისით. ურბანიზაციის ნეგატიური გავლენა ეკოსისტემაზე ფართოდაა გამოხატული მაზურის ტბების ტერიტორიაზე. არსებული წყალთა მეურნეობის სისტემები საჭიროებს შეცვლას, რაც იწყება დაპროექტებით.

გაიმართა დისკუსია, სადაც მომხსენებელმა პასუხები გასცა დასმულ შეკითხვებს.

სხდომა შეაჯამა და დამსწრე საზოგადოებას მოზრძანებისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა.

სამეცნიერო ფესტივალი „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“

მიმდინარე წლის 16 სექტემბერს ქ. ზუგდიდში ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ჩატარდა სამეცნიერო ფესტივალი „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“. ფესტივალზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების

მეცნიერ-თანამშრომლები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ფესტივალის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა თენგიზ ყურაშვილმა, აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების სტიპენდიატმა, დოქტორმა ნატო ჯაბნიძემ და აკადემიის წამყვანმა სპეციალისტმა ქეთევან ჭიპაშვილმა.

ფესტივალი გახსნა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ქალბატონმა თეონა ხუფენიამ, რის შემდეგ მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო უნივერსიტეტის სტრუქტურა, ისაუბრა უახლოეს გეგმებზე, უნივერსიტეტის მიღწევებზე. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის მთავარი



მიზანია: შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნილების გათვალისწინებით შექმნას სწავლისა და კვლევის ინტეგრირებაზე ორიენტირებული ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებენ დღევანდელ მოთხოვნებს; მოამზადოს პროფესიული განათლების მქონე კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური კადრები და სხვ. თავის გამოსვლაში ქალბატონმა თეონამ ყურადღება გაამახვილა ასევე უნივერსიტეტში მოქმედ უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ბიბლიოთეკაზე, ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრზე, სტუდენტებისათვის განკუთვნილ კეთილმოწყობილ საერთო საცხოვრებელზე, რომლებიც საუკეთესო გარემოს ქმნიან, იმისათვის რომ სტუდენტებს ხელი შეეწყოს ხარისხიანი განათლების მიღებაში. თავისი გამოსვლის ბოლოს ქალბატონმა თეონამ მადლობა გადაუხადა ყველა იმ უწყებას და ორგანიზაციას, რომლებიც ღირსეულად უდგანან გვერდში უნივერსიტეტს და გარკვეული წვლილი მიუძღვით მის წარმატებებში.

ფესტივალზე მისასალმებელი სიტყვით ასევე გამოვიდნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსის ფუნქციების შემსრულებელი მინდია ოკუჯავა, ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე კონსტანტინე კანკავა, „ჰორიზონტი ევროპას“ ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი ლევან ხეცურიანი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორი თინათინ ბოლქვაძე, რომლებმაც ხაზი გაუსვეს მსგავსი ფესტივალების ჩატარების მნიშვნელობას ახალგაზრდა თაობის მეცნიერების სხვადასხვა დარგისადმი დაინტერესების გაჩენის თვალსაზრისით, დამსწრე საზოგადოებას გააცნეს



საკუთარი ხედვები ახალგაზრდების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობასთან დაკავშირებით და სხვ.

ფესტივალზე ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის საპატიო წოდება მიენიჭათ ქართველ და უცხოელ მეცნიერებს. გაიმართა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა გაცილების ცერემონიალი, რასაც მიემდგვნა საზეიმო კონცერტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის



მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა თენგიზ ყურაშვილმა და აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილების სტიპენდიატმა, დოქტორმა ნატო ჯაბნიძემ ფესტივალში მონაწილე ახალგაზრდებს და ასევე დაინტერესებულ პირებს გააცნეს აკადემიის საქმიანობა, ესაუბრეს ვეტერინარიასა და აგრარულ ეკონომიკაში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე.

მეორე დღეს სტუმრები ეწვივნენ უნივერსიტეტს, დაათვალიერეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო-მეთოდური კაბინეტები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი, სპორტული კომპლექსი და სხვ.

ფესტივალის დასასრულს სტუმრებმა დიდი მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გულთბილი დახვედრისა და მასპინძლობისათვის, უსურვეს წინსვლა და წარმატებები შემდგომ საქმიანობაში.

სამეცნიერო ფესტივალი „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში

მიმდინარე წლის 27 სექტემბერს იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა ფესტივალი „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში მეცნიერების პოპულარიზაცია, კვლევებსა და ინოვაციურ საქმიანობაში მათი მონაწილეობის გაძლიერება. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომლები, უნივერსიტეტის პროფესორები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ფესტივალის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიის მთავარმა აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, დოქტორმა მარინე ბარვენაშვილმა, აკადემიის თარჯიმანმა, დოქტორმა ირინე ბახტაძემ.

ფესტივალი გახსნა და სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა შალვა ჭკადუამ. თავის გამოსვლაში ბატონმა შალვამ მოკლედ ისაუბრა უნივერსიტეტის მიმდინარე და სამომავლო გეგმების შესახებ, რის შემდეგ წარმატება უსურვა ფესტივალის თითოეულ მონაწილეს შემდგომ საქმიანობაში. ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერების განვითარების



დეპარტამენტის უფროსი ქეთევან ქოქრაშვილი. აღინიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისა და წინსვლისათვის მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. შესაბამისად, ახალგაზრდებში მეცნიერების პოპულარიზაციის, კვლევებსა და ინოვაციურ საქმიანობაში მათი ჩართულობის მიზნით, სამინისტროს მხრიდან კვლავაც გაგრძელდება მსგავსი ტიპის ღონისძიებების დაგეგმვა.

მისასალმებელი სიტყვის დამთავრების შემდეგ გაიმართა უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტებისა და პროფესორების სიგელებით დაჯილდოების ცერემონიალი. სიგელებს გადასცემდა უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი შალვა ჭკადუა.

ფესტივალის ფარგლებში თელავის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც საზოგადოებაში მეცნიერებისა და ინოვაციების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებლას, ეროვნული სამეცნიერო, ტექნოლოგიური და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენას მიეძღვნა.

საგამოფენო პავილიონებში, რომლებიც უნივერსიტეტის ეზოში იყო განთავსებული, წარმოდგენილი იყო სამეცნიერო ნაშრომები, პრეზენტაციები, რომლებიც აგრარულ, ტურიზმის, ისტორიის და მეცნიერების სხვა სფეროებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პავილიონს, რომელიც საპატიო ადგილას, უშუალოდ მასპინძელთა პავილიონის შემდეგ იყო განთავსებული, დიდი ინტერესით სტუმრობდნენ, როგორც მოსწავლე ახალგაზრდები და სტუდენტები, ასევე სხვა დაინტერესებული პირებიც. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარმა აკადემიკოს-მდივანმა, აკადემიკოსმა ა. დიდებულებმა და აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, დოქტორმა მ. ბარვენაშვილმა მათ გააცნეს აკადემიის სტრუქტურა და საქმიანობა, ამომწურავი პასუხები გასცეს დასმულ შეკითხვებზე, გადასცეს აკადემიაში გამოცემული რეკომენდაციები.



ღონისძიების ფარგლებში საზეიმოდ გაიხსნა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული თანამედროვე ტექნიკითა და ლაბორატორიული დანადგარებით აღჭურვილი ღვინის საწარმო.

ფესტივალზე გაიმართა საზეიმო კონცერტიც, რომელზეც თავიანთი შემოქმედებით მაცურებლის წინაშე წარსდგნენ ქორეოგრაფიული ანსამბლები "კავკასიონი" და "ჭადარი", უნივერსიტეტთან არსებულ ფოლკლორული ანსამბლი, მეოთხე საჯარო სკოლის მომღერალ ბავშვთა გუნდი "ფესვები".

სამეცნიერო ფესტივალს ესტუმრა თელავის, ახმეტის, ყვარლისა და ლაგოდეხის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ქადაგიშვილი, რომელმაც დაათვალიერა პავილიონები და წარმოდგენილი ექსპონატები.

ფესტივალის დასასრულს სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ფესტივალს ორგანიზატორებს: რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში ნუნუ გელდიაშვილსა და საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს თბილი მიღებისათვის, უსურვეს წარმატებები და აღმავლობა შემდგომ საქმიანობაში.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა შალვა ჭკადუამ მადლობის წერილი გამოუგზავნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს, იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც აკადემიამ გამოხატა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ და მონაწილეობა მიიღო მათ მიერ დაგეგმილ სამეცნიერო ფესტივალში.

სამეცნიერო ფესტივალი „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში



მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაგეგმილი სამეცნიერო ფესტივალის „ახალგაზრდა მეცნიერები პლანეტის უკეთესი მომავლისათვის“, ფარგლებში მოეწყო საზეიმო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მეცნიერებმა, მკვლევარებმა, სტუდენტებმა, ქუთაისის და ზესტაფონის საჯარო სკოლების უფროსკლასელებმა და სხვ. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის, კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერთანამშრომლები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან ფესტივალის მუშაობაში

მონაწილეობა მიიღეს აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, დოქტორმა მარინე ბარვენაშვილმა და აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარმა სპეციალისტმა, დოქტორმა თინათინ ეპიტაშვილმა.

ფესტივალზე, რომელიც უნივერსიტეტის ღია სივრცეში ჩატარდა, დამსწრე საზოგადოებას თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდნენ უნივერსიტეტში შემავალი ცალკეული ფაკულტეტების სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პავილიონს უწყვეტად სტუმრობდა დამთვალიერებთა ნაკადი, რომელთა შორის იყვნენ, როგორც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ლექტორები, ასევე სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები. აკადემიური დეპარტამენტის უფროსმა, დოქტორმა მარინე ბარვენაშვილმა და აკადემიის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირისა და საქმიანობის მთავარმა სპეციალისტმა, დოქტორმა თინათინ ეპიტაშვილმა ფესტივალის მონაწილეებს გააცნეს აკადემიის საქმიანობა, სამომავლო გეგმები, ამომწურავი პასუხები გასცეს დასმულ შეკითხვებზე. ახალგაზრდების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქართულმა ფუტკარმა, რომლის შესახებაც მ. ბარვენაშვილმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდა. ხაზგასასმელია ისიც, რომ დიდი ინტერესი გამოიწვია აკადემიაში გამოცემულმა რეკომენდაციებმა და სამეცნიერო შრომათა კრებულებმა, რომელთა უდიდესი ნაწილიც გადაეცათ დაინტერესებულ პირებს.



ფესტივალს ესტუმრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, ბატონი მიხეილ სარჯველაძე, რომელმაც დაათვალიერა პავილიონები და წარმოდგენილი ექსპონატები.

ფესტივალზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კოპანია "კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას" შორის, რომელსაც ხელი მოაწერეს უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა შალვა კირთაძემ და კოპანია "კოკა-კოლა

ბოთლერზ ჯორჯიას" დამფუძნებელმა, ბატონმა თემურ ჭყონიამ. ბატონმა თ. ჭყონიამ უნივერსიტეტის 21 სტუდენტს, რომლებმაც სახელმწიფო სასწავლო გრანტით სწავლის 100%-იანი დაფინანსება მოიპოვეს ორიათას ლარიანი ვაუჩერები გადასცა, ხოლო უნივერსიტეტს - 25 000 ლარი გადაურიცხა, რაზედაც შ. კირთაძემ დიდი მადლობა გადაუხადა.

ფესტივალის დასასრულს გაიმართა საზეიმო კონცერტი.

საინფორმაციო შეხვედრა სასოფლო - სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის (AKIS) შესახებ

2024 წლის 16 ოქტომბერს, ქ. თბილისში, სასტუმრო ჰოლიდეი ინში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა სასოფლო - სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის (AKIS) შესახებ. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობაში აგრარული ცოდნისა და ინოვაციების განვითარების მხარდაჭერა, აგრეთვე ეროვნულ და მიკრო AKIS - ში ჩართულ ინსტიტუციებს შორის კოორდინაცია.



შეხვედრა გაიმართა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამა UNDP-ის მხარდაჭერით, მიმდინარე პროექტის - „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (VET) სისტემების მოდერნიზება“ ფარგლებში.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - სოლომონ პავლიაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი

ალექსანდრე დიდებულიძე, აკადემიის გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს - მდივანი, აკადემიკოსი ლაშა დოლიძე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის დირექტორი თამარ ალადაშვილი, ბერნის უნივერსიტეტის გამოყენებითი მეცნიერების/სასოფლო - სამეურნეო სკოლის, ტყისა და სურსათის მეცნიერებების ექსპერტი - რობერტ ლემანი, ბერნის უნივერსიტეტის გამოყენებითი მეცნიერების/სასოფლო - სამეურნეო სკოლის, ტყისა და სურსათის მეცნიერებების პროფესორი, დეკანი - როლანდ სტალი, მოწვეული კონსულტანტი - მამუკა მათიაშვილი, ასევე არასამთავრობო და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით გახსნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა სოლომონ პავლიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ AKIS - ის მანდატი დაფუძნებულია და მჭიდროდ უკავშირდება ევროკავშირის რეგულაციას (EU) N 2021/2115*, ევროპის საერთო აგრარული პოლიტიკის (CAP) დოკუმენტს. „AKIS-ი სოფლის მეურნეობის მართვის მოდელია, რომელიც ცოდნაზე, ინოვაციებსა და განათლებაზეა დაფუძნებული. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვისწავლოთ, როგორ მოვახდინოთ მეცნიერული ინოვაციების დანერგვა სოფლის მეურნეობაში. არსებობს ბევრი კვლევითი ნაშრომი, რომელიც პრაქტიკაში არ არის გამოყენებული. საქართველოში ამ პროექტის დანერგვით მოხდება ევროკავშირის დირექტივის შესრულება და ევროკავშირის მართვის მოდელთან ადაპტირება“ - განაცხადა სოლომონ პავლიაშვილმა.

შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: სხდომის მოდერატორმა - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის დირექტორმა თამარ ალადაშვილმა, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ეკონომიკური პროგრამების კოორდინატორმა - ბექა თაგაურმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარმა აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე დიდებულიძემ.

შემდგომ, გაიმართა დისკუსია კითხვა - პასუხის ფორმატში, რომლის დროსაც შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ საქართველოში სასაოფლო - სამეურნეო ცოდნისა და ინფორმაციის თანამედროვე სისტემა რამდენადმე ფრაგმენტულია და მის გაძლიერებას სჭირდება ახალი სისტემური ხედვის ფორმირება.

შეხვედრა შეაჯამა სხდომის მოდერატორმა - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის დირექტორმა თამარ ალადაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს აქტიური და ნაყოფიერი დისკუსიის წარმართვისთვის და იმედი გამოთქვა, რომ ასეთი შეხვედრები ხელს შეუწყობს საქართველოს სოფლის მეურნეობაში აგრარული ცოდნისა და ინოვაციების შემდგომ განვითარებას.



სამუშაო შეხვედრა ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან კავშირის დადგენის თაობაზე

მიმდინარე წლის 23 ოქტომბერს სასტუმრო ქორთიარტ მარიოტში საქართველოში მსოფლიო ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის ინიციატივით შედგა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შემავალ უწყებებში ბიუჯეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამების კლიმატის ცვლილებასთან კავშირის დადგენის მეთოდი. შეხვედრას ესწრებოდნენ: ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის, სსიპ გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის, სსიპ საქართველოს ე. ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის, ინფრასტრუქტურის განვითარების, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული საგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურების განვითარების წარმომადგენლები. ასევე სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარების წარმომადგენლები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიიდან შეხვედრას ესწრებოდნენ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი და აკადემიის მთავარი ბუღალტერი ნინო სოზიაშვილი.

შეხვედრა გახსნა საქართველოში მსოფლიო ბანკის ოფისში გარემოსდაცვითი მიმართულების უფროსმა სპეციალისტმა, ქალბატონმა დარეჯან კაპანაძემ. მოკლე მისალმების შემდეგ ქალბატონმა დარეჯანმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი, რომელიც სამი საკითხისგან შედგებოდა: 1. კლიმატის ცვლილების სფეროს პრიორიტეტები; 2. ბიუჯეტში კლიმატის ცვლილების მონიშვნა, მეთოდოლოგიური მიმოხილვა, ტაქსონომია; 3. სამინისტროს ბიუჯეტის და ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების მიმოხილვა, პროგრამები და ქვეპროგრამები.

პირველი საკითხის ირგვლივ ისაუბრა დ. კაპანაძემ. მან აუდიტორიას აუწყა თუ რაოდენ დიდ მასშტაბებს მოიცავს კლიმატის ცვლილება წარმოების სხვადასხვა სფეროში, რა გავლენას ახდენს იგი გლობალურად ქვეყნების ეკონომიკაზე, ადამიანთა შრომით საქმიანობაზე და სხვ. მეორე საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა კახა მდივანმა, რომელიც გახლავთ საქართველოში მსოფლიო ბანკის ოფისში კონსულტანტი კლიმატის ცვლილების მიმართულებით. ბატონმა კახამ საკითხის მიმოხილვა მთავრობის 2022 წლის 22 აგვისტოს № 431, 2023 წლის 28 თებერვლის №90 და 2024 წლის №62 დადგენილებების გაცნობით დაიწყო. აღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე ...,საქართველოს სამინისტროებმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, უზრუნველყონ მათ მიერ განსახორციელებელი

პროგრამების/ქვეპროგრამების კლიმატის ცვლილებასთან კავშირების იდენტიფიცირება“... შედეგ მომხსენებელმა აუდიტორიას დაწვრილებით გააცნო, თუ როგორ ხდება უწყებების სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების კლიმატის პოლიტიკის კლასიფიკატორებთან დაკავშირება. ყურადღება გამახვილდა იმაზეც თუ როგორ ხდება კლიმატის ცვლილებასთან „გამკლავება“, სამუშაოებიდან გამომდინარე მიმდინარეობს „შერბილება“ თუ „ადაპტაცია“ და ა. შ.

დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით მოეწყო კონკრეტული მაგალითების განხილვა, რომელიც კითხვა-პასუხის ფორმატში გაიმართა. მასში აქტიურად იყვნენ ჩართულები, როგორც მომხსენებლები, ასევე დამსწრე საზოგადოება. თითოეული მსმენელის მიერ დასმულ შეკითხვაზე მიმდინარეობდა მსჯელობა, რომელიც ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებით მთავრდებოდა.

შეხვედრის დასასრულს დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა შეხვედრის ორგანიზატორებს მსოფლიო ბანკის მიერ ბიუჯეტის კლიმატის ცვლილებასთან კავშირის დადგენასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებისათვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის შეხვედრა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციების წარმომადგენლებთან

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ სსიპ სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრის მონაწილეებმა თავიანთ კვლევით დაწესებულებებში მიმდინარე კვლევებზე და მათი კომერციალიზაციის შესაძლებლობებზე ისაუბრეს.

მხარეებმა სამეცნიერო-კვლევით სფეროში არსებულ გამოწვევებზეც იმსჯელეს და მათი დაძლევის კუთხით სამომავლო გეგმები განიხილეს. შეხვედრის დასასრულს მონაწილეებმა რიგი საკითხების დეტალურად განხილვის მიზნით სამომავლო შეხვედრები დაგეგმეს.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ანა მღებრიშვილმა, სსიპ სამეცნიერო კვლევითი ერთეულებისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელებმა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეებმა.



შეხვედრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან

მიმდინარე წლის 3 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას საქმიანი ვიზიტით ეწვია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, ბატონი სოლომონ პავლიაშვილი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე,



აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის მთავარი აკადემიკოსი - მდივანი, აკადემიკოსი ალექსანდრე დიდებულოძე, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, დოქტორი მარინე ბარვენაშვილი, აკადემიკოსები: თენგიზ ყურაშვილი და ჯემალ გუგუშვილი, ასევე აკადემიის აპარატის თანამშრომლები.

შეხვედრა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ. აღინიშნა, რომ აკადემიას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დიდი ხნის საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს.

გაფორმებულია ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი, მასში გაწერილი საკითხების შესრულება მნიშვნელოვნად წაადგება ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას და შესაბამისად ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული სოფლის მეურნეობა არამარტო წარმოებული პროდუქციის რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობას იძლევა, არამედ მისი ხარისხის გაუმჯობესებისასაც.

შეხვედრაზე საუბარი წარიმართა ასევე სოფლის მეურნეობის დარგში, უკანასკნელ პერიოდში გამოცემულ მაღალი ხარისხის მეცნიერულ ნაშრომებზეც. ამ მხრივ ხაზი გაესვა აკადემიაში გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელობითი პრემიების მისანიჭებლად ჩატარებულ კონკურსს, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აგრარული დარგში მოღვაწე მეცნიერებმა. გამარჯვებულ კონკურსანტებს შორის გახლდათ ბატონი სოლომონ პავლიაშვილიც - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი). ბატონი სოლომონის მიერ საკონკურსოდ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის პეტრე ჟღენტის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილმა ნაშრომმა „სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური ეფექტიანობის მართვა და ცირკულარული ეკონომიკა“, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების მხრიდან საუკეთესო გამოხმაურება და დიდი მოწონება ჯერ კიდევ 2020 წელს დაიმსახურა, როდესაც ბატონი სოლომონი აკადემიის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ნაშრომთან დაკავშირებით ფართე მოხსენებით წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე.



აუდიტორიის თხოვნით ბატონმა ს. პავლიაშვილმა მსმენელების მოკლედ წარუდგინა ნაშრომში წარმოდგენილი მასალები. ისაუბრა ზოგადად ცირკულარული ეკონომიკის მნიშვნელობაზე, საქართველოში შექმნილი ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებზე ფუნქციონირებადი საწარმოების მუშაობის ზოგად სურათზე და სხვ.

შეხვედრის დასასრულს აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გ. ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადა ბატონ სოლომონს მობრძანებისათვის და საინტერესო მოხსენებისათვის. გამოითქვა იმედი, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და გააქტიურდება, რაც შედეგად სოფლის მეურნეობის დარგში მნიშვნელოვანი საკითხების რაციონალური გადაწყვეტის შესაძლებლობას მოგვცემს.

ი უ ბ ი ლ ა რ ე ბ ი

აკადემიკოსი ანატოლი გიორგაძე -55



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილეს, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორს, აკადემიკოს ანატოლი გიორგაძეს მიმდინარე წლის 14 ივლისს დაბადებიდან 55 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოსი ა. გიორგაძეს გამოქვეყნებული აქვს 98 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორისაა: 1 მონოგრაფია, 5 წიგნი, 11 ბროშურა. იგი თანაავტორია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამომცემლობა “ეიფლ აკადემიკ პრესს“-ის მიერ გამოცემული წიგნის „გლობალური ბიომრავალფეროვნება ტომი II, ევროპის ქვეყნები - საქართველოს ბიომრავალფეროვნება“.

აკადემიკოს ა. გიორგაძის სამეცნიერო საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჰელიო-ნეონის ლაზერის სხივის გამოყენებას მწყრის ხორცისა და კვერცხის ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაუმჯობესების მიმართულებით წარმოებულ

კვლევებს და საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს აკადემიკოს ანატოლი გიორგაძეს და უსურვებს ჯანმრთელობას, წინსვლას, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

გამოჩენილი მეცნიერ-აგარარკოსი გურამ ალექსიძე - 85



მიმდინარე წლის 30 ივლისს, დაბადებიდან 85 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წელი უსრულდება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს - გურამ ალექსიძეს.

გურამ ალექსიძე დაიბადა 1939 წელს ქ. თელავში ცნობილი მეცნიერ-აგარარკოსის პროფესორ ნიკო ალექსიძის ოჯახში, 1957 წელს დაამთავრა თბილისის 31-ე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს სასოფლო – სამეურნეო ინსტიტუტში, აგრონომიულ ფაკულტეტზე, მცენარეთა დაცვის განხრით, რომელიც 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა. ამავე წელს, სწავლა გააგრძელა მეხალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში და 1966 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; 1976 წელს მან დაიცვა სადოქტორო

დისერტაცია საკავშირო მეცნარეთა დაცვის ინსტიტუტში (ქ. ლენინგრადი) და მიენიჭა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1989 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას მიანიჭა პროფესორის წოდება, 1992 წელს არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 2018 წელს კი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად.

13 წლის განმავლობაში ბატონი გურამი მუშაობდა მეხალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტში, 1973 წლიდან გადაყვანილი იქნა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში, ჯერ ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ხოლო 1974 წლიდან დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. ბატონი გურამი აქტიურად მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბებაში და მის შემდგომ განვითარებაში, ჯერ როგორც აკადემიის წევრი და შემეცნარეობის აკადემიკოს - მდივანი. შემდეგ კი 1995 წლიდან 2004 წლამდე იყო აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, 2004 წლიდან ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 2013 წლიდან 2023 წლამდე აკადემიის პრეზიდენტი. 2023 წელს იგი კვლავ არჩეულია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად.

ბატონი გურამი 1983-1987 წლებში მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატებში ქ. ვაშინგტონი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი. ამ პერიოდში მას მიღებული აქვს ელჩის რამოდენიმე ოფიციალური მადლობა.

აკადემიკოს გურამ ალექსიძის შრომებში ნათლადაა ასახული ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო კულტურებში ფართოდ გავრცელებული მავნებლების და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პრესპექტივები. ავტორის 240-ზე მეტ გამოქვეყნებულ ნაშრომში მოყვანილია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინტეგრირებული დაცვის სისტემების დამუშავება და ამ სისტემებში მავნე ორგანიზმების გამრავლება-გავრცელების პროგნოზირების ფენოლოგიური და მათემატიკური მეთოდების გამოყენება, დასაბუთებულია მცენარეთა დაცვის განვითარების თანამედროვე და სამომავლო გზები და ეს დაფუძნებულია ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებების ძიება – გამოყენებაზე.

მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის მეთოდების შერჩევასა და მეცნიერი უპირატესობას აძლევს ბიოსისტემების მათემატიკური მოდელირების თეორიულ პრინციპებს, რომელთა დამუშავებისთვის გამოყენებულია კომპიუტერული სისტემები. მათი გამოყენებით დადგენილი და გაანალიზებული აქვს მავნე და სასარგებლო მწერებს შორის ოპტიმალური ფარდობები ხეხილის და ტყის ბიოცენოზებში, რომელთა პრაქტიკულ გამოყენებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდის თვალსაზრისით, რაც თავისთავად გარემოს დაცვის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი გზაა.

მეცნიერმა თავისი პირველივე ნაშრომებიდან ყურადღება გაამახვილა პესტიციდების ღრმად გააზრებულ, გონივრულ გამოყენებაზე. მან განსაზღვრა პესტიციდების შედარებითი ტოქსიკურობა ხეხილის, ვაზის, სუბტროპიკული კულტურების, ბოსტნეული და მარცვლოვანი კულტურების და სხვათა მიმართ. ამავე დროს, შეისწავლა ამ სახეობების ძირითადი მარეგულირებელი ფაქტორები (ენტომოფაგები) და დაადგინა მათზე პესტიციდების უარყოფითი მოქმედება. შეარჩია გარემოსათვის ნაკლებად ტოქსიკური პრეპარატები და მათი კონცენტრაციები, რომლებიც წარმატებით იქნა გამოყენებული ბრძოლის ინტეგრირებულ ღონისძიებებში. მის მიერ პირველად იქნა დამუშავებული პესტიციდების შეფასება სელექციურობის კოეფიციენტების შერჩევის მეთოდით, რაც საშუალებას იძლევა შევარჩიოთ ბიოცენოზისათვის ნაკლებად საშიში პრეპარატები.

მისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება მავნე ორგანიზმების ფენოპროგნოზირების საკითხებს, რომელიც ძირითადი საფუძველია მავნე მწერების წინააღმდეგ ბრძოლის წარმართვის საქმეში. ფენოპროგნოზირება მან სწორად დაუკავშირა არა მარტო მავნე მწერების, არამედ მათი ბუნებრივი მტრების აგროცენოზში გამოჩენის ოპტიმალურ პერიოდებს, რითაც მინიმუმამდე დაიყვანდა მათი უარყოფითი მოქმედება სასარგებლო ფაუნაზე.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ავტორის პროფესიონალურ მიდგომას ორიგინალური ბიოლოგიური, ბიოტექნიკური და ტოქსიკოლოგიური კვლევების მეთოდების გამოყენებაში და მათ წარმართვას ერთი მიზნისკენ - მავნე სახეობების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებაში, მათი გარემოზე ნაკლებად უარყოფითი მოქმედების გათვალისწინებით.

პრიორიტეტულია მეცნიერის კვლევა, რომელიც შეისწავლის მცენარეთა დაცვაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხებს. მავნებლებისა და მისი ბუნებრივი მტრების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლას მათემატიკური მოდელირების გზით და მათ შორის ოპტიმალური ფარდობების დადგენის, ფიტოპლანქტონური დაავადებების გადამტანი ჭიჭინობელას პროგნოზირების სტატისტიკურ მეთოდებს, რითაც დადასტურდა მისი გავრცელების შესაძლებლობა აღმოსავლეთ საქართველოში, დაავადების გადამტანის სტერილიზაციის საკითხებს მავნებლების ფენოპროგნოზირებას აგროცენოზებში და მათ დროში განაწილებას, სუბტროპიკული კულტურების მავნებლების და მათი ენტომოფაგების შესწავლას და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საკარანტინო სახეობების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებების დამუშავება და უცხოეთიდან შემოყვანილი სასარგებლო მწერების აკლიმატიზაცია ჩვენს პირობებში.

გ. ალექსიძის მეცნიერული კვლევები საფუძველად დაედო მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებების დამუშავებას, რომლებიც ფართოდაა რეკომენდირებული ჩვენი ქვეყნის ხეხილის, სუბტროპიკული კულტურების ბაღებში, ვენახებში და სხვა სასოფლო - სამეურნეო კულტურებში.

ინტეგრირებული ღონისძიებები ითვალისწინებს მანამდე ფართოდ გამოყენებულ მაღალტოქსიკური პესტიციდების მნიშვნელოვან შემცირებას, ადგილობრივი და ინტროდუცირებული ბიოლოგიური საშუალებების ხვედრითი წილის გაზრდას საერთო ფიტოსანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტის მომცემია.

მეცნიერის 10-ზე მეტი ნაშრომი ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში მცენარეთა დაცვის არსებულ მდგომარეობის შესწავლას, მათი გამოყენების შესაძლებლობას ჩვენს ქვეყანაში. ეს სამუშაოები მისი აშშ-ში მივლინების პერიოდში იქნა შესრულებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ ამ ქვეყნიდან რამოდენიმეჯერ ინტროდუცირებული კოლორადოს ხოჭოს ბუნებრივი მტრები; ციტრუსოვანი კულტურების სანერგეების ბაქტერიული დაავადების სუფთა კულტურის შემოტანა ჩვენს ქვეყანაში კვლევითი ღონისძიებების ჩასატარებლად; მარცვლეული კულტურების მავნებლების წინააღმდეგ გემით ტრანსპორტირების პერიოდში ფოსფინის ტიპის ფუმიგანტების დანერგვა, იმპორტირებული მარცვლეულის ფიტოსანიტარული და კარანტინული უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების გატარება და სხვა, რისთვისაც მან სამჯერ დაიმსახურა ელჩის ოფიციალური პირადი მადლობა.

შრომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ აკად. გ. ალექსიძის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება ეხება გამოყენებითი ბიოლოგიის მნიშვნელოვან სფეროს - მავნე ორგანიზმებისაგან სასოფლო - სამეურნეო კულტურათა ინტეგრირებულ დაცვას, რომელიც შეისწავლის მავნე სახეობების ბიოეკოლოგიას, მათ მავნეობას აგრობიოცენოზებში, მავნე და

სასარგებლო მწერების ურთიერთდამოკიდებულებას მათემატიკური მოდელირების გამოყენებით; მავნე სახეობების პროგნოზირებას; მათ წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმალური ღონისძიებების დამუშავებას, რაც მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აქტუალურ პრობლემებთან და გარემოს დაცვის გლობალური საკითხების გადაწყვეტასთან. შრომები გამოქვეყნებულია ადგილობრივ და საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებში, ისინი ამ დარგის სპეციალისტებისათვის კარგადაა ცნობილი და საყოველთაო აღიარებით სარგებლობენ.

ბატონი გურამი არის სასოფლო - სამეურნეო კულტურების მავნებელ - დაავადებებთან ინტეგრირებულ დაცვის ერთ - ერთი ფუძემდებელი საქართველოში, მისი ხელმძღვანელობით და ავტორობით დღესაც მიმდინარეობს მუშაობა აგროცენოზებში გავრცელებული ბიოსისტემების შესწავლაზე.

აკადემიკოსი გ. ალექსიძე არჩეულია ლატვიის სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის აკადემიის უცხოელ წევრად (2022 წლიდან), წლების განმავლობაში იყო ევროპის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და ბუნებათსარგებლობის აკადემიების კავშირის (UEEA) ჯერ ვიცე - პრეზიდენტი (2018-2020 წწ), შემდეგ პრეზიდენტი (2020-2022 წწ), ფაო-ს ტროპიკული სოფლის მეურნეობის პროგრამის (TAP) სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2015-2016 წწ); აგრარული კვლევების საერთაშორისო კონსორციუმის (CGIAR) სამეთვალყურეო საბჭოს და ფონდის საბჭოს წევრი (2015-2016 წწ). 2015 წლიდან არის ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციების ასოციაციის (CACAARI) თავმჯდომარე, 2008 წლიდანაა „ქართული ენციკლოპედიის“ აგრარული კომისიის თავმჯდომარე, 2013 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკოლოგიური კომისიის წევრი და „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის“ კომისიის თავმჯდომარე.

ევროპის მცენარეთა გენეტიკური რესურსების ეროვნული კოორდინატორი საქართველოში (2003-2012 წწ) და ამ პროგრამის პროგრამის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; ამერიკის ენტომოლიგიური და ფიტოპათოლოგიური საზოგადოების წევრი (1983-1987 წწ) და სხვა.

დაჯილდოებულია „ღირსების“ ორდენით, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციის „მშრალ რეგიონების სოფლის მეურნეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის“ (ICARDA) „ვერცხლის დიდი მედლით“ (2005, 2008 წლებში) საერთაშორისო კვლევებში შეტანილი წვლილისათვის და სხვ.

ბატონი გურამი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა თაობის მეცნიერთა და სპეციალისტთა აღზრდას, როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი კითხულობს ლექციებს მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის საკითხებზე. ბატონ გურამის ხელმძღვანელობით დაცულია 20-ზე მეტი სადოქტორო დისერტაცია, მათ შორის იყვნენ უცხოელი სპეციალისტებიც.

აკადემიკოსი გ. ალექსიძე ტრადიციული ქართული ოჯახის მამაა, ჰყავს მეუღლე - შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილი.

გამოვხტავთ რა განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას ბატონი გურამის მიმართ, გულითადად ვულოცავთ მას, როგორც ღირსეულ მოქალაქესა და გამოჩენილ მეცნიერს, დაბადების - 85, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის - 60 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.



ფართო ერუდიციისა და კვლევის განსაკუთრებული უნარის მქონე შემოქმედმა, ეროვნული მეცნიერებისა და ახალი თაობის აღზრდისადმი უანგარო მსახურმა, სამშობლოს ღრმა მოსიყვარულემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გოგოლა მარგველაშვილმა, თავისი სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ფურცელი ჩაწერა თავის შემოქმედებით აღსავსე ცხოვრებაში.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გოგოლა მარგველაშვილი დაიბადა 1939 წლის 22 სექტემბერს ქუთაისში. 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლა - ოქროს მედალზე, ხოლო 1962 წელს -

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი და მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალიფიკაცია.

სამეცნიერო მოღვაწეობა გოგოლა მარგველაშვილმა 1963 წელს დაიწყო ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის იმერეთის საყრდენ პუნქტში. 1966-1969 წლებში სწავლობდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში „აგროქიმიის“ სპეციალობით. 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იმერეთის გაეწრებული ყვითელმიწა ნიადაგების ფოსფატური რეჟიმი და ფოსფორიანი სასუქების ეფექტურობა ჩაის პლანტაციებში“, 1989 წელს კი მოსკოვში, კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის აკადემიაში - სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგების ფოსფატური რეჟიმი და ფოსფორიანი სასუქების ეფექტურობა ერთწლოვანი კულტურებისათვის“.

1971 წლიდან ქალბატონი გოგოლა მარგველაშვილი აგროქიმიური მომსახურების ცენტრალური ინსტიტუტის თბილისის ფილიალში ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის გამგეა. 1978 წლიდან მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტში მინერალური სასუქების განყოფილების გამგე, 1993-2005 წლებში დირექტორის მოადგილე, ხოლო 2005-2006 წლებში დირექტორი. 1990 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება; 1995 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 2010 წლიდან აღნიშნული აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანია.

2013 წლიდან აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი საქართველოში ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის დარგში ეროვნული კოორდინატორი და ექსპერტია.

ქალბატონმა გოგოლა მარგველაშვილმა არაერთხელ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესების და კონფერენციების მუშაობაში. იგი იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი.

2003-2007 წლებში ის თანამშრომლობდა მშრალი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო ცენტრ ICARDA-თან, რომელიც ახორციელებდა პროექტს - „ნიადაგისა და წყლის რესურსების მართვა წარმოების პირობებში, მდგრადი სასოფლო - სამეურნეო სისტემის შექმნისათვის შუა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში“.

პროფესორმა გოგოლა მარგველაშვილმა მონაწილეობა მიიღო: „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონის მომზადებაში და შემდგომში, აღნიშნულ კანონში შესატანი ცვლილებების და დამატებების მომზადების პროცესში და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ კანონის მომზადებაში, მონაწილეობდა საქართველოში გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის სამთავრობო კომისიის მუშაობაში და საქართველოს გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის შემუშავებაში.

ქალბატონი გოგოლა მარგველაშვილი პირველი ქართველი ქალია, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია აგროქიმიის სპეციალობით და მიენიჭა პროფესორის წოდება. მისმა

სამეცნიერო ღვაწლმა აგროქიმიის ფუნდამენტური დებულებების განვითარებაში ასახვა ჰპოვა წიგნში - „აგროქიმიის ისტორია და მდგომარეობა 21-ე საუკუნის მიჯნაზე“ .

ქალბატონი გოგოლა მარგველაშვილი ითვლება აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგებში ფოსფორიანი სასუქების ეფექტური გამოყენების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების დამუშავების ქართული სამეცნიერო სკოლის ხელმძღვანელად. სწორედ ფოსფორის რეჟიმი, ფოსფორის თერმოდინამიკა, კინეტიკა და ბიოქიმია, შეტანილი ფოსფორიანი სასუქების გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და ხარისხზე, ნიადაგის ნაყოფიერებაზე, გარემო არეზე, ნიადაგში არსებული ფოსფატების დინამიკაზე, მიგრაციაზე, ტრანსფორმაციაზე, ფიქსაციაზე, ბალანსზე და სხვა იყო მისი კვლევის ძირითადი მიმართულებები. გ. მარგველაშვილის მიერ შესწავლილია პოლიფოსფატების აგროქიმიური თავისებურებანი, დადგენილია პოლიფოსფორმჟავაზე დამზადებული სასუქების უპირატესობა მარტივი სასუქების ნარევეთან შედარებით, შემუშავებულია მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის ბალანსის გასაუმჯობესებლად საქართველოს მიწათმოქმედებაში.

ქალბატონ გოგოლა მარგველაშვილის კვლევის შედეგები ასახულია 160 - მდე მეცნიერულ ნაშრომში. რომელთაგან აღსანიშნავია მის მიერ გამოქვეყნებული წიგნი „აგროქიმიის პრაქტიკუმი“. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან სასწავლო სახელმძღვანელოს საქართველოს უნივერსიტეტებში არსებული აგრარული ფაკულტეტების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისთვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ სახელმძღვანელო წიგნი „აგროქიმიის პრაქტიკუმი“ აღიარა აგრარულ სფეროში 2023 წლის საუკეთესო ნაშრომად და მისი ავტორი პროფესორი გოგოლა მარგველაშვილი დააჯილდოვა დიპლომითა და პრემიით.

პროფესორი გოგოლა მარგველაშვილი დიდ მზრუნველობას იჩენს ახალგაზრდა მეცნიერთა კადრებისადმი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 17 საკანდიდატო და 4 სადოქტორო დისერტაცია.

წლების მანძილზე (1978 - 1986) იყო მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტთან არსებული საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზებული საბჭოს წევრი და სწავლული მდივანი, 1993-2007 წლებში კი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს წევრი.

ამჟამად თანამშრომლობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ ფაკულტეტთან. ხშირად არის სადისერტაციო ნაშრომების შემფასებელი და რეცენზენტი. აღსანიშნავია მისი თანამშრომლობა „საქართველოს ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგიასთან. მთავრობა, საქართველოს ინტელიგენცია, მისი მოწაფეები ღირსეულად აფასებენ პროფესორ გოგოლა მარგველაშვილის ღვაწლს. იგი დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ (1976), საპატიო ნიშნის ორდენით (1989), საქართველოს ღირსების ორდენით (2002); იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ გოგოლა მარგველაშვილი აგროქიმიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის საპატიო სიგელებით დააჯილდოეს (2019).

2005 წლის 6 მაისს, წმინდა გიორგის დღესასწაულის დღეს, მშობლიურმა სკოლამ და საზოგადოება „ქუთაისელ“-მა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს გოგოლა მარგველაშვილს დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყო. საღამოს ესწრებოდნენ ამ დარგის თვალსაჩინო სპეციალისტებიც, რომელთა მისასალმებელ სიტყვებში გამოსჭვიოდა უდიდესი პატივისცემა ღვაწლმოსილი მეცნიერის მიმართ.

გამოვხატავთ რა ღრმა პატივისცემასა და გულითად სიყვარულს, ვულოცავთ ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრონომიულ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, სსმმ აკადემიის აკადემიკოსს, პროფესორ გოგოლა მარგველაშვილს 85 წლის საიუბილეო თარიღს და სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღევრძელობას და ნაყოფიერ შემოქმედებით სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

წარმატებული მკვლევარი, ინოვაციური ინჟინერი



აგრარული დარგის მეცნიერთა თაობათა აღმზრდელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივანსა და ამავე აკადემიის აგრარული ინოვაციების კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალექსანდრე დიდებულის დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა.

ალექსანდრე დიდებულის დაიბადა 1944 წლის 30 სექტემბერს ქალაქ თბილისში. საშუალო სკოლის 1961 წელს დამთავრების შემდეგ, მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის ელექტრული მანქანებისა და აპარატების სპეციალობაზე. სწავლის პარალელურად 1961-1963 წლებში მუშაობდა ამწყობ ზეინკლად თბილისის ქარხანა „ელექტრომრავა“-ში. სტუდენტობის პერიოდში აქტიურად

მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში, იყო სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. 1966 წელს, ინჟინრის დიპლომის მიღების შემდეგ, დატოვებული იქნა ინსტიტუტის ელექტრული მანქანებისა და აპარატების კათედრის ასისტენტად. 1968-1972 წლებში სწავლობდა კონსტანტინე ამირეჯიბის სახელობის საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1974 წლამდე მუშაობა განაგრძო უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1974 წელს აკადემიკოს ვალერიან მეტრეველის სამეცნიერო ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1991 წელს - სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სპეციალური ელექტრიფიცირებული სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემები სოფლის მეურნეობისათვის“.

1974 წელს არჩეული იქნა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ამჟამად აგრარული უნივერსიტეტი) უფროს მასწავლებლად, შემდეგ მუშაობდა იქვე ელექტროტექნიკისა და ელექტროამრავის კათედრაზე დოცენტად, პროფესორად, 1989 წლიდან გახლდათ კათედრის გამგე, ხელმძღვანელობდა ლაბორატორიას სამთო სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში. 2008-2012 წლებში ბატონი ალექსანდრე იყო აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 2012-2022 წლებში - საკონტრაქტო პროფესორი. 2013-2023 წლებში აღმასრულებელ მდივნად მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ჯერ კომისიაში, ხოლო შემდეგ ცენტრში, რომლის ჩარჩოებში 120-მდე მეცნიერს მიეცა საშუალება ფართო საზოგადოებისთვის გაეცნოთ თავისი მიღწევები. 2023 წლის ივლისში არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივნად, და იქვე მუშაობს დღემდე. 2019 წლიდან იგი ასევე ხელმძღვანელობს აკადემიის აგრარული ინოვაციების კომისიას.

ალექსანდრე დიდებულის ეწევა აქტიურ სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობას. 1970-1975 წლებში იყო საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, მონაწილეობდა ახალგაზრდა მეცნიერთა ბაკურიანის სემინარებისა და თბილისში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ორგანიზებაში; 1978-1988 წლებში იყო რეგიონთაშორისი სპეციალიზებული სადოქტორო საბჭოს სწავლული მდივანი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩაერთო ახლადშექმნილი სტრუქტურების მუშაობაში, 2002 წლამდე იყო იუნესკოსა და ევროპის საბჭოს უმაღლესი განათლების საინფორმაციო ქსელის წარმომადგენელი საქართველოში, 1995-1997 წლებში - საქართველოს ბიბლიოთეკების განვითარების ფონდის დამფუძნებელი და დირექტორი, რომლის ძალისხმევით ამერიკის შეერთებულ შტატებიდან ქვეყნის წამყვანი ბიბლიოთეკებისათვის ჩამოტანილი იქნა მეგობრების მიერ შეგროვილი 40 ათასზე მეტი უახლესი ინგლისურენოვანი სამეცნიერო წიგნი და ჟურნალი. 1997-2002 წლებში ა. დიდებულის იყო საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი და

თავმჯდომარის მოადგილე, სანოსტრიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე; ამ დროს სხვადასხვა ქვეყანასთან დაიდო სამეცნიერო ხარისხების ურთიერთალიარების შესახებ ათამდე ხელშეკრულება. 2004 წლის მარტიდან 2008 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილედ და საპარლამენტო მდივნად, კურირებდა საერთაშორისო კავშირებსა და საკანონმდებლო აქტების დამუშავებას. იმ პერიოდში მომზადდა საქართველოს კანონები: „უმაღლესი განათლების შესახებ“, „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ და სხვ.

ალექსანდრე დიდებულიძეს გამოქვეყნებული აქვს 266 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორის 11 მონოგრაფია და 9 სახელმძღვანელოა; მისი სამეცნიერო მოღვაწეობა 1995 წლამდე ძირითადად ეძღვნებოდა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის და ელექტრომექანიკის საკითხებს, მიღებული აქვს 16 ქვეყნის: საქართველოს, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ინდოეთის, იტალიის, ბრაზილიის, ავსტრალიის, კანადის და სხვ. 43 პატენტი ან საავტორო მოწმობა გამოგონებებზე, რომელთაგან აღსანიშნავია მის მიერ პროფესორ რობიზონ ქსოვრელთან ერთად დამუშავებული კუთხით რხევითი ელექტრომაგნიტური ვიბრატორის რამდენიმე კონსტრუქცია; ამ ვიბრატორების დამზადება მოხდა ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანაში“. ალექსანდრე დიდებულიძე მონაწილეობდა ერთდროულად ელექტრომაგნიტური და მექანიკური რეზონანსების რეჟიმებში მომუშავე ენერგოეფექტიანი უქუქვევით-წინსვლითი ელექტრომაგნიტური ვიბრატორების დამუშავებაში. ის იყო ხიდური მიწათმოქმედების საკავშირო კომისიის მდივანი, ხოლო ელექტრიფიცირებული ხიდური აგრეგატი, რომლის ელექტრული ლილვის პრინციპზე მომუშავე ამპრავის შექმნას იგი ხელმძღვანელობდა, 1989-1991 წლებში ექსპლუატაციაში იმყოფებოდა მცხეთის სოფელ ქანდის მეურნეობაში.

აკად. ა. დიდებულიძე მონაწილეობდა ლაიპციგისა (ორჯერ), ბუდაპეშტის, ხოშიმინისა და ბუქარესტის საერთაშორისო ბაზრობებში, სადაც მიმდინარეობდა მისი მონაწილეობით შექმნილი მანქანა-დანადგარების დემონსტრირება.

1995 წლიდან ალექსანდრე დიდებულიძე პარალელურად გადაერთო საქართველოს სოფლის მდგრადი განვითარების პრობლემების კვლევებზე, დარგის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრასა და სტრატეგიული დოკუმენტების დამუშავებაზე. 1997 წელს ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოიცა მისი წიგნი: „სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები“, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორებს. იგი ასევე აქტიურად იყო ჩართული ევორეგიონული კონსერვაციის გეგმების შედგენაში, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის სამუშაოებში, საქართველოს მუნიციპალიტეტებისა და კონკრეტული სოფლების სივრცით-ტერიტორიული განვითარების ხედვების დადგენასა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვაში, ზემოაღნიშნულის გარდა იგი იკვლევდა აგრობიოტექნოლოგიების კომერციალიზაციის მიმართულებებს, მთიანი რეგიონების განვითარების პრობლემებს და სხვ.

აკადემიკოსი ა. დიდებულიძე 1995 წლიდან არის საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ხოლო 1997 წლიდან - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. იგი თანამშრომლობს მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი (WB), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და მისი კოდექს ალიმენტარიუსის კომისია (CAC), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს მეცნიერების, კულტურის და განათლების ორგანიზაცია (UNESCO), აშშ-ს ბიოლოგიური საფრთხეების შემცირების პროგრამა (USA BTRP) და საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), NATO-ს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ და ა. შ.

ბატონი ალექსანდრე მონაწილეობდა 30-მდე საგრანტო პროექტის და პროგრამის დამუშავებაში, რომელთა შორის აღსანიშნავია ევროპის საბჭოს პროექტი: „ევროპის მთები 2002: პირინეები - ალპები - კავკასია: მთიანი ზონის განვითარება“, რომელიც პირველად ჩატარდა აზერბაიჯანისა და სომხეთის კოლეგებთან ერთად და USAID-ის პროექტი: „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესტრუქტურისა და სტრატეგია“ - (2001-2004 წლები), მან მოამზადა საექსპერტო დასკვნა თემაზე: „საქართველოს მეღვინეობის სექტორის მნიშვნელობის შეფასება“, რის შედეგად გერმანიის მთავრობამ დააფინანსა საქართველოში ღვინის ლაბორატორიის შექმნა.

აკად. ა. დიდებულიძე სალექციო კურსებს ატარებდა გერმანიის გისენის და ლუნებურგის უნივერსიტეტებში. იგი არის მეცნიერებათა დოქტორის და აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაცული ათამდე დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

1999 წელს მიღებული აქვს ღირსების ორდენი, საპატიო სიგელები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სიგელი ქართველი ერის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისთვის.

ბატონო ალექსანდრე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსსა და აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივანს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დაბადების მე-80, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მე-60 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი თამაზ ბაციკაძე - 80



2024 წლის 10 ოქტომბერს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 57 წელი შეუსრულდა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ბატონ თამაზ ბაციკაძეს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრმა (აკადემიკოსმა), საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, პრეზიდენტის წევრმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ღირსების მედლისა და ღირსების ორდენის კავალერმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწემ, ბატონმა თამაზ ბაციკაძემ უკვე მრავალი წელია საყოველთაო აღიარება ჰპოვა როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერთა შორისაც.

ბატონი თამაზ ბაციკაძე დაიბადა 1944 წლის 10 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1967წ. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით. 1967-1973 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის ასისტენტი. 1973 წლიდან, საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდგომ, ამავე კათედრის დოცენტი. 1977-78 წლებში ის პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა საფრანგეთში პარიზის მეშვიდე უნივერსიტეტში, ხოლო 1990-91 წლებში მოღვაწეობდა აშშ-ში ვისკონზინის და მედისონის უნივერსიტეტებში. 1982-85 წლებში იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, 1987-2005 წლებში - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი ჯერ დაუსწრებელი სწავლების, შემდეგ კაპიტალური მშენებლობისა და პერსპექტიული განვითარების დარგში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში აშენდა და ექსპლუატაციას გადაეცა: მეტალურგიის ფაკულტეტის სასწავლო-ლაბორატორიული კორპუსი, გეოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო ლაბორატორიული კორპუსის 1 რიგი, მუზეუმი, სპორტული დარბაზი, მიკროელექტრონიკის ცენტრის შენობა, სპორტული მოედნები, დახურული საცურაო აუზი, საცხოვრებელი სახლები თანამშრომლებისთვის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ნუფუზიუმის პლატოზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზა დაბა ლესელიძეში და სხვა. შეიქმნა ექსპერიმენტული სამშენებლო-სასწავლო სამმართველო, სადაც სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს ძირითადად სამშენებლო და მონათესავე ფაკულტეტების სტუდენტები ასრულებდნენ.

1998 წელს პროფესორ თ. ბაციკაძეს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

ბატონმა თ. ბაციკაძემ 1998 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორის წოდება. 1997-1999 წლებში იგი შეთავსებით ხელმძღვანელობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამშენებლო მექანიკის“ კათედრას. 1999 წელს აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის განყოფილების გამგედ და პრეზიდენტის წევრად.

2005-2009 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო დეპარტამენტის უფროსი და მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრის სრული პროფესორია. 2006-2016 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრია. 2009 წლიდან 2022 წლამდე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პერსპექტიული განვითარების სამსახურისა და საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის უფროსი. 2022 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის სასწავლო, სამეცნიერო, საექსპერტო, საგამოცდო ლაბორატორიას.

პროფესორი თამაზ ბაციკაძე 2021 წლის აგვისტოდან არის საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტის თანაშემწე საერთო საკითხებში (საერთაშორისო ურთიერთობები, პროგრამები და საგრანტო პროექტების მიმართულებები).

ბატონი თამაზი 2010 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრი, სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ევროკავშირის მეცნიერებებისა და განათლების განვითარების შეფასების ჟიურის წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნიკური ჟურნალის „მშენებლობა“ სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარის მოადგილე. მისი სამეცნიერო მიმართულებაა მყარი დეფორმადი სხეულების მექანიკა. მიღებული აქვს მნიშვნელოვანი შედეგები ფილების და გარსების პლასტიკური დეფორმაციების და მზიდუნარიანობის პრობლემების გადაწყვეტაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონი თამაზის ღრმა ფილოსოფიური ნაშრომები, რომელთა შორისაა: „რას ვაკეთებთ „სიკვდილის“ შემდეგ“; „როგორ დავრწმუნდეთ სულის უკვდავებაში“; „ვინ ვართ და სად ვიმყოფებით გარდაცვალების შემდეგ“ და სხვ.

პროფესორი თ. ბაციკაძე არის საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიის ლაურიატი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1998 წ), ღირსების ორდენით (2003წ). არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. გამოცემული აქვს 11 სახელმძღვანელო, მათ შორის ფრანგულ და რუსულ ენებზე, აგრეთვე 4 მონოგრაფია და მეთოდური ხასიათის ნაშრომები. სახელმძღვანელოებს მინიჭებული აქვთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გრიფი და რეკომენდირებულია ყველა ტექნიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

ბატონო თამაზ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მეუღლეს, მამასა და ბაბუას დაბადების მე-80, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 57-ე წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**ქეშმარიტი მამულიშვილი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე
აკადემიკოსი როინ მეტრეველი - 85**



ბატონო როინ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და აგრარიკოს-მეცნიერთა სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეს დაბადებიდან 85 და სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს.

უდიდესია თქვენი დამსახურება საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანის“

შესწავლაში. ჩვენი წმინდანად შერაცხული მეფეების დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის მრავალმხრივი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარის გაშუქებაში, რომელთა შორისაა რეფორმები ეკონომიკური, სამხედრო, საეკლესიო თუ სამართლის დარგებში, ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული მიმოხილვა და სხვ.

თქვენს მიერ გამოცემული თითოეული სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, სახელმძღვანელო თუ სამეცნიერო სტატია უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული საისტორიო მეცნიერების წარმოჩინებაში.

მეტად ღირებულია თქვენი ისტორიოგრაფიული ნაშრომებიც: წერილები და მონოგრაფიები ვახუშტი ბაგრატიონზე, ივანე ჯავახიშვილზე, ექვთიმე თაყაიშვილზე, შოთა მესხიაზე, ნიკო ბერძენიშვილზე და სხვა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსებზე.

ფასდაუდებელია თქვენი წვლილი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის 12 ტომის გამოცემის საქმეში. თქვენი უდიდესი ძალისხმევით შედეგად ქართველ ხალხს მიეცა მისი დიდი კულტურისა და ისტორიის დამდასტურებელი საბუთი.

თქვენ ბრძანდებოდით თბილისის ალექსანდრე პუშკინის (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის) სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის და ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. თქვენი უდიდესი დამსახურებაა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი აღიდგინა, რაც 1926 წლის შემდეგ დაკარგული ჰქონდა და რომ დღესდღეობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდი საბჭო მართავს. და არა მარტო ეს. თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით უნივერსიტეტში აღდგა სამედიცინო ფაკულტეტი, შეიქმნა ათამდე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და სამეცნიერო ცენტრი, ჩამოყალიბდა ახალი კათედრები, გაიზარდა სპეციალობების რაოდენობა და სხვ.

სამაგალითოა თქვენს მიერ გაკეთებული მოხსენებები არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე საქართველოს ისტორიის წარმოსაჩენად.

თქვენ წლების განმავლობაში ბრძანდებოდით საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, ევრაზიის უნივერსიტეტების ასამბლეის გენერალური კომიტეტის წევრი. თქვენი ძალისხმევით თბილისის უნივერსიტეტი 1999 წლიდან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციაში გაერთიანდა.

მისაბამია თქვენი დიდი მონდომება, რათა ქართულ მეცნიერებაში მოვიდეს ღირსეული ახალი თაობა.

თქვენ, როგორც მკვლევარი და მეცნიერების ორგანიზატორი დამსახურებულად აღიარებული ხართ დიდი ივანე ჯავახიშვილის საქმის ღირსეულ გამგრძელებლად.

ბატონო როინ,

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენ, ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, შესანიშნავ მეუღლეს, მამასა და ბაბუას ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შემოქმედებით, სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში!



სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილების აკადემიკოს - მდივანმა, აკადემიკოსმა ავთანდილ კორახაშვილმა დიდი ხანია მოიხვეჭა აღიარებული და გამოჩენილი მეცნიერის სახელი არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი მოღვაწეობა აგრარულ სექტორში აგრო, ბიო, ნაწი და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით.

ბატონი ავთანდილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მეცნიერულ მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა პედაგოგიურ საქმიანობასაც, რისი ნათელი დასტურიც 46 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობაა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს ღირსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს ავთანდილ კორახაშვილს დაბადებიდან 75, სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის - 50 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ადიარებული და გამოჩენილი მეცნიერი რამაზ ხუროძე - 80



მრავალმხრივ მეცნიერს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე - პრეზიდენტს, საქართველოს განათლების მინისტრის ყოფილ პირველ მოადგილეს, აკადემიკოს რამაზ ხუროძეს მიმდინარე წლის 9 ნოემბერს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოს რამაზ ხუროძეს საქართველოსა და უცხოეთში გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია (სახელმძღვანელო) მართვის სისტემების საიმედოობის დაგეგმვის, მასობრივი მომსახურების სისტემების შექმნისა და ხელოვნური ინტელექტის ამოცანების ინოვაციური მეთოდებით გადაწყვეტის საკითხებში. არის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, განსაკუთრებული დამსახურებისთვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ოქროს მედლით და სხვ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულთბილად ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს აკადემიკოს რამაზ ხუროძეს და უსურვებს ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებს, ნაყოფიერ სამეცნიერო - პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნისა და ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

ღვაწლმოსილი მეცნიერის ხსოვნა

აკადემიკოსი პაატა კოლუაშვილი



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, (აკადემიკოსი), ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პაატა კოლუაშვილი.

ბატონი პაატა კოლუაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1956 წლის 5 სექტემბერს. 1973-78 წლებში სწავლობდა საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, ეკონომისტ - ორგანიზატორის სპეციალობაზე; 2003 წელს მან დაამთავრა თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის (კახეთის ფილიალი) იურიდიული ფაკულტეტი, იურისტის სპეციალობით.

ბატონი პაატა 1978-1988 წწ. იყო ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის მთავარი სამმართველოს წამყვანი ეკონომისტი, მთავარი ეკონომისტი; 1989 წლიდან იყო საქართველოს კოლმეურნეობათა საბჭოს გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა სექტორის უფროსი; 1990-1991 წლებში საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი, საარჩევნო ბლოკი: "საქართველოს სახალხო ფრონტი", საარჩევნო ფორმა მაჟორიტარული, მაჟორიტარი დეპუტატი ადიგენის საარჩევნო ოლქიდან; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); 1992-1995 წლებში იყო საქართველოს მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე აგრარულ საკითხებში; 1992-1995 წლებში საქართველოს მე-2 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკი: "11 ოქტომბერი"- "საქართველოს სახალხო ფრონტი", საარჩევნო ფორმა: პროპორციული წესით, №5 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან. 1995 წლის აგვისტოში ხელი აქვს მოწერილი საქართველოს კონსტიტუციაზე.

1996-2003 წწ იგი გახლდათ სახელმწიფო კანცელარიაში, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი აგრარული რეფორმის საკითხებში.

2003 წლიდან იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამის „აგრარული ეკონომიკა“ ხელმძღვანელი.

ბატონი პაატა კოლუაშვილი გახლდათ 300 სამეცნიერო შრომისა და სტატიის ავტორი - აგროეკონომიკურ, სასურსათო უსაფრთხოების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მიწისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის პრობლემებზე. 70-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე - მომხსენებელი. მრავალი სახელმძღვანელოების რედაქტორი, მონოგრაფიებისა და სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი. მიღებული აქვს საქართველოს საუკეთესო მეცნიერის წოდება აგრარული ეკონომიკის დარგში (2014 წ).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პაატა კოლუაშვილის სახით ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ დაკარგა ღვაწლმოსილი მამულიშვილი, მეცნიერი და პედაგოგი, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების ხსოვნაში.



საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია
საქართველო, 0102, თბილისი,
ივანე ჯავახიშვილის ქ. №51

**Georgian Academy of Agricultural Sciences
Georgia, 0102, Tbilisi, I. Djavakhishvil Str. №51**

Tel/Fax: (+995 32) 294 13 21

E-mail: info.gaas.georgia@gmail.com

www.gaas.dsl.ge